

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

ნინო ხუნაშვილი

კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ზამბახიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი



თბილისი 2014

## სარჩევი

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურები .....	6
<b>შესავალი</b> .....	<b>7</b>
<b>თავი I. კეთილსინდისიერების პრინციპის იურიდიული ბუნება</b> <b>სახელშეკრულებო სამართალში</b> .....	<b>16</b>
1.1 კეთილსინდისიერების პრინციპის ევოლუცია ევროპის ქვეყნების და საქართველოს სახელშეკრულებო სამართალში .....	16
1.1.1 საფრანგეთი .....	16
1.1.2 გერმანია .....	21
1.1.3 ინგლისი .....	29
1.1.4 საქართველო .....	34
1.1.4.1 კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინება საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობაში .....	34
1.1.4.2 კეთილსინდისიერების პრინციპის ასახვა 1997 წლის 25 ნოემბერს ამოქმედებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში .....	36
1.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მოქმედების ფარგლების საკითხისათვის .....	43
1.3 კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინება სახელშეკრულებო (ვალდებულებით) სამართლებრივ ნორმებში .....	46
1.3.1 კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინება საზღვარგარეთის ქვეყნების სახელშეკრულებო სამართლებრივ ნორმებსა და საერთაშორისო დონის აქტებში. ....	46
1.3.2 კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინება ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში .....	50
1.3.2.1 ზოგადად ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების შესახებ .....	50
1.3.2.2 ხელშეკრულების დადების წესი .....	54
1.3.2.2.1 კეთილსინდისიერება და პატიოსნად საქმიანობის პრაქტიკა....	55
1.3.2.2.2 მხარის ბოჭვა დაპირების საფუძველზე ხელშეკრულების მონაწილეთა განზრახვა, დაიდოს ხელშეკრულება .....	55
1.3.3 „ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების“ დებულებები ხელშეკრულებათა შინაარსის შესახებ .....	57
1.3.3.1 კეთილსინდისიერება, როგორც ხელშეკრულების ნამდვილობის პირობა .....	57
1.3.3.2 ხელშეკრულების შესრულების სავალდებულობა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაუძლეველი ძალის და გარემოებათა არსებითად (ძირეულად) შეცვლის	

შემთხვევაში .....	59
1.4 კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინება ქართული სახელშეკრულებო სამართლის ნორმებში.....	62
1.4.1 კეთილსინდისიერება, როგორც სამართლის უნივერსალური პრინციპი .....	62
1.4.2 კანონი და კეთილსინდისიერების პრინციპი .....	66
1.4.3 კეთილსინდისიერების პრინციპის ასახვა საქართველოს სახელშეკრულებო სამართლის ნორმებში.....	70
1.5 კეთილსინდისიერების პრინციპის ფუნქცია სახელშეკრულებო სამართალში. ....	80
1.5.1 სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის ფუნქციის ზოგადი მიმოხილვა .....	80
1.5.2 კანონისა და ხელშეკრულების ხარვეზის შევსების ფუნქცია ....	81
1.5.2.1 კანონისა და ხელშეკრულების ხარვეზის შევსების ფუნქციის არსი .....	81
1.5.2.2 კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე მხარეთათვის დამატებითი ვალდებულებების დაკისრება .....	83
1.5.3 შეზღუდვის ფუნქცია .....	90
1.5.3.1 შეზღუდვის ფუნქციის არსი .....	90
1.5.3.2 ურთიერთგამომრიცხავი მოქმედების აკრძალვა .....	93
1.5.4 კორექტირების ფუნქცია .....	94
1.6 კეთილსინდისიერების პრინციპი ობიექტური და სუბიექტური მნიშვნელობი .....	95
1.6.1 ზოგადი დებულებები .....	95
1.6.2 კეთილსინდისიერების პრინციპი სუბიექტური მნიშვნელობით.....	96
1.6.3 კეთილსინდისიერების პრინციპი ობიექტური მნიშვნელობით.....	102
1.7 ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპით .....	105
1.8 ხელშეკრულების განმარტება კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად .....	112
1.9 კეთილსინდისიერების პრინციპისა და უფლების ბოროტად გამოყენების კატეგორიის თანაფარდობა .....	117
1.10 კეთილსინდისიერების პრინციპისა და ზნეობის თანაფარდობა.....	120
1.11 კეთილსინდისიერების პრინციპისა და ჩვეულებების თანაფარდობა სახელშეკრულებო ურთიერთობებში .....	122
1.12 კეთილსინდისიერების პრინციპისა და გონიერულობის	

თანაფარდობა .....	127
1.13 კეთილსინდისიერების (არაკეთილსინდისიერების) და ბრალის თანაფარდობა .....	132
1.14 კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების თანაფარდობა.....	139
1.15 თანაზომიერების (პროპორციულობის) ვალდებულება სახელშეკრულებო ურთიერთობებში .....	143

**თავი II. კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში (culpa in contrahendo) ..... 146**

2.1 culpa in contrahendo-ს ინსტიტუტი საზღვარგარეთის ქვეყნებში.....	146
2.2 culpa in contrahendo-ს ინსტიტუტი ქართულ სამართალში .....	149

**თავი III კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებანი სახელშეკრულებო ურთიერთობებში ..... 154**

3.1 შესავალი დებულებანი .....	154
3.2 თანამშრომლობის ვალდებულება .....	155
3.3 ინფორმირებისა და უსაფრთხოების ვალდებულება .....	165
3.3.1 ინფორმირების ვალდებულება .....	165
3.3.2 უსაფრთხოების ვალდებულება .....	174

**თავი IV სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის შედეგები ..... 177**

4.1 ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი .....	177
4.2 მნიშვნელოვანი საფუძვლის გამო გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე უარის თქმის უფლება.....	187
4.3 ხელშეკრულების (გარიგების) ბათილობა .....	188
4.4 ბათილი გარიგების კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე კონვალიდაციის პრობლემა.....	197
4.5 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე .....	202
4.5.1 ზოგადი დებულებანი .....	202
4.5.2 შემთავაზებლის მიერ სტანდარტული პირობების ცალმხრივად განსაზღვრის უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენება .....	207
4.5.3 სტანდარტული პირობების განმარტება, როგორც სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლის მექანიზმი .....	211
4.5.4 კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო სტანდარტული პირობების	

ბათილობა .....	213
4.5.4.1 საერთო დებულებები .....	213
4.5.4.2 პირობითად ბათილი სტანდარტული პირობები .....	225
4.5.4.3 აბსოლუტურად ბათილი სტანდარტული პირობები .....	226
4.5.4.4 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის შედეგები .....	228
დასკვნა .....	232
გამოყენებული ლიტერატურა .....	250

## აბრევიატურები

### ქართულ ენაზე:

იხ.	იხილე
რედ.	რედაქტორი
სსკ.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
შეად.	შეადარე
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
პროფ.	პროფესორი
სუსგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
გამომც.	გამომცემლობა
ა.შ.	ასე შემდეგ
ე.ი.	ესე იგი

### უცხოურ ენებზე :

Aufl.	Auflage
BGB.	Bürgerliches Gesetzbuch
BGH.	Bundesgerichtshof
CISG .	United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods
Einl.	Einleitung
f.	folgende
ff.	mehrere folgende
Hrsg.	Herausgeber
NJW.	Neue Juristische Wochenschrift
Rdnr.	Randnummer
RIW.	Recht der internationalen Wirtschaft
Vol.	Volume
ed (eds.).	Editors
RGZ	Reichsgericht in Zivilsachen

## შესავალი

საკელევი თემის აქტუალობა. სამოქალაქო სამართალში ყოველთვის აქტუალური იყო სამოქალაქო სამართლის ფუძემდებლური პრინციპების იურიდიული ბუნების (არსის) პრობლემის დამუშავება და ეს შემთხვევითი როდია, რამეთუ სწორედ პრინციპებიდან იკვეთება მკაფიოდ, თუ რა მიმართულებით ვითარდება კერძო სამართალი და რა ძირითადი თავისებურებებია დამახასიათებელი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისათვის. გარდა ამისა, სამოქალაქო სამართლის პრინციპები სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტების, ასევე ნორმათა ანალოგიით გამოყენების საფუძველია და ა.შ. სამოქალაქო სამართლის პრინციპები ძირითადი საწყისებია, „რასაც ემყარება სამართლის ეს დარგი თავისი მიზნის მიღწევაში“.<sup>1</sup> კერძო სამართლის პრინციპთაგან თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც სათავეს რომის სამართლიდან იღებს.

„*Bona Fides*“ რომის სამართალში, „*Gute Treue*“ ვაჭართა წრეებში, „*Die guten Handelsbräuche; Die Billigkeit* ან *Das Billige*“, ასევე „*Treu und Glauben*“ გერმანულ სამოქალაქო კოდექსში, იმ გავრცელებულ კატეგორიებს წარმოადგენენ, რომელთა მეშვეობითაც სამართლებრივი ნორმები ელასტიური, მოქნილი ხდებიან, მოსამართლეები საკუთარ აზრს თავისუფლად გამოხატავენ და კერძო პირებს კი, იმავდროულად, უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის ფართო შესაძლებლობაც ეძლევათ“.<sup>2</sup>

კეთილსინდისიერების შესახებ ნორმა წარმოადგენს ე.წ. „ღია“ ნორმას ანუ განუსაზღვრელ სამართლებრივ კატეგორიას (ზოგად დებულებას). კანონმდებელი ზოგჯერ აბსტრაქტული ნორმების მეშვეობით აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს, რაც „შესაძლებლობას იძლევა ნორმა მიესადაგოს სხვადასხვაგვარ ცხოვრებისეულ ურთიერთობას, რომლებიც ხშირად გარემოებათა შესაბამისად იცვლება“.<sup>3</sup> ამით სამართლებრივი ბრუნვა სწრაფი და სტაბილური, უსაფრთხო ხდება. სამართლებრივი ბრუნვის უსაფრთხოება და სისწრაფე კი საბაზრო ურთიერთობების განვითარების საფუძველია. ამასთან, მოქნილი სამართლებრივი ინსტრუმენტების არსებობა კანონმდებლობაში, სადავო შემთხვევაში სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს დააბალანსოს მხარეთა ინტერესები (მაგალითად კრედიტორისა და მოვალის ინტერესები ნასყიდობის ხელშეკრულებაში). ერთ-ერთ ისეთ სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მხარეთა ინტერესების დაბალანსება, კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ კეთილსინდისიერების სამართლებრივი პრინციპი დამახასიათებელია ყველა სამართლებრივი

<sup>1</sup> *კობახიძე ა.*, სამოქალაქო სამართალი, I ზოგადი ნაწილი, თბ. 2001, 31.

<sup>2</sup> *Eckl Ch.*, *Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht*, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 1.

<sup>3</sup> *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011წ., 55.

წესრიგისათვის.<sup>4</sup> ამ მოსაზრებას ეჭვქვეშ აყენებს შლესტრიმი და აღნიშნავს: იმ შემთხვევაში, თუ კეთილსინდისიერების პრინციპი საერთო დასავლური სამყაროს სამართლის ყველა სისტემისათვის და ეფუძნება ამ სისტემებისათვის დამახასიათებელ საერთო სამართლებრივ ღირებულებებს, რთული არ იქნებოდა კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე კონკრეტული წესებისათვის მოგვეძებნა საერთო საფუძველი. ამის ნაცვლად, კეთილსინდისიერების პრინციპის იურიდიული ბუნების წვდომის საკითხში არსებობს უზარმაზარი სიცარიელე.<sup>5</sup> როგორც ცნობილია, მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებულია ორი სამართლებრივი სისტემა, კერძოდ – *Civil Law* (ყველაზე უფრო დიდი ხნის, ყველაზე უფრო გავრცელებული სისტემა) და *Common Law*.<sup>6</sup> თითოეული ამ სამართლებრივი სისტემის ფარგლებში კეთილსინდისიერებას განსხვავებული მნიშვნელობა, შინაარსი და სემანტიკური ახსნა გააჩნია.

კეთილსინდისიერების პრინციპს ხშირად უნივერსალურ სამართლებრივ პრინციპსაც უწოდებენ.<sup>7</sup> კონტინენტური ევროპის სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი „მხარეებს მოუწოდებს, რომ ურთიერთვაღდებულებები შეასრულონ კეთილსინდისიერად – ურთიერთნდობისა და რწმენის საფუძველზე“.<sup>8</sup> რაც შეეხება ინგლისურ სამართალს „ხელშეკრულების მხარეებს მათი ხელშეკრულებების შესრულებისას არ სჭირდებათ ყურადღების გამახვილება ურთიერთნდობისა და რწმენაზე. პრინციპულად ყველაფერს წყვეტს ხელშეკრულების მშრალი ასოები და არაფერს ავნებს, თუ ერთ-ერთი მხარე თავის სახელშეკრულებო უფლებებს უსამართლოდ ან ბოროტად გამოიყენებს“.<sup>9</sup> მხარეებს ასევე არ შეუძლიათ სავალდებულოდ შეთანხმდნენ, რომ ისინი ხელშეკრულებას ნდობისა და რწმენის საფუძველზე შეასრულებენ. მაგალითად, ბანკი, რომელიც ვალდებულების უზრუნველყოფა ქონებას (გირაოს) ყიდის, სულაც არ არის ვალდებული, ეს ქონება მაქსიმალურ ფასში გაყიდოს ისე, რომ თავდებსაც დარჩეს რამე.<sup>10</sup>

<sup>4</sup> *Franzen M*, *Privatrechtsanglichung durch die Europäische Gemeinschaft*. Berlin, 1999, 548.

<sup>5</sup> *Schlechtriem P*, *Good faith in German Law and in International Uniform Laws*. Centro di studi e ricerche di diritto comparato e straniero. 24, Roma, 1997, 5.

<sup>6</sup> *Barton J.H, Merryman J.H, Li V. H*, *Law in Radically Different Cultures*. St. Paul, Minn. 1983; *Mattei U*, *Comparative Law and Economics*. Ann Arbor (Mich), 1988, *Peter De Cruz*, *Comparative Law in a Changing World*, London 1999; *დავიდი რ.*, *თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები*, გამომც. ბონა კაუზა, თბილისი, 2010

<sup>7</sup> შედარებისთვის: 1992 წლის 14 ოქტომბრის გერმანიის ფედერაციული სასამართლოს (Der Bundesgerichtshof) გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა გერმანიის გაერთიანების შემდგომ წარმოშობილ დავას, ნათქვამია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც „დაუწერელი კანონი“ დამახასიათებელია ყველა სამართლებრივი წესრიგისთვის“.

<sup>8</sup> *ჭანტურია ლ.*, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 56

<sup>9</sup> *Triebel/Hodgson/Kellenter/Müller*, *Englisches Handels- und Wirtschaftsrecht*, S. 66-67. მითითებულია: *ჭანტურია ლ.*, *დასახელებული ნაშრომი*, 57

<sup>10</sup> *Triebel/Hodgson/Kellenter/Müller*, *Englisches Handels- und Wirtschaftsrecht*, S. 66-67. მითითებულია: *ჭანტურია ლ.*, *დასახელებული ნაშრომი*, 57



უკანასკნელ წლებში ევროპული მეცნიერება დიდი ინტერესით მიუბრუნდა სახელშეკრულებო *bona fides* თემას.<sup>11</sup> გერმანიაში უკვე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში ტექსტში - გსკ) ძალაში შესვლის დროიდან არსებობს ლიტერატურა, რომელშიც განხილულია გსკ-ს 157-ე და 242-ე მუხლები. ქართულ სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი სრულყოფილად გამოკვლეული არ არის. ამიტომ ქართულ სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის არსის სწორად წვდომისთვის აუცილებელია იმ გამოცდილების და მიდგომების გათვალისწინება, რაც შემუშავებულია უცხოურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში. ერთ-ერთი მოსაზრებიდან გამომდინარე, „კეთილსინდისიერების პრინციპს მრავალ სამართლებრივ წესრიგში ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება, რომ იგი სავალდებულო ნორმატიული წინაპირობის სახეს იძენს.“<sup>12</sup> ეს ნიშნავს, რომ „...კანონით დადგენილი ნორმები ან კიდევ კერძო პირთა სახელშეკრულებო შეთანხმებები, რომლებიც კეთილსინდისიერების პრინციპს ეწინააღმდეგება, ...სასამართლოების მიერ ძალადაკარგულად ან მხოლოდ შეზღუდულად ძალაში მყოფად განიხილება“.<sup>13</sup> დოქტრინასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკას, იმას, თუ როგორ განმარტავენ და განახორციელებენ მოსამართლეები კეთილსინდისიერების პრინციპს ცხოვრებაში, იმის მიუხედავად, კანონი ან ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს თუ არა კეთილსინდისიერების მოთხოვნას.

კეთილსინდისიერების პრინციპს ხშირად იყენებენ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ეს იქნება ხელშეკრულების ნამდვილობის განსაზღვრა, ხელშეკრულების დადება, ხელშეკრულების შესრულება, თუ წინასახელშეკრულებო ურთიერთობები. კეთილსინდისიერება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის პრინციპს. ამიტომ, სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილეების კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. კონტრაქტები ბოროტად არ უნდა იყენებდეს პარტნიორის უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობას. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.<sup>14</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპს დიდი მნიშვნელობა აქვს:

- ა) მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების დადგენის დროს (ხელშეკრულების დადების თაობაზე მოლაპარაკების წარმოების დროს და ა.შ);
- ბ) უფლებებისა და მოვალეობების შექმნის დროს;

<sup>11</sup> შედარებისთვის: *Zimmermann R. Whittaker S.(Hg).*, Good Faith in European Contract Law, Cambridge, 2000

<sup>12</sup> *Larenz Karl*, Lehrbuch des Schuldrechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14 Auflage, München, 1987

<sup>13</sup> *Chrisian Eckl*, დასახ. ნაშრომი, გვ. 4

<sup>14</sup> *ძლიერიშვილი ზ.*, ვალდებულების შესრულება, გამომც., მერიდიანი, თბ., 2006, 13-14

გ) უფლებების განხორციელების და ვალდებულებათა შესრულების დროს;

დ) უფლებათა დაცვის დროს.<sup>15</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში ტექსტში - სსკ) რამოდენიმე ნორმა შეიცავს კეთილსინდისიერების შესახებ დებულებას. მაგრამ სამოქალაქო კოდექსში კეთილსინდისიერების ცნება მოცემული არ არის. კეთილსინდისიერების ცნების ჩამოყალიბება დოქტრინალურადაც რთულია. ამიტომ კეთილსინდისიერების შესახებ ნორმების (კანონის) პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, კეთილსინდისიერების შინაარსია მნიშვნელოვანი, ე.ი. ის, თუ ცალკეულ შემთხვევაში რა სახის ვალდებულებებს გულისხმობს კეთილსინდისიერება. თუმცა ესეც არ არის მარტივი ამოცანა. მეცნიერებაში მართებულად არის აღნიშნული, რომ „buena fe მოქნილი, ელასტიური კატეგორიაა. კეთილსინდისიერების კატეგორიას ყველა იცნობს, მაგრამ მის შინაარსს ბოლომდე ვერავენ წვდება.“<sup>16</sup>

კეთილსინდისიერება არის „სამართლიანობის განუსაზღვრელი კატეგორია, ამიტომ შეუძლებელია წინასწარ იმის თქმა, თუ როგორ გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო ამგვარ განუსაზღვრელ კატეგორიაზე დაყრდნობით“<sup>17</sup>. მართებულია სკლოვსკის მოსაზრება, რომ შეუძლებელია კეთილსინდისიერების შინაარსის ამომწურავად განსაზღვრა დოქტრინალურადაც კი და მითუმეტეს, საკანონმდებლო წესით (ლეგალურად).<sup>18</sup>

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კეთილსინდისიერების პრობლემის სირთულეს განაპირობებს პირველ ყოვლისა ის, რომ კეთილსინდისიერება გამოხატავს სამოქალაქო ბრუნვაში, ე.ი. უფლებათა შექმნის, განხორციელებისა და დაცვის, აგრეთვე ვალდებულებათა შესრულებისას სამართლის სუბიექტის ზნეობრივად მოქმედების შესახებ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს. საკითხის განსაზღვრისას, კონკრეტული პირი ზნეობრივად მოქმედებდა თუ არა, უნდა ვიხელმძღვანელოთ ზნეობის შესახებ საზოგადოების შეხედულებით, ანუ ამოსავალი უნდა იყოს ის, თუ როგორ ესმის ზნეობა საზოგადოებას.<sup>19</sup>

სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის განმარტებისას, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ავალდებულებს თავიანთი უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელებას, მითითებულია ამ უფლება-მოვალეობათა ზნეობის ნორმების დაცვით

<sup>15</sup> Богданова Е. Е. Добросовестность и право на защиту в договорных отношениях, Юнити-Дана: Закон и право, М., 2010, 6

<sup>16</sup> Alguer Jose, El concepto de la Buena fe en la genesis y en la técnica del Derecho privado (Contribución al estudio de la norma jurídico-civil), RJC 1927, 507 ff

<sup>17</sup> Goode R. The Concept of „Good Faith” in English Law, Roma, 1992, (<http://www.cnr.it/CRDCS/goode.htm>)

<sup>18</sup> Словский К. И. Применение норм о доброй совести в гражданском праве России. Ж. „Хозяйство и право”, 2002, №9, 79

<sup>19</sup> Богданова Е. Е. Добросовестность и право на защиту в договорных отношениях, Юнити-Дана: Закон и право, М., 2010,7

განხორციელების თაობაზე<sup>20</sup>. ამდენად, ავტორთა ნაწილის შეხედულებით, კეთილსინდისიერება ზნეობრივად მოქცევის ვალდებულებასაც გულისხმობს. სიკეთისა და ბოროტების კატეგორიების (ცნებების) მეშვეობით შეიძლება შეფასდეს ადამიანის ქცევა, პიროვნების მორალური თვისებები, ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობები.

კეთილსინდისიერების კვლევისას ზელერმა აღნიშნა, რომ კეთილსინდისიერებისათვის დამახასიათებელია გაორება: ერთი მხრივ, კეთილსინდისიერება წარმოადგენს სამართლის სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობის მახასიათებელს და მოცემულ კონტექსტში გამოიყენება კანონმდებლობის განმარტების და შეფარდების დროს (ავტორი აანალიზებს „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ“ ვენის 1980 წლის კონვენციას), ხოლო მეორე მხრივ - ვენის კონვენციის დებულებებში ასახულ სამართლის პრინციპს. ამის გამო კეთილსინდისიერების შინაარსი აისახა კანონმდებლობაში და ხელს უწყობს კანონმდებლობის მიზნის განმარტებას.<sup>21</sup>

თუმცა სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის არსი ნაკლებად ეფუძნება ზნეობის კატეგორიას. ეს აზრი გატარებულია ნაშრომში. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დღესდღეობით ძალზედ მცირე დოზით მოიძებნება სახელშეკრულებო (ვალდებულებითი) სამართლის იმ ნორმების განმარტების მაგალითები, რომლებშიც დადგენილია კეთილსინდისიერების მოთხოვნა, რაც, ცხადია, ართულებს პრობლემის შესწავლას. ეს ფაქტორი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას სძენს საკვლევ თემას და კეთილსინდისიერების პრობლემის გამოკვლევის აუცილებლობას განაპირობებს.

როგორც ცნობილია, ბუნებითი სამართლის მომხრეები, ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ კანონსა და სამართალს.<sup>22</sup> საყურადღებოა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც განასხვავებს კანონსა და სამართალს, როდესაც ცალ-ცალკე აღგენს კანონისა და სამართლის ანალოგიას. კეთილსინდისიერების პრინციპი ერთგვარად ამ მიდგომის გამოხატულებას წარმოადგენს. კეთილსინდისიერების პრინციპს მთლიანად კერძო სამართლისთვის აქვს მნიშვნელობა. შესაბამისად, ეს პრინციპი სხვადასხვა სახით ახდენს გავლენას სამოქალაქო სამართლის ცალკეულ ინსტიტუტზე. თითოეული მხარე უფლების განხორციელებისა და ვალდებულების შესრულების დროს უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად (ე.ი. იცავდეს ნდობის და სანდოობის მოთხოვნებს).

„კანონმდებლობა არა მარტო უფლებებს აღიარებს სამოქალაქო ურთიერთობათა მონაწილეებისათვის, არამედ შესაბამის ვალდებულებებსაც აწესებს მათთვის. ამასთან, ეს უფლებები და

<sup>20</sup> ჯორბენაძე ს., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 1999, 37

<sup>21</sup> Zeller B. Good Faith, The Scarlet Pimpernel of the CISG. 2000, (<http://cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zeller2.html>)

<sup>22</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხილეთ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, გამომცემლობა ჯისიაი, თბ., 2010, 34-38

მოვალეობები უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად.”<sup>23</sup> სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა სამოქალაქო უფლებების დაცვის ინსტიტუტია. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა შორის კონკურენციის არსებობა მოითხოვს მათი უფლებების ეფექტიანად დაცვას. მითუმეტეს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკაში ხშირია უფლებათა განხორციელება და ვალდებულებათა შესრულება არაჯეროვნად, არაკეთილსინდისიერად, მოქმედებათა შესრულება კანონის გვერდის ავლით, უფლების ბოროტად გამოყენება. ხშირია გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე აღძრული დავები, რომელთა დიდი ნაწილის ინიცირება არაკეთილსინდისიერი პირების მიერ ხდება. ისინი ცდილობენ თავი აარიდონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ხელშეკრულების მონაწილეთა უფლებების სათანადო დაცვა მოითხოვს სამართლის შესაბამისი ნორმების სრულყოფას. მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების გამოყენების სპეციფიკის განსაზღვრა. აუცილებელია კეთილსინდისიერების შინაარსის გამოკვლევა, იმის დადგენა, თუ რა თანაფარდობა არსებობს კეთილსინდისიერებასა და ისეთ კატეგორიებს შორის, როგორც არის უფლების ბოროტად გამოყენება, ბრალი, ზნეობა, გონივრულობა და სხვა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა სახელშეკრულებო ურთიერთობის აგება დასაშვებად მიიჩნია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე. ამიტომ საინტერესოა ხელშეკრულების თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის ურთიერთმიმართების პრობლემაც. კეთილსინდისიერების პრინციპი მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტების მიერ უფლებათა განხორციელებისას, ისე მოვალეობათა შესრულებისას. ეს იმის მაუწყებელია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპს თანამედროვე პერიოდში, ფართო მნიშვნელობა ენიჭება. გარდა ამისა, თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, კეთილსინდისიერების პრინციპის გამოკვლევა, როგორც წესი, ხდება ცალკეულ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობენ უმნიშვნელოვანესი ვალდებულებები. იმ საკითხის გარკვევა, თუ რაში ვლინდება კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მოითხოვს კეთილსინდისიერების პრინციპის შესახებ თანამედროვე პერიოდში არსებული ცოდნის სისტემატიზაციას, აგრეთვე სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობებში კეთილსინდისიერების კატეგორიის პრაქტიკული მნიშვნელობის განსაზღვრას.

გარდა ამისა, საჭიროა კეთილსინდისიერების კატეგორიის კომპლექსური გამოკვლევა იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო სამართალში მას აქვს ორმაგი შინაარსი, ე.ი. ერთ შემთხვევაში,

<sup>23</sup> კობახიძე ა., დასახ. ნაშრომი, 32-33

როდესაც საუბარია კეთილსინდისიერებაზე, როგორც სამართლის პრინციპზე, საუბარია კეთილსინდისიერებაზე ობიექტური გაგებით, ხოლო მეორე შემთხვევაში კეთილსინდისიერება არის სუბიექტის მიერ არცოდნა იმისა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქცევას ახორციელებს. ასეთ დროს საუბარია კეთილსინდისიერების კატეგორიაზე სუბიექტური გაგებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო აუცილებელია და აქტუალურია კეთილსინდისიერების პრინციპის გამოკვლევა სახელშეკრულებო ურთიერთობებში, აუცილებელია კეთილსინდისიერების პრინციპის არსის (იურიდიული ბუნების) დადგენა და მისი სამართლებრივი შინაარსის განსაზღვრა. კვლევას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს სწორედ საკვლევი თემის შერჩევა.

იმდენად, რამდენადაც კეთილსინდისიერების პრინციპი ზოგადი ვალდებულებაა, იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნორმატიულად მოწესრიგებაში არსებული ხარვეზების შევსებას. კეთილსინდისიერების პრინციპი სამოსამართლო სამართლის განვითარების ორიენტირს წარმოადგენს. სამართალი არ არის მარტოდენ სახელმწიფო სახელისუფლებო სტრუქტურების საქმიანობის პროდუქტი.

კეთილსინდისიერების კატეგორიის არსის წვდომა ცივილისტებისათვის მნიშვნელოვანია აღნიშნული კატეგორიის პრაქტიკაში გამოყენების და კერძო სამართლის კანონმდებლობის განვითარების მიზნით.

**კვლევის ობიექტია** სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებშიც მოქმედებს კეთილსინდისიერების პრინციპი.

**კვლევის საგანია** საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელშეკრულებო სამართალში არსებული დანაწესები, მათი გამოყენების პრაქტიკა, აგრეთვე სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების სპეციფიკის შესახებ არსებული დოქტრინა.

**სადისერტაციო ნაშრომის მიზანია:** სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების შესახებ არსებული ცოდნის სისტემატიზაცია; კეთილსინდისიერების იურიდიული ბუნების განსაზღვრა სახელშეკრულებო სამართალში; მისი შინაარსისა და მნიშვნელობის დადგენა დოქტრინისა და პრაქტიკისათვის; იმ სახელშეკრულებო სამართლებრივი ნორმების გამოყენების წესის გამოკვლევა, რომელთა შინაარსშიც ასახულია კეთილსინდისიერების კატეგორია ან რომელთაც საფუძვლად უდევს კეთილსინდისიერების პრინციპი; სამოქალაქო კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფისთვის წინადადებების შემუშავება.

დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია:

- კეთილსინდისიერების პრინციპის ევოლუციის ანალიზი საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელშეკრულებო სამართალში; საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების

დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში კეთილსინდისიერების კატეგორიისადმი არსებული მიდგომების გაანალიზება და განზოგადება;

- კეთილსინდისიერების პრინციპისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებისა და კრიტერიუმების გამოკვლევა;
- სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსის, როლის, მოქმედების ფარგლების, მნიშვნელობისა და ფუნქციის განსაზღვრა;
- სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვისა და გამოყენების შესახებ თეორიული დებულებებისა (წინადადებებისა) და პრაქტიკული დასკვნების ჩამოყალიბება;
- იმ სახელშეკრულებო სამართლებრივი ნორმების ანალიზი, რომლებშიც ასახულია კეთილსინდისიერების პრინციპი ანდა, მართალია, პირდაპირ არ არის ასახული ეს პრინციპი, მაგრამ რომელთაც საფუძვლად უდევს სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპი;
- კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებების განსაზღვრა სახელშეკრულებო სამართალში;
- კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის სამართლებრივი შედეგების განსაზღვრა;
- თეორიულად დასაბუთებული და პრაქტიკული გამოყენებისათვის ვარგისი დასკვნების შემუშავება სახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების სრულყოფისათვის; ეს ამოცანები ასახულია ნაშრომის შესაბამის თავებში და ქმნიან ნაშრომის სტრუქტურას.

**ნაშრომის სტრუქტურა:** ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის და დასკვნისაგან.

I თავი ეხება კეთილსინდისიერების პრინციპის იურიდიულ ბუნებას. პირველი თავის შესაბამის ქვეთავებში განხილულია კეთილსინდისიერების პრინციპის ევოლუცია ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში, კეთილსინდისიერების პრინციპის ფუნქცია, სახელშეკრულებო სამართლებრივ ნორმებში კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინების საკითხები, კეთილსინდისიერების პრინციპის თანაფარდობა ისეთ კატეგორიებთან, როგორებიც არის: სამართლიანობა, გონივრულობა, უფლების ბოროტად გამოყენება, ბრალი, ჩვეულებები, ზნეობა და სხვა.

II თავი მოიცავს წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების თავისებურებებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

III თავში გაანალიზებულია კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ისეთი დამატებითი ვალდებულებების სპეციფიკა, როგორებიც არის: ინფორმირების, თანამშრომლობის, უსაფრთხოების ვალდებულებანი.

IV თავში გამოკვლეულია კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის სამართლებრივი შედეგები სახელშეკრულებო ურთიერთობებში, გაანალიზებულია გავლენის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილება, გარიგების კონვალიდაციის პრობლემა, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების, გრძელვადიან

ურთიერთობებზე უარის თქმის, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების პრობლემა.

ნაშრომში გამოკვლეული საკითხები და მიღებული დასკვნები ეფუძნება როგორც დოქტრინის მიღწევებს, ისე უცხოურ და ქართულ სასამართლო პრაქტიკას. ქართული სასამართლოების პრაქტიკიდან გამოყენებულია სამივე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებანი.

**მეცნიერული კვლევის მეთოდები:** თემის კვლევისას გამოყენებული იქნა შემეცნების სამეცნიერო ზოგადი მეთოდები (ისტორიზმის და ლოგიკური მეთოდები), ანალიზი, სინთეზი, ანალოგია, ფუნქციონალური, სისტემური და სტრუქტურული მიდგომები, აბსტრაქტულობა და კონკრეტიზაცია, ლინგვისტური ანალიზი; აგრეთვე კვლევის სპეციალური-იურიდიული მეთოდები: ფორმალურ-იურიდიული, შედარებით-სამართლებრივი, სისტემური ანალიზის, ტექნიკურ – იურიდიული.

## თავი I. კეთილსინდისიერების პრინციპის იურიდიული ბუნება სახელშეკრულებო სამართალში

### 1.1 კეთილსინდისიერების პრინციპის ევოლუცია ევროპის ქვეყნების და საქართველოს სახელშეკრულებო სამართალში

#### 1.1.1 საფრანგეთი

მე-19 საუკუნის ევროპაში, სამოქალაქო სამართლის პირველი კოდიფიცირებული აქტი, რომელშიც აისახა კეთილსინდისიერების პრინციპი, საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსი იყო. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ მე-17 და მე-18 საუკუნის ფრანგი იურისტები ასახელებდნენ კეთილსინდისიერებას საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის სისტემის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად. კერძოდ, ფრანგი იურისტის დომას<sup>24</sup> აზრით, ყოველმა ადამიანმა უნდა იხელმძღვანელოს მოცემული დანაწესით თავისი ვალდებულებების შესრულების დროს.<sup>25</sup>

არ არსებობს ისეთი ხელშეკრულება (შეთანხმება), რომელშიც არ იგულისხმებოდეს, რომ ერთი უნდა მოქმედებდეს მეორის მიმართ კეთილსინდისიერად. ყველას ეკისრება კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება. ფრანგულ მართლწესრიგში ყველა ხელშეკრულება კეთილსინდისიერებას ეფუძნება.

დომას აზრით, ხელშეკრულების მხარეებს მოეთხოვებათ გულწრფელობა, რათა იცოდნენ, თუ რა ვალდებულებებს კისრულობენ ისინი. მხარეებს მოეთხოვებათ ასევე ერთგულება, რათა ნაკისრი ვალდებულებები შეასრულონ. ნებისმიერ ვალდებულებაში აკრძალულია უპატიოსნება, ორპირობა (ორგულობა), მოტყუება, არაკეთილსინდისიერება და ზიანის მომატანი ყველა სხვა მოქმედება.

ფრანგი იურისტი პოტიე<sup>26</sup> „ვალდებულებების შესახებ“ ტრაქტატში ხაზს უსვამდა, რომ სახელშეკრულებო კეთილსინდისიერება ხელშეკრულების დადებისას კრძალავს ნებისმიერი სახით არა მარტო მოტყუებას, არამედ ნებისმიერი სახით დამალვას ყოველივე იმისა, რაშიც დაინტერესებულია პირი, რომელთანაც იდება ხელშეკრულება (მყარდება ურთიერთობა). მაგალითად, კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო საკუთარი გამორჩენის მიზნით იმ ფაქტების მიჩქმალვა, დაფარვა, რომლებიც მნიშვნელოვანია მეორე მხარისათვის. ამრიგად, დასახელებული ფრანგი ავტორების აზრით, მეორე მხარის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებში გულწრფელობა და ერთგულება, მოტყუების, ინფორმაციის დამალვის და უპატიოსნების აკრძალვა საფუძვლად უდევს კეთილსინდისიერებას.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან XX საუკუნის შუა პერიოდამდე ფრანგულ იურისპუდენციაში თითქმის არ შეუსწავლიათ კეთილსინდისიერების პრინციპი ვალდებულებით

<sup>24</sup> დომა პირველი ფრანგი იურისტი, რომელიც თავის შრომებში ვალდებულებებს მნიშვნელოვან ადგილს უთმობს. იხ : *ჯუდელი თ.*, მორალური ვალდებულებების ადგილი სამოქალაქო სამართალში, ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005, 66

<sup>25</sup> *Remy J. Oeuvres complètes de J. Domat, Paris, 1835, 138*

<sup>26</sup> *Robert Joseph Pothier, A Treatise on Obligations, Considered in a Moral and Legal View, Volumes 1-2, The law book Exchange LTD., Union New Jersey, 1999*



სამართალში.<sup>27</sup> ასეთი „გულგრილობა“ აიხსნება იმით, რომ მე-18 საუკუნის ბოლოს მთელი ევროპის სამართლებრივი კულტურა მოიცვა რევოლუციურმა იდეებმა. ლიბერალიზმი, ინდივიდუალური თავისუფლება ეპოქის სამართლებრივი აზროვნების ძირითადი მიმართულება გახდა. ლიბერალური მიდგომისათვის ამოსავალი იყო ადამიანის შესაძლებლობა თვითონ, დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი ბედი, რამდენადაც მას ენიჭება თავისუფლება თავად ჩამოაყალიბოს თავისი არსებობის პირობები. ეს ვლინდებოდა იდეაში, რომ ხელშეკრულება არის ის, რაც მხარეებს სურთ, ხელშეკრულების შინაარსი დაფიქსირებულია მხარეთა ნებისა და განზრახვის შესაბამისად. ამის გამო, კეთილსინდისიერების პრინციპი ფრანგულ სამართალში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა იმ წესის „ჩრდილში“, რომლის თანახმადაც „კანონიერად დადებული შეთანხმებები, იკავებენ კანონის ადგილს იმათთვის, ვინც ისინი დადო“<sup>28</sup> (1134-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მხარეთა შეთანხმება „ემორჩილება, ექვემდებარება“ სწორედ ამ იდეას და დამოკიდებული არის მხარეთა განზრახვებსა და სურვილებზე და არა *bonne foi*-ზე, ამიტომ აღინიშნებოდა, რომ ადრე მოქმედ სამართალში კეთილსინდისიერებას კანონიკური სამართლის გავლენით „ზნეობრივი და რელიგიური ელფერი დაჰკრავდა“ და სახელშეკრულებო თავისუფლების ობიექტურად შემზღუდავი გახდა, ხოლო ასეთ მიდგომას მოქმედ სამართალში შეუძლია ხელშეკრულების ლიბერალური კონცეფციის დისკრედიტირება.<sup>29</sup>

გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, ფრანგული სამართალი მოსამართლეს ხელშეკრულების თავისუფალი ინტერპრეტაციის, ანუ თავისი შეხედულებით ხელშეკრულების შინაარსის დადგენის და ხელშეკრულების ნამდვილობის განსაზღვრის ძალიან მცირე ფარგლებს უტოვებდა. საფრანგეთში გაბატონებული აზრის მიხედვით, მოსამართლის მიერ ხელშეკრულების თავისუფალი ინტერპრეტაცია მხარეთა ნების გამოვლენის თავისუფლებაში მიუტევებელ (უპატიებელ) ჩარევად ითვლებოდა.<sup>30</sup> ფრანგული *Code Civil* შეიცავს მცირე რაოდენობის ნორმებს, რომლებიც ხელშეკრულების მხარეთა შორის განსაკუთრებული ლოიალურობის დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებენ. ფრანგული სამოქალაქო კოდექსის 1109-ე - 1117-ე მუხლები ითვალისწინებენ ბოროტ განზრახვას (*dol*), როგორც ხარვეზს ხელშეკრულების დადებისას. ფრანგული სამოქალაქო კოდექსის 1134-ე და 1135-ე მუხლები მკაფიოდ ასახელებენ *bonne foi*-ს, როგორც ხელშეკრულების შესრულებისა (მუხლი 1134) და ხელშეკრულების შინაარსის დადგენის (მუხლი 1135) კრიტერიუმს.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში აღინიშნებოდა, რომ კეთილსინდისიერება „ფრანგული სამართლის მკვდარი პრინციპია“,

<sup>27</sup> Tallon' D, Le concept de bonne foi en droit Français du contract. SaGGI CONFERENZE E SEMINARI, Roma, 1994, 4.

<sup>28</sup> Bénabent A, Travaux de l'Association Henri Capitant, La Bonne foi, Bd XLIII, Paris 1992, 291 ციტირებულია ნაშრომიდან Sonnenberger H.J. Treu und Glauben – ein supranationaler Grundgesetz? Festschrift für Walter Odersky zum 65. Geburtstag am 17. Juli 1996. Berlin 1996, 705

<sup>29</sup> Picod Y. Le devoir de loyauté dans l'exécution du contrat, LGDJ, Paris, 1989, 18.

<sup>30</sup> Oberacher Hans-Erwin, Wie löst das französische Recht die Fälle des §242 BGB? München, 1963, 91f.

რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს და არანაირ ზეგავლენას არ ახდენს სამართლებრივ ურთიერთობებზე.<sup>31</sup> დღესდღეობით კეთილსინდისიერების პრინციპისადმი ფრანგული სამართლის მიდგომა შეცვლილია. იგი აღარ არის „მკვდარი პრინციპი“. ამას ადასტურებს თანამედროვე მეცნიერული გამოკვლევები და სასამართლო პრაქტიკა. მაგალითად, ცნობილ მეცნიერებს სიმონ ვიტტეკერსა და რეინჰარდ ციმმერმანს თავიანთ ნაშრომში განხილული აქვთ შპს ბარჩესტერ ჩემიქალსსა (*Barchester Chemicals Ltd*) და მებაღეს შორის დადებული სასუქის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა კეთილსინდისიერების პრინციპის კუთხით.<sup>32</sup> შპს წარმოადგენდა სასუქების და აგროკულტურების მწარმოებელსა და გამყიდველს. მებაღე მყიდველია. რომელმაც შეიძინა სასუქები თავის ბაღში არსებული ნარგავების დამუშავების მიზნით. სასუქი შეიცავდა დიდი რაოდენობით მარილს, რამაც ნარგავების მთლიანად განადგურება გამოიწვია და მყიდველმა დაკარგა მთელი წლის მოსავალი. აშკარაა, რომ ამგვარი შედეგი არ დადებოდა, გამყიდველს სასუქის გამოყენების წესის და ნასყიდობის საგნის თვისებების შესახებ მყიდველისათვის ინფორმაცია რომ მიეწოდებინა. კერძოდ, სასუქის გამოყენებისას აუცილებელი იყო ნარგავების გაჯერება წყლით. გააჩნია თუ არა და რა სახის მოთხოვნა გააჩნია მყიდველს გამყიდველის მიმართ? მყიდველს გამყიდველის მიმართ მოთხოვნა წარმოეშობა ამ უკანასკნელის მიერ ინფორმირების ვალდებულების დარღვევის გამო. ამდენად, გამყიდველს აკისრია ინფორმირების ვალდებულება. მყიდველისათვის ინფორმაციას მნიშვნელობა აქვს არა იმ საკითხის გადასაწყვეტად, დადოს თუ არა ხელშეკრულება, არამედ იმისათვის, იცოდეს, თუ როგორ და რა პირობებით გამოიყენოს პროდუქტი (ნასყიდობის საგანი). შესაბამისად, ინფორმირების ვალდებულებას მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების შესრულებისათვის და არა ხელშეკრულების დადებისათვის. ფრანგულ სამართალში ინფორმირების ვალდებულება სამოსამართლო სამართლის შედეგად განვითარდა. ფრანგული სამოქალაქო კოდექსის 1134-1135-ე მუხლები მხარეს არა მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქცევას ავალდებულებს, არამედ აგრეთვე ისეთ ქცევასაც, რაც სამართლიანობიდან, ზნეობიდან და სამართლის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს ვალდებულების ბუნების გათვალისწინებით.<sup>33</sup> უფრო მეტიც, ნასყიდობის ხელშეკრულებებში სასამართლო პრაქტიკა ფართოდ განმარტავს გამყიდველის ვალდებულებებს და მას აკისრებს მყიდველისათვის საკუთრების უფლების გადაცემასთან ერთად,

<sup>31</sup> *Oberacher Hans-Erwin*, *Wie löst das französische Recht die Fälle des §242 BGB?* München, 1963, 87ff. დამატებით იხილეთ: *Sonnenberger Hans Jürgen*, *Treu und Glauben - ein supranationaler Grundsatz? Deutsch-französische Schwierigkeiten der Annäherung*, in: *Festschrift für Walter Odersky zum 65. Geburtstag*, Berlin, 1996, 703f: „nicht Redlichkeit, sondern die misbrauchslehre war richtungsweisend“ („არა კეთილსინდისიერება, არამედ უფლების ბოროტად გამოყენების მოძღვრება იყო გეზის მიმცემი- მიუთითებს ავტორი).

<sup>32</sup> მაგალითი და მისი ანალიზი მოხმობილია ნაშრომიდან *Zimmermann R. Whittaker S. (Hg)*, *Good Faith in European Contract Law*, Cambridge, 2000, 171-180.

<sup>33</sup> იქვე, 178

ნასყიდობის საგნის თვისებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1604-ე მუხლი). ამგვარი ვალდებულება, განსაკუთრებით, პროფესიონალ გამყიდველს ეკისრება, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას შესაბამის სფეროში. დასახელებულ მაგალითში გამყიდველს, როგორც მეწარმეს, მყიდველისათვის უნდა მიეწოდებინა ყველა აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც მყიდველს სჭირდებოდა პროდუქტის გამოყენებისას. გამყიდველს მყიდველის ყურადღება უნდა მიექცია პროდუქციის თვისებებსა და მავნე მხარეებზე. გამყიდველს ასევე უნდა გაეფრთხილებინა მყიდველი პროდუქტის გამოყენების საფრთხეებზე. ერთ-ერთ ანალოგიურ საქმეზე პროფესიონალმა გამყიდველმა არ შეასრულა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულება და არ მიაწოდა მყიდველს ინფორმაცია ახალი მასალის გამოყენების პირობების შესახებ პროდუქციის მყიდველისათვის შეთავაზებისას და შერჩევისას. ეს პროდუქცია, მანამდე წარმოებულ იმავე სახის პროდუქციასთან შედარებით, განსხვავებული შემცველობის იყო.<sup>34</sup> გამყიდველს ევალება ზუსტად გაერკვეს, რომელი პროდუქცია ესაჭიროება მყიდველს და უნდა გააფრთხილოს გამოყენების საფრთხეებზე. ეს არის ე.წ. კონსულტაციის გაწევის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1135-ე მუხლიდან. ინფორმირების ვალდებულება განავითარეს სასამართლოებმა და საკანონმდებლო დონეზე აისახა 1992 წლის 18 იანვრიდან.<sup>35</sup> ვინაიდან მყიდველი წარმოადგენდა მებაღეს და ის თვითონაც მოქმედებდა სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ის არ შეიძლება ჩაითვალოს მომხმარებლად. ფრანგული სამართალი ორივე მხარეს მიიჩნევს ხელშეკრულების პროფესიონალ მონაწილეებად. ამიტომ, არ შეიძლება ითქვას, რომ მარტოოდენ გამყიდველს გააჩნდა ინფორმირების კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, არამედ მყიდველსაც ჰქონდა ინფორმაციის მოთხოვნის ვალდებულება. სასამართლოს აზრით, გამყიდველს ეკისრება ინფორმირების ვალდებულება, მიუხედავად იმისა, მეორე მხარე პროფესიონალ მყიდველს წარმოადგენს თუ არა. კერძოდ, გამყიდველს ეკისრებოდა „პროფესიონალი“ მყიდველისათვის ნასყიდობის საგნისათვის დამახასიათებელი ტექნიკური აკრძალვების და ნასყიდობის ობიექტის გამოყენების თავისებურებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კი ემყარებოდა შემდეგ არგუმენტებს: სასამართლოს აზრით, მართალია შემძენმა არ იცოდა პრეპარატის გამოყენების წესი, მაგრამ რადგან მყიდველი მეწარმეს წარმოადგენდა, გამყიდველი ვარაუდობდა, რომ მყიდველმა იცოდა ნასყიდობის საგნის გამოყენების თავისებურებანი. ასეთ პირობებში გამყიდველმა მიიჩნია, რომ მას არ ჰქონდა მყიდველის ინფორმირების ვალდებულება. საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1604-ე მუხლის

<sup>34</sup> იქვე, 178

<sup>35</sup> იქვე, 178

განმარტებასთან დაკავშირებით, რომელიც გამყიდველს აკისრებს მყიდველისათვის ინფორმაციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებას. ინფორმირების ვალდებულება წარმოიშობა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას. მაშასადამე, ხელშეკრულების დადებამდე, ნასყიდობის საგნის შესახებ ინფორმაცია სრულად უნდა ყოფილიყო მიწოდებული. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პროფესიონალი მყიდველისა და პროფესიონალი გამყიდველის შემთხვევაში გამყიდველს არ ევალება პროდუქტის გამოყენების წესის თაობაზე მყიდველისათვის ინსტრუქციის გადაცემა, რადგან მყიდველმა, რომელიც პროფესიონალია მოცემულ სფეროში, უნდა იცოდეს პროდუქტის გამოყენების წესი ან თავად უნდა გაეცნოს ამ წესს.<sup>36</sup> ეს მიდგომა მოგვიანებით სხვა მიდგომით შეიცვალა. კერძოდ, პროდუქტის გამყიდველს ეკისრება მომხმარებლისათვის პროდუქტის გამოყენებასთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. მხარეთა სტატუსი იმ გაგებით, რომ განსხვავებული სფეროს პროფესიონალები არიან, არის ის არგუმენტი, რასაც შეიძლება ზემოაღნიშნულ საქმეში მეზალე (მყიდველი) დაეყრდნოს. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა: მეწარმე, რომელიც ახორციელებს პროდუქტის გაყიდვას მოგების მიზნით არაერთჯერადად, ვალდებული იყო მყიდველისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია პროდუქტის ტენიანობის თაობაზე, რათა მყიდველი სრულად ყოფილიყო ინფორმირებული. დასახელებულ საქმეებში, საქმის გარემოებები მეზალის საქმის გარემოებათა მსგავსია. მეზალეს მოთხოვნა უნდა დაეყენებინა ინფორმირების ვალდებულების დარღვევის გამო და მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკის მიდგომის თანახმად, ინფორმირების ვალდებულება მოიცავს გონივრული ზრუნვის ვალდებულებას.

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები სასამართლოებმა უნდა განმარტონ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1134-ე 1135-ე და 1604-ე მუხლების საფუძველზე. ამ ნორმებიდან გამომდინარეობს ინფორმირების ვალდებულება. ინფორმირების ვალდებულება ეფუძნება ხელშეკრულების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულებას და ავალდებულებს მხარეს კონტრაქტთან თანამშრომლობას და დახმარებას. თუ რომელ მხარეს და რა დოზით ეკისრება ინფორმირების ვალდებულება, ეს დამოკიდებულია მხარეთა სტატუსზე. კერძოდ, სასამართლო პრაქტიკაც და კანონმდებლობაც ერთმანეთისაგან განასხვავებს პროფესიონალ და არაპროფესიონალ მხარეს. განსხვავება არსებობს თვით პროფესიონალ მხარეთა შორისაც. მნიშვნელობა ენიჭება იმას, ერთ სფეროში მომუშავე პროფესიონალები არიან, თუ სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ. უფრო მეტიც, თუ გამყიდველი პროფესიონალია და მყიდველიც პროფესიონალია, ოღონდ ისინი პროფესიონალები არიან სხვადასხვა სფეროში, გამყიდველს მაინც ეკისრება მყიდველის ინფორმირების

<sup>36</sup> Zimmermann R. Whittaker S.(Hg), Good Faith in European Contract Law, Cambridge, 2000, 179

ვალდებულება ნასყიდობის საგნის ყველა თვისებისა და თავისებურებების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა აანაზღაუროს ინფორმირების ვალდებულების დარღვევისათვის კონტრაქტისათვის მიყენებული ზიანი.<sup>37</sup>

## 1.1.2 გერმანია

მე-19 საუკუნეში, ჯერ კიდევ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე, გერმანულ დოქტრინაში ყურადღება მიექცა კატეგორიას „*Treu und Glauben*“, როგორც ვალდებულებითი სამართლის ცენტრალურ კატეგორიას.<sup>38</sup> ამასთან, გსკ-ს 242-ე მუხლის მიხედვით ნორმა-პრინციპად, ისევე როგორც თავად კეთილსინდისიერების პრინციპის წარმოშობა და მნიშვნელობა, იმთავითვე დავას იწვევდა გერმანულ იურისტებს შორის. ორ ტრადიციულ ბანაკში – გერმანისტებსა და რომანისტებში კეთილსინდისიერების პრინციპის პრობლემისადმი სხვადასხვა მიდგომა არსებობდა. თუ გერმანისტები კეთილსინდისიერების პრინციპს გერმანული წარმოშობის კატეგორიად მიიჩნევდნენ, რასაც ასაბუთებდნენ კეთილსინდისიერების ტერმინის (*Treu und Glauben*)<sup>39</sup> ლინგვისტური და ეტიმოლოგიური ანალიზის გზით, რომანისტები მიუთითებდნენ კეთილსინდისიერების პრინციპის წარმოშობაზე რომაული *bona fides* კატეგორიიდან და ამტკიცებდნენ, კეთილსინდისიერების კატეგორია გერმანულში შემოვიდა რომის სამართლიდან რეცეფციის გზით.<sup>40</sup> როდესაც 242-ე მუხლის ევოლუციაზე ვმსჯელობთ, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ მისი გამოყენება გაადვილებული იყო ნორმის აბსტრაქტულობის და განუსაზღვრელობის გამო. ამ ნორმის მეშვეობით კანონმდებელმა თავიდანვე სივრცე დატოვა კეთილსინდისიერების პრინციპის განმარტებისას სამოსამართლო მიხედულების ფართოდ გამოსაყენებლად. ვებური კი, კეთილსინდისიერების პრინციპის კვლევისას მიიჩნევდა, რომ 242-ე მუხლის საფუძველზე საზოგადოებრივი ურთიერთობების კვალიფიკაცია, იმთავითვე რთული იყო. იგი ეთიკურ-სამართლებრივ პრინციპია, რომელიც, როგორც ზოგადი ნორმა (*Generalklausel*), წარმატებით დამკვიდრდა ყველა მართლწესრიგში და კარი გაუხსნა სოციალურ-ეთიკურ და მორალურ ნორმებს, რომლებიც ამ მომენტიდან აღარ გამოიყენებიან ფრაგმენტულად.<sup>41</sup> მნიშვნელოვანწილად ამას ხელი შეუწყო მე-20 საუკუნის დასაწყისში პოპულარულად ქცეულმა თავისუფალი სამართლის სკოლის (*გ. ერლიხი*) იდეებმა, რომლის წარმომადგენლებიც შესაძლებლად არ მიიჩნევდნენ მარტოდენ კანონის ლოგიკურად შემოწმებულ ნორმებზე დაფუძნებული სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებსაც, მათი აზრით,

<sup>37</sup> Zimmermann R. Whittaker S.(Hg), Good Faith in European Contract Law, Cambridge, 2000,178-180

<sup>38</sup> Beck A, Zu den Grundprinzipien der Bona Fides im Römischen Vertragsrecht. In: Festgabe zum 70. Geburtstag von August Simonius, Basel. 1955,25-26

<sup>39</sup> *Treu und Glauben* (გერმ. „ერთგულება და ნდობა“) გულისხმობს ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში მოვალის ერთგულებას მის მიერ კრედიტორისათვის მიცემული სიტყვისადმი და კრედიტორის ნდობას მოვალის მიმართ.

<sup>40</sup> Behrends O. Treu und Glauben, Christentum und Säkularisation, Baden-baden, 1981, 957 ff

<sup>41</sup> Weber R. Entwicklung und Ausdehnung des §242 BGB zum königlichen Paragraphen, Jus, 1992, 634

არ შეეძლოთ სამართლიანობის განხორციელება გარანტირებული გაეხადათ.<sup>42</sup>

ფრანგული სამართლისაგან განსხვავებით, გერმანულ სამართალში, მიუხედავად იმისა, რომ გსკ-ს 242-ე მუხლის შემოღებისას კანონმდებლის მოტივები საკმაოდ „მოკრძალებული“<sup>43</sup> იყო, კეთილსინდისიერების პრინციპმა სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობებისა და მთლიანად სამოქალაქო სამართლის განვითარებისათვის წამყვანი მნიშვნელობა შეიძინა.

დოქტრინაში აღინიშნება, რომ *Treu und Glauben* წარმოადგენს ფუნდამენტურ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობით გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მოერგო მე-20 საუკუნის გერმანიის ისტორიაში მომხდარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ცვლილებებს.<sup>44</sup> გერმანიაში მომხდარი ეკონომიკური ძვრები მოითხოვდა სამართალში არსებული ხარვეზების თავიდან აცილებას (აღმოფხვრას), საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის აღდგენას. ამიტომ, ფრანგულსაგან განსხვავებით, გერმანული კერძო სამართლის განვითარების ნიშანია ის, რომ მასში წამყვანი ადგილი სასამართლო პრაქტიკამ დაიკავა. მაგალითად, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში სასამართლოები აღარ იყენებდნენ ნომინალიზმის პრინციპს, ვინაიდან კანონმდებელი სათანადო ნორმატიული ბაზით ვერ უზრუნველყოფდა ომით გამოწვეულ ინფლაციურ პროცესებს და კრიზისს. ამიტომ, რაინის სასამართლო აღარ იყენებდა პრინციპს „მარკა უდრის მარკას“, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგებოდა კეთილსინდისიერებას. ამგვარ მიდგომას საფუძვლად ედო თვალსაზრისი, რომ ყოველი ვალდებულებითი ურთიერთობა, განსაკუთრებულ გარემოებათა გათვალისწინებით, იმ მიმართულებით უნდა გადამოწმდეს, ადგილი აქვს თუ არა, და თუ კი აქვს, რა მოცულობით, კრედიტორის მოთხოვნის რევალვაციას.<sup>45</sup> ზომის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ გსკ-ს 242-ე მუხლი სხვა სახელშეკრულებო ნორმებთან მიმართებაში „მესიის მახვილად“ გადაიქცეოდა, გამართლდა.<sup>46</sup>

გერმანიაში პირველ ყოვლისა, კეთილსინდისიერებას მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობებისათვის, მაგრამ გაბატონებული აზრის შესაბამისად, მოსამართლეთა მიერ კეთილსინდისიერების მნიშვნელობა აღიარებული იყო ვალდებულებით სამართალშიც.<sup>47</sup>

<sup>42</sup> *Engisch K.* Die Idee der konkretisierung im Recht und Rechtswissenschaft unserer Zeit. 2. Aufl, 1968, 190.

<sup>43</sup> *Rüthers B.* Die unbegrenzte Auslegung: Zum Wandel der Privatrechtsordnung im Nationalsozialismus, Tübingen, 2005, 51.

<sup>44</sup> *Wieacker F.* A History of Private Law in Europe: with particular reference to Germany. Oxford, 1996. ციტირებულია ნაშრომიდან *Teubner G.*, Legal Irritants: good faith in British Law or how unifying law ends up in new differences, *The Modern Law Review*, 1998, Vol. 61, 20.

<sup>45</sup> *Eckl Ch.*, *Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht*, Mohr Siebeck Tübingen, 2007, 26

<sup>46</sup> *Sohm*, *Der Entwurf eines bürgerlichen Gesetzbuchs für das deutsche Reich in zweiter Lesung*, მოთითებულია *Eckl Ch.*, *Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht*, Mohr Siebeck Tübingen, 2007, 26

<sup>47</sup> *DuVe T.*, *Haferkamp H-P*, *Kommentar zu §242 In: Zimmermann R., Rückert J. Schmoeckel M.*, *Historisch-kritischer Kommentar zum BGB. Bd2: Schuldrecht allgemeiner Teil.* Tübingen, 2007, Rn.55

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ტექსტში პრინციპი „*Treu und Glauben*“ არ იყო უდავო კატეგორია. მიმდინარეობდა მსჯელობა მოცემული პრინციპის ამსახველი ნორმის შინაარსის თაობაზე.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველ პროექტში კატეგორია „*Treu und Glauben*“ ასახული იქნა, მაგრამ მხოლოდ ისეთ პრინციპად, რომლის მეშვეობითაც უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრა.

თავდაპირველი პროექტი კიდევ ერთხელ გადაიხედა და საფუძვლიანად იქნა განხილული მოცემული საკითხი. კეთილსინდისიერების პრინციპი გათვალისწინებული იქნა 224-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, მოვალე ვალდებულია ხელი შეუწყოს შესრულებას იმგვარად, როგორც ეს გამომდინარეობს კეთილსინდისიერებიდან და სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებებიდან.<sup>48</sup> 224-ე მუხლში უმნიშვნელო ცვლილებების შეტანის შემდეგ, უკვე 242-ე მუხლში აისახა პრინციპი „*Treu und Glauben*“. გარდა ამისა, 157-ე მუხლში აისახა წესი, რომ „ხელშეკრულებები უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერად, სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებების გათვალისწინებით“.

გერმანული ვალდებულებითი სამართლისა და სამოქალაქო სამართლის მთელ სისტემას „ოქროს ძაფად“ გასდევს პრინციპი „*Treu und Glauben*“, რომლის მნიშვნელობაც აღიარებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების ნორმების გამოყენებისა და განმარტების დროს.

მე-20 საუკუნის განმავლობაში გერმანული სამართლებრივი კულტურა სამართლის „სიმბიოზის“ პირობებში ვითარდებოდა, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა არა მხოლოდ სასამართლო პრაქტიკას, არამედ დოქტრინასაც.<sup>49</sup> ამ უნიკალური პროცესის შედეგი იყო ის, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი ფართოდ და სხვადასხვაგვარად განიმარტებოდა. როგორც განმარტავდნენ, კეთილსინდისიერების პრინციპი შემოღებულ იქნა სამართალში ფორმალიზმის შესარბილებლად, ხოლო „ფაქტობრივად კონცეპტუალური სისტემატიზაციისა და აბსტრაქტული დოგმატიზაციის პროცესის მამოძრავებელი ძალა გახდა“.<sup>50</sup>

მსგავსი ფაქტორები ახალი დოქტრინების განვითარებისა და ძველი სამართლის მოდიფიკაციის ამოსავალი წერტილი გახდა. ეს იყო აგრეთვე უამრავი სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მიზეზიც.

მაგალითად, თუ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ 242-ე მუხლს არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა

<sup>48</sup> Al-Shamari N, Die Verkehrssitte im §242 BGB: Konzeption und Anwendung seit 1900. Tübingen 2006 ,24-26

<sup>49</sup> Teubner G., დასახ. ნაშრომი, 20

<sup>50</sup> Beaton J. and Friedmann D. (eds). Good Faith and Fault in Contract Law, Oxford 1995. ციტირებულია: G. Teubner. დასახ. ნაშრომი, 20

გერმანული სამართლის განვითარებისათვის<sup>51</sup>, ამგვარი ვითარება მთლიანად იცვლება. ჯერ კიდევ 1903 წელს სენატმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი გარიგებათა შინაარსის განსაზღვრისა და გარიგებათა შესრულებისათვის ითვალისწინებს პრინციპს „*Treu und Glauben*” და კეთილსინდისიერება უნდა ბატონობდეს მთელს სამოქალაქო ბრუნვაში, ყველა უნდა დაეყრდნოს კონტრაქტის პატიოსნებასა და წესიერებას”.<sup>52</sup> ჰედემანი თავის ნაშრომში „სამოქალაქო სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება” 242-ე მუხლის დახასიათებისას მას უწოდებს „სამეფო” ნორმას<sup>53</sup> (*Königlicher Paragraph*).

დოქტრინაში სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ კეთილსინდისიერება განისაზღვრება კეთილსინდისიერების კატეგორიისადმი, რომის სამართლისათვის დამახასიათებელი მიდგომის გათვალისწინებით. მაგალითად, მიეთითება, რომ კეთილსინდისიერება დაპირების (მიცემული პირობის) ერთგულებაა. კეთილსინდისიერი არის ის, ვინც პატიოსნად და გულწრფელად იქცევა. გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერების აღსანიშნავად გამოიყენება გამოთქმა *Treu und Glauben*, რაც ნიშნავს ერთგულებასა და ნდობას. „*Treu*” ნიშნავს ერთგულებას, ღოიადურობას, უტყუარობას, საიმედოობას (სანდოობას), ხოლო „*Glaube*” ნიშნავს ნდობის ანუ მტკიცე რწმენის (გულდაჯერებულობის) ქონას. *Treu und Glauben* გულისხმობს პატიოსანი, ერთგული და კარგად მოფიქრებული (აწონილ-დაწონილი) ქცევის სტანდარტს, მეორე მხარის ინტერესების დაცვას, გულისხმობს და მოიცავს გონივრული ნდობის დაცვას.<sup>54</sup>

გამოთქმა *Treu und Glauben*, პირველ ყოვლისა, გულისხმობს პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნას, ე.ი. ადამიანი უნდა მოიქცეს სოციალური და ზნეობრივი მოთხოვნების შესაბამისად. მისი ქცევა ასევე უნდა შეესაბამებოდეს პარტნიორების მოლოდინს; მეორე, ზემოთაღნიშნული გამოთქმა შეიცავს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების გათვალისწინების მოთხოვნას.<sup>55</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის იურიდიულ ლიტერატურაში კეთილსინდისიერების კატეგორიის კვლევის დროს სხვადასხვაგვარი ტერმინოლოგია გამოიყენება. კერძოდ, კეთილსინდისიერებას მიიხნევენ ნორმად, პრინციპად, წესად, ვალდებულებად, ზოგად დათქმად. ევროპის ცალკეული ქვეყნის სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტეს შემთხვევაში მიიხნევა ზოგად დათქმად ან სამართლის ზოგად პრინციპად.

<sup>51</sup> Hedemann J.W. Die Flucht in die Generalklauseln. Eine Gefahr für Recht und Staat. Tübingen. 1933, 5-10

<sup>52</sup> Haferkamp H-P, Die exceptio doli generalis in der Rechtsprechung des Reichsgerichts vor 1914. In: Falk U., Mohnhaupt H., Das bürgerliche Gesetzbuch und seine Richter: Zur Reaktion der Rechtsprechung auf die Kodifikation des Deutschen Privatrechts (1896-1914). Frankfurt am Main. 2000. 30

<sup>53</sup> Wegerich C., Die Flucht in die Grenzenlosigkeit: Justus Wilhelm Hedemann (1878-1963), Tübingen. 2004, 40

<sup>54</sup> Wittaker S, Zimmermann R. Good Faith in European Contract Law: The Common Core of European Private Law. Cambridge, New York., 2000, 31

<sup>55</sup> Sonnenberger H.J. Treu und Glauben – ein supranationaler Grundsatz? in: Festschrift für Walter Odersky zum 65. Geburtstag am 17. Juli 1996. Berlin; New York 1996, 708



სინტაგმა<sup>56</sup> „ზოგადი დათქმა“ კეთილსინდისიერების პრინციპის მიმართ უპირატესად გერმანიის სამართლის დოქტრინაში გამოიყენება. ზოგადი დათქმების გამოყენება აიხსნება იმით, რომ სულ უფრო ძნელი ხდება ეკონომიკის სფეროების მოწესრიგება საკანონმდებლო ნორმათა საფუძველზე, რადგან ეკონომიკის სფეროები სწრაფად იცვლება და ვითარდება. ამიტომ, ხშირად, აუცილებელი ხდება ე.წ. ზოგადი დათქმების გამოყენება, რომელთა მნიშვნელობაც სამართალში იზრდება.<sup>57</sup> ზოგადი ანუ განუსაზღვრელი ნორმების და ცნებების, ზოგადი პრინციპების აუცილებლობას განაპირობებს ის, რომ ობიექტურად შეუძლებელია კანონმდებელმა მოაწესრიგოს ყველა ურთიერთობა. ამიტომ უნდა დარჩეს სივრცე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამოსამართლო სამართლის განვითარებისათვის.

ზოგადი დათქმა „ეს ის ნაწილია, რომელიც კანონმდებელმა ღიად დატოვა“.<sup>58</sup>

ამრიგად, კეთილსინდისიერების პრინციპი დაუშვებელია მივიჩნიოთ მარტოოდენ შეფასებით კატეგორიად, რომელიც თითოეულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამოიყენება კონკრეტული შემთხვევის მიხედვით ამა თუ იმ არაკეთილსინდისიერი სამართლებრივი მოქმედების აღსაკვეთად. კეთილსინდისიერება გერმანიის სამართალში არ წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას, არამედ წარმოადგენს სამართლის ზოგად ნორმას. არსებობს შემთხვევათა ზუსტი, მკაფიო ლოგიკური სისტემა, როცა კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება. შემთხვევათა ამგავრი სისტემა შემუშავდა ათწლეულების განმავლობაში კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების შედეგად სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის ფარგლებში. კეთილსინდისიერებაში მოიაზრება ერთიანი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც მოიცავს კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების საფუძვლებს, აგრეთვე სამართლებრივ შედეგებს. აღნიშნული შედეგები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს კონკრეტული შემთხვევების და სამართლის დარგების მიხედვით, რომლებშიც მოცემული მექანიზმი გამოიყენება. ამრიგად, გსკ-ს 242-ე მუხლში ასახული ნორმის, ისევე როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის არსის არასწორი გაგება იქნება ნებისმიერი მცდელობა მათი გამოყენების საფუძვლები მოიძებნოს ტერმინის ან ნორმის სიტყვასიტყვით განმარტებაში, რომლებიც გერმანიის თანამედროვე მართლწესრიგში სრულიად გამოირიცხება.<sup>59</sup> ამასთან, კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ორ ან მეტ სუბიექტს შორის ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა. სავალდებულოა

<sup>56</sup> სინტაგმა (ბერძნ. *Syntagma*), შესიტყვება, ორი ან მეტი ენობრივი ერთეულის შესამება მტყვევლების ნაკადში. დაწვრილებით იხილეთ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.9, თბ. 1985, 374

<sup>57</sup> *Bahr G.W.* Das Generalklausel und Aufsichtssystem des VAG im Strukturwandel: Eine öffentlich-rechtliche Studie zur Standortbestimmung der deutschen Versicherungsaufsicht im europäischen Binnenmarkt, Karlsruhe, 2000, 212.

<sup>58</sup> *Wegerich C.* Die Flucht in die Grenzenlosigkeit: Justus Wilhelm Hedemann (1878-1963), Tübingen, 2004, 47

<sup>59</sup> *Weber R.*, დასახ. ნაშრომი. 633

სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა სამართლის სუბიექტებს შორის, რომელთა მიმართაც დაიშვება გსკ-ს 242 მუხლის გამოყენება. სამართლებრივი ურთიერთობები შესაძლოა ან უკვე არსებობდეს, ან წარმოიშვას უშუალოდ გსკ-ს 242 მუხლით გათვალისწინებული ნორმის გამოყენების შედეგად.

ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა შეიძლება მივიჩნიოთ გსკ-ს 242-ე მუხლის გამოყენების ერთადერთ ფაქტობრივ პირობად. მოცემული გარემოება განაპირობებს იმას, რომ 242-ე მუხლის განმარტებისას, მასში ასახული კეთილსინდისიერად მოქცევის ვალდებულება მიჩნეულ იქნეს ზოგადსამართლებრივ პრინციპად, რომლის მოქმედებაც ვრცელდება მთელს მართლწესრიგზე და წარმოადგენს თანამედროვე გერმანულ სამართალში მორალურ-ეთიკური ნორმების ძირითად მეგზურს.<sup>60</sup>

სამოქალაქო კანონმდებლობაში გათვალისწინებული კეთილსინდისიერება, რომელიც ზოგიერთი გერმანელი იურისტის აზრით წარმოადგენს „ყველა მართლწესრიგისათვის დამახასიათებელ უძველეს სიკეთეს“,<sup>61</sup> თანამედროვე გერმანულ სამართალში, პირველ ყოვლისა, მიიჩნევა ეთიკურ-სამართლებრივ პრინციპად, რომლის მოქმედებაც მთელს გერმანულ სამართალზე ვრცელდება და რომელიც ადგენს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს უფლება (ადგენს უფლების განხორციელების ზოგად ფარგლებს) და კრძალავს უფლების ბოროტად გამოყენებას.<sup>62</sup>

გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსზე საუბრისას ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა ნდობის ასპექტი. ნდობა ეფუძნება იმ მოლოდინს, რომ ხელშეკრულების მხარეები კეთილსინდისიერად იმოქმედებენ. მაგრამ დროთა განმავლობაში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ზემოაღნიშნულის გარდა, კეთილსინდისიერების პრინციპი ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო, მოსამართლის მეშვეობით მხარეთა ურთიერთობის კორექტირების და ამით სამართლიანობის აღდგენის საშუალებად.<sup>63</sup> იმ კონცეფციასთან ერთად, რომლის მიხედვითაც, კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთა ქცევის მასშტაბი იყო, მნიშვნელობა შეიძინა ასევე თვალსაზრისმა, რომლის მიხედვითაც კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთა შორის არსებული კონკრეტული ურთიერთობის მოსამართლის მეშვეობით რეგულირების მასშტაბად იქცა. ამასთან, წინა პლანზე გამოდის თვალსაზრისი, რომ კეთილსინდისიერება თავის თავში სოციალურ-ეთიკურ და შესაბამისად, სამართლებრივ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობებს შეიცავს.<sup>64</sup> კეთილსინდისიერების

<sup>60</sup> ix. *Staudinger J. Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen*, 2. Buch, Berlin, 1995, §242, BGB, 234, Rdnr. 1

<sup>61</sup> *Schwarz A.B. Das schweizerische zivilgesetzbuch in der ausländischen Rechtsentwicklung*, 1950, 32 f.

<sup>62</sup> ix: *Larenz K. lehrbuch des schuldrechts*, Bd. I, Allgemeiner teil. 14 Aufl. München, 1987, 126,

<sup>63</sup> *Duве T., Haferkamp Hans-Peter*, Kommentar zum §242, in: *Zimmerman R., Rückert J., Schmoeckel M., (Hg.)*, Historisch-Kritischer Kommentar zum BGB, Band 2: Schuldrecht, allgemeiner Teil, Tübingen, 2007, Rn.88.

<sup>64</sup> *იქვე* Rn.88.

პრინციპი სასამართლოს ხელში ყოველთვის მაშინ იქნება მნიშვნელობას, როცა წარმოიშობოდა სამართლის განვითარების მოთხოვნილება, კერძოდ მაშინ, როცა სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას, ვალდებულებითი ურთიერთობის განმსაზღვრელი ნორმები (დებულებები) ხარვეზიანი აღმოჩნდებოდა ან კორექტირებას საჭიროებდნენ, იმის მიუხედავად, თუ საიდან გამომდინარეობდნენ ეს ნორმები, კანონიდან თუ ხელშეკრულებიდან.<sup>65</sup>

ამით იკვეთება კეთილსინდისიერების პრინციპის ერთ-ერთი ასპექტი, რომელსაც მისი „გამჭოლი ფუნქცია“ ეწოდება.<sup>66</sup> კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული სამართალი იმას ემსახურება, რომ პაციოსანი აზროვნებისა და მოქმედების მასშტაბის საფუძველზე სათანადოდ გადაწყდეს საქმე.<sup>67</sup> დღესდღეობით აღიარებულია, რომ მოსამართლე ავტომატურად როდი იყენებს სუბსუმციის<sup>68</sup> მეთოდს და არც სამართლის ნორმათა განმარტება და გამოყენებაა ფორმალურ-ლოგიკური პროცესი, არამედ იურიდიული ფაქტების შეფასებაზე დამყარებული პროცესია.<sup>69</sup> მოსამართლეს კანონით ეკისრება ადამიანის უფლებათა (კონსტიტუციური უფლებების) გათვალისწინება. შესაბამისად, გარკვეულ ფარგლებში სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით სამართლის განვითარება, არ ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს<sup>70</sup>. მაშასადამე, „გამჭოლი ფუნქცია“ ნიშნავს, რომ სამართალი დინამიურად ვითარდება, პირველ ყოვლისა მეცნიერებისა და მართლმსაჯულების (სასამართლო პრაქტიკის) მეშვეობით კეთილსინდისიერების მოქნილი პრინციპის საფუძველზე, ხოლო შემდეგ კანონმდებელი ცხოვრებისეულ ურთიერთობებს კანონს უსადაგებს.<sup>71</sup>

კოტცის მოსაზრებით, პრინციპში, 242-ე მუხლის ამოღება გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან შესაძლებელია და ეს არ შეცვლიდა 242-ე მუხლზე აგებული სამართლებრივი ინსტიტუტების ბუნებას, რადგანაც კოდექსიდან ამოღების მიუხედავად, ფუნქციურად კეთილსინდისიერების პრინციპის ექვივალენტურმა, მოქნილმა და თანამედროვეობის შესაბამისმა ინსტიტუტებმა უნდა შესძლონ სამართლებრივ სისტემაში მოქმედება.<sup>72</sup>

<sup>65</sup> *Eckl Ch.*, *Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht*, Mohr Siebeck Tübingen, 2007,40.

<sup>66</sup> იქვე, 41.

<sup>67</sup> იქვე, 41.

<sup>68</sup> სუბსუმციის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: *ბოელინგი პ., ჰანტურია ლ.*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, გამომცემლობა „ჯისიანი“, თბილისი, 2004, 37-79.

<sup>69</sup> *Esser J.*, *Vorverständnis und Methodenwahl in der Rechtsfindung: Rationalitätsgarantien der richterlichen Entscheidungspraxis*, Frankfurt am Main, 1970, იხილეთ აგრეთვე: *Larenz K.*, *Methodenlehre der Rechtswissenschaft*, 5. Auflage, Berlin u.a. 1983, 205 ff, 276 ff.

<sup>70</sup> *Ossenbühl F.*, *Gesetz und Recht – Die Rechtsquellen im demokratischen Rechtsstaat*, in: *Josef I., Kirchhof P.*, (Hg.) *Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland*, Band III, Tübingen, 1988, Rn, 35 ff.

<sup>71</sup> *Eckl Ch.*, *Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht*, Mohr Siebeck, Tübingen, 2007,41

<sup>72</sup> *Kötz Hein*, *Towards a European Civil Code: The Duty of Good Faith*, in: *Cane P., Stapleton J.*, *The Law of Obligations: Essays in Celebration of John Fleming*, Clarendon Press, Oxford, 1998, 243, 250 ff.

როგორც ითქვა, გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერებას ზოგად დათქმას უწოდებენ, თუმცა სხვა ქვეყნების თეორიასა და პრაქტიკაში ტერმინი „ზოგადი დათქმა“ არ გამოიყენება, არამედ ხაზი ესმება იმას, რომ საუბარია სამართლის ზოგად პრინციპზე. მაგალითად, ფრანგულ სამართალში კეთილსინდისიერება სამართლის ზოგად პრინციპად მიიჩნევა. მეცნიერების გარდა, საფრანგეთის საკანონმდებლო სასამართლოც კეთილსინდისიერებას სამართლის ზოგად პრინციპად მიიჩნევს.<sup>73</sup>

ზოგადი დათქმა ისეთი ცნებისა და კატეგორიის მსგავსია, როგორც არის ზოგადი პრინციპი.

ზოგადი პრინციპისა და ზოგადი დათქმის კატეგორიების მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მათგანი ზოგადი ხასიათისაა, მათ აღიარებს (იცნობს) იურისპრუდენცია და ფართო გამოყენება აქვთ, მაგრამ მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ზოგადი დათქმა ყოველთვის კანონის დებულებაა (საკანონმდებლო დებულებაა), ხოლო ზოგადი პრინციპი შეიძლება არც კი იყოს ასახული კანონში.<sup>74</sup>

როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე სამართლებრივ სისტემას მიკუთვნებულ ქვეყნებშიც კი, დოქტრინის დონეზე მკაფიოდ არ არის განსაზღვრული კეთილსინდისიერების თეორიული სტატუსისა და რომელიმე სამართლებრივი კატეგორიისადმი მისი მიკუთვნების საკითხი.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერებას, როგორც პრინციპს, მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მთელი სისტემისათვის. შესაბამისად, კეთილსინდისიერებას, როგორც პრინციპს, კომპლექსური მნიშვნელობა აქვს, რომელიც აწესრიგებს სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა ქცევას, განსაზღვრავს კერძო სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების შინაარსს, ნორმებისა და ინსტიტუტების განმარტებისა და გამოყენების ხასიათს.

არ არსებობს ერთიანი მოსაზრება ზოგადი დათქმის ცნების, სტრუქტურისა და სამართლის სხვა ნორმებთან კავშირის თაობაზე.<sup>75</sup> დოქტრინაში აღნიშნულია, რომ მოცემული სამართლებრივი კატეგორია გამოირჩევა „მეტისმეტი განუსაზღვრელობით“, ანუ წარმოადგენს „სამართლის განუსაზღვრელ ნორმას“.<sup>76</sup> ზოგადი დათქმისათვის, დამახასიათებელია ის, რომ პირველ ყოვლისა, იგი საკანონმდებლო დებულებაა, ანუ სამართლის ნორმა<sup>77</sup>, მეორე, ეს არის ნორმა, რომელიც

<sup>73</sup> *Spinosi J.C*, *Theorie et Pratique de la Clause Générale en Droit Français Et Dans Les Autres Systèmes Juridiques Romanistes*. In *Grundmann S, Mazeaud D*, *General clauses and standards in European contract law: comparative law, EC law and contract law codification*. Kluwer Law International. 2005, 30.

<sup>74</sup> იქვე. 24

<sup>75</sup> *Velluzzi V*, *Osservazioni sulla semantica delle clausole generali*. *Etica & Politica*. VII: 1. 2006, .5-6.

<sup>76</sup> *Röthel A*. *Normkonkretisierung im Privatrecht*, Tübingen, 2004, 33.

<sup>77</sup> *Esser J*, *Die Grundbegriffe des Rechtes und des Staates*, Wien 1949, 320 ციტირებულია ნაშრომიდან *Rüthers B*, *Die Unbegrenzte Auslegung: zum Wandel der Privatrechtsordnung im Nationalsozialismus*, Tübingen, 2005, 213.

სხვა ნორმებთან შედარებით შეიცავს ძალზედ ზოგად და/ან ძალზედ განუსაზღვრელ (აბსტრაქტულ) ცნებებს.<sup>78</sup>

გერმანულ დოქტრინაში აღნიშნული იყო, რომ „*bona fides*“ ანუ პირთა მიმართ ქცევის წესის დამდგენი ნორმის მოქმედება ვრცელდება ... ვალდებულებით ურთიერთობებზე და კერძოდ, ხელშეკრულებებსა და კვაზი ხელშეკრულებებზე“.<sup>79</sup> დღესდღეობით კი, გერმანულ დოქტრინაში გავრცელებული აზრის თანახმად „კეთილსინდისიერების პრინციპი არის სამართლებრივი შინაარსის მქონე პრინციპი, რომლის მოქმედებაც არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელშეკრულებო სამართლით, არამედ იგი მოიცავს (შეეხება) სამართლის მრავალ სხვა სფეროსა და სამართლებრივ საკითხს.“<sup>80</sup>

### 1.1.3 ინგლისი

ინგლისურ სამართალში უარყოფითი დამოკიდებულება არის გამოხატული კეთილსინდისიერების პრინციპისადმი. ლიტერატურაში აღნიშნულია ის მიზეზები, თუ რატომ არის უარყოფითი დამოკიდებულება ინგლისურ სამართალში კეთილსინდისიერების ზოგადი პრინციპისადმი. კერძოდ, პირველ ყოვლისა, არსებობს შეხედულება, რომ თუ ზოგადი პრინციპები აუცილებელია, მაშინ მათი ჩამოყალიბება პარლამენტის ამოცანაა და არა სასამართლოების. მეორე, კეთილსინდისიერების პრინციპის განხორციელება ხელშეკრულების თავისუფლების დარღვევაა, მხარეები კი შებოჭილი უნდა იყვნენ მხოლოდ იმ პირობებით, რომელთა საფუძველზეც მიადწიეს შეთანხმებას. მესამე, კეთილსინდისიერების პრინციპი ადგენს არაიურიდიულ კრიტერიუმებს (მორალურ პრინციპებს, საქმიანი ეთიკის წესებს) და ბოლოს, წარმოშობს სამართლებრივ განუსაზღვრელობას<sup>81</sup>. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში იქნა გამოყენებული კეთილსინდისიერების პრინციპი ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში. მაგალითად, საქმეში *Carter v Boehm* (1766), რომელიც მიიხნევა წამყვან საქმედ სადაზღვევო სამართლის სფეროში, ლორდმა მენსფილდმა მიუთითა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი გამოყენებული უნდა იქნეს ყველა ხელშეკრულებისა და გარიგების მიმართ<sup>82</sup>. თუმცა მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისში ეს მიდგომა არ იქნა მხარდაჭერილი. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც კეთილსინდისიერების პრინციპის მიმართ მოთხოვნილება არ ყოფილა ინგლისის სამართალში, არის ის, რომ არ არსებობს ერთიანი აზრი, თუ რა უნდა ვიგულისხმოდ კეთილსინდისიერების ცნებაში.

<sup>78</sup> *Garstra H.*, Generalklauseln in: *Koch H-J*, Juristische Methodenlehre und analytische Philosophie. Kronberg, 1976,115

<sup>79</sup> *Bechmann A.*, Der Kauf nach gemeinem Recht, Band 1: Geschichte des Kaufs im römischen Recht, Leipzig, 1876, 640.

<sup>80</sup> *Duve T., Haferkamp Hans-Peter*, Kommentar zu §242, in: *Zimmermann R., Rückert J., Schmoeckel M.*, (Hg), Historisch-Kritischer Kommentar zum BGB. Band 2: Schuldrecht allgemeiner Teil. Tübingen 2007.

<sup>81</sup> *Styles S.C.*, Good Faith: A Principled Matter. In Portland. 1999,161

<sup>82</sup> *Hodgin R.W.*, Insurance Law: Text and Materials. London, 2002,318

ლორდ სტეინის მიერ ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ არ არსებობს განსხვავება კეთილსინდისიერების ობიექტურ მოთხოვნასა და მხარეთა გონივრულ მოლოდინს შორის<sup>83</sup>. ე.ი. მისი მოსაზრების შესაბამისად, მხარეთა გონივრული მოლოდინი და გონივრული მოლოდინის დაცვა კეთილსინდისიერების განუყოფელი ნაწილია და მისი ეკვივალენტიც კი არის. სტეინის შეხედულებით ინგლისური სამართალი სულ უფრო ხშირად იყენებს კეთილსინდისიერების იდეას (პრინციპს) სამართლის ზოგიერთ სფეროში, კერძოდ კი მომხმარებლებთან ურთიერთობაში. სტეინის აზრით, კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება შესაძლებელია, მაგრამ კეთილსინდისიერების კატეგორიას არ უნდა მიეცეს მეტისმეტად დიდი ზნეობრივი შინაარსი და ის უნდა ეფუძნებოდეს ჩვეულებრივი ადამიანების წარმოდგენებსა და ჩვეულებებს<sup>84</sup>.

სტეინის აზრით, გონივრული მოლოდინის იდეა გულისხმობს, რომ მოსამართლეს უფლება აქვს გაითვალისწინოს თანასწორობა, რომელიც ყოველი სამართლებრივი ნორმის საფუძველი უნდა იყოს, რომლის ფარგლებშიც სახელშეკრულებო სამართალში დაცული უნდა იქნეს პატიოსანი ადამიანის გონივრული მოლოდინი<sup>85</sup>.

მოლოდინი (რომელიც დაცული უნდა იქნეს) ობიექტური გაგებით, ჩვეულებრივ, ორივე მხარისათვის არის დამახასიათებელი. ერთი მხარის გონივრული მოლოდინი არ შეიძლება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდეს, თუ ასეთი მოლოდინი არ გააჩნია მეორე მხარეს. გარდა ამისა, აქვს თუ არა მხარეს გონივრული მოლოდინი, უნდა განისაზღვროს კონკრეტული საქმიდან და სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის სახეობიდან გამომდინარე<sup>86</sup>.

იმის მიუხედავად, რომ ყურადღება მახვილდება ისეთ კატეგორიაზე, როგორც მხარის გონივრული მოლოდინია, ლორდ სტეინს მიაჩნდა, რომ გონივრული მოლოდინის კატეგორიაში გამოსატული იყო სახელშეკრულებო სამართლის მიზანი (ეს არის სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა) და არა ფუძემდებლური პრინციპი. სტეინის აზრით, დავის განხილვის დროს საჭიროა გათვალისწინებული იქნეს მხარის გონივრული მოლოდინი, მაგრამ ყოველთვის როდი შეიძლება ამგვარი მოლოდინის გათვალისწინება.<sup>87</sup>

სხვა მეცნიერთა მიერაც აღინიშნა, რომ სამართალმა მართლაც უნდა დაიცვას გონივრული მოლოდინი. აღინიშნა ისიც, რომ სახელშეკრულებო სამართლის ყველა ნორმა ისეთი სახელმძღვანელო პრინციპის გარკვეული ნიმუშია, როგორც გონივრული მოლოდინია. გონივრული მოლოდინის კატეგორიას შეიძლება გააჩნდეს ზუსტი

<sup>83</sup> *Steyn J.*, Contract Law: Fulfilling the Reasonable Expectations of Honest Men. Law Quarterly Review. Vol. 113., 1997.439

<sup>84</sup> *Steyn J.*, The Role of Good Faith and Fair Dealing in Contract Law: A Hair-Shirt Philosophy? Denning. Law Journal. Vol. 6., 1991,140-141.

<sup>85</sup> *Steyn J.* Contract Law: Fulfilling the Reasonable Expectations of Honest Men. Law Quarterly Review. Vol. 113., 1997, 433

<sup>86</sup> იქვე,434

<sup>87</sup> იქვე,434

შინაარსი, განსაზღვრული შემთხვევების მიმართ მისი გამოყენებისას. სასამართლომ უნდა დაიცვას მხარეთა გონივრული მოლოდინი, ამასთან, უნდა იხელმძღვანელოს ცხოვრებისეული გამოცდილებით<sup>88</sup>.

აღინიშნა, ისიც, რომ კეთილსინდისიერება და გონივრული მოლოდინი რეალურად, მედლის ორი მხარეა. გონივრული მოლოდინი კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსის განსაზღვრის საშუალებაა, რომელიც (კეთილსინდისიერება) სასამართლომ უნდა გამოიყენოს როგორც ხელშეკრულების დამატებითი პირობა<sup>89</sup>. რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, აქ აღსანიშნავია სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილული საქმე *G. Percy Trentham Limited V. Archital Luxfer Limited and Others* (1993). საკითხი ეხებოდა ორ ხელშეკრულებას – ორმაგი შემინული ფანჯრების მიწოდებასა და დაყენებას. სადავო გახდა შეთავაზების (ოფერტისა) და მისი მიღების საკითხი მხარეთა შორის ურთიერთობაში. მხარე უთითებდა, რომ ხელშეკრულებები დადებული იქნა კონკლუდენტური მოქმედებების მეშვეობით და არა წერილობითი ფორმით. ლორდი სტეინი მიუთითებდა, რომ პრაქტიკულად, ინგლისის სამართალი მხედველობაში არ იღებს მხარეთა მოლოდინს და მხარეთა იმ პირობებს, რომლებიც ხელშეკრულებაში პირდაპირ არ გამოთქმულა. თუმცა არსებობს სახელმძღვანელო კრიტერიუმი – პატიოსანი ადამიანების გონივრული მოლოდინი<sup>90</sup>. რაც შეეხება კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსს, 1988 წელს ლორდმა ბენჰამმა საქმეზე *Interfoto Picture Library Ltd v Stiletto Visual Programmes Ltd* მიუთითა, რომ ყველაზე უფრო ზუსტად კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი შეიძლება გამოიხატოს ისეთი მეტაფორული გამონათქვამებით, როგორიც არის „პატიოსანი თამაშის წარმოება“, „სიმართლის თქმა, სიმართლის ლაპარაკი“ ანუ „ღიად, გახსნილად თამაში“<sup>91</sup>. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ კეთილსინდისიერებას გააჩნია სპეციალური მნიშვნელობა. ეს არის საქმეთა წარმოება ღიად, გახსნილად და პატიოსნად. გახსნილობა მოითხოვს, რომ ხელშეკრულებათა პირობები სრულად, მკაფიოდ, ნათლად, ცხადად იქნეს გამოხატული; საქმეთა პატიოსნად წარმოება ნიშნავს, რომ ხელშეკრულების მხარემ თავისი ინტერესებისათვის არ უნდა გამოიყენოს მეორე მხარის გამოუცდელობა, მეორე მხარის მიერ „ბაზრის თამაშის წესების“ არცოდნა. საქმეზე *Director General of Fair Trading V. First National Bank* მოსამართლე ევანს - ლომბემ აღნიშნა, რომ კეთილსინდისიერება სამართლის კონტინენტური სისტემის მქონე ქვეყნებში ჩამოყალიბებული მიდგომის შესაბამისად უნდა იქნეს განხილული, რომელშიც (კეთილსინდისიერებაში) იგულისხმება საქმეთა წარმოება პატიოსნად და ღიად, გახსნილად.<sup>92</sup>

<sup>88</sup> Reiter B., Swan J., Contracts and the protection of Reasonable Expectations. In. Reiter B. J., Swan J., Studies in Contract Law, Toronto, 1980.6., 8.

<sup>89</sup> Jee W. P. Good Faith: Protecting parties Reasonable Expectations. Oxford University Commonwealth Law Journal. Vol. 1, №2, 2001., 223

<sup>90</sup> Richards P., Law of Contract. Harlow., 2007. 14-15

<sup>91</sup> Whincup M. H., Contract Law and Practice: The English System with Scottish, Commonwealth and Continental Comparisons. Kluwer Law International. 2006. 237

<sup>92</sup> Oughton D. W., Martin Davis, Sourcebook on Contract Law. Second Edition, London. 2000.440

მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებების უსამართლო პირობების შესახებ ევროპის კომისიის 1993 წლის დირექტივის<sup>93</sup> მიღების შემდეგ, რომელიც შეიცავდა დებულებას, რომ „ხელშეკრულების პირობა, რომელიც მხარეთა შორის არ განხილულა ინდივიდუალურად, მიხეული უნდა იქნეს უსამართლოდ, თუ კეთილსინდისიერების მოთხოვნათა დარღვევით იგი იწვევს მნიშვნელოვან შეუსაბამობას ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებში მომხმარებლის საზიანოდ“, ინგლისში დაიწყო დავა *bona fides* მოთხოვნის (პრინციპის) აუცილებლობისა და ევროპის სამართლის გავლენის შესახებ ინგლისურ სამართალზე.

ვაითმენმა გამოკვეთა კეთილსინდისიერების მოდელები (ანუ სახეები). იგი განასხვავებს ისეთ კატეგორიებს, როგორებიც არის „*core good faith*“, „*contextual good faith*“ და „*normative good faith*“<sup>94</sup>.

*Core good Faith* ითვალისწინებს კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს ხელშეკრულების დადებისას და საფუძვლად უდევს ნებისმიერ განვითარებულ სამართლებრივ სისტემაში არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებს<sup>95</sup>. კეთილსინდისიერების ამგვარი სტანდარტის მაგალითი შეიძლება იყოს წესი, რომ ხელშეკრულება არ უნდა დაიდოს იძულებით. ამასთან, ავტორი მიუთითებს, რომ კეთილსინდისიერების მოცემული სახე უდავოა და არ არის საჭირო მასზე დამატებითი მსჯელობა.

კონტექსტუალური კეთილსინდისიერება (*contextual good faith*) მოითხოვს იმას, რომ ხელშეკრულების მხარეების ქცევა ხელშეკრულების დადებისას და შესრულებისას, დაწესებულ სტანდარტებს შეესაბამებოდნენ. კონტექსტუალური კეთილსინდისიერება ადგენს სამ აუცილებელ მოთხოვნას<sup>96</sup>.

პირველ ყოვლისა, სტანდარტული ხელშეკრულების დამდებ მხარეებს უნდა ჰქონდეთ დრო თავიანთი თანხმობის გამოსათქმელად (გამოსახატად). მეორე, ამ შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს დისბალანსი მხარეთა შორის და ერთმა მხარემ არ უნდა დაიკავოს დომინირებული მდგომარეობა მეორე მხარის მიმართ და არ უნდა მოახვიოს თავს შეთანხმების პირობები. დაბოლოს, ხელშეკრულების მხარეს უნდა გააჩნდეს შეთანხმების არა მარტო დადებისა და შესრულების გამოცდილება, არამედ აგრეთვე იმის გამოცდილება, თუ როგორ მოიქცეს განსაზღვრული პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში. ვაითმენის აზრით, მოცემული სახის კეთილსინდისიერება უნდა გავრცელდეს სავაჭრო (კომერციულ) შეთანხმებებზე. ბრაუნსვორდი კეთილსინდისიერების მოცემულ მოდელს

<sup>93</sup> Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts. O.J.L 95, 21.04.1993, 29

<sup>94</sup> *Wightman J., Good faith and Pluralism in the Law of Contract In.: Brownsword R., Hird N., Howells G., Good Faith in Contract: Concept and Context. Ashgate, Dartmouth., 1999, 41-46*

<sup>95</sup> იქვე გვ. 42

<sup>96</sup> იქვე გვ. 43-44



„კეთილსინდისიერების მოთხოვნად“ მიიჩნევა<sup>97</sup>. ამ მნიშვნელობით კეთილსინდისიერების პრინციპი ფუნქციონირებს, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც ხელს უწყობს საქმეთა ღიად, გახსნილად (*fair dealing*) წარმოებას, მაგრამ რომელიც მოქმედებს განსაზღვრულ კონტექსტში. კეთილსინდისიერების შინაარსი განისაზღვრება, როგორც ხელშეკრულების მხარეთა გონივრული მოლოდინის მოთხოვნა. ეს მოლოდინი ეფუძნება *fair dealing*-ის სტანდარტებს, რომლებიც წარმოადგენენ საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებს და გამოიყენებიან განსაზღვრული შეთანხმებების (ნასყიდობა, იჯარა და ა.შ.) დადების დროს. როგორც მოსალოდნელია, მხარეები მოიქცევიან ყოველი განსაზღვრული ხელშეკრულების დადებისას და შესრულებისას ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე მოთხოვნები განსხვავდება კონტექსტის მიხედვით და არ წარმოადგენენ უნივერსალურ მოთხოვნებს.

ნორმატიულ კეთილსინდისიერებაში (*normative good faith*) იგულისხმება სახელშეკრულებო სამართლიანობის მოთხოვნა, რომელიც ეკისრება მხარეებს. ამგვარი კეთილსინდისიერება გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი ხელშეკრულებების დადების შემთხვევაში, რომლებიც არ წარმოადგენენ კომერციულ ხელშეკრულებებს.<sup>98</sup>

კეთილსინდისიერების შესახებ ამგვარი წარმოდგენა რადიკალურია და მოცემული პრინციპის შინაარსი განისაზღვრება არა განსაზღვრულ სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებში მხარეთა ქცევის ზოგადი სტანდარტებიდან გამომდინარე, არამედ სახელშეკრულებო სამართლიანობიდან გამომდინარე. კეთილსინდისიერება განისაზღვრება ყოველ საზოგადოებაში არსებული სამართლიანობისა და გონივრულობის ზოგადი ზნეობრივი ან სამართლებრივი სტანდარტების მიხედვით. ამგვარი მოდელი გამოიყენება იმისთვის, რომ არსებობდეს სამართლიანი საშუალებით ხელშეკრულების დადების გარანტია. ამგვარი მოდელი აწესებს სტანდარტებს, რომლებსაც უნდა დაექვემდებაროს (დაემორჩილოს) სახელშეკრულებო სამართალი. ამიტომ სასამართლოებმა უნდა განსაზღვრონ ის, რაც შეესაბამება კეთილსინდისიერების სულს და დააკისრონ განსაზღვრული მოთხოვნები (ვალდებულებები) მხარეებს.

გარდა ამისა, ბრაუნსვორდმა ხაზი გაუსვა, რომ კეთილსინდისიერების კატეგორია პირველ ყოვლისა, საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ არაკეთილსინდისიერება; მეორე, სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას გამოკვეთოს ერთგვაროვანი შემთხვევები; მესამე, შეიძლება აამაღლოს ვაჭრობაში თანამშრომლობისა და ნდობის კულტურა, რაც აუცილებელია სტაბილური ეკონომიკის

<sup>97</sup> *Bronsword R.*, Positive, Negative and Neutral: the Reception of Good Faith in English Contract Law. In: *Bronsword R., Hird N., Howells G.* Good Faith in Contract: Concept and Context. Ashgate, Dartmouth, 1999, 33

<sup>98</sup> *Wightman J.*, Good faith and Pluralism in the Law of Contract In.: *Bronsword R., Hird N., Howells G.*, Good Faith in Contract: Concept and Context. Ashgate, Dartmouth., 1999,41-46

განსავითარებლად; მეოთხე, საშუალებას იძლევა უკეთ იქნეს დაცული მხარეთა განივრული მოლოდინი.

ძალზედ მნიშვნელოვანია წესი, რომლის შესაბამისადაც მოსამართლეს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობა შეავსოს ე.წ. „ნაგულისხმევი პირობებით“ (*implied terms*) იმ შემთხვევაში, როცა მხარეებს ერთმანეთთან არ შეუთანხმებიათ რაიმე პირობა (ხელშეკრულებაში არ გაითვალისწინეს ზოგიერთი პირობა).

გერმანელი მეცნიერის გრობეკერის ნაშრომში „ნაგულისხმევი პირობები და *Treu und Glauben*“ შედარებითი ანალიზის გზით დეტალურად არის გამოკვლეული ნაგულისხმევი პირობების მნიშვნელობა ინგლისურ სამართალში და გსკ-ს 242-ე მუხლის გამოყენების საკითხი. ავტორმა დაასკვნა, რომ ნაგულისხმევი პირობების მეთოდი იმავე შედეგს იწვევს, რა შედეგიც მიიღწევა გერმანულ სამართალში პრინციპის *Treu und Glauben* მეშვეობით<sup>99</sup>. ნაგულისხმევი პირობები 242-ე მუხლის ფუნქციონალური ეკვივალენტია. ნაგულისხმევი პირობები გამოიყენება არა მხოლოდ შრომისა და მომხმარებელთა სამართალში, სადაც სასამართლოები და პარლამენტი ტრადიციულად, ჩარევის მომხრენი იყვნენ, არამედ სავაჭრო შეთანხმებების მიმართ.

მეიდველსა და გამეიდველს, დამქირავებელსა და გამქირავებელს, მეიჯარესა და მოიჯარეს, გადამზიდველებს შორის და სხვა მსგავს ურთიერთობებში სასამართლოები ვალდებულებას ამა თუ იმ მხარეს აკისრებენ ნაგულისხმევი პირობების მეშვეობით. მოცემულ ურთიერთობებში, ნაგულისხმევი პირობების მეშვეობით სასამართლო იმგვარად აწესრიგებს სახელშეკრულებო ურთიერთობებს, რომ ერთმა მხარემ არ გამოიყენოს მეორე მხარე თავისი ინტერესებისათვის (თავის სასარგებლოდ). სხვადასხვა შემთხვევაში, ნაგულისხმევი პირობები იქცა ზოგად წესებად. მაგალითად, მშენებლობის ხელშეკრულების დადებისას შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე იგულისხმება, რომ მხარემ უნდა წარმოადგინოს ხარისხიანი მასალები; ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იგულისხმება, რომ გადამზიდველმა უნდა წარმოადგინოს საზღვაო ხომალდი (გემი) და ა.შ.<sup>100</sup>

## 1.1.4 საქართველო

### 1.1.4.1 კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინება საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობაში

საქართველო არცთუ ისე დიდი ხანია, რაც საბჭოთა სამართლებრივი სივრციდან გამოვიდა. ამიტომ მიზანშეწონილია კეთილსინდისიერების პრინციპის ევოლუციის საკითხის განხილვა დავიწყოთ უახლოესი წარსულიდან. კეთილსინდისიერების შესახებ დათქმა უარყოფილი იყო საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მიერ

<sup>99</sup> Sims V., Good Faith in English Contract Law. Ankara Law Review. Vol. 1 №2, 2004, 219

<sup>100</sup> Mulcahy L., Tillotson J., Contract Law in Perspective. London, 2004, 159

იდეოლოგიური მიზეზით – კეთილსინდისიერების შესახებ დათქმა უზრუნველყოფს კერძო ინტერესების ბალანსს და ადგენს სამოქალაქო უფლებათა განხორციელებისას თავისუფლების კერძო სამართლებრივ ფარგლებს, ხოლო საბჭოთა სისტემისათვის ამგვარი ფარგლები უცხო იდეოლოგიის ნაყოფად მიიჩნეოდა, ისევე, როგორც თავად კერძო უფლებები და ინტერესები. კერძო საკუთრება მოისპო. შესაბამისად, ხელშეკრულების რეალური თავისუფლების საჭიროებაც არ არსებობდა. ამის გამო კი, კეთილსინდისიერების შესახებ დათქმაც, როგორც ხელშეკრულების თავისუფლების შემზღუდავი ინსტრუმენტი, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა.

ამასთან, იმის თქმა, თითქოს კეთილსინდისიერების კატეგორია საერთოდ არ გამოიყენებოდა საბჭოთა სამართალში, მოკლებულია რეალურ საფუძველს. კეთილსინდისიერების კატეგორიას იცნობდა საბჭოური სამოქალაქო სამართალიც, შესაბამისად, კეთილსინდისიერების კატეგორია არ არის სიახლე დღევანდელ ქართულ სამოქალაქო სამართალში. თუმცა, საბჭოთა ეპოქაში აღნიშნული კატეგორია, პირველ ყოვლისა, გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც უნდა გადაწყვეტილიყო შემძენის კეთილსინდისიერების საკითხი საინდივიდუალური სარჩელის განხილვისას. ამიტომ, კეთილსინდისიერების კატეგორიისადმი მიძღვნილი ყველა კვლევა ძირითადად ეხებოდა უკანონო მფლობელობის კეთილსინდისიერებას. რაც შეეხება ვალდებულებით სამართალს, საბჭოთა პერიოდში კეთილსინდისიერების პრინციპს ვალდებულებით სამართალში მთლიანად ცვლიდა მისი ანალოგი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებისას „ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პრინციპი“.<sup>101</sup> ეს პრინციპი გამოხატული იყო საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 165-ე მუხელში ისეთი მოთხოვნის სახით, როგორც არის: ყოველმა მხარემ უნდა „გაუწიოს მეორე მხარეს ყოველგვარი შესაძლებელი დახმარება მის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებაში“. თუმცა, იმდროინდელ ლიტერატურაში აღინიშნებოდა, რომ ეს ფორმულირება ცალმხრივია, რადგან მიმართულია მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიმართ და ავალდებულებს მას ხელი შეუწყოს, დაეხმაროს მოვალეს ვალდებულების შესრულებაში. ამიტომ შემოთავაზებული იყო, რომ კანონში მითითებული ყოფილიყო ამხანაგური თანამშრომლობის განხორციელების აუცილებლობაზე, როგორც მოვალეობათა შესრულებისას, ისე სამოქალაქო უფლებათა განხორციელების დროსაც.<sup>102</sup> „ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პრინციპის“ სახელწოდება მეტყველებდა, რომ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა შორის ურთიერთობებში მოითხოვებოდა ურთიერთპატივისცემა.

„კეთილსინდისიერების ტერმინს იცნობდა 1991 წელს მიღებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველები. მართალია, ამ პერიოდში საბჭოთა კავშირი უკვე იშლებოდა და ამ აქტს რეალური სამართლებრივი მნიშვნელობა საქართველოსათვის არ ჰქონია, მაგრამ ისტორიული და შემეცნებითი თავლსახრისით იგი საინტერესოა. ამ აქტით საფუძველი

<sup>101</sup> *Калмыков Ю. Х.* Принципы советского гражданского права, Ж. 'Правоведение', 1980. №3, 73

<sup>102</sup> *Грибанов В.П.* Принципы осуществления гражданских прав. Осуществление и защита гражданских прав, Статут, М., 2001, 230

ჩაეყარა ხელშეკრულების რეალური თავისუფლების აღორძინების საკითხსაც. საფუძვლების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული იქნა: „სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილენი ივარაუდებიან „კეთილსინდისიერ მონაწილეებად, თუ დამტკიცებული არ არის საპირისპირო“. ამრიგად, კეთილსინდისიერების შესახებ ნორმა აღორძინდა, მაგრამ არა ზოგადი ვალდებულების ფორმით, არამედ პრეზუმფციის ფორმით, რასაც, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს საერთო კეთილსინდისიერებასთან, როგორც ზოგად ვალდებულებასთან.

ამ ნორმის კომენტარებისას აღინიშნა, რომ „კანონი ახლა პირდაპირ განამტკიცებს ბრუნვის მონაწილეობა კეთილსინდისიერების პრეზუმფციას, თუმცა მას უპირისპირებს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დამრღვევის ბრალის პრეზუმფციას (საფუძვლების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი). ეს წესები გავლენას ახდენენ მტიცების ტვირთის განაწილებაზე და ფაქტობრივად დიდი ხანია გამოიყენებოდნენ სამართალშეფარდებით პრაქტიკაში“.<sup>103</sup> სხვა სიტყვებით რომ ითქვას, 1991 წლის საფუძვლებში კეთილსინდისიერების პრეზუმფციის შეტანა წარმოადგენდა წმინდად ტექნიკურ ოპერაციას, იმის კონსტატაციას, რაც მანამდეც გამოიყენებოდა. კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვასთან ამას არ ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა არავითარი კავშირი.

#### **1.1.4.2 კეთილსინდისიერების პრინციპის ასახვა 1997 წლის 25 ნოემბერს ამოქმედებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში**

ვიდრე მოქმედ სამოქალაქო კოდექსში აისახებოდა, კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველი საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ შექმნა. კონსტიტუციის 44-ე მუხლის თანახმად, „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები“. ამით კონსტიტუცია აღკვეთს უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების ხარჯზე. კონსტიტუცია ავალდებულებს ნებისმიერ პირს გაითვალისწინოს სხვათა უფლებები და ინტერესები და თავი შეიკავოს მათი დარღვევისაგან საკუთარი უფლებების განხორციელების დროს, ე.ი. კონსტიტუცია შეიცავს უფლების ბოროტად გამოყენების ზოგად აკრძალვას და მაშასადამე, ამკვიდრებს კეთილსინდისიერად მოქმედების ზოგად ვალდებულებას. მართალია, კონსტიტუციაში პირდაპირი წესით არ არის მოცემული კეთილსინდისიერების პრინციპი, მაგრამ ზემოაღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე იკვეთება აღნიშნული პრინციპის ძირითადი ასპექტები: საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების აკრძალვა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის მიზნით, ერთგულება, გულისხმიერება, მზრუნველობა, სხვების ინტერესების გათვალისწინება.

რაც შეეხება დღეს მოქმედი სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლებს და ქართულ სამოქალაქო კოდექსში ასახულ კეთილსინდისიერების პრინციპის კონცეფციას, მათში კეთილსინდისიერება მოცემულია ზოგადი

<sup>103</sup> Суханов Е. Основы гражданского законодательства. Вестник Верховного суда СССР, 1991, №10

და ყოვლისმომცველი ვალდებულების სახით, განიმარტოს<sup>104</sup> ხელშეკრულება კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად და იმოქმედოს სუბიექტმა კეთილსინდისიერად სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

არცერთი მხარისათვის-იქნება ეს მოვალე თუ კრედიტორი, ვალდებულების შესრულებისას ამოსავალი არ უნდა იყოს მხოლოდ საკუთარი ინტერესები და არცერთი მხარე არ უნდა უყურებდეს მთავარი ვალდებულების შესრულებას სიტყვა-სიტყვით. მაგალითად, კრედიტორი არ უნდა ითხოვდეს იმას, რაც შეიძლება ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდეს, მაგრამ გაუმართლებელია მოვალის ლეგიტიმური ინტერესის თვალსაზრისით და არ შეესაბამება იმ მოთხოვნას, რომ აუცილებელია ხელშეკრულების შინაარსისადმი მოქნილი დამოკიდებულება.

ამრიგად, 1997 წლის 25 ნოემბრიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებით, კეთილსინდისიერების კატეგორიის გამოყენება საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, გაფართოვდა. იგი გამოიყენება არა მარტო იმ ნორმებში, რომლებიც კეთილსინდისიერი შემქმნის უფლებათა დაცვას ეხება (სანივთო სამართალი), არამედ კერძო სამართლებრივი ხასიათის სხვა ნორმებშიც. იმდენად, რამდენადაც კეთილსინდისიერების კატეგორია ქცევის ზოგად იურიდიულ ვალდებულებას, ზოგად დათქმას წარმოადგენს, პრობლემურია მისი შინაარსისა და მნიშვნელობის ახსნა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ეს არც არის გასაკვირი. როგორც ცნობილია, სახელშეკრულებო (ვალდებულებითი) სამართალი სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანესი და ყველაზე უფრო მოცულობითი ნაწილია. ვალდებულებითი სამართლის ნორმებით წესრიგდება თანამედროვე საბაზრო ბრუნვა. ამ ნორმებს იყენებენ ფიზიკური პირები, მეწარმეები, კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები. კეთილსინდისიერების პრინციპის პრობლემას ქართულ სამართალში ეხება მხოლოდ ცალკეულ ნორმათა კომენტარი და ერთეული სტატია. კეთილსინდისიერების პრინციპის იურიდიულ ბუნებაში რომ გავვერკვეთ, აუცილებელია განისაზღვროს მოცემული კატეგორიის თეორიული სტატუსი, ის, თუ როგორ ესმით ეს პრინციპი დოქტრინაში. მოცემულ შემთხვევაში, საინტერესოა სწორედ ის მიდგომები იქნეს წარმოჩენილი, რომლებიც მიმოხეულია ქართველ ავტორთა სხვადასხვა შრომაში. ქართველ იურისტთაგან ზოგიერთი კეთილსინდისიერების პრინციპს ზნეობრივ ნორმად მიიჩნევს. აღნიშნულია, რომ კეთილსინდისიერება ნორმატიულ სამართლებრივი კონსტრუქციაა, რომელიც ეფუძნება მორალს<sup>105</sup>. აღნიშნულია, რომ კეთილსინდისიერება კოდექსში წარმოდგენილია როგორც ქცევის ზოგადი პრინციპი ანუ სტანდარტი.<sup>106</sup> მიეთითება, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება არ შემოიფარგლება

<sup>104</sup> განმარტების საკითხზე სამოქალაქო კოდექსში პირდაპირ არაფერია ნათქვამი, თუმცა კეთილსინდისიერების პრინციპი მოითხოვს ხელშეკრულების განმარტებას სწორედ მის შესაბამისად. ამ საკითხს ცალკე პარაგრაფები ეთმობა ნაშრომში.

<sup>105</sup> *Месхишвили Н.*, Сущность и значение добросовестности в частном праве, Южнокавказский Юридический Журнал, 03/2012, 45

<sup>106</sup> იქვე, 45

მხოლოდ სახელშეკრულებო სამართლით. იგი სამართლის ზოგადი პრინციპიცაა, რომელიც გამოიყენება მთელი კერძო სამართლის მიმართ. სსკ-ის მე-8 მუხლის თანახმად, კეთილსინდისიერების ქცევის სტანდარტი ვრცელდება მთლიანად კერძო სამართალზე.<sup>107</sup> კეთილსინდისიერება ნორმატიული კატეგორიაა. მისი კონცეფცია იმით გამოიხატება, რომ იგი არა უბრალოდ ეთიკური და მორალური პრინციპია, არამედ სამართლებრივი დოქტრინა, რომლის საფუძველზეც მხარეებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება წარმოეშვათ უფლებები და ვალდებულებები, ან უარი ეთქვას უფლების დაცვაზე.<sup>108</sup> თანამედროვე პერიოდში, კეთილსინდისიერება მიიჩნევა სახელშეკრულებო სამართლის (ვალდებულებითი სამართლის, ხოლო ზოგჯერ მთელი კერძო სამართლისაც კი) უმაღლეს ნორმად. ზოგიერთი ქართველი ავტორი იზიარებს პოზიციას, რომ კეთილსინდისიერება ღია ნორმაა, რომლის შინაარსიც არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ აბსტრაქტული გზით, არამედ იგი დამოკიდებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა მიმართაც იგი უნდა იქნეს გამოყენებული და რომელიც დადგენილ უნდა იქნეს დაკონკრეტების მეთოდის გამოყენებით. კეთილსინდისიერების პრინციპი ხშირად გამოიყენება როგორც გარდამავალი ფაზა, სანამ ახალი ნორმა სათანადო დონეზე ჩამოყალიბდება და დამოუკიდებლად დადგება ფეხზე. აღნიშნულის გამო, კეთილსინდისიერების პრინციპი ღია ნორმაა, რომლის შინაგანი სისტემის განვითარების (დაკონკრეტების) შედეგადაც იბადება ახალი ნორმები და ისინი შემდგომში აგრძელებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.<sup>109</sup>

სასამართლოებმა განუსაზღვრელი ნორმები უნდა გამოიყენონ იმისთვის, რომ ეკონომიკური ვითარების სწრაფი ცვლადობის პირობებში სამართალი მიესადაგოს სახელშეკრულებო ურთიერთობებისა და სამოქალაქო ბრუნვის სამართლებრივი მოწესრიგების სრულყოფის პროცესში მომხდარ ცვლილებებს.

მაშასადამე, კეთილსინდისიერების შესახებ ზოგადი დათქმა არის განუსაზღვრელი (მკაფიოდ, ნათლად ჩამოუყალიბებელი) კატეგორიის ამსახველი სამართლის ნორმა, რომელიც მოსამართლეს საშუალებას აძლევს გადაწყვეტილება გამოიტანოს ყოველი კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკისა და მიხედვით. ზოგადი დათქმა სამართლის ჩვეულებრივი ნორმისაგან იმით განსხვავდება, რომ პრაქტიკაში მოსამართლეს აძლევს მეტ თავისუფლებას (ამ თვალსაზრისით მას დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის განვითარებისათვის) და ფართოდ განიმარტება. მიუხედავად იმისა, რომ განუსაზღვრელ ნორმაში (ზოგად დათქმაში), როგორც ქართულ სამოქალაქო სამართალში არის სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლები, მითითებულია მხოლოდ ერთი გარემოება, კერძოდ „ვალდებულების

<sup>107</sup> *იოსელიანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 18

<sup>108</sup> *ვაშაკიძე ვ.*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10 №1, 2007, 18

<sup>109</sup> *იოსელიანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 34

შესრულება კეთილსინდისიერად”, ანუ „კეთილსინდისიერების შესაბამისად”, კეთილსინდისიერების პრინციპი (ვალდებულება) დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების დადების დროსაც. თანაც, კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ მოვალეზე, არამედ კრედიტორზეც. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, კეთილსინდისიერება უკავშირდება პირისათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და არა იმის შესრულებას, რაც მას არც ხელშეკრულებით და არც სხვა სახით მხარის მიმართ არ უკისრია.<sup>110</sup>

სსკ-ის 361-ე მუხლის თანახმად ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად. ეს ნიშნავს, რომ ვალდებულება გულისხმიერებით უნდა შესრულდეს ისე, როგორც ამას მოითხოვს კეთილსინდისიერების პრინციპი და სამართლებრივი ბრუნვის ჩვეულებანი. მოვალემ პირველ ყოვლისა, კრედიტორის საფუძვლიანი ინტერესი უნდა გაითვალისწინოს და არ უნდა შეასრულოს ვალდებულება მაგალითად „უდროო დროს“ ან შეასრულოს იგი წინასწარი განზრახვით არაჯეროვნად (ნაწილობრივ), რათა ზიანი მიადგეს კრედიტორს.<sup>111</sup>

სსკ-ის 361-ე მუხლში მითითებული დებულება, რომელიც მოითხოვს ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებას, სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპია. კეთილსინდისიერების პრინციპის ამგვარ მნიშვნელობას განაპირობებს ის, რომ იგი პირთა მიმართ ქცევის წესის დამდგენი ნორმაა. მართალია სსკ-ის 361-ე მუხლი, რომელიც ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებას მოითხოვს, სამოქალაქო კოდექსში მოქცეულია სახელშეკრულებო სამართლის ნაწილში, მაგრამ მოცემული ნორმის შინაარსის ანალიზიდან გამომდინარე, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი მხოლოდ ისეთ შემთხვევას აწესრიგებს, როცა მხარეთა შორის ვალდებულება კონკრეტული ხელშეკრულების საფუძველზეა წარმოშობილი. მართალია კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება აუცილებელია უმეტესად მაშინ, როცა მხარეთა შორის უკვე არსებობს ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა, მაგრამ კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება ასევე მაშინაც, როცა ადგილი აქვს წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებებს (ხელშეკრულებამდელ სამართლებრივ ურთიერთობებს), როდესაც მხარეებმა ერთმანეთის მიმართ განსაზღვრეს უფლებები, მაგრამ ხელშეკრულება ჯერ არ დაუდიათ. შესაბამისად, კეთილსინდისიერად ქცევის მოთხოვნა (ვალდებულება) ისეთი სამართლებრივი ურთიერთობებისთვისაც არის რელევანტური, რომლის დროსაც შესაძლოა მხარეთა შორის კონკრეტული ხელშეკრულება არც იყოს დადებული.

<sup>110</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას- 1388-1224-10

<sup>111</sup> Larenz K. Lehrbuch des Schuldrechts, Bd. I, Allgemeiner teil. 14 Aufl. München, 1987, 131

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რამდენიმე ნორმაში ნახსენებია „კეთილსინდისიერების“ ტერმინი, თუმცა კოდექსი ამ ტერმინის ლეგალურ განსაზღვრებას არ იძლევა. სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობენ ქცევის იმპერატიული წესები, რომლებიც დაცული უნდა იქნენ უპირობოდ. ამდენად, არსებობენ კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისი ვალდებულებები. კეთილსინდისიერების პრინციპის ერთიანი ცნების შემუშავება შეუძლებელია, შესაბამისად, უმჯობესია განისაზღვროს ის კრიტერიუმები და ვალდებულებები, რომლებიც დაგვეხმარება ავხსნათ კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი. ამ მიზნით, აუცილებელია კეთილსინდისიერების კატეგორიის თაობაზე დოქტრინაში არსებული მიდგომების ანალიზი, რომლებშიც ასახულია კეთილსინდისიერების თანამედროვე თეორია და სასამართლო პრაქტიკა.

კანონმდებლობაში კეთილსინდისიერების დეფინიციის უქონლობა, განაპირობებს იმას, რომ კეთილსინდისიერება ხასიათდება როგორც შინაარსის გარეშე არსებული კატეგორია.<sup>112</sup> რადგან კეთილსინდისიერება განუსაზღვრელი კატეგორიაა, ამის გამო, უფრო იოლია ქცევის შეფასება კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, ვიდრე კეთილსინდისიერების ცნების ფორმულირება.<sup>113</sup>

კანონში მოცემული განუსაზღვრელი კატეგორიები, ფართო შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს საქმის თავისებურებები. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, სასამართლო პრაქტიკა სამართლის წყაროს არ წარმოადგენს, ფაქტობრივად, პრაქტიკის როლი დიდი უნდა იყოს. ქართულ სამართალში, სასამართლო პრაქტიკამ უნდა ითამაშოს მომავალში დიდი როლი კეთილსინდისიერების პრინციპის აქტუალურად გამოყენების საკითხში.

კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნების განსაზღვრისას აუცილებელია სასამართლოებმა ყურადღება მიაქციონ ნდობის ასპექტს. ნდობის მოთხოვნის დაცვასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი: ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზანი და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების შედეგი შესაძლებელია საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს მოვალის არასაიმედოობის გამო. როგორც წესი, ვალდებულების შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას სამართლებრივ შედეგად შეიძლება მოჰყვეს მეორე მხარის გასვლა ხელშეკრულებიდან ან ხელშეკრულების მოშლა და ზიანის ანაზღაურება. ნდობა<sup>114</sup> ირღვევა

<sup>112</sup> Cattaneo G, Buona fede obbiettiva e abuso del diritto. Rivista trimestrale di diritto e procedura civile, 1971.618

<sup>113</sup> Новицкий И. Б. Принцип доброй совести в проекте обязательственного права. Вестник гражданского права. Научный журнал №1 Т. 6, 2006

<sup>114</sup> მართებულად არის აღნიშნული ქართველ ავტორთა მიერ, რომ „ვალდებულებით ურთიერთობებში მნიშვნელოვანია ნდობის ფაქტორი. აქ ისეთი კავშირი გვაქვს, როდესაც კრედიტორი და დებიტორი იმედოვნებენ, რომ ორივე მხარე შეასრულებს თავის სიტყვას“. იხ: ზარანდია თ., ჯუღელი თ., ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, ე. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4<sup>06</sup>, 80. თუმცა არ შეიძლება გაზიარებული იქნეს ამ ავტორთა მოსაზრება, თითქოს „ნდობა და პირობის შესრულება ... მორალური პრინციპებიდან გამომდინარეობს“, ვინაიდან ნდობის დაცვა და



მაშინ, როცა მაგალითად, სახელშეკრულებო ურთიერთობა ეფუძნება მოტყუებას, მაქინაცოებს. ხელშეკრულება შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების შესახებ ხელშეკრულების არსებობისას ნაკლის მქონე საქონლის ან საქონლის დაგვიანებით ნაწილობრივმა მიწოდებამ. ნდობა ირღვევა მაშინაც, როდესაც კრედიტორი არღვევს მოვალის ინტერესების დაცვის ვალდებულებას. ასეთ დროს მოვალეს შეუძლია აღარ შეასრულოს ვალდებულება საპასუხო მოქმედების შესრულებამდე (სსკ-ის 369-ე მუხლი). მოვალეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე კრედიტორის მიერ თავისი ვალდებულების შესრულებამდე, თუ ამით არ დაირღვევა კეთილსინდისიერების პრინციპი. სწორედ ამიტომ ადგენს 369-ე მუხლი იმპერატიულ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, მოვალეს არ აქვს ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება, თუ იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წიანსწარ შეესრულებინა. საქმე იმაშია, რომ ხელშეკრულების არცერთ მხარეს უფლება არ აქვს ვალდებულების შეუსრულებლობის და არაჯეროვანი შესრულების თაობაზე პრეტენზია იმ ვალდებულების დარღვევას დააფუძნოს, რომელსაც წინ პრეტენზიის მქონე მხარისათვის დაკისრებული ვალდებულების დარღვევა უსწრებდა. ამდენად, 369-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალის უფლების გამოყენებამდე უნდა გამოირიცხოს, რომ კრედიტორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალის ბრალით არ მოხდა. ბრალის შემთხვევაში, მოვალეს მაინც ექნება თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება, თუ დაამტკიცებს, რომ მან თავისი ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ნეგატიური შედეგები აღმოფხვრა. ასეთი უფლება მოვალეს მაშინაც ექნება, როცა კრედიტორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება მოვალის ბრალით არ მომხდარა.

მოვალემ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება კეთილსინდისიერად უნდა გამოიყენოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვალემ აღნიშნული უფლებით მხოლოდ კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილი მიზნის შესაბამისად უნდა ისარგებლოს. მოვალეს ამ უფლების გამოყენების რეალური ინტერესი უნდა ჰქონდეს და არა კრედიტორისათვის ზიანის მიყენების მიზანი. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენება არამართლზომიერად უნდა ჩაითვალოს, თუ მოვალის მიერ აღნიშნული უფლების გამოყენება კრედიტორის ვალდებულების შესრულების შეფერხებას იწვევს. ამდენად, მართალია, მოვალეს კრედიტორის მიერ საპასუხო შესრულების განხორციელებამდე თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება აქვს, თუმცა, აღნიშნული უფლება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ მიზნით, რა მიზანსაც მოვალისათვის აღნიშნული უფლების მინიჭება ემსახურება. თუ „მოვალის“ ამ უფლების განხორციელებით კრედიტორს ზიანი ადგება, ასეთ შემთხვევაში დასაბუთებული უნდა იყოს მოვალის პატივსადები ინტერესი, რომლითაც გამართლებული იქნება მოვალის მიერ აღნიშნული უფლების გამოყენება კრედიტორის საზიანოდ. უფლების გამოყენების მიზანშეწონილობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში,

---

ვალდებულების შესრულება სამართლებრივი მოვალეობანია და გამომდინარეობენ კეთილსინდისიერების ობიექტური პრინციპიდან.

გარემოებათა ერთობლიობით უნდა დადგინდეს. მაგალითად, თუ მოვალემ უნდა მოიპოვოს სამშენებლო ქვიშა და მასალები და მიაწოდოს კრედიტორს, ხოლო კრედიტორს ხელშეკრულებით ეკისრება მოვალის უზრუნველყოფა შესაბამისი ტრანსპორტითა და ტექნიკით, კრედიტორის მიერ ამ ვალდებულების შესრულებამდე მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას სამშენებლო მასალის მიწოდებაზე.

369-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების კეთილსინდისიერად გამოყენება მდგომარეობს ასევე იმაში, რომ მართალია, ნორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაჯეროვანი (ნაწილობრივი) შესრულების შემთხვევაშიც, თუმცა, უფლების კეთილსინდისიერად გამოყენების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენება შეიძლება არამიზანშეწონილი იყოს მაშინ, როდესაც ნაწილობრივი შესრულების პირობებში, დარჩენილია შესასრულებელი ვალდებულების მხოლოდ მცირე ნაწილი.

კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ნდობის მოთხოვნა აწესებს კონტრაქტის ვალდებულებას, არ შელახოს მეორე მხარის იმიჯი, არ შეურაცხყოს იგი. ამასთან, ამგვარი გადაცდომები იმდენად მძიმე უნდა იყოს, რომ შეირყეს ხელშეკრულების განხორციელებისათვის საჭირო ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა და მეორე მხარეს შეუძლებელია მოეთხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება. ანუ მას ვეღარავინ დააძალებს, უნდა თუ არა გააგრძელოს სახელშეკრულებო ურთიერთობა. ხშირ შემთხვევაში ნდობის მოთხოვნა ირღვევა მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებში (მაგალითად, ასეთია დავალების, კომისიის, საკუთრების მინდობის ხელშეკრულება). ნდობის დაცვას მოითხოვს ფრენშაიზინგული ურთიერთობები. ნდობა ირღვევა მაშინაც, როდესაც მაგალითად მოიჯარეს მართალია მინიჭებული აქვს ფართის ქვეიჯარით გაცემის უფლება, მაგრამ ამ უფლებას ახორციელებს იმ მიზნით, რომ კონკურენტი გაუჩინოს მეიჯარეს (მეიჯარის კონკურენტისათვის ფართის გადაცემა ქვეიჯარით) ან შეუდგება თვითონ იმავე საქმიანობას, რომლითაც კონკურენციას უწევს მეიჯარეს. ფირმის სავაჭრო წარმომადგენელს (სავაჭრო აგენტს) არ აქვს უფლება იმავდროულად ემსახუროდეს სხვა კონკურენტ ფირმას ან კომპანიას. ყველა შემთხვევაში ხელშეკრულების შენარჩუნება-არშენარჩუნების საკითხის განხილვისას გადამწყვეტი უნდა იყოს არა სუბიექტური ფაქტორი, არამედ ობიექტური ფაქტორები, რომელთა გამოც აღარ შეიძლება ხელშეკრულების შენარჩუნება. სანქციის სახით ასეთ შემთხვევებში გამოიყენება ზიანის ანაზღაურება.<sup>115</sup> შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ნდობის დარღვევით მიღებული სარგებელი. საყურადღებოა, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ვალდებულების შესრულება შეიძლება გამოიხატებოდეს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც (სსკ-ის

<sup>115</sup> ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე, როგორც ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნის დარღვევის შედეგზე, მითითებულია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. ამ მოთხოვნის განხორციელება შესაძლებლად არის მიჩნეული სსკ-ის 394-ე მუხლის საფუძველზე. იხ: *სუხიტაშვილი თ.*, პასუხისმგებლობა საკუთარი და მესამე პირის მოქმედებისათვის, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(33)<sup>12</sup>, 26.

316-ე მუხლის პირველი ნაწილი), რაც შეიძლება მოთხოვნილი იქნეს მსგავსს შემთხვევებში.

## 1.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მოქმედების ფარგლების საკითხისათვის

სსკ-ის 361-ე მუხლის მოქმედების ფარგლების საკითხის გარკვევის გარეშე შეუძლებელია აიხსნას კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე მთელი რიგი ვალდებულებების არსებობა. ის გარემოება, რომ 361-ე მუხლის მოქმედების არეალი მისი ფორმულირების მიუხედავად, არ შემოიფარგლება მარტოოდენ მოვალით, განაპირობებს იმას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულებები და მოთხოვნები ვრცელდება როგორც მოვალეზე, ისე კრედიტორზე.

კონტრაქტმა თავისი ქცევითა და მოქმედებით უნდა გაამართლოს მეორე მხარის მოლოდინი. კრედიტორი მოელის, რომ სამართლებრივი ურთიერთობა ნორმალურად განვითარდება და ჯეროვანი შესრულებით მისი მოლოდინი გამართლდება. ამიტომ, ამ თვალსაზრისით ადვილად არის შესაძლებელი იმის განჭვრეტა, თუ როგორ მოიქცევა ნებისმიერი მოვალე ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კეთილსინდისიერების მოთხოვნა ვალდებულების შესრულების მიმართ დგინდება.<sup>116</sup>

სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილიც, თავისი ფორმულირებით, თითქოს ეხება ხელშეკრულების შესრულების დროს მხოლოდ მოვალის ქცევის განსაზღვრულ წესს. მაგრამ ამგვარი საკანონმდებლო ფორმულირების მიუხედავად, მოცემული ნორმა გამოიყენება სამართლებრივი ურთიერთობის ყველა მონაწილის მიმართ. იგივე მიდგომაა გერმანულ სამართალში გსკ-ის 242-ე მუხლის მიმართ. კერძოდ, ზოგიერთი მეცნიერი 242-ე მუხლის ზუსტ ტექსტს იშველიებს და მხარს უჭერს იმ დებულებას, რომ „*Treu und Glauben* ქმნის ერთმანეთზე დამოკიდებულ ცნებებს. ერთგულება ვერ იარსებებდა მეორე მხარის ნდობის გარეშე. მაშასადამე პრინციპს *Treu und Glauben* მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ვალდებულებითი ურთიერთობის ორივე მონაწილისათვის”.<sup>117</sup>

ამრიგად, კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება ვალდებულებით ურთიერთობაში მონაწილე ორივე მხარის ინტერესის დაბალანსების და გაწონასწორების მიზნით.

არა მხოლოდ მოვალემ უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები და გაითვალისწინოს სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსი (არსი) და მიზანი, არამედ კრედიტორმაც უნდა გაითვალისწინოს კონტრაქტის

<sup>116</sup> Лукьяненко М. Ф. Оценочные понятия гражданского права: разумность, добросовестность, существенность. Изд-во „Статут“, М., 2010, 394

<sup>117</sup> Teichmann A. Kommentierung zu §242 BGB. In: Soergel Hans Th., Bürgerliches Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Kommentar, 12 Aufl. Band 2/1, 1990, Rdnr. 4

ინტერესები, როცა დააპირებს მოვალისათვის მოთხოვნის წარდგენას. მაგალითად, კრედიტორმა მოვალის მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა მიიღოს ნაწილობრივი შესრულება (დათანხმდეს ნაწილობრივ შესრულებაზე). მართალია, ერთი შეხედვით ეს ეწინააღმდეგება სსკ-ის 378-ე მუხლს, მაგრამ ამ მუხლის შინაარსი უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით. ამიტომ, კრედიტორს არ აქვს უფლება დაეყრდნოს იმას, რომ მას არ გამოუხატავს თანხმობა ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ამგვარი შესრულება მიგვიყვანს იმავე ეკონომიკურ შედეგამდე, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. როგორც მართებულად არის აღნიშნული ქართულ დოქტრინაში, „ასეთ შემთხვევაში ნაწილობრივი შესრულება არ იქნება ვალდებულების შეუსრულებლობა. კრედიტორის უფლებრივ სფეროში ასეთი „შეჭრა“ ემყარება სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ კეთილსინდისიერების პრინციპს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნას ...”<sup>118</sup> გარდა ამისა, კრედიტორმა უნდა მიიღოს გადახდა მაგალითად, ჩვეთ, ნაღდი ფულის სანაცვლოდ. კრედიტორს შეიძლება დაეკისროს ასევე სხვა ვალდებულებებიც. მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლამდე დაეკისროს მოვალის წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება. როდესაც ადგილი აქვს მოვალის მხრიდან მცირე დარღვევას, კრედიტორს არა აქვს ხელშეკრულების (ვალდებულების) შესრულებაზე უარის თქმის უფლება საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე სსკ-ის 369-ე მუხლზე დაყრდნობით. უმნიშვნელო დარღვევისას კრედიტორს არ შეუძლია ხელშეკრულებიდან გასვლა ნარდობის ხელშეკრულებაში (სსკ-ის 644-ე მუხლი). კრედიტორი უნდა დათანხმდეს თანხის მიღებას უნაღდო ანგარიშსწორების წესით (გადარიცხვით მის საბანკო ანგარიშზე), თუ მან მანამდე თანხმობა განაცხადა ამაზე (მაგალითად, საბანკო ანგარიშის დასახელებით ან სხვაგვარად). მარტოოდენ ანგარიშის გახსნა საკმარისი არ არის. რწმუნებულს აქვს დავალების ხელშეკრულებიდან გადახვევის უფლება, თუ ამით მარწმუნებლის ინტერესები არ ირღვევა. ასეთ შემთხვევაში ამგვარ გადახვევას მარწმუნებელი ვერ გახდის სადაოდ. კრედიტორი შეცვლილ შესრულებას მაშინ უნდა დაეთანხმოს, თუ ეს მის ინტერესებს უკეთ ემსახურება.

შესაძლოა, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, მოვალეს არ მოეთხოვოს ვალდებულების შესრულება. ამიტომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყოველი ცალკეული, კონკრეტული შემთხვევა. ასეთ დროს მკაცრი ფარგლების დადგენაა საჭირო, რადგანაც ვალდებულებითი სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, მოვალე ყოველთვის ვალდებულია პასუხი აგოს მთლიანი ვალდებულების შესრულებისათვის.<sup>119</sup> ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ე.ი. მოვალეს მაშინ შეიძლება არ მოეთხოვოს ვალდებულების შესრულება, როდესაც „ვალდებულების შესრულება ღახავს უფრო მაღალი ღირებულების მქონე ინტერესს, როგორცაა სიცოცხლე, მოვალის ან მისი ოჯახის

<sup>118</sup> ზოდუ ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გამომც., „სამართალი“, 2001, 320

<sup>119</sup> Larenz K. Lehrbuch des Schuldrechts, Bd. I, Allgemeiner teil. 14 Aufl. München, 1987, 134.,

წევრების ჯანმრთელობა, ან თუნდაც სხვა მორალური ფასეულობა”.<sup>120</sup> ამრიგად, მართალია ხელშეკრულების პირობებისადმი ერთგულების პრინციპი ელემენტარული სამართლებივი ფასეულობაა, მაგრამ ამ პრინციპის შეზღუდვა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოვალე არ აგებს პასუხს, ე.ი. მოვალეს არ მოეთხოვება ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, თუ კრედიტორი თავის მხრივ არალოიალურობას გამოიჩენს და ამით კეთილსინდისიერების პრინციპს დაარღვევს.<sup>121</sup> სსკ-ის 401-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას, როცა ეს მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული, მოვალეს ვადა გადაცილებულად არ ჩაეთვლება. ასეთ დროს კრედიტორი ვერ მოსთხოვს მას შესრულებას. კრედიტორს ასევე არ აქვს უფლება მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 404-ე მუხლის საფუძველზე. კრედიტორის უფლებების განსაზღვრა უნდა მოხდეს სსკ-ის 394-ე, 405-ე, 406-ე და 407-ე მუხლებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

მართალია, სკ-ის 361-ე მუხლი ტექსტობრივი შინაარსიდან და კანონში განთავსების ადგილიდან გამომდინარე, ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობას გულისხმობს, მაგრამ მასში გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპი, ცალკეულ შემთხვევაში შესრულების ვალდებულების წარმოშობას შეიძლება დაედოს საფუძველად. ე.ი. კეთილსინდისიერების პრინციპმა შეიძლება გამონაკლის შემთხვევებში ვალდებულების შესრულების მოვალეობა წარმოშვას. შესაძლებელი რომ გახდეს კეთილსინდისიერების ანუ ნდობის პრინციპის საფუძველზე ასეთი „შესრულების მიღება“, აუცილებელია მეორე მხარეს ჰქონდეს მოლოდინი კონტრაქტის ქმედებიდან გამომდინარე. შესადერებისათვის, უცხოურ დოქტრინაში მოხმობილია შემდეგი მაგალითი: პირი, დიდი ხნის განმავლობაში სარჩოს სახით თანხას (ფულს) უხდიდა მეორე პირს, რომლის მიმართაც მას გადახდის ვალდებულება ფაქტიურად არ გააჩნდა. თუ შესრულების (სარჩოს) მიმდებს ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შესრულების გამო მოლოდინი გაუჩნდა და მისთვის ამ დახმარებაზე დამოკიდებულება „შეუქცევადი“ გახდა, მაშინ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ნდობის პრინციპი მოითხოვს, რომ დაცული იქნეს მიმღები, რომელიც ვარაუდობდა, რომ ეს დახმარება არ შეწყდებოდა. ამის გამო გადამხდელს, „ვალდებულების“ შემსრულებელს დაეკისრება შესაბამისი მოვალეობა, უხადოს მიმღებს სარჩო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში,

<sup>120</sup> იქვე, 135, აქ მაგალითისთვის შეიძლება დასახელდეს შემთხვევა, როდესაც ცნობილ მსახიობს არ შეუძლია სცენაზე გამოსვლა ავადმყოფობის გამო და ეს მას არც შეიძლება რომ მოეთხოვოს, რადგანაც ამან შესაძლოა მისი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს.

<sup>121</sup> Larenz K. Lehrbuch des Schuldrechts, Bd. I, Allgemeiner teil. 14 Aufl. München, 1987, 136

თუ გადამხდელის ეკონომიკური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა.<sup>122</sup>

### 1.3 კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინება სახელშეკრულებო (ვალდებულებით) სამართლებრივ ნორმებში

#### 1.3.1 კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინება საზღვარგარეთის ქვეყნების სახელშეკრულებო სამართლებრივ ნორმებსა და საერთაშორისო დონის აქტებში

კეთილსინდისიერების პრინციპი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის სახით საერთაშორისო დონეზე პირველად საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის 1980 წლის კონვენციაში აისახა, რომელშიც (7(1)-ე მუხლში) გათვალისწინებული იქნა წესი, რომ კონვენციის განმარტების დროს აუცილებელია „კეთილსინდისიერების დაცვა საერთაშორისო ვაჭრობაში“.<sup>123</sup> მოცემული დებულება ხელშეკრულების მხარეებს როდი აკისრებს კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებას. კონვენციის 7(1)-ე მუხლი ეხება მხოლოდ კონვენციის „განმარტებას“ და სასამართლოებისადმი უფროა მიმართული, ვიდრე მხარეებისადმი. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სასამართლოებმა კონვენციის განმარტების დროს უნდა დაიცვან კეთილსინდისიერება საერთაშორისო ვაჭრობაში. სახელდობრ, „კეთილსინდისიერების“ ცნება მოიცავს: პარტნიორისათვის უტყუარი ცნობების მიწოდებას, საკუთარი თავისა და იმ იურიდიული პირის შესახებ, რომლის სახელითაც და რომლის ინტერესების დასაცავად გამოდის წარმომადგენელი; გარიგების საგნად ქცეული საქონლის შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიწოდებას; მესამე პირთა ნებისმიერი უფლებისა და პრეტენზიისაგან, მათ შორის სამრეწველო ან სხვა ინტელექტუალურ საკუთრებაზე დაფუძნებული უფლებისა და პრეტენზიისაგან თავისუფალი საქონლის მიწოდებას (კონვენციის 41-ე და 42-ე მუხლებით გათვალისწინებულ ფარგლებში); საკუთარი უფლებების განხორციელებას სხვა პირთა კანონიერი ინტერესების დაურღვევლად; საქმიანი ეთიკის წესების დაცვას; შესაბამისი ზომების მიღებას სახელშეკრულებო პირობების სათანადოდ შესასრულებლად.

უფრო ფართო მიდგომა იქნა გამოყენებული ამერიკაში, სადაც უნიფიცირებულმა სავაჭრო კოდექსმა 1-203 მუხლში დაადგინა, რომ „ყოველი კონტრაქტის ან ვალდებულების შესრულებისა და იძულებითი განხორციელების დროს მოქმედებს კეთილსინდისიერების მოვალეობა“ და ამ მიზნით 1-201 მუხლი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც „პატიოსნებას ყველაფერში, რაც ქცევას ან გარიგებას ეხება“,<sup>124</sup> ე.ი. აშშ-ს უნიფიცირებულ სავაჭრო კოდექსში მოცემულია

<sup>122</sup> იქვე, 142. იხილეთ აგრეთვე: *Schmidt J.*, Kommentar zu §242 BGB, in: *Staudinger J.*, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Berlin, 1995, Rn. 578ff

<sup>123</sup> <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/treaty.html>

<sup>124</sup> <http://www.casefilemethod.com/Statutes/Short%20UCC.pdf>



კეთილსინდისიერების ნორმატიული ცნება. როგორც ვხედავთ, სავაჭრო კოდექსი უფრო ამომწურავად განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, ვიდრე ვენის კონვენცია. ამასთან, სავაჭრო კოდექსი უშუალოდ მხარეებს ეხება. მაგრამ მოცემულ კონტექსტში კეთილსინდისიერების გამოყენება შეზღუდულია „შესრულებითა და იძულებითი განხორციელებით“ და არ ვრცელდება წინასახელშეკრულებო სტადიაზე. კეთილსინდისიერებად მიიხსნება პატიოსნება ქცევაში ან გარიგებაში. 2-103 მუხლში დაზუსტებულია, რომ კეთილსინდისიერება კომერსანტის მიმართ ნიშნავს პატიოსნებას ქცევაში და სავაჭრო საქმეების პატიოსნად წარმოების გონივრული კომერციული კრიტერიუმების დაცვას.<sup>125</sup> აღნიშნულ აქტში კეთილსინდისიერება გათვალისწინებულია აგრეთვე სხვა მუხლებში.

კეთილსინდისიერების პრინციპისადმი ფართო მიდგომა გამოიყენება სხვა ნაციონალურ და საერთაშორისო აქტებშიც. მაგალითად, გსკ-ს 242-ე მუხლი ადგენს, რომ „მოვალე ვალდებულია შესრულება განახორციელოს კეთილსინდისიერად, როგორც ამას მოითხოვს ბრუნვის ჩვეულებები“.<sup>126</sup> კეთილსინდისიერებისა და პატიოსნად საქმიანობის პრინციპი დადგენილია უნიდრუას საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების 1.7-ე მუხლში. უნიდრუას საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების 1.7-ე მუხლი ადგენს, რომ „ყველა მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და საერთაშორისო ვაჭრობაში პატიოსანი საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად“.<sup>127</sup> ამასთან, მხარეებს არ აქვთ უფლება გამორიცხონ ან შეზღუდონ აღნიშნული პრინციპის შესაბამისად მოქმედების ვალდებულება. ანალოგიურადვე წყდება საკითხი ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 1.201-ე მუხლშიც. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 1.106(1)-ე მუხლი შეიცავს წესს, რომ უფლებათა განხორციელებისა და ვალდებულებათა შესრულების დროს ყველა მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და პატიოსანი საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად.

„კეთილსინდისიერების“ მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: როგორც უნიდრუას პრინციპებისათვის, ისე ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მხარეებს არა აქვთ უფლება გამორიცხონ ან შეზღუდონ კეთილსინდისიერების ვალდებულება. საინტერესოა ის, როგორ შეიძლება დადგინდეს სავალდებულო წესები სავალდებულო ძალის არმქონე პრინციპებში. რეალურად კი, არ არსებობს სანქციები იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ხელშეკრულებაში შეიტანენ პრინციპების დებულებებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამორიცხავენ კეთილსინდისიერად მოქმედების

<sup>125</sup> <http://www.law.cornell.edu/ucc/2/2-103>

<sup>126</sup> ებკე და შტაინჰაუერი აღნიშნავენ, რომ გერმანიის სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების დოქტრინა ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას: სასამართლო ხელისუფლების სამართლებრივი დადგენილებების საფუძველია; კონკრეტულ სასამართლო საქმეებში აყალიბებს სამართლებრივი დაცვის საფუძველებს; უზრუნველყოფს კონკრეტულ ხელშეკრულებებში რისკების განაწილების სამართლებრივ საფუძველს. იხ. *Werner F. Ebke, Bettina Steinhauer. The Doctrine of Good Faith in German Contract Law. Good Faith and Fault in Contract Law. Oxford 2002*, 171

<sup>127</sup> [http://vneshmarket.ru/content/document\\_r\\_E3922952-5DDF-4D19-8211-7BAFF3106A71.html](http://vneshmarket.ru/content/document_r_E3922952-5DDF-4D19-8211-7BAFF3106A71.html)

ვალდებულებას. მაგრამ ის, რომ კეთილსინდისიერების დამდგენი ნორმები ფორმულირებულია როგორც სავალდებულო წესები, მიუთითებს კეთილსინდისიერების მნიშვნელობაზე, როგორც უნიდრუას პრინციპებისათვის, ისე ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებისათვის.

სახელშეკრულებო (ვალდებულებითი) ურთიერთობის მონაწილეთა მიმართ კეთილსინდისიერების მოთხოვნა დადგენილია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით. 1804 წლის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი სახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ კეთილსინდისიერების მოთხოვნის დამდგენ პირველ კანონად არის მიჩნეული. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლის თანახმად, კანონიერად დადებული შეთანხმებები, კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს.<sup>128</sup>

პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსის 762-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების შესრულების დროს, ისევე, როგორც უფლების განხორციელების დროსაც, მხარეები ვალდებული არიან იმოქმედონ კეთილსინდისიერად.<sup>129</sup> ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, სავაჭრო ხელშეკრულებები კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს, მათში ჩართული პირობების შესაბამისად.<sup>130</sup> იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1337-ე და 1375-ე მუხლების მიხედვით, მხარეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერება დაიცვან არა მხოლოდ კონტრაქტის შესრულების დროს, არამედ წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების წარმოების დროსაც.<sup>131</sup>

იაპონიის სამოქალაქო კოდექსი კეთილსინდისიერების პრინციპს განსაზღვრავს, როგორც სამოქალაქო სამართლის წამყვან პრინციპს. იაპონიის სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლი მოქცეულია კოდექსის პირველ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „ფუნდამენტური პრინციპები“. ამ კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „უფლების განხორციელება და მოვალეობის შესრულება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად“.<sup>132</sup> ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, უფლების ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად უნდა განიმარტებოდეს არა მხოლოდ მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, არამედ იაპონიის სამოქალაქო კოდექსის ნორმებიც. იაპონიასა და გერმანიაში კეთილსინდისიერების პრინციპისადმი მიდგომა სასამართლო პრაქტიკაში ერთნაირია. იაპონიაშიც ძირითადად ამ პრინციპს იყენებენ არსებულ ვალდებულებათა დაზუსტების, განვრცობის მიზნით,

<sup>128</sup> [http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do;jsessionid=F88F216F5704B702486C1A27DCC41989.tpdj\\_o14v\\_3?idSectionTA=LEGISCTA000006150240&cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130918](http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do;jsessionid=F88F216F5704B702486C1A27DCC41989.tpdj_o14v_3?idSectionTA=LEGISCTA000006150240&cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130918)

<sup>129</sup> [http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file\\_id=200239](http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=200239)

<sup>130</sup> [http://www.mjusticia.gob.es/cs/Satellite/1292418034089?blobheader=application%2Fpdf&blobheadername1=Content-Disposition&blobheadervalue1=attachment%3B+filename%3DSpanish\\_Civil\\_Code\\_%28Código\\_Civil%29.PDF](http://www.mjusticia.gob.es/cs/Satellite/1292418034089?blobheader=application%2Fpdf&blobheadername1=Content-Disposition&blobheadervalue1=attachment%3B+filename%3DSpanish_Civil_Code_%28Código_Civil%29.PDF)

<sup>131</sup> <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=2508> ; „Esecuzione di buona fede. Contratto deve essere eseguito secondo buona fede” (ხელშეკრულება კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს). Codice civile e leggi complementari. Garofoli R., Iezzi M.K. Roma, 2008,257

<sup>132</sup> [http://en.wikisource.org/wiki/Civil\\_Code\\_of\\_Japan/Part\\_I](http://en.wikisource.org/wiki/Civil_Code_of_Japan/Part_I)



უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების, სამართლებრივი ურთიერთობის კონსტრუირების მიზნით საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. კეთილსინდისიერების პრინციპი ფუნდამენტური დებულებაა, რომელიც სამართლებრივ ვალდებულებათა კონტროლის საშუალებად იქცა.<sup>133</sup> საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი ორივე ქვეყანაში ემყარება საერთო საფუძველს - ჰუმანურობას.

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად: „ყველამ უნდა განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები კეთილსინდისიერების შესაბამისად“<sup>134</sup>. კეთილსინდისიერების მოთხოვნის დარღვევა იწვევს გარიგების ბათილობას, მაშინ, როდესაც, კეთილსინდისიერად მოქმედება გამორიცხავს ბათილობას. კეთილსინდისიერების პრინციპი შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებშია მოცემული. მაშასადამე, მას მნიშვნელობა აქვს როგორც უზოგადეს მოთხოვნას მთელი სამოქალაქო სამართლისათვის და არა მარტოდენ სახელშეკრულებო სამართლისათვის.<sup>135</sup>

ევროპაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს კეთილსინდისიერების, როგორც სამართლებრივი პრინციპის მიმართ.<sup>136</sup> მაგალითად, შეიძლება შევადაროთ გერმანიისა და ჰოლანდიის კანონმდებლობა ინგლისში მოქმედ საერთო სამართალს. გერმანიაში, კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე სასამართლოები მხარეთა შორის წამოჭრილი დავის განხილვისას, აღარ იყენებენ ხელშეკრულების უსამართლო პირობებს. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულებები უზრუნველყოფენ ხელშეკრულებისადმი მხარეთა ერთგულებას. ასეთი ვალდებულებებია: მეორე მხარესთან თანამშრომლობის ვალდებულება, მისი ინტერესების დაცვა, ინფორმირების ვალდებულება (მხარისათვის იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც, მისთვის არის აუცილებელი). სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის თანახმად, მხარის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ან მხარემ დაკარგოს უფლება, თუკი უფლების დაცვისას ადგილი აქვს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას ან უფლების ბოროტად გამოყენებას.

ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი (1992 წელი) საშუალებას აძლევს სასამართლოებს არ გამოიყენონ კოდექსის დებულებანი, როცა მათი გამოყენება არაგონივრული იქნებოდა. კანონის, ჩვეულების, სხვა სამართლებრივი აქტის საფუძველზე მხარეთათვის სავალდებულო წესი არ უნდა იქნეს გამოყენებული, თუ გარემოებათა გამო ეს არაგონივრული

<sup>133</sup> <http://www.tomeika.jur.kyushu-u.ac.jp/transaction/contract.html>

<sup>134</sup> [http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file\\_id=270609](http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=270609)

<sup>135</sup> <http://dare.uva.nl/document/226248>, Hesselink M. W., The Concept of Good Faith, 647

<sup>136</sup> იგ., Peter Van Schilfgaarde. System, good faith and equity in the New Dutch Civil Code ERPL 5(1997) 1-10; Marietta Auer, Good Faith: A Semiotic Approach, ERPL 2 (2002), 279-301; Simon Whittaker, Assessing the Fairness of contract Terms: The Parties `Essencial Bargain`, its Regulatory Context and the Significance of the Requirement of Good faith, Zeup 1/2004, 75-98 და სხვა.

იქნებოდა კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით. ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 6:2-ე მუხლის თანახმად, კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთა შორის არსებული ვალდებულების არა მარტო შევსების, არამედ აგრეთვე ვალდებულების შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველია. 6:248-ე მუხლი მსგავს წესს განამტკიცებს ხელშეკრულებათა მიმართ. სახელშეკრულებო ვალდებულებებში კეთილსინდისიერების პრინციპის ამსახველი დებულებები, გვხვდება ევროპის კავშირში შემავალი, კოდიფიცირებული კანონმდებლობის მქონე სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ ამ ქვეყნების კოდექსებმა არ გაითავისეს კეთილსინდისიერების პრინციპის სული ისე, როგორც გერმანიისა და ჰოლანდიის კოდექსებმა. ამ პრინციპს იყენებენ აგრეთვე სკანდინავიური ქვეყნების მოსამართლეები, თუმცა კეთილსინდისიერების პრინციპი სტატუტების ზოგად დებულებებში მკაფიოდ გამოხატული არ არის.

პირიქით, ინგლისის სამართალი არ შეიცავს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მოქმედების ვალდებულებას. არაგონივრულობა და უსამართლობა არ წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების ბათილობის საფუძველს.<sup>137</sup> თუმცა ის შედეგები, რომლებიც მიიღწევა კონტინენტური სამართლის ქვეყნებში კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებით, ინგლისურ სამართალში მიიღწევა სხვა სპეციფიკური წესების მეშვეობით, რომლებიც უფრო და უფრო მრავალრიცხოვანი ხდება. თუმცა პრინციპი უფრო ფართოა, ვიდრე მისი გამოყენების კერძო შემთხვევები. პრინციპის მიზანი მდგომარეობს სავაჭრო გარიგებებში კეთილსინდისიერების, წესიერების და გონივრულობის ზოგადი სტანდარტის ჩამოყალიბებაში.

თუ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ არაგონივრული იქნებოდა დაზარალებულ მხარეს მოეთხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა, მას არ აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება, რადგან ასეთ დროს მოქმედებს კეთილსინდისიერების პრინციპი.

## 1.3.2 კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინება ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში<sup>138</sup>

### 1.3.2.1 ზოგადად ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების შესახებ

<sup>137</sup> Гражданское и торговое право Европейского Союза (основные институты): Учеб. пособие. Под. общ. ред. В.В. Безбаха, В. Ф. Поньки, К.М. Беликовой, Рудн. М., 2010, 145

<sup>138</sup> ტერმინი „პრინციპი“ არ გულისხმობს „პრინციპს“ იმ გაგებით, როგორც ეს მოიაზრება სამართლებრივი თვალსაზრისით ნორმებსა და პრინციპებს შორის განსხვავებაზე მსჯელობისას. ამდენად, რეალურად აქ საუბარია ევროპის სახელშეკრულებო სამართლის ძირითად ნორმებსა და წესებზე, ეს ეხება უნიდრუას წესებსაც. ამიტომ ნაშრომის ტექსტში გამოყენებული ტერმინი „პრინციპი“ გულისხმობს სწორედ ზემოაღნიშნულ ნორმებსა და წესებს. ტერმინოლოგიურ საკითხზე იხილეთ: *ციმერმანი რ.*, საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებათა 2004 წლის „უნიდრუას“ ძირითადი ნორმები შედარებით პერსპექტივაში. ჟ. „აღამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005, 37-39.

კეთილსინდისიერების პრინციპი აისახა ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში (*The Principles of European Contract Law*), რომლებიც შეიქმნა ევროპარლამენტისა და ევროპის კავშირის სპეციალური კომისიის მხარდაჭერით. ამ კომისიის სათავეში იდგა ოლე ლანდო<sup>139</sup>. 2003 წელს ევროპის კომისიამ წამოაყენა ევროპის სახელშეკრულებო სამართლის საერთო სისტემის შემუშავების წინადადება, რომელშიც უნდა ასახულიყო ყოველსმომცველი პრინციპები, განსაზღვრებები და წესები სახელშეკრულებო ურთიერთობებისათვის.<sup>140</sup> შემდგომში შემუშავდა ევროპის სახელშეკრულებო სამართლის საერთო სისტემის პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა 2008 წელს (*Draft Common Frame of Reference (DCFR)*). პროექტი წარმოადგენს შედარებითი კვლევის შედეგს, რომელიც აწარმოებს სახელშეკრულებო სამართლის ევროპის კვლევითმა ჯგუფებმა<sup>141</sup> და განხორციელებული იყო ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში. პროექტის შემქმნელები ხაზს უსვამენ, რომ ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს ოფიციალურად მიღებულ ტექსტს და მასზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ კვლევით ჯგუფებს.<sup>142</sup> თანამედროვე პერიოდში მოცემული პროექტი საინტერესოა, როგორც შედარებითი კვლევის წყარო.

ოლე ლანდოს მიერ შედგენილ ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში განსაკუთრებული ადგილი უკავია კეთილსინდისიერების პრინციპსაც (1:105-ე მუხლი). გათვალისწინებულია, რომ თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად და მხარეებს არ აქვთ უფლება შეზღუდონ კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება. გარდა ამისა, მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ხელშეკრულებათა შინაარსი კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად (1:102-ე მუხლი). დადგენილია, რომ მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ მოლაპარაკებათა წარმოება (2:301-ე მუხლი) და პასუხს აგებენ შეთანხმების მიღწევაზე, მაგრამ ამასთან, გათვალისწინებულია, რომ „მხარე, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებებს ან შეწყვიტა მოლაპარაკებები კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ, პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ამით მიყენებული ზიანისათვის“. მოცემულ შემთხვევაში ხდება გამიჯვნა(განსაზღვრა), რა ითვლება არაკეთილსინდისიერ ქცევად მოლაპარაკებების დონეზე. ამგვარ ქცევად

<sup>139</sup> პრინციპების შესაქმნელად მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1970 წელს. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ 1995 წელს გამოქვეყნდა პირველი ნაწილი (იხ: *Ole Lando, Hygh Beale (Hg) Principles of European contract Law, Parts I, 1995*, აგრეთვე *Reinhard Zimmermann, Konturen eines Europäischen Vertragsrechts, 1995, 477*), პრინციპების გაფართოებული, კონსოლიდირებული ვერსია გამოვიდა 2000 წელს (იხ: *Ole Lando, Hygh Beale (Hg) Principles of European contract Law, Parts I, and II, 2000*), ხოლო 2003 წელს-მესამე ნაწილი. *Ole Lando/Eric Clive/Andre Prüm/ Reinhard Zimmermann (Hg), Principles of European contract Law, Parts III, 2003*

<sup>140</sup> Communication from the Commission of 12 February 2003 to the European Parliament and the Council - A more coherent European contract law – An action plan. Com (2003) 68 final. Official Journal C63 of 15.3.2003.

<sup>141</sup> კერძოდ, Study Group on a European Civil Code და Research Group on Existing European Community Private Law.

<sup>142</sup> Draft Common Frame of Reference, Introduction, para 4

ითვლება მოლაპარაკებათა დაწყება ან გაგრძელება მეორე მხარესთან ხელშეკრულების დადების ნამდვილი განზრახვის გარეშე (მე-3 მუხლი). კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ მოქმედებათა განხორციელების შემთხვევაში წამოიჭრება ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხი.

კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად ხორციელდება ხელშეკრულებათა განმარტება. კეთილსინდისიერება მიიჩნევა ხელშეკრულების მხარეთა ვალდებულებების წარმოშობის საფუძველად. მაგალითად, 6:102-ე მუხლი ითვალისწინებს: „დადგენილი დებულებების გარდა ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს დუმილის შესახებ დებულებებსაც, რომლებიც მომდინარეობენ: 1) მხარეთა განზრახვებიდან; 2) ხელშეკრულების ბუნებიდან და მიზნებიდან და 3) კეთილსინდისიერების პრინციპიდან. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპები პირდაპირ არ მიუთითებენ კეთილსინდისიერების პრინციპზე, მაინც სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების დროს არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს პრინციპი არ მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობების მოცემულ სტადიაზე. ეს დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ 8:109-ე მუხლით გათვალისწინებული დებულების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივი საშუალებების გამორიცხვის ან შეზღუდვის შესაძლებლობას. მასში ნათქვამია: „ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამართლებრივი საშუალებები შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს, მხოლოდ მაშინ, როცა გამორიცხვის ან შეზღუდვის მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს“.

ისევე, როგორც ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში, კეთილსინდისიერების კატეგორია აისახა 2008 წლის პროექტშიც.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ცალკეულ ქვეყნებში კეთილსინდისიერება მიიჩნევა ზოგად პრინციპად, ხოლო ზოგიერთი ქვეყნის სამართალში კი იგი ასეთად არ მიიჩნევა. როგორც ჩანს, ხანგრძლივი ანალიზისა და სამართლის შედარების შემდეგ, დაასკვნეს, რომ კეთილსინდისიერება მიეკუთვნება ისეთ სამართლებრივ კატეგორიას, როგორც არის პრინციპი, თანაც ეს არის სახელშეკრულებო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი.<sup>143</sup>

პროექტი არ შეიცავს კეთილსინდისიერების ცნების შედარებით ანალიზს. თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პროექტი განასხვავებს ისეთ ტერმინებს, როგორც არის ერთი მხრივ *good faith and fair dealing* და მეორე მხრივ, *good faith* და შერჩეულ იქნა ლაკონური და მოკლე განსაზღვრება. *good faith and fair dealing* არის ქცევის ობიექტური სტანდარტი, ხოლო *good faith* – პირის სუბიექტური ფსიქიკური დამოკიდებულება ქცევისადმი, რაც გამოიხატება რაიმე ფაქტის არცოდნაში.

<sup>143</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law. Draft Common Frame of Reference (DSFR). Prepared by the Study Group on a European Civil Code and the Research Group on Ec Private Law, 17.

გამოთქმის *good faith and fair dealing* (რაც ქართულად ნიშნავს კეთილსინდისიერებას და გარიგების სამართლიანად დადებას) გამოყენების მიზეზი არ არის ახსნილი, მაგრამ როგორც ჩანს, ამგვარი არჩევანი ხაზს უსვამს მათ სინონიმურობას. აუცილებელია, გაანალიზდეს ზემოაღნიშნული ტერმინოლოგია. არსებობს დავა გამოთქმის *good faith* და გამოთქმის *fair dealing* ერთმანეთთან კავშირის თაობაზე. ტერმინი *good faith* განისაზღვრება, როგორც პატიოსნად (კეთილსინდისიერად) და სამართლიანად მოქმედების სურვილი. ამ შემთხვევაში საუბარია სუბიექტური გაგებით მოცემული ცნების მნიშვნელობის თაობაზე. მეორე მხრივ, *fair dealing* უკავშირდება ერთგულად, სანდოდ (*loyalty*), სამართლიანად მოქმედების იდეას (ობიექტური გაგება).<sup>144</sup> მოცემულ შემთხვევაში არსებობს განსხვავებები ამ ცნებებს შორის. მაგალითად, მიეთითება, რომ *good faith*-სა და *loyalty*-ს შორის კავშირის მიუხედავად, ისინი უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან. *loyalty*-ს შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლებიც ეფუძნება კონტრაქტებს შორის ნდობას. ერთგულება მიჩნეული უნდა იქნეს უაღრეს კეთილსინდისიერებად. მეორე მხრივ, მაგალითად, ფრანგულ სამართალში *good faith* არის ერთგულება, რომლიდანაც გამომდინარეობს თანამშრომლობის ვალდებულება.<sup>145</sup> ასეთი მოკლე დახასიათებაც კი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რთულია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ცნებები *good faith* და *fair dealing*.

აღსანიშნავია, რომ პროექტში ხშირად გვხვდება ტერმინი „გონივრულობა“, კერძოდ, „გონივრული პირობა“, „გონიერი მხარე“, „გონივრული ფასი“ და ა.შ. გონივრულობა ხშირად მიიჩნევა კეთილსინდისიერების ეკვივალენტად, განსაკუთრებით ინგლისის სამართალში. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებიც შეიცავს დებულებებს, რომ „გონივრულობა უნდა შეფასდეს იქიდან გამომდინარე, რასაც ასეთივე სიტუაციაში კეთილსინდისიერად მოქმედი პირები, ისევე როგორც მხარეები, ჩათვლიდნენ გონივრულად. გარდა ამისა, როგორც აღინიშნება, „ერთგულების მოთხოვნა, თავისი არსით, გამოხატავს კეთილსინდისიერებისათვის და გონივრული სტანდარტებისათვის მინიჭებულ როლს“.<sup>146</sup>

პროექტში კეთილსინდისიერება მიჩნეულია ხელშეკრულების განმარტების საშუალებად. პროექტი შეიცავს წესს, რომ ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მხარეთა განზრახვებიდან გამომდინარე (II. 8:101 (1)), აგრეთვე *good faith and fair dealing*-ის შესაბამისად (8:102 (g)). გარდა ამისა, პროექტის დებულებათა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გამოვკვეთოთ კეთილსინდისიერების ფუნქციები. კერძოდ, შევსების ფუნქცია მოლაპარაკებათა წარმოების შემთხვევაში (II 3:301(3)), თანამშრომლობის ვალდებულების დაკისრების ფუნქცია (III 1:104),

<sup>144</sup> Howells G., Schulze R., *Modernising and Harmonising Consumer Contract Law: With Reference to the Planned Horizontal Consumer Contract Directive*. Sellier European Law Publishers. 2009, 126.

<sup>145</sup> Terré F., Simler P., Lequette Y., *Droit civil. Les obligations*. Paris. Dalloz. 2005. n. 439, 442. Malaurie P., Aynés L., Stoffel-Munck P., *Les Obligations*. Defrénois. 2007, n. 764, 386.

<sup>146</sup> Mazeaud D., *Un droit européen en quête d'identité. Les principes du droit européen des contrats*. Dalloz, Chr. 2007, 2962

შეზღუდვის ანუ შემზღუდავი ფუნქცია ხელშეკრულების დებულებათა ნამდვილობის განსაზღვრის შემთხვევაში (III 3:105 (2)); და კორექტირების (მაკორექტირებელი) ფუნქცია, რაც ნიშნავს ხელშეკრულების შეცვლას გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში ( III 1:110 (2)(a)).

პროექტი შეიცავს წესს, რომლის შესაბამისადაც სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე თითოეულ მხარეს ეკისრება კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება, ვალდებულების შესრულების (III 1:103), მოლაპარაკებათა წარმოების დროს (II: კარი 3: 301). გარდა ამისა, დადგენილია თანამშრომლობის ვალდებულება, რომელიც კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს. კერძოდ, გათვალისწინებულია, რომ კრედიტორმა და მოვალემ ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ (ვალდებული არიან ერთმანეთთან ითანამშრომლონ ) (III 1:104). ასევე დადგენილია, რომ როდესაც მხარე მოქმედებს თავისი ადრინდელი ქცევის საწინააღმდეგოდ, ირღვევა კეთილსინდისიერების პრინციპი. ყოველივე ზემოთაღნიშნული ცხადყოფს, რომ კეთილსინდისიერება სამართლის ძალზედ მნიშვნელოვანი პრინციპია. მის გარეშე ძნელია წარმოვიდგინოთ სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა.

### 1.3.2 ხელშეკრულების დადების წესი

#### 1.3.2.1. კეთილსინდისიერება და პატიოსნად საქმიანობის პრაქტიკა

მხარეთა ვალდებულება იმოქმედონ კეთილსინდისიერებისა და პატიოსნად საქმიანობის პრაქტიკის პრინციპების შესაბამისად, გათვალისწინებულია ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების ზოგად დებულებებში (1-201-ე მუხლი). ისმის კითხვა, რომელი ვალდებულებებია აღნიშნული პრინციპების უშუალო გამოვლინება. აქ უნდა ითქვას რომ: მხარეები ვალდებული არიან მოლაპარაკებების მიმდინარეობისას მიაღწიონ განსაზღვრულ შედეგს გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე, არ გაამჟღავნონ ინფორმაცია და არ გამოიყენონ იგი არასათანადოდ და გამოიჩინონ მაქსიმალური ძალისხმევა ვალდებულების შესრულების მიმდინარეობისას, კერძოდ ეკისრებათ თანამშრომლობის ვალდებულება. ამასთან, მხარეები თავისუფალი არიან მოლაპარაკებათა წარმოებისას და არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა შეთანხმების მიუღწევლობისათვის, ამიტომ, თავისი კონტრაჰენტის ქცევით უკმაყოფილო მხარეს არ შეუძლია სარჩელის საფუძველად მიუთითოს მხოლოდ იმაზე, რომ კონტრაჰენტმა უარი თქვა შეთანხმების მიღწევაზე მოლაპარაკებათა მიმდინარეობისას, რადგან მოსარჩელეს დასჭირდება დაამტკიცოს, რომ ასეთი უარი წარმოადგენს არაკეთილსინდისიერ უარს. იმავდროულად, 4-106-ე მუხლში დადგენილია პასუხისმგებლობა არასწორი ინფორმაციის მიწოდებისათვის, თუნდაც

მაშინ, როცა ასეთი ინფორმაცია არ გამხდარა არსებითი შეცდომის საფუძველი.<sup>147</sup>

კეთილსინდისიერება სავაჭრო სამართლის უდავო პოსტულატია.<sup>148</sup> პატიოსანი საქმიანი პრაქტიკა ნიშნავს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას და თავისი არსით წარმოადგენს ობიექტურ ფაქტორს. იგი ვლინდება მაგალითად მეორე მხარის ინტერესების სათანადოდ გათვალისწინების ვალდებულებაში. კეთილსინდისიერება ივარაუდება, ამიტომ მხარემ, რომელიც ამტკიცებს, რომ მეორე მხარე არ იცავს კეთილსინდისიერებისა და პატიოსანი საქმიანი პრაქტიკის პრინციპებს, უნდა დაარწმუნოს ამ საკითხში სასამართლო.

### 1.3.2.2 მხარის ბოჭვა დაპირების საფუძველზე. ხელშეკრულების მონაწილეთა განზრახვა, დაიდოს ხელშეკრულება

სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის მიერ გამოხატული დაპირება, ბოჭავს მხარეს. ასეთი შეხედულება დაპირების სამართლებრივი მნიშვნელობის თაობაზე გამომდინარეობს სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი პრინციპიდან, რომელიც გულისხმობს შეთანხმების (ხელშეკრულების) სავალდებულობას ხელშეკრულების დამდები მხარეებისათვის (*Pacta sunt servanda*). პრინციპი „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“ ნიშნავს, რომ ხელშეკრულების მხარეს უზრუნველყოფილი ჰქონდეს შესაძლებლობა კონტრაქტისაგან მოელოდებოდეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. სახელშეკრულებო სამართლის ამ პრინციპს იზიარებს ევროპის კავშირის ყველა ქვეყანა და ეს პრინციპი ასახულია ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 1-102-ე მუხლში (რომელიც განამტკიცებს ხელშეკრულების თავისუფლებას), აგრეთვე 6-111-ე მუხლში, რომელიც ხელშეკრულების მხარეს ავალდებულებს შეასრულოს თავისი ვალდებულებები იმ შემთხვევაშიც კი, როცა ვალდებულების შესრულება მისთვის უფრო მძიმე ხდება (მძიმე ტვირთად აწვება), ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების დადების მომენტში.

ზოგიერთი მეცნიერი<sup>149</sup> აღნიშნავს, რომ როდესაც წარმოიშობა *Pacta sunt servanda*-ს პრინციპის მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები, ამ პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს: საჯარო წესრიგი ან ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ გარემოებებით ბოროტად სარგებლობის შესახებ იმპერატიული ნორმები, კონცეფციები და ა.შ.

<sup>147</sup> Farnsworth E.A. Precontractual Liability and Preliminary Agreements: Fair Dealing and Failed Negotiations. Columbia Law Review, Vol. 87., 1987, 242-243

<sup>148</sup> Tallon D. Binding Force of Contract. Budapest, 1991, 111

<sup>149</sup> Chengwei Liu. Pacta sunt servanda: A cornerstone of Contract Law, Changed Contract Circumstances [2<sup>nd</sup> edition case annotated update (april 2005) <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu5.html>

ხელშეკრულების სავალდებულობისა და სასამართლო წესით მისი შესრულების უზრუნველყოფის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირველ ყოვლისა, ყველას უნდა გააჩნდეს სახელწიფოსა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების გავლენისაგან დამოუკიდებლად მოქმედების და თავისი არსებობის პირობების დამოუკიდებლად განსაზღვრის თავისუფლება. მეორე, ხელშეკრულების შესრულებით მხარე, პირველ ყოვლისა, თავად იღებს სარგებელს ამისგან, რადგან იქნეს მისთვის ფასეულ საქონელსა და მომსახურებას.<sup>150</sup>

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მეორე მნიშვნელოვანი დებულება, რომლიდან გამომდინარეც დაპირებას ასევე აქვს სავალდებულო მნიშვნელობა, ეხება მხარეთა განზრახვას, იურიდიულად შეიბოჭონ თავი ხელშეკრულებით. ევროპის კავშირში შემაჯავლი ყველა ქვეყნის მართლწესრიგი იმას ემყარება, რომ ასეთი განზრახვის გარეშე შეთახმება არ გადაიქცევა ხელშეკრულებად, უფრო მეტიც, ასეთი შეთახმება მიღწეული უნდა იქნეს საკმარისი სიცხადით ჩამოყალიბებული პირობების (პუნქტების) საფუძველზე. სწორედ ასეთი მიდგომა აისახა ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 2-101-ე მუხლში.

როდესაც განისაზღვრება ხელშეკრულების მხარეთა მიერ გამოვლენილი ნებისა და მათი ნამდვილი ნების (განზრახვის) ერთმანეთთან შესაბამისობის საკითხი, ტრადიციულად, იბადება კითხვა იმის შესახებ, რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა-ნებას თუ ნების გამოვლენას. გერმანიის, პოლანდიის და სკანდინავიის ქვეყნებში მნიშვნელობა იმას კი არ ენიჭება, რა იგულისხმა მხარემ სულის სიღრმეში, არამედ მხოლოდ იმას, რაც მან რეალურად გამოხატა ხელშეკრულებაში: „ადამიანები თავს იბოჭავენ სიტყვებით და არა აზრებით“. ეს არის ზემოაღნიშნული ქვეყნების სამართლისათვის დამახასიათებელი თავისებურება. სწორედ ასეთი მიდგომა გაიზიარა ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 1-102-ე მუხლმა, რომელიც მხარის განზრახვის დაფიქსირებას (კონსტატაციას) იურიდიულად შეიბოჭოს თავი ხელშეკრულებით, დამოკიდებულს ხდის იმაზე, თუ რამდენად ნათლად და მკაფიოდ მიუვიდა კონტრაქტს ეს განზრახვა მისი განცხადებებიდან ან ქცევიდან გამომდინარე. დასახელებული მუხლი ამისთვის განამტკიცებს იმ პირის, „გონივრული მოლოდინის“ კრიტერიუმს, ვისაც მიუვიდა, ვისკენაც მიმართულია ნების გამოვლენა.

არსებითად, ეს მიდგომა *bona fide*-ს პრინციპს ავრცელებს ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკებების წარმოებაზე.<sup>151</sup>

<sup>150</sup> *Dario Alessi*. The distinction between obligations de Resultat and obligations de Movens and the Enforceability of Promises, ERPL 5/2005, 657-692

<sup>151</sup> Гражданское и торговое право Европейского Союза (основные институты): Учеб. пособие. Под. общ. ред. В.В. Безбаха, В. Ф. Поньки, К.М. Беликовой, Рудн. М., 2010, 133



### 1.3.3 „ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების” დებულებები ხელშეკრულებათა შინაარსის შესახებ

#### 1.3.3.1 კეთილსინდისიერება, როგორც ხელშეკრულების ნამდვილობის პირობა

მთლიანად ხელშეკრულების ან მისი რომელიმე პირობის ნამდვილობა დამოკიდებულია კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობაზე. არც თუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს მეტისმეტი უპირატესობა ექმნება მეორე მხარის სისუსტის არაკეთილსინდისიერად გამოყენების გზით.

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები უფლებას აძლევს მხარეს უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან ხელშეკრულების ცალკეულ პირობაზე იმ შემთხვევაში, როცა მხარეთა შორის ერთდროულად სახეზეა საპროცესო და მატერიალური უთანასწორობა, ე.ი. თუ დადების მომენტში ხელშეკრულება ან მისი რომელიმე პირობა ქმნიდა მეტისმეტი უპირატესობას იმის გამო, რომ ერთ-ერთმა მხარემ არაკეთილსინდისიერად გამოიყენა მეორე მხარის გამოუცდელიობა, რომელსაც არ გააჩნია მოლაპარაკებათა წარმოების უნარი (ჩვევები). მეორე, 4:109-ე მუხლის თანახმად, მხარეს უფლება აქვს ასევე უარი თქვას ხელშეკრულების არსებითად უსამართლო პირობების გამოყენებაზე, რომლებიც მხარეთა შორის არ შეთანხმებულია (4:110-ე მუხლი).

დათქმა იმის შესახებ, რომ ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა მიერ შეთანხმებულ ყველა პირობას და არ შეიძლება სადავო გახდეს ან შეივსოს მხარეთა იმ განცხადებაზე ან შეთანხმებაზე მითითებით, რომლებიც წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას, გაითვალისწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ინდივიდუალურად იყო განსაზღვრული – 2:105 (1) მუხლი, ე.ი. პრინციპის 2.105 (2) მუხლის თანახმად, თუ ზემოთაღნიშნული დათქმა არ ყოფილა ინდივიდუალურად განსაზღვრული, წარმოიშობა მხოლოდ იმის პრეზუმფცია, რომ მხარეებს არ ჰქონდათ განზრახული ის განცხადებები, ვალდებულებები ან შეთანხმებები, რომლებიც წინ უსწრებდნენ ხელშეკრულების დადებას, ჩაეთვალიათ (მიეჩნიათ) ხელშეკრულების ნაწილად. ამიტომ, წერილობითი

ფორმით არსებული ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს დათქმას იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და ის არ შეიძლება შეიცვალოს სხვა საშუალებით, მხოლოდ იმის პრეზუმფციას ადგენს, რომ ხელშეკრულების შეცვლა არ არის სავალდებულო მხარეთათვის მანამდე, სანამ არ ჩამოყალიბდება წერილობითი ფორმით (2-106 (1) მუხლი).

იმავედროულად, პრინციპების თანახმად, ხელშეკრულების პირობები, რომლებიც მხარეთა შორის არ შეთანხმებულა, სავალდებულო იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ხელშეკრულებაში ამგვარი პირობების შემტანმა მხარემ შესაბამისი ნაბიჯები გადადგა იმისათვის, რომ ხელშეკრულების პირობებზე მიექცია მეორე მხარის ყურადღება ხელშეკრულების დადებამდე ან დადების დროს. გარდა ამისა, პრინციპებში მიეთითება იმაზე, რომ ამგვარი პირობის მარტოდენ მოხსენიება ხელშეკრულებაში არ არის საკმარისი, რათა ის იქცეს ასეთად (2-104-ე მუხლი).

პრინციპების მიხედვით, ხელშეკრულების ზოგად (ანუ სტანდარტულ) პირობებში იგულისხმება შესაბამისი სახის განუსაზღვრელი რაოდენობის ხელშეკრულებისათვის წინასწარ ჩამოყალიბებული პირობები (2-209 (3)-ე მუხლი), ასევე სპეციალურად არის დათქმა საკითხზე იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში და რა დოზით უნდა იქნეს მიჩნეული საქონლისა და მომსახურების ხარისხის და საქონლისა და მომსახურების გამოყენების საშუალებების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც იძლევა პროფესიონალი მიმწოდებელი (ისევე, როგორც ნებისმიერი პირი, რომელიც საქონელსა და მომსახურებას უწევს რეკლამას ან ახორციელებს საქონლისა და მომსახურების მარკეტინგს პროფესიონალი მიმწოდებლისათვის), სახელშეკრულებო ვალდებულებად პროფესიონალ მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის (6-101 (2-3)-ე მუხლი).

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ბათილობის პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებში. მაგალითად, მოლაპარაკებათა წარმოებისას პირის ხელთ არსებული ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებისადმი ინგლისური მიდგომის მომხრეები მიიჩნევენ, რომ მხარეს არ ევალება მეორე მხარეს გაუმჟღავნოს არსებითად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაშინაც კი, როცა ინფორმაციის მქონე მხარემ იცის, რომ მეორე მხარე არ არის ინფორმირებული მის შესახებ (მეორე მხარეს არ მიაწოდეს, არ შეატყობინეს ინფორმაცია). ამ საკითხის შესახებ დუმილი, რომელშიც მეორე მხარე ცდება, არ ჩაითვლება მეორე მხარის შეცდომაში შემყვან ქმედებად. მაგალითად, თუ პირი იძენს ცნობილი მხატვრის ძვირადღირებულ სურათს მის რეალურ ფასზე რამდენჯერმე ნაკლებ ფასად, მაგრამ გამყიდველს ეს აწყობს, რადგან მან არ იცის იმის შესახებ, რომ სურათი შესრულებულია ცნობილი მხატვრის მიერ, ხელშეკრულება ნამდვილი იქნება, შესაბამისად გამყიდველი ვერ ისარგებლებს უფლების დაცვის საშუალებებით. იმ ქვეყნებში, სადაც კონტინენტური სამართალი მოქმედებს, მიაჩნიათ, რომ მხარემ უნდა

გაუმჟღავნოს მეორე მხარეს ეს ინფორმაცია და მაშინ მეორე მხარეს გაუჩნდება შესაძლებლობა თავიდან აიცილოს ხელშეკრულების დადება ამგვარი პირობებით. მოცემულ განსხვავებას განაპირობებს ის, რომ ვაჭრობის საკითხებში ინგლისური სასამართლოები ყოველთვის აღიქვამდნენ და აღიქვამენ მხარეს ბიზნესმენად, რამდენადაც მათ უფრო ხშირად მოუწიათ სავაჭრო ნასყიდობის გარიგებებთან, საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულებებთან შეხება, ვიდრე კონტინენტური ქვეყნების მოსამართლეებს. თანამედროვე პერიოდში ინგლისური სასამართლოები მხარეთა შორის კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინების აუცილებლობაზე ამახვილებენ ყურადღებას.<sup>152</sup>

### **1.3.3.2. ხელშეკრულების შესრულების სავალდებულობა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაუძლეველი ძალის და გარემოებათა არსებითად (ძირეულად) შეცვლის შემთხვევაში**

როდესაც საუბარია ხელშეკრულების შესრულების თაობაზე, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ხელშეკრულების სავალდებულობა მხარეთათვის, გამომდინარეობს ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 1-102 მუხლიდან, რომელიც ეხება ხელშეკრულების თავისუფლებას და 6-111-ე მუხლიდანაც, რომელიც ეხება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებას. ამ მუხლიდან გამომდინარე, მხარე მოვალეა შეასრულოს ვალდებულება მაშინაც კი, როცა შესრულება მას შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს. ასეთივე მიდგომა არსებობს ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში.

ამრიგად, მხარე მოვალეა შეასრულოს ვალდებულება მაშინაც კი, როცა ასეთი შესრულება მისთვის მძიმე ტვირთი ხდება იმ ვალდებულებებთან შედარებით, რომელთა შესრულებაც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების დადების დროს. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს დაუძლეველი ძალა. დაუძლეველი ძალა გულისხმობს ისეთი მოვლენების დადგომას, რომლებიც შესრულების შეუძლებლობას განაპირობებენ. დაუძლეველი ძალის საფუძველზე მოვალე თავისუფლდება ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან, ხოლო ხელშეკრულება წყდება, რამეთუ მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია ხელშეკრულების პირობების შეცვლა და მხარეებს არ წარმოეშობა ამგვარი ცვლილებების ხელშეკრულებაში შეტანის მიზნით მოლაპარაკებების წარმოების ვალდებულება. დაუძლეველი ძალის შესახებ წესი არ არის იმპერატიული ხასიათის. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უფრო მკაცრი ან უფრო

<sup>152</sup> Гражданское и торговое право Европейского Союза (основные институты): Учеб. пособие. Под. общ. ред. В.В. Безбаха, В. Ф. Поньки, К.М. Беликовой, Рудн. М., 2010, 139

რბილი პირობების თაობაზე. მაგრამ ამგვარი შეთანხმება მათ შეუძლიათ კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით.<sup>153</sup>

გრძელვადიან ხელშეკრულებებში (მაგალითად, როგორც არის ერთობლივი საქმიანობის ანუ ამხანაგობის, ნარდობის, საქონლის რეგულარულად მიწოდების ან რეგულარულად მომსახურების ხელშეკრულებები და სხვა), გაუთვალისწინებელმა გარემოებებმა შესაძლოა ვალდებულების შესრულება გახადოს უკიდურესად სამძიმო, განსაკუთრებით ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გაუარესების (შეცვლის) ან არეულობების პერიოდში. მოცემულ შემთხვევაში საუბარია ისეთი პრინციპის შესახებ, როგორც არის *rebus sic stantibus*<sup>154</sup>, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმ გარემოებათა უცვლელობაზე, რომელთა საფუძველზეც დაიდო ხელშეკრულება. ამ პრინციპის შინაარსი იცვლებოდა დროთა განმავლობაში, რამეთუ ყოველთვის არსებობდა შეცვლილი გარემოებების შესახებ საკითხის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებების მისაღებად საფუძვლის შემუშავების აუცილებლობა. ინგლისურ სახელშეკრულებო სამართალში შემუშავდა დოქტრინა, რომლის მიზანი იყო ისეთი სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა, როდესაც გარემოებები ისე იცვლება, რომ ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი ხდება. დებულება იმის შესახებ, რომ მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარე შეიძლება გათავისუფლდეს ხელშეკრულების შესრულებისაგან ან ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს, შეიტანება მრავალ ხელშეკრულებაში, მაგრამ ხშირად მხარეები ან ივიწყებენ ან საჭიროდ არ თვლიან ამგვარი დებულების ხელშეკრულებაში შეტანას დაუძლეველი ძალის შესახებ წესთან ერთად, რომელიც ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობას განაპირობებს. ზოგიერთი სამართლებრივი სისტემა შეიცავს შესრულებისაგან მოვალის განთავისუფლების წესს, როდესაც ასეთი შესრულება მართალია შეუძლებელი არ არის, მაგრამ მეტისმეტად მძიმე ტვირთია მოვალისათვის (იტალია) ან მდგომარეობა იმდენად შეიცვალა, რომ ეკონომიკური საფუძველი, რომლის საფუძველზეც დაიდო ხელშეკრულება, მოისპო (გერმანია). ამგვარი წესი გათვალისწინებულია ასევე ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსითაც, ფრანგული კანონმდებლობითაც. შეცვლილი გარემოებების გამო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაუძლეველი ძალისაგან იმით განსხვავდება, რომ: 1) მხარე შეიძლება გათავისუფლდეს ხელშეკრულების (ვალდებულების) შესრულებისაგან, როცა ვალდებულების შესრულება მეტისმეტად მძიმე ტვირთი გახდა მისთვის. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი, რომ შესრულება შეუძლებელი გახდეს. მაგალითად, გარემოებები არსებითად შეიცვალა კომპანიისათვის, რომელმაც 1929 წელს ფიქსირებული ფასის მიხედვით იკისრა საავადმყოფოსათვის წყლის მიწოდების ვალდებულება „მომდევნო

<sup>153</sup> იქვე, 140

<sup>154</sup> Panagiotis Papanikolaou. Rebus Sic Stantibus und Vertragskorrektur auf Grund Veränderter Umstände im Griechischen Recht, ERPL 6(1998), 303-317

პერიოდებში” (*in times ever after*) და ეს კომპანია იძულებული იყო მიწოდება გაეგრძელებინა 1978 წლის შემდეგაც, როცა შეთანხმებულმა ფასმა აზრი დაკარგა ინფლაციის გამო. სააპელაციო სასამართლომ (სხდომის თავმჯდომარე ლორდი დენინგი) განმარტა სიტყვები „*for times ever after*” და მიუთითა: მხარეების მიერ ნათქვამი სიტყვები არ შეიძლება გაგებულ იქნეს სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით. ამიტომ სასამართლომ გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა ფასის მომატების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა.<sup>155</sup> 2) ხელშეკრულება ყოველთვის არ წყდება, მაგრამ შეიძლება შეიცვალოს მოლაპარაკებებში მონაწილე მხარეთა მიერ, ან სასამართლოს მიერ. 3) მხარეებმა კეთილსინდისიერად უნდა აწარმოონ მოლაპარაკებები. მათ შეუძლიათ მიუსადაგონ ხელშეკრულება ახალ გარემოებებს და თუ ეს ვერ მოხერხდება, შეწყვიტონ ხელშეკრულება.

დაუძლეველი ძალის გამო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების წესს ითვალისწინებს პრინციპების 8-108-ე მუხლი, თუმცა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება შეზღუდულია იმ დროის პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოცემული დაბრკოლება არსებობს (8-108 (2)-ე მუხლი). მუდმივი ხასიათის დაბრკოლების არსებობისას ხელშეკრულება წყდება ავტომატურად (9-303(4)-ე მუხლი).

გარემოებათა ძირეულად შეცვლის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების წესი გათვალისწინებულია პრინციპების 6-111 მუხლით. მათში ნათქვამია, რომ მხარე ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება მაშინაც კი, როცა ამგვარი შესრულება მისთვის მძიმე ტვირთი გახდა შესრულების ღირებულების გაზრდის ან მხარის მიერ მისაღები შესრულების (ანუ რომელიც მის სასარგებლოდ უნდა შესრულდეს) ღირებულების შემცირების გამო, ე.ი. იმ შემთხვევაში, როცა შესრულება არახელსაყრელია მხარისათვის. მაგრამ როცა შესრულება ხდება მეტისმეტად მძიმე ტვირთი შეცვლილი გარემოებების გამო, მხარეები ვალდებული არიან დაიწყონ მოლაპარაკებები ახალი პირობებისადმი (გარემოებებისადმი) ხელშეკრულების მისადაგების ან ხელშეკრულების შეწყვეტის მიზნით იმ პირობით, რომ ა) გარემოებათა შეცვლა გონივრულობის გათვალისწინებით არ შეიძლება ცნობილი ყოფილიყო მხარეთათვის და ბ) გარემოებათა შეცვლის შესაძლებლობა არ იყო ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანი, რომლის გონივრულად გათვალისწინებაც შეიძლებოდა ხელშეკრულების დადების მომენტში და გ) გარემოებათა შეცვლის რისკი არ იყო ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანი, რომელიც ხელშეკრულების შესაბამისად თავის თავზე აიღო დაინტერესებულმა მხარემ. როცა მხარეები ვერ თანხმდებიან დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში, სასამართლოს ან არბიტრაჟს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება განსაზღვრული თარიღიდან და სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირობებით, ან სამართლიანად მიუსადაგოს

<sup>155</sup> Staffordshire Area Health Authority v. South Staffordshire Waterworks Co (1978) 1.V.L.R. 1387, მოითხოვებულია: Гражданское и торговое право Европейского Союза (основные институты): Учеб. пособие. Под. общ.ред. В.В. Безбаха, В. Ф. Поньки, К.М. Беликовой, Рудн. М., 2010, 142

ხელშეკრულება შეცვლილ პირობებს ასეთი შეცვლის შედეგად მიყენებული ზიანის და მიღებული სარგებლის მხარეთა შორის განაწილების მიზნით. ორივე შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მიაკუთვნოს ხარჯების გამწვევ, დაზარალებულ მხარეს იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც მან განიცადა იმის გამო, რომ მეორე მხარემ უარი თქვა მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე ან არაკეთილსინდისიერად შეწყვიტა მოლაპარაკებები. 6-111-ე მუხლი არ არის იმპერატიული ხასიათის. ამრიგად, ხელშეკრულების დადებისას მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ, თუ როგორ გადაანაწილდეს მათ შორის რისკები.

## **14. კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინება ქართული სახელშეკრულებო სამართლის ნორმებში**

### **14.1 კეთილსინდისიერება, როგორც სამართლის უნივერსალური პრინციპი**

სკ-ის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის და მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის ანალიზი ცხადყოფს, რომ „კეთილსინდისიერების“ კატეგორიის გამოყენება აუცილებელია ისეთ შემთხვევებში, როცა 1) კანონი არ შეიცავს სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ კონკრეტულ ან მსგავს ნორმას; 2) მხარეთა შორის არ არის დადებული ხელშეკრულება; 3) არ არსებობს საქმიან ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულება. მნიშვნელობის გამო, მიზანშეწონილია განვიხილოთ საკითხი, წარმოადგენს თუ არა კეთილსინდისიერების კატეგორია სამართლის პრინციპს. სამართლებრივი პრინციპის ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ იგი ნორმის სახით (ნორმატიულად) არის დადგენილი.

სსკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად (სამართლის ანალოგია). მოცემული ნორმის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი განისაზღვრება სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზეც და კეთილსინდისიერების, სამართლიანობის და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისადაც. აქედან გამომდინარე, შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ მოცემულ ნორმაში ნახსენები ისეთი კატეგორიები, როგორებიც არის „სამართლის ზოგადი პრინციპი“ და „კეთილსინდისიერების მოთხოვნა“ სხვადასხვა კატეგორიებია, შესაბამისად, კეთილსინდისიერების შესახებ დებულება არ წარმოადგენს პრინციპს. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. იმისათვის, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სწორი დასკვნა გამოვიტანოთ, არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ და მხოლოდ მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირებითა და სიტყვასიტყვითი განმარტებით, რამეთუ კანონმდებელი მართალია ამ ნორმაში კეთილსინდისიერების მოთხოვნაზე საუბრობს, მაგრამ სხვა ნორმებში

მითითებულია კეთილსინდისიერების პრინციპზე. მაგალითად, სსკ-ის 346-ე მუხლში სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილობაზეა საუბარი. სსკ-ის მე-8 მუხლსა და 361-ე მუხლის მე-2 ნაწილში არსებითად კეთილსინდისიერებაზე, როგორც სამართლის პრინციპზეა საუბარი. სსკ-ის მე-5 მუხლში მითითებული სიტყვები: „პრინციპი“ და „მოთხოვნა“ - ერთგვაროვანი კატეგორიებია. სამართლებრივი პრინციპი შესასრულებლად სავალდებულოა სწორედ იმის გამო, რომ იგი მოთხოვნაა. მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, რა ფორმით იქნება იგი გამოხატული სამართალში. შესაბამისად, ესა თუ ის პრინციპი, მას შემდეგ, რაც აისახება სამართლის ნორმაში, სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნა ხდება.

ამიტომ, სსკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი არ უნდა განიმარტოს სიტყვასიტყვით, ხოლო აღნიშნულ ნორმაში მოხსენიებულ ისეთ კატეგორიებს, როგორებიც არის „პრინციპი“ და „მოთხოვნა“, არ უნდა მიენიჭოს სხვადასხვა მნიშვნელობა. ამ ნორმის ფორმულირების ნაკლზე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც გამახვილდა ყურადღება: „კანონმდებელმა, როგორც ეტყობა, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ფორმის გამოხატვის ელემენტურობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ნათელია, რომ სამართლის ზოგადი პრინციპები მოიცავს კეთილსინდისიერების პრინციპსაც, ეს უკანასკნელი კი სამართლიანობისა და ზნეობის მოთხოვნათა დაცვის კრიტერიუმებსაც, ასევე პირიქით, სამართლიანობისა და ზნეობის მოთხოვნათა დაცვა მოიცავს ასევე კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვასაც“.<sup>156</sup>

გარდა ამისა, ესა თუ ის პრინციპი კანონში შესაძლოა არა მხოლოდ ცალკე ნორმის სახით არსებობდეს, არამედ იგი შესაძლოა გატარებული იყოს რომელიმე ნორმაში და ნორმის ზოგადი შინაარსიდან იკვეთებოდეს (ნორმის არსიდან გამომდინარეობდეს). მოცემულ შემთხვევაში, სსკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილში, მართალია, კეთილსინდისიერება პრინციპად არ არის მითითებული პირდაპირი წესით, მაგრამ ნორმის არსიდან გამომდინარე, მასში საუბარია ურთიერთობათა მოწესრიგებაზე სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე სხვა პრინციპებთან ერთად და ზნეობის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებაზე როდი ვრცელდება, არამედ იგი ვრცელდება სამოქალაქო უფლების განხორციელებაზეც.

ამასთან, კეთილსინდისიერების პრინციპი არ გამოიყენება, არ მოქმედებს მხოლოდ ცალკეულ ურთიერთობაში, მაგალითად სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების დროს. ამგვარი მიდგომა სამოქალაქო სამართლის პრინციპის იურიდიულ ბუნებას

<sup>156</sup> *ოსკელიანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ქ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 18

ეწინააღმდეგება. თავისი არსით, სამოქალაქო სამართლის პრინციპის მოქმედება სამოქალაქო სამართლის სუბიექტების მიერ დამყარებულ ყველა სამართლებრივ ურთიერთობაზე ვრცელდება, ამ ურთიერთობის წარმოშობიდან დაწყებული მათი შეწყვეტით დამთავრებული. სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი „წარმოადგენს ზოგად დათქმას და ვრცელდება მთელ კერძო სამართალზე“.<sup>157</sup>

ამიტომ, მართალია, კეთილსინდისიერების მოთხოვნა უშუალოდ ასახულია სამართლის მხოლოდ ცალკეულ ნორმაში, მაგალითად, როდესაც ხდება დავის გადაწყვეტა მხარეთა შორის ხელშეკრულების შინაარსის, მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების არსებობისას (სსკ-ის 346-ე მუხლი) ან ფრენშიაზინგის ხელშეკრულებაში (სსკ-ის 608-610-ე და 612-613-ე მუხლები) და სხვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი კეთილსინდისიერად მხოლოდ ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევებში უნდა მოქმედებდეს.

ამდენად, შესაძლოა, უშუალოდ, ნორმატიულად ევალებოდეს სუბიექტს კეთილსინდისიერად მოქმედება, მაგრამ კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება არ შემოიფარგლება, არ ამოიწურება ნორმით გათვალისწინებული შემთხვევებით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი მოქმედებს (გამოიყენება) სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების არა მხოლოდ უფლების განხორციელების დროს, არამედ უფლების შექმნის, დაცვისა და შეწყვეტის დროსაც. კეთილსინდისიერების პრინციპი მოქმედებს (გამოიყენება) ვალდებულების შესრულების დროსაც. ვალდებულების დაკისრება, შესრულება და შეწყვეტა უნდა მოხდეს კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნული კი ცხადყოფს, რომ კეთილსინდისიერების პრინციპისათვის დამახასიათებელია ზოგადად, სამართლის პრინციპისათვის დამახასიათებელი ისეთი თვისება, როგორც არის უნივერსალურობა.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპი მოქმედებს (გამოიყენება) ხელშეკრულების დადების დროს (სამართლის სუბიექტის მიერ გარიგების დადების უფლების განხორციელების დროს). როგორც ცნობილია, ხელშეკრულების დადებისას კონტრაჰენტებს (მხარეებს) შორის აღვილი აქვს ასე ვთქვათ, ოფერტისა და აქცეპტის ურთიერთგაცვლას. ოფერტისა და აქცეპტის ურთიერთგაცვლის პროცესში მხარეებმა უნდა ჩამოაყალიბონ თითოეული მხარისათვის ხელშეკრულების სამართლიანი პირობები და არცერთმა მხარემ არ უნდა განახორციელოს მეორე მხარის მიმართ არაკეთილსინდისიერი მოქმედება, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს კონტრაჰენტს. არაკეთილსინდისიერი მოქმედება შეიძლება იყოს მოტყუება, მუქარა, ძალადობა, ამა თუ იმ მხარის საზიანოდ ამ მხარის წარმომადგენლისა და მეორე მხარის შეთანხმება და სხვა. მაგალითად, სსკ-ის 934-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულებიდან

<sup>157</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ახ-7-362-07



სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელმძღვანელი პირების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება დავალების წესების შესაბამისად. რაც შეეხება თავის მხრივ დავალების წესებს, რომელზეც მითითებულია სსკ-ის ზემოაღნიშნულ 934-ე მუხლში, რწმუნებულმა ნებისმიერ შემთხვევაში „კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს დავალებული საქმეები“.<sup>158</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხელშეკრულების შესრულების პროცესშიც. მოვალე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი ვალდებულებები. სსკ-ის 371-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. ამ ნორმიდან გამომდინარე, თუ კრედიტორი კეთილსინდისიერია, მაშინ მას არა აქვს მოვალისაგან იმ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, რომელიც უკვე შეასრულა სხვა (მესამე) პირმა.

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი და 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ არის ფორმულირებული სამართლებრივი პრეზუმფციის სახით. დაუშვებელია პრეზუმფციისა და სამართლებრივი პრინციპის ერთმანეთთან გაიგივება. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ კეთილსინდისიერების პრეზუმფციის დადგენა სამოქალაქო სამართალში იმას ადასტურებს, რომ სახელმწიფო ცალკეულ ადამიანს ეპყრობა, პირველ ყოვლისა, როგორც საზოგადოების პატიოსან, წესიერ წევრს. ამის გამო, კეთილსინდისიერების პრეზუმფცია სამართლის პრინციპის მნიშვნელობას იძენს.<sup>159</sup>

ეს პოზიცია არ უნდა იქნეს გაზიარებული. პრეზუმფცია არ შეიძლება მიჩნეული იქნეს სამართლის პრინციპად, რადგან პრინციპები თავისი არსით პრეზუმფციებისაგან განსხვავებით, არ შეიძლება გაქარწყლდეს (პრინციპი არ შეიძლება სადავო გახდეს) და არ შეიძლება უარყოს სასამართლომ პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნები. პრეზუმფცია მოქმედებს ცალკეულ, კანონში სპეციალურად მითითებულ შემთხვევებში.<sup>160</sup>

პრეზუმფციის და პრინციპის გაიგივებით, გამოვა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი გამოყენებული უნდა იქნეს (უნდა მოქმედებდეს) მხოლოდ ცალკეულ, კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამგვარი პოზიცია კი აშკარად ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართლის პრინციპის არსს.

სსკ-ის მე-8 მუხლსა და 361-ე მუხლში „კეთილსინდისიერება“ ვალდებულებითი ურთიერთობების მიმართ არა მხოლოდ დადგენილია სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპის სახით, არამედ

<sup>158</sup> ციხაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001, 400

<sup>159</sup> Кузнецова О. А. Презумпции в российском гражданском праве, Автореферат диссертаций кандидата юридических наук, Екатеринбург, 2002, 12

<sup>160</sup> სამოქალაქო სამართალში პრეზუმფციის როლის შესახებ იხილეთ: ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც. „სამართალი“, თბ., 1997, 160

სახელშეკრულებო ურთიერთობათა მომწესრიგებელ სხვა ნორმებშიც მოიხსენიება. ამიტომ, ამგვარ ურთიერთობებში ხელშეკრულების შესაბამისი მხარე უნდა ხელმძღვანელობდეს (მისთვის ამოსავალი უნდა იყოს) კეთილსინდისიერების მოთხოვნებით, ე.ი. სადავო შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე უნდა მოხდეს.

#### 1.4.2 კანონი და კეთილსინდისიერების პრინციპი

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა მიმართება არსებობს კანონსა და კეთილსინდისიერების პრინციპს შორის, ანუ აქვს თუ არა უფლება მოსამართლეს არ დაემორჩილოს კანონს იმის გამო, რომ კანონი ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს? სსკ-ის მე-5 მუხლიდან ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს კანონის უზენაესობა, ანუ კანონს უპირატესობა ენიჭება სამართლის პრინციპებთან შედარებით. თუმცა დოქტრინაში შეიძლება შეგვხვდეს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს არა მხოლოდ სუბსიდიური მნიშვნელობა, არამედ მაკორექტირებელი მნიშვნელობაც, თანაც არა მხოლოდ მხარეთა შეთანხმების (ხელშეკრულების) ან საქმიანი ბრუნვის ჩვეულებების მიმართ, არამედ კანონის მიმართაც კი.<sup>161</sup>

„კეთილსინდისიერების პრინციპი გავლენას ახდენს სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაზე და კანონმდებელზე. სამოქალაქო სამართლის მეცნიერება და კანონმდებელი უნდა ხელმძღვანელობდეს კეთილსინდისიერების პრინციპით ... სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის შექმნის დროს“<sup>162</sup> (საერთოდ ყველა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ნორმატიულად მოწესრიგების დროს).

ნოვიცკის აზრით, კეთილსინდისიერება თავისი ობიექტური მნიშვნელობით გარეგანი (გარეგნული) საზომია, რომელიც მხედველობაში უნდა მიიღოს (უნდა გაითვალსწინოს) კანონმა, სასამართლომ. კეთილსინდისიერად ქცევა მოეთხოვება სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილეს ერთმანეთს შორის ურთიერთობებში. თუმცა მეცნიერის აზრით კეთილსინდისიერება საბოლოოდ, მაინც დამხმარე ნორმის როლს ასრულებს, რომელიც მოქმედებაში მოჰყავს კანონს.<sup>163</sup>

რომის სამართალში, მოთხოვნა *bona fides* პირველ ყოვლისა, ემსახურებოდა ხელშეკრულების ჭეშმარიტი (ნამდვილი) მნიშვნელობის

<sup>161</sup> Wendt. მითითებულია ნაშრომიდან *Покровский И. А., Основные проблемы гражданского права, „Статус“*. Москва, 1998, 261

<sup>162</sup> *Щенникова Л. В., Справедливость и добросовестность в гражданском праве России (несколько вопросов теории и практики)*, Ж. „Государство и право“, 1997 №6, 120

<sup>163</sup> *Новицкий И. Б., Принцип доброй совести в проекте обязательственного права, Вестник Гражданского права, 1916, №6, 56*

გარკვევას, ე.ი. არ უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით გაგება (განმარტება), ხოლო მეორე მხრივ, პრეტორი ხშირად იყენებდა კეთილსინდისიერების მოთხოვნას „სამართლიანობის“ (*aequitas*) იდეის შესაბამისი გადაწყვეტილების გამოსატანად. მოგვიანებით კეთილსინდისიერების პრინციპმა დაკარგა ზემოაღნიშნული მეორე დანიშნულება იმის გამო, რომ გაუქმდა პრეტორის ინსტიტუტი და დადგინდა წესი, რომლის თანახმადაც სასამართლო გადაწყვეტილება სამართლიანი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ კანონიერი.<sup>164</sup> მითუმეტეს, რომ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზნით კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება ყოველთვის კრიტიკას იწვევდა, რადგან ამ მნიშვნელობით კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებას შეეძლო გამოეწვია თვითნებობა მოსამართლის მხრიდან.

შნაიდერს მიაჩნდა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი დამხმარე როლს ასრულებს. მისი აზრით, კეთილსინდისიერების პრინციპი უნდა გამოიყენოს მოსამართლემ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის შესაბამეობა კანონს და ხელშეკრულებას.<sup>165</sup> შედეგად, კეთილსინდისიერების პრინციპი აწესრიგებს მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ურთიერთობა არ არის პირდაპირ მოწესრიგებული კანონმდებლობით ან მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით (ხელშეკრულებით).

საყურადღებოა სსკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი. ამ ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი უნდა განისაზღვროს (დადგინდეს) კანონიდან, მხარეთა შორის არსებული შეთანხმებებიდან, საქმიან ბრუნვაში მიღებული, დამკვიდრებული ჩვეულებებიდან, ზოგადი პრინციპებიდან, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ასეთივე მნიშვნელობა აქვს კეთილსინდისიერების პრინციპს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაშიც.

კეთილსინდისიერად მოქმედების (ქცევის) მოთხოვნა ავსებს ნორმის ხარვეზს, ვინაიდან მისი გამოყენება განსაკუთრებით აუცილებელია მაშინ, როცა პოზიტიური სამართლით არ არის მოწესრიგებული სუბიექტის ქცევა. ობიექტურად რომ ითქვას, კანონმდებელს არ ძალუძს გაითვალისწინოს და მოაწესრიგოს მხარეთა ქცევის ყველა შესაძლო შემთხვევა იმგვარად, რომ დაადგინოს აუცილებელი, სამართლიანი მოწესრიგება თითოეული ასეთი შემთხვევისათვის. კეთილსინდისიერად მოქმედების (ქცევის) პრინციპი (ზოგადი მოთხოვნა) სასამართლოს ხელში ერთგვარ იურიდიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. კერძოდ, ასეთი განუსაზღვრელი ნორმა, სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, რომ თუ დაადგენს კონკრეტულ სადავო შემთხვევაში მხარის მოქმედებაში კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას და ამასთან, კანონით არ იქნება გათვალისწინებული სადავო შემთხვევის გადასაწყვეტად კონკრეტული ნორმა, გამოიყენოს კეთილსინდისიერების პრინციპი და მის საფუძველზე გადაწყვიტოს დავა. მაგალითად, სსკ-ის 522-ე მუხლის

<sup>164</sup> *Покровский И. А.* Основные проблемы гражданского права, „Статус“, Москва, 1998, 260

<sup>165</sup> *Новицкий И. Б.* Принцип доброй совести в проекте обязательственного права. Вестник Гражданского права, 1916, №6, 63

თანახმად, თუ გასაცვლელი ქონება არატოლფასოვანია, მხარეთა შეთანხმებით ქონების ნაწილი შეიძლება ანაზღაურდეს ფულით. მოცემული ნორმა ქართულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „იმ შემთხვევაში, როდესაც გაცვლის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი გასაცვლელი ქონების არატოლფასოვნებაზე, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გასაცვლელი ქონება ტოლფასოვანია“<sup>166</sup>. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ მხარეები გაცვლის ხელშეკრულებაში არ შეთანხმდებიან გასაცვლელი ქონების ღირებულებიდან გამომდინარე სხვაობის ანაზღაურებაზე, იმოქმედებს გასაცვლელი ქონების ტოლფასოვნების პრეზუმფცია. ისმის კითხვა, თუ მხარეები გაცვლის ხელშეკრულებაში არ შეთანხმდნენ ქონების ნაწილის (სხვაობის) ანაზღაურებაზე, წარმოეშობა თუ არა ხელშეკრულების მხარეს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ქონებათა არატოლფასოვნების მოტივით. ამ საკითხის გადაწყვეტისას, გაცვლის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ზემოაღნიშნული ნორმა (სკ-ის 522-ე მუხლი) კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნათა გათვალისწინებით უნდა განიმარტოს. ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერების პრინციპი ავსებს მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებას და საკანონმდებლო ვაკუუმსაც. შესაბამისად კონტრაქტს შესაძლოა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე მიენიჭოს განსხვავების მოთხოვნის უფლება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კეთილსინდისიერების მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებულია ვალდებულების შესრულების მიმართ (361-ე მუხლი). ეს აიხსნება იმით, რომ „კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ეს ვარაუდი განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის განვითარების საერთო მიმართულებასაც. სამართლის სუბიექტის უფლებრივი ხედვაც კეთილსინდისიერებაზე იგება...“<sup>167</sup> სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს აქვს მეორე მხარის მიერ ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების (მეორე მხარის კეთილსინდისიერი ქცევის) მოლოდინი.

საინტერესოა, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა ერთმანეთს უპირისპირდება კონკრეტული სამართლებრივი ნორმა და კეთილსინდისიერების პრინციპი და სამართლის ნორმის გამოყენება გამოიწვევს მოცემული პრინციპის დარღვევას. აქ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო წესით შესაძლებელია არ დაკმაყოფილდეს ფორმალურად კანონიერი, მაგრამ არაკეთილსინდისიერი სარჩელი. ამიტომ კეთილსინდისიერების პრინციპის გაუთვალისწინებლად, კანონის გამოყენებამ მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, ზოგჯერ შესაძლოა გამოიწვიოს ერთი მხარის უსაფუძვლო გამდიდრება მეორის ხარჯზე. როგორც გაცვლის ხელშეკრულების მაგალითზე დავინახეთ, თუ ხელშეკრულების ტექსტში არ არის მითითებული, რომ არატოლფასოვანი ქონების გაცვლა ხდება, ეს არ ართმევს მხარეს

<sup>166</sup> *ძლიერი შვილი ზ.*, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბ., 2010, 194

<sup>167</sup> *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001, 269

უფლებას, მოითხოვოს განსხვავების ანაზღაურება. ამ საკითხისადმი სხვაგვარი მიდგომა ფორმალისმი იქნებოდა, რამაც შეიძლება წაახალისოს იმ მხარეთა არაკეთილსინდისიერი ქცევა, რომლებიც იყენებენ კანონმდებლობაში არსებულ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფ ნორმებს (ხარვეზულ ნორმებს) საკუთარი მიზნებისათვის და ეს მიზნები ყოველთვის მართლზომიერი როდია. ასეთი მხარეები ხშირად იყენებენ მეორე მხარის უმწეო (სუსტ) მდგომარეობას. ამგვარი „სუსტი“ მხარის დაცვის ფუნქცია სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპმა უნდა შეასრულოს. ზოგიერთი ავტორის თქმით, მოსამართლეს „სსკ-ის მე-4 და, გარკვეულწილად, მე-5 მუხლებში მოცემული მოსამართლის „ქცევის ნიმუში“ უზღუდავს ... თავისუფლებას, განსაკუთრებით მე-4 მუხლის საფუძველზე, მოსამართლე ვალდებულია, გამოიყენოს კანონის ნორმა მაშინაც, როდესაც იგი მას უსამართლოდ ან არაზნეობრივად მიაჩნია. ამის გათვალისწინებით, ახალი ფასეულობების დამკვიდრებაზე საუბარი რთულია”.<sup>168</sup> თუმცა ეს პოზიცია არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს. სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნორმის მიზანი და კეთილსინდისიერების პრინციპის მიზანი სრულიად სხვადასხვაა. თანაც, სსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი მოსამართლეს ავალებს ნორმის განმარტებას კონსტიტუციის შესაბამისად. ამდენად, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას და კერძო სამართლის კანონთა განმარტებისას მოსამართლისათვის ამოსავალი უნდა იყოს კონსტიტუცია. ამა თუ იმ კანონის მიჩნევა უსამართლოდ და არაზნეობრივად, სუბიექტური აღქმის საკითხია. მოსამართლეს არ აქვს უფლება კანონიდან გამოიყვანოს უსამართლო შედეგები. კონსტიტუცია არ შეიძლება ამკვიდრებდეს ისეთ ფასეულობებს, რომლებიც უსამართლობის დამკვიდრებას შეიძლება უწყობდნენ ხელს. შესაძლებელია დასახელდეს სხვა არგუმენტებიც ზემოაღნიშნული მოსაზრების გასაქარწყლებლად, თუმცა დასახელებული არგუმენტებიც ცხადყოფს, რომ უსაფუძვლოა კეთილსინდისიერების პრინციპის ცხოვრებაში გატარების საწინააღმდეგოდ გამოთქმული ზემოაღნიშნული მოსაზრება.

ლიტერატურაში მართებულად არის აღნიშნული, რომ „კეთილსინდისიერების მიზანია ბალანსის დაცვა კანონსა და სამართლიანობას შორის, ზოგჯერ ხომ კანონის დებულებამ ან ხელშეკრულების პირობამ შეიძლება არასამართლიანი შედეგი გამოიწვიოს“.<sup>169</sup> „ეთიკურ ფასეულობებს პოზიტიურ სამართალთან შედარებით პრიმატი გააჩნიათ“.<sup>170</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება არ ნიშნავს კანონის უგულვებელყოფას და პირიქით, კანონის გამოყენება არ ნიშნავს კეთილსინდისიერების პრინციპის უგულვებელყოფას. კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთა

<sup>168</sup> *კერესელიძე დ.*, სამოქალაქო კოდექსის შესავალი დებულებები, ქ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტ. 7, №1, 2004, 34

<sup>169</sup> *Lando O.* Salient features of European Contract Law. Study of the systems of private law in the EU with regard to discrimination and the creation of a European Civil Code. European Parliament Directorate General for Research, Working Paper, Legal affairs Series, Juri 103 EN (June 1999), Chapter 13-16.

<sup>170</sup> *D'Angelo T.* Il contratto in generale. La buona fede. Torino. 2004, 458

შორის არსებული ურთიერთობის მოწესრიგების მეორად წყაროს წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ სასამართლომ პირველ რიგში, კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი უნდა გამოიყენოს, ხოლო როცა ამგვარი კანონი არ არსებობს, ან მისი გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის დამყარებას, სწორედ მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც მხარეთა ურთიერთობის დაბალანსების დამოუკიდებელი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამართლიანი შედეგების დადგომის უზრუნველყოფა კონკრეტულ საქმეზე.

### 1.4.3 კეთილსინდისიერების პრინციპის ასახვა საქართველოს სახელშეკრულებო სამართლის ნორმებში

„სახელშეკრულებო სამართლის თანამედროვე ამოცანაა პრაქტიკულად განხორციელდეს სახელშეკრულებო სამართლიანობა, დაიცვას უფრო სუსტი მხარე, დაავალდებულოს პარტნიორები ერთმანეთის ინტერესები გაითვალისწინონ და წაახალისოს ისინი, სახელშეკრულებო ურთიერთობები დაამყარონ თანამშრომლობასა და კეთილსინდისიერებაზე.“<sup>171</sup> სწორედ დასახელებული ამოცანების ცხოვრებაში განხორციელებას ემსახურება ქართულ სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების მოთხოვნის დაწესება. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის კეთილსინდისიერების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საუბარია სახელშეკრულებო სამართლის მრავალ ნორმაში. ზოგიერთ შემთხვევაში სამართლის ნორმაში პირდაპირ არის მითითებული სამართლის სუბიექტის ქცევის კეთილსინდისიერების აუცილებლობაზე (სსკ-ის 361-ე და სხვა მუხლები), ხოლო სხვა შემთხვევებში კი კეთილსინდისიერების შესახებ პირდაპირ არ არის საუბარი და თავად კეთილსინდისიერების ტერმინიც არ გამოიყენება სამართლის ნორმაში, მაგრამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მასში საუბარია სწორედ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერების შესახებ.

ამასთან, „კეთილსინდისიერების“ ტერმინი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში რიგ შემთხვევაში გამოიყენება სხვა თვალსაზრისით. მაგალითად, სსკ-ის 346-ე მუხლის თანახმად, ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. როგორც ვხედავთ, მოცემულ ნორმაში კანონმდებელი „კეთილსინდისიერების“ ტერმინს იყენებს როგორც სამართლის პრინციპს.

<sup>171</sup> *Zweigert K., Kötz H. Einführung in die Rechtsvergleichung*, 324, მითითებულია ნაშრომიდან *ზოიძე ბ.*, *ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში*, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 280

კეთილსინდისიერების დაცვის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გვხვდება მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში. სსკ-ის მე-8 მუხლში „კეთილსინდისიერების“ ტერმინი იმ გაგებით არის გამოყენებული, რომ სადავო შემთხვევაში გადაწყდეს საკითხი, დასაშვებია თუ არა სამოქალაქო უფლებების დაცვა. თუ უფლება (და მაშასადამე მოვალეობაც) კეთილსინდისიერად არის განხორციელებული, მისი სასამართლო წესით დაცვა შესაძლებელია. უფლების არაკეთილსინდისიერად განხორციელების შემთხვევაში იგი არ შეიძლება დაცული იქნეს სასამართლო წესით. ამრიგად, მოცემული ნორმიდან გამომდინარე, სამოქალაქო უფლების დაცვა დაკავშირებულია უფლების კეთილსინდისიერად განხორციელებასთან. აღნიშნულ ნორმაში კეთილსინდისიერება გამოიყენება, როგორც უფლების განხორციელების პრინციპი. ამასთან, კეთილსინდისიერების პრინციპი უნდა განგვასხვავოთ ისეთი კატეგორიისაგან, როგორც არის „უფლების განხორციელების ფარგლები“. მართებულია მოსაზრება, რომ უფლების განხორციელების ფარგლები არის განსაზღვრული ქცევის აკრძალვა, მაშინ, როცა კეთილსინდისიერება არის განსაზღვრული ქცევის მოთხოვნა. უფლების განხორციელების ფარგლები გულისხმობს, თუ როგორ არ უნდა განხორციელდეს უფლება, ხოლო კეთილსინდისიერება – როგორ უნდა განხორციელდეს უფლება. პრინციპები, რომლებიც ადგენენ ზოგად წესებს, დათქმას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს უფლება, უნდა გაიმიჯნოს იმ დებულებებისაგან, რომლებიც ადგენენ განსაზღვრული ქცევის აკრძალვას.<sup>172</sup>

ამ თვალსაზრისით, კეთილსინდისიერება არის სამოქალაქო უფლებების განხორციელების პრინციპი, რომელიც მართალია სუბიექტს სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ უკრძალავს საკუთარი ინტერესების გათვალისწინებას, მაგრამ ამავედროულად, მისგან მოითხოვს, არ დაარღვიოს მესამე პირთა კანონიერი ინტერესებიც.

უფლების განხორციელებისას სუბიექტების მოქმედებები უნდა შევავასოთ შედეგების მიხედვით. თუ ვინმეს აზრით, სუბიექტი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, მაგრამ ამასთან, მესამე პირებს არ განუცდიათ არავითარი არახელსაყრელი შედეგი, მაშინ სულერთია ეს მოქმედებები კეთილსინდისიერია თუ არა.

ამრიგად, სსკ-ის მე-8 მუხლი პირველ რიგში, მიმართულია უარყოფითი სამართლებრივი შედეგის აცილებისაკენ. უნდა აღიკვეთოს სწორედ ზიანის მიყენების ან კონკურენციის შეზღუდვის, ან უფლების განხორციელებისათვის დაბრკოლების შექმნის განზრახვა. სწორედ ამიტომ არის, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი კანონში ფორმულირებულია მავალდებულებელი ნორმის და არა ამკრძალავი ნორმის სახით, რომელიც მოითხოვს უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელებას.

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. „აქედან აშკარად ჩანს, რომ ხელშეკრულების მხარეთა ნება შეიძლება

<sup>172</sup> *Дерюгина Т.В.* Принципы осуществления гражданских прав, Книгодел, М., 2010, 168-169

კონტროლის ქვეშ მოექცეს. სამართალი კრძალავს არა მარტო ისეთ მოქმედებებს, რაც მოტყუებასა და ძალადობაში გამოიხატება, არამედ იგი მეურვეობს მხარეს, როცა ხელშეკრულება უსამართლო შინაარსის აღმოჩნდება. ასეთი ჩარევით კანონმდებელი იცავს არა მარტო ბრუნვის კონკრეტულ მონაწილეს, არამედ სამოქალაქო ბრუნვის დაცვით, სოციალურ ფუნქციასაც ასრულებს”.<sup>173</sup>

სასამართლო პრაქტიკაში გაზიარებულია ჯერ კიდევ პროფ. ს. ჯორბენაძის მიერ სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე გამოთქმული მართებული მოსაზრება, რომ „ზოგადი ნორმა, შიშველ დეკლარაციად არ უნდა იქცეს, ისე, როგორც ჩამოთვლებმა კაზუსტიკას არ უნდა შეუწყოს ხელი“.<sup>174</sup> კერძოდ, სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის განმარტებისას მიეთითება, რომ აღნიშნული ნორმა დეკლარაციული ხასიათის არ არის და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა, ზოგადად, დამრღვევისათვის ვალდებულების დაკისრების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს.<sup>175</sup> ამასთან, პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირის სტატუსსაც მისთვის კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულებათა და პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. №2/6046-10 საქმეზე, რომელზეც მოსარჩელე ითხოვდა ბანკისათვის ზიანის დაკისრებას მორიგების აქტით გათვალისწინებულ მოვალეობათა ვადაში შეუსრულებლობის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2010 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, რომ მოპასუხეს (ბანკს) არა მარტო მორიგების აქტიდან გამომდინარე, მისი საქმიანობის ხასიათიდან და სტატუსიდან გამომდინარეც ეკისრება მომეტებული ყურადღების და კეთილსინდისიერების გამოჩენა კლიენტების მიმართ. შესაბამისად, თუ იგი გამოიჩინდა ამ სფეროსათვის ჩვეულ ყურადღებას, გულისხმიერებას, რაც საერთოდ უნდა იყოს კიდევ მახასიათებელი საბანკო სფეროში მოღვაწე სუბიექტისათვის, მით უფრო აშკარაა, რომ მისთვის არც უნდა ყოფილიყო საჭირო დამატებითი შეთანხმება თუ შესვენება საკითხის შეთანხმებულ ვადებში განხილვა-გადაწყვეტისათვის.

ამრიგად, მოქმედ კანონმდებლობაში, კეთილსინდისიერების ტერმინი გამოიყენება როგორც ზოგადი დათქმა, ზოგადი ვალდებულება და მაშასადამე, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი. ზოგიერთ ნორმაში კეთილსინდისიერება (არაკეთილსინდისიერება) განისაზღვრება პირის ქცევის დახასიათების გზით და გამოიხატება სიტყვებით: „იცოდა ან უნდა სცოდნოდა“ (მაგალითად, სსკ-ის 769-ე მუხლი). სსკ-ის 769-ე მუხლის თანახმად, მიმბარებელმა უნდა აუნაზღაუროს შემნახველს შესანახად მიბარებული ნივთის თვისებების გამო მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მან ამ ნივთის საფრთხის შემცველი თვისებების შესახებ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა.

<sup>173</sup> ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 280

<sup>174</sup> ჯორბენაძე ს., საქართველოს მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, კრებული „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994, 153

<sup>175</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-221-213-2012



შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერება ვლინდება ცალკეულ შემთხვევაში სუბიექტური მნიშვნელობითაც.<sup>176</sup> ასეთ დროს „კეთილსინდისიერების“ ტერმინი გამოიყენება იმისათვის, რომ დახასიათდეს პირის სუბიექტური დამოკიდებულება ქცევისადმი, როცა პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა რაიმე ფაქტი და ამის მიხედვით განისაზღვრება კეთილსინდისიერება-არაკეთილსინდისიერების საკითხი (სსკ-ის 769-ე მუხლი).

როდესაც მიმბარებელმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა რომ ის ასრულებდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (ნივთს გააჩნდა ისეთი თვისებები, რომელსაც შეეძლო ზიანი მიეყენებინა შემნახველისათვის), ის ითვლება ბრუნვის კეთილსინდისიერ მონაწილედ, მაგრამ რეალურად, მისი მოქმედებები მართლსაწინააღმდეგოა.

როდესაც „კეთილსინდისიერების“ („არაკეთილსინდისიერების“) ტერმინი გამოიყენება, როგორც სამოქალაქო სამართლის კატეგორია (სამართლებრივი კატეგორია), კანონმდებელი ასეთ დროს წყვეტს საკუთარი მოქმედებებისადმი პირის სუბიექტური დამოკიდებულების შეფასების საკითხს.

როდესაც „კეთილსინდისიერების“ ტერმინი გამოიყენება კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობით, სიტუაცია კარდინალურად იცვლება.

სამართლის პრინციპი სახელმძღვანელო დებულების როლს ასრულებს კანონმდებლობის არა მხოლოდ შემუშავებისა და სრულყოფისას, არამედ სამართლის ნორმების პრაქტიკაში გამოყენების დროს. კეთილსინდისიერების, როგორც პრინციპის დახასიათებისას ზეღერი აღნიშნავს, რომ თუ მხარის ქცევა ეწინააღმდეგება ხელშეკრულების შინაარსს, ხოლო მეორე მხარეს იმედი აქვს, რომ თავისი კონტრაქტის კეთილსინდისიერად მოიქცევა, ეს წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას.<sup>177</sup> ზეღერი ყურადღებას ამახვილებს მთელ რიგ შემთხვევებზე, როცა ხელშეკრულების მხარის მოქმედება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად უნდა დაკვალიფიცირდეს. კერძოდ, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად ჩაითვლება მეტისმეტად დაგვიანებით (ძალზედ დაგვიანებით) საქონლის დათვალიერება და მასში ნაკლის აღმოჩენა. კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას ექნება ადგილი, თუ

<sup>176</sup> სახელშეკრულებო ურთიერთობებში ისეთ სუბიექტურ ელემენტებზე, როგორიცაა „ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობა“ (568-ე მუხლი), „გულისხმიერება, როგორც საკუთარი საქმისადმი“ (725-ე მუხლი), „კეთილსინდისიერი შენახვა, როგორც საკუთარი ნივთის“ (765-ე მუხლი), „კეთილსინდისიერი მეურნის გულისხმიერება“ (781-ე მუხლი), „გონივრული ვადა“ (399-ე მუხლის მე-3 ნაწილი) და სხვა, ყურადღება გამახვილებულია ლიტერატურაში. იხ: *სუხიტაშვილი თ.*, თეორიები სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(35)<sup>12,111</sup>

<sup>177</sup> Zeller B. Good Faith, The Scarlet Pimpernel of the CISG. (<http://cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zeller2.html>) 2000

მყიდველი ჩაყენებული იქნება ისეთ პირობებში, რომ იძულებული გახდება იჩქაროს პრეტენზიის წარდგენა.<sup>178</sup>

მაშასადამე, კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი მოიცავს მხარეების მიერ თავიანთი მოვალეობების (ვალდებულებათა) კეთილსინდისიერ შესრულებას. მხარის მიერ ვალდებულების სათანადოდ შესრულება ადასტურებს მხარის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას, ხოლო არასათანადოდ შესრულება-კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას.

ამრიგად, ზემოთ მითითებულ სსკ-ის 346-ე და სხვა ამდაგვარ ნორმებში, რომლებშიც პირდაპირ არის მითითებული კეთილსინდისიერების თაობაზე, როგორც სამართლის პრინციპზე, კეთილსინდისიერების ცნება გამოყენებული უნდა იქნეს არა მხოლოდ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ქცევის შესაფასებლად (იცოდა ან უნდა სცოდნოდა), არამედ ყოველივე იმის მიმართაც, რაც დაკავშირებულია მხარის მიერ თავისი ვალდებულების კონტრაქტის მიმართ შესრულებასთან.

ზემოთ აღინიშნა, რომ კანონმდებელი არცთუ იშვიათად, სახელშეკრულებო ურთიერთობათა მონაწილის კეთილსინდისიერებაზე მიუთითებს, ამასთან ისე, რომ თავად „კეთილსინდისიერების“ ტერმინს არ იყენებს. შესაბამისი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ასეთ შემთხვევებში „კეთილსინდისიერების“ ტერმინის ნაცვლად კანონმდებელი იყენებს სხვაგვარ ტერმინოლოგიას. მაგალითად, სკ-ის 494-ე მუხლის თანახმად, ნივთის ნაკლით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ზოგადი წესების მიხედვით. მაგრამ მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნივთის ნაკლის გამო, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამის შესახებ.

დასახელებულ ნორმაში „კეთილსინდისიერების“ ტერმინი არ გამოიყენება, მაგრამ სკ-ის 494-ე მუხლის შინაარსი მიუთითებს, რომ მყიდველი (შემძენი) კეთილსინდისიერი უნდა იყოს. სკ-ის 769-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე იგივე შეიძლება ითქვას მიმბარებელზეც, რომლის კეთილსინდისიერების შემთხვევაში გამოირიცხება მისი პასუხისმგებლობა შემნახველის მიმართ.<sup>179</sup>

„კეთილსინდისიერების“ ტერმინის გამოყენების გარეშე, სამართლის ზოგიერთ ნორმაში რეალურად გამოხატულია სწორედ სამართლებრივი პრინციპი-კეთილსინდისიერების პრინციპი. ასეთ შემთხვევებში კანონმდებელი კონტრაქტებისაგან მოითხოვს აუცილებლად გაითვალისწინონ კონკრეტული ამა თუ იმ ვალდებულების შესრულების სპეციფიკა. მაგალითად, სსკ-ის 886-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით უნდა განიხილოს გონივრულ ვადაში და გამოიჩინოს

<sup>178</sup> Zeller B. Good Faith, The Scarlet Pimpernel of the CISG. (<http://cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zeller2.html>) 2000

<sup>179</sup> სუბიტაშვილი დ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეოთხე. ტომი II, გამომცემლობა სამართალი, თბ., 2001, 40

გონივრული მზრუნველობა<sup>180</sup> იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს. „გონივრული მზრუნველობა“ კონტრაქტებისაგან მოითხოვს შესაბამისი ვალდებულების შესრულებას კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით. „გონივრული მზრუნველობა“ არის კეთილსინდისიერების გამოვლინება.<sup>181</sup> კეთილსინდისიერების პრინციპი გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე მაშინ, როცა გარანტი დაუყოვნებლივ აცნობებს ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ (სსკ-ის 887-ე მუხლი). რადგან საუბარია იმაზე, რომ ეს უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, ე.ი. იგულისხმება, რომ ეს უნდა მოხდეს ოდნავი დაყოვნების გარეშე, შესაბამისად, კეთილსინდისიერად. ზოგჯერ „გონივრული მზრუნველობის“ შესახებ თავად სამართლის ნორმაში შესაძლოა მითითებული არ იყოს, მაგრამ ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნა გამომდინარეობდეს მისი შინაარსიდან. მაგალითად, სსკ-ის 488-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. კეთილსინდისიერების პრინციპი უდევს საფუძვლად სსკ-ის 380-ე მუხლსაც. საქმე იმაშია, რომ შესრულების ხარისხი, ხშირ შემთხვევაში, თავის თავში მოიცავს ასევე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასაც (სსკ-ის 318-ე მუხლი). ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არსებობს მაშინ, როდესაც სახეზეა ინფორმაცია, რომლის მიღების მოლოდინი შესრულების მიმღებს ობიექტურად გააჩნია. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია, თავისი არსით, შესრულების ხარისხზე უნდა ახდენდეს ზეგავლენას და მისი აღქმა ან შემჩნევა, ინფორმაციის მიწოდების გარეშე, შეუძლებელი უნდა იყოს. მაგალითად, როდესაც გამყიდველი ყიდის ნაავარიებ მანქანას, რომელიც შეკეთებული არ არის, მყიდველს შეუძლია იმ ნაკლის აღქმა, რომელიც მანქანას გააჩნია, შესაბამისად, თუ მყიდველი მიიღებს შეთავაზებულ ოფერტს ნაავარიები მანქანის ყიდვის თაობაზე, აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მხარეები შეთანხმდნენ გარიგების არსებით პირობებზე, მათ შორის, შესრულების საგნის ნაკლზეც (ავარიის შედეგად მიღებულ დაზიანებაზე), რაც განსხვავდება ნაკლიანი შესრულებისაგან. შესრულება ნაკლიანი იქნებოდა, თუ მხარეები ნივთობრივად უნაკლო მანქანაზე შეთანხმდებოდნენ, ხოლო გამყიდველი ავარიის შედეგად დაზიანებულ მანქანას გადასცემდა მყიდველს. იგივე მაგალითის შემთხვევაში, თუ მყიდველი ყიდულობს ნაავარიებ, მაგრამ უკვე შეკეთებულ მანქანას, რომელსაც ვიზუალურად ავარიის კვალი არ ეტყობა, ასეთ შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს ინფორმაცია ნაკლის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაციის მიღების მოლოდინი მყიდველს ობიექტურად აქვს, ხოლო მითითებული ინფორმაცია, თავისი არსით, ისეთ მონაცემებს შეიცავს, რომელიც შესრულების ხარისხზე ზეგავლენას ახდენს და ამასთან,

<sup>180</sup> ეს იმიტომ, რომ „გამორიცხოს გარანტიის მხრივ მისი მოვალედ აღიარების ვადის ხელშეკრულებად გადაწევა და აქედან გამომდინარე, ფულადი ვალდებულების შესრულების გადაცილება“. იხილეთ: *შენგელია რ., შენგელია ე.*, საბანკო სამართლის საფუძვლები, გამომც., სამართალი, თბ., 2014, 447

<sup>181</sup> *Богданова Е. Е.* Добросовестность и право на защиту в договорных отношениях, Юнити-Дана: Закон и право, М., 2010, 19

გონიერი, საშუალოდ გულმოდგინე მყიდველის მიერ მისი აღქმა, გამყიდველის მხრიდან შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე, შეუძლებელია.

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არსებობს არამარტო მაშინ, როდესაც შესრულება არ შეესაბამება შესრულების კეთილსინდისიერი მიმღებისათვის შესრულების ხარისხთან დაკავშირებულ ობიექტურ მოლოდინს, არამედ მაშინაც, როდესაც შემსრულებელი ინფორმირებულია იმის თაობაზე, თუ რა მიზნით ესაჭიროება შესრულების მიმღებს შესრულების საგანი და იგი ფლობს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, შესრულების მიმღების მხრიდან შესრულების საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენება ობიექტურად შეუძლებელი იქნება. მაგალითად, თუ, მიმწოდებელმა იცის, რომ საქონელი არ გამოდგება კონკრეტული დანიშნულებით გამოსაყენებლად, რომელიც მყიდველმა ახსენა. მყიდველს შეუძლია გონივრულად მოელოდეს, რომ გამყიდველი შეატყობინებს ამ დანიშნულებით საქონლის გამოყენების შეუძლებლობის შესახებ.

შესრულების უხარისხოდ მისაჩვენად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესრულების მიმღების (კრედიტორის) გონივრულ მოლოდინს. მართალია, კანონი ხარისხზე შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, „სულ ცოტა, საშუალო ხარისხის შესრულებას“ საკმარისად მიიჩნევს, თუმცა, აქ უნდა აღინიშნოს, რომ „სულ ცოტა, საშუალო ხარისხის შესრულება“ შესრულების მიმღების ობიექტურ მოლოდინს უნდა შეესაბამებოდეს. ე.წ. „ობიექტური მოლოდინი“ შეფასებითი კატეგორიაა და დამოკიდებულია ისეთ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლივ ანალიზზე, როგორცაა, ფასი, მყიდველის ინტერესი, ნასყიდობის საგნის ზოგადი მახასიათებლები, ასევე გარემოებები, რაც ხელშეკრულების დადებას უძღოდა წინ. მაგალითად, რიგ შემთხვევაში, შემკვეთს იმდენად დიდი ინტერესი შეიძლება ჰქონდეს შესრულების საგნის შემჭიდროვებულ ვადებში მიღებასთან დაკავშირებით, რომ ნაკლები აქცენტი გააკეთოს ხარისხზე, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, შესრულების მიმღების ობიექტური მოლოდინი ხარისხთან მიმართებით, შეიძლება უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე საშუალო ხარისხის სამუშაოს ან საშუალო ხარისხის ნივთის მიღებაა.

კეთილსინდისიერების პრინციპის გამოსახატავად კანონმდებლობაში შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე შემდეგი ტერმინოლოგია: „დაუყოვნებლივ“ (სსკ-ის 495-ე მუხლი, 889-ე მუხლი), „გაგებისთანავე“ (სსკ-ის 814-ე მუხლი), „გულისხმიერად“ (სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

კეთილსინდისიერების პრინციპი ზოგჯერ განაპირობებს კონტრაქტების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც კი, ასევე მაშინაც, როცა ხელშეკრულება არ დაიდება და შესაბამისი ტერმინოლოგიაც გამოიყენება. მაგალითად, სსკ-ის 610-ე მუხლის თანახმად, ფრენშიაიზინგის ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა დაუფარავად და სრულყოფილად უნდა გააცნონ ერთმანეთს ფრენშიაიზინგთან დაკავშირებული საქმის გარემოებანი, განსაკუთრებით კი - ფრენშიაიზინგის სისტემა და ერთმანეთს კეთილსინდისიერად მისცენ

ინფორმაცია. ისინი ვალდებულნი არიან არ გათქვან მათთვის განდობილი ინფორმაცია მაშინაც კი, როცა ხელშეკრულება არ დაიდება. სსკ-ის 613-ე მუხლის შესაბამისად კი, სახელშეკრულებო ურთიერთობების დამთავრების შემდეგაც მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს გაუწიონ ლოიალური კონკურენცია. ლოიალურობის გამოხენა ერთგულების მოვალეობის, ანუ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას ნიშნავს. ფრენშაიზინგის მიმართ კეთილსინდისიერების პრინციპს შემდეგი მნიშვნელობა ენიჭება: იგი ავსებს ფრენშაიზინგის მომწვესრიგებელ ნორმებს წინასახელშეკრულებო ურთიერთობებისას, ამავედროულად განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებების შესრულებას უშუალოდ ხელშეკრულების დადების შემდგომ პერიოდში და მხარეთა მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დროს წარმოშობილი დავის გადასაჭრელ ინსტრუმენტს წარმოადგენს.<sup>182</sup>

სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილეთა კეთილსინდისიერება სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილეთა უფლებების დაცვის დროს. მაგალითად, თუ წარმოიშვა დავა მყიდველსა და გამყიდველს შორის და მყიდველი ითხოვს ნივთის ნაკლით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს მყიდველის სასარჩელო მოთხოვნები, თუ დადგინდება, რომ მყიდველმა ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდა ნივთის ნაკლის შესახებ (სკ-ის 494-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში მყიდველის ქცევა არ იქნება სამართლებრივი თვალსაზრისით წუნდაუდებელი, მაშასადამე, იგი წარმოადგენს არაკეთილსინდისიერ მხარეს დავაში, რაც განაპირობებს მისი სარჩელის (მოთხოვნის) დაკმაყოფილებაზე უარის თქმას სასამართლოს მიერ. კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას მოითხოვს სსკ-ის 935-ე მუხლიც, რომლის შესაბამისად, თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოსთხოვოს ყოველ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება. როგორც ლიტერატურაშია მითითებული, ამ ნორმაში უნდა ვიგულისხმოთ საერთო ინტერესებში ამხანაგობის საქმეების კეთილსინდისიერად და გონივრულად წარმართვა.<sup>183</sup> „კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობის ყოველი მონაწილისაგან (სსკ-ის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი) არა უშუალოდ თავისი, არამედ მხოლოდ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა სასარგებლოდ.“<sup>184</sup> სსკ-ის 935-ე მუხლის პრაქტიკული მნიშვნელობა დიდია, თუმცა ზოგიერთი სასამართლო ამ ნორმას არ იყენებს ისეთ შემთხვევებში, სადაც ეს აუცილებელია. მაგალითად, საქმეზე №421210013357226 საქმე №2/57-13

<sup>182</sup> *ჩაჩანიძე თ.*, ფრენშაიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, გამომცემელი : იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბ., 2010, 73-80, კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების შესახებ ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში იხილეთ ასევე : *ქოქიაშვილი მ.*, ფრენშაიზინგი და მისი სამართლებრივი რეგულირება, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2009, 102-105 ; *ჯორბენაძე ს.*, ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, გამომც., თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, 1999, 22-38.

<sup>183</sup> იხ: *ნინუა ე.*, ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2012, 62.

<sup>184</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-90-423-09

ყვარლის მაგისტრმა სასამართლომ 2013 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით არასწორად დააკვალიფიცირა მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობები. მხარეები (მოსარჩელე და მოპასუხეები) თავიანთ კუთვნილ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს მორიგეობით უვლიდნენ. პირუტყვისაგან მიღებული შემოსავალი ნაწილდებოდა თითოეულ მორიგე ჯგუფზე მათი მორიგეობის დროს. სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილად მიიჩნია ჩვეულების არსებობა, რომლის თანახმადაც ნახირში მორიგე ერთი ჯგუფის მიერ მომდევნო ჯგუფისათვის მორიგეობის გადაბარება ნიშნავს შემდეგს: ძველმა ჯგუფმა დღის სამი საათისათვის მისულ ახალ ჯგუფს სრულად უნდა ჩააბაროს (მიუთვალოს) მეწველი საქონელი. თუ ამ დროისათვის ახალი ჯგუფი ადგილზე არ არის, მორიგეობა ითვლება გადაბარებულად. სასამართლოს აზრით, ჩვეულება, რომლითაც კონკრეტულ შემთხვევაში და კონკრეტული პირების მიერ დადგენილია მორიგეობის გადაბარების წესი, არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და საჯარო წესებს. სსკ-ის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესებს. სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეებს შორის ადგილი ჰქონდა მოძრავი ნივთის მიბარებას და აქედან გამომდინარე, დავა უნდა გადაწყვეტილიყო მხარეთა შორის არსებული იმ უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით, რაც დადგენილია ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნორმებითა და მიბარების ხელშეკრულებით. შესაბამისად, სასამართლომ ზიანის ანაზღაურება დააკისრა იმ პირს, ვინც დროულად არ გადაიბარა მორიგეობა, ხოლო იმ პირებს, რომლებმაც მიატოვეს პირუტყვი და მორიგეობა ჩათვალეს გადაბარებულად, არ დააკისრა ზიანის ანაზღაურების მოვალეობა. სასამართლოს სწორად უნდა დაეკვალიფიცირებინა მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების იურიდიული ბუნება და მიბარების ხელშეკრულების ნაცვლად, მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებულად უნდა ჩაეთვალა საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება, რაც სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს განაპირობებდა საქმეზე. საერთო საქმიანობის მომწვესრიგებელი ნორმები, კერძოდ კი, 935-ე მუხლი, უფლებას ანიჭებს თითოეულ მონაწილეს, დანარჩენ მონაწილეთაგან მოითხოვოს ამხანაგობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულება. მოცემულ შემთხვევაში, კეთილსინდისიერების პრინციპი, იმ პირებს, რომელთაც მორიგეობა გადაბარებულად ჩათვალეს, აკისრებდა ამხანაგობის დანარჩენი მონაწილეების ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებას, მათ უფლებებზე ზრუნვას, გულისხმიერებას, მათი ქონების დაცვისა და შენარჩუნების, მეთვალყურეობის ვალდებულებას. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ პირებს, არ ჰქონდათ უფლება, გადაბარებულად ჩაეთვალოთ მორიგეობა და უმეთვალყუროდ მიეტოვებინათ პირუტყვი. მათ უნდა მიეღოთ ზომები ქონების დასაცავად, მითუმეტეს, არსებობდა ქონების დაკარგვისა და დაზიანების რეალური საფრთხე და პირუტყვი დაიკარგა კიდევ. მათ ასევე მორიგე ჯგუფების ხელმძღვანელის ინფორმირების ვალდებულებაც გააჩნდათ და მხოლოდ მას შემდეგ

შეედლოთ დაეტოვებინათ პირუტყვი, როცა ამხანაგობა შექმნება თავისი ქონების მოვლა-პატრონობას. სასამართლოს არ უნდა ჩაეთვალოს სამართლის ნორმებთან შესაბამისობაში მყოფად და ჩვეულებად ისეთი წესი, რომელიც ზიანის მომტანია და ქმნის ქონების დაკარგვისა თუ დაზიანების საფრთხეს. ამასთან, ჩვეულება უნდა შეესაბამებოდეს კეთილსინდისიერების პრინციპსაც. დაუშვებელია ჩვეულებებით სადავო ურთიერთობის მოწესრიგება, როცა არსებობს კანონი და თანაც, კანონი სპეციალურად უთითებს სასამართლოს კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებით დავის გადაწყვეტის ვალდებულებაზე.

კეთილსინდისიერების პრინციპზეა აგებული სსკ-ის 808-ე მუხლიც.<sup>185</sup> მოცემული ნორმიდან გამომდინარე, თუ დამზღვევა ხელშეკრულების დადებისას დაარღვია მზღვეველის ინფორმირების ვალდებულება (იხ. 808-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილები), ასეთ შემთხვევაში დამზღვევის ქცევა იქნება არაკეთილსინდისიერი, შესაბამისად, მზღვეველი ჩაითვლება ხელშეკრულების კეთილსინდისიერ მხარედ. ამიტომ დამზღვევს არ ექნება უფლება ასეთ შემთხვევაში ისარგებლოს სსკ-ის 799-ე მუხლით დადგენილი წესებით და წაუყენოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

კეთილსინდისიერების იმპერატივში მნიშვნელოვანია იმაზე მითითებაც, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა დაუშვებელია.<sup>186</sup> მაგალითად, სსკ-ის 399-ე მუხლის თანახმად გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ პატივსაღები საფუძვლით. ამასთან, თუ საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევაა, სავალდებულოა ხელშეკრულების მოსაშლელად ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ვადის დანიშვნა ან გაფრთხილება. უფლებამოსილ პირს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება ხელშეკრულების მოშლის საფუძველი. სსკ-ის 405-ე მუხლის თანახმად, კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. ამავე მუხლში გათვალისწინებულია შემთხვევები, როცა ხელშეკრულებაზე უარის თქმა დაუშვებელია.

სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების სტაბილურობის, სიმყარის პრინციპი უზრუნველყოფილია სხვა საშუალებებითაც. მაგალითად, სსკ-ის 405-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ თუ ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. ხოლო თუ მოვალემ განახორციელა ხელშეკრულების პირობათა შეუსაბამო შესრულება, კრედიტორს არ აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. თუ სახელშეკრულებო ვალდებულების

<sup>185</sup> *ცობკაძე მ.* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 2001, 127

<sup>186</sup> *Кузнецова О.А.* Нормы-принципы российского гражданского права, „Статут“, М., 2006, 242

შეუსრულებლობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ დაზარალებული მხარისათვის არაგონივრული იქნებოდა ხელშეკრულების შეწყვეტა, მას არ აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთ დროს მოქმედებს კეთილსინდისიერების პრინციპი.

მხარეთა ნების შენარჩუნების მიზნით კანონი საპატიოდ თვლის წვრილმან შეცდომებს გამოანგარიშებებში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში. ამგვარი შეცდომები იძლევა მხოლოდ შესწორების, მაგრამ არა შეცილების უფლებას (სსკ-ის 78-ე მუხლი). „ყველა ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში კეთილსინდისიერების პრინციპი არის იმპერატიული ბუნების და კონტრაქტები ვალდებულნი არიან დაიცვან იგი“.<sup>187</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეებს არ აქვთ უფლება ხელშეკრულებით გამორიცხონ ან შეზღუდონ სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლების მოქმედება სახელშეკრულებო ურთიერთობებში.

## 1.5 კეთილსინდისიერების პრინციპის ფუნქცია სახელშეკრულებო სამართალში

### 1.5.1 სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის ფუნქციის ზოგადი მიმოხილვა

კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობასა და არსში რომ გავერკვეთ, აუცილებელია განხილული იქნეს ამ პრინციპისათვის დამახასიათებელი ფუნქცია.

შედარებისათვის უნდა ითქვას, რომ გერმანულ დოქტრინაში გაბატონებული და აღიარებულია ფუნქციონალური თეორია, რომელიც გამოიყენება კეთილსინდისიერების პრინციპის მიმართ. ამ თეორიის შესაბამისად, პრინციპს *Treu und Glauben* სამართლებრივ სინამდვილეში განსაზღვრული ფუნქცია გააჩნია.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების ფუნქცია დააზუსტა ვიაკერმა, რომელმაც ამისთვის გამოიყენა რომის სამართლის გამოცდილება.<sup>188</sup> მრავალრიცხოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების ცალკეული შემთხვევები. კეთილსინდისიერების პრინციპისათვის დამახასიათებელი ფუნქციის განსაზღვრა საფუძვლად დაედო ყველა შემდგომ კვლევას მოცემულ სფეროში. თითქმის ყველა ავტორი იყენებს საკუთარ სქემას კეთილსინდისიერების პრინციპის (*Treu und Glauben*) ფუნქციის განსაზღვრისას და იყენებს სხვადასხვა ტერმინოლოგიას. მაგალითად მედიკუსმა გამოკვეთა დაკონკრეტების (*konkretisierende*), შევსების

<sup>187</sup> *იოსელიანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 20

<sup>188</sup> *Wieacker F.*, Zur rechtstheoretischen Präzisierung des paragraphen 242 BGB. Tübingen, 1956



(*ergänzende*), შეცვლის, ანუ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (*ändernde*) ფუნქციები. ზოგიერთ შემთხვევაში გერმანულ დოქტრინაში გამოიკვეთება კეთილსინდისიერების პრინციპის ოთხი ფუნქცია. მაგალითად, გერმანული გამოკვეთს ვალდებულების წარმოშობის, დადგენის (*pflichtenbegründende*), შემზღუდავ (*schrankenfunktion*), მარეგულირებელ (*regulierende*); კონტროლისა და კორექტირების (*Kontroll- und Korrekturfunktion*) ფუნქციებს.<sup>189</sup> მაგრამ მიუხედავად ამისა, ამგვარი შეუსაბამობა ტერმინოლოგიაში, არ ნიშნავს, რომ ტერმინოლოგიურად სხვადასხვაგვარ ფუნქციებში სხვადასხვაგვარი შინაარსი არის ჩადებული. რაც შეეხება ქართულ სახელშეკრულებო სამართალს, შეიძლება გამოიკვეთოს კეთილსინდისიერების რამდენიმე ფუნქცია, კერძოდ: 1) კანონისა და ხელშეკრულების ხარვეზის შევსება, რაც გულისხმობს მხარეთათვის დამატებითი სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენას, ანუ სახელშეკრულებო ვალდებულებების განვრცობას, გაფართოებას, შევსებას;<sup>190</sup> 2) ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების შეზღუდვა;<sup>191</sup> 3) ხელშეკრულების კორექტირება ანუ შეცვლა;<sup>192</sup> 4) ხელშეკრულების განმარტება. ნაშრომში თითოეული ეს ფუნქცია ცალ-ცალკეა განხილული.

## 1.5.2 კანონისა და ხელშეკრულების ხარვეზის შევსების ფუნქცია

### 1.5.2.1 კანონისა და ხელშეკრულების ხარვეზის შევსების ფუნქციის არსი

ამ ფუნქციის განხილვა და ანალიზი ქართულ სამართალში მიზანშეწონილია შედარებითი მეთოდის გამოყენებით და უცხოელ ავტორთა მოსაზრებების გათვალისწინებით. მაგალითად, ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 1258-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე დიეზ-პიკაზო კეთილსინდისიერების ფუნქციას ასე განმარტავს: არ არის სავალდებულო ხელშეკრულების პირობები ზუსტად ასახავდნენ ხელშეკრულების მხარეთა ნებას. ხელშეკრულების შევსება იმიტომ კი არ ხდება, რომ ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ხარვეზი დაუშვეს. ამ შემთხვევაში საუბარია სახელშეკრულებო ურთიერთობებში ობიექტურობის აღდგენაზე იმგვარად, რომ მხარეებისათვის დაწესებული იქნეს განსაზღვრული ქცევის წესები

<sup>189</sup> Fikentscher W., Schuldrecht: 9. Durchgesehene und Erganzte Auflage. Berlin, 1997,133

<sup>190</sup> აღნიშნულს შეესაბამება რომაული ტერმინი *officium iudicis*. ეს ნიშნავს რომ კანონით განსაზღვრულის გარდა, არსებობს ასევე დამატებითი ვალდებულებების სისტემა რომლებსაც მოსამართლე უნდა იყენებდეს საქმის გადაწყვეტისას. იხ. Adolf Berger *Encyclopedic Dictionary of Roman Law*, Volume 43 PART 2. 1953. p.607. REPRINTED 1980, 1991

<sup>191</sup> აღნიშნულს შეესაბამება ლათინური ტერმინი *praeter legem*.-დებულება რომელიც არ არის მოწესრიგებული კანონით და ამავე დროს არ არის კანონსაწინააღმდეგო. [https://en.wikipedia.org/wiki/Praeter\\_legem/](https://en.wikipedia.org/wiki/Praeter_legem/)

<sup>192</sup> აღნიშნულს შეესაბამება ლათინური ტერმინი *contra legem*, რომელიც ნიშნავს „კანონის საპირისპიროდ“. ეს დათქმა გამოიყენება მოსამართლის მიერ სასამართლო ისეთი გადაწყვეტილების გამოტანისას რომელიც უპირისპირდება კანონს, მაგრამ მიზნად ისახავს სამართალურთიერთობებში კორექტირების შეტანას. <http://definitions.uslegal.com/c/contra-legal/>

მხარეთა ნების შინაარსის მიუხედავად. ყოველივეს მიზანია სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების ჰარმონიზაცია.<sup>193</sup>

მოსამართლე ვალდებულია „გამოავლინოს და მხედველობაში მიიღოს ყველაფერი ის, რაც მხარეებმა არ გაამხილეს, მაგრამ ხელშეკრულების საბოლოო მიზნის გათვალისწინებით, მასში დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო, თუ ხარვეზიანი ადგილები მოწესრიგდებოდა სამართლიანობის პრინციპის და საქმიანი ბრუნვის ჩვეულებათა შესატყვისად“.<sup>194</sup> მიუნხენის კომენტარებში აღნიშნულია, რომ კეთილსინდისიერება თავისი ფუნქციით სამართლის განვითარებას ემსახურება და წარმოადგენს სამართლის განვითარების საკვანძო კატეგორიას მოსამართლეთათვის. სასამართლო მას იყენებს მაშინ, როცა შეუძლებელია გადაწყვეტილება დაეფუძნოს ხელშეკრულებას ან სამართლის ნორმას. ამდენად, კეთილსინდისიერება თავისი ფუნქციის მიხედვით შეესატყვისება შევიცარიის სამოქალაქო კოდექსის პირველ მუხლს „... მოსამართლე ვალდებულია ... გადაწყვიტოს იმ წესის შესაბამისად, რომელსაც იგი დაადგენდა, კანონმდებელი რომ ყოფილიყო ...“<sup>195</sup>. კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე გადაწყვეტილება მიიღება ერთ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით და მხარეთა კონკრეტული ინტერესების გათვალისწინებით, კეთილსინდისიერება არის ე.წ. „სამართლიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში“.<sup>196</sup> მეორე მხრივ, ცალკეული შემთხვევის საფუძველზე შეიძლება განზოგადებული იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულებები (რომლებიც სხვა პრინციპებისაგან განსხვავებით გამონაკლისს არ უშეგებენ) იმ მიზნით, რომ ისინი გამოყენებული იქნეს არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული, არამედ მრავალი მსგავსი შემთხვევის მიმართაც. როდესაც მხარეებმა ხელშეკრულებაში ვერ ან არ გაითვალისწინეს გარკვეული პირობები, ხოლო მათი შევსება სპეციალური ნორმებით არ არის გათვალისწინებული, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხარეთა განზრახვა, ხოლო თუ აღნიშნულიც არ დგინდება, მაშინ „მაშველ რგოლად“ სასამართლოს უნდა მოეველინოს კეთილსინდისიერების პრინციპი.<sup>197</sup> მაგალითად, თუ ფრენშაიზის მიმღებს, რომელსაც ევალება ფრენშაიზის მიმცემის საქონლის რეალიზაცია, არ აქვს უფლება განახორციელოს ანალოგიური საქმიანობა გარკვეული პერიოდის

<sup>193</sup> Diez-Picazo L., Kommentar zu Art. 1258, in: Ministerio de Justicia (Hg.), Comentario del Código Civil, Band 2, Madrid 1993, 437 ff

<sup>194</sup> BGHZ 16, 71, მითითებულია *იოსელიანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ქ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 54

<sup>195</sup> Heinrichs H., Münchener Kommentar Bürgerliches Gesetzbuch, Band 2, Schuldrecht, Allgemeiner teil. 3. Aufl., Verlag C.H. Beck, 1994, §242, Rdnr. 13.

<sup>196</sup> Heinrichs H., Münchener Kommentar Bürgerliches Gesetzbuch, Band 2, Schuldrecht, Allgemeiner teil. 3. Aufl., Verlag C.H. Beck, 1994, §242, Rdnr. 14.

<sup>197</sup> იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ქ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 56

განმავლობაში ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან, მაგრამ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი აღნიშნული აკრძალვის ტერიტორიული ფარგლების შესახებ, ფრენშიაზინგის ხელშეკრულების განსაკუთრებული ხასიათიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მართებული იქნება განისაზღვროს, რომ აკრძალვა სსენებულ საქმიანობაზე შემოიფარგლება მხოლოდ იმ ტერიტორიით, რომელზეც ფრენშიაზის მიმღები იყენებს თავის უფლებას, საქონლის რეალიზაციის შესახებ ხელშეკრულების თანახმად.

### 1.5.2.2 კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე მხარეთათვის დამატებითი ვალდებულებების დაკისრება

კანონის თუ ხელშეკრულების ხარვეზის შევსების ფუნქცია გულისხმობს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე მხარეთათვის მთელი რიგი დამატებითი ვესების დადგენას. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დამატებით ვალდებულებებს სამართლებრივი ურთიერთობების მხარეებს აკისრებს სასამართლო. დამატებითი ვალდებულებები მხარეებს ეკისრებათ იმის მიუხედავად, გამოავლინეს თუ არა მათ ნება ამ ვალდებულებების შესრულების თაობაზე.<sup>198</sup>

ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული პირობები სავალდებულოა კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ყველა მონაწილისათვის. ამასთან, ამა თუ იმ ხელშეკრულებაში, შესაძლოა არც კი იყოს ჩამოყალიბებული განსაზღვრულად ქცევის წესი, მაგრამ განსაზღვრული წესით ქცევის, განსაზღვრული მოქმედების შესრულების ვალდებულება კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნებიდან გამომდინარეობდეს. ქცევის ამ წესებში (დამატებით ვალდებულებებში) ლარენცი მოიაზრებს შენარჩუნებისა და დაცვის ვალდებულებას, შეტყობინების ანუ ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას, ასევე ზრუნვის ვალდებულებას.<sup>199</sup> ქართულ სახელშეკრულებო სამართალში დამატებითი ვალდებულებებიდან გამომდინარე მოქმედებების შესრულება შესაძლოა უკვე ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკებიდან გამომდინარე ან ხელშეკრულების პირობების შესრულების შემდეგაც დაევალოთ გარიგების მხარეებს. ეს წესი ასახულია სსკ-ის 316-ე მუხლში. სსკ-ის 316-ე მუხლის კონკრეტიზაციისათვის კი სსკ-ის 361-ე მუხლი გადამწყვეტ როლს თამაშობს).

ამრიგად, კეთილსინდისიერების პრინციპი „ეხმარება სამართალს“ და ავსებს კანონის, სამართლის ნორმის ხარვეზებს (*supplendi*), რის შედეგადაც ხდება სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობაში მხარეთათვის დამატებითი ვალდებულებების (როგორც არის ინფორმაციის გაცემის, ინსტრუქტაჟის ჩატარების, იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მეიჯარის მიწაზე მოიჯარის გონივრული ვადის განმავლობაში ყოფნის თმენის, თანამშრომლობის,

<sup>198</sup> Faure-Abbad M, Le fait Générateur de la responsabilité Contractuelle : contribution à la théorie de L'inexécution du contrat. Paris, 2003,91

<sup>199</sup> Larenz K. Lehrbuch des Schuldrechts, Bd. I, Allgemeiner teil. 14 Aufl. München, 1987, 138

ლოიალურობის, მზრუნველობის, ქონების დაცვის ანუ შენახვის, საიდუმლოების შენახვის ვალდებულება და სხვა) დაკისრება. დახმარების (ხელის შეწყობის) ვალდებულებას ხელშეკრულების შესრულების დროს (*Die Mitwirkungspflicht*) სხვაგვარად თანამშრომლობის ვალდებულებასაც უწოდებენ. ამ სახის ვალდებულებაზე ნაშრომის ცალკე პარაგრაფშია დეტალურად ყურადღება გამახვილებული. აქ მოკლედ შეიძლება აღინიშნოს, რომ კრედიტორს ეკრძალება ხელი შეუშალოს მოვალეს შესრულებაში. უფრო მეტიც, კრედიტორი ვალდებულია თავიდან აიცილოს ფაქტორები, რომლებიც აძნელებს შესრულებას. კრედიტორმა უნდა შექმნას დაუბრკოლებელი, შეუფერხებელი შესრულების პირობები, თუნდაც ეს ფორმალურად მოვალის ვალდებულებას წარმოადგენდეს. პრაქტიკაში მოცემულ ვალდებულებებს მნიშვნელობა ყველაზე უფრო ხშირად ისეთ შემთხვევებში უნდა მიენიჭოს, როცა გარიგებისათვის საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ნებართვა.

რაც შეეხება დაცვის ვალდებულებას (*Die Schutzpflicht*) მასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ არსებობს ვალდებულებები, „რომლებიც არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე, არამედ ქონების და სახელშეკრულებო მხარეების პიროვნული ხელშეუხებლობის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული... რომელთაც ზოგადად დაცვის ვალდებულებებს უწოდებენ...“<sup>200</sup> დაცვის ვალდებულებების მხარისათვის დაკისრების მიზანია კონტრაქტის ქონებისა და პიროვნების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა. დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარეობს, რომ სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება და მეორე მხარის სხვა ქონებრივი ინტერესი და ფასეულობა არ დაირღვეს და ამ სამართლებრივ სიკეთეებს არ მიადგეთ ზიანი. მაგალითად, ავტოსერვისს, რომელმაც სარემონტოდ მიიღო ავტომობილი, აკისრია ავტომობილის დაცვის ვალდებულება და რემონტის შესრულების ვალდებულება. ეს ვალდებულებები მხარისაგან მოითხოვს, რომ მიღებული იქნეს ყველა ღონისძიება, მაგალითად სატრანსპორტო საშუალების დაზიანების ან დაკარგვის თავიდან ასაცილებლად.

დაცვის ვალდებულება არსებობს როგორც მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების დროს, ისე ხელშეკრულების შესრულების დროსაც. დაცვის ვალდებულებას მნიშვნელობა გააჩნია ხელშეკრულების შესრულების შემდეგაც. მაგალითად, ავტოსერვისის მფლობელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ შემკვეთს შეეძლოს თავისი სატრანსპორტო საშუალების დატოვება და ყველა ზომა უნდა მიიღოს სატრანსპორტო საშუალების დასაცავად, შემკვეთმა რემონტის ჩატარება რომც არ გადაწყვიტოს. მეორე მხრივ, მან უნდა იზრუნოს დაცვის შესახებ რემონტის ჩატარების შემდეგ. მოცემული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალდებულების დამრღვევს ეკისრება პასუხისმგებლობა და ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. სხვა მაგალითი: ნარდობის ხელშეკრულებით მღებავმა იკისრა კედლის

<sup>200</sup> *პელეგრინო მ.*, სუბიექტური თუ ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა? სახელშეკრულებო სამართალში ბრალის როლის შედარებით-სამართლებრივი განხილვა, საიუბილეო კრებული “სერგო ჯორბენაძე 70“, თბ., გამომც. „ნორმა“, 1996, 165.

შედგების ვალდებულება. თავისი ვალდებულება მან ჯეროვნად შეასრულა, მაგრამ ამასთან, გააფუჭა შემკვეთის საკუთრებაში მყოფი ნივთები. მართალია, მოცემულ შემთხვევაში ძირითადი ვალდებულება შესრულებულია, მაგრამ ადგილი აქვს დამატებითი ვალდებულების (სხვისი ქონების დაცვის ვალდებულება) დარღვევას. ამიტომ მღებავი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი.<sup>201</sup> დაცვის მოვალეობას მიეკუთვნება სატრანსპორტო კომპანიის მოვალეობა იზრუნოს იმაზე, რომ მისმა მგზავრებმა უსაფრთხოდ იმოძრაონ კომპანიის ტერიტორიაზე (უსაფრთხო ტრანსპორტირების მოვალეობა). ასეთი ტერიტორია მოიცავს არა მხოლოდ ლიანდაგებსა და ბაქანს, არამედ აგრეთვე შესასვლელებს, გასასვლელებს, კიბეებსა და სხვა.

საყურადღებოა, რომ სსკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. ვალდებულების შინაარსიდან შეიძლება გამომდინარეობდეს თითოეული მხარის ვალდებულება გაითვალისწინოს მეორე მხარის უფლებები, არამატერიალური სიკეთეები და ინტერესები. მოცემულ შემთხვევაში 316-ე მუხლის დებულებას, რომ „ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოვალისაგან მოითხოვოს შესრულება“, ემატება დამცავი ვალდებულება, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ვალდებულების შესრულებასთან.

გასათვალისწინებელია, რომ სსკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ვალდებულებების მხარისათვის დაკისრება (იმის განსაზღვრა, ეკისრება თუ არა მხარეს და რა მოცულობით ეკისრება დაცვის მოვალეობა) დამოკიდებულია, პირველ ყოვლისა, ხელშეკრულების იურიდიულ ბუნებასა და ხელშეკრულების შინაარსზე. გულისხმიერების მოვალეობის დარღვევა ვალდებულების განხორციელების პროცესში, მხარისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია, ან მისი დარღვევისას კრედიტორს შეიძლება წარმოეშვას ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის უფლება.<sup>202</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ერთ-ერთ დამატებით ვალდებულებას წარმოადგენს ლოიალურობის ვალდებულება. ქართული კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ლოიალურობის (იგივეა, რაც ერთგულება) ვალდებულებას უფრო ფართო ფუნქცია აქვს და არსებითად უფრო ფართო შინაარსი ეძლევა, ვიდრე კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე სხვა დამატებით ვალდებულებებს. ლოიალურობის ანუ ერთგულების ვალდებულება არ არის რაიმე დამოუკიდებელი, კონკრეტული ვალდებულება, არამედ იგი კეთილსინდისიერად მოქმედების ზოგად ვალდებულებას წარმოადგენს, რის გამოც მას შეიძლება მთავარი ვალდებულებაც ვუწოდოთ.

<sup>201</sup> Fikentscher W., Schuldrecht:9. Durchgesehene und Erganzte Auflage, Berlin, 1997,21

<sup>202</sup> გულისხმიერების ვალდებულების იურიდიული ბუნების შესახებ დაწვრილებით იხილეთ *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომც. სამართალი, თბილისი, 2001, 31-36

შესრულების დროს ერთგულების ვალდებულება (*Die Leistungstreuepflicht*) ნიშნავს: მხარეებმა ვალდებულებები ჯეროვნად უნდა შეასრულონ. მათ თავი უნდა შეიკავონ ყველაფერ იმისაგან, რაც შეიძლება საზიანო ან ხელისშემშლელი იყოს შესრულებისათვის. ამ წესიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულების მხარე გარიგების საგანს მზრუნველობით უნდა მოეპყრას და დაიცვას იგი შესაძლო ზიანისაგან.

ზოგჯერ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, პირს შეიძლება დაეკისროს ნივთის შენახვის ვალდებულება, შესაბამისად დადებულად ჩაითვალოს მხარეთა შორის მიბარების ხელშეკრულება. მაგალითად, მოვალესთან იმყოფება საქონელი, რომელიც არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს. ასეთ დროს მოვალეს ეკისრება გარიგების საგნის შენახვის ვალდებულება, იმ შემთხვევაშიც კი, როცა კრედიტორი აყოვნებს საქონლის მიღებას (გადააცილა ნივთის მიღების ვადას) ანუ კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება არ ათავისუფლებს მოვალეს მთელი რიგი ვალდებულებების შესრულებისაგან, არ გამორიცხავს მოვალის ვალდებულებებს (იხილეთ: სსკ-ის 392-ე, 434-ე მუხლები). სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაშიც, თუ მეწარმე ოფერტს უარყოფს, ხოლო საქონელი უკვე გამოგზავნილია, იგი ვალდებულია ზიანის თავიდან ასაცილებლად ოფერენტის ხარჯზე დროებით შეინახოს საქონელი ისე, რომ ამით მას ზიანი არ მიადგეს. მოვალემ ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე, რომ საქონელი ტრანსპორტირების დროს არ დაზიანდეს. შესრულების შემდეგ მოვალემ თავი უნდა შეიკავოს ყოველივე იმისგან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ კრედიტორმა ვერ მიიღოს სარგებელი (მოგება). თუ საუბარია ცხოველებზე, მათ უნდა მიეცეს საკვები, მათთვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი ზოოვეტერინარული მომსახურება, მანქანა-დანადგარები ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში უნდა იქნეს შენარჩუნებული და სხვა. ცალკეულ შემთხვევაში მოვალეს შეიძლება დაეკისროს ვალდებულების საგნის დაზღვევის მოვალეობა (მაგალითად ასეთი მოვალეობა შეიძლება ჰქონდეს გამყიდველს ტვირთის ტრანსპორტირებისას. იხ. სსკ-ის 480-ე მუხლის მე-3 ნაწილი და სხვა). რკინიგზა ვალდებულია დადგენილი წესის შესაბამისად იზრუნოს ტვირთზე მაშინაც, როცა კრედიტორმა (მიმღებმა) დროულად არ იზრუნა ტვირთის მიღებაზე. კრედიტორს ისევე ევალება ვალდებულების საგნის მოვლა, როგორც მოვალეს ნივთის უკან დაბრუნების შემთხვევაში (იხილეთ: სსკ-ის 501-ე მუხლი, 771-ე მუხლის მე-2 ნაწილი). კომერციული ფართის მოიჯარე ვალდებულია იმაზე იზრუნოს, რომ ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ მეიჯარემ ისევე შეძლოს ამ ფართის გამოყენება იმავე ან სხვა კომერციული მიზნით. მზრუნველობის ვალდებულებიდან გამომდინარე, ნივთით მოსარგებლემ ისე უნდა გამოიყენოს ნივთი, რომ შეინარჩუნოს ნივთის ღირებულება (სსკ-ის 602-ე მუხლი).

კრედიტორსაც ეკისრება ერთგულად შესრულების ვალდებულება. ამგვარი ვალდებულება მას ეკისრება ნდობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის ფორმით. კრედიტორს არა აქვს უფლება უსაფუძვლოდ თქვას უარი მოვალისაგან შესრულების მიღებაზე. გამჭირავებელი არღვევს

ერთგულად შესრულების ვალდებულებას, თუ ის ხელშეკრულებას წყვეტს უსაფუძვლოდ. მაგალითად, არაკეთილსინდისიერად მოქმედებს ბინის გამქირავებელი, რომელიც ვითომდა საკუთარი საჭიროების გამო (სსკ-ის 562-ე მუხლი) წყვეტს ამ ბინის ქირავნობის ხელშეკრულებას.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთაგან მოითხოვს ლოიალურობის გამოჩენას ერთმანეთის უფლებებისა და მოვალეობების (ინტერესების) მიმართ. ამის გათვალისწინებით, ხელშეკრულება ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ იმ ვალდებულებების შესრულების სამართლებრივი საფუძველი, რომლის მოთხოვნაც კრედიტორს თავისი მოვალისაგან შეუძლია (სსკ-ის 316-ე მუხლი). კეთილსინდისიერება შესაძლებელს ხდის, მოთხოვნის მფლობელსაც დაეკისროს მთელი რიგი ვალდებულებანი, ანუ კრედიტორი სამართლებრივად შებოჭილია კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედებით. ამ პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობამ (დარღვევამ) მასვე შეიძლება შეუქმნას სამართლებრივი პრობლემები. რადგან საუბარია მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრაზე, ასეთ დროს კეთილსინდისიერების პრინციპი მოქმედებს სამართლის წყაროს სახით მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად. კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს როგორც მოვალის, ისე კრედიტორის ქცევისადმი წაყენებული მოთხოვნის საფუძველს. ერთგულების ვალდებულება დიდ მნიშვნელობას იძენს ასევე საკორპორაციო სამართალში<sup>203</sup>, ვინაიდან განსაზღვრავს პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობასა და მის ვალდებულებებს, რომლიდანაც თავის მხრივ, ცალკეული ვალდებულება წარმოიშობა. ერთგულების მოთხოვნის საფუძველზე განისაზღვრება თვითოეული პარტნიორის კუთვნილი უფლებების შინაარსი და ფარგლები. ერთგულებიდან გამომდინარეობს მოთხოვნა, სუბიექტმა თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც კორპორაციის ინტერესებისთვის საზიანოა. საინტერესო და გასაზიარებელია აღნიშნულ საკითხზე პროფ. ი. ბურდულის მიერ გამოთქმული მოსაზრება: „იქიდან გამომდინარე, რომ თავისი სამართლებრივი შინაარსით საზოგადოებაც, გარკვეულ წილად, ვალდებულებით სამართლებრივ კატეგორიად უნდა განიხილებოდეს და სამართალურთიერთობის სახეს ატარებდეს, ამ ურთიერთობის მონაწილეთა უფლებების დაცვა მასში მონაწილე ყოველი სუბიექტის ერთ-ერთი ცენტრალური მოვალეობა იქნება. მონაწილისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და მისი უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინება და დაცვა მთელი კერძოსამართლებრივი ბრუნვის ქვაკუთხედი. სწორედ ამას აღიარებს საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილიც ... კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებულნი არიან ამ ურთიერთობასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები კეთილსინდისიერების ფარგლებში განახორციელონ. შესაბამისად, საზოგადოების წევრთა

<sup>203</sup> ერთგულების მოვალეობის შესახებ საკორპორაციო სამართალში დამატებით იხილეთ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომც. „სამართალი“, თბ., 2006



ურთიერთდამოკიდებულება არა მხოლოდ ერთმანეთის მიმართ, არამედ საზოგადოების მიმართ, სწორედ რომ ასეთი კეთილსინდისიერების სახომით უნდა განისაზღვრებოდეს. უფლების კეთილსინდისიერად გამოყენება და მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება საკორპორაციო სამართალში იმ მასშტაბს ქმნის, რომლის დარღვევაც გარკვეულ იურიდიულ სანქციებთან არის დაკავშირებული. ამ მოვალეობათა პატივისცემისა და დაცვის სამართლებრივ საფუძველს პარტნიორებს შორის დადებული გარიგება წარმოადგენს, რომლითაც ისინი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე თანხმდებიან. სწორედ ამ შეთანხმებით ფუძნდება მათ შორის უფლებებისა და მოვალეობების პატივისცემის, დაცვისა და მათი კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება. მათი დაუცველობა და აქედან გამომდინარე ... სანქციის დაუწესებლობა საზოგადოების წევრებს აღვირახსნილი მოქმედებებისკენ უბიძგებდა ...”<sup>204</sup> რაც შეეხება ერთგულების მოთხოვნიდან გამომდინარე კონკრეტულ ვალდებულებებს, აქ შეიძლება აღინიშნოს ე.წ. დაცვის ვალდებულებები. მაგალითად, აქ მოიაზრება ვალდებულება, არ იქნეს დაზიანებული საწარმოს ქონება კორპორაციის საიდუმლოების გამჟღავნების გზით, ან მესამე პირებისათვის ინფორმაციის გადაცემით, რომელიც საზიანოა კორპორაციის იმიჯისა და საკრედიტო მდგომარეობისათვის. ზოგადად, პარტნიორს ეკრძალება საკუთარი კეთილდღეობისათვის გამოიყენოს კომპანიის კუთვნილი სამეწარმეო შანსები. ერთგულების ვალდებულებიდან გამომდინარეობს ინფორმაციის გაცემის ვალდებულება. ერთგულების ვალდებულებას აქვს უფლების შემზღუდავი ფუნქციაც, რაც ვლინდება პარტნიორის ვალდებულებაში, გაითვალისწინოს (ანგარიში გაუწიოს) კომპანიის რთულ ფინანსურ მდგომარეობას კუთვნილი დივიდენდის მოთხოვნისას, დირექტორს, რომელიც ამავე დროს არის საზოგადოების პარტნიორი, ევალება შეუსაბამოს თავის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას. ერთგულების ვალდებულება არსებობს არა მხოლოდ კომპანიის, არამედ აქციონერთა ინტერესების მიმართაც, ასევე აქციონერთა შორის ურთიერთობებშიც. კერძოდ, ერთგულებიდან გამომდინარე მოთხოვნები ავალდებულებს უმრავლესობას, ანგარიში გაუწიოს უმცირესობის ინტერესებს.

დამატებითი ვალდებულებების პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ თუ მხარე არღვევს მთავარი ვალდებულების შინაარსის შესატყვის დამატებით ვალდებულებებს, ეს ნიშნავს, რომ ამით ირღვევა მთავარი ვალდებულება, რაც ვალდებულების დამრღვევი მხარისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ე.ი. კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე შესაძლებელია მთავარი (უკვე არსებული) ვალდებულების პარალელურად მოხდეს დამატებითი ვალდებულების დაკისრებაც კონტრაქტისათვის. დამატებითი

<sup>204</sup> ბურდული ი., ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(35)<sup>12</sup>, 51.



ვალდებულებები გამომდინარეობს მთავარი ვალდებულებიდან ანუ მთავარი ვალდებულების შინაარსზე და მოკიდებული მხარისათვის მათი დაკისრება. მაგალითად, კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე შესაძლებელია იმ გარემოებების უფრო დაზუსტება, რომელშიც უნდა განხორციელდეს შესრულება, თუ ეს გარემოებები არ არის ხელშეკრულებით ან კანონით განსაზღვრული. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრებისეული გარემოებები იმდენად მრავალფეროვანია და ისეთი მრავალგვარი ინტერესები გააჩნიათ მხარეებს, რომ ყველა მათგანის წინასწარ გათვალისწინება არც კანონმდებელს შეუძლია და ვერც ხელშეკრულებაში აისახება. ამიტომ საჭიროა არსებობდეს გენერალური წესი, რომელიც შესაძლებელს გახდის შესასრულებელი ვალდებულების დაკონკრეტებას კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე. სსკ-ის 361-ე მუხლში უპირველესად ხდება მოვალისაღმის მოთხოვნის დაკონკრეტება, რომ ყველაფერი იღონოს ვალდებულების სათანადო მოცულობით შესასრულებლად, კრედიტორის ინტერესების შესაბამისად, რათა მიღწეულ იქნეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგი. ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპი ამ შემთხვევაში ემსახურება მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დაკონკრეტებას და განვრცობას. გარდა ამისა, კრედიტორიც ვალდებულია, შეიტანოს წვლილი თავისი ინტერესების განხორციელების ხელშეწყობის საქმეში, ვინაიდან მოვალესთან მისი თანამშრომლობის გარეშე შესაძლებელია შესრულება ჩაიშალოს, არ შედგეს. მას, როგორც კრედიტორს და არა მხოლოდ როგორც სანაცვლო, საპასუხო შესრულების მოვალეს, შეიძლება დაეკისროს დამატებითი ვალდებულებები. კერძოდ, მან ყველა იმ მოქმედებისაგან უნდა შეიკავოს თავი, რამაც შესაძლოა შესრულების განხორციელებას საფრთხე შეუქმნას. ამის გარდა, ორივე მხარე ვალდებულია გარიგების განხორციელებისას გაითვალისწინოს მეორე მხარის ინტერესი, რათა შენარჩუნებულ იქნეს ქონება ან სხვა მატერიალური სიკეთე (შენარჩუნოს მეორე მხარის ქონებრივი მდგომარეობა). დამატებითი ვალდებულებები იგივეა, რაც ნაგულისხმევი ვალდებულებები. ამიტომ, მაგალითად, ისეთი დამატებითი ვალდებულებები, როგორც არის მხარეთა ურთიერთდახმარების (თანამშრომლობის), მესამე პირებთან ურთიერთობაში კონტრაქტის ინტერესთა დაცვის და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები, ნაგულისხმევი ვალდებულებათა კატეგორიას მიეკუთვნებიან ანუ კეთილსინდისიერების პრინციპიდან და გარიგების ხასიათიდან გამომდინარე, მხარეებს ეს ვალდებულება მაინც ეკისრებათ იმისდა მიუხედავად, პირდაპირ გაითვალისწინებენ მათ თუ არა ხელშეკრულებაში. შესაბამისად, მათი დარღვევა იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგს, რაც ძირითად ვალდებულებათა დარღვევისათვის არის გათვალისწინებული.<sup>205</sup>

მოცემული ვალდებულებები შეიძლება ასახული იყოს კანონმდებლობაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებებიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოიკვეთოს შემდეგი დამატებითი ვალდებულებები: ინფორმირების ვალდებულება (სსკ-ის 497-

<sup>205</sup> ვაშაკიძე ვ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10 №1, 2007, 24-26

ე მუხლის შესაბამისად, გამყიდველი ვალდებულია მიადგოს მიაწოდოს აუცილებელი ინფორმაცია იმ სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ, რომლებიც ეხება გაყიდულ საგანს; 713-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ რწმუნებული ვალდებულია მარწმუნებლის მოთხოვნით მიაწოდოს მას საჭირო ინფორმაცია, ჩააყენოს იგი საქმის კურსში საქმის მდგომარეობის შესახებ, ხოლო დავალების შესრულების შემდეგ წარუდგინოს ანგარიში); უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების (ზომების) მიღების ვალდებულება, რაზეც ნაშრომის შესაბამის პარაგრაფშია მსჯელობა და სხვა ვალდებულებები (მაგალითად, 429-ე მუხლის შესაბამისად კრედიტორმა შესრულების მიღების დროს მოვალის მოთხოვნით უნდა გასცეს ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (ხელწერილი).<sup>206</sup> მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მხარეთათვის დამატებითი ვალდებულების დადგენა ხდება სასამართლო პრაქტიკის გზით. როგორც წესი, ნებისმიერი სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობა ისეთი ძირითადი ვალდებულებების გარდა, როგორც არის რაიმეს გადაცემა, შესრულება, შეიცავს დამატებით ვალდებულებებსაც. ამ ვალდებულებათა შესრულება უზრუნველყოფს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებას (უზრუნველყოფს როგორც მოვალის მიერ ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ისე კრედიტორის უფლებების დაცვას). იმისათვის, რომ ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების მიზანი იქნეს მიღწეული, აუცილებელია, რომ მხარეები მოიქცნენ კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად.

### 1.5.3 შეზღუდვის ფუნქცია

#### 1.5.3.1 შეზღუდვის ფუნქციის არსი

<sup>206</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე №1541-1547-2011 განმარტა სსკ-ის 429-ე მუხლი: „ მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, გასცეს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს. კანონში კრედიტორის მიმართ არსებობს მეტად ცალსახა დამოკიდებულება - იგი ავალდებულებს მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ასეთი დოკუმენტი, თუმცა კანონი ასეთივე მომთხოვნი არ არის მოვალის მიმართ. მას შეუძლია, არ გამოითხოვოს ასეთი საბუთი კრედიტორისაგან. ბუნებრივია, კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. ნორმაში მითითებული დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან მან მხოლოდ ამ დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს ვალდებულების შესრულება, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე. მას არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით არანაირი საჭიროება არ აქვს, ფლობდეს ამ დოკუმენტს. უფრო მეტიც, არაკეთილსინდისიერ კრედიტორს შეუძლია, ასეთი დოკუმენტის გაუცემლობის შემთხვევაში განმეორებით მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. სწორედ, ამიტომ კანონი მას ავალდებულებს სათანადო დოკუმენტის გაცემას. კანონის თანახმად, შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა დამოკიდებულია მოვალის სურვილზე.”

კეთილსინდისიერების პრინციპი აუცილებელია ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების განხორციელების ფარგლების შესაზღვრად. მოცემულ შემთხვევაში, გერმანული სამართალი იყენებს ისეთ კატეგორიებს, როგორც არის *unzulässige Rechtsausübung* (უფლების დაუშვებელი ანუ კანონსაწინააღმდეგო განხორციელება) და *Rechtsmißbrauch* (უფლების ბოროტად გამოყენება).

როგორც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნული, უფლებათა შეზღუდვის ფუნქცია ხორციელდება ერთ შემთხვევაში სსკ-ის 115-ე მუხლის, ხოლო მეორე შემთხვევაში სსკ-ის 361-ე მუხლის უშუალო გამოყენებით, რისი დასაბუთებაც ორივე შემთხვევაში სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეიძლება. შეზღუდვის ფუნქციას მოიხსენიებენ ისეთი ტერმინითაც, როგორც არის „შემაკავებელი ფუნქცია“, რომელიც გამოიხატება ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების დაბალანსებასა და უფლებათა მაგნებლური, გაუმართლებელი გამოყენების შეზღუდვაში,<sup>207</sup> ასევე მოიხსენიებენ ისეთი ტერმინით, როგორც არის „გამაუქმებელი ფუნქცია“.<sup>208</sup> აღნიშნულია, რომ ამ თვალსაზრისით სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი სცილდება სსკ-ის 115-ე მუხლის ფარგლებს, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა პირი მარტოდენ სხვისთვის ზიანის მიყენების მიზნით მოქმედებს. „სწორედ ამიტომ კეთილსინდისიერების დათქმის შემაკავებელი ფუნქციის ასამუშავებლად აუცილებელი არ არის, რომ პირი ბოროტი განზრახვით მოქმედებდეს. საკმარისია ინტერესთა აშკარადის დაბალანსის არსებობა“.<sup>209</sup> შეზღუდვის ფუნქცია ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს მაშინაც, როცა პირი არაკეთილსინდისიერად უშლის ხელს უფლების წარმოშობას ან არაკეთილსინდისიერად სარგებლობს მინიჭებული ნდობით. შეზღუდვის ფუნქციიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა შესაძლოა გახდეს მოთხოვნის უფლების მოსპობის საფუძველი. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მართალია, შეზღუდვის ფუნქციაზე სპეციალური ხაზგასმა არ ხდება, თუმცა კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის გამო მოთხოვნის უფლების მოსპობა სასამართლოს გადაწყვეტილებით სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ შეზღუდვის ფუნქცია ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც ეფექტურად

<sup>207</sup> ვაშაკიძე ვ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010, 66

<sup>208</sup> მაგალითად, აღნიშნულია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის გამაუქმებელი ფუნქცია კარგად წარმოჩინდება სსკ-ის 346-ე მუხლით. კეთილსინდისიერების პრინციპის გამაუქმებელი ფუნქციის მნიშვნელობა გამოიხატება არა მხოლოდ იმით, რომ შეზღუდვას ან გააუქმოს ხელშეკრულების რომელიმე პირობა, არამედ ასევე სასამართლოების მხრიდან იგნორირებულ იქნეს კანონის ნორმათა, მათ შორის იმპერატიულ ნორმათა, მოქმედება. ამ ფუნქციის შესაბამისად, ყველა ნორმამ (პირობამ), ეს იქნება მხარეთა შეთანხმებით თუ კანონმდებლის მიერ მიღებული, უნდა გაიაროს კეთილსინდისიერების ტესტი. ეს უნდა განხორციელდეს არა იმდენად მოსამართლის შინაგანი სამართლიანობის გრძნობიდან გამომდინარე, არამედ იმის მიხედვით, შესაბამისი ნორმის გამოყენება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, გამოიწვევს თუ არა მხარისთვის აშკარად უსამართლო შედეგის დადგომას. იხილეთ: *იოსელიანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ქ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 60-62

<sup>209</sup> ვაშაკიძე ვ., დასახ. ნაშრომი. 66

გამოიყენება. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებაში საქმეზე № ას-85-81-2013<sup>210</sup> განიმარტა სკ-ის 817-818-ე მუხლები და აღინიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 817-ე-818-ე მუხლები არ არის მავალდებულებელი, მაგრამ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას და შემდეგ მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ანაზღაურება. ამდენად, როგორც გადაწყვეტილებიდან იკვეთება, თუ მზღვეველი არამართლზომიერად იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებებს კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში არ აფრთხილებს დამზღვევს ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, მზღვეველს აღარ უნდა მიენიჭოს სადაზღვევო შესატანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეზღუდვის ფუნქციის პრაქტიკაში გამოყენებით ხდება სპეციალური სამართლებრივი ნორმების შინაარსის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შეზღუდვა (მოდუფიცირება), იზღუდება მხარის უფლების შინაარსი.

შეზღუდვის ფუნქცია მოქმედებს როგორც მოვალის, ისე კრედიტორის მიმართ. კრედიტორს, როგორც ხელშეკრულების კეთილსინდისიერ მხარეს, მოთხოვნის უფლება მხოლოდ კეთილსინდისიერების პრინციპის ფარგლებში, ე.ი. კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით გააჩნია. კანონით მინიჭებული უფლებამოსილებები (მოთხოვნის უფლება) (სსკ-ის 378-ე, 567-ე, 894-ე) კეთილსინდისიერების პრინციპის პრიზმაში უნდა იქნეს ინტერპრეტირებული.

კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ლოიალურობის ვალდებულება „უკრძალავს მხარეებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავიანთი სახელშეკრულებო უფლებები მაშინაც კი ბოლომდე გამოიყენონ (მოითხოვონ შესრულება), როდესაც ამ მოთხოვნის უკან აღარ დგას რეალურად ფასეული ინტერესი. ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულების შესრულების დაუინებელი მოთხოვნა (მოთხოვნის გამოყენება) შიკანად შეიძლება ჩაითვალოს“.<sup>211</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეებს აკისრებს სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებას. თუ ადგილი აქვს უფლების იმდაგვარად გამოყენებას, რომ მხარეთა ინტერესების ურთიერთგათვალისწინების ვალდებულება (მოთხოვნა) ირღვევა,

<sup>210</sup> <http://www.supremecourt.ge> საქმის № ას-85-81-2013

<sup>211</sup> *Larenz Karl*, Lehrbuch des Schuldrechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14 Auflage, München, 1987, 132

უფლების ასეთი გამოყენება ბოროტ განზრახვად უნდა დაკვალიფიცირდეს.<sup>212</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს უფლების ბოროტად გამოყენების კატეგორიასაც და კეთილსინდისიერების პრინციპსაც, ამიტომ „მოსამართლეს თავად შეუძლია, კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე, გადაწყვიტოს, თუ რომელი პრინციპის საფუძველზე უნდა შეზღუდოს უფლების გამოყენება“.<sup>213</sup>

### 1.5.3.2. ურთიერთგამომრიცხავი მოქმედების აკრძალვა

შეზღუდვის ფუნქცია მოქმედებს ნდობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაშიც. ნდობის ბოროტად გამოყენებაში იგულისხმება შემთხვევა, როდესაც მხარე მოქმედებს მის მიერ მანამდე განხორციელებული ქცევის საწინააღმდეგოდ. მაგალითად, კრედიტორს არ წარმოეშობა მოთხოვნის უფლება ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, თუ მან მანამდე მოვალეს შეუქმნა იმის ნდობა, რომ იგი ვადის გადაცილებას ნეგატიურ სამართლებრივ შედეგებს არ დაუკავშირებდა (*venire contra factum proprium*)<sup>214</sup>. თუ მეიჯარემ თანხმობა მისცა მოიჯარეს საიჯარო ქირის გადახდის გადავადებაზე და ეს მეორდება მომდევნო წლებშიც ისე, რომ აღარ შედგა მხარეთა შორის ხელახლა მოლაპარაკება ქირის გადახდის ვადასთან დაკავშირებით და ქირის გადახდის ეს რეჟიმი გრძელდება რამდენიმე წლის განმავლობაში, მეიჯარეს უფლება არ ექნება უარი თქვას საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებაზე იმ საფუძველით, რომ მოიჯარემ დააგვიანა ქირის გადახდა ანუ დაარღვია თავდაპირველი ხელშეკრულებით შეთანხმებული გადახდის ვადა. თუ მეიჯარეს სურს რომ მისი მოთხოვნა საფუძველიანი იყოს, მოიჯარეს იმაზე უნდა მიუთითოს, რომ ვადაგადაცილებას მხოლოდ ერთხელ ან გამონაკლისის სახით ექნება ადგილი და რომ სხვა შემთხვევაში იგი ხელშეკრულებას შეწყვეტს, თუ ადგილი ექნება ვადის გადაცილებას. დასახელებულ შემთხვევაში, თუ ასეთი მითითება (დათქმა) სახეზე არ არის, ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების განხორციელება კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო ქმედება იქნება. ამიტომ მეიჯარემ უნდა ითმინოს შეცვლილი სახით ხელშეკრულების არსებობა. ნდობის ბოროტად გამოყენებაში იგულისხმება შემთხვევები, როდესაც პირის მიმართ მხარეს ჰქონდა ნდობა, რომ ეს პირი გარკვეულ მოქმედებას არ განახორციელებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი

<sup>212</sup> *Eckl Ch., Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 34*

<sup>213</sup> *ვაშაიძე გ.*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი.ე. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10 №1, 2007, 46

<sup>214</sup> ნიშნავს ხელშეკრულების დებულების ინტერპრეტაციას ხელშეკრულების მხარის საწინააღმდეგოდ. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, აღარ არის შესაძლებელი უფლების გამოყენება, ამ უფლების დიდხანს გამოუყენებლობის დროს, „როდესაც უფლებამოსილი პირის ქცევიდან გამომდინარე მეორე მხარე იმ საფუძველიან დასკვნას გააკეთებს, რომ უფლების მქონე მხარე ამ უფლებას აღარ გამოყენებს და თუ მან ამ იმედით განსაზღვრული გადაწყვეტილებები უკვე მიიღო.“ *Larenz K. lehrbuch des Schuldrechts, Bd. I, Allgemeiner teil. 14 Aufl. München, 1987, 134.*

ახორციელებს ამგვარ მოქმედებას. ასეთ დროს ეს პირი ვერ მიიღებს სამართლებრივ სარგებელს მის მიერ შესრულებული მოქმედებიდან, რადგან არღვევს იმ ნდობას, რომელიც მან კონტრაქტს გაუწინა. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში არ გამოიყენება სსკ-ის მე-400 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 404-ე მუხლი; ასევე, სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ პირობათა არსებობისას, კრედიტორს არა აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე სსკ-ის 316-ე და 361-ე მუხლების დარღვევის საფუძველით. კრედიტორს არა იმიტომ უნდა ეთქვას უარი მოთხოვნის წარმოშობაზე, რომ იგი არაკეთილსინდისიერად ანდა წინა ქმედებასთან შეუსაბამოდ მოქმედებს, არამედ იმიტომ, რომ მან თავისი ადრინდელი მოქმედებით კონკლუდენტურად უკვე უარი განაცხადა უფლების გამოყენებაზე.<sup>215</sup> შესაბამისად, მას შეიძლება მოთხოვნაზე უარი ეთქვას სასამართლოს მიერ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

#### 1.5.4 კორექტირების ფუნქცია

კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა (*corrigendi*). მოცემული ფუნქცია მაშინ ვლინდება, როცა სასამართლო „ერევა“ მხარეთა შეთანხმებაში საზოგადოებაში მომხდარი იმ ცვლილებების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობების არსებობასა და მიმდინარეობაზე (სსკ-ის 398-ე და 399-ე მუხლები). როგორც ამ ნაშრომშია აღნიშნული, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო იყენებს გარიგების საფუძვლის მოსპობის შესახებ დოქტრინაში შემუშავებულ თეორიას. თანამედროვე პერიოდში ამ თეორიამ კანონის სახე მიიღო (საკანონმდებლო დებულების სახით აისახა გერმანიის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსებში). კერძოდ, გსკ-ს 313-ე პარაგრაფის თანახმად, ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის (მოშლის) შესახებ მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია იმ შემთხვევებში, როცა ხელშეკრულების დადების შემდეგ არსებითად შეიცვალა გარემოებები და მხარეებს გარემოებათა შეცვლის წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, არ დადებდნენ ხელშეკრულებას ან დადებდნენ ხელშეკრულებას სხვა პირობებით. მოცემული წესი გამოიყენება, როდესაც:

1. ხელშეკრულების დადების დროს ერთ-ერთი მხარე ეყრდნობოდა გარემოებას, რომელიც შემდგომში შეიცვალა (იმედოვნებდა, რომ გარემოება იარსებებდა);

2. მხარე არ დადებდა ხელშეკრულებას ან დადებდა ხელშეკრულებას სხვა პირობებით, გარემოებათა შემდგომში შეცვლის განჭვრეტა რომ შესძლებოდა;

3. ხელშეკრულების შესრულება ხელშეკრულების პირობების შეცვლის გარეშე, არსებითად დაარღვევს (ეწინააღმდეგება) ამ მხარის ინტერესებს.

<sup>215</sup> ვაშაკიძე ვ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10 №1, 2007, 44-46

ამდენად, რთული და გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევაში შესაძლებელია უფლებებისა და ვალდებულებების მასშტაბური მოდიფიკაცია (ცვლილება) და კონკრეტული ურთიერთობის შიგნით მხარეთა უფლება-მოვალეობების შინაარსის ახლებურად განსაზღვრა. ეს არ წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა უფლებრივ სფეროში ინტერვენციას, არამედ მიზნად ისახავს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის განსაზღვრას.

## 1.6 კეთილსინდისიერების პრინციპი ობიექტური და სუბიექტური მნიშვნელობით

### 1.6.1 ზოგადი დებულებები

კონტინენტურ-ევროპული სამართლებრივი სისტემების უმეტესობა სამართლებრივ ბრუნვაში კეთილსინდისიერების კატეგორიას რომაულ სამართალში არასებულ *bona fide*-ზე დაყრდნობით იცნობს.<sup>216</sup> მაგრამ მხოლოდ იმის დადგენა, რომ კეთილსინდისიერების ცნება ყველა სამართლებრივი სისტემისათვის არის ცნობილი, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს კითხვას, ასრულებს თუ არა *bona fides*, როგორც ქცევისა და მხარეთა უფლება-მოვალეობების დაბალანსების მასშტაბი, ობიექტურ როლს სახელშეკრულებო სამართლებრივი დავების კვალიფიკაციისას (შეფასებისას)<sup>217</sup>. კანონმდებელი, დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა კეთილსინდისიერების ტერმინში შესაძლოა ორ რამეს გულისხმობდეს: ერთი მხრივ, ობიექტურ იურიდიულ სტანდარტს, როდესაც მხარეთა უფლება-მოვალეობების დაბალანსების მიზნით კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება როგორც სამართლიანობის საზომი, მასშტაბი (ისე, როგორც იგი სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლებშია განხორციელებული) და მეორე მხრივ, კეთილსინდისიერება, პიროვნების ხედვიდან გამომდინარე, შეიძლება მიჩნეულ იქნეს სუბიექტურ კეთილსინდისიერებად. ასეთ დროს განმსაზღვრელია პიროვნების დამოკიდებულება საკუთარ მოქმედებასთან, როგორც კეთილსინდისიერ და კორექტულ ქცევასთან (სსკ-ის 185-ე მუხლი). ამრიგად, კეთილსინდისიერების პრინციპის განსაზღვრისათვის ორი კრიტერიუმი უნდა იყოს ამოსავალი - ობიექტური და სუბიექტური. კეთილსინდისიერების პრინციპი ობიექტური გაგებით მდგომარეობს სუბიექტების კერძო ინტერესების დაბალანსების უზრუნველყოფაში, რომელთაგან თითოეულ მათგანს შეუძლია მოელოდებოდეს მეორე მხარისაგან კანონისა და ხელშეკრულების შესაბამის ქცევას, ე.ი. ისეთ ქცევას, როგორც მოცემულ სუბიექტს შეეძლო და როგორსაც მოცემული სუბიექტი მოიწონებდა. კეთილსინდისიერება ავალდებულებს ნებისმიერ სუბიექტს უფლების გამოყენების დროს დაიცვას სამართლებრივი ურთიერთობის სხვა მონაწილეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

სხვაგვარად რომ ითქვას, კეთილსინდისიერება სახელშეკრულებო (ვალდებულებით) სამართლებრივ ურთიერთობებში (ობიექტური გაგება)

<sup>216</sup> Eckl C, Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht, Tübingen, 2007, 45

<sup>217</sup> Sonnenberger H.J. Treu und Glauben – ein supranationaler Grundgesetz? Festschrift für Walter Odersky zum 65. Geburtstag am 17. Juli 1996. Berlin 1996, 721.

ნიშნავს, რომ მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ (გააკეთონ ყველაფერი, რაც შესაძლებელია) ერთმანეთისათვის ვალდებულების შესრულების გაიოლების (შემსუბუქების) მიზნით და თავიდან აიცილონ ყველაფერი, რასაც შეუძლია ვალდებულების შესრულება შეუძლებელი გახადოს, კონტრაქტს მიაწოდონ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული მოქმედებების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

თანამედროვე პერიოდში ჩვეულებრივი გახდა განსხვავება სუბიექტური და ობიექტური გაგებით კეთილსინდისიერებას შორის. ამიტომ აუცილებელია მათ ცალ-ცალკე შევეხეთ.

## 1.6.2 კეთილსინდისიერების პრინციპი სუბიექტური მნიშვნელობით

*Bona fides* პრინციპი ასახულია გერმანულ სამართალში, მაგრამ რომის სამართალში გამოყენებული გამონათქვამის „*Bona fides*“ ნაცვლად გერმანულ სამართალში გამოიყენება ტერმინი „*Treu und Glauben*“ . მეცნიერები მოცემულ ტერმინის გამოყენების და წერილობითი სახით დაფიქსირების დროდ თვლიან XIV საუკუნეს.<sup>218</sup> თუმცა, აღინიშნება, რომ ამ ტერმინის მნიშვნელობისა და აზრის დადგენა შეიძლება მხოლოდ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.<sup>219</sup> ტერმინის „*Treu und Glauben*“ გამოყენება იმით აიხსნება, რომ ფრანგული სამართლისაგან განსხვავებით, გერმანულ სამართალში მკაფიოდ განასხვავებენ კეთილსინდისიერებას ობიექტური და სუბიექტური გაგებით. სუბიექტური გაგებით კეთილსინდისიერებაზე მსჯელობის შემთხვევაში გამოიყენება გამოთქმა *guter Glaube*. სუბიექტური გაგებით კეთილსინდისიერება (*guter Glaube*) სანიუთო სამართალში გამოიყენება და მოიაზრება, როგორც რაიმე გარემოების (გარემოებათა) არცოდნა, მაგალითად, იმის არცოდნა, რომ გამსხვისებელი არ არის შემქმნისათვის გადაცემული ნივთის მესაკუთრე.

კეთილსინდისიერების მოთხოვნის შესრულება შეუძლებელი იქნება, თუ სამართალურთიერთობის სუბიექტს მოეთხოვთ გააცნობიეროს და გაითვალისწინოს ნებისმიერი არახელსაყრელი შედეგი, რომელიც შეიძლება დადგეს სხვა პირთათვის, არაკეთილსინდისიერად პირის მოქმედების შედეგად. ამიტომ, თუ სიღრმისეულად გავაანალიზებთ კეთილსინდისიერების შინაარსს, დავინახავთ, რომ არ შეიძლება კეთილსინდისიერების თაობაზე მსჯელობა მარტოდენ სუბიექტური გაგებით. კეთილსინდისიერების პრინციპი სამართალურთიერთობის სუბიექტისგან არ მოითხოვს აბსოლუტურად ყველა არახელსაყრელი შედეგის გათვალისწინებას. ყველა ამგვარი შედეგის გათვალისწინება უბრალოდ შეუძლებელია. კეთილსინდისიერების პრინციპი მოითხოვს, რომ სამართალურთიერთობის მონაწილე (სუბიექტი) თავისი უფლების განხორციელებისა და მოვალეობის შესრულების დროს ეცადოს არ

<sup>218</sup> Strätz Hans-Wolfgang, *Treu und Glauben*, Paderborn, 1974,30

<sup>219</sup> იქვე გვ. 286



დაარღვიოს სამოქალაქო სამართალურთიერთობის სხვა (მეორე) მონაწილის უფლებები.

ზოგიერთის აზრით, კეთილსინდისიერების კატეგორია საშუალებას იძლევა დახასიათდეს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის სუბიექტური მხარე. როდესაც სუბიექტი კეთილსინდისიერების მოთხოვნის შესაბამისად მოქმედებს, მას ამის გამო კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში შესაძლებლობა ეძლევა დაუბრკოლებლად განახორციელოს თავისი უფლებები და მოითხოვოს ვალდებულებათა შესრულება, ხოლო თუ სახეზე არ არის სუბიექტის კეთილსინდისიერება, ეს გამოიწვევს არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგებს.<sup>220</sup>

ზოგიერთი თვლის, რომ უფლების განმახორციელებელი პირი კეთილსინდისიერ პირად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მოქმედებს მეორე პირისათვის ზიანის მიყენების განზრახვის გარეშე, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ უშვებს თვითიმედოვნებასა და დაუდევრობას ზიანის შესაძლო მიყენების მიმართ (ზიანის დადგომის, მიყენების საკითხში).<sup>221</sup>

სკლოვსკის მოსაზრებით, ძალზედ ზოგადი გაგებით, კეთილსინდისიერება მხარისაგან მოითხოვს პატივი სცეს თავის კონტრაჰენტს, მხარე კონტრაჰენტში უნდა ხედავდეს თავისთან თანასწორ სუბიექტს, მისთვის ამოსავალი უნდა იყოს თანასწორობის დაცვა და კონტრაჰენტის პატივისცემა.<sup>222</sup>

მეცნიერთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ კეთილსინდისიერება მოიცავს არა მხოლოდ სუბიექტურ, არამედ ობიექტურ მომენტსაც. მათი აზრით, კეთილსინდისიერება ობიექტური მნიშვნელობით ქცევის გარეგანი საზომია, რომელსაც ითვალისწინებს კანონი, სასამართლო და რომლის დაცვაც მოეთხოვება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს. სხვა შემთხვევაში კი მხედველობაში მიიღება კეთილსინდისიერება სუბიექტური გაგებით, როგორც ზოგიერთი იმ გარემოების არცოდნა, რომელთა არსებობასაც კანონი უკავშირებს ამა თუ იმ იურიდიული შედეგის დადგომას.<sup>223</sup> ეს პოზიცია ახლოს დგას „*bona fides*” რომის სამართლისეულ გაგებასთან. რომის სამართალში კეთილსინდისიერებაში იგულისხმებოდა „საკუთარი პატიოსნება და სხვისი პატიოსნებისადმი ნდობა, მიცემული სიტყვისადმი ერთგულება, ყველა ადამიანის ზნეობრივი მოვალეობა, შეასრულოს თავისი ვალდებულება, რაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს იგი”.<sup>224</sup> „*ius civile*“-ს და „*ius gentium*“-ის საფუძვლად ციცირონი მიიჩნევდა სიტყვის შესრულებას, ერთმანეთისადმი ნდობას, პატიოსნებას, კეთილსინდისიერებას.

<sup>220</sup> Краснова С.А. Определение понятия „добросовестность” в российском гражданском праве, Журнал российского права, 2003, №3, 67

<sup>221</sup> Емельянов В. Разумность, добросовестность, незлоупотребление гражданскими правами, докторская диссертация Дерюгина Т.В. Принципы осуществления гражданских прав, Книгодел, М., 2010, 161

<sup>222</sup> Сковский К. И Приминение норм о доброй совести в гражданском праве России, „Хозяйство и право”, 2002, №9, 79

<sup>223</sup> Новицкий И. Б. Принцип доброй совести в проекте обязательственного права, Вестник Гражданского права, 1916, №6, 56-57, 65.

<sup>224</sup> Бартошек М., Римское право, Понятие, термины, определения, М., 1989, 131,132

ციცერონის მიხედვით, სსენებულ სათნოებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მეურვეობის, ამხანაგობის, მინდობილობის, ნასყიდობის და სხვა საქმეებში. საზოგადოება დაინტერესებულია თავის წევრთა შორის კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით.<sup>225</sup>

ამრიგად, ზოგჯერ დოქტრინაში კეთილსინდისიერება სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტური მხარის ელემენტად მიიჩნევა და მისი შეფასება ხდება ეთიკური, ზნეობრივი კატეგორიების მეშვეობით. ამავდროულად, კეთილსინდისიერების კატეგორიის შინაარსის განსაზღვრა ობიექტური კრიტერიუმის მიხედვით, საშუალებას იძლევა ითქვას, რომ კეთილსინდისიერების და ზნეობის კატეგორიები არ არის ერთმანეთის ტოლფასი. საქმე იმაშია, რომ მას შემდეგ, რაც ნებისმიერი კატეგორია აისახება სამართალში, იგი იძენს ობიექტურ ხასიათს, ხდება ზოგადსავალდებულო წესი, რომლის შესრულებაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით. სუბიექტმა თავისი ქცევა სხვა სუბიექტის ქცევას უნდა შეუსაბამოს (ჰარმონიაში მოიყვანოს).

როდესაც საუბარია კეთილსინდისიერებაზე სუბიექტური გაგებით, ეს ნიშნავს, რომ საუბარია პირის არასწორ, მაგრამ იმავდროულად კეთილსინდისიერ წარმოდგენაზე, გარკვეული გარემოებების არსებობის თაობაზე. ამგვარი არასწორი წარმოდგენა შეიძლება განპირობებული იყოს ამა თუ იმ ფაქტის არცოდნით ან ეფუძნებოდეს მოჩვენებით (შეცდომის გამომწვევ, შეცდომაში შემყვან) გარემოებებს (მაგალითად, მოჩვენებითი წარმომადგენლობა). ასეთ შემთხვევებში სამართალი იცავს იმ პირს, ვინც კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერი მხარე განსაზღვრული ნეგატიური სამართლებრივი შედეგებისაგან თავისუფლდება. ამგვარი ნეგატიური სამართლებრივი შედეგები მის მიმართ დადგებოდა, რომ არა გარემოებების შესახებ ნაკლის მქონე (ხარვეზის მქონე) წარმოდგენა. შესაძლოა ასეთ შემთხვევებში მას განსაზღვრული პრივილეგიებიც მიენიჭოს, მაგალითად, (საკუთრების უფლების კეთილსინდისიერად შექმნისას ან უკანონო მფლობელობის შემთხვევაში).<sup>226</sup> ისმის კითხვა, რამდენად არის შესაძლებელი მცდარი წარმოდგენების „პატიება“. ეს საკითხი სადავოც არის და ობიექტური გაგებით კეთილსინდისიერებისაგან გამიჯვნისათვის მნიშვნელოვანია.<sup>227</sup> როგორც ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, შეცდომის პატიებისას განსაკუთრებულ როლს საღი აზრის (გონიერულობის) კრიტერიუმები თამაშობენ - გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლეს ხშირად უწევს იმ გარემოებების გათვალისწინება, თუ რამდენად იყო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე თვითონ ვალდებული ინფორმირებული ყოფილიყო ან პირიქით, იყო თუ არა ხელშეკრულების მეორე მხარე ვალდებული ეცნობებინა კონტრაჰენტისათვის ესა თუ ის გარემოება.

<sup>225</sup> ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, გამომც. „ბონა კაუზა“, თბილისი, 2009, 115

<sup>226</sup> Eckl C, *Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht*. Tübingen, 2007, 48

<sup>227</sup> იქვე, 48

ერთ-ერთ საქმეზე (№ ას-691-1021-07, 2008 წლის 12 თებერვლის განჩინება)<sup>228</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსკ-ის 185-ე მუხლის სწორად გამოსაყენებლად იმ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის აუცილებლობაზე მიუთითა, რომლებიც არსებითა კანონით დადგენილი ნორმის (185-ე მუხლით) შემადგენლობის დასადგენად. 185-ე მუხლის ფორმულირებით, კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოება - საჯარო რეესტრში გამსხვისებლის მესაკუთრედ რეგისტრაცია, ანუ შემძენის კეთილსინდისიერება ეფუძნება ობიექტურ ფაქტორს, საჯარო რეესტრის მონაცემებს. კანონის ეს დანაწესი განპირობებულია თვით კანონის მიერ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების მიმართ დადგენილი უტყუარობის პრეზუმფციით (312-ე მუხლი). აღნიშნული ნორმების ანალიზით, შეიძლება დავასკვნათ, რომ როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონების შეძენას, შემძენს თავისი უფლების დასამტკიცებლად შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს, თუნდაც სინამდვილეში არასწორი იყოს რეესტრის მონაცემები, ამ მდგომარეობას არაარსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის არცოდნაში გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობას და შესაბამისად, ნივთის შეძენას არღვევს, სწორედ შემძენის არაკეთილსინდისიერებაა.

ზემოთდასახელებული ნორმები შეიცავს, არაკეთილსინდისიერების იურიდიული შედეგის განმსაზღვრელ ელემენტებს - შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამდენად, შემძენის ინტერესების დამცავი ნორმის გამოყენებისას უნდა შემოწმდეს არა მარტო საჯარო რეესტრის მონაცემები, ასევე უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა ნივთის შეძენამდე არ იცოდა და არ შეიძლება სცოდნოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე,

სსკ-ის 185-ე და 312-ე მუხლებით მხარეთა შორის გადანაწილებულია მტკიცების ტვირთი. რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია შემძენს უადვილებს უფლების კანონიერიების მტკიცების პროცესს. რეესტრის მონაცემთა უსწორობა და შემძენისათვის ამ ფაქტის ცოდნა, მოდავე მხარემ უნდა ამტკიცოს. ამასთან, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ თუკი მხარე სადავოდ ხდის შემძენის კეთილსინდისიერებას, სასამართლოს არ შეუძლია თავისი დასკვნა ნივთის შეძენის კანონიერებაზე, დააყრდნოს მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ჩანაწერის სისწორე და გამოიკვლიოს, რა იცოდა შემძენმა ჩანაწერის ხარვეზის შესახებ. ამ საკითხის გამორკვევისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან მიმართებით, ანუ უნდა გაერკვეს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში, შეეძლო და უნდა სცოდნოდა თუ არა სადავო ფაქტი. სწორედ ამ გარემოებათა გამოკვლევას უნდა

<sup>228</sup> <http://www.supremecourt.ge>

ეფუძნებოდეს დასკვნა შენაძენის ნამდვილობისა და მისი დაცვის მიზანშეწონილობის თაობაზე.

ამასთან, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით კეთილსინდისიერება სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგს იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას ადგილი აქვს შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე. სხვა საქმეზე კი (№ას-155-45804 უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 18 ნოემბრის განჩინება)<sup>229</sup> მითითებულია, რომ აღნიშნული ნორმა (იგულისხმება სსკ-ის 185-ე მუხლი), იცავს რა შემძენის ინტერესებს, ადგენს, გამსხვისებელი საჯარო რეესტრში მესაკუთრედ თუ არის რეგისტრირებული. ეს საკმარის საფუძველს წარმოადგენს შემძენისათვის, რომ გამსხვისებელი მესაკუთრედ ჩაითვალოს. თუმცა ამ წესიდან გამონაკლისი დადგენილია ამავე ნორმით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც შემძენმა იცის, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე. ამდენად, აღნიშნული ნორმით დაწესებული შემძენის კეთილსინდისიერების დადგენისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არსებითი საკითხია შემძენის სუბიექტური დამოკიდებულება (იცოდა თუ არ იცოდა) მესაკუთრის ვინაობისადმი. შესაბამისად, შემძენის ინტერესების დაცვის მარეგულირებელი ნორმის გამოყენებისას უნდა შემოწმდეს როგორც საჯარო რეესტრის მონაცემები, ასევე უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა არ იცოდა ქონების სხვა მესაკუთრის თაობაზე,

ამდენად, ზემოხსენებული ნორმის გამოყენებისას და მისი განმარტებისას, შემძენის ინტერესების დაცვა უნდა მოხდეს არა მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინებით, არამედ ქონების მესაკუთრის ვინაობისადმი მისი სუბიექტური დამოკიდებულებით.“

მნიშვნელოვანია ორმაგ გაყიდვასთან დაკავშირებული წესი (სსკ-ის 485-ე მუხლი). სსკ-ის 485-ე მუხლი ნასყიდობის მომწესრიგებელ ნორმებშია განთავსებული, ამგვარად, ვალდებულებითი სამართლის ნაწილია, თუმცა თავისი შინაარსის მიხედვით იგი სანივთო სამართლებრივი ნორმაა. ნორმის თანახმად, თუ გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა, უპირატესობა ეძლევა იმ მყიდველს, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი, ხოლო, თუ საქონელი<sup>230</sup> არც ერთს არ გადასცემია, მაშინ – მას, ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დაიდო. ამ ნორმაში მართალია პირდაპირ მოთხოვნად დადგენილი არ არის „კეთილსინდისიერება“, მაგრამ როგორც ჩანს, მფლობელობა კეთილსინდისიერი უნდა იყოს, მყიდველი მესაკუთრე რომ გახდეს. ამიტომ, ნორმის შემგომი სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილია ნორმა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თუ

<sup>229</sup> <http://www.supremecourt.ge>

<sup>230</sup> სსკ-ის 485-ე მუხლში ნახსენები სიტყვა „საქონელი“ ფულად-სასაქონლო ურთიერთობის გავლენით აისახა კოდექსში და ფაქტობრივად, გულისხმობს ნივთს.

გამყიდველმა ერთი და იგივე ნივთი რამდენიმე პირს მიჰყიდა, ნივთი მიეკუთვნება იმას, ვინც პირველი გახდა კეთილსინდისიერი მფლობელი.“ ამ ფორმულირებაში ყურადღება მახვილდება სწორედ ნივთის მიეკუთვნებაზე ამგვარი კეთილსინდისიერი მფლობელისათვის, ე.ი. ყურადღება მახვილდება მის მიხნევაზე მესაკუთრედ, კეთილსინდისიერი მფლობელობის საფუძველზე, ვინაიდან ნორმის ამუშაინდელი ფორმულირება ვერ ასახავს ნათლად მყიდველის დამოკიდებულებას მისი კეთილსინდისიერების განმსაზღვრელი ფაქტების ცოდნა - არცოდნის საკითხისადმი. სხვაგვარი მიდგომის შემთხვევაში, არსებული ფორმულირების საფუძველზე, გამოდის, რომ თუ პირმა იცოდა, რომ ნივთი უკვე გასხვისებული იყო და მაინც შეიძინა, უნდა შეუნარჩუნდეს ნივთზე საკუთრების უფლება.

ზემოთხსენებულ შემთხვევაში კეთილსინდისიერება გულისხმობს იმის არცოდნას, რომ ნივთი უკვე სხვა პირზე იყო გაყიდული. ამით ყურადღება ექცევა ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც. კეთილსინდისიერების გაგებიდან გამომდინარე, უპრიანია ამ შინაგანი დამოკიდებულების, სუბიექტური გაგებით კეთილსინდისიერებად მიჩნევა. ამრიგად, ისეთი ნორმა, როგორც არის ორმაგი გაყიდვა, კეთილსინდისიერების პრინციპს უკავშირდება.

ობიექტური გაგებით კეთილსინდისიერება კრძალავს ვინმეს მიერ უფლების მოპოვებას, როცა მართალია უფლების შესაძენად საჭირო ყველა მოთხოვნაა შესრულებული (სახეზეა უფლების შეძენის სამართლებრივი საფუძველი და გამსხვისებელი არის მესაკუთრე), მაგრამ ეს უფლება არაკეთილსინდისიერი გზითაა მოპოვებული (ანუ მყიდველმა იცოდა კონკრეტულ ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულება რომ არსებობდა, რომელიც არ იყო განხორციელებული ნივთის გადაცემის ფაქტით).<sup>231</sup>

ყველა სამართლებრივი ნორმა ასე თუ ისე ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. ყველა ნორმაში შეიძლება მოიძებნოს კეთილსინდისიერების პრინციპის კვალი. აღნიშნული პრინციპი სუბიექტისაგან მოითხოვს პატიოსან ქცევას. თუმცა სუბიექტის კეთილსინდისიერების ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ეჭვქვეშ დაყენება არა მარტო არაპრაქტიკულია, არამედ ასევე სამართლებრივი სტაბილურობისთვის საზიანოცაა.<sup>232</sup>

<sup>231</sup> *González M., Comentario zu Art. 7, in: Candido Paz-ares Rodríguez/Luis Diez-Picazo Ponce de León/Rodrigo Bercovitz/Pablo Salvador Coderch (Hg.), Comentario del Código civil, Madrid 1991, S.48*

<sup>232</sup> სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპი, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შემადგენელ ნაწილად შეიძლება მოვიხაროთ, მნიშვნელოვნად დაკავშირებულია განსაზღვრული წესების სიცხადესთან. ამ კუთხით თუ შევხედავთ საკითხს, სამართლებრივი სტაბილურობისათვის აბსოლუტურად სულერთია, უსამართლოა თუ არა ესა თუ ის წესი. ამით ცხადი ხდება, რომ სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპი და კეთილსინდისიერების პრინციპი ერთმანეთთან მუდმივად კონფლიქტში მოდიან.

სანივთო სამართალში, პირის კეთილსინდისიერების შემთხვევაში არამესაკუთრეც შეიძლება გახდეს მესაკუთრე.

### 1.6.3 კეთილსინდისიერების პრინციპი ობიექტური მნიშვნელობით

მეორე მიდგომიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერების კატეგორიის შინაარსის განსაზღვრა სამოქალაქო სამართალში ხდება ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით. ეს კრიტერიუმები არ არის დაკავშირებული მორალთან, ზნეობასთან. „*bona fides*” კატეგორია არ შეიცავს არავითარ ზნეობრივ საწყისს, არ არის გაიგივებული პატიოსნებასთან, ან ზნეობასთან...<sup>233</sup>

ავგუსტ ბენმანის აზრით „*Bona fides* სამართლის სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს”. არსებობს განსხვავება ობიექტური გაგებით (ვალდებულებითი სამართლისათვის) კეთილსინდისიერებისა და სუბიექტური გაგებით (სანივთო სამართლისათვის) კეთილსინდისიერებას შორის. ვალდებულებითი სამართლის მიმართ, *Bona fides* ზნეობრივი ნორმაა, რომელიც მოითხოვს განსაზღვრულ ქცევას, რომელსაც შეიძლება მოველოდეთ განსაზღვრული გარემოებების არსებობის დროს პატიოსანი და წესიერი ადამიანებისაგან. გარდა ამისა, ეს არის ის ნორმა, რომელიც ავსებს მხარეთა ნებას.<sup>234</sup> სახელშეკრულებო სამართალში გამოიყენება კეთილსინდისიერების პრინციპი ობიექტური მნიშვნელობით. ეს ნიშნავს, რომ კეთილსინდისიერება არის ნორმა, ხელშეკრულების მხარეთა მოქმედების პრინციპი<sup>235</sup>. დიეზ პიკაზო კეთილსინდისიერებას ობიექტურ კრიტერიუმად მოიაზრებს, რომლის უგულვებელყოფის უფლება მხარეებს არ გააჩნიათ. ავტორის აზრით, ამ მოსაზრებას სახელშეკრულებო სამართლის პრიზმაში თუ განვიხილავთ, ნიშნავს, რომ მხარეთა ნებას უპირობო უპირატესობა არ მიენიჭება და რომ სახელშეკრულებო უფლებებისა და მოვალეობების მოქმედების სფერო კეთილსინდისიერებაზე დაყრდნობით უნდა იქნეს დეფინირებული. აქედან გამომდინარე, იგი ვალდებულებათა წყაროა, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულებებს ემატება. დიეზ-პიკაზოს აზრით, კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნები უნდა დაიცვას არა მხოლოდ მოვალემ, არამედ ასევე კრედიტორმა (უფლების მქონე პირმა), ე.ი. კეთილსინდისიერების პრინციპი მოქმედებს ხელშეკრულების ორივე მხარის მიმართ, რაც გამოიხატება იმაში, რომ უფლების განხორციელებისას მხარეთათვის განსაზღვრული მოთხოვნები დგინდება. განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ მხარეთათვის უფლების განხორციელებისას განსაზღვრული ფარგლები წესდება. თუ მხარეები

<sup>233</sup> *Петражицкий Л. И.* Права добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, „Статут”, М. 2002, 195-204

<sup>234</sup> *Eckl C.*, Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht. Tübingen 2007, 14-18

<sup>235</sup> *Hesselink M.W.*, The Concept of Good Faith, The paper was published in: *Hartkamp A.S, Hondius E.H., Joustra C.A., C.E. du Peron, Veldman M. (eds)*, Towards a European Civil Code, 3<sup>rd</sup> ed (The Hague, London, Boston: Kluwer Law International 2004), at: <http://ssrn.com/abstract=1098856>



გაცდებიან (დარღვევენ) უფლების განხორციელების კანონით დადგენილ ფარგლებს, მაშინ მათ მიერ თავიანთი სახელშეკრულებო უფლებების გამოყენება უფლების ბოროტად გამოყენებად იქნება მიჩნეული და მოვალეს მის შესრულებაზე უარის თქმაც შეუძლია.<sup>236</sup> ხელშეკრულების არსებობა მხარეთა კონსენსუსზეა დამოკიდებული, ხელშეკრულების შინაარსი კი, კეთილსინდისიერების კონცეფციის თანახმად, სცდება შეთანხმების ფარგლებს და იმ კრიტერიუმებს აწესებს, რომლებიც მხარეთა რეალური ნების მიღმა არსებობენ: „ხელშეკრულება ვალდებულებებს წარმოშობს არა მარტო შეთანხმების ფარგლებში, არამედ გულისხმობს მხარისათვის ისეთი ვალდებულების დაკისრებასაც, რომელიც შეთანხმებაში პირდაპირ არ ყოფილა განსაზღვრული“.<sup>237</sup>

კეთილსინდისიერების აბსტრაქტული სტანდარტი უნდა დაკონკრეტდეს, რათა მისი პრაქტიკაში გამოყენება შესაძლებელი გახდეს. სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რა მოთხოვნებს აწესებს კეთილსინდისიერების პრინციპი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შემთხვევაში. ამასთან, მოსამართლე უფლებამოსილი არ არის, თავისი სუბიექტური შეხედულებებიდან გამომდინარე იმოქმედოს ისე, როგორც მას უფრო სამართლიანად მიაჩნია. მან კეთილსინდისიერების დათქმის გამოყენებისას, რადმენადაც ეს შესაძლებელია, უნდა იმოქმედოს ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.<sup>238</sup>

იმდენად, რამდენადაც შინაგანი ნების დადგენა ძნელია, ან სულაც შეუძლებელი, სამართალწარმოებისას ივარაუდება კეთილსინდისიერების არსებობა, სანამ საწინააღმდეგო არ დადგინდება. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოითხოვს მხარეთა შორის ურთიერთნდობის არსებობას. სწორედ ამიტომ მოქმედებს კეთილსინდისიერების პრეზუმფცია მხარეთა ურთიერთობაში, ე.ი. ყოველი ურთიერთობა ემყარება ვარაუდს, რომ პარტნიორები კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ და მომავალშიც იმოქმედებენ, სანამ დაინტერესებული მხარე საპირისპიროს არ დაამტკიცებს. მხარეთა მოლოდინი და ნდობა უნდა იყოს გონივრული და კონკრეტული, უნდა გამომდინარეობდეს ურთიერთობის ხასიათიდან და უნდა განისაზღვრებოდეს მასში მონაწილე სუბიექტთა წრის მიხედვით. მხოლოდ გონივრული მოლოდინის გაწვილება გამოიწვევს სამართლებრივ შედეგს. კეთილსინდისიერების პრეზუმფცია გულისხმობს როგორც უფლების არსებობის ასევე მოვალეობის შესრულების ვარაუდს. აქედან გამომდინარე, თითოეული მხარე ვალდებულია, ისეთივე

<sup>236</sup> *Diez-Picazo L.*, *Kommentar zu Art. 1258*, in: *Ministerio de Justicia (Hg.)*, *Comentario del Código Civil*, Band 2, Madrid 1993, 437 ff

<sup>237</sup> *Pasquau Liano M.*, *Kommentar zu Art. 1258 CC*, in: *Miguel Pasquau Liano/Klaus Jochen Albiez Dohrmann/ Ana López Frias (Hg.)*, *Jurisprudencia Civil Comentada - Código Civil*, Band II, Granada 2000, 2146

<sup>238</sup> *ოსკელიანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 34

გულისხმობით მოეპყრას კონტრაქტის ინტერესებს, როგორც საკუთარს (სსკ-ის 316-ე მუხლი); აუცილებლობის შემთხვევაში დაიცვას პარტნიორის ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში (სსკ-ის 316-ე მუხლი); გასცეს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისათვის აუცილებელი ინფორმაცია (სსკ-ის 318-ე მუხლი). არაკეთილსინდისიერად მოქმედებს ის, ვინც აწარმოებს მოლაპარაკებას კონტრაქტთან ხელშეკრულების დადების განზრახვის გარეშე (სსკ-ის 317-ე მუხლი). ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და კეთილსინდისიერი ქცევის კრიტერიუმით უნდა განიმარტოს ყველა ის ნორმა, რომელთა მიზნის განხორციელებაც ასეთი განმარტებით არის განპირობებული.<sup>239</sup> ამრიგად, სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილითა და სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნორმა წარმოადგენს ობიექტურ კრიტერიუმზე დამყარებულ ქცევის წესს, ანუ სახელშეკრულებო ურთიერთობებში გამოიყენება როგორც ობიექტური ბუნების მქონე კატეგორია და სწორედ ამ ასპექტით არის გამოკვლეული წინამდებარე ნაშრომში.

კეთილსინდისიერება ობიექტური გაგებით სამართლებრივ ურთიერთობებში მხარეებს აკისრებს ღია, გახსნილი, გულწრფელი, ღირსეული, ღოილური, სამართლიანი და გონივრული ქცევის ვალდებულებას.<sup>240</sup> ამგვარი ობიექტური კომპონენტების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეაფასოს, რამდენად მართლზომიერია კონტრაქტის ქცევა, კონტრაქტის მოქმედება. ობიექტური თვალსაზრისით კეთილსინდისიერებად მიიჩნევა მისაღები და სათანადო მოქმედება და იგი იმაში მდგომარეობს, რომ მაქსიმალურად გახდეს შესაძლებელი ხელშეკრულების განხორციელება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობებად ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეთანხმების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა ის მოვალეობები, რომლებიც ამ შეთანხმების ლოგიკურ და აუცილებელ შემავსებელ (დამატებით) მოვალეობებს წარმოადგენენ. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ითვალისწინებს კომისიის ხელშეკრულებას (სსკ-ის 723-ე მუხლი). კომისიონერს<sup>241</sup> შეუძლია მოითხოვოს საკომისიო იმ გარიგებიდან, რომელიც კომიტენტმა მესამე პირთან დადო, რომლის განხორციელებაში, ანუ ხელშეკრულების დადებაში კომისიონერი მართალია არ მონაწილეობდა, მაგრამ კლიენტურა მოზიდული იყო კომისიონერის მიერ, გარიგება მზად იყო დასადებად, ხოლო კომიტენტი ამით შეეცადა თავი აერიდებინა საკომისიო თანხის გადახდისაგან, არ ჩააყენა კომისიონერი ამ გარიგების თაობაზე საქმის კურსში და შეწყვიტა მასთან კომისიის ხელშეკრულება. ასეთ დროს სახეზეა ინფორმირების ვალდებულების

<sup>239</sup> ვაშაკიძე ვ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი.ე. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10 №1, 2007, 48

<sup>240</sup> Eckl C, *Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht*. Tübingen 2007,48

<sup>241</sup> სახელშეკრულებო ურთიერთობებში კომისიონერი გამოდის საკუთარი სახელითა და სხვისი ხარჯით. იხ. ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გამომც. „სამართალი“, თბ., 2002, 146



დარღვევა. კომისიონერისათვის მიყენებული ზიანი შეიძლება გამოიხატოს იმ საზღაურში, რომელსაც მიიღებდა იგი, თვითონ რომ განეხორციელებინა გარიგება და კომიტენტს კომისიონერთან ურთიერთობა არ შეეწყვიტა.

სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერად ქცევის, კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება (მოთხოვნა) პრინციპია. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ „ყველას“, ვინც ხელშეკრულების დადებასა და მის შესრულებაში მონაწილეობს, ეკისრება კეთილსინდისიერი ქცევის ვალდებულება და მხოლოდ ამ მოთხოვნის (წესის) დარღვევის შემთხვევაში შეიძლება დადგეს პირის პასუხისმგებლობის საკითხი.

„სახელშეკრულებო სამართლებრივი კეთილსინდისიერება არის არა მარტო ხელშეკრულების განმარტებისა და შევსების საშუალება, რომელიც შეიძლება ემსახურებოდეს კონკრეტულ შემთხვევაში არსებული ვალდებულებების, ვალდებულებათა იურიდიული ბუნების, ფარგლებისა და მოქმედების სფეროს დადგენას, არამედ ლიტერატურასა და სამართალწარმოებაში გავრცელებული საერთო მოსაზრების თანახმად, იგი ასევე ნიშნავს ნდობას სხვა პირებისადმი. სახელშეკრულებო სამართალში იგულისხმება პირის ის ნდობა, რომელიც მას შეიძლება გააჩნდეს სადი აზრის გათვალისწინებით“.<sup>242</sup>

სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერება, როგორც ნდობა, ძალზედ ზოგადი ცნებაა. ერთი მხრივ, სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ დადგინდეს, მართლაც არსებობდა თუ არა კონტრაქტის მხრიდან ნდობა თუ კონკრეტული მოლოდინი. მეორე მხრივ, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, გააჩნია თუ არა და თუ გააჩნია, რა ფორმით გააჩნია ამგვარ ნდობას სამართლებრივი რელევანტურობა. პრაქტიკული თვალსაზრისით, ნაკლებად არის შესაძლებელი, რომ თითოეული მოსამართლე ყველა კონკრეტული სახელშეკრულებო სამართლებრივი დავის განხილვის დროს ამომწურავად შეამოწმებს სუბიექტურ ფაქტორებს.

## 1.7 ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპით

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი თავდაპირველად მე-19 საუკუნის დასაწყისში აისახა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში, რომლის 1134-ე მუხლის თანახმად, „კანონიერად დადებული ხელშეკრულებები იკავებენ კანონის ადგილს იმათთვის, ვინც ისინი დადო“. ხელშეკრულების თავისუფლება ნიშნავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს მინიჭებული აქვთ მაქსიმალური თავისუფლება, შესაბამისად, სახელმწიფო მინიმალურად ერევა მხარეთა საქმიანობაში.

<sup>242</sup> *Eckl Ch., Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 191.*

ინგლისელები ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს გამოხატავენ სიტყვებში *laissez faire* ან *laissez passer*.<sup>243</sup> თავდაპირველად გაბატონდა აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანმა თავად უნდა აგოს პასუხი თავისი ქმედებისათვის და სავაჭრო ბრუნვის მონაწილეთა შორის თავისუფალი კონკურენციის არსებობა, თავისთავად საკმარისია რომელიმე მხარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. მაგრამ მე-20 საუკუნის დასაწყისში ბაზრის და პირველ ყოვლისა, ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის განვითარებამ დაადასტურა, რომ ეკონომიკურ ძალთა თავისუფალი თამაში ვერ უზრუნველყოფს თანასწორობასა და ჰარმონიას, არამედ პირიქით, ამას მოჰყვება ერთის ეკონომიკური ბატონობა მეორეზე (სხვებზე).<sup>244</sup>

თუ მანამდე მხარეთა ავტონომიური ნება, ხელშეკრულების თავისუფლება ხელშეუხებელ სფეროდ ითვლებოდა, სასამართლოებმა დაიწყეს ჩარევა სახელშეკრულებო ურთიერთობებში. სასამართლოები ბათილად მიიჩნევდნენ ან აუქმებდნენ ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც მართალია თავისუფლად იყვნენ დადებული, მაგრამ მათი აზრით უსამართლონი იყვნენ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ თავისთავად უსამართლობა, არ შეიძლება წარმოადგენდეს ხელშეკრულების ბათილობის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივ საფუძველს. სამართლიანობის შესახებ თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად სასამართლომ უნდა გამოიყენოს ხელშეკრულების თავისუფლების შემზღუდავი იმპერატიული ნორმა. ასეთ ნორმას კი წარმოადგენს კეთილსინდისიერების შესახებ დათქმა, რომელიც ადგენს ხელშეკრულებათა დადებისას, შესრულებისას და განმარტებისას კეთილსინდისიერად მოქმედების ზოგად ვალდებულებას. სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნათა დარღვევა გამორიცხავს ხელშეკრულების უსამართლო პირობების იძულებით გამოყენების შესაძლებლობას.

მე-20 საუკუნეში ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, განაპირობა ეკონომიკურმა ფაქტორებმა. მე-20 საუკუნის შუახანებში კერძო ინიციატივისა და კერძო ინტერესების საბაზრო მექანიზმების თაობაზე ინდივიდუალური, ლიბერალური წარმოდგენების (რომლებიც ეკონომიკური განვითარების ერთადერთ ეფექტიან მამოძრავებელ ძალად მიიჩნეოდა) ნაცვლად, ბაზრის სხვაგვარი გაგება ჩამოყალიბდა. წარმოიშვა სოციალური სახელმწიფოს (*welfare state*) ცნება. ვილფრედ პარეტომ წამოაყენა ეკონომიკური ცვლილებების ეფექტიანობის კრიტერიუმები. ეკონომიკური ცვლილებების ეფექტიანობის კრიტერიუმად მაქსიმალური მოგების კრიტერიუმის ნაცვლად ეკონომისტები იყენებდნენ პარეტოს მიერ შემოთავაზებულ ეფექტიანობის კრიტერიუმს. ამ კრიტერიუმის მიხედვით, ნებისმიერი ეკონომიკური ცვლილება მხოლოდ

<sup>243</sup> სიტყვასიტყვით ნიშნავს „ჩაურევლობას“.

<sup>244</sup> Цвайгерт К. Кёту Х., Введение в сравнительное правоведение в сфере частного права Т.2, Международные отношения, М. 1998, 17

მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტიან ცვლილებად, როცა ერთი რომელიმე სუბიექტის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება არ ხდება არცერთი სხვა სუბიექტის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე.<sup>245</sup>

ხელშეკრულების შესრულება იწვევს ეკონომიკურ ცვლილებას. შესაბამისად, ხელშეკრულებათა მიმართაც დაიწყო პარეტოს მიერ შემოთავაზებული ეფექტიანობის კრიტერიუმის გამოყენება და შემუშავდა ის ნიშნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ეკონომიკური ცვლილება ეფექტიან ცვლილებად რომ იქნეს მიჩნეული. ეს ნიშნებია: 1) ხელშეკრულების დადება და შესრულება არ უნდა მოითხოვდეს დიდ დანახარჯებს; 2) შეთანხმება ნებაყოფილობით უნდა იქნეს დადებული; 3) მხარეთა შორის ურთიერთობაში უნდა არსებობდეს თანასწორობა, სამართლებრივი ბალანსი, ე.ი. არცერთ მხარეს არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა; 4) არ უნდა ჰქონდეს ადგილი არსებით გარე ჩარევას შეთანხმების მიღწევისას; 5) მხარეები საკმარისად ინფორმირებულნი უნდა იყვნენ; 6) სახეზე უნდა იყოს კონტრაქტების გონივრულობა<sup>246</sup>. შესაბამისად, მხარეთა ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევა მართლზომიერია, როდესაც სახეზე არ არის თუნდაც ერთ-ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი.<sup>247</sup> სახელშეკრულებო ურთიერთობებში ჩარევა, ამგვარი ურთიერთობების კორექტირების მიზნით, ხორციელდება კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე.

თანამედროვე დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რომ „სახელშეკრულებო სამართალი კი არ იყოფა ან არ უნდა გაიყოს ორ ნაწილად – პირველი, რომელშიც, ფორმალური გაგებით, ხელშეკრულების დადების თავისუფლების მომენტი დომინირებს და მეორე, რომელშიც საქმე ეხება სუსტი მხარის დაცვას ან სულაც, ზოგადად, კერძო სამართლის მხრიდან სოციალური ფუნქციის შესრულებას, არამედ ... სახელშეკრულებო სამართალი ხელმძღვანელობს ლაიტიმოტივით, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულება არის მასში მონაწილე ორივე მხარის ნების თავისუფალი გამოხატვის საშუალება”.<sup>248</sup> მართებულია პოზიცია, რომლის თანახმადაც „ხელშეკრულების თავისუფლება არასდროს ყოფილა შეუზღუდავი”.<sup>249</sup> სახელშეკრულებო თავისუფლება სახელშეკრულებო წესრიგის, სამართლებრივ ფასეულობათა წესრიგის ფარგლებშია შესაძლებელი.<sup>250</sup> „სამართალშემფარდებელი ვალდებულება კანონი ისე განმარტოს და

<sup>245</sup> *Парето В.* Чистая экономия. Пер. С. французского д.ю.н. *М. С. Бредихина* - Воронеж, 1912, 9-12

<sup>246</sup> *Monti A.* Buona fede e assicurazione, *Dott. A. Giuffrè editore, Milano, 2002, 10*

<sup>247</sup> *Eisenberg M.A.* The Limits of Cognition and the Limits of Contract. *Stanford Law Review, 1995, 47, 211*

<sup>248</sup> *ციმერმანი რ.*, საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებათა 2004 წლის „უნიდრუას“ ძირითადი ნორმები შედარებით პერსპექტივაში. ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005, 62-63

<sup>249</sup> *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გამომც., „სამართალი“, თბ., 2001, 61

<sup>250</sup> *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 273

გამოიყენოს, როგორც ამას კეთილსინდისიერება მოითხოვს და როგორც ამას კანონმდებელი გააკეთებდა, აღნიშნული შემთხვევა რომ გაეთვალისწინებინა, ან ნორმა რომ დაეზუსტებინა. სწორედ ამიტომ, არცთუ იშვიათად, კეთილსინდისიერების დოქტრინა ნების ავტონომიის პრინციპსა და კანონის სიტყვასიტყვით ნებას უპირისპირდება და ზღუდავს მას.<sup>251</sup>

აღსანიშნავია, რომ თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში კეთილსინდისიერების პრინციპი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შესაზღუდად გამოიყენებოდა, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განვითარდა ტენდენცია, რომელიც გულისხმობდა ე.წ. ეკონომიკურად სუსტი მხარის უფლებებისა და ინტერესების დაცვის გაძლიერებას. ასეთია ის ფიზიკური პირები, მომხმარებლები, რომელთაც არ გააჩნიათ პროფესიონალი მეწარმის ცოდნა და გამოცდილება. კერძოდ, გერმანელმა კანონმდებელმა მიიღო სხვადასხვა საკანონმდებლო აქტი, რომლებითაც შეიზღუდა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი. მაგალითად, დიდი ხნის განმავლობაში კეთილსინდისიერების პრინციპი გერმანიაში გამოიყენებოდა იმისთვის, რომ სასამართლოებს ეკონტროლებინათ ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობები. როგორც აღინიშნება, მოცემულ შემთხვევაში მრავალი სასამართლო გადაწყვეტილება ეფუძნებოდა გსკ-ს 242-ე მუხლს მანამ, სანამ 1976 წელს არ იქნა მიღებული „გარიგებათა ზოგადი პირობების შესახებ“ კანონი.<sup>252</sup> ზოგად პირობებში იგულისხმება ტიპური პირობები, რომლებიც დამახასიათებელია მრავალი ხელშეკრულებისათვის. ამ კანონის მე-9 მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულების ნებისმიერი იმ პირობის ბათილობის შესახებ დებულებას, რომელიც აშკარად ღახავს ერთ-ერთი მხარის ინტერესებს კეთილსინდისიერების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. თუმცა, მოცემული კანონის ამოქმედების შემდეგაც კი ფედერალური უმაღლესი სასამართლო აგრძელებს განსაზღვრული სახის ხელშეკრულებების პირობების გაკონტროლებას. კერძოდ, უძრავი ქონების ნასყიდობის სანოტარო წესით დადასტურებული (დამოწმებული) ხელშეკრულებების პირობების გაკონტროლებას.<sup>253</sup> შემდგომში ასევე მიღებულ იქნა იმ სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებშიც ერთ-ერთი მხარე მომხმარებელი ფიზიკური პირია. მაგალითად, „სამომხმარებლო კრედიტის შესახებ“ 1990 წლის კანონის<sup>254</sup> შესაბამისად, საკრედიტო გარიგებებში ერთი მხრივ მონაწილეობს ის პირი, ვინც დაკავებულია მსგავსი გარიგებების დადებით ან შუამავლობით მათი დადების დროს თავისი ძირითადი სამეურნეო ან პროფესიული საქმიანობის სახით (საკრედიტო დაწესებულება), ხოლო მეორე მხრივ – ფიზიკური პირი, რომლისთვისაც კრედიტის მიღება არანაირად არ უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას. მოცემული კანონის მე-4 მუხლი ითვალისწინებს საკრედიტო დაწესებულების ვალდებულებას დეტალურად

<sup>251</sup> ჰანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გამოც., „სამართალი“, თბ., 2001, 51

<sup>252</sup> <http://dejure.org/gesetze/AGBG>

<sup>253</sup> Zimmermann R. Whittaker S. (Hg), Good Faith in European Contract Law, Cambridge, 2000, 28.

<sup>254</sup> <http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/verbrkrsg/gesamt.pdf>

(დაწვრილებით) განუმარტოს კლიენტს გარიგების ძირითადი პირობები და კლიენტის უფლებას, ცალმხრივად თქვას უარი ხელშეკრულებაზე მიზეზების მითითების გარეშე.

კეთილსინდისიერების პრინციპს მნიშვნელობა აქვს მთლიანად კერძო სამართლისათვის. კეთილსინდისიერების პრინციპი იმ წესის საპირწონეს წარმოადგენს, რომელიც ხელშეკრულების თავისუფლებასა და მხარეთა ნების ავტონომიას განამტკიცებს. კეთილსინდისიერების პრინციპის ნორმატიულად განმტკიცება არა მხოლოდ იმის საშუალებას გვაძლევს, რომ სამართლის სუბიექტებს დაუდგინდეს ქცევის ფარგლები, არამედ გამოყენებული იქნეს სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ღონისძიებებიც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მიერ მოქმედებების არაკეთილსინდისიერად განხორციელების შემთხვევაში. ამასთან, კეთილსინდისიერების მოთხოვნას არ გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა სახელშეკრულებო თავისუფლების მიმართ და დაუშვებელია ყოველი გადაწყვეტილების დასაბუთება აბსტრაქტული პრინციპების საფუძველზე.<sup>255</sup> აუცილებელია ყოველი კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკურობის გათვალისწინება.

კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებისას, იბადება კითხვა: ხომ არ ეწინააღმდეგება მოცემული პრინციპის განხორციელება მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპს, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს და სამოქალაქო სამართლის სხვა ფუძემდებლურ პრინციპებს.

ცნობილია, რომ კერძო სამართალი, მათ შორის სახელშეკრულებო სამართალიც, გარკვეულ ღირებულებებზეა აგებული. ამ ღირებულებებში ასახულია სოციალური სამართლიანობა. თუ ევროპის სამოქალაქო კოდექსების შედგენის პერიოდში დომინირებდა შესხედულებები კაპიტალიზმის, ლიბერალიზმისა და საბაზრო საზოგადოების შესახებ, როცა კერძო ურთიერთობებში სახელმწიფო მინიმალურად ერევა, შემდგომში და განსაკუთრებით, მე-20 საუკუნის შუახანებიდან, ყურადღება ექცევა განსაზღვრული სახის სახელშეკრულებო ურთიერთობებს. საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეის აქტუალობის პირობებში, სულ უფრო მეტად ეთმობა ყურადღება შრომით ურთიერთობებს, მომხმარებლებს, რამაც განაპირობა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მოქმედების შეზღუდვა. სუსტი მხარის დაცვა სახელშეკრულებო ურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძველია. სწორედ ამიტომ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი არღვევს სხვა პრინციპებს, კონკრეტულად კი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს.

პრაქტიკა ადასტურებს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის შეზღუდვის აუცილებლობას. „სამოქალაქო კოდექსი უზრუნველყოფს რა მხარეთა ნებას ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრაში, ამასთანავე, თვითნებობის უფლებას მხარეებს არ აძლევს და

<sup>255</sup> *Schlechtriem*, Good Faith in English law and int. uniform laws. SAGGI, Conference Seminari, Contro di studi e ricerchedi diritto comparator e streniero, მითითებულია ნაშრომიდან: *ვაშაკიძე გ.*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით-აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, *ქ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“*, 10 №1, 2007, 22

ხელშეკრულების თავისუფლება სახელშეკრულებო სამართლიანობის ფარგლებში უნდა განხორციელდეს”- აღნიშნულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-7-362-07.

პრაქტიკაში კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების პრობლემების თაობაზე საუბრისას, ბრაუნსფორდი აღნიშნავდა, რომ კეთილსინდისიერების დოქტრინა, რომელიც ხელშეკრულების მხარეებისაგან მოითხოვს გაითვალისწინონ ერთმანეთის კანონიერი ინტერესები და მოლოდინი, ზღუდავს და ხელყოფს ხელშეკრულების თავისუფლების ფილოსოფიას.<sup>256</sup>

ხელშეკრულების თავისუფლებაზე კეთილსინდისიერების პრინციპის ზემოქმედების პრობლემის კვლევისას, კაპუანო აღნიშნავდა, რომ აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს „ხელშეკრულების თავისუფლებასა და კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის ინტერესებს შორის ბალანსი“.<sup>257</sup>

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვისადმი სხვადასხვა მიდგომა არსებობს ანგლოსაქსურ და კონტინენტურ სისტემებში. ოსაკვე მიუთითებს: „სამართლის რომანულ-გერმანული და ანგლო-ამერიკული სისტემების მიდგომათა შედარება საშუალებას მაძლევს გამოვიტანო დასკვნა, რომ სამართლის ანგლო-ამერიკული სისტემის სახელშეკრულებო სამართლის მიერ დაკავებული პოზიცია ხელშეკრულების თავისუფლების საკითხის თაობაზე და მისი შეზღუდვები უფრო ლიბერალურია და საბაზრო ურთიერთობებს მორგებული, ვიდრე რომანულ-გერმანული სამართლის პოზიცია.“<sup>258</sup> ამავედროულად, ანგლო-ამერიკული სისტემის სახელშეკრულებო სამართალიც კი, ითვალისწინებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვას: „... თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის პირობებში ხელშეკრულების თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება საჯარო ინტერესის დაცვა“.<sup>259</sup>

ტრადიციულად, სამართლის კონტინენტური სისტემის წარმომადგენლებს უფრო თავშეკავებული პოზიცია ეჭირათ ხელშეკრულების თავისუფლების მიმართ. ცვაიგერტი და კოტცი აღნიშნავენ, რომ თანამედროვე პერიოდში ქვეყნების უმრავლესობის სასამართლოებს უფლება აქვთ ბათილად მიიჩნიონ ხელშეკრულების პირობები, რომლებიც წარმოადგენენ „არაკეთილსინდისიერ“, „არასამართლიან“ პირობებს ან კეთილსინდისიერების პრინციპის საპირისპიროდ (საწინააღმდეგოდ) იწვევენ მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს შორის მნიშვნელოვან დისბალანსს.<sup>260</sup> ცვაიგერტი და კოტცი აღნიშნავენ, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი

<sup>256</sup> *Brownsword R. Contract Law: Themes for the Twenty first Century. Butterworths, 2000, paras 5.20-5.25. See Mckendrick E. Contract Law: text, cases and materials. Oxford, 2005, 554-556*  
<sup>257</sup> *Capuano A. Not Keeping the faith: A critique of Good Faith in Contract Law in Australia and the United States. Bond Law Review. 2005. v. 17. Issue.1, 45*  
<sup>258</sup> *Осакве К. Свобода договора в англо-американском праве: понятие, сущность и ограничения, Журнал Российского права, 2006, №8, 143.*  
<sup>259</sup> *iqve, 131.*  
<sup>260</sup> *Zweigert K., Kotz H., An introduction to Comparative Law. Clarendon Press. Oxford. 1998,332*

ყველა ქვეყანაში შეზღუდულია სახელშეკრულებო სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპით. ისინი მიიჩნევენ, რომ ხელშეკრულების თავისუფლება ნებისმიერ შემთხვევაში შეზღუდული უნდა იყოს, როცა ერთ მხარეს შეუძლია ხელშეკრულების პირობები უკარნახოს მეორე მხარეს თავისი ეკონომიკური უპირატესობიდან და ამის შედეგად წარმოქმნილი მხარეთა უთანასწორო მდგომარეობიდან გამომდინარე (*inequality of bargaining power*).<sup>261</sup>

ამრიგად, რადგან პატერნალისტური მიდგომა გარდაუვლად ზღუდავს ხელშეკრულების თავისუფლებას, კანონმდებლობა მოცემულ შეზღუდვებს გამართლებულად მიიჩნევს და პირველ ყოვლისა, მოითხოვს უზრუნველყოფილ იქნეს სახელშეკრულებო კეთილსინდისიერება და სამართლიანობა. „სამართლებრივ ურთიერთობების გაფორმების დროს ცალკეული მონაწილის განსხვავებული ეკონომიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების საფუძველზე ხელშეკრულების შეუზღუდავი თავისუფლება უკონტროლო, არასასურველ შედეგს გამოიღებდა.“<sup>262</sup>

როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და კეთილსინდისიერების პრინციპი, პრიორიტეტი კეთილსინდისიერების პრინციპს უნდა მიენიჭოს, რადგან სწორედ მოცემულ პრინციპს შეუძლია უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის არსებობა ხელშეკრულების მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს შორის. კეთილსინდისიერების პრინციპს ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობების დაბალანსების ფუნქცია რომ აქვს, ამას ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი და ნორმის შინაარსზე მსჯელობისას აღნიშნა: „კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართლის აღიარებული ზოგადი დათქმაა, რომელიც განმტკიცებულია სამოქალაქო კანონმდებლობით. მართალია, ნორმათა უმრავლესობა მასზე პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ მაინც მას ემყარება, ვინაიდან სამოქალაქო მართლწესრიგი სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული. კეთილსინდისიერი ქცევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერებითა და პატივისცემით მოქმედებას გულისხმობს. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს“.<sup>263</sup>

ამავდროულად, ამგვარი მიდგომა სრულიადაც არ უარყოფს (არ გამორიცხავს) ხელშეკრულების თავისუფლების არსებობას და მხარის მიერ თავისი ინტერესების განხორციელებას. კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთაგან მოითხოვს, რომ „მათ თავიანთი უფლებები

<sup>261</sup> იქვე, 333.

<sup>262</sup> შენგელია ი., ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და ვენის 1980 წლის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ვიდვა გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ. ქ. „მართლმსაჯულება“, №1, 2010, 155

<sup>263</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1224-1076-2010

განახორციელონ და თავიანთი მოვალეობები შეასრულონ ხელშეკრულების მეორე მხარის მოლოდინის შესაბამისად, ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს მეორე მხარის გონივრული ინტერესები ისე, რომ არ გამოირიცხოს საკუთარი ინტერესები. ამავდროულად, ცალკეულ შემთხვევაში, მხარეს უფლება აქვს თავისი უფლებები განახორციელოს მარტოდენ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე კეთილსინდისიერების დაურღვევლად, თუ ხელშეკრულების კონსტრუქცია იძლევა ასეთი ქცევის შესაძლებლობას.<sup>264</sup> ანალოგიური პოზიცია აქვს კეილისაც, რომელიც მიიჩნევს, რომ „კეთილსინდისიერება არ გულისხმობს ალტრუისტულად მოქმედების ვალდებულებას; ის არ მოითხოვს საკუთარ ინტერესებზე, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობათა ძირითად მოტივზე უარის თქმას.“<sup>265</sup>

კეთილსინდისიერების დოქტრინის გამოყენების შედეგად ხელშეკრულების მხარეებს ეძლევათ დიდი გარანტიები თავიანთი მოქმედების განხორციელებისას. მხარეთა მიერ მოქმედებების განხორციელება მოქნილი ხდება. კეთილსინდისიერების დოქტრინა უზრუნველყოფს ისეთი გარანტიების არსებობას, რომლებიც იცავენ ხელშეკრულების სუსტ მხარეს და ძლიერ მხარეს არ აძლევს საშუალებას უპირატესობის მოსაპოვებლად გამოიყენოს კონტრაჰენტის სუსტი მდგომარეობა. ამასთან, „მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების დადება და მისი პირობების კეთილსინდისიერად განსაზღვრა, არ იყოს მოხვენებითი და მკაფიოდ გამოხატავდეს მონაწილეთა ინტერესებს“.<sup>266</sup>

საბოლოოდ, სასამართლოს პრეროგატივაა განსაზღვროს კონკრეტულ შემთხვევაში სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები. თუმცა, მოსამართლე თავის მხრივ შეზღუდულია კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების ფარგლებით.

## 1.8 ხელშეკრულების განმარტება<sup>267</sup> კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად

კეთილსინდისიერების პრინციპი შეიძლება გამოყენებული იქნეს ხელშეკრულების განმარტების მიზნით, როგორც ხელშეკრულების განმარტების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. კეთილსინდისიერების პრინციპს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როცა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები არასაკმარისად არის მოწესრიგებული მათ შორის დადებული ხელშეკრულებით, აგრეთვე მაშინ, როცა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები არ არის მოწესრიგებული კანონით ან საქმიან ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებებით. მოსამართლემ სამოქალაქო სამართლებრივი

<sup>264</sup> Peden E., Contractual Good faith: Can Australia benefit from the American experience. Bond Law Review. 2003. V. 15. Issue 2, 214.

<sup>265</sup> Keily T. Good faith and the Vienna Convention on Contracts for the International Commercial law and Arbitration. Issue, 1(1999), 15-40

<sup>266</sup> შენგელია ი., სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი. არსი და მნიშვნელობა, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(23)<sup>09</sup>, 49

<sup>267</sup> ზოგადად, ხელშეკრულების განმარტების, მათ შორის კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე განმარტების თაობაზე დამატებით იხილეთ: *ოსკელიანი ნ.*, ხელშეკრულების განმარტება, გამომც., „ბონა კაუზა“, თბ., 2008



ურთიერთობების მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე უნდა დაადგინოს.

სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ხელშეკრულების განმარტებამდე სასამართლომ ჯერ ის უნდა გამოიკვლიოს, თუ სინამდვილეში რისკენ იყო მიმართული მხარეთა სახელშეკრულებო ნება. ეს შესაძლებელია ყველაფერთან ერთად მხარეთა ახსნა-განმარტებებიდანაც დადგინდეს. მტკიცებულებების, მათ შორის ახსნა-განმარტებების საფუძველზე საჭიროა გამოკვლევულ იქნეს ყველა ფაქტობრივი გარემოება. ფაქტობრივი გარემოებები შემდგომში უნდა შეფასდეს ხელშეკრულების განმარტების და მხარეთა რეალური ნების დადგენის მიზნით კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე.

თუ უტყუარად, ცალსახად ვერ დგინდება, თუ რისკენ იყო მიმართული სინამდვილეში მხარეთა ნება, მაშინ ხელშეკრულების მხარეთა ნება შეიძლება დადგინდეს და ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვროს ისეთი კრიტერიუმების საფუძველზე როგორებიც არის: ჩვეულება (სსკ-ის მე-2 და 339-ე მუხლები), ხელშეკრულების არსი და მიზანი, კეთილსინდისიერების პრინციპი. გარდა ამისა, უფლებები და მოვალეობები მხარეთა შორის უნდა გადანაწილდეს იმ წესის შესაბამისად, რომელსაც ეწოდება *contra proferentem* (სსკ-ის 325-ე და 345-ე მუხლები). ეს ნორმები განმარტებასთან დაკავშირებული ეჭვის პრობლემის გადაჭრას ახდენენ სამართლიანობის კრიტერიუმის საფუძველზე. ამდენად, სსკ-ის 52-ე მუხლში მოთითებული გონივრული განსჯის კრიტერიუმი, ივსება ზემოაღნიშნული წესებით. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ნორმები სახელშეკრულებო პირობათა განმარტების კრიტერიუმად კეთილსინდისიერების პრინციპს ცალსახად არ ასახელებენ, ისინი კეთილსინდისიერების პრინციპის დამაკონკრეტებელ ნორმებად უნდა იქნენ მიჩნეული. ამ ნორმათა პრაქტიკული მნიშვნელობა დიდია სახელშეკრულებო ურთიერთობებში. თუ მაგალითად, შემკვეთი და მენარდე არ შეთანხმებულან ანაზღაურებაზე და არც ტარიფი არსებობს და მათ შორის წარმოიშვა დავა - მენარდის აზრით შესრულებული სამუშაოს საზღაური გადახდილი უნდა იქნეს სამუშაოს მოცულობის მიხედვით, ხოლო შემკვეთის აზრით, ანგარიშსწორება საათობრივი ანაზღაურების მიხედვით უნდა განხორციელდეს, ანუ როცა სახეზეა სსკ-ის 630-ე მუხლში მოთითებული პირობა, „ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლით.“<sup>268</sup> მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს საბაზრო ფასი.

თუ განმარტების შედეგად დადგინდება, რომ მხარეთა ნამდვილი ნება და ხელშეკრულებაში გამოხატული ნება არ ემთხვევა ერთმანეთს, მაშინ გადასაწყვეტია, თუ რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

<sup>268</sup> *კლიერი შვილი ზ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. I, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, 243,

კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ხელშეკრულების განმარტება, ასევე სამართლიანობის საფუძველზე სახელშეკრულებო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა, ემსახურება მხარეთა მიერ არასრულად გამოხატული ნების განვრცობას, შევსებას. ამასთან, ასრულებს მხარეთა ნების მაკორექტირებელ ფუნქციას.

ხელშეკრულების განმარტებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსში რამოდენიმე ნორმა ეხება (325-ე, 337-ე, 338-ე, 339-ე, 340-ე მუხლები), მაგრამ კოდექსში მითითება კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე გარიგების (ხელშეკრულების) განმარტებაზე, არ არის. ზემოაღნიშნულ 52-ე მუხლში მხოლოდ ხაზი ესმება გონივრული განსჯის კატეგორიას გარიგების განმარტებისას.

განზოგადებული სახით მაგალითის მოხმობა თვალსაჩინოს გახდის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ხელშეკრულების განმარტებას: მოსარჩელემ შეიძინა მშენებარე ბინა. ბინის შეძენის გადაწყვეტილება მან მიიღო სამშენებლო სარეკლამო ბროშურის საფუძველზე, რომლის მიხედვით ბინაში დამონტაჟებული უნდა ყოფლიყო ხმაურისაგან დამცავი და სავენტილაციო სისტემა. აღნიშნულის თაობაზე ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი. სარეკლამო ბროშურაში ცალსახად იქნა მითითებული, რომ იგი არ წარმოადგენდა სახელშეკრულებო დოკუმენტს და რომ ხელშეკრულება თვითონ შეიცავდა დათქმას, რომ მყიდველისათვის ცნობილია ნასყიდობის საგნის (ნივთის) ნიშან-თვისებები (ხარისხი) და თანახმაა დადოს ხელშეკრულება მასში მითითებული პირობებით. მოგვიანებით გაირკვა, რომ სარეკლამო ბროშურაში დაანონსებული ხმაურის საწინააღმდეგო და სავენტილაციო სისტემა ბინაში არ არსებობდა. შეუძლია თუ არა მყიდველს მოითხოვოს ნასყიდობის ფასის შემცირება? მოცემულ შემთხვევაში ბუნებრივია და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე გამართლებულიც, ითქვას, რომ მყიდველი დაეყრდნო სარეკლამო ბროშურაში დაწვრილებით ჩამოყალიბებულ პირობებს, ვინაიდან ხელშეკრულება არ შეიცავდა ნასყიდობის საგნის თვისებებთან დაკავშირებულ ყველა პირობას. გამყიდველმა მყიდველს გაუჩინა ნდობა და მოლოდინი, რომ ნასყიდობის საგანი იქნებოდა სარეკლამო ბროშურაში დაანონსებული ხარისხისა და თვისების მქონე. მოცემულ მაგალითში, ხელშეკრულებაში საკმარისად არ არის დაკონკრეტებული სამშენებლო ფირმის მოვალეობები. სამშენებლო ფირმების საქმიანობაში გავრცელებულია დაუკონკრეტებელი ხელშეკრულების დადების პრაქტიკა. ამასთან, ისინი ცდილობენ თავი აარიდონ თავიანთი დაპირებების შესრულებას. ასეთ შემთხვევებში კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ აღკვეთოს დაუკონკრეტებელი ხელშეკრულებების დადების პრაქტიკის გავრცელებისა და უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები. მოცემულ შემთხვევაში ბინის შემძენს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე უფლება ჰქონდა ევარაუდა, რომ სამშენებლო

ფირმა ვალდებული იყო დაეცვა რეკლამაში დაანონსებული პირობები. სამშენებლო ფირმა ვალდებული იყო შეესრულებინა ხელშეკრულება ჯეროვნად და შეუსრულებლობის შემთხვევაში კი იგი პასუხისმგებელი იყო მყიდველის მიმართ. კეთილსინდისიერების პრინციპის რელური ამოქმედება და ამ პრინციპის საფუძველზე საქმის გარემოებების და ხელშეკრულების ბუნების გათვალისწინებით მხარეთათვის ვალდებულების დაკისრება სასამართლო პრაქტიკაში, უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს და არასწორ სახელშეკრულებო პრაქტიკას აღკვეთს არა მარტო სამშენებლო სფეროში, არამედ სამოქალაქო ბრუნვის სხვა სფეროებშიც.

რადგან კეთილსინდისიერების პრინციპი გავლენას ახდენს ხელშეკრულების მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებზე, მიზანშეწონილია საქართველოში შემოდებულ იქნეს გსკ-ს 157-ე მუხლის მსგავსი ნორმა, რომლის შესაბამისადაც ხელშეკრულებები უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერად, სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებების გათვალისწინებით. მოცემულ დებულებას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს უკლებლივ ყველა ხელშეკრულებისათვის. ვიდრე ქართველი კანონმდებელი ამგვარ ნორმას შეიმუშავებს, მიზანშეწონილია მართლმსაჯულების განხორციელების დროს ქართული სასამართლოებიც ხელშეკრულების განმარტების აუცილებლობის შემთხვევაში თავისუფლად იყენებდნენ კეთილსინდისიერების შესახებ ზოგად დათქმას და მის საფუძველზე წყვეტდნენ დავას, ვინაიდან კეთილსინდისიერების პრინციპი თავისი არსითა და ფუნქციური დანიშნულებით მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. ქართულ მართლმსაჯულებაში თანდათან მკვიდრდება დასახელებული მიზნით კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების პრაქტიკა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე № ას-7-362-07 აღნიშნულია: „კერძო სამართლის სუბიექტთა მიერ ხელშეკრულების პირობების სამართლიან განსაზღვრას და მხარეთა უფლებების დაბალანსებას უზრუნველყოფს სსკ-ის 325-ე მუხლი... მოდავე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება და დანართი არ მოიცავს მითითებას შესრულების ზუსტ ვადაზე (საკონტროლო ვადაზე), მაგრამ ხელშეკრულების ეს ხარვეზი მხარეს არ აძლევს უფლებას, არამართლზომიერად გამოიყენოს თავისი უფლება, ვინაიდან კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ვალდებულება ყოველ მხარეს აკისრებს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას (სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ასეთი გულისხმიერება უნდა გამოიხატოს სწორედ იმაში, რომ თუკი მხარეთა შორის არ მომხდარა შეთანხმება ხელშეკრულების რომელიმე პირობაზე ან არსებობს ბუნდოვანება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასეთი პირობა სამართლიანად უნდა განისაზღვროს და ყველა მხარე კეთილსინდისიერად და პატივისცემით უნდა მიუდგეს სხვის უფლებებსა და ქონებას. მდენად, ხელშეკრულების პირობის დაუზუსტებლობა ან მისი გაუთვალისწინებლობა მხარეს პასუხისმგებლობა არ ათავისუფლებს და ასეთ შემთხვევაში ხარვეზის აღმოფხვრა ხელშეკრულების შემსვები განმარტების მეშვეობით უნდა მოხდეს.“

რაც შეეხება ამ საკითხის შედარებით ასპექტს, როგორც ზოგიერთი მეცნიერის მიერ არის აღნიშნული, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად (სამართლებრივ ბრუნვაში არსებული ჩვეულებების გათვალისწინებით) ხელშეკრულების ინტერპრეტაციის შედეგად განისაზღვრება, „თუ რას აღიარებენ ხელშეკრულების პატიოსნად მოაზროვნე მხარეები თავიანთი შეთანხმების შინაარსად, როცა ეს შეთანხმება სხვადასხვაგვარად შეიძლება განიმარტოს ან ხარვეზიანია“<sup>269</sup> (გერმანიაში ასეთ შემთხვევაში საუბრობენ აგრეთვე, „ხელშეკრულების დამატებით, შემავსებელ ინტერპრეტაციაზე“). მაგრამ გერმანულ სამართალში, გსკ-ს 157-ე მუხლის გამოსაყენებლად აუცილებელია, რომ ხელშეკრულების ინტერპრეტაცია ემყარებოდეს ხელშეკრულებაში არსებულ რაიმე ხელმოსაკიდ პუნქტს, დებულებას. დამატებითი (შემავსებელი) ინტერპრეტაციის მეთოდი, ინტერპრეტაციის სხვა მეთოდებისაგან იმით განსხვავდება, რომ ინტერპრეტაციის საგანი ხელშეკრულების ცალკეული დებულება ან მხარეთა მიერ ცალ-ცალკე გამოვლენილი ნება როდია, არამედ მთლიანი „ხელშეკრულების საფუძველზე იქმნება ობიექტური რეგულირების წესი“, რომელიც თავისი შინაარსით სცილდება „მხარეთა შეთანხმების ფარგლებს.“<sup>270</sup> გადამწყვეტია არა მხარეთა ინდივიდუალური ნება, არამედ ის, თუ რისკენ იყო მიმართული მხარეთა მიერ ერთობლივად გამოვლენილი ანუ საერთო ნება.<sup>271</sup>

ხელშეკრულების დამატებითი (შემავსებელი) ინტერპრეტაციის გარდა, გსკ-ს 157-ე მუხლი მიუთითებს კეთილსინდისიერებაზე და სამართლებრივ ბრუნვაში არსებულ ჩვეულებებზე. 157-ე მუხლში გამოხატული ნდობის დაცვის იდეა, როგორც გსკ-ს 133-ე მუხლის საპირისპირო დებულება, რომელიც ეფუძნება „პირის ნამდვილ ნებას“, ზღუდავს „წმინდა ნების ბატონობას“.<sup>272</sup>

შედარების თვალსაზრისით ასევე შეიძლება აღინიშნოს, რომ გერმანიაში ხელშეკრულების (აქ არ იგულისხმება მარტოოდენ ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულებები) განმარტების შესახებ 157-ე მუხლით დადგენილი წესი (დებულება) მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა მხარეთა შეთანხმებები უშვებენ სხვადასხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას (მხარეთა შეთანხმება, ხელშეკრულება ქმნის სხვადასხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას) ან ხარვეზიანია. მხარეთა ნების გამოვლენა (გსკ-ს 133-ე მუხლი) განიმარტება კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით.

გსკ-ს 157-ე მუხლი ავსებს კეთილსინდისიერების პრინციპის შესახებ გსკ-ს 242-ე მუხლს. „ვინაიდან შეუძლებელია მხარეთა ნებისა და ვალდებულების შესრულების შინაარსის მკაცრი გამიჯვნა“<sup>273</sup>, ხდება 157-ე მუხლისა და 242-ე მუხლის ერთობლივი გამოყენება.

<sup>269</sup> Larenz K. Lehrbuch des Schuldrechts, Bd. I, Allgemeiner teil. 14 Aufl. München, 1987, 126,

<sup>270</sup> Larenz K., Wolf M., Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Auflage, München, 2004, 631.

<sup>271</sup> იქვე, 562

<sup>272</sup> იქვე, 534

<sup>273</sup> Eckl Ch., Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht, Mohr Siebeck Tübingen, 2007, 30

კეთილსინდისიერების პრინციპი 157-ე მუხლის შემთხვევაში შეაღობით გამოიყენება, ხოლო 242-ე მუხლის შემთხვევაში - უშუალოდ.<sup>274</sup>

## 1.9 კეთილსინდისიერების პრინციპისა და უფლების ბოროტად გამოყენების კატეგორიების თანაფარდობა

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილენი (სუბიექტები) კეთილსინდისიერების პრინციპით არა მხოლოდ ვალდებულია შესრულების, ან უფლებათა შექმნის დროს უნდა ხელმძღვანელობდნენ, არამედ უფლებათა განხორციელების დროსაც. ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა ისეთი კატეგორიების თანაფარდობის საკითხი, როგორც არის უფლების არაკეთილსინდისიერად განხორციელება და უფლების ბოროტად გამოყენება. უნდა გაირკვეს, არის თუ არა არაკეთილსინდისიერება და უფლების ბოროტად გამოყენება ტოლფასი კატეგორიები ანუ სუბიექტების არაკეთილსინდისიერი ან არაგონივრული მოქმედება წარმოადგენს თუ არა უფლების ბოროტად გამოყენებას. უცხოურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ აღინიშნება, რომ სახელშეკრულებო სამართალში არსებულ კეთილსინდისიერების პრინციპსა და უფლების ბოროტად გამოყენების კატეგორიებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, რაც შეუძლებელს ხდის ერთმანეთისგან ნათლად გაიმიჯნოს ეს ორი სამართლებრივი კატეგორია.<sup>275</sup> ამ მოსაზრებას არ შეიძლება დავეთანხმოთ, რადგან არაკეთილსინდისიერება შეიძლება გამოვლინდეს ისეთი ფორმითაც, რომელიც არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც უფლების ბოროტად გამოყენება.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, უფლების ბოროტად გამოყენება წარმოადგენს „მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ, შეგნებულ და განზრახ ქცევას“<sup>276</sup>, ე.ი. მათი აზრით, უფლების ბოროტად გამოყენება სამოქალაქო სამართალდარღვევაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარში სსკ-ის 115-ე მუხლის განმარტებისას, რომელიც უფლების ბოროტად გამოყენებას ეხება, ყურადღება მახვილდება კეთილსინდისიერებაზე, მართლზომიერებაზე, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული პირის მიერ უფლებათა განხორციელებისას.<sup>277</sup> ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მიეთითება შემდეგი: უფლების ბოროტად გამოყენების დროს სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილე არა მხოლოდ ეყრდნობა თავის უფლებებს, არამედ სცილდება კიდევ მის ფარგლებს და ამ დროს იგი განიხილება როგორც განსაკუთრებული სამოქალაქო სამართალდარღვევა. უფლების ბოროტად გამოყენება, ისევე, როგორც სხვა სამართალდარღვევა, თავისთავად გულისხმობს სანქციის არსებობას. სსკ-ის მე-10 მუხლის მიხედვით ნებისმიერი ქმედება, რომელიც უფლების ბოროტად გამოყენების გზით ზიანს აყენებს სხვას, ბათილია. ქმედების, როგორც უფლების ბოროტად

<sup>274</sup> იქვე, 31.

<sup>275</sup> იქვე, 280.

<sup>276</sup> *Грибанов В. П.* Осуществление и защита гражданских прав, „Статут“, М., 2001, 57-62

<sup>277</sup> *ჯორბენაძე ს.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2002, 301

გამოყენების დასაკვალიფიცირებლად, არ არის საჭირო ზიანის უშუალო დადგომა. საკმარისია ზიანის მიყენების განზრახვის არსებობა.<sup>278</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლოა მოქმედება იყოს არაკეთილსინდისიერი, მაგრამ არ შეიცავდეს უფლების ბოროტად გამოყენების ნიშნებს. მართებულია პოზიცია, რომ „კეთილსინდისიერი ქცევა არაა სამართლებრივი ქცევის ტოლფასი. ყოველგვარი არამართლზომიერი მოქმედება არაა იმავდროულად არაკეთილსინდისიერი მოქმედება და პირიქით, არაკეთილსინდისიერი ქცევა ყოველთვის არ არის არამართლზომიერი ქცევა. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას“.<sup>279</sup>

პირგასამტეხლოს დადგენისას მხარეები არ არიან შეზღუდულნი მისი ოდენობის განსაზღვრაში, თუმცა სასამართლოს შეუძლია შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება. პირგასამტეხლოს განსაზღვრისას არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადგილი აქვს უფლების ბოროტად გამოყენებას, რადგან კრედიტორი არ მოქმედებს მოვალისთვის ზიანის მიყენების მიზნით. მისი მიზანია პირადი გამორჩენის მიღება. მაღალი პირგასამტეხლოს დადგენით ან მოთხოვნით იგი არ ითვალისწინებს მოვალის ინტერესებს. მაშასადამე ასეთ დროს კრედიტორის მოქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს არა უფლების ბოროტად გამოყენებად, არამედ არაკეთილსინდისიერ მოქმედებად.

სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ დარღვეულია 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები და ამის მიუხედავად, კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება. იმ მოვალის მოქმედება, რომელიც არღვევს 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც არაკეთილსინდისიერი მოქმედება,<sup>280</sup> მაგრამ ამგვარი მოქმედება არ არის უფლების ბოროტად გამოყენება. მაშასადამე, შესაძლებელია სახეზე იყოს უფლების არაკეთილსინდისიერად განხორციელება, მაგრამ ეს არ წარმოადგენდეს უფლების ბოროტად გამოყენებას. 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოვალის ქცევა, რომელიც კრედიტორისაგან მოითხოვს ხელშეკრულების ძალაში დატოვებას, არ შეიცავს სამართალდარღვევის ნიშნებს, ამიტომ მისი ქცევა შეიძლება დაკვალიფიცირდეს, მხოლოდ როგორც არაკეთილსინდისიერი ქცევა. ამიტომ, კეთილსინდისიერი ქცევის გამიჯვნას უფლების ბოროტად გამოყენებისაგან, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. არაკეთილსინდისიერების დამტკიცება უფრო იოლია, ვიდრე უფლების ბოროტად გამოყენების, რადგან ასეთ დროს აუცილებელია დადგინდეს

<sup>278</sup> იხილეთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 27 აპრილის განჩინება საქმეზე №2ბ/400-07

<sup>279</sup> ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი, 2001, 270

<sup>280</sup> ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, 2001, 442

პირის მოქმედება მეორე მხარისათვის მარტოდენ ზიანის მიყენების მიზნით.

ერთი მხარის ქცევის, როგორც არაკეთილსინდისიერი ქცევის შეფასების დროს შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების მეორე მხარის ქცევის დაკვალიფიცირების აუცილებლობაც. კერძოდ, ხომ არ წარმოადგენს ეს ქცევა ასევე არაკეთილსინდისიერ ქცევას. მაგალითად, მოპასუხე არ იღებს გონივრულად აუცილებელ ზომებს (არ მოქმედებს გონივრულად, თავისი უფლებების დასაცავად, მათ შორის სასამართლოსადმი მიმართვის მეშვეობით), მაშინ როცა ჰქონდა ამის შესაძლებლობა. ე.ი. არაკეთილსინდისიერი შეიძლება აღმოჩნდეს ორივე მხარე. ასეთ შემთხვევებში სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, უნდა განსაზღვროს, თუ რომელი მხარის ქცევაა უფრო მეტად არაკეთილსინდისიერი და ისე გადაწყვიტოს საქმე. ამგვარი მიდგომა იქნება საკითხისადმი სამართლიანი მიდგომა. მაგალითად, როცა ხელშეკრულების დამდები მხარეები, სპეციალისტებად ივარაუდებიან გარიგების დადებისას.

კეთილსინდისიერება აღებული ვალდებულებებისადმი პატივისცემას და ერთგულებას ნიშნავს. მართებულია პოზიცია, რომ უფლების ბოროტად გამოყენება შეიძლება მიჩნეულ იქნეს არაკეთილსინდისიერების ერთ-ერთ გამოვლინებად, ასე ვთქვათ, არაკეთილსინდისიერების კერძო შემთხვევად.<sup>281</sup> ამრიგად, საუბარია კეთილსინდისიერების პრინციპის ორი ასპექტის თაობაზე: პირველ ყოვლისა, ვალდებულების გულმოდგინედ, ზუსტად და პატიოსნად შესრულებაზე.<sup>282</sup> მეორე, უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვაზე. ამ პოზიციას ადასტურებს უცხოური გამოცდილებაც. კერძოდ, კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება ფრანგულ სამართალში ყველაფერთან ერთად „უფლების ბოროტად გამოყენების“ თეორიის განვითარების შედეგია. პირი იმ შემთხვევაში მიიჩნევა თავისი უფლების ბოროტად გამოყენებლად, როცა უფლების განხორციელება ხდება სხვისთვის ზიანის მიყენების განზრახვით ან ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელის ეკონომიკურ ან სოციალურ მიზანს. ამგვარმა მიდგომამ საფუძველი დაუდო ფრანგულ სამართალში კეთილსინდისიერების უფრო ღრმად დანერგვას. თანამედროვე ფრანგულ დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კეთილსინდისიერების მოთხოვნიდან წარმოშობილი ვალდებულებების მიკუთვნება სახელშეკრულებო სამართლის სფეროსადმი, მცდარია. ფრანგულ დოქტრინასა და პრაქტიკაში არსებული მიდგომის თანახმად, კეთილსინდისიერებისა და კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევას უნდა მოჰყვეს დელიქტური პასუხისმგებლობა. მაშასადამე, კეთილსინდისიერების მოთხოვნის მიმართ, რომელიც წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას, გამოიყენება დელიქტური სამართლის ნორმები. როგორც აღინიშნება, უფლების ბოროტად გამოყენება არის კეთილსინდისიერების უქონლობა და დოქტრინასა და

<sup>281</sup> *Щенникова Л.В.* Принципы гражданского права: достижения цивилистики и законодательный эффект. Цивилистические записки: Межвузовский сборник научных трудов. Вып. 2, Екатеринбург, Институт частного права, "Статут", М., 2002, 58

<sup>282</sup> *Бабаев В.Н.* Презумпции в советском праве, Горький, 1974, 87

სასამართლო პრაქტიკაში მიუთითებენ დელიქტურ ან კვაზი დელიქტურ პასუხისმგებლობაზე კეთილსინდისიერების დარღვევისათვის.<sup>283</sup>

გერმანულ დოქტრინაში კეთილსინდისიერების ფუნქციებზე მსჯელობისას აღნიშნულია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი გვაძლევს შესაძლებლობას, დადგინდეს უფლებათა ბოროტად გამოყენება.<sup>284</sup>

კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მოეთხოვება არა მარტო მოვალეს არამედ კრედიტორსაც, რომელიც თავის უფლებებში შეიძლება შეიზღუდოს და უარი ეთქვას მათ დაცვაზე, თუ იგი ამ უფლებების ბოროტად გამოყენებას შეეცდება.<sup>285</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: ქართულ სამართალში უფლების ბოროტად გამოყენება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს. შესაბამისად, უფლების ბოროტად გამოყენების და კეთილსინდისიერების პრინციპის ერთმანეთთან გაიგივება დაუშვებელია.

## 1.10 კეთილსინდისიერების პრინციპისა და ზნეობის თანაფარდობა

სამართლის დოქტრინაში ხდება კეთილსინდისიერების დაკავშირება ზნეობასთან. სამართლის მეცნიერება ზნეობის ცნებაში გულისხმობს ეთიკური საფუძვლებიდან სამართლის სფეროში გადატანილ ქცევის წესებს.<sup>286</sup> ამასთან, „კეთილი ზნეობის“ შეფასების კრიტერიუმები და მასშტაბები“ შეიძლება მხოლოდ მოცემული ქვეყნის შიგნით იქნეს შემუშავებული.<sup>287</sup> ფრანგულ სამართალში დიდი ხანია კეთილსინდისიერების პრინციპს ზნეობრივ კატეგორიად მიიჩნევენ. შესაბამისად, ზოგიერთი ავტორის აზრით, კეთილსინდისიერების პრინციპს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიჩნეულ იქნება ზნეობრივ კატეგორიად. მაგალითად, რიპერი აღნიშნავდა, რომ კეთილსინდისიერება კანონმდებლისა და მოსამართლეთა მიერ გამოყენებული ერთ-ერთი საშუალებაა სამართალში ზნეობის შემოსატანად. გარდა ამისა, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში ზნეობის ნორმების შეტანისა და სახელშეკრულებო ურთიერთობების მორალური დონის ამაღლების საშუალებაა.<sup>288</sup> იმაზე მითითება, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი დაკავშირებულია ზნეობასთან (მორალთან), საფუძვლად დაედო აღნიშნული პრინციპის აღწერას ყველა ქვეყანაში. მაგალითად,

<sup>283</sup> Wéry P., La fin du contrat. Liège, 2001, 125

<sup>284</sup> Markesinis B. Unberath H. Jonston A. The German Law of Contract, A Comparative treatise, Second edition, Entirely revised and updated, HART Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 122

<sup>285</sup> ვაშაკიძე ვ. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10 №1, 2007, 24

<sup>286</sup> ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გამომცემლობა „სამართალი“, 1997, 361

<sup>287</sup> იქვე, 362

<sup>288</sup> Boulaire J., La bonne foi en droit, français des contrats. Entre règle morale et sécurité juridique, Droit des contrats France, suisse, Belgique, Bruxelles, 2006, 255-256



გერმანულ სამართლებრივ დოქტრინაში მითითებულია, რომ კეთილსინდისიერება სამართლებრივი წესრიგის ორიენტირი და უზრუნველყოფი ზნეობრივ-სამართლებრივი პრინციპია.<sup>289</sup>

სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნების დაცვა არ ნიშნავს მარტოოდენ მორალური ნორმების დაცვას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება სცილდება მორალური და სხვა არასამართლებრივი სოციალური ნორმების დაცვის ფარგლებს. კეთილსინდისიერების პრინციპი სამართლის ნორმებით არის განმტკიცებული და ამდენად, იგი ვრცელდება სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებულ ყველა სამართლებრივ ურთიერთობაზე. კეთილსინდისიერების პრინციპი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სუბიექტის მარტოოდენ ვალდებულებად, დაიცვას სამართლებრივი ურთიერთობის დანარჩენი მონაწილეების უფლებები და კანონიერი ინტერესები. საქმე იმაშია, რომ ხელშეკრულების მხარეს ხშირ შემთხვევაში მარტოოდენ უფლება კი არ გააჩნია, არამედ ვალდებულების შესრულებაც ეკისრება კონტრაქტის მიმართ. ამდენად, უფლებით მხარის აღჭურვა, მისი მხრიდან ვალდებულების შესრულებასაც გულისხმობს. ასეთ დროს უფლება არ შეიძლება განხორციელდეს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მიერ ვალდებულების შესრულების გარეშე. შესაბამისად, კეთილსინდისიერება ასრულებს დამატებითი მოთხოვნის ფუნქციას-სახეზე უნდა იყოს არა მარტოოდენ უფლების განხორციელება, ან ვალდებულების შესრულება, არამედ უფლება-მოვალეობათა განხორციელებისას ადგილი უნდა ჰქონდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის კეთილსინდისიერებას (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი).

კეთილსინდისიერების პრინციპი არ უნდა გავაიგივოთ ზნეობრივად მოქცევის პრინციპთან. ზნეობის (კეთილი ზნეობის) შესაბამისად მოქმედების შესრულება ნიშნავს, რომ პირი არ ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ღირებულებებს. აქ კი საუბარია კეთილსინდისიერების შესახებ. „სინდისი არის ადამიანის უნარი, განახორციელოს ზნეობრივი თვითკონტროლი, შინაგანი თვითშეფასება ზნეობის მოთხოვნებთან საკუთარი ქცევის შესაბამისობის პოზიციიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს საკუთარი ზნეობრივი ამოცანები და მოსთხოვოს საკუთარ თავს მათი შესრულება“.<sup>290</sup> სინდისი საკუთარი მოქმედებებისა და საქციელის თვითშეფასებაა. სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერება გულისხმობს სუბიექტის ისეთ ქცევას, როცა იგი მართალია საკუთარ ინტერესებს ითვალისწინებს, მაგრამ ამასთან, არ არღვევს სხვა პირთა კანონიერ ინტერესებს. აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერ სუბიექტს არ მოეთხოვება, განჭვრიტოს ნებისმიერი არახელსაყრელი შედეგი, რომელიც სხვა პირისათვის შეიძლება დადგეს. კეთილსინდისიერების პრინციპი, პირველ ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ სუბიექტმა საკუთარი უფლებების განხორციელებით არ დაარღვიოს სხვა პირთა ინტერესები. კეთილსინდისიერების პრინციპი, უსათუოდ, გამოხატული

<sup>289</sup> *Schlechtriem P, Schmidt – Kessel M, Schuldrecht, Allgemeiner Teil. Tübingen 2005, 140*

<sup>290</sup> *Кобликов А. С. Юридическая этика: учебник для вузов. Норма-Инфра, М., 1999, 18.*

უნდა იქნეს ნებისმიერი უფლების განხორციელების დროს კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებაში. ასეთი ვალდებულება გათვალისწინებულია სამართლის ნორმით და ვრცელდება სამოქალაქო უფლების წარმოშობასთან, შეცვლასთან, შეწყვეტასთან და დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოქმედებაზე. კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება ვლინდება აგრეთვე, უფლების კეთილსინდისიერად განხორციელების გამო პასუხისმგებლობისაგან სუბიექტის გათავისუფლებაში, როცა დასტურდება მისი კეთილსინდისიერი ქცევა.

ამდენად, ზნეობის კატეგორიას ქართულ სამართალში უფრო ნაკლები ფუნქცია აქვს, ვიდრე კეთილსინდისიერების პრინციპს. თუ ზნეობის კატეგორია ძირითადად გამოიყენება გარიგების ნამდვილობის შესაფასებლად (სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია ზნეობის საწინააღმდეგო გარიგება), კეთილსინდისიერების პრინციპს უფრო ფართო ფუნქცია ენიჭება და მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ გარიგების ნამდვილობის შეფასებისას (მაგ, სსკ-ის 346-ე მუხლი), არამედ ყველა სამართლებრივ ურთიერთობაში, წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან დაწყებული ხელშეკრულების დადებით, შესრულებითა და კორექტირებით დამთავრებული. შესაბამისად, მასშტაბურობის გამო, უფრო მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

ამდენად, უნდა განვასხვავოთ სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლების მასშტაბი მორალის მასშტაბისაგან. თუ მორალური ნორმები სამართლებრივ ურთიერთობაში ძირითადად აწესებენ სამართლებრივ-ეთიკურ მინიმუმს, კეთილსინდისიერება აწესებს უფრო მკაცრ მოთხოვნებს. სახელშეკრულებო სამართალში მხარეთა მიმართ ამგვარი გამკაცრებული მიდგომა გამართლებულია იმით, რომ ისინი შეგნებულად ამყარებენ ერთმანეთთან განსაკუთრებულ სამართლებრივ კავშირს და ამით გამოხატავენ „ნდობის მინიმუმს და ლოიალური მოქმედებისთვის მზადყოფნას.“<sup>291</sup> სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლების გამოყენების ფარგლები დგინდება მხარეთა ნდობის გათვალისწინებით. ნდობის დაცვა მკაცრად მოითხოვს კანონით გათვალისწინებული ნორმების დაცვას.<sup>292</sup>

შეუძლებელია კეთილსინდისიერების საბოლოო დაკონკრეტება.<sup>293</sup> კეთილსინდისიერების პრინციპი სცილდება ვალდებულებითი სამართლის ფარგლებს, ვინაიდან ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი<sup>294</sup>, რომელშიც ეს პრინციპია გათვალისწინებული, სამართლის სხვა სფეროებზეც ვრცელდება.<sup>295</sup>

## 1.11 კეთილსინდისიერების პრინციპისა და ჩვეულებების თანაფარდობა სახელშეკრულებო ურთიერთობებში

<sup>291</sup> Larenz K., Lehrbuch des Schuldrechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14. Auflage, München, 1987, 128.

<sup>292</sup> Larenz K., Lehrbuch des Schuldrechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14. Auflage, München, 1987, 130.

<sup>293</sup> Medicus D., Schuldrecht I. Allgemeiner Teil, 15. Auflage, München, 2004, 81.

<sup>294</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსში კეთილსინდისიერების პრინციპი არა მხოლოდ ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში, არამედ სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილშიც არის გათვალისწინებული, ხოლო ზოგადი ნაწილი, თავის მხრივ, შეიცავს მთელი კერძო სამართლისათვის საერთო დებულებებს.

<sup>295</sup> Medicus D., დასახ. ნაშრომი, 81.

კეთილსინდისიერების პრინციპის მსგავსად, სამართალში არსებული ხარვეზის შესავსებად გამოიყენება ჩვეულებაც. ჩვეულებითი სამართლის ნორმები სამართლებრივი პრობლემის სამართლიან გადაწყვეტას ემსახურებიან. „ჩვეულებითი სამართალი ქცევათა ის წესრიგია, რომელიც საზოგადოების მიერ აღიარებულია, როგორც ცხოვრებისეული ურთიერთობების სამართლიანი სისტემა... მხოლოდ ამ პირობით ჩნდება საზოგადოებაში რწმენა, რომ ჩვეულებითი სამართლის ნორმები სავალდებულოა.“<sup>296</sup> თუმცა, ჩვეულებისა და კეთილსინდისიერების მასშტაბები განსხვავებულია. ჩვეულება გამოიყენება იმის დასადგენად, რასაც ცალკეულ შემთხვევაში კეთილსინდისიერება მოითხოვს.<sup>297</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ჩვეულება რამოდენიმე ნორმაში გვხვდება. სსკ-ის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს ჩვეულების გამოყენების წესს და მას სამართლის წყაროდ აღიარებს. სსკ-ის 339-ე მუხლში კი საუბარია სავაჭრო ჩვეულებების შესახებ, რომლებიც შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას. როგორც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არის აღნიშნული „სავაჭრო ჩვეულებები ... რომლებიც, როგორც წესი, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობებში გამოიყენება, არ წარმოადგენს სამართლის წყაროს. ეს განასხვავებს მათ მე-2 მუხლით გათვალისწინებული ჩვეულებებისაგან, რომლებიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება გამოყენებულ იქნენ სამართლის წყაროდ“.<sup>298</sup> იმდენად, რამდენადაც 339-ე მუხლში საუბარია ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის თაობაზე სავაჭრო ჩვეულებების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნულ მოსაზრებას არ შეიძლება დავეთანხმეთ.<sup>299</sup> მითუმეტეს, რომ ზოგადად, ჩვეულებების გამოყენების მიზანი არის სწორედ მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრა ჩვეულებათა საფუძველზე. საქმიან ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებები, ანუ სავაჭრო ჩვეულებები, სამოქალაქო სამართლებრივი ჩვეულებების სახესხვაობას წარმოადგენს.<sup>300</sup> სწორედ სავაჭრო ჩვეულებები წარმოადგენენ საქმიანი ბრუნვისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ჩვეულებებს. ცხადია, საქმიან სფეროში არსებობენ ისეთი ჩვეულებებიც, რომლებიც არ განეკუთვნებიან საქმიანი ბრუნვის ჩვეულებებს, მაგალითად, კორპორატიული ჩვეულებები. სსკ-ის 339-ე მუხლი არ უნდა გულისხმობდეს კორპორატიულ ჩვეულებებს. ჩვეულებები შეიძლება

<sup>296</sup> ციპელიუხი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გად. გამოცემა, ბუკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006, 13.

<sup>297</sup> Heinrichs H., Münchener Kommentar Bürgerliches Gesetzbuch, Band 2, Schuldrecht Allgemeiner teil. 3. Aufl., Verlag C.H. Beck, 1994, §242, Rdnr. 6-7

<sup>298</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. „სამართალი“, თბ., 2011, 325

<sup>299</sup> „ქართულ სამართალში ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის, ხელშეკრულების განმარტების ორი დამატებითი წყარო არსებობს: 1. სავაჭრო ჩვეულება და 2. სავაჭრო ტრადიცია“ – მართებულად არის აღნიშნული ლიტერატურაში. იხ: ლილუაშვილი გ., სავაჭრო ხელშეკრულებების განმარტების წესების მნიშვნელობა ქართულ და ამერიკულ სამართალში, სამართლის აქტუალური საკითხები, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, 1 დეკემბერი, 1999, 18

<sup>300</sup> Ровный В.В. Гражданское законодательство, Глава 2, Гражданское право, Учебник. Под. ред. Сергеева А.П., Коллектив авторов, Том 1, Велби, М., 2012, 65

საფუძვლად დაედოს ამა თუ იმ ნორმის შემოღებას სამართალში. მაგალითად, კონტრაქტის მიმართ სახელშეკრულებო პროცესის მონაწილეთა პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების (ლოიალურობის) და ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა განზრახვის სერიოზულობის მოთხოვნა, რაც ითვალისწინებს ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობას მოლაპარაკებების დროს, როცა სახეზეა მხარის ბრალი (*culpa in contrahendo*), 2002 წელს გერმანიაში განხორციელებული ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შემდეგ საკანონმდებლო წესით მოწესრიგდა და შესაბამისად, წარმოადგენს პოზიტიური სამართლის ნორმას (იხ. გსკ-ს 311-ე II, 280 I, 241 II პარაგრაფები). რეფორმამდე კი ლიტერატურაში აღინიშნებოდა, რომ ეს ინსტიტუტი სასამართლო პრაქტიკისა და დოქტრინის მეშვეობით სამართლის განვითარების შედეგს და მაშასადამე ჩვეულებითი სამართლის ნორმას წარმოადგენს.<sup>301</sup>

იმდენად, რამდენადაც საბაზრო მეურნეობაზე დაფუძნებულ სამოქალაქო ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა სავაჭრო ჩვეულებებს ენიჭებათ, მიზანშეწონილია მათზე მეტი ყურადღების გამახვილება. ის ფაქტორი, რომ კეთილსინდისიერების პრინციპს დამხმარე მნიშვნელობა და როლი გააჩნია სამოქალაქო ბრუნვაში, განაპირობებს მის მსგავსებას საქმიანი ბრუნვის ჩვეულებებთან. როგორც ასეთი, ტერმინი „საქმიანი ბრუნვის ჩვეულებები“ კოდექსში გამოყენებული არ არის, მაგრამ საუბარია სწორედ საქმიანი ბრუნვის ჩვეულებებზე. კეთილსინდისიერების პრინციპი, ჩვეულებების, მათ შორის საქმიანი ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებების მსგავსად, სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სუბსიდიურ (დამატებით, დამხმარე) წყაროს წარმოადგენს, რომელიც მაშინ გამოიყენება, როცა სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით. ამის გამო, საკითხი იმის შესახებ, „კეთილსინდისიერების მოთხოვნა“ პრინციპს წარმოადგენს თუ საქმიანი ბრუნვის ჩვეულებას, დიდი ხანია დისკუსიას იწვევს.

მაგალითად, რომის სამართალში კეთილსინდისიერების მოთხოვნა ძირითადად მიიჩნეოდა ჩვეულებად. ზოგიერთი ავტორი *bona fides* „კეთილის და კეთილსინდისიერი ადამიანების“ ჩვეულებად მიიჩნევდა. ეს ავტორები ჩვეულებას მოქმედების შეფასების კრიტერიუმად თვლიდნენ, როცა მხარე შეგნებულად უპატიოსნოდ ან უსამართლოდ იღებდა სარგებელს კონტრაქტის ხარჯზე.<sup>302</sup> სკრიპილევმა *bona fides* სავაჭრო ბრუნვის ჩვეულებად მიიჩნევდა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს მოსამართლე საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს.<sup>303</sup>

სამოქალაქო სამართალში დადგენილი მოთხოვნის თანახმად, სამართლებრივი ჩვეულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს (სსკ-ის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვეულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერების პრინციპს. მართალია კეთილსინდისიერების პრინციპი ამ ნორმაში ნახსენები არ არის, მაგრამ სამაგიეროდ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3

<sup>301</sup> Комаров А.С. Ответственность в коммерческом обороте, М., 1991, 46-57

<sup>302</sup> Митюков К. А. Курс римского права, Издание 3-е, Тип-я Кушнерова И. К., Киев, 1912, 353

<sup>303</sup> Скрипилев Е. А. Основы римского права, Конспект лекций, Издание 2-е, М., Ось- 89, 2000, 97

ნაწილში საუბარია ნებისმიერ ურთიერთობაში მხარეთა მიერ უფლებამოვალეობების განხორციელებისას კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე. ეს პირველ ყოვლისა იმას ადასტურებს, რომ საუბარია სამართლის სრულიად სხვადასხვა წყაროს შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ქართულ სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპს უფრო მეტი იურიდიული ძალა აქვს, ვიდრე ჩვეულებებს. საყურადღებოა სსკ-ის მე-5 მუხლიც, რომლის თანახმადაც, თუ ურთიერთობის მოწესრიგება კანონის ანალოგიით ვერ ხერხდება, მაშინ პირველ ყოვლისა, კეთილსინდისიერების პრინციპით უნდა მოგვარდეს სადავო საკითხი. „მოსამართლეს შეუძლია კეთილსინდისიერების პრინციპს დაეყრდნოს და შეამსუბუქოს, მაგალითად ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიძიმე შედეგები მაშინ, როდესაც კანონში შესატყვისი ნორმა არ არის გათვალისწინებული და შესაბამისად, მან კანონისა და სამართლის ანალოგიაზე დაყრდნობით უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება.<sup>304</sup> ამდენად, პირველ ყოვლისა, კეთილსინდისიერების პრინციპით ივსება ხარვეზი სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების საკითხში. აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს სსკ-ის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის არასწორ ფორმულირებაზეც, რაც მიზანშეწონილია სამომავლოდ გამოსწორდეს. კერძოდ, ნორმაში საუბარია სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან ჩვეულების შესაბამისობაზე. როგორც ჩანს, სიტყვა „საყოველთაოდ აღიარებული“ ამ ნორმაში ეხება ზნეობის ნორმებს. როგორც ცნობილია, ზნეობა არ შეიძლება იყოს საყოველთაო ხასიათის.<sup>305</sup>

ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპი არ უნდა გავაიგივოთ საქმიანი ბრუნვის ჩვეულებებთან. ქართულ სამოქალაქო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი და სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებები სამართლის სხვადასხვა წყაროა, რამეთუ საქმიან ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებები გამოიყენება მხოლოდ განსაზღვრულ სფეროში, ხოლო კეთილსინდისიერების პრინციპი კი სამოქალაქო სამართლით მოწესრიგებულ ყველა ურთიერთობაზე ვრცელდება. საქმიან ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებები ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად გამოიყენება ამ ურთიერთობების კანონმდებლობით ან მხარეთა შეთანხმებით მოუწესრიგებლობის შემთხვევაში. კეთილსინდისიერების მოთხოვნა კი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა არ არსებობს შესაბამისი ურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამოქალაქო

<sup>304</sup> *კერესელიძე დ.*, სამოქალაქო კოდექსის შესავალი დებულებები, ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 7/2004-1, 34

<sup>305</sup> მართებულად მიუთითებს პროფ. დ. ჭანტურია, რომ ყველა საზოგადოებას თავისი ზნეობა აქვს. *ჭანტურია დ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2011. თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში გამართლებულია სსკ-ის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის ფორმულირება და აღნიშნულია, რომ ზნეობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები ამა თუ იმ საზოგადოების ზნეობრივი სურათის განმსაზღვრელი ფასეულობანია, სწორედ ის ფასეულობანია, რომლებმაც დღემდე შეინარჩუნეს თავიანთი სახე და სხვა სოციალური ნორმების შეფასების ერთგვარ საშუალებას წარმოადგენენ. იგივე ვითარება გვაქვს სამართალშიც. აქაც ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის სახე მის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებში ვლინდება. დაწვრილებით იხ: *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005, 201-202

კანონმდებლობა. ჩვეულება, ერთი მხრივ, კეთილსინდისიერებასთან შედარებით მეორადი მნიშვნელობისაა და იგი შინაარსობრივად კეთილსინდისიერების მასშტაბს უნდა პასუხობდეს. მეორე მხრივ, მას შეუძლია გარკვეული წვლილის შეტანა კეთილსინდისიერების შინაარსის დაზუსტებაში<sup>306</sup>, რადგან როდესაც ჩვეულება მნიშვნელოვანია სადავო საკითხის გადასაწყვეტად, მოსამართლე კეთილსინდისიერების პრინციპთან შესაბამისობაში მყოფი ჩვეულების მოშველიებით გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ფასეულობათა სისტემის გათვალისწინებით. რადგან კეთილსინდისიერების მოთხოვნა მაინც პრინციპს წარმოადგენს, საქმიან ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებებისაგან განსხვავებით, მისი გამოყენება არ შეიძლება გამოირიცხოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შეთანხმებით. განსაკუთრებით ეს ეხება იმ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელთა მიმართაც კანონი სპეციალურად ავრცელებს კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედებას (სსკ-ის 935-ე მუხლი და სხვა). ასეთი სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ, პირველ ყოვლისა, გამოყენებული უნდა იქნეს კანონი<sup>307</sup>, შემდეგ კეთილსინდისიერების პრინციპი, შემდგომ ხელშეკრულების პირობები და ბოლოს, საქმიან ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებები, თუ მათი გამოყენება არ არის გამორიცხული მხარეთა შეთანხმებით. კეთილსინდისიერების პრინციპის გამორიცხვის დაუშვებლობა განაპირობებს იმას, რომ თუ ხელშეკრულების პირობები ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს, მაშინ ეს ფაქტორი გამოიწვევს ხელშეკრულების ამგვარი პირობების ბათილობას. სამოქალაქო კოდექსით დადგენილია ნორმები, რომლებიც თავიანთი შინაარსიდან გამომდინარე, პირდაპირ და იმპერატიულად დაუშვებლად მიიჩნევენ კეთილსინდისიერების პრინციპის გამორიცხვას. კერძოდ, სსკ-ის 395-ე მუხლის მეორე ნაწილით, დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისგან მისი განთავისუფლების შესახებ. შესაბამისად, ასეთი შეთანხმება ბათილად ჩაითვლება. მართალია, სსკ-ის 410-ე მუხლი 395-ე მუხლთან ერთგვარად შეუსაბამობაშია, რადგან ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმას დასაშვებად მიიჩნევს, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ ნორმის იმგვარად განმარტება, თითქოს მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს ვალდებულების განზრახ დარღვევის გამო პასუხისმგებლობისაგან მხარის გათავისუფლების წესი, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას საფრთხეს შეუქმნიდა. ამიტომ, მიზანშეწონილია სამომავლოდ ეს ორი ნორმა ერთმანეთთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი. სსკ-ის 938-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ბათილია შეთანხმება, რომელიც აუქმებს ან ზღუდავს ამხანაგობის ხელშეკრულებიდან მონაწილის გასვლის უფლებას. სსკ-ის

<sup>306</sup> Heinrichs H., Münchener Kommentar Bürgerliches Gesetzbuch, Band 2, Schuldrecht, Allgemeiner teil, 3. Aufl., Verlag C.H. Beck, 1994, §242, Rdnr, Rdnr. 4

<sup>307</sup> როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნული, „სამართლის საზომი ჩვეულება კი არაა, არამედ ჩვეულების საზომია სამართლის ორგანული ღირებულებანი. ამისი განმკითხავი კი მოსამართლეა“. იხ: ზოდუ ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005, 121.

742-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ექსპედიტორი არ შეიძლება დაეყრდნოს იმ წესებს, რომლებიც გამორიცხავენ ან ზღუდავენ მის პასუხისმგებლობას ან გადააქვთ მტკიცების ტვირთი, თუ მან ზიანი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიაყენა. შესაბამისად, ბათილი იქნება შეთანხმება, რომელიც მსგავს შემთხვევაში გამორიცხავს ან ზღუდავს ექსპედიტორის ქონებრივ პასუხისმგებლობას.

სსკ-ის 497-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამორიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, მაგრამ ასეთი შეთანხმება ბათილი იქნება, თუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ.

სსკ-ის 697-ე მუხლის თანახმად, გადამზიდველს არ შეუძლია დაეყრდნოს XII თავის იმ წესებს, რომლებიც მის პასუხისმგებლობას გამორიცხავენ ან ზღუდავენ ანდა მტკიცების ტვირთისგან ათავისუფლებენ მას, თუკი ზიანი გამოწვეულია მისი ბრალით.

## 1.12 კეთილსინდისიერების პრინციპისა და გონივრულობის თანაფარდობა

საინტერესოა, არსებობს თუ არა განსხვავება კეთილსინდისიერების და გონივრულობის მოთხოვნებს შორის. ამგვარი შეკითხვის დასმას განაპირობებს ის, რომ ზოგჯერ კანონმდებელი ამ ორ კატეგორიას ერთად მოიხსენიებს. ლიტერატურაში შეიძლება შეგვხვდეს ავტორთა ნაწილის მოსაზრება, რომლებიც ამ ორ პრინციპს ერთიან პრინციპად მიიჩნევენ, შესაბამისად უწოდებენ მას „კეთილსინდისიერებისა და გონივრულობის“ პრინციპს.<sup>308</sup> ავტორთა ნაწილი გონივრულობას კეთილსინდისიერების პრინციპის ერთ-ერთ ასპექტად მიიჩნევს, რამეთუ მათი აზრით კეთილსინდისიერების პრინციპი უფრო ზოგადი და ფართო ცნებაა ისეთ ორ პრინციპთან შედარებით, როგორებიც არის გონივრულობა და სამართლიანობა.<sup>309</sup>

ამიტომ აუცილებელია გაიმიჯნოს კეთილსინდისიერების კატეგორია გონივრულობის კატეგორიისაგან. მაგალითად, ზოგიერთი ავტორი გონივრულობაში გულისხმობს რაციონალურობას, ლოგიკურობას და მიზანშეწონილობას, რაც ვლინდება სუბიექტის ქცევაში. გონივრულ ქცევად შეიძლება ჩაითვალოს სუბიექტის ქცევა, თუ ის იმ სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გააზრების შედეგს წარმოადგენს, რომელშიც სუბიექტი იმყოფება, ლოგიკურად გამომდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან და მიზანშეწონილია ამ ვითარებისთვის.<sup>310</sup> იმდენად, რამდენადაც გონივრულობა, პირველ ყოვლისა, არის სუბიექტის მიერ თავისი ქცევის გააზრება, ზემოაღნიშნული დებულებიდან გამომდინარე ცხადია, რომ ფაქტობრივად საუბარია გონივრულობის, როგორც სუბიექტური კატეგორიის შესახებ.

<sup>308</sup> *Иванов И. Л.* Гражданско-правовая ответственность лиц, участвующих в управлении акционерным обществом в праве России и Германии, Дис., к. ю. н, м., 1999, 144

<sup>309</sup> *Белов В. А.* Добросовестность, разумность, справедливость, как принципы гражданского права, „Законодательство“, 1998, №8, 50

<sup>310</sup> *EM В. С.* Осуществление гражданских прав и исполнение гражданско-правовых обязанностей, диссертация *Богданова Е. Е.* Добросовестность и право на защиту в договорных отношениях, Юнити-Дана: Закон и право, М., 2010, 29

ზოგიერთი მეცნიერის<sup>311</sup> მიერ კეთილსინდისიერებისა და გონივრულობის ერთმანეთისგან გამიჯვნისას მიეთითება, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი უფრო შეზღუდულად გამოიყენება სამოქალაქო სამართალში გონივრულობის პრინციპთან შედარებით. კეთილსინდისიერების პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სუბიექტების და სუბიექტების მიერ განხორციელებული მოქმედებების შესაფასებლად, ხოლო გონივრულობის პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სუბიექტის მოქმედებებთან დაკავშირებული, სამართლებრივი სინამდვილის სხვა მოვლენების შესაფასებლადაც (მაგალითად, ზიანის, ხარჯების შესაფასებლად).

ავტორთა ნაწილი თავდაპირველად საუბრობს გონივრულობის, როგორც ობიექტური კატეგორიის შესახებ. გონივრულობა ახასიათებს სამართლის სუბიექტის ქცევის ობიექტურ მხარეს,<sup>312</sup> აღინიშნება, რომ „გონივრულობა ახასიათებს პირის ინტელექტუალურ და ზნეობრივ თვისებებს გაშუალებულად, საშუალო ადამიანის შესაძლო ქცევასთან პირის ქცევის შედარების მეშვეობით“.<sup>313</sup> ამგვარი პოზიციის დაფიქსირებით ხდება არა მხოლოდ ობიექტურიდან გონივრულობის კატეგორიის სუბიექტურ გაგებაზე გადასვლა, არამედ გონივრულობისა და კეთილსინდისიერების კატეგორიების ერთმანეთში აღრევა.

ავტორთა ნაწილი კეთილსინდისიერებას გონივრულობასთან აიგივებს.<sup>314</sup> პედენი აღნიშნავს, რომ ავსტრალიის სასამართლოები ერთმანეთისგან არ მიჯნავენ გონივრულობისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს.<sup>315</sup>

ავტორთა ნაწილი კი აღნიშნავს, რომ გონივრულობისა და კეთილსინდისიერების კატეგორიები სხვადასხვაა და „პატიოსნად მოქცევის აუცილებლობა არ ნიშნავს გონივრულად მოქცევის აუცილებლობას“.<sup>316</sup> სამოქალაქო სამართლის ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ „გონივრულობის“ კატეგორიაში კანონმდებელი კეთილსინდისიერების კატეგორიისაგან განსხვავებულ შინაარსს დებს. კანონმდებლისათვის არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს გონივრულობის კატეგორიის დუბლირება მოახდინოს, კეთილსინდისიერების, ბრალეულობის, შერაცხადობის და სხვა კატეგორიებით. მაგალითად, თუ პირს არ გააჩნია საქმის გაძღოლის საკმარისი გამოცდილება, არ შეუძლია გონივრულად გაუძღვეს საქმეებს. ცალკეულ შემთხვევაში გონივრულობა ნიშნავს, რომ სუბიექტს საქმის გაძღოლის გამოცდილება გააჩნია.

<sup>311</sup> *Виниченко Ю. В.* Разумность в гражданском праве Российской Федерации „Дисс., к. ю. н., Иркутск. 2003, 59

<sup>312</sup> *Емельянов В. И.* Разумность, добросовестность, незлоупотребление гражданскими правами, М. 2002, 116.

<sup>313</sup> *იქვე*, 116

<sup>314</sup> მაგალითად, იხ. *Goode R.* Commercial law. Penguin Books. 2004, 96

<sup>315</sup> *Peden E.* Implicit Good faith or Do We Still Need an Implied term of Good Faith. Legal studies Research Paper. January. 2009, 8

<sup>316</sup> *Peden E.* When Common Law Trumps Equity: The Rise of Good Faith and Reasonableness and the Demise of Unconscionability. Legal studies Research Paper. November. 2006, 35, *Stapleton J.* Good faith in Private Law. 1999. 52 CLP 1, 8.



გონივრულობის კატეგორია შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს სუბიექტის კეთილსინდისიერების დასადგენად. მაგალითად, როგორ შეიძლება შეფასდეს სუბიექტის ქცევა, თუ მან საკუთარ თავზე აიღო რაიმე სპეციფიკური ვალდებულების შესრულება ისე, რომ არ გააჩნდა საკმარისი ჩვევები, ცოდნა, უნარი და ა.შ. მოცემული პირის ქცევა ამ შემთხვევაში მიჩნეულ უნდა იქნეს არაკეთილსინდისიერ ქცევად, რადგან კეთილსინდისიერი ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი გამოცდილება, არ იკისრებდა შესაბამის ვალდებულებას (არ აიღებდა ვალდებულებებს საკუთარ თავზე).

რიგ შემთხვევაში კანონმდებელი სამართლის ნორმებში იყენებს „გონივრული მზრუნველობის“ კატეგორიას, მაგრამ ასეთ დროს მხედველობაშია არა ის, რომ შესაბამისი პირი (სუბიექტი) შერაცხადა ან შეურაცხადა და სხვა, არამედ ის, რომ პირმა უნდა იზრუნოს სხვა სუბიექტის ინტერესებზე გარკვეული დოზით (გარკვეულ დონეზე). მაგალითად, სსკ-ის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად ფულადი ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოეშობა პირს, თუ საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარ ნივთს. სსკ-ის 886-ე მუხლის შესაბამისად კი, გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით უნდა განიხილოს გონივრულ ვადაში და გამოიჩინოს გონივრული მზრუნველობა იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს. გონივრულ მზრუნველობაზეა საუბარი სსკ-ის 480-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და 725-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებაში და სხვა. კანონმდებელი ვერ დაავალდებულებს ვინმეს ისევე იზრუნოს სხვის ინტერესებზე, როგორც საკუთარ ინტერესებზე ზრუნავს, მაგრამ კანონმდებელი მიუთითებს, რომ ზრუნვა არანაკლებ საშუალო გამოცდილების მქონე სუბიექტის ზრუნვას უნდა შეესაბამებოდეს. თუ მოცემული საშუალო გამოცდილება, ე.ი. გონივრული მზრუნველობა არ გამოიკვეთება სუბიექტის მოქმედებებში (სუბიექტი არ გამოიჩინს გონივრულ მზრუნველობას), მაშინ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირის ქცევა არაკეთილსინდისიერებად (არაკეთილსინდისიერ ქცევად) უნდა დაკვალიფიცირდეს.

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევა, როდესაც პირმა მიზნად დაისახა მიწის ნაკვეთისა და მასზე მდგარი წისქვილის მინიმალურ ფასად შექენა იმ ფირმისათვის, რომლის პარტნიორიც თვითონ იყო. აღნიშნული უძრავი ქონება იპოთეკით იყო დატვირთული ფირმის სასარგებლოდ. ამ პირის გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრისათვის შეექმნა ფინანსური პრობლემა და დალოდებოდა ქონების საჯარო ვაჭრობის წესით გაყიდვას. ამ მიზნით მან წააქეზა თავისი ფირმის კომპანიონი, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში იჯარით ჰქონდა ეს მიწის ნაკვეთი აღებული, შეეწყვიტა გადახდა მეიჯარისათვის (მესაკუთრისათვის). ამის შემდეგ, ხელოვნურად გაავრცელა ხმები, რომ მესაკუთრის საქმეები ცუდად მიდიოდა. მან ზეგავლენა მოახდინა მესაკუთრის კრედიტორებზე. კერძოდ, მესაკუთრის ორმა კრედიტორმა დააჩქარა ვალდებულებიდან გამომდინარე თავიანთი

მოთხოვნების უზრუნველყოფა მესაკუთრის ქონებაზე ყადაღის დადებით. შემდეგ, როცა მესაკუთრეს თავისი საქმეების გამოსწორების და ვალებიდან თავის დაღწევის შესაძლებლობა მიეცა, თავისი მიწის ნაკვეთის ნაწილის სარფიანად გაყიდვის გზით, რომელიც იპოთეკით იყო დატვირთული ზემოაღნიშნული ფირმის გარდა სხვა პირის სასარგებლოდაც, იპოთეკარმა ინტრიგის გზით ხელი შეუშალა მესაკუთრეს მიწის ნაკვეთის იპოთეკისგან გათავისუფლებაში და ამით ჩაშალა დასადებად გამზადებული გარიგება. მესაკუთრემ დაკარგა კრედიტიც იპოთეკარის მოქმედებათა გამო, ხოლო 74-75 ათას გერმანულ მარკად ღირებული მიწის ნაკვეთი გატანილ იქნა საჯარო ვაჭრობის წესით გასაყიდად და იპოთეკარის კომპანიონმა შეიძინა 50 ათას მარკად. ამას დაემატა ისიც, რომ როცა მონახა ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველი მყიდველი, იპოთეკარი მას შეუთანხმდა და მისგან მიიღო პირობა (ვალდებულება), რომ მყიდველი მონაწილეობას არ მიიღებდა ვაჭრობაში. როდესაც ყოველივე ამის შემდეგ საქმე მივიდა ფულად ანგარიშსწორებამდე და იპოთეკარმა სარჩელი აღძრა ყოფილი მესაკუთრის მიმართ იმ თანხის გადახდევინების თაობაზე, რომლის მოთხოვნის უფლებაც უზრუნველყოფილი იყო მესაკუთრის ქონებით, ყოფილმა მესაკუთრემ წარადგინა შეგებებული მოთხოვნა ზიანის შესახებ იმავე თანხის ოდენობით, რაც მოთხოვნილ იქნა იპოთეკარის მიერ. ყოფილმა მესაკუთრემ მიუთითა, რომ მოსარჩელემ (იპოთეკარმა) გასაკიცხი (სადრახისი) ქმედებით (საქციელით) სრულიად გააკოტრა იგი.

სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხის შეგებებული მოთხოვნა და შესაბამისად, არ დააკმაყოფილა მოსარჩელის ფორმალურად კანონიერი მოთხოვნა თანხის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ.

საიმპერიო სასამართლო, რომელსაც გადაეცა ეს საქმე არაკეთილსინდისიერი მოსარჩელის საჩივრის საფუძველზე, სრულად დაეთანხმა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებასა და მოსაზრებებს (არგუმენტებს). სასამართლომ მოსარჩელისადმი ინკრიმინირებული მოქმედებები თითოეული ცალ-ცალკე კი არ განიხილა და შეაფასა, არამედ ეს ქმედებები ერთმანეთთან კავშირში მყოფ ქმედებებად იქნა მიჩნეული, შესაბამისად, სასამართლომ მოსარჩელის ქცევა (მოქმედებები) ერთ მთლიანობად მიიჩნია, რამაც სასამართლოს აზრით გამოააშკარავა „განზრახვის სულმდაბლობა და უმსგავსობა“, რომლითაც ხელმძღვანელობდა მოსარჩელე. მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით, სლივიცკის ეკუთვნის სიტყვები: „ხანგრძლივი დაბრკოლებების შემდეგ ცხოვრებისეულმა სამართალმა იზეიმა ფორმალურ სამართალზე“<sup>317</sup>. როდესაც სასამართლო წყვეტს ისეთ საქმეს, რომელიც მოითხოვს მხარის ქცევის შეფასებას, აუცილებელია სახელშეკრულებო სამართლის ნორმათა კვალიფიკაცია სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, რათა სწორად მოხდეს ამ ნორმათა პრაქტიკაში დანერგვა.

<sup>317</sup> *Сливицкий В. И.* Право на честное к себе отношение (из уроков западноевропейской гражданско правовой жизни), Сборник статей по гражданскому и торговому праву, Памяти проф. Г. Ф. шершеневича, М., 2005, 508 ეს მაგალითი და წყარო მითითებულია ნაშრომიდან *Богданова Е. Е.* Добросовестность и право на защиту в договорных отношениях, Юнити-Дана: Закон и право, М., 2010, 9

მნიშვნელოვანია, რომ გერმანულმა სასამართლომ, ამ საქმეში, მოსარჩელის ქცევის შეფასებისას ყურადღება გაამახვილა განზრახვის „სულმდაბლობასა და უმსგავსობაზე“.

ამდენად, „გონივრულობის“ და „კეთილსინდისიერების“ კატეგორიები თავიანთი შინაარსით შეიძლება დიამეტრულად (სრულიად) საპირისპირო იყოს. დასახელებულ მაგალითში, სასამართლომ პირდაპირ გადაწყვეტილებაში მიუთითა „შესაბამისი პირის განზრახვის სულმდაბლობასა და უმსგავსობაზე“. ასე შეფასდა ამ სუბიექტის ქცევა გერმანული საზოგადოების ზნეობრივი კრიტერიუმების მიხედვით. თუმცა, გონივრულობის პოზიციიდან გამომდინარე, ამ სუბიექტმა გამოიჩინა არაჩვეულებრივი მოხერხება და გამოცდილება, რათა კონკურენტულ გარემოში მიეღწია თავისთვის გადამწყვეტი უპირატესობისათვის. საბოლოო ჯამში, მოცემული პირის ქცევა შეიძლება დახასიათდეს როგორც ძალზედ გამოცდილი, მაგრამ მეტისმეტად არაკეთილსინდისიერი მეწარმის მოქმედება. სწორედ ამიტომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნები სასამართლომ.

მართებულია შემდეგი პოზიცია: გონივრულობა ნიშნავს, რომ სამართლის სუბიექტს სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის დროს გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და ეს გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო ბრუნვის საშუალო მონაწილის გამოცდილებას.<sup>318</sup>

გონივრულობა და კეთილსინდისიერება ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, თუმცა მათი გაიგივება არ შეიძლება და უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან. თითოეული მათგანი სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელი პრინციპია და ამგვარადვე გამოიყენება. გონივრულობის პრინციპი რომ დამოუკიდებელი პრინციპია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში ვლინდება, როდესაც სუბიექტების მოქმედებების მოწესრიგება კი არ ხდება, არამედ ხელშეკრულების ისეთი პირობების მოწესრიგება, როგორც არის ხელშეკრულების ფასი, ვადა და ა.შ. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ მოცემული პრინციპები სამოქალაქო სამართლის პრინციპებია, ისინი გამოიყენება მთლიანად სამოქალაქო სამართალში (ყველა სამართლებრივ ურთიერთობაში).

კეთილსინდისიერად მოქმედება სახეზეა მხოლოდ მაშინ, როცა სუბიექტი ითვალისწინებს სხვა პირთა ინტერესებს, თავისი ქცევით არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს. როდესაც გონივრულობის საფუძველზე ხდება ქცევის შეფასება, შესაძლოა სახეზე იყოს პირის როგორც კეთილსინდისიერად ისე არაკეთილსინდისიერად მოქმედება, რადგან ერთი და მეორეც შეუძლია მხოლოდ გონიერ ადამიანს. ეს ნიშნავს, რომ გონივრულად მოქმედი სუბიექტი შესაძლოა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად ანდა არაკეთილსინდისიერად. ამრიგად, გონივრულობა, როგორც განსაზღვრული ფაქტების გაცნობიერება, გულისხმობს არა მხოლოდ კეთილსინდისიერ ქცევას, არამედ არაკეთილსინდისიერ ქცევასაც.

<sup>318</sup> Богданова Е. Е. Добросовестность и право на защиту в договорных отношениях, Юнити-Дана: Закон и право, М., 2010,30

### 1.13 კეთილსინდისიერების (არაკეთილსინდისიერების) და ბრალის თანაფარდობა

იმდენად, რამდენადაც ქართული და კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართალი ძირითადად საერთო პრინციპებს ეფუძნება, მიზანშეწონილია ნაშრომის ამ მონაკვეთში ბრალზე მსჯელობა კონტინენტური სამართლის მაგალითზეც იქნეს განხილული.

ზოგადი წესის თანახმად, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ვალდებულების შეუსრულებლობის გამო (ვალდებულების დარღვევის გამო) მოვალისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა მოვალის ბრალი. კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობისათვის ამოსავალია მოვალის ბრალის პრეზუმფცია (მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1147-ე მუხლი; გსკ-ს 282-ე მუხლი). შესაბამისად, კრედიტორს ეკისრება მოვალის მიერ თავისი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ფაქტის მტკიცების ტვირთი.

დასახელებული ქვეყნების კანონმდებლობა არ შეიცავს ბრალის ცნებას, ბრალის განმარტებას, მაგრამ შეიცავს ბრალის სხვადასხვა ფორმის (განზრახვის და გაუფრთხილებლობის) შესახებ დებულებებს (მაგალითად, გსკ-ს 278-ე მუხლი). ბრალის სხვადასხვა ფორმის გამიჯვნის კრიტერიუმად გამოიყენება მზრუნველობის ხარისხი, რომელიც უნდა გამოეჩინა მოვალეს ვალდებულების შესრულების დროს. ამასთან, საუბარია კონკრეტული მოვალის არა შესაძლებლობებსა და უნარზე, არამედ აბსტრაქტულ კრიტერიუმზე: ისეთი მზრუნველობის გამოჩენაზე, რომელიც შეესაბამება ბრუნვის ჩვეულებებს ან დამახასიათებელია კარგი მეურნისათვის. უსასყიდლო ხასიათის მქონე ვალდებულებებში, მზრუნველობის აბსტრაქტული კრიტერიუმის ნაცვლად, რომელიც დამახასიათებელია კარგი მეურნისათვის ან შეესაბამება საქმიანი ბრუნვის ჩვეულებებს, გამოიყენება მოვალის ქცევის შეფასების ნაკლებად მკაცრი კრიტერიუმი, კერძოდ: მოვალეს მოეთხოვება ისეთი დოზით (ისეთი ხარისხით) გამოეჩინოს მზრუნველობა, როგორ მზრუნველობასაც იჩენს იგი საკუთარი საქმეების მიმართ (კონკრეტული ბრალი). ამგვარი მიდგომა აისახა მიბარების, დავალების და სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ ნორმებში. ქართულ სამართალშიც ამგვარი მიდგომა დამკვიდრდა, რასაც ადასტურებს სსკ-ის 719-ე მუხლი, 725-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 765-ე მუხლი და სხვა.

კონტინენტური ევროპის ყველა ქვეყნის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშანია ის, რომ ვალდებულების მხარეებს ენიჭებათ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლის ავტონომიურად განსაზღვრის უფლება. თუმცა, როგორც წესი, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობა, რომელიც ათავისუფლებს მოვალეს

პასუხისმგებლობისაგან განზრახი ბრალისათვის, ბათილად მიიჩნევა (მაგალითად, გსკ-ს 276-ე მუხლი, საქართველოს სსკ-ის 395-ე მუხლი)<sup>319</sup>.

„ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია“.<sup>320</sup> საბჭოთა პერიოდში გაბატონებული იყო ბრალთან დაკავშირებით ფსიქოლოგიზმის კონცეფცია. ბრალის საბჭოური კონცეფცია ფაქტობრივად უგულვებელყოფდა ობიექტური მასშტაბის როლს. მოქმედი თეორიით, რომელიც ეხმიანება ბრალის გერმანულ კონცეფციებს, ბრალის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნის დაცვა. აქედან გამომდინარე, ბრალი ხასიათდება როგორც პირის სუბიექტური დამოკიდებულება თავისი ქმედებისადმი (სათანადო მზრუნველობა და წინდახედულება) და როგორც ობიექტური დამოკიდებულება ქმედებისადმი – ვალდებულების სათანადოდ შესრულებისათვის მიღებული ღონისძიებების ხარისხი. თუ ეს ღონისძიებები არასაკმარისია, მაშინ ქმედება მიიჩნევა ბრალეულ ქმედებად.

ბრალის მნიშვნელობის და ერთგვარად კეთილსინდისიერების კატეგორიასთან მისი სიახლოვის გამო (კეთილსინდისიერების მოთხოვნიდან გამომდინარეც პირს ევალება გამოიჩინოს სათანადო მზრუნველობა და წინდახედულება) სამართლის დოქტრინაში განიხილება კეთილსინდისიერების (არაკეთილსინდისიერების) და ბრალეულობის კატეგორიების თანაფარდობის პრობლემა. განსაკუთრებული მნიშვნელობის ეს პრობლემა არის იმის გამო, რომ სამოქალაქო სამართალში მოქმედებს კეთილსინდისიერების პრეზუმფციაც და ბრალეულობის პრეზუმფციაც.<sup>321</sup> ბრალის პრეზუმფციიდან გამომდინარე (სსკ-ის 394-ე მუხლი), პირი ივარაუდება ბრალეულად, სანამ არ დაამტკიცებს სხვა რამეს. კეთილსინდისიერების პრეზუმფციის საფუძველზე კი პირიქით, ზოგადი წესის თანახმად, ივარაუდება პირის კეთილსინდისიერება (კეთილსინდისიერების პრეზუმფცია). ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისია შემთხვევა, როცა ივარაუდება პირის არაკეთილსინდისიერება (პირი ივარაუდება

<sup>319</sup> სსკ-ის 395-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, ყოველგვარი დათქმის გარეშე, სსკ-ის 410-ე მუხლის შინაარსი, უპირობოდ უშვებს მხარეთა შეთანხმებით ან კანონით ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმის შესაძლებლობას, რაც არასწორი დანაწესია და ეწინააღმდეგება სამართლის ძირითად პრინციპებს. ამიტომ, სასურველია მომავალში ამ დანაწესის შეცვლა.

<sup>320</sup> *ზოდუ ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001, 370

<sup>321</sup> მოვალე ივარაუდება ბრალეულად, სანამ არ დაამტკიცებს სამართალდარღვევაში საკუთარი ბრალის არარსებობას, იმას, რომ მიიღო ყველა ზომა, რაც მოეთხოვებოდა კონკრეტულ სიტუაციაში სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად, ანუ მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს. კრედიტორმა უნდა ამტკიცოს მხოლოდ მისთვის მოვალის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანის მიყენების ფაქტი და არა მოვალის ბრალეულობა. მტკიცების ტვირთის ასეთი წესით განაწილება განპირობებულია იმით, რომ ხელშეკრულების შესრულებლობისას საქმე ეხება მოვალის ქმედებას და ამ ქმედებასთან დაკავშირებული მტკიცებულების წარმოდგენა მოვალისთვის უფრო ადვილია, ვიდრე კრედიტორისათვის. იხილეთ: *ქონაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 84

არაკეთილსინდისიერ მხარედ) და შესაბამისად, ვალდებულია სასამართლოში დაამტკიცოს თავისი კეთილსინდისიერება. მაგალითად, სსკ-ის 731-ე მუხლის და 732-ე მუხლის მე-6 ნაწილის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ როდესაც ტვირთის ნაკლი ცხადი იყო და ექსპედიტორს არ გაუკეთებია შენიშვნა ნაკლის თაობაზე, იგულისხმება, რომ მან იცოდა ამ ნაკლის შესახებ. შესაბამისად, იგი ივარაუდება არაკეთილსინდისიერ მხარედ, რადგან ცოდნის მიუხედავად არ გაუკეთებია შენიშვნა ამის თაობაზე. ცხადი იყო თუ არა ნაკლი, მტკიცების საკითხია. მაგრამ რადგან კანონი შემკვეთს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ექსპედიტორის მიერ შენიშვნის გაკეთების მოვალეობის დარღვევისას, სწორედ ექსპედიტორმა უნდა ამტკიცოს სადავო შემთხვევაში თავისი კეთილსინდისიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ექსპედიტორმა შემკვეთის მიმართ დაარღვია ტვირთის ნაკლის შესახებ ინფორმირების ვალდებულება.

მსგავს შემთხვევებში კეთილსინდისიერების მეშვეობით ხდება სუბიექტის ქცევის დახასიათება, რაც შეიძლება გამოვლინდეს გარემოებების შესახებ სუბიექტის ინფორმირებაში ან ამგვარი ინფორმაციის უქონლობაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სუბიექტის მიერ საქმის ვითარების ცოდნაში ან საქმის ვითარების არცოდნაში (იცოდა და შეეძლო სცოდნოდა; არ იცოდა და არ უნდა სცოდნოდა).

კეთილსინდისიერების პრეზუმფცია და ბრალეულობის პრეზუმფცია თავიანთი შინაარსითა და ფუნქციით სამოქალაქო სამართლის სხვადასხვა (ერთმანეთისაგან განსხვავებული) კატეგორიებია. იქ, სადაც მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია, არ შეიძლება მოქმედებდეს კეთილსინდისიერების პრეზუმფცია. ხოლო როცა მოქმედებს კეთილსინდისიერების პრეზუმფცია, ბრალეულობის პრეზუმფციისათვის ადგილი აღარ რჩება.

კეთილსინდისიერების (არაკეთილსინდისიერების) და ბრალს სხვადასხვა ფუნქცია აკისრია. როგორც წესი, ბრალის არარსებობა ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, ხოლო კეთილსინდისიერების არარსებობა, პირიქით, პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ბრალი პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგადი საფუძველია, ხოლო კეთილსინდისიერება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ზოგადი საფუძველია. ნორმებს, რომლებიც შეიცავენ მითითებას სუბიექტის კეთილსინდისიერებაზე, ხშირად რეგულაციური ხასიათი აქვთ, ზოგჯერ კი-დაცვითი ხასიათი, ხოლო ნორმებს, რომლებიც შეიცავენ მითითებას ბრალეულობაზე, დაცვითი ხასიათი აქვთ. ბრალის შესახებ საუბარია სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ყველა შემთხვევაში. მაშინ როცა კეთილსინდისიერება გამოიყენება უფრო ფართოდ და სცდება იურიდიული პასუხისმგებლობის ფარგლებს. გარდა ამისა, დაუშვებელია და ბათილია კეთილსინდისიერების პრინციპს დარღვევის გამო პასუხისმგებლობისაგან პირის გათავისუფლების შესახებ მხარეთა შეთანხმება, მაშინ როდესაც მოქმედი კანონმდებლობა (სსკ-ის 395-ე, 410-ე მუხლი) უშვებს ბრალეულობის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან პირის გათავისუფლების შესაძლებლობას. ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნები

სახელშეკრულებო ურთერთობებში, ბრალთან შედარებით, იმპერატიულია და გამონაკლისის გარეშე ყოველთვის მკაცრად უნდა იქნეს დაცული.

კეთილსინდისიერების (არაკეთილსინდისიერების) და ბრალის კატეგორიებში ასახულია (გამოხატულია) სუბიექტის ქცევის სხვადასხვა მხარე. როგორც კეთილსინდისიერება, ასევე ბრალი შეფასების შედეგად დგინდება, თუმცა პირველი, სახელშეკრულებო სამართალში როგორც წესი, ობიექტური კრიტერიუმით ფასდება, მაშინ როცა ბრალი მოსამართლის მიერ ქცევის სუბიექტური შეფასებაა ამასთანავე. პროფ. გ. ვაშაკიძის თქმით, ბრალის არსებობა არ არის არაკეთილსინდისიერების აუცილებელი წინაპირობა.<sup>322</sup> ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერება განსაკუთრებით გულისხმიერების ობიექტურ მოთხოვნათა დარღვევისაა სახეზე, მაშინ, როცა ბრალის შეფასებისას, სასურველია, რომ მოსამართლემ ყოველთვის გაითვალისწინოს ქმედების კეთილსინდისიერების ხარისხი.<sup>323</sup> თუმცა გაუგებარია, თუ რისთვის არის საჭირო მოსამართლის მხრიდან ბრალის გარდა, დამატებით, კეთილსინდისიერების ურთულესი კატეგორიის ხარისხზე მსჯელობა. ამიტომ ბუნდოვანია ავტორის ზემოაღნიშნული მითითება კეთილსინდისიერების ხარისხის გათვალისწინების აუცილებლობის თაობაზე. ლიტერატურაში ზოგადად აღიარებულია, რომ მხარის ბრალეულობა არაა წინაპირობა იმისათვის, რომ იგი არაკეთილსინდისიერ მხარედ ჩაითვალოს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მხარის ბრალეულობა შესაძლოა არ იყოს ხელისშემშლელი ფაქტორი, რათა მისი ინტერესები იქნეს დაცული.<sup>324</sup>

დაუშვებელია ასევე არაკეთილსინდისიერებისა და ბრალეულობის კატეგორიების ერთმანეთთან გაიგივება. „არაკეთილსინდისიერებას განსაზღვრული გარემოებების საშუალო დონეზე გათვალისწინების (განჭკვრეტის) ვალდებულების შეუსრულებლობის ყველა შემთხვევაში როდი აქვს ადგილი, არამედ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი ვალდებულია განჭკვრიტოს სხვა პირისათვის ზიანის მიყენება, რადგან პირის სინდისი მძიმდება მხოლოდ ასეთ შემთხვევებში“.<sup>325</sup> კეთილსინდისიერებისა და არაბრალეულობის თანაფარდობის საკითხთან დაკავშირებით კი აღნიშნულია, რომ „... კეთილსინდისიერების განსაზღვრება, არაბრალეულობის განსაზღვრებას ემთხვევა. შესაბამისად, „არაკეთილსინდისიერების“ კატეგორია ... უნდა დაემთხვეს „ბრალეულობის“ კატეგორიას“.<sup>326</sup>

ამრიგად, ზოგიერთი ავტორი ბრალეულობისა და არაკეთილსინდისიერების კატეგორიების როგორც სამართლებრივ (იურიდიულ) ბუნებას, ისე შინაარსსაც ერთმანეთის ტოლფასად მიიჩნევს,

<sup>322</sup> ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10 №1, 2007, 50.

<sup>323</sup> იქვე, 50.

<sup>324</sup> Heinrichs H., Münchener Kommentar Bürgerliches Gesetzbuch, Band2, Schuldrecht Allgemeiner teil.3.Aufl., Verlag C.H. Beck, 1994, §242, Rdnr. 35-36.

<sup>325</sup> Емельянов В. И. Разумность, добросовестность, незлоупотребление гражданскими правами, М. 2002, 106

<sup>326</sup> იქვე, 91-92

რამეთუ ფაქტობრივად არაკეთილსინდისიერებას ბრალის ფორმად მიიჩნევს.

ბრალეულობისა და არაკეთილსინდისიერების კატეგორიათა თანაფარდობის საკითხში იგივე შეცდომას უშვებენ სხვებიც, ე.ი. არაკეთილსინდისიერების კატეგორიას ბრალის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევენ სამოქალაქო სამართალში. აღნიშნულ ავტორთა მოსაზრებით: „სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში არსებული პოზიციის თანახმად, კეთილსინდისიერება განიხილება, როგორც ობიექტური კატეგორია, როგორც საზოგადოებაში ჩამოყალიბებული გაბატონებული იდეალი პატიოსანი ქცევისა, როგორც ქცევაც შეიძლება მოვითხოვოთ საზოგადოების ყოველი წევრისგან და რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს სასამართლო მათი ქცევის შეფასებისას. მაგრამ დღემდე ვერავინ შესძლო ეჩვენებინა, როგორ აღმოვაჩინოთ ეს იდეალი, როგორ ავიცილოთ თავიდან სასამართლოს მიკერძოება ასეთი, კაუჩუკის მსგავსი კრიტერიუმის გამოყენების დროს“.<sup>327</sup> „არაკეთილსინდისიერება წარმოადგენს კეთილსინდისიერების ანტიპოდს. არაკეთილსინდისიერი ის სუბიექტია, რომელმაც მოქმედების შესრულებისას, იცოდა ან შეეძლო სცოდნოდა ამგვარი მოქმედების შესრულებას დაუშვებლად რომ მიიჩნეოდა კანონი“.<sup>328</sup> კეთილსინდისიერების კატეგორია, ობიექტური ხასიათის მქონე კატეგორიაა. ხოლო თუ უარყოფილი იქნება კეთილსინდისიერების კატეგორიის ამგვარი თვისება, მაშინ ამით არსებითად, თავად კეთილსინდისიერების კატეგორიის უარყოფა მოხდება. ზემოაღნიშნულ ავტორთა პოზიციის მიხედვით, კეთილსინდისიერების კატეგორიის შეცვლა ხდება სამოქალაქო სამართლებრივი ბრალის კატეგორიით.<sup>329</sup>

არაკეთილსინდისიერების ნაცვლად ზოგიერთ შემთხვევაში ქართული კანონმდებელი იყენებს ბრალის კატეგორიას. მაგალითად შეიძლება დასახელდეს სსკ-ის 317-ე მუხლი. მაგრამ ასეთ შემთხვევებში ბრალზე აქცენტი არასწორად კეთდება. არსებობენ შემთხვევები, რომლის დროსაც სახეზე არ არის სუბიექტის ბრალი. პირის მიერ ხელშეკრულების დაუდებლობა თავისთავად სამართალდარღვევა არ არის. შესაბამისად, პირის უფლების ისეთი დარღვევის შემთხვევაში, რომელსაც კანონმდებელი სამართალდარღვევად არ მიიჩნევს, ბრალს საერთოდ არ გააჩნია რაიმე მნიშვნელობა. ამიტომ ბრალის ნაცვლად სსკ-ის 317-ე მუხლში საუბარი უნდა იყოს არაკეთილსინდისიერებაზე.

კეთილსინდისიერება პირის არაბრალეულად მიჩნევის ერთ-ერთი საფუძველია. კეთილსინდისიერებისათვის დამახასიათებელია ორი მხარე, ორი ასპექტი. კერძოდ: 1) ერთი მხრივ, სუბიექტმა არ იცის სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე რაიმე ფაქტი; 2) მეორე მხრივ, სუბიექტი არ უნდა არღვევდეს სხვის უფლებებს და კანონს თავისი

<sup>327</sup> *EM B. C. Осуществление гражданских прав и исполнение гражданско-правовых обязанностей, монография Богданова Е. Е. Добросовестность и право на защиту в договорных отношениях, Юнити-Дана: Закон и право, М., 2010, 28.*

<sup>328</sup> *EM B. C. Осуществление гражданских прав и исполнение гражданско-правовых обязанностей, монография Богданова Е. Е. Добросовестность и право на защиту в договорных отношениях, Юнити-Дана: Закон и право, М., 2010, 28.*

<sup>329</sup> *Богданова Е. Е. Добросовестность и право на защиту в договорных отношениях, Юнити-Дана: Закон и право, М., 2010, 28.*



უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების დროს. მაგალითად, სსკ-ის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ის პირი, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შექმნისას მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო.

ამ და მსგავს შემთხვევებში კანონმდებელი კეთილსინდისიერებას განსაზღვრავს იმისდა მიხედვით, იცოდა თუ არ იცოდა პირმა ფაქტები. ასეთ შემთხვევებში უნდა გაირკვეს, შეიძლება თუ არა ის პირი მივიჩნიოთ კეთილსინდისიერ პირად, ვინც თვლის, რომ მოქმედებს მართლზომიერად, თუმცა სინამდვილეში არღვევს სამართლის ნორმებს, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ცდება საკუთარი მოქმედებების მართლზომიერების საკითხის სწორად შეფასებაში. არაკეთილსინდისიერი ქცევა ეს ისეთი ქცევაა, რომელიც ყოველთვის როდი არღვევს სამართლის ნორმებს. საქმე იმაშია, რომ კეთილსინდისიერების კატეგორიას განამტკიცებენ სამართლის ნორმები. ამის გამო კი სუბიექტური ფაქტორი (პირი თვლის, რომ მოქმედებს მართლზომიერად) მეორე პლანზე გადადის.

სუბიექტს შეუძლია სხვადასხვანაირად შეაფასოს საკუთარი ქცევა (მოქმედება), მაგრამ იგი უნდა მოქმედებდეს სამართლის ფარგლებში. თუ პირიქით მივიჩნევთ და სუბიექტურ ფაქტორს მივანიჭებთ მნიშვნელობას, მაშინ გამოვა, რომ არცოდნა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველია. ამგვარი მიდგომა კი ეწინააღმდეგება იურიდიული პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს. ამიტომ მხოლოდ პირის სუბიექტური წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ის მოქმედებს კეთილსინდისიერად, არ არის საკმარისი. აუცილებელია, რომ მისი სუბიექტური წარმოდგენები შეესაბამებოდეს ობიექტურ სინამდვილეს. ამიტომ კეთილსინდისიერების ცნებაში ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გადაკვეთის დროს, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ობიექტურ ფაქტორს.

სხვაგვარი ვითარება ყალიბდება, როცა პირი ცდება სხვისი ქცევის მართლზომიერების საკითხში. ობიექტურად რომ ითქვას, ამ შემთხვევაში პირს არ შეუძლია იცოდეს რიგი ფაქტები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მოქმედებათა მართლზომიერების ან ქცევის კეთილსინდისიერების განსაზღვრისათვის. მაშასადამე, ქცევის კეთილსინდისიერების განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, რის მიმართაც ცდება პირი. თუ თავისი ქცევის მიმართ უშვებს შეცდომას, მაშინ სამართლებრივი შეფასებისათვის პირის სუბიექტურ წარმოდგენას არა აქვს მნიშვნელობა, ხოლო თუ სხვისი ქცევის მიმართ ცდება, მაშინ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა ამ პირს სამართლის მეორე (სხვა) სუბიექტის მოქმედებების არამართლზომიერების შესახებ.

თავისი შინაარსით უფრო ახლოს დგას ბრალის ცნება და არაკეთილსინდისიერების ცნება. მიუხედავად ამისა, ისინიც განსხვავდება ერთმანეთისგან. შევეხოთ სსკ-ის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფორმულირებას. ამ ნორმის თანახმად, „თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის

დადგომა ხელსაყრელი არ არის, პირობა დამდგარად ჩაითვლება”. კანონმდებელი მართებულად მოიქცა, როცა მოცემულ ნორმაში არ გამოიყენა ბრალის ცნება, არ მიუთითა ბრალეულ ქცევაზე. კანონმდებელს 98-ე მუხლში არაკეთილსინდისიერების კატეგორიის ნაცვლად ბრალეული პასუხისმგებლობის კატეგორია რომ გამოეყენებინა, ბრალის გარეშე, მაგრამ არაკეთილსინდისიერად პირის მოქმედების შემთხვევაში, დავიწროვდებოდა იმ სუბიექტების წრე, რომლებიც აგებენ პასუხს, 98-ე მუხლით გათვალისწინებული მოქმედებისათვის, ანდა მოგვიწვედა ზოგადი წესიდან საგამონაკლისო დებულებების დადგენა. მოცემულ შემთხვევაში პრობლემა გადაწყვეტილია არაკეთილსინდისიერებაზე მითითებით. ამდენად, ამით ნორმის მოქმედება სამოქალაქო სამართლის ყველა სუბიექტზე ვრცელდება. ამასთან, რადგან სსკ-ის 98-ე მუხლში საუბარია პირობის დადგომის არაკეთილსინდისიერად დაბრკოლებაზე ან არაკეთილსინდისიერად ხელის შეწყობაზე, კეთილსინდისიერების პრეზუმფციიდან გამომდინარე და მისი გათვალისწინებით აუცილებელია მეორე მხარის არაკეთილსინდისიერების დამტკიცება.

რადგან ბრალი და არაკეთილსინდისიერება სხვადასხვა ცნებებია, კანონმდებლის მიერ სხვადასხვა შემთხვევის მიმართ სხვადასხვა ტერმინის გამოყენება სრულიად საფუძვლიანია (დასაბუთებულია).

აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: არაკეთილსინდისიერების ცნება ბრალის ცნებაზე უფრო ფართოა; ბრალის კატეგორია გამოიყენება მხოლოდ პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში. თავის მხრივ, კეთილსინდისიერების და არაკეთილსინდისიერების კატეგორიები შეიძლება გამოყენებული იქნენ და გამოიყენებინან კანონმდებლის მიერ სამოქალაქო ბრუნვაში სამოქალაქო უფლებების წარმოშობის, განხორციელების და შეწყვეტის დროს და ხშირად, ეს კატეგორიები არ უკავშირდება სუბიექტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას და სუბიექტთა უფლებების დაცვას.

„კეთილსინდისიერება” პასუხისმგებლობისაგან იმ პირის გათავისუფლების საფუძველია, ვის მიმართაც დგას პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი. ამასთან, მართსაწინააღმდეგოდ და არაკეთილსინდისიერად მოქმედ პირს ერთმევა უფლების სამოქალაქო სამართლებრივი წესით დაცვის შესაძლებლობა.

კონკრეტული პირის მიმართ კეთილსინდისიერების პრეზუმფციის არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერული თვალსაზრისით კეთილსინდისიერების კატეგორია პრეზუმფციას წარმოადგენს. სამეცნიერო თვალსაზრისით, კეთილსინდისიერება არ შეიძლება ერთდროულად მივიჩნიოთ სამართლის პრინციპად, სამართლებრივ პრეზუმფციად და უფლების განხორციელების ფარგლებად. სამართლებრივი პრეზუმფცია მტკიცებაა, რომელიც უტყუარად მიიჩნევა, ხანამ არ დამტკიცდება საპირისპირო. პრეზუმფცია აპრიორი შეიძლება გაქარწყლებული იქნეს (სადავო გახდეს). პრინციპი კი არ შეიძლება გაქარწყლებული იქნეს, რადგან პრინციპი ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობისა და სამართლის ნებისმიერი სუბიექტის მიმართ გამოსაყენებელი ძირითადი სახელმძღვანელო დებულებაა. პროფ. ლ. ჭანტურია მართებულად მიუთითებს: „სამოქალაქო სამართალი

კეთილსინდისიერების, ე.ი. კეთილი ნების პრეზუმფციას განამტკიცებს. ეს ნიშნავს იმის ვარაუდს, რომ ურთიერთობის მონაწილეები თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციელებენ”. თუმცა იქვე ავტორი აღნიშნავს, რომ „კეთილსინდისიერება მხარეთა მოვალეობაცაა. სამოქალაქო კოდექსი ამ გარემოებას მრავალ შედეგს უკავშირებს”.<sup>330</sup>

## 1.14 კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების თანაფარდობა

ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში სამართლიანობის კატეგორიის საკითხის თაობაზე ძალზედ მწირი ინფორმაცია მოიპოვება. ძირითადად იმაზე ხდება მითითება, რომ „სამართლიანობის კრიტერიუმებს კანონი არ განსაზღვრავს. ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია სასამართლოზე”.<sup>331</sup> სსკ-ის მე-5 მუხლის მიხედვით სამართლიანობა სამართლის ანალოგიის საფუძველია კეთილსინდისიერებასთან და ზნეობასთან ერთად. ამდენად, „სამოქალაქო კოდექსში სამართლიანობა მიჩნეულია ერთ-ერთ პრინციპულ დირექტურად... “<sup>332</sup> უცხოურ სასამართლო პრაქტიკაში სამართლიანობა მიჩნეულია სამოქალაქო სამართლის პრინციპად.<sup>333</sup> სასამართლო პრაქტიკაში არა მხოლოდ იმაზეა საუბარი, რომ სამართლიანობის პრინციპი წარმოადგენს სამართლის პრინციპს, არამედ მითითებულია, რომ მოცემული პრინციპი ზოგადსამართლებრივი პრინციპია.<sup>334</sup> ქართულ სამართალშიც ასეა, რამეთუ სამოქალაქო კანონმდებლობა აგებულია კონსტიტუციის ძირითად პრინციპებზე.

საქართველოს კონსტიტუციაში (განსაკუთრებით მე-2 თავში) ასახული ნორმები სწორედ სამართლიანობის პრინციპის გამოხატულებაა. კონსტიტუცია შეიცავს მოთითებით ნორმას, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები გამოიყენება როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, ე.ი. მათ რაიმე აქტით გაშუალება არ ესაჭიროებათ. საერთაშორისო სამართლის ნორმები ეფუძნება სწორედ სამართლიანობის პრინციპს. მაგალითად, სამართლიანობის შესახებ ნორმა ასახულია „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ” და „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ” 1966 წლის 16 დეკემბრის პაქტებში და სხვა.

სსკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილში სამართლის ზოგადი (ანუ ძირითადი) პრინციპები და სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნები ერთ რიგში დგანან და გამოიყენებიან თანაბარი

<sup>330</sup> *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი”, თბ., 2011, 86.

<sup>331</sup> *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი”, თბ. 2001, 79

<sup>332</sup> *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 278

<sup>333</sup> რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 23 აპრილის დადგენილება კრებულში: Собрание законодательства РФ, 2007, №6, 828.

<sup>334</sup> Вестник конституционного суда РФ, 2003, №3, 56

ძალის კატეგორიებად სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების დროს.

ზოგიერთ შემთხვევაში, სამართლის ნორმაში კანონმდებელი არ მოიხსენიებს სამართლიანობას, როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებზე გავლენის მომხდენ კრიტერიუმს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი ნორმების არსი (მათში გატარებული აზრი) საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამგვარი ნორმის ამოსავალი სწორედ სამართლიანობის პრინციპია. მაგალითად, სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ამ ნორმაში არ არის დაკონკრეტებული, თუ რასთან მიმართებაში იგულისხმება შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს გადახდა მოვალეს ეკისრება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. შესაბამისად, 420-ე მუხლში საუბარია ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგებთან შეუსაბამო პირგასამტეხლოზე. 420-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია დაადგინოს ბალანსი დამრღვევის მიმართ გამოსაყენებელი პასუხისმგებლობის ზომასა და კონკრეტული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის რეალური ოდენობის შეფასებას შორის. სასამართლომ უნდა შეამოწმოს და დაადგინოს მოთხოვნილი პირგასამტეხლოს და მოვალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგების რეალური თანაფარდობა, რაც სხვა არაფერია, თუ არა სამართლიანობის პრინციპის გამოხატულება.

გარდა ამისა, კონტრაქტის შესრულების დროს, როდესაც დარღვევას ადგილი აქვს როგორც მოსარჩელის, ის მოპასუხის მხრიდან, სწორედ სამართლიანობიდან გამომდინარე უნდა გამოიყენოს სასამართლომ მხარეთა პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრის დროს შერეული ბრალის პრინციპი.

საყურადღებოა სსკ-ის 1-ლი მუხლიც, რომლის თანახმადაც სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დაფუძნებულ, კერძო ხასიათის ქონებრივ, არაქონებრივ და საოჯახო ურთიერთობებს. მოცემულ შემთხვევაში სამართლიანობის პრინციპის აღწერა ხდება უფლებათა განხორციელებისას თანასწორობის პრინციპის მეშვეობით. თანასწორობა საფუძვლად უდევს ხელშეკრულების თავისუფლებასაც (სსკ-ის 319-ე მუხლი) და ა.შ.

თანასწორობაზე, როგორც სამართლიანობის ძირითად კრიტერიუმზე, მიუთითებენ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების“ და „პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ“ 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტები, ასევე სხვა საერთაშორისო აქტები. სამართლიანობაში „ამოსავალია თანასწორობა“.<sup>335</sup>

სამართლიანობის პრინციპის დაცვა პირდაპირ არის დაკავშირებული შესაძლებლობების თანასწორობასთან, რომელიც უნდა

<sup>335</sup> ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 278

უზრუნველყოს სახელმწიფომ. სამართლიანობა მოითხოვს, რომ კანონები სამართლის ყველა სუბიექტის მიმართ თანაბრად გამოიყენებოდეს, მაშასადამე, სამართლიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული თანასწორობასთან და თანასწორუფლებიანობასთან. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი რეგულირების სისტემაში სამართლიანობის პრინციპის ძირითად ნორმატიულ გამოხატულებას წარმოადგენს კონსტიტუციაში, სამოქალაქო კოდექსსა და სხვა დარგობრივ კანონმდებლობაში ასახული თანასწორობის პრინციპი. კონსტიტუციის მიხედვით, მოცემული პრინციპის შინაარსი გულისხმობს კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობას და ასევე იმასაც, რომ ყველა ადამიანს შეუძლია სხვების თანასწორად იქონიოს უფლებები და თავისუფლებები.

სამოქალაქო სამართალში თანასწორობის პრინციპი გამოხატულია სსკ-ის 1-ლ მუხლში, მე-8 მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებში, 319-ე მუხლში, 325-ე მუხლში და სხვა ნორმებში. ამ ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ თანასწორობა არის სამოქალაქო სამართლის მთლიანი სისტემისათვის დამახასიათებელი ძირითადი საწყისი (პრინციპი), საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების საშუალებაც (მეთოდი) და ის კრიტერიუმიც, რომლის დახმარებითაც კერძო სამართალს განასხვავებენ საჯარო სამართლისაგან.

თანასწორობის (სამართლიანობის) პრინციპთან ახლოს დგას ეკვივალენტურობის პრინციპი.<sup>336</sup> თავად ეკვივალენტურობა სამართლიანობის ობიექტურ კრიტერიუმს წარმოადგენს. მაგრამ ეკვივალენტურობა არ წარმოადგენს ყველა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელ თვისებას, თუმცა კი, დამახასიათებელია უმეტესი მათგანისათვის. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ ეკვივალენტურობა სამართლიანობის ზოგადი მახასიათებელია სამოქალაქო სამართალში. ეკვივალენტურობის გამოყენება აუცილებელია სასყიდლიანი გარიგებების, დელიქტური ვალდებულებების მიმართ და ა.შ.

სამართლიანობის მიზანი შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უფლების დაცვა განხორციელდება თანაზომიერებისა და პროპორციულობის საფუძველზე. ვერ ვისაუბრებთ სამართლიანობაზე, თუ სამართლის სუბიექტებს თანასწორი შესაძლებლობები არ ექნებათ, ხოლო უფლების დაცვის დროს არ მოხდება თანაზომიერებისა და პროპორციულობის პრინციპების გამოყენება.

„სამართლიანობა სამართლის აუცილებელი ნიშან-თვისებაა. სამართალი საზოგადოებრივ ცნობიერებაში გაიგივებულია

<sup>336</sup> ეკვივალენტურობაზე, როგორც სახელშეკრულებო სამართლიანობის გამოვლინებაზე, იხილეთ: ზოდუ ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 280-281. აქ აღნიშნულია, რომ ეკვივალენტურობა არ ნიშნავს შესრულებათა ღირებულებით იდენტურობას. ამდენად, ეკვივალენტურობა უნდა განვასხვავოთ ტოლფასოვნებისაგან.

სამართლიანობასთან. ამ მოტივით ეძახიან ინგლისში მოსამართლეებს „სამართლიანობის მოსამართლეებს“.<sup>337</sup>

ანგლო-ამერიკულ სამართალში არსებობს ე.წ. სამართლიანობის სამართალი (*in equity*). *Promissory Estoppel*-ის ფორმით არსებული სამართლიანობის დოქტრინა ხელშეკრულების დადების მსურველ მხარეებს აკისრებს დაწყებული მოლაპარაკებების კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას (*implied positive duty to negotiate in good faith*) და ასევე ვალდებულებას, ყველაფერი იღონონ მოლაპარაკებების წარმატებით დასასრულებლად, ან კეთილსინდისიერად თქვან უარი მოლაპარაკებებზე. შესაბამისად, მოცემულ ურთიერთობებში სამართლიანობა განიხილება კეთილსინდისიერების პრიზმაში.<sup>338</sup>

ამგვარი მიდგომა სრულიად გამართლებულია, თანაც არა მხოლოდ სამართლის ანგლო-ამერიკულ<sup>339</sup> სისტემაში, არამედ კონტინენტურშიც. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, იბადება კითხვა, არის თუ არა სამართლიანობის პრინციპის ნორმატიული გამოხატულება სამართლებრივი რეგულირების სისტემაში კეთილსინდისიერების პრინციპიც. სამართლიანობა არსებითად განსხვავდება კეთილსინდისიერების კატეგორიისაგან. არსებითი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ სამართლიანობის კატეგორიის საფუძველზე არ ხდება ყოველი (თითოეული) ინდივიდის ქცევის შეფასება, როგორც ეს ხდება კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე. სამართლიანობით ხდება იმის შეფასება, თუ რა თანაფარდობა არსებობს სხვადასხვა სუბიექტის ქცევას შორის. სამართლიანობით ხდება ქცევასა და კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის შეფასება, კეთილსინდისიერების პრინციპსა და სამართალს შორის შესაბამისობის შეფასება და ა.შ. სამართლიანობის პრინციპზე

<sup>337</sup> *Brody B.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 278

<sup>338</sup> იხ. *Осакве К.* Свобода договора в англо-американском праве: понятие, сущность и ограничения. Журнал российского права, 2006, №7, 84,86.

<sup>339</sup> დაპირებულის (მიცემული დაპირების) საფუძველზე შესაგებლის უფლების მოსპობის წესის (*promissory estoppel*) მიზანია დაპირებაზე უარის თქმის დაუშვებლობა იმ შემთხვევებში, როცა პირი, რომელსაც დაპირდნენ, მოქმედებდა დაპირებულის იმედით (ეგონა, გონივრული მოლოდინი ჰქონდა, რომ დაპირება შესრულდებოდა) და უსამართლო იქნებოდა დაპირების მიმცემისათვის (დამპირებლისათვის) მიგვეცა დაპირებაზე უარის თქმის უფლება. თუმცა, როგორც მიუთითებენ, ინგლისის სამართალში მოცემული წესი შეზღუდულად გამოიყენება. იხ. *Cohen N.*, Pre-contractual Duties: Two Freedoms and the Contract to Negotiate. In: *Beatson J., Friedmann D.*, Good Faith and Fault in Contract Law. Oxford 1997, 29 პრინციპს *promissory estoppel* ადარებენ გერმანულ სამართალში არსებულ კეთილსინდისიერების პრინციპს. განმარტებულია, რომ კეთილსინდისიერება გამოიყენება ყველაზე უფრო რთული ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ყველა ურთიერთობაში, რათა თავიდან აცილებული იქნეს მხარისათვის ნეგატიური შედეგები და შესაბამისად, უფრო ფართე კატეგორიაა, ვიდრე *promissory estoppel*, რომელიც ასრულებს დამხმარე როლს უფლება-მოვალეობათა განხორციელებისათვის და ის გვევლინება სამართლებრივ საშუალებად ცალკეულ ურთიერთობაში, რათა მხარე აიძულოს განხორციელოს შესრულება დაპირებულის შესაბამისად მაშინაც, როცა მას აღარ სურს შესრულება. ამდენად, კეთილსინდისიერება ურთიერთობათა მოწესრიგების ძირითადი საშუალებაა, ხოლო *promissory estoppel* –დამხმარე. იხ. *Markesinis B. Unberath H. Jonston A.* The German law of contract, A Comparative treatise, Second edition, Entirely revised and updated, HART Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 123

მსჯელობისას აღინიშნება, რომ სამართალი ითხოვს შესაბამისობას მოქმედებასა და მის სოციალურ შედეგებს შორის.<sup>340</sup>

სამართლიანობის განსაზღვრის კრიტერიუმებია უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, მართლმსაჯულების მეშვეობით უფლებებში ეფექტიანად აღდგენა, უფლებების განხორციელების გარანტიების კანონით დადგენა, სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაურღვეველობა.

სამართლიანობის ზოგადსამართლებრივი პრინციპიდან გამომდინარე საკუთრების უფლებისა და სხვა სანივთო უფლებების, აგრეთვე ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების დაცვა უნდა განხორციელდეს თანაზომიერებისა და პროპორციულობის საფუძველზე ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილის (მესაკუთრების, ხელშეკრულების მხარეების, მესამე პირების) უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ბალანსი.

კეთილსინდისიერების პრინციპი ერთი მხრივ, ქცევის კონკრეტული მასშტაბის დადგენის საშუალებას იძლევა და მეორე მხრივ, გვაძლევს სამართლებრივი ნორმების კორექტირების შესაძლებლობას (იმ შემთხვევაში, როცა ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა), მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, მათი უფლებების დაურღვეველად და ამით სამართლის სუბიექტების ინტერესებს აბალანსებს. შესაბამისად, კეთილსინდისიერება საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულატორის ფუნქციას ასრულებს. ხოლო სამართლიანობა ადამიანის ქცევის შეფასების უნივერსალური საშუალებაა. სამართლიანობა უზრუნველყოფს იმას, რომ სხვადასხვა სუბიექტის უფლებები და მოვალეობები თანასწორობის საწყისზე იყოს აგებული. კეთილსინდისიერება არის ის კრიტერიუმი, რომლის მეშვეობითაც ხდება სხვადასხვა სუბიექტს შორის არსებული კონკრეტული ურთიერთობის შეფასება. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ, კეთილსინდისიერება წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლიანობას.

### 1.15 თანაზომიერების (პროპორციულობის) ვალდებულება სახელშეკრულებო ურთიერთობებში

კეთილსინდისიერების პრინციპი გულისხმობს კონტრაქტისადმი თანაზომიერი (პროპორციული) მოთხოვნების წაყენებას. ზოგადად, თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპი ნიშნავს, რომ კანონის მიზნის მისაღწევად გამოყენებული ღონისძიება უნდა იყოს დასაშვები, აუცილებელი და პროპორციული.<sup>341</sup> დაზარალებულ მხარეს არ უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამდიდრდეს ხელშეკრულების დამრღვევი მხარის ხარჯზე.<sup>342</sup> დაზარალებული მხარის უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებები უნდა იყოს ხელშეკრულების

<sup>340</sup> ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 2009, 209

<sup>341</sup> ციპელიუხი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 ვად. გამოცემა, ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006, 17

<sup>342</sup> Adams J., Brownsword R., The ideologies of Contract Law.7 Legal Studies 205, 1987, 206-213.

დარღვევის შედეგების პროპორციული.<sup>343</sup> ამდენად, ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ რამდენად სერიოზულია ხელშეკრულების დარღვევის შედეგები.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მრავლად არის მაგალითები, როცა დაზარალებული მხარე მოითხოვს მოპასუხისათვის შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დაკისრებას, მაშინ როცა ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით მიყენებული ზიანი მცირეა (დიდი არ არის). ეს არის დაზარალებული მხარის აშკარად არაკეთილსინდისიერი მოქმედება და ასეთ შემთხვევებში სასამართლოები სამართლიანად იქცევიან, როცა ამცირებენ პირგასამტეხლოს ოდენობას სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე. ამასთან, სასამართლო ამცირებს პირგასამტეხლოს ოდენობას თავისი ინიციატივით ისე, რომ დაინტერესებული მხარის (მოპასუხის) მიერ შეიძლება არც იყოს დაყენებული პირგასამტეხლოს ოდენობის შეცვლის საკითხი (მოთხოვნა). ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პირგასამტეხლოს შემცირება შესაძლოა ორი გზით მოხდეს: პირველი, შემცირდეს პირგასამტეხლოს პროცენტული ოდენობა და მეორე, შემცირდეს პირგასამტეხლო იმგვარად, რომ მოვალეს დაეკისროს იგი ერთჯერადად გადასახდელი მყარი თანხის სახით.

№2-652-10 საქმეზე რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა: „სსკ-ის 418-ე მუხლი მხარეებს ანიჭებს თავისუფლებას პირგასამტეხლოს განსაზღვრისას, მაგრამ აღნიშნული არ უნდა იქნეს განხილული, როგორც სრული თავისუფალი ნება. ამ დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის შესაძლო ზიანი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ვალდებულების შეუსრულებლობას ან არაჯეროვან შესრულებას და არ უნდა დაირღვეს სამოქალაქო ბრუნვის სამართლიანობა“. მოცემულ საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ „ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.3 პროცენტის ოდენობით, შეუსაბამოდ მაღალია მოპასუხის მიერ გადასახდელი ძირითადი თანხის და მისი დაგვიანებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობის გათვალისწინებით, რის გამოც ის უნდა შემცირდეს 1800 დოლარამდე. განსახილველ შემთხვევაში სესხის ძირითადი თანხა, რაც ვერ იქნა დაბრუნებული მოპასუხის მიერ... შეადგენს 4000 აშშ დოლარს, აღნიშნულს ასევე ორი თვის განმავლობაში ერიცხებოდა პროცენტი 480 დოლარი და მითითებული თანხის დაუბრუნებლობის გამო, პირგასამტეხლოს სახით ერთი წლის განმავლობაში ყოველდღიურად 12 აშშ დოლარის მოთხოვნა სასამართლოს აზრით სრულიად შეუსაბამოა და მძიმე ტვირთია მოპასუხისათვის და არ გამომდინარეობს სამოქალაქო ბრუნვის სამართლიანობიდან“.

საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების შესახებ სსკ-ის 420-ე მუხლით დადგენილი ნორმა იცავს მოვალეს კრედიტორის არაკეთილსინდისიერი

<sup>343</sup> Adams J., Brownsword R., დასახ. ნაშრომი. მოცემულ თვალსაზრისს ეთანხმება და სახელშეკრულებო სამართალში პროპორციულობის პრინციპს დაწვრილებით იკვლევს ბორტოლუცი. იხ. Bortoluzzi A., The principle of proportionality. A comparative approach from the Italian perspective. [http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1084059](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1084059)



მოქმედებისაგან. ამ ნორმაში მითითებულ სიტყვებში: „საქმის გარემოებათა გათვალისწინებით“, სხვა ყველაფერთან ერთად, პირველ ყოვლისა, იგულისხმება, რომ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რამდენად შეესაბამება მოთხოვნილი პირგასამტეხლო ვალდებულების დარღვევის შედეგებს. საქმე იმაშია, რომ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, თავისი არსით, ვადაში თანხის (კრედიტის, სესხის) დაუბრუნებლობისათვის მსესხებლის პასუხისმგებლობის ზომას წარმოადგენს. ამიტომ სესხისა თუ საკრედიტო ხელშეკრულებებში უსაფუძვლოდ (დაუსაბუთებლად) მაღალი პირგასამტეხლოს დადგენა, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს, მითუმეტეს, ამგვარ ურთიერთობებში კრედიტორისათვის მიყენებული ზიანი (დანაკლისი) სრულად იფარება ხოლმე პროცენტებითაც. ამიტომ, კრედიტორის მიერ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლებას უნდა დაუპირისპირდეს კეთილსინდისიერების პრინციპი. პირგასამტეხლოს ოდენობის სასამართლო წესით კონტროლთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმულია მართებული მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იშვიათ შემთხვევასთან, როცა კანონმდებელი მოსამართლეს ხელშეკრულების თავისუფლებაში ჩარევისა და მისი შინაარსის შეცვლის უფლებამოსილებას ანიჭებს.<sup>344</sup>

---

<sup>344</sup> *Brox/Walker*, Allgemeines Schuldrecht, 35. Aufl. 2011, §11, Rn.16, მითითებულია ნაშრომიდან: ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2013, 243

## თავი II. კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში (*culpa in contrahendo*)

### 2.1 *culpa in contrahendo* -ს ინსტიტუტი საზღვარგარეთის ქვეყნებში

წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ანუ *culpa in contrahendo*-ს თეორიის ფუძემდებლად ითვლება რუდოლფ იერინგი, რომელმაც 1861 წელს შეიმუშავა ამ თეორიის საფუძვლები. იერინგი აღნიშნავდა, რომ „სახელშეკრულებო მზრუნველობის მოთხოვნა ვრცელდება როგორც მხარეთა შორის ჩამოყალიბებულ, ისე ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე; სახელშეკრულებო მზრუნველობის მოთხოვნის დარღვევა ზიანის ანაზღაურების შესახებ სახელშეკრულებო სარჩელის საფუძველია.“<sup>345</sup>

იმდენად, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გერმანული სამოქალაქო კოდექსის კონცეფციას ეფუძნება, მიზანშეწონილია წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში წარმოშობილი ვალდებულებების შესახებ გერმანული მიდგომის განხილვა. ციმერმანსა და ვიტტეკერს მოჰყავთ კონკრეტული მაგალითი:<sup>346</sup> საბუღალტრო ფირმა აწარმოებდა ხანგრძლივ მოლაპარაკებას *Hal and Sons*-თან ოფისის დაქირავების მიზნით. ამ მოლაპარაკებების წარმოების პერიოდში საბუღალტრო ფირმამ ითხოვა სხვადასხვა სახის სამუშაოთა შესრულება, მათ შორის, კომპიუტერებისათვის კაბელების, ქსელებისა და საკომუნიკაციო სისტემების ინსტალაცია. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღე დაინიშნა მხარეთა მიერ. ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე საბუღალტრო ფირმამ გაცილებით დაბალ ფასად მონახა დასაქირავებელი ფართი და უარი განუცხადა *Hal and Sons*-ს ურთიერთობის გაგარძელებაზე. ისმის კითხვა, რა მოთხოვნა შეიძლება ჰქონდეს *Hal and Sons*-ს ფირმის მიმართ? *Hal and Sons*-ს არ აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების დადება *Pactum de contrahendo*-ს (შეთანხმება ხელშეკრულების დადების თაობაზე) საფუძველზე. *Pactum de contrahendo* გამოიყენება მაშინ, როდესაც მხარეების მიერ გამოვლენილი ნება ბოჭავს მათ და სადაც ისინი არიან *ad idem* მდგომარეობაში ანუ შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე. საბუღალტრო ფირმის თხოვნით *Hal and Sons*-მა აწარმოვა ფართში შესაბამისი სამუშაოები. ამ სამუშაოთა დასრულების შემდგომ ხელშეკრულება უნდა დადებულყო. ასეთ დროს ფირმა ვალდებულია შეთანხმებული სამუშაოს ხარჯები აანაზღაუროს, ანდა ამ ტიპის სამუშაოსათვის ჩვეულებრივად ასანაზღაურებელი ხარჯები გაიღოს. თუ ფირმამ სთხოვა *Hal and Sons*-ს აღნიშნულ სამუშაოთა განხორციელება წინასწარ, მომავალში ხელშეკრულების დასადავად, მოთხოვნა დაეფუძნება *culpa in*

<sup>345</sup> Гнищевич К. В. Доктрина culpa in contrahendo в немецкой цивилистике второй половины XIX века. Закон: Январь 2007, 130

<sup>346</sup> Zimmermann R. Whittaker S. Good faith in European contract law, Cambridge university press, 2008, 236-257

*contrahendo*-ს დებულებებს.<sup>347</sup> წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნა მიზნად არ ისახავს ხელშეკრულების დადებას.<sup>348</sup> ის არის სამართლებრივი საშუალება, რომლითაც უნდა მოხდეს ხარჯების ანაზღაურება ნდობაზე დაფუძნებულ მხარეთა ურთიერთობებში. მხარეთა შორის სერიოზული სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დაწყებამ ჩამოაყალიბა წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელმაც წარმოშვა სპეციალური ვალდებულებები (წინასახელშეკრულებო ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობები). ფირმის უარმა იჯარის ხელშეკრულების დადებაზე, დაარღვია წინასახელშეკრულებო ვალდებულებები. ხელშეკრულების თავისუფლება შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ კონტრაქტს უარი თქვას სახელშეკრულებო მოლაპარაკებებზე მანამ, სანამ ხელშეკრულება დაიდება. თუ მოლაპარაკებათა წარმოებამ მხარეს გაუჩინა მოლოდინი, რომ ხელშეკრულება, როგორც მოლაპარაკების შედეგი, დადებულია და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება უნდა დაიწყოს მხარემ, ხოლო მეორე მხარე უარს ამბობს ხელშეკრულების დადებაზე სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შეიძლება მოთხოვნილი იქნეს ხარჯები. ეს გამომდინარეობს იმ აკრძალვიდან, რასაც ეწოდება *Venire contra factum proprium*, რომელიც გამომდინარეობს გსკ-ს 242-ე მუხლის არსიდან, ანუ კეთილსინდისიერების პრინციპიდან. ფირმამ შექმნა იმგვარი მოლოდინი ქსელების მონტაჟის მოთხოვნით, რომ დაპირებული ხელშეკრულების დადებას მოელოდა მისი კონტრაქტი. უკეთესი შეთავაზების არსებობა (მოცემულ შემთხვევაში სხვა ფართის მონახვა უფრო დაბალ ფასად), რომელსაც უპირატესობა მიანიჭა ფირმამ, ზოგადად, არ უნდა იქნეს წახალისებული და არ უნდა იქნეს მიჩნეული ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძვლად. იქ, სადაც მოლაპარაკებები ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა და იქ, სადაც ერთი მხარე მეორეს სთხოვდა წინასახელშეკრულებო ხარჯების გაღებას, უკეთესი შეთავაზების არსებობისას მოლაპარაკებების შეწყვეტა არ შეიძლება იქნეს გამართლებული. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში ვალდებულება დაირღვა და ზიანი შეიძლება მოთხოვნილ იქნეს. ფირმა ივარაუდება ბრალეულად. ბრალი უკავშირდება მოლაპარაკებების დარღვევას და არა გსკ-ს 122-ე მუხლის ანალოგიით გამოყენებას, რომელიც მიუთითებს 118-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ნების გამოვლენა, რომელიც შესრულებულია არასერიოზულად იმ ვარაუდით, რომ სერიოზულობის არარსებობა გამოცნობილი იქნებოდა, ბათილია. 122-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნების გამოვლენმა პირმა ასეთ შემთხვევაში უნდა აუნაზღაუროს პირს ზიანი, რომელიც მან განიცადა ნების გამოვლენის ნამდვილობისადმი ნდობის შედეგად.<sup>349</sup> გერმანული სამოქალაქო სამართლით, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე შესაძლოა ადგილი

<sup>347</sup> Zimmermann R. Whittaker S. Good faith in European contract law, Cambridge university press, 2008, 236-257

<sup>348</sup> იქვე Zimmermann R. Whittaker S. Good faith in European contract law, Cambridge university press, 2008, 236-257

<sup>349</sup> Zimmermann R. Whittaker S. Good faith in European contract law, Cambridge university press, 2008, 237

ჰქონდეს შემდეგი სახის ბრალეულ ქმედებას: კლიენტის მიმართ არასაკმარისი მზრუნველობის გამოჩენა, უსაფუძვლო უარი მოლაპარაკების გაგრძელებაზე, არაკეთილსინდისიერი ზემოქმედება პარტნიორზე და სხვა.<sup>350</sup>

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის პროექტის განხილვის დროს კეთილსინდისიერება მიიჩნეოდა სახელშეკრულებო სამართლის ფუნდამენტურ კატეგორიად. გათვალისწინებული იყო, რომ ხელშეკრულება არა მარტო უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, არამედ უნდა დაიდოს კიდევ მოცემული პრინციპის შესაბამისად, მაგრამ საკოდიფიკაციო სამუშაოებში მონაწილე წამყვანმა იურისტმა პორტალისმა ზედმეტად მიიჩნია შემოღებულიყო შეთანხმების (ხელშეკრულების) კეთილსინდისიერად დადების თაობაზე წესი.<sup>351</sup> მისი აზრით, კოდექსის სხვა დებულებებმა უკვე ასახეს ეს პრინციპი. თუმცა პორტალისი არ აზუსტებდა, სამოქალაქო კოდექსის რომელ დებულებებში იყო ასახული ხელშეკრულების კეთილსინდისიერად დადების მოთხოვნა. საბოლოოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში დღემდე მოქმედებს წესი, რომლის თანახმადაც „შეთანხმება კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს“ (1134-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუმცა ფრანგული სასამართლო პრაქტიკა ითვალისწინებს, რომ იმ პირს, რომელიც შეწყვეტს მოლაპარაკებას ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით იმგვარად, რომ აღნიშნული წინააღმდეგობაში მოვა წინასახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე კეთილსინდისიერების პრინციპთან, ეკისრება პასუხისმგებლობა.<sup>352</sup>

ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ გერმანულ სამართალში, ისევე როგორც ფრანგულ სამართალში, კეთილსინდისიერების პრინციპს მნიშვნელობა აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობათა დადგენის მომენტიდან დაწყებული, ამ ურთიერთობათა შეწყვეტამდე. ე.ი. კეთილსინდისიერების პრინციპი დაცული უნდა იქნეს მოლაპარაკებების წარმოების დროს, ხელშეკრულების დადებისა და შესრულების დროს. ეს ნიშნავს, რომ მოტყუებით, იძულებით დადებული ხელშეკრულებები ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს, რაც იწვევს ხელშეკრულებათა ბათილად ცნობას. გარდა ამისა, სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების წარმოების სტადიაზე ვალდებულებათა დარღვევისათვის, გათვალისწინებულია წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა (*culpa in contrahendo*).

ფრანგმა მეცნიერმა სალეილმა 1907 წელს ჩამოაყალიბა თეზისი, რომ მას შემდეგ, რაც მხარეები დაიწყებენ მოლაპარაკებებს, მათი ქცევა უნდა იყოს კეთილსინდისიერი და არცერთ მხარეს არ აქვს უფლება

<sup>350</sup> Жалинский А., Рёрхт А., Введение в немецкое право, „Спарк“, Москва, 2001, 355

<sup>351</sup> Beale H., Cases, materials and text on contract law, Oxford, 2002, 239

<sup>352</sup> იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 38

საკმარისი საფუძვლის გარეშე შეწყვიტოს მოლაპარაკებები და ამასთან, არ აანაზღაუროს ზიანი.<sup>353</sup>

გერმანული მიდგომის თანახმად „იმ შემთხვევაში, როცა მხარე კეთილსინდისიერად მიიჩნევდა, რომ ხელშეკრულება მალე დაიდებოდა ანუ მიმდინარეობდა ხანგრძლივი მოლაპარაკებები, რომელთა შეწყვეტის შედეგად მხარეს მიაღება ზიანი, მეორე მხარემ უნდა აანაზღაუროს ზიანი.“<sup>354</sup>

გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, ფრანგულ სამართალში ჩამოყალიბდა მიდგომა, რომლის თანახმადაც მოლაპარაკებების მიმდინარეობის (წარმოების) სტადია არ წარმოადგენს სახელშეკრულებო სტადიას და არ არსებობს არავითარი პასუხისმგებლობა ხელშეკრულების გარეშე. იმ შემთხვევაში, როცა მხარეს არ გააჩნდა ხელშეკრულების დადების განზრახვა, ხოლო მოლაპარაკებების პერიოდში მხარეს მიაღება ზიანი, მაშინ მისი მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლს.<sup>355</sup> ე.ი. მოცემულ შემთხვევაში საუბარია უკვე დელიქტურ პასუხისმგებლობაზე. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, არაკეთილსინდისიერი ქცევის შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი.

ზემოთ მითითებულ ყველა მაგალითში თითოეულ მხარეს აკისრია დაწესებული წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების პატიოსნად და კეთილსინდისიერად წარმოების პოზიტიური ვალდებულება. ამასთან, მოქმედებს კეთილსინდისიერების პრეზუმფცია. ითვლება, რომ მხარე, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას და შემდგომ შეწყვიტა მოლაპარაკება, ყოველთვის კეთილსინდისიერად აწარმოებდა მოლაპარაკებას.

## 2.2 *culpa in contrahendo*-ს ინსტიტუტი ქართულ სამართალში

„სამოქალაქო სამართალი იცნობს წინარესახელშეკრულებო ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ცნებას“.<sup>356</sup> წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა ხელშეკრულების მომზადების პერიოდში კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულების დარღვევისათვის კონტრაჰენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მოლაპარაკებების წარმოებისას კეთილსინდისიერების ვალდებულებას და შესაბამისად,

<sup>353</sup> Farnsworth, E.A., Precontractual liability and Preliminary Agreements: Fair Dealing and Failed Negotiations. Columbia Law Review. Vol. 87., 1987, 217, 240.

<sup>354</sup> Kessler F., Fine E., Culpa in contrahendo. Bargaining in Good Faith, and Freedom of Contract: A Comparative Study. Harvard Law Review. Vol. 77 №3. 1964, 404

<sup>355</sup> Mazeaud H., Responsabilité délictuelle et responsabilité contractuelle. Revue trimestrielle de droit civil, 1929, 551, 585.

<sup>356</sup> *ქობაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 92

საკანონმდებლო დონეზე იცავს მხარეთა უფლებებსა და ინტერესებს ხელშეკრულების დადების (მომზადების) დროს. სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებით ვალდებულია შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას. 316-ე მუხლით გათვალისწინებულ მოვალეობებში, კონკრეტულად, უნდა ვიგულისხმოთ 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობები. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა 316-ე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული ვალდებულებებით წარმოიშობა: 1. ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების შედეგად; 2. ხელშეკრულების დადების გამო წამოწყებული მოსამზადებელი მოქმედებების შესრულების შედეგად, რომელთა შესრულების დროსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაძლო დადების იმედით, სამართლით დაცულ თავის უფლებებზე და სხვა ინტერესებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას აძლევს მეორე მხარეს ან თავის უფლებებსა და ინტერესებს ანდობს ამ მხარეს ან ვალდებულების წარმოიშობა 3. ეფუძნება მხარეთა შორის მანამდე (ხელშეკრულების დადებამდე) არსებულ საქმიან კავშირს.

როდესაც საუბარია წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედებაზე, ამით საუბარია ე.წ. *culpa in contrahendo*-ს ინსტიტუტზე. *culpa in contrahendo*-ს დოქტრინა არა მარტო სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა ბრალეული ჩაშლის შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ, არამედ ეს პრინციპი მოიცავს ასევე მეორე მხარისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის სრულად გაცემისა და ხელშეკრულების შემდგომ ვალდებულებას.<sup>357</sup> ამიტომ, წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის სამართლებრივი შედეგი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება კონტრაჰენტისათვის. თუმცა, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ხელშეკრულების დაუდებლობის შემთხვევაში არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მიუღებელი შემოსავალი, როგორც პასუხისმგებლობა ვალდებულების ბრალეული დარღვევისათვის. ამასთან, შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რადგან, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მიცემამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ მხარეებმა ერთობლივად იმოქმედონ, ან ინფორმაცია მისცენ ერთმანეთს, რომლის გამჟღავნებამაც შესაძლოა ხელყოს რომელიმე მხარის ინტერესი. *culpa in contrahendo*-ს ინსტიტუტი სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებულ ინსტიტუტთა კატეგორიას მიეკუთვნება.<sup>358</sup> იგი ითვალისწინებს, რომ ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების დადების პროცედურასთან დაკავშირებით.<sup>359</sup> ასეთ შემთხვევაში მხარეს აქვს ნდობა, რომ ხელშეკრულების დადება

<sup>357</sup> ვაშაიძე ვ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ე. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10 №1, 2007, 54

<sup>358</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2011, 75

<sup>359</sup> ვაშაიძე ვ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010, 81-93

მართლაც განხორციელდება. ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსისათვის *culpa in contrahendo*-ს ინსტიტუტი უცხოა.<sup>360</sup>

ქართული სამართლიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი ქცევის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დასახელდეს მოლაპარაკებების უსაფუძვლოდ შეწყვეტა. ანუ საუბარია საპატიო მიზეზის გარეშე წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების შეწყვეტაზე. ამ შემთხვევაში მეორე მხარეს, რომელსაც მიაჩნდა (ეგონა), რომ ხელშეკრულება დაიდებოდა, უნდა აუნაზღაურდეს ზიანი.

ქართული კანონმდებლობის და ნაშრომში მოხმობილი სასამართლო პრაქტიკის (მათ შორის უცხოური პრაქტიკის, რომელიც გამოსადეგია ქართული სასამართლო პრაქტიკისთვისაც) ანალიზი ცხადყოფს, რომ პირის ქცევა ჩაითვლება არაკეთილსინდისიერ ქცევად წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაციის გახმაურების შემთხვევაში; ხელშეკრულების დადების განზრახვის გარეშე წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების გაგრძელების შემთხვევაში (ანუ როცა სერიოზული განზრახვა არ ჰქონდა მხარეს, დადებულყო ხელშეკრულება); სახელშეკრულებო ურთიერთობებში (მათ შორის წინასახელშეკრულებო სტადიაზე) არაკეთილსინდისიერად უნდა ჩაითვალოს მხარის ქცევა, როდესაც მხარე მეორე მხარეს სთავაზობს ხელშეკრულების აშკარად დაუშვებელ პირობებს, ასევე იმ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა (ან გამჟღავნებაზე უარის თქმა), რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მეორე მხარისათვის და ეხება ხელშეკრულების დადებას (იმ პირობით, რომ მხარეს არ შეეძლო თავად მიეღო ამგვარი ინფორმაცია და მეორე მხარემ, რომლისთვისაც ცნობილი იყო (იცოდა) ეს ინფორმაცია, არ გაუმჟღავნა, არ შეატყობინა, არ აცნობა იგი კონტრაჰენტს).

არაკეთილსინდისიერად მიიჩნევა ქცევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც პარალელური მოლაპარაკებები მიმდინარეობს პოტენციურ კონტრაჰენტებთან. პარალელური მოლაპარაკებები ხშირად გამოიყენება საწყის სტადიაზე იმისათვის, რომ პირმა შეარჩიოს შესაძლო კონტრაჰენტებს შორის მისთვის უფრო მისაღები კონტრაჰენტი და მოითხოვოს (წამოაყენოს) უფრო მეტად ხელსაყრელი, სარფიანი პირობები. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც მოლაპარაკებები უკვე არსებითად დასასრულს უახლოვდება და მხარეთა ხელშეკრულებას (შეთანხმებას) ხელმოწერადა აკლია, მხარე დარწმუნებული უნდა იყოს მოლაპარაკების დადებით შედეგში.

წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს სსკ-ის 330-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისას. „იმ შემთხვევაში, როცა ოფერენტი ბრალეულად აჭიანურებს აქცეპტის მიღებას, მაღავეს ან სხვაგვარად არ აძლევს მას მსვლელობას და ამის შედეგად აქცეპტს ზიანი ადგება, ოფერენტი ვალდებულია აქცეპტანტს აუნაზღაუროს ამ მოქმედებით მიყენებული

<sup>360</sup> ჰანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2011, 75

ზიანი. ეს გამომდინარეობს 317-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან<sup>361</sup> მაგრამ თუ ოფერენტი დროულად მიიღებს აქცეპტს და შემდეგ არნ შეასრულებს ხელშეკრულებას, მას აქცეპტანტის მიმართ ვალდებულება წარმოეშობა არა 317-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, არამედ 316-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, რადგან ოფერტზე აქცეპტის მიღებით მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება და წარმოიშვა ვალდებულება. ასეთი ვალდებულება კი უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად.

თანამშრომლობის მოთხოვნის უგულვებელყოფამ შესაძლოა ასევე გამოიწვიოს წინასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა.

როგორც ცნობილია, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს მხარეები თვითონ კისრულობენ, ხოლო თუ აღმოჩნდა, რომ თითქმის გამზადებული ხელშეკრულება არ დაიდო მეორე მხარის ბრალით, ბრალეულ მხარეს ქართული სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაეკისრება, რაც გულისხმობს მოლაპარაკების მონაწილის მიერ მეორე მონაწილისაგან ხელშეკრულების დასადავად გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამდენად, სსკ-ის 317-ე მუხლის მე-3 ნაწილი ხარჯების ანაზღაურების მოვალეობას აკისრებს სახელშეკრულებო მოლაპარაკების არაკეთილსინდისიერ მონაწილეს.<sup>362</sup> თუმცა, ეს ნორმა პასუხისმგებლობის საფუძველად ბრალის არსებობას მიიჩნევს და მასში არაკეთილსინდისიერება ნახსენები არ არის. მართებულია პოზიცია, რომ ამ შემთხვევაში „ბრალეული მოქმედება“ „არაკეთილსინდისიერი მოქმედების“ ცნების ტოლფასია,<sup>363</sup> თუმცა ასეთი ჩანაწერი კანონში გაუმართლებელია. როგორც ქართულ ლიტერატურაშია აღნიშნული, ბრალი უეჭველად გულისხმობს მართლწინააღმდეგობის არსებობას.<sup>364</sup> სამოქალაქო კოდექსის არცერთი ნორმით არ ევალება სუბიექტს ხელშეკრულების დადება, კონტრაპირების იძულების საგამონაკლისო შემთხვევის გარდა. ამდენად, ხელშეკრულების დაუდებლობა ვერ დაკვალიფიცირდება სამართლის ნორმის დარღვევად, ე.ი. მართლწინააღმდეგობად. ამიტომ, ბრალის კატეგორიაზე დაყრდნობით საკითხის გადაწყვეტამ შესაძლოა ჩიხში შეიყვანოს სასამართლო და განაპირობოს კრედიტორის მიერ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის განუხორციელებლობა, რამეთუ ბრალის დამტკიცება უკავშირდება მართლწინააღმდეგობის დადგენას, სამართალდარღვევას, რასაც ასეთ დროს ადგილი არ აქვს, ხოლო კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის დადგენა უფრო იოლი იქნება. ამასთან, საყურადღებოა, რომ

<sup>361</sup> ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი, 2001, 133.

<sup>362</sup> ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გამომც., „სამართალი“, თბ., 2001, 51.

<sup>363</sup> დაწვრილებით სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 318-ე მუხლის და მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის ერთობლიობაში გამოყენების შედეგად ამ მოსაზრების დასაბუთება, რომელიც გაზიარებული უნდა იქნეს, იხილეთ: *ოსკელიანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 38-40

<sup>364</sup> *ხოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გამომც., „სამართალი“, თბ., 2001, 371.



წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის სამართლებრივი შედეგები საკმარისად არ არის მოწესრიგებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. აქცენტი კეთდება მარტოოდენ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობაზე ხელშეკრულების ჩაშლის შემთხვევისათვის, თუმცა როგორც უნდა გადაწყდეს სადავო საკითხი ხელშეკრულების დადების შემდეგ, თუ აღმოჩნდება, რომ ხელშეკრულების მომზადების სტადიაზე კონტრაჰენტმა დაარღვია კეთილსინდისიერების პრინციპი. როგორც ჩანს, ასეთ დროს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით და მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სამართლიანად დააბალანსებს მხარეთა ინტერესებს. ამიტომ მართებულია პოზიცია, რომ ქართული *culpa in contrahendo* სახელშეკრულებო ვალდებულებად უნდა მივიჩნიოთ.<sup>365</sup>

ამრიგად, მხარეები კეთილსინდისიერად უნდა მოიქცნენ სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყებისთანავე.

---

<sup>365</sup> ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10 №1, 2007, 54.

### თავი III. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებანი სახელშეკრულებო ურთიერთობებში

#### 3.1 შესავალი დებულებანი

დისერტაციის ამ მონაკვეთში ცალკეულ დამატებით ვალდებულებებზე ყურადღების გამახვილება განპირობებულია იმით, რომ უფრო სრულად იქნეს წარმოჩენილი ისეთი მოვალეობები, რომელთა დაცვაც ხდება არა მარტო ხელშეკრულების შესრულებისას, არამედ წინასახელშეკრულებო სტადიაზეც (მაგალითად, ინფორმირების ვალდებულება) და ამდენად, ყველაზე ხშირად გამოიყენებიან პრაქტიკაში.

გარდა ამისა, სამოქალაქო სამართალში ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ითვლება სახელშეკრულებო ვალდებულებებში სუსტი მხარის დაცვა. კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთათვის ადგენს ქცევის იმპერატიულ წესებს. ასეთი წესების დადგენა არ არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე. ამგვარი წესების დადგენას საფუძვლად უდევს ხელშეკრულების სოციალური კონცეფიცია. ამ კონცეფიციდან გამომდინარე მხარეს ეკისრება განსაზღვრული წესით ქცევის ვალდებულება სუსტი მხარის სასარგებლოდ. ამით იზრდება მხარეთა უფლება-მოვალეობების მოცულობა სახელშეკრულებო ურთიერთობებში, თუნდაც ეს უფლება-მოვალეობები მათ შეთანხმებული არ ჰქონდეთ. სუსტი მხარის დაცვა მოითხოვს სამოქალაქო სამართლის ისეთი ძირითადი პრინციპიდან ფორმალურად გადახვევას, როგორც არის მხარეთა თანასწორობა (სსკ-ის 1-ლი მუხლი). ფაქტობრივად კი, სუსტი მხარისათვის დამატებითი უფლებების მინიჭებით და შესაბამისად, მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისათვის დამატებითი ვალდებულებების დაკისრებით, სამოქალაქო კანონმდებლობა უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილეთა თანასწორობას ერთმანეთის მიმართ.<sup>366</sup> სუსტი მხარის დაცვა აუცილებელია, რამეთუ ხელშეკრულების მხარეებს გააჩნიათ ვალდებულების ჩამოყალიბებაზე, მისი შესრულების უზრუნველყოფაზე გავლენის მოხდენის სხვადასხვა შესაძლებლობა, მატერიალური მდგომარეობის, პროფესიული სტატუსის, თუ სხვა გარემოების გამო. ზოგჯერ რომელიმე მხარეს არ გააჩნია ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით კონტრაქტზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. და პირიქით, მეორე მხარეს, რომელსაც გააჩნია რეალური შესაძლებლობა, შეუძლია თავისი ნების თავსმოხვევა და კარნახი კონტრაქტისათვის. მაგალითად, კომერციული ბანკის და მეანობრე ფიზიკური პირის მდგომარეობის შედარებაც კი არ შეიძლება საბანკო ანაბრის ხელშეკრულების საფუძველზე მათ შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებში. ამგვარ შემთხვევებში, თუ სამართლებრივად არ მოწესრიგდება შესაბამისი ურთიერთობა, ვალდებულების ძლიერი მხარე სრულად დაუქვემდებარებს

<sup>366</sup> Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право. Книга первая, общие положения, „Статут“, М., 2009, 797

თავის ნებას სუსტ მხარეს (თავის ნებას მოახვევს სუსტ მხარეს). ასეთ შემთხვევაში საუბარიც კი არ შეიძლება იყოს არც მხარეთა თანასწორობაზე, არც დისპოზიციურობის პრინციპზე სამოქალაქო სამართალში, არც ხელშეკრულების თავისუფლების შესახებ. შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის ამოცანა მდგომარეობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა „გათანაბრებაში“ სუსტი მხარისათვის დამატებითი უფლებების მინიჭების და მისი კონტრაჰენტისათვის დამატებითი მოვალეობების დაკისრების, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების, ძლიერი მხარის პასუხისმგებლობის გამკაცრების გზით ვალდებულებაში, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის და პირიქით, სუსტი მხარის პასუხისმგებლობის შეზღუდვით და ა.შ.

### 3.2 თანამშრომლობის ვალდებულება

კეთილსინდისიერება გულისხმობს „სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ვალდებულებას თავიანთი უფლებების გამოყენებისას და თავიანთი მოვალეობების შესრულებისას იზრუნონ ქონებრივი ბრუნვის სხვა მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე“.<sup>367</sup>

„თანამედროვე სოციალურ სახელმწიფოში ხელშეკრულების თავისუფლება უნდა შეიცვალოს „სახელშეკრულებო სამართლიანობით“ (*Vertragsgerechtigkeit, Justice contractuelle*); სუსტი მხარე ძლიერად უნდა იქნეს დაცული, ორივე მხარეს უნდა დაეკისროს ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება. ხელშეკრულება თანამედროვე გაგებით, იურიდიული ურთიერთობაა, რომელიც მხარეებს აკისრებს კოოპერაციის, სოლიდარობის და პატიოსნების ვალდებულებებს“.<sup>368</sup>

თანამშრომლობის ვალდებულება გულისხმობს მხარეთა ვალდებულებას, გაითვალისწინონ არა მარტო თავისი კერძო ინტერესები, არამედ მეორე მხარის ინტერესებიც. მხარეები ვალდებული არიან ისევე იზრუნონ მეორე მეორე მხარის ინტერესებზე, როგორც ზრუნავენ საკუთარ ინტერესებზე. მაგრამ მხარეებს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე თანამშრომლობის ვალდებულება ეკისრებათ არა აბსტრაქტულად, განყენებულად, არამედ მხარეთა საერთო მიზნის მისაღწევად, რომლის მიღწევაც მათ სურთ ხელშეკრულების დადებით. „კეთილსინდისიერების პრინციპი მოითხოვს, რომ ერთმანეთთან ჰარმონიაში იყოს არა მარტო ცალკეული კერძო ინტერესები, არამედ აგრეთვე კერძო ინტერესი და მხარეთა ერთიანი ინტერესი.“<sup>369</sup>

<sup>367</sup> Чукреев А.А. Добросовестность в системе принципов гражданского права. Журнал Российского права, 2002, №11, 12

<sup>368</sup> Kötz H. Flessner A. European Contract Law, V.1: Formation, Validity and Content of Contracts Contract and Third Parties di Hein Kötz, Tony Weir, - Clarendon Press, Oxford, 1997, 12

<sup>369</sup> Новицкий И. Б. Принцип доброй совести в проекте обязательственного права. Вестник гражданского права, 1916, № 6, 65

კეთილსინდისიერება იცავს მხარეთა სამართლიან მოლოდინს და მხარეთა შორის აყალიბებს ურთიერთნდობაზე დამყარებულ თანამშრომლობას.<sup>370</sup> თანამშრომლობის ანუ ურთიერთდახმარების, ხელშეწყობის ვალდებულება<sup>371</sup> იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულმა მხარემ ხელშეკრულების სრულად შესრულების მიზნით მეორე მხარეს აღმოუჩინოს ისეთი დახმარება, როგორი დახმარების გონივრული მოლოდინიც შეიძლება ჰქონდეს კონტრაჰენტს მეორე მხარის მიერ თავისი ვალდებულების შესრულების დროს. ის გარემოება, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებაში მონაწილე მხარეებს ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები გააჩნიათ, არ იძლევა თანამშრომლობის ვალდებულების უარყოფის საფუძველს. „ხელშეკრულება მარტოოდენ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების გადაკვეთას კი არ წარმოადგენს, იგი ... საერთო პროექტიც არის, რომელშიც თითოეულმა მხარემ უნდა ითანამშრომლოს“.<sup>372</sup> ორივე მხარემ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ საფრთხე არ დაემუქროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას და საერთო მიზნის მიღწევას. შეიძლება გამოიკვეთოს სამი ძირითადი შემთხვევა, როცა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ნების ავტონომია იზღუდება თანამშრომლობის უზრუნველყოფისა და საერთო მიზნის მისაღწევად. პირველი მათგანი არის იერინგის მიერ შემუშავებული „*culpa in contrahendo*“- ს იდეა, რომელიც ჯერ კიდევ ხელშეკრულების ფორმირების და ხელშეკრულების პირობების მხარეთა შორის შეთანხმების (შეჯერების) სტადიაზე იძლევა მხარეთა ურთიერთობებში ჩარევის შესაძლებლობას. კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც უფლების დაცვის იურიდიული ინსტრუმენტი, წინასახელშეკრულებო სტადიაზე მხარეთაგან მოითხოვს მოლაპარაკებათა წარმოებისას დიდწილად და უფრო მეტად ორიენტირებულნი იყვნენ მოლაპარაკებათა საბოლოო საერთო შედეგზე (ეს არის ხელშეკრულების დადება), ვიდრე საკუთარ ინტერესებზე. ამ თვალსაზრისით, მოლაპარაკების დამწყებ მხარეთა საერთო მიზანი უფრო მნიშვნელოვან მიზნად მიიჩნევა, ვიდრე თითოეული მხარის ინდივიდუალური ინტერესი.

ნების ავტონომიის შეზღუდვის მეორე შემთხვევას, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლობას, წარმოადგენს ინგლისური სამართლიანობის სამართლის მიერ შემუშავებული „ვაჭრობაში პატიოსნების“ (*fairness of exchange*) კონცეფცია. მიუხედავად იმისა, რომ საერთო სამართალში მოქმედებს მკაცრი პრინციპი, რომლის თანახმადაც

<sup>370</sup> ვაშაკიძე ვ. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ე. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10 №1, 2007,18

<sup>371</sup> ზოგჯერ ლიტერატურაში თანამშრომლობის ვალდებულების ნაცვლად იყენებენ სიტყვას „თანაქმედება“, რაც ზუსტად ვერ გამოხატავს იმ ვალდებულების არსს, რომელიც გამომდინარეობს კეთილსინდისიერების პრინციპიდან და უფრო მეტიც, ბუნდოვანია, მაგალითად, ის: *ჩიტაშვილი ნ.*, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, სამართლის ჟურნალი, №1,2009, 143-216.

<sup>372</sup> Принципы международных коммерческих договоров 2004. Пер.с англ. Комарова А.С., М., 2006.

ხელშეკრულება ნამდვილია მაშინაც კი, როდესაც მხარეთა უფლება-მოვალეობები ერთმანეთის მიმართ არ არის ერთმანეთის ეკვივალენტური (*inadequacy of consideration*), ინგლისურ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში საკმაოდ ხშირად მიეთითება ისეთ კატეგორიებზე, როგორც არის „სამართლიანი ფასი“ (*fair price*) ან „სამართლიანი ანაზღაურება“ (*fair salary*)<sup>373</sup>, რომელთა შინაარსიც, საბოლოო ჯამში, გულისხმობს იმას, რომ მხარეთა უფლება-მოვალეობები ეკვივალენტური უნდა იყოს. კონტინენტური სამართლის ქვეყნების უმრავლესობა ასევე იყენებს ამ იდეას. ამის მაგალითია შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 21-ე მუხლი.

დაბოლოს, ნების ავტონომიისა და თავისუფლების შეზღუდვის მესამე შემთხვევა, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლობას, არის „სუსტი მხარის დაცვა“. სუსტი მხარის დაცვის საჭიროება დგება მაგალითად, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში. სტანდარტულ პირობებში, სუსტი მხარის დამცავი ნორმების არსს წარმოადგენს ხელშეკრულების იმ პირობების იძულებით გამოყენებისაგან მხარის დაცვა, რომელზეც ეს მხარე არ დათანხმდებოდა, ამ პირობათა განსაზღვრაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა რომ ჰქონოდა (საუბარია არაკეთილსინდისიერ პირობებზე). მაგრამ სუსტი მხარის დაცვა მარტოდენ სტანდარტული პირობების შემცველი ხელშეკრულებისათვის როდი გამოიყენება. მაგალითად, ჯერ კიდევ რომის სამართალში შემუშავდა და დღემდე გამოიყენება ხელშეკრულების პირობათა განმარტების საკმაოდ ეფექტიანი მეთოდი ხელშეკრულების პირობების შემთავაზებელი მხარის საწინააღმდეგოდ (*interpretatio contra stipulatorem*).

ურთიერთდახმარების მოვალეობა არ ნიშნავს იმას, რომ მხარე ვალდებულია, მეორე მხარის ინტერესები თავის ინტერესებზე მაღლა დააყენოს. სახელშეკრულებო სამართალში ყველაზე ხშირად დახმარების ვალდებულებასა და ინტერესების გათვალისწინებაზე საუბარი შეიძლება იყოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ვალდებულებით ურთიერთობებში. მაგალითად, რწმუნებული ვალდებულია, განახორციელოს ყველა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია მარწმუნებლის უფლების განხორციელებისათვის. ვითარებისდა მიხედვით, მზღვეველმა უნდა დაიცვას დამზღვევის ინტერესები. გადაზიდვის ხელშეკრულებებში, როდესაც დაზიანდა გადასაზიდი ნივთი, მხარემ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ კონტრაქტმა არ დაკარგოს პრეტენზიის უფლება. თუ ადგილი აქვს მოთხოვნის დათმობას, ძველი კრედიტორი ვალდებულია საფრთხე არ შეუქმნას ახალი კრედიტორის მიერ თავისი მოთხოვნის განხორციელებას. კერძოდ, მას არ აქვს უფლება მიიღოს შესრულება იმ მოვალისაგან, რომელმაც არაფერი იცოდა მოთხოვნის დათმობის შესახებ. გამყიდველს არ აქვს უფლება, საფრთხე შეუქმნას ხელშეკრულების მიზანს იმით, რომ ხელმეორედ გაყიდოს მყიდველის მიერ საფასურგადახდილი ნასყიდობის საგანი, როცა ხელშეკრულება სათანადო ფორმის დაცვით არის შედგენილი, თუნდაც მყიდველს ჯერ არ ჰქონდეს დარეგისტრირებული საკუთრების უფლება. მაგრამ მაგალითად, თუ ავიღებთ თავდებობის ხელშეკრულებას, კრედიტორს არ შეიძლება მოეთხოვოს თავდების

<sup>373</sup> Atiyah P.S. *The Rise and Fall of Freedom of Contract* – Oxford, 1979

ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება. მხარეთა ინტერესები და მაშასადამე, კეთილსინდისიერების პრინციპი, დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც. მაგალითად, ეს აუცილებელია ფრენშაიზინგულ ურთიერთობებში და სხვა. ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებები, თავის მხრივ, შეიძლება წარმოშობდნენ თმენის ვალდებულებებს. მაგალითად, თუ მყიდველს სურს ნივთის მართლზომიერად უკან დაბრუნება, მან უნდა იზრუნოს ნივთის შენახვისათვის (სსკ-ის 501-ე მუხლი). შეიძლება დასახელდეს ხელშეკრულების დამთავრების შემდგომი სხვა ვალდებულებებიც. მაგალითად, სასაქონლო საწყობი ვალდებულია ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც მიუთითოს საფრთხეზე, რომ დასაწყობებული საქონელი შესაძლოა ამორტიზებულ იქნეს, ან დაიკარგოს. გამჭირავებელი ვალდებულია ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ იზრუნოს დამჭირავებლის მიერ მის ფართში შეტანილ ქონებაზე.

თანამშრომლობის ვალდებულებასთან დაკავშირებით საინტერესოა ფრანგული მიდგომა. თავდაპირველად ფრანგულ დოქტრინაში აღინიშნა, რომ კეთილსინდისიერება მხარეთა შეთანხმების განმარტების საშუალებაა, ამასთან, მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს მხოლოდ და მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მონაწილე მხარეთა სურვილი და ნება. კეთილსინდისიერება საზოგადოებრივი ურთიერთობის „სულია“. კეთილსინდისიერება ყოველთვის უნდა მეფობდეს შეთანხმების შესრულების დროს და მოსამართლის ვალდებულებაა შეთანხმების განმარტება და სისრულეში მოყვანა მხარეთა ნების შესაბამისად, ხელშეკრულების მიზნის გათვალისწინებით. კეთილსინდისიერების აბსტრაქტული იდეა ასახულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1156-ე მუხლში, სადაც საუბარია ხელშეკრულების განმარტებაზე. ამ მუხლში ასახული დებულებები უშუალო კავშირშია 1134-ე მუხლის მე-3 ნაწილთან.<sup>374</sup>

ფრანგული დოქტრინის თავდაპირველი მიდგომა, რომ მოსამართლე ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს მხარეთა ნების შესაბამისად, გაზიარებული იყო რეალურ სასამართლო პრაქტიკაში. მოსამართლეები გადაწყვეტილებათა დასაბუთებისას თავდაპირველად უპირატესობას სხვა ცნებებსა და პრინციპებს უფრო აძლევდნენ, ვიდრე კეთილსინდისიერებას. სწორედ ამის გამო იყო, რომ კეთილსინდისიერებამ „მკვდარი კონცეფციის“ ხასიათი შეიძინა. სასამართლო გადაწყვეტილებებში იშვიათად შეიძლება შევხვედროდით მითითებას 1134-ე მუხლის მე-3 ნაწილზე,<sup>375</sup> მაგრამ შემდგომში კეთილსინდისიერების კატეგორიის ნეგატიურად შეფასება თანდათან შეიცვალა, რაზეც გავლენა მოახდინა XX საუკუნეში საფრანგეთში სოლიდარიზმის მოძღვრების განვითარებამ, რომლის შესაბამისადაც სახელშეკრულებო ურთიერთობებში ნების ავტონომია არ წარმოადგენს გაბატონებულ იდეას.

სახელშეკრულებო ურთიერთობათა მიმართ სოლიდარიზმის კონცეფცია ძირითადად დემოგმა განავითარა. მისი თქმით, ნების ავტონომია, ანუ მხარეთა ნების გათვალისწინება, აღარ წარმოადგენს

<sup>374</sup> *Beudant C*, Cours de droit civil français. 1936. Tome VIII, Paris, 222

<sup>375</sup> *Cousy H*. Droit des contrats: France, Suisse, Belgique, Bruxelles. 2006,255

გაბატონებულ იდეას და ხელშეკრულების არსებით საფუძველს.<sup>376</sup> ნება უნდა დაემორჩილოს (დაექვემდებაროს) უმაღლეს სოციალურ მოთხოვნებს, სოციალური სოლიდარობის მოთხოვნებს.

დემოგმა ყურადღება მიაქცია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლის მე-3 ნაწილის მნიშვნელობას სახელშეკრულებო ურთიერთობათა მიმართ. კეთილსინდისიერებას იგი ანიჭებდა იურიდიულ ძალას. მისი თქმით, ხელშეკრულების მხარეები ქმნიან „მიკროკოსმოსის მსგავსს“. მასში დემოგი გულისხმობდა პატარა, მომცრო საზოგადოებას, რომელშიც თითოეული უნდა მოქმედებდეს საერთო მიზნებიდან გამომდინარე (საერთო მიზნების გათვალისწინებით). საერთო მიზანი თითოეულის მიერ განხორციელებული ინდივიდუალური მიზნების ერთობლიობაა.<sup>377</sup> დემოგის აზრით, კრედიტორს რამდენიმე ვალდებულება აკისრია, კერძოდ: „მან თავისი ქცევით არ უნდა დაამძიმოს მოვალის მდგომარეობა, არამედ მან ხელი უნდა შეუწყოს ვალდებულების შესრულებას“.<sup>378</sup>

გარდა ამისა, კონტრაქტებს (ანუ ორივე მხარეს ერთდროულად) ეკისრება ერთმანეთის გაფრთხილების ვალდებულება სახელშეკრულებო პროცესის მიმდინარეობისას გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში და ამ საკითხით ორივე მხარე უნდა იყოს დაინტერესებული. დემოგის აზრით, ყოველივე ეს დაკავშირებულია კრედიტორსა და მოვალეს შორის სოლიდარობის იდეასთან და გამომდინარეობს 1134-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან.<sup>379</sup>

ამ იდეების მიუხედავად, XX საუკუნის მხოლოდ სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან იჩენს ინტერესს ფრანგული დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა კეთილსინდისიერების პრინციპისადმი. გამოითქვა აზრი, რომ კეთილსინდისიერება უკვე აღარ არის „მკვდარი კონცეფცია“.<sup>380</sup>

თანამედროვე პერიოდში კეთილსინდისიერება უკავშირდება სწორედ სახელშეკრულებო სოლიდარიზმს. „თანამედროვე პერიოდში შეინიშნება სოლიდარობის ... ტენდენცია, რომელიც მოითხოვს სხვაზე (ე.ი. ხელშეკრულების მონაწილის) და სხვის ინტერესებზე ზრუნვას“.<sup>381</sup> კეთილსინდისიერება არის კეთილი ნება, ერთგულება, კონტრაქტზე ზრუნვა, ყოველივე ეს ნიშნავს კონტრაქტთან თანამშრომლობას და მისი ინტერესების გათვალისწინებას. ე.ი. კეთილსინდისიერება მოითხოვს სახელშეკრულებო თანამშრომლობას და კონტრაქტების ინტერესების გათვალისწინებას. ფრანგულ დოქტრინაში ჩამოყალიბდა მიდგომა, რომ კეთილსინდისიერება მხარეებისგან მოითხოვს ერთდროულად ერთგულ ქცევასა და თანამშრომლობას.

<sup>376</sup> Demogue R., Traité des obligations en general. T.1. Paris 1923,1.

<sup>377</sup> Demogue R. Traité des obligations en general. T.6, Paris 1923, 9.

<sup>378</sup> იქვე, 17

<sup>379</sup> იქვე,17-18

<sup>380</sup> Sonnenberger H.J. Treu und Glauben – ein supranationaler Grundsatz? in : Festschrift Odersky. Berlin,1996,706

<sup>381</sup> Sériaux A., Droit des obligations, Paris, 1998, 229

ხელშეკრულების თითოეულ მხარეს ეკისრება განსაზღვრული ვალდებულება მეორე მხარის მიმართ. კერძოდ, მხარე ვალდებულია ისე მოიქცეს, რომ ზიანი არ მიაყენოს მეორე მხარეს. მაგალითად, ერთგულება უკრძალავს მხარეს ისარგებლოს კონტრაქტის სისუსტით. მართლაც, არათანასწორუფლებიან ურთიერთობაში არსებობს კონტრაქტისათვის იმ სახელშეკრულებო პირობების თავსმოხვევის შესაძლებლობა, რომლებიც მხარეს აძლევს საშუალებას გამდიდრდეს თავისი პარტნიორის ხარჯზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე სარგებლობს კონტრაქტის სისუსტით და ცდილობს კონტრაქტის სისუსტის წყალობით მიიღოს სარგებელი (უპირატესობა), ის მიიჩნევა ერთგულების მოვალეობის დამრღვევ მხარედ.

ფრანგულ სამართალში კეთილსინდისიერება გამოიხატება არა მარტო ერთგულებაში, არამედ თანამშრომლობაშიც. თანამშრომლობა ნიშნავს, რომ თითოეულ მხარეს ეკისრება კონტრაქტის ინტერესების გათვალისწინება მთელი სახელშეკრულებო პროცესის განმავლობაში.

ამრიგად, ფრანგულ სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი საფუძველად უდევს მხარეთა ისეთ ვალდებულებებს, როგორც არის თანამშრომლობა და ერთგულება, ერთმანეთის ინტერესების დაცვა.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში ასახულ საკანონმდებლო დებულებასთან შედარებით კეთილსინდისიერების გამოყენების სფერო პრაქტიკაში გაფართოვდა. კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ხდება მხარეთათვის განსაზღვრული ვალდებულებების დადგენა სახელშეკრულებო ურთიერთობაში. თანამშრომლობის ვალდებულება ვრცელდება ორივე მხარეზე - კრედიტორზეც და მოვალეზეც. გარდა ამისა, მოვალე უნდა გასცდეს ერთგულად და ზუსტად შესრულების ფარგლებს. მოვალემ იმგვარად უნდა იმოქმედოს, რომ კრედიტორს მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს, ხოლო კრედიტორმა, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს მოვალეს შესრულებაში, ამასთან, უნდა აღმოუჩინოს შეძლებისდაგვარი დახმარება. მოცემულ შემთხვევაში ორივე მხარე დაინტერესებულია სახელშეკრულებო ურთიერთობების არსებობით და მონაწილეობენ ამ ურთიერთობებში.

გერმანულ სამართალში კი კეთილსინდისიერებაზე მსჯელობისას ხაზი ესმება ნდობასა და მხარეთა მზადყოფნას ლოიალური თანამშრომლობისათვის<sup>382</sup>. ლარენცის აზრით, „მოსამართლემ თითოეულ შემთხვევაში უნდა დააკონკრეტოს, რომელი ქმედება შეესაბამება კეთილსინდისიერების პრინციპს“<sup>383</sup>. ამდენად, ლარენცი არ იზიარებს თეზისს, რომ კეთილსინდისიერება არის ზედმეტი, „ცარიელი ფორმულა“. მოსამართლემ კეთილსინდისიერების პრინციპი საკუთარი ინიციატივით უნდა გამოიყენოს, თუ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა ადასტურებს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას<sup>384</sup> (თუ ფაქტობრივი მასალიდან იკვეთება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა). კეთილსინდისიერების პრინციპი სამართლებრივი

<sup>382</sup> Larenz K., Lehrbuch des Schuldrechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14. Auflage, München, 1987, 128.

<sup>383</sup> იქვე, 127.

<sup>384</sup> იქვე, 143.



ურთიერთობის ყველა მონაწილეს ავალდებულებს, ისე მოიქცეს, როგორც ეს შეესაბამება ამ კონკრეტული ურთიერთობის შინაარსსა და მიზანს და ასევე ზოგადად, სხვა პირთა მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას. კეთილსინდისიერად ქცევის (მოქმედების) მოთხოვნა, გარემოებებისდა მიხედვით, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მიმართული იყოს მოვალისადაც ან კრედიტორისადაც.<sup>385</sup>

როგორც ფრანგულ, ისე გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერების მოთხოვნა (პრინციპი) გამოიყენება არ მარტო მოვალის, არამედ კრედიტორის მიმართაც. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, როგორც მოვალემ, ისე კრედიტორმაც თავიანთი უფლებების განხორციელებისას უნდა დაიცვან კეთილსინდისიერების პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ საკუთარი ინტერესები, არამედ მხარემ ყურადღება უნდა გამოიჩინოს მეორე მხარის მიმართაც. კეთილსინდისიერების პრინციპი დაცული უნდა იქნეს სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის ყველა სტადიაზე. გერმანიასა და საფრანგეთში განსაზღვრული შინაარსია ჩადებული კეთილსინდისიერების პრინციპში და ამ პრინციპის საფუძველზე გამოკვეთილია და დადგენილია განსაზღვრული ვალდებულებები მხარეთათვის. ამასთან, მსგავსების მიუხედავად, არსებობს განსხვავებული მიდგომებიც კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობის საკითხში. ფრანგულ სამართალში ჩამოყალიბდა „მინიმალისტური“ მიდგომა კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსისა და გამოყენების საკითხისადმი.

ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის არსებობა და მისი გამოყენების საკითხისადმი საერთო მიდგომის ჩამოყალიბება, არასდროს არ იყო ისე აუცილებელი საფრანგეთში, როგორც გერმანიაში. გერმანულ მართლწესრიგში არსებულმა ეკონომიკურმა რყევებმა მოითხოვა სამართალში არსებული ხარვეზების თავიდან აცილება, აღმოფხვრა, საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის აღდგენა.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში თანამშრომლობის, სოლიდარობის საკითხისადმი ფრანგულ სამართალში არსებული მიდგომა გერმანულ სამართალშიც აისახა. აუერის მიხედვით<sup>386</sup> გერმანულ თეორიაში გამოითქმება აზრი, რომ ხელშეკრულების თავისუფლების ლიბერალურ იდეალს არასდროს არ ითვალისწინებდნენ. მისი ჩანაცვლება ხდება სოციალური პრინციპებით (ერთ-ერთი ასეთი პრინციპია კეთილსინდისიერება). მიეთითება, რომ ამჟამად არსებობს „სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ „ლიბერალურ“ და „სოციალურ“ მიდგომებთან დაკავშირებული ორი საპირისპირო იდეალი – ინდივიდუალიზმი და ალტრუიზმი. ალტრუიზმის (სოლიდარობის) შესაბამისად, სახელშეკრულებო სამართალმა უნდა აღიაროს კეთილსინდისიერება ფუნდამენტურ პრინციპებს შორის, რამეთუ კეთილსინდისიერება გარანტირებულს ხდის

<sup>385</sup> იქვე, 130

<sup>386</sup> Auer M., Materialisierung, Flexibilisierung, Richterfreiheit: Generalklauseln im Spiegel der Antinomien des Privatrechtsdenkens. Tübingen 2005, Auer M., Good Faith: A Semiotic Approach. European Review of Private Law. 2., 2002,279-301

ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების დაცვას.

ინდივიდუალიზმის შესაბამისად კი კეთილსინდისიერების პრინციპისთვის ფართო მნიშვნელობის მინიჭება სახელშეკრულებო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების საწინააღმდეგო იქნებოდა, რადგან მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად იმოქმედონ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებში, რომლებიც მათ თვითონ დაადგინეს.

კეთილსინდისიერების პრინციპს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევაში, როცა სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე ერთი მხარე უფრო ხელსაყრელ პოზიციას იკავებს მეორე მხარესთან შედარებით. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს შრომითი ურთიერთობები, მომხმარებლებთან არსებული ურთიერთობები, ისეთი ხელშეკრულებების დადება, რომელთათვისაც გათვალისწინებულია სტანდარტული ფორმა და სხვა. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე თანამშრომლობის ვალდებულება სწორედ მოცემულ შემთხვევაშია ყველაზე უფრო აუცილებელი. ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერება სახელშეკრულებო სამართალს კიდევ უფრო ეფექტიანსა და მოქნილს ხდის, რადგან მოითხოვს მხარეთა ინტერესების გათვალისწინებას, იძლევა შეცვლილი გარემოებებისადმი სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის ადაპტირების შესაძლებლობას.

კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილე პირი (სუბიექტი) ვალდებულია თავისი უფლებების გამოყენების, კანონიერი ინტერესების განხორციელების, თავისი ვალდებულებების შესრულების დროს გამოიჩინოს სათანადო მზრუნველობა, რათა დაიცვას სამოქალაქო ბრუნვის მეორე მონაწილის უფლებები და კანონიერი ინტერესები. „მზრუნველობა“ გამოიხატება პირის ქმედებაში. თავისი ქმედებებით პირი (სუბიექტი) უნდა ცდილობდეს განჭვრიტოს და თავიდან აიცილოს სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესაძლო დარღვევა, რაც შეიძლება მოჰყვეს თავის საქმიანობას. ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი გულისხმობს პირის ვალდებულებას გამოიჩინოს მზრუნველობა და გაითვალისწინოს სხვა პირთა უფლებები და ინტერესები. პრიორიტეტული უნდა იყოს არა ვალდებულების ერთი რომელიმე მხარის ინტერესები, არამედ გათვალისწინებული უნდა იქნეს ორივე მხარის ინტერესები.

სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინება არ ნიშნავს იმას, რომ პირმა თავისი ინტერესები დაუქვემდებაროს კონტრაქტის ინტერესებს. სხვაგვარად რომ ითქვას, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტმა არ უნდა იმოქმედოს მარტოდენ თავისი სახელშეკრულებო კონტრაქტის ინტერესების შესაბამისად, მაგრამ თავისი ინტერესები უნდა შეუსაბამოს მეორე სუბიექტის ინტერესებს (ხელშეკრულების კონტრაქტების ინტერესები თანაზომადი უნდა იყოს), უნდა ცდილობდეს არ შელახოს კონტრაქტის უფლებები, არ უნდა შეუშალოს ხელი კონტრაქტის ვალდებულების შესრულებაში. როდესაც სუბიექტი კეთილსინდისიერად ახორციელებს თავის უფლებებს და ამგვარადვე ასრულებს თავის ვალდებულებებს, კეთილსინდისიერად

მოქმედ ნებისმიერ სუბიექტს უფლება აქვს მოელოდებოდეს ასეთივე კეთილსინდისიერ ქცევას თავისი კონტრაჰენტისგან.

ამრიგად, კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი გულისხმობს სუბიექტის ვალდებულებას, უფლებებისა და მოვალეობების შექმნისა და განხორციელების დროს გამოიჩინოს სათანადო მზრუნველობა სამოქალაქო ბრუნვის მეორე მონაწილის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერების პრინციპი, პირველ ყოვლისა, გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ ერთმანეთის ინტერესები. კეთილსინდისიერად მოქმედება ნიშნავს, რომ პირი პატივს უნდა სცემდეს არა მხოლოდ თავის ინტერესებს, არამედ თავისი კონტრაჰენტის ინტერესებსაც. თავის მხრივ, ინტერესების ურთიერთპატივისცემა გულისხმობს, რომ არ უნდა იქნეს შელახული არცერთი მხარის ინტერესები, ე.ი. მხარეთა ინტერესებს შორის უნდა დამყარდეს ბალანსი (წონასწორობა).

კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთაგან თანამშრომლობას მოითხოვს იმისათვის, რომ შეიქმნას ხელშეკრულების განხორციელების წინაპირობები, მოხდეს ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების პრევენცია და მეორე მხარეს მიეცეს თავისი ვალდებულების ძალდაუტანებლად შესრულების შესაძლებლობა. თანამშრომლობის ვალდებულება მაშინ არსებობს, როცა ხელშეკრულების შეუსრულებლობის საფრთხე ორივე მხარის რისკის სფეროში ექცევა, ან თუ ერთ-ერთი მხარე თავისი ვალდებულების შესრულებისას დამოკიდებულია მეორე მხარეზე, კონტრაჰენტზე და სწორედ კონტრაჰენტს ევალება და ძალუძს კიდევ დახმარების გაწევა არა საკუთარი ინტერესების ხარჯზე. ასეთ დროს თანამშრომლობის ვალდებულებას განაპირობებს ვალდებულების შემსრულებელი მხარის ინტერესების გათვალისწინება, მაგრამ თანამშრომლობის ვალდებულება მთავრდება იქ, სადაც საუბარი იწყება მეორე მხარის ექსკლუზიურ ინტერესებსა თუ რისკებზე. ქართულ სინამდვილეში თანამშრომლობის ვალდებულებას სხვა ყველაფერთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ისეთი ხელშეკრულებების დადების შემთხვევაშიც, რომლებსაც ნამდვილობისათვის სახელმწიფო ორგანოს თანხმობა (ნებართვა) ესაჭიროება. თუ ვალდებულებითი გარიგება საჭიროებს ნებართვას, როგორც ნამდვილობის წინაპირობას და ნებართვა არ ყოფილა გაცემული, ასეთი ხელშეკრულება კანონით ბათილია (სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი). ასეთ დროს მხარეებს გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ ერთგულების ვალდებულება, რომლის საფუძველზეც თითოეული მხარე ვალდებულია მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ყველაფერი იღონოს, რომ მიიღოს ნებართვა და ამით ნამდვილობა მიანიჭოს ხელშეკრულებას. თითოეული მხარე ასევე ვალდებულია თავი შეიკავოს ყოველივე იმის განხორციელებისაგან, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ან შეუძლებელი გახადოს ნებართვის მიღება. ასე მაგალითად, მათ ოფიციალური ორგანოს წინაშე უნდა დაადასტურონ ხელშეკრულების დადება ან გასცენ ნებართვის პროცედურისათვის აუცილებელი ახსნა-განმარტებები, რათა უწყებას საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი გაუჩნდეს ნებართვის გადაწყვეტილების მიღებისას. გარდა ამისა, მხარეებს არ აქვთ უფლება,

ხელი შეუშალონ ნებართვის გაცემის პროცედურის განხორციელებას. ხელშეკრულების ბათილობის მიუხედავად, ბათილობის პერიოდში, ნებართვის მიღებამდე, მხარეებმა უნდა დაადასტურონ, რომ ნებართვის მიღების შემთხვევაში ძალუძთ შესრულების განხორციელება. თანამშრომლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები ისპობა, თუ სახელმწიფო ორგანოს პასუხი საბოლოოა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივად ვეღარ გასაჩივრდება. თანამშრომლობის ვალდებულების კრედიტორისათვის დაკისრება არ უნდა იყოს მიუღებელი, რამეთუ ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკი და უარყოფითი შედეგები სწორედ მასზე მოდის. შესაბამისად, იგი ყოველთვის მზად უნდა იყოს დაეხმაროს მოვალეს ვალდებულების შესრულებაში.

სასამართლო ერევა სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა შორის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად. უცხოური პრაქტიკის ანალიზი შედარებით-სამართლებრივი თვალსაზრისით მიზანშეწონილია იმდენად, რამდენადაც იგი ქართულ სინამდვილეშიც შეიძლება იქნეს გამოყენებული, მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე მოიჯარემ გაარემონტა იჯარით აღებული ფართი. მოიჯარის მიერ რემონტისათვის დახარჯული თანხა არსებითად აღემატებოდა იმ მიზნისათვის აუცილებელ თანხას, რისთვისაც განკუთვნილი იყო ფართი. თუმცა, მოიჯარემ, იმით ისარგებლა, რომ ხელშეკრულებით არ იყო დადგენილი კონკრეტული თანხა, რომლის ფარგლებშიც ექნებოდა მას რემონტის ჩატარების უფლება. ამის გამო, მოიჯარემ მეიჯარისაგან მოითხოვა დანახარჯის სრულად ანაზღაურება. სასამართლომ არ გაიზიარა მოიჯარის პოზიცია და მიუთითა: მართალია მხარეებმა ურთიერთშორის არ შეათანხმეს, რა მოცულობით და რა ღირებულების ფარგლებში ჰქონდა მოიჯარეს ქონების გაუმჯობესების უფლება, მაგრამ ამასთან, იჯარის ხელშეკრულებაში გაითვალისწინეს ... ქონების გაუმჯობესების მიზანი – ეს არის ფართის რემონტი, გადაგეგმარება და მოწყობა, თავისუფალი დროის ცენტრის მოსაწყობად. ამიტომ, გაუმჯობესებისათვის ასანაზღაურებელი თანხის მოცულობის საკითხის გადასაწყვეტად, სასამართლოს აზრით, საჭიროა დადგინდეს, დაცული იყო თუ არა კეთილსინდისიერების მოთხოვნა ფართის მოწყობის დროს: რამდენად აუცილებელი იყო შესრულებული სარემონტო სამუშაოები (გაუმჯობესებები) ცენტრის მოსაწყობად. ამგვარი გაუმჯობესებისათვის რა მინიმალური ხარჯი იყო საკმარისი<sup>387</sup>. მოცემულ მაგალითში კანონი (რფ-ს სსკ-ის 623-ე მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს სსკ-ის 598-ე და 599-ე მუხლები) მოიჯარის მხარეზეა, მაგრამ სასამართლომ არ გაიზიარა მისი პოზიცია.

სხვა მაგალითი: იგი ეხება დეფოლტთან დაკავშირებულ საქმეს. კომპანიას გააჩნდა ვალი ბანკის მიმართ სავალუტო კრედიტის სახით. თავდაპირველად, კომპანია დათანხმდა კრედიტის მანეთებში კონვერტირებას, შემდეგ კი ხელი მოაწერა ბანკთან შეთანხმებას კონვერტაციით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ. ხელმოწერის შემდეგ კომპანიამ მოითხოვა ამ შეთანხმების ბათილად ცნობა. სასამართლოებმა დააკმაყოფილეს მოსარჩელის მოთხოვნა.

<sup>387</sup> Постановление федерального арбитражного суда Московского округа от 30.07.2003 по делу №КГ-А40/5041-03 - Справочно-информационная система „Консультант Плюс“

ზემდგომმა ინსტანციამ კი გააუქმა ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება და მიუთითა: „დავის გადაწყვეტის დროს არცერთ სასამართლო ინსტანციას არ დაუდგენია, თუ რა გარემოებებმა აიძულეს მხარეები ჯერ მოეხდინათ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალის რესტრუქტურისაცია, ხოლო შემდგომ დაედოთ რესტრუქტურისაციით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ შეთანხმება. სასამართლოებმა არც გამოიკვლიეს, რისკენ იყო მიმართული მხარეთა ნება აღნიშნული გარიგების დადებისას და კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ თუ არა ისინი. საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს მხარეთა ნება შეთანხმების საგნის მიმართ, ასევე ის, კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ თუ არა ისინი და ამ საკითხების გამოკვლევის შედეგების შესაბამისად შეაფასოს ხელშეკრულებათა იურიდიული ძალა. იმის დასადგენად, კეთილსინდისიერად მოქმედებდა თუ არა ბანკი კომპანიის მიმართ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ აფორმებდა ბანკი სავალუტო კრედიტის თაობაზე სამართლებრივ ურთიერთობებს სხვა მსესხებლებთან: უწევდა თუ არა მსესხებლებს შეღავათს, მოითხოვდა თუ არა შეღავათებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.<sup>388</sup> ცხადია, კონკრეტულ მსესხებელსა და ბანკს შორის არსებული ურთიერთობის გამოკვლევისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ბანკის ურთიერთობას და დამოკიდებულებას სხვა მსესხებლებთან, რადგან ეს საკითხი მხარეთა ნების ავტონომიის სფეროს განეკუთვნება. მაგრამ სასამართლომ ეს ასე არ ჩათვალა.

### 3.3 ინფორმირებისა და უსაფრთხოების ვალდებულება

#### 3.3.1 ინფორმირების ვალდებულება

კეთილსინდისიერების შესახებ დათქმის მეშვეობით კონტრაქტებს შორის მარტოოდენ თანამშრომლობის პრობლემის გადაწყვეტა როდი ხდება. კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება აგრეთვე იმისათვის, რომ გამოირიცხოს დისპროპორცია სახელშეკრულებო ურთიერთობებში ინფორმირების საკითხში. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვაში ხელშეკრულების მხარეთა ინფორმირებულობის საკითხში დისპროპორცია მასიური მოვლენა გახდა, რასაც განაპირობებს სტანდარტული პირობების ამსახველი ხელშეკრულებების ფართოდ გავრცელება. სტანდარტულ პირობებს მარტო იმიტომ როდი თანხმდება კონტრაქტის, რომ არ გააჩნია ამგვარ პირობათა შეცვლის შესაძლებლობა. ხელშეკრულების პირობებში გასარკვევად კონტრაქტის სჭირდება ადვოკატის დახმარება, ამისათვის შესაბამისი ხარჯის გაწევა, მოლაპარაკებათა წარმოება პირობათა შეცვლის შესახებ. ამის შესაძლებლობა კი არც დროის და არც მატერიალური თვალსაზრისით ყოველთვის არ არის, რის გამოც მხარე მოკლებულია ინფორმაციას. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მხარის სისუსტე ვლინდება არა იმაში, რომ მას არ აქვს ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებაზე

<sup>388</sup> Постановление Президиума ВАС РФ №848/02 от 09.07.2002 Вестник ВАС РФ 2002, №11

გაგლენის მოხდენის შესაძლებლობა, არამედ იმაში, რომ მას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია.

გარდა ამისა, ფართოდ განვითარდა საფინანსო მომსახურების ბაზარი. საფინანსო მომსახურების გაწევა მარტოოდენ პროფესიონალს შეუძლია. ასეთია ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო კომპანიები და სხვა. ამ კომპანიათა კლიენტები დროის მცირე მონაკვეთში ისეთივე კარგად ინფორმირებული ვერ იქნებიან შესაძლო რისკების შესახებ, რომლებიც შეიძლება განიცადონ და რომლებსაც შეიძლება მოელოდებოდნენ ხელშეკრულების დადებით, როგორც თავად კომპანიები. სამართლის წინაშე დგება საკითხი, თუ რა წესით, რა იურიდიული საშუალებებით მოხდეს მხარეთა ინფორმირებულობის საკითხში წარმოქმნილი ასიმეტრიის კომპენსირება.

ინფორმირების (ანუ შეტყობინების) ვალდებულება დამოკიდებულია ხელშეკრულების საგანზე, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის ხასიათზე<sup>389</sup>. „თავისი სამართლებრივი ბუნებით ინფორმაციის გაცემის ვალდებულება შეიძლება დამატებითი ვალდებულებების კატეგორიას მივაკუთვნოთ. რადგან ინფორმაციის ხასიათი დამოკიდებულია ვალდებულების შინაარსზე, ვალდებულების საგანზე, წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა ინფორმაცია შეიძლება მოითხოვოს კონტრაქტმა, კანონით შეუძლებელია“.<sup>390</sup>

შედარებით ანალიზის კუთხით საინტერესოა ინგლისური სამართლის მიდგომა ინფორმირების ვალდებულებისადმი. ინგლისში დაზღვევის ხელშეკრულებათა მიმართ გამოიყენება ე.წ. უმაღლესი კეთილსინდისიერების (*uberrimae fidei*) პრინციპი, რაც იგივე კეთილსინდისიერების პრინციპია. მოცემული პრინციპი გამოყენებული იქნა საქმეში *Carter v Boehm* (1766). მოცემული საქმის საფუძველზე თანდათან ჩამოყალიბდა წესი, რომ მხარეებს ეკისრებათ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება ხელშეკრულების დადების დროს. ზემოთაღნიშნულ საქმეში გათვალისწინებული იქნა დამზღვევის ვალდებულება გაამჟღავნოს მისთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი. საქმეში *Mayne v. Walter* (1787) მითითებული იქნა, რომ ფაქტების მარტოოდენ განზრახ დაფარვის (დამალვის) შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად სადაზღვევო პოლისი. საქმეში *Friere v. Woodhouse* (1817) აღინიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როცა სადაზღვევო კომპანიას შეუძლია ახალი ინფორმაციის მიღება ხელშეკრულების მოქმედების დროს, მან უნდა აცნობოს ამის შესახებ დაზღვეულს, რადგან უნდა გამოიჩინოს სათანადო მზრუნველობა. საქმეზე *Lindenau v. Desborough* (1828) დადგინდა, რომ ყველა სახის დაზღვევის მიმართ, დამზღვევმა მზღვეველს უნდა მიაწოდოს ყველა ინფორმაცია (მისთვის ცნობილი ან სავარუდო ინფორმაცია)<sup>391</sup>.

ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის შედეგად უმაღლესი კეთილსინდისიერების პრინციპი აისახა საზღვაო დაზღვევის შესახებ 1906

<sup>389</sup> Brox H. Allgemeines Schuldrecht, 21. Auflage, C.H. Beck, München, 1993, 72 ff.

<sup>390</sup> ჭანტურია ღ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გამომც., „სამართალი“, თბ., 2001, 52-53

<sup>391</sup> Achampong F., *Uberrima Fides in English and American Insurance Law. A Comparative Analysis.* The International and Comparative Law Quarterly. Vol. 36., №2, 1987, 329-347

წლის კანონში.<sup>392</sup> უმაღლესი კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე დადგინდა მხარეთა ვალდებულება, დაიცვან ეს პრინციპი საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულების დადებისა და შესრულების დროს. მოცემული კანონის დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ ეს პრინციპი უნდა დაიცვას როგორც დამზღვევმა, ისე მზღვეველმა (მე-17-20-ე მუხლები).

რაც შეეხება ქართულ დოქტრინას, სსკ-ის 808-ე მუხლის განმარტებისას მითითებულია, რომ ქართველი კანონმდებლის მიერ გაზიარებულ იქნა უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკა და დამზღვევს დააკისრა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მზღვეველს არ აკისრია დამზღვევისაგან მიღებული ინფორმაციის შემოწმების ვალდებულება. ამ შემთხვევაში მოქმედებს ე.წ. მხარეთა უდიდესი ნდობის პირობის პრინციპი - *uberimmae fidei*. მოცემული პრინციპის დარღვევის, ე.ი. დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილი ხდება უარი თქვას ხელშეკრულებაზე.<sup>393</sup> ლიტერატურაში ხაზგასმულია ასევე, რომ დაზღვევა ეფუძნება მხარეთა ურთიერთნდობასა და კეთილსინდისიერებას და რომ დამზღვევის მიერ მიწოდებული ინფორმაცია განსაზღვრავს დაზღვევის ხელშეკრულების ძირითად პირობებს და ასეთი ხელშეკრულების დადების ბედსაც.<sup>394</sup> „ყველა სახის საქმიანი ურთიერთობა უნდა ეყრდნობოდეს უმაღლესი კეთილსინდისიერების პრინციპს, ანუ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს ტყუილი ან ტყუილის განზრახვა. სადაზღვევო ურთიერთობები ეფუძნება მხარეთა ურთიერთნდობას და კონფიდენციალობის მოთხოვნებს. უმაღლესი კეთილსინდისიერების პრინციპი ნიშნავს მხარეთა ვალდებულებას შეატყობინოს მეორე მხარეს ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი, რომელიც მოახდენდა გავლენას მეორე მხარის გადაწყვეტილებაზე, დაედო თუ არა ხელშეკრულება.“<sup>395</sup>

დაზღვევაში კეთილსინდისიერების პრინციპი ნიშნავს: 1) დამზღვევის ვალდებულებას შეატყობინოს სადაზღვევო ორგანიზაციას ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, ანუ ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც იმოქმედებდა ფრთხილი მზღვეველის გადაწყვეტილებაზე, მიეღო თუ არა დასაზღვევად მოცემული რისკი და თუ მიიღებდა – რა პირობებით, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს ინფორმაცია მოთხოვნილი; 2) სადაზღვევო ორგანიზაციის ვალდებულებას გაამჟღავნოს მის ხელთ არსებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც უცნობია დამზღვევისათვის და რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სადაზღვევო ურთიერთობებზე. კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა უმნიშვნელოვანესია სრულფასოვანი სადაზღვევო ურთიერთობებისათვის. დამზღვევი სადაზღვევო ორგანიზაციას წარუდგენს მონაცემებს, რომლის დეტალურად გადამოწმების საშუალება სადაზღვევო ორგანიზაციას არ

<sup>392</sup> <http://www.jus.uio.no/lm/england.marine.insurance.act.1906/doc.html>

<sup>393</sup> გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება, იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2002, 28

<sup>394</sup> ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2001, 28

<sup>395</sup> გივოლაშვილი ვ., სადაზღვევო საქმე, გამომც., „კომერსანტი“, თბ., 2010, 51

აქვს და იგი სადაზღვევო ხელშეკრულების დადებაზე გადაწყვეტილების მიღებისას ენდობა დამზღვევს, რომელიც პასუხისმგებელია რისკის შესახებ სრული და ნამდვილი ინფორმაციის წარდგენაზე. კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის შემთხვევაში სადაზღვევო ორგანიზაციას შესაძლოა მოუწიოს უსაფუძვლო ზიანის განაცხადის დაკმაყოფილება. თუმცა, ზიანის დადგომის შემთხვევაში სადაზღვევო ორგანიზაცია აწარმოებს შემთხვევის ყველა გარემოების გამოკვლევას, ამოწმებს დამზღვევის მიერ წარდგენილი მონაცემების სისრულეს და სინამდვილესთან შესაბამისობას და დამზღვევის მიერ მნიშვნელოვანი ფაქტების დაფარვა (თუ ამან გავლენა მოახდინა ზიანის დადგომაზე, ზიანის სიდიდეზე) შესაძლებელია გახდეს სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. კეთილსინდისიერების პრინციპი ვრცელდება ზიანის დადგომის შემთხვევაზეც – დამზღვევმა აუცილებლად უნდა შეატყობინოს ამის შესახებ სადაზღვევო ორგანიზაციას და მიაწოდოს ზიანის დადგომასთან და ზიანის სიდიდესთან დაკავშირებული ყველა არსებითი ფაქტი. ასევე სადაზღვევო ორგანიზაციამ არ უნდა დაუშალოს დამზღვევს ამ უკანასკნელისათვის უცნობი მონაცემები, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, ვადებზე, სიდიდეზე.<sup>396</sup> ამრიგად, როგორც ქართულ ისე ინგლისის სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს მხარეთა ვალდებულება გაამჟღავნონ ინფორმაცია (ინფორმირების ვალდებულება), მაგრამ ამგვარი ვალდებულება ინგლისში გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ. სხვა სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ არსებობს მიდგომა, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების თითოეული მხარე ხელშეკრულების დადების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს საკუთარი რისკით, რადგან ვალდებულებითი ურთიერთობა არსებულად მიიჩნევა, როგორც კი იგი მიიღებს განსაზღვრულ ფორმას. მხარეებს არ ეკისრებათ ერთმანეთის მიმართ ყურადღების გამოჩენის ვალდებულება. მეცნიერთა აზრით, ამგვარი მიდგომა ასახავს ღია ვაჭრობის მოთხოვნილებებსა და რეალობას<sup>397</sup>.

მაგალითად, საქმეში *Walford v. Miles (1992)* უარყოფილი იქნა იდეა, რომ ხელშეკრულების დადების თაობაზე მოლაპარაკების წარმოების დროს მხარეები უნდა მოიქცნენ კეთილსინდისიერების მოთხოვნათა შესაბამისად. ლორდმა ანკერმა აღნიშნა, რომ კეთილსინდისიერების დაცვის ვალდებულება თავისი ბუნებით, ეწინააღმდეგება მოლაპარაკებებში მონაწილე მხარეთა ერთმანეთთან მეტოქეობას და პრაქტიკაში იგი განუხორციელებელია<sup>398</sup>.

ამრიგად, ინგლისურ სამართალში მოქმედებს ზოგადი წესი, რომლის შესაბამისად მხარეს არ ეკისრება მეორე მხარისათვის ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი ვალდებულება, რაც პრინციპის *caveat emptor* (დაე, მყიდველი იყოს წინდახედული) გავლენის შედეგია, ე.ი. თითოეული მხარის ვალდებულებაა საკუთარ ინტერესებზე ზრუნვა და

<sup>396</sup> იქვე, 52

<sup>397</sup> *Ben-Dror Y., The Perennial Ambiguity of Culpa in Contrahendo. The American Journal of Legal History. Vol. 27. №2. 1983, 193*

<sup>398</sup> *Waddams S.M., Cases and Materials on Contracts. Toronto. 2005, 233-234*



გადაწყვეტილების მიღება, დადოს თუ არა განსაზღვრული შეთანხმება<sup>399</sup>. მაგრამ ამგვარი მიდგომა, რომელიც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გამოხატულებაა და რომელიც, როგორც აღინიშნება, მნიშვნელოვანია საქმიან ურთიერთობებში, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მაგალითად მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულების მიმართ.

იშვიათ შემთხვევაშია მხარე ვალდებული გაუმჟღავნოს მეორე მხარეს არსებითი ინფორმაცია. კონტრაქტს შეუძლია დაფაროს განსაზღვრული ფაქტები იმის მიუხედავად, რომ ეს ფაქტები შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს მეორე მხარისათვის.<sup>400</sup>

ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება არსებობს იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულების მხარემ მეორე მხარეს აცნობა განსაზღვრული მონაცემები, ხოლო შემდგომ „დუმს“, ამით კი საშუალებას აძლევს მეორე მხარეს შეიქმნას არასწორი, მცდარი წარმოდგენა (შთაბეჭდილება). გარდა ამისა, დადგინდა, რომ „ცალკეულმა ფრაზამ ან თავის დაქნევამ ან თვალთ ნიშნებამ, თვალის ჩაკვრამ ან ღიმილმა“ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მეორე მხარე (საუბარია მცდარ ინფორმაციაზე, ინფორმაციის დამახინჯებაზე) და შეცდომაში პირის შეყვანა დაედოს საფუძვლად სასამართლოში აღძრულ მის მოთხოვნას მეორე მხარის მიმართ. მაგალითად, საქმეში *Curtis v Chemical Cleaning and Dyeing Co Ltd (1951)* ქიმწმენდის მოსამსახურემ მოსარჩელეს გადასცა ბეჭდიანი ქვითარი. მოსარჩელემ ჰკითხა, რას ნიშნავდა ეს. მოსამსახურემ ინფორმაცია მხოლოდ ნაწილობრივ გაუმჟღავნა და აცნობა, რომ საუბარია იმ პირობების შესახებ, რომლებიც გულისხმობენ ქიმწმენდის პასუხისმგებლობის გამორიცხვას ტანსაცმლის მძივის მარცვლების და კილიტების, ბზიანების დაზიანების შემთხვევაში. თუმცა სწორ ინფორმაციას წარმოადგენდა ის, რომ ქიმწმენდას არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ტანსაცმლის ნებისმიერი სახით დაზიანებისათვის. სასამართლო გადაწყვეტილებაში მიეთითა ის, რომ რადგან სწორი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილის გამჟღავნება მოხდა, მოსარჩელეს ჰქონდა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.<sup>401</sup>

თანდათან სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა ხელშეკრულების სუსტი მხარის დაცვის წესები:

პირველი წესი დაკავშირებულია ხელშეკრულების დადებასთან. ხელშეკრულების პირობები უნდა იკისროს ორივე მხარემ, ამიტომ ეს პირობები ცნობილი უნდა იყოს ორივე მხარისათვის, ე.ი. თუ მხარეს ხელშეკრულებაში შეაქვს უჩვეულო პირობა, ამის შესახებ ცნობილი უნდა იყოს კონტრაქტისათვის. მაგალითად, საქმეში *Thornton v Shoe Lane Parking (1971)* დადგინდა, რომ პარკინგის მომსახურებით სარგებლობის მსურველ ადამიანს, შეუძლია ივარაუდოს პარკინგის მომსახურების ხელშეკრულებაში იმ პირობების არსებობა, რომლებიც გამორიცხავენ ამ

<sup>399</sup> *Micklitz Hans-W.*, *The Politics of Judicial Co-operation in the EU: Sunday Trading, Equal Treatment and Good Faith.* Cambridge., 2005,299-300

<sup>400</sup> *Oughton D., Davis M.* Sourcebook on Contract Law. London., 2000,163

<sup>401</sup> *Beale H., Tallon D.*, *Contract Law: IUS Commune Casebooks for the Common Law of Europe.* Oxford, 2002, 502

მომსახურების გამწვევი ორგანიზაციის პასუხისმგებლობას სატრანსპორტო საშუალების დაკარგვის ან დაზიანებისათვის. ხოლო ხელშეკრულების სხვა პირობებზე, მათ შორის იმ პირობებზე, რომლებიც გამორიცხავენ ასეთი ორგანიზაციის პასუხისმგებლობას კლიენტის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისათვის, სპეციალურად უნდა გამახვილდეს ყურადღება<sup>402</sup>.

მომსახურების გამწვევი მხარე ვალდებულია მომხმარებლის ყურადღება გაამახვილოს (მიაქციოს) კონტრაქტის იმ პირობებზე, რომლებიც ამძიმებენ მომხმარებლის მდგომარეობას. ამგვარი პირობები არ შეიძლება მიჩნეულ იქნენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ დათქმად და მოითხოვენ (საჭიროებენ) ცალკე ყურადღების მიქცევას. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, რაც უფრო მეტად უჩვეულო და სპეციფიკურ პირობას წარმოადგენს კონტრაქტის ესა თუ ის დებულება, მით უფრო მეტად არის აუცილებელი მასზე მომხმარებლის ყურადღების გამახვილება<sup>403</sup>.

ფრანგულ სამართალში კი განვითარდა კეთილსინდისიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ვალდებულება. კერძოდ, ეს არის *obligations d'information* (ინფორმირების ანუ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება). ინფორმირების ვალდებულების დაცვა მეტწილად აუცილებელია სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობების წინასახელშეკრულებო სტადიაზე. ჯერ კიდევ 1962 წელს ლიტერატურაში აღინიშნებოდა, რომ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება არ შეიძლება არსებობდეს ფრანგულ სამართალში, რადგან ცხადია, ეს ვალდებულება არ შეესაბამება თანამედროვე ზნე-ჩვეულებებს.<sup>404</sup> გარდა ამისა, ერთ-ერთ ნაშრომში, რომელშიც ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება შედარებითი მეთოდის გამოყენებით იქნა გამოკვლეული, აღინიშნა, რომ ფრანგულ სამართალში ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს კეთილსინდისიერების პრინციპიდან, არ გამოიყენება ფართო გაგებით.<sup>405</sup> მაგრამ ინფორმირების ვალდებულება თანდათან ვითარდება და მისი გათვალისწინება ხდება არა მარტო ნასყიდობისა და დაზღვევის ხელშეკრულებებში, არამედ სხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებშიც. აღინიშნება, რომ ინფორმირების ვალდებულების მხარისათვის დაკისრებას განაპირობებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა უთანასწორობა.<sup>406</sup> ფრანგულ სასამართლო პრაქტიკაში ინფორმირების ვალდებულება განვითარდა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმათა საფუძველზე, რომლებიც ნების ნაკლს შეესება (*vices du consentement*). ამრიგად, როდესაც ინფორმირების

<sup>402</sup> Waddams S. M., Trebilcock M. J., Waldron M.A., Cases and Materials on Contracts. Toronto.

2005,482-485

<sup>403</sup> Beale H. G., Bishop W. D., Furmston M. P., Contract: Cases and Materials. Oxford, New York, 2007,338

<sup>404</sup> Ghestin J. La notion d'erreur dans le droit positif actuel. Paris. 1962. Cit : Legrand P., Pre-Contractual Disclosure and Information. English and French law compared. Oxford Journal of Legal Studies. Vol. 6, №3. 1986,324

<sup>405</sup> Kessler F., Fine E, Culpa in contrahendo, Bargaining in Good Faith and Freedom of contract: A Comparative Study. Harvard Law Review. Vol. 77(3). 1964. 418

<sup>406</sup> Ghestin J. The Pre-contractual Obligation to Disclose Information. French Report. In: Harris D. and Tallon D. (eds), Contract Law Today: Anglo-French Comparisons. 1989,151, 157

ვალდებულება არ არის დადგენილი კანონით, სასამართლო პრაქტიკაში, იმის განსაზღვრა, დაირღვა თუ არა ინფორმირების ვალდებულება, ხდება შეცდომის (*err eur*) ან მოტყუების (*dol*) შესახებ ნორმათა საფუძველზე.<sup>407</sup>

საკასაციო სასამართლოს 1954 წლის 1-ლი აპრილის გადაწყვეტილების შესაბამისად, მოტყუება წარმოადგენს ერთ-ერთი მხარის მიერ იმ ფაქტის დამალვას, რომელიც მისთვის არის ცნობილი და მოცემული ფაქტი მეორე მხარისათვის რომ ყოფილიყო ცნობილი, იგი არ დადებდა ხელშეკრულებას.<sup>408</sup>

მოტყუება ხელშეკრულების ბათილობის საფუძველია. ხოლო ზიანის ანაზღაურება შეიძლება ეფუძნებოდეს დელიქტური პასუხისმგებლობის შესახებ არსებულ 1382-ე მუხლს ფრანგული სამოქალაქო კოდექსისა. მეორე მხარისათვის შესაბამისი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის (ინფორმირების ვალდებულების დარღვევის) შემთხვევაში ერთადერთი სამართლებრივი საშუალებაა ზიანის ანაზღაურება.

ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას წარმოადგენს ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მოტყუება (შეცდომის განზრახ გამოწვევა). ქართულ სამართალშიც, მოტყუება უნდა ჩაითვალოს ინფორმირების ვალდებულების და მაშასადამე, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის ერთ-ერთ შემთხვევად. ასეთ დროს ხელშეკრულება ითვლება ნების ნაკლის საფუძველზე დადებულად. მოტყუება შეცდომის განზრახ გამოწვევაა, რაც განაპირობებს იმას, რომ მეორე მხარე ხდება ხელშეკრულების მონაწილე ისე, რომ მოტყუების ფაქტორის არარსებობის შემთხვევაში იგი არ გახდებოდა ამ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. მოტყუება არის მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს და გარდა ამისა, გავლენას ახდენს კონტრაქტის ნებაზე. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს მიაწოდონ ყოველგვარი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ნების შინაარსის ჩამოყალიბებისათვის. შესაბამისად, კეთილსინდისიერების პრინციპის მეშვეობით მოსამართლეს შესაძლებლობა ეძლევა დაადგინოს, თუ რომელი მოქმედება შეიძლება იყოს სასამართლოს წესით შეცილების საფუძველი. მაგალითად, სსკ-ის 874-ე მუხლის თანახმად, ანაბრის მიმღები და საკრედიტო დაწესებულების დირექტორები (მენეჯერები) ვალდებული არიან შეანაბრეს მიაწოდონ ინფორმაცია ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ. ინფორმირების ვალდებულების ბრალეულად (უფრო სწორი იქნება ნორმაში მიეთითოს ინფორმირების ვალდებულების არაკეთილსინდისიერ დარღვევაზე) დარღვევის შემთხვევაში დადგება ამავე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი (ზიანის ანაზღაურება). ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს

<sup>407</sup> *Fabre-Magnan M.*, Duties of Disclosure and French Contract Law. In: *Beatson J. Friedmann D.*, Good faith and fault in contract law. Oxford, 1997, 101

<sup>408</sup> *Nicholas B.*, The French Law of Contract. Oxford. 1992, 98

საკასაციო სასამართლომ განმარტა: როგორც შეცდომით, ისე მოტყუებით დადებული გარიგებისას ნების ნაკლს მხარის არასწორი წარმოდგენა განაპირობებს დასადები გარიგების არსთან თუ შინაარსთან დაკავშირებით, ასევე, იმ გარემოებების არასწორი აღქმა, რაც გარიგების დადებას საფუძვლად დაედო, მაგრამ მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავება, კერძოდ, მართალია, მოტყუებით დადებული გარიგებებისას, მხარე შეცდომის საფუძველზე შედის სამართალურთიერთობაში, მაგრამ ეს შეცდომა გამოწვეულია მეორე მხარის ქმედებით, ანუ, შეცდომით დადებული გარიგებისას, ხელშეკრულების კონტრაქტის კეთილსინდისიერია ნების ნაკლთან მიმართებით და მოდავე მხარის მცდარი წარმოდგენა მის მიერ გარკვეული მონაცემების დამალვით ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებით არ არის განპირობებული. სწორედ ამ მიზეზით, შეცდომით დადებული გარიგება, საცილო გარიგებათა შორის, ხანდაზმულობის ყველაზე მოკლე ვადას ითვალისწინებს. სამოქალაქო ბრუნვისათვის საზიანო იქნებოდა კეთილსინდისიერი მხარის კანონიერი ინტერესების ხანგრძლივად ეჭვქვეშ დაყენება გარიგების შეცილების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ გაიმიჯნოს შეცდომით და მოტყუებით დადებული გარიგებები, სრულყოფილად უნდა იქნეს გამოკვლეული გარიგების დადების წინაპირობები და უნდა დადგინდეს, რა გარემოებები დაედო საფუძვლად მხარეთა მიერ ნების გამოვლენას.<sup>409</sup>

სხვა საქმეზე კი საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: მოტყუება ცდომილებაში განზრახ შეყვანაა. მოტყუების დროს სახეზეა ნების გამოვლენის ნაკლი. მოტყუებისას ყოველთვის სახეზეა პირის სამართლებრივად გასაკიცხი მოქმედება. არ შეიძლება მოტყუებად ჩაითვალოს ზოგიერთი ფაქტის შელამაზება-გაზვიადება, რაც სამოქალაქო ბრუნვის თვალსაზრისით დაშვებულია. ასეა ხშირად სავაჭრო გარიგებებში, როცა ვაჭარი აქებს თავის საქონელს და ცდილობს ამით ფასი გაზარდოს. ზომიერი რეკლამა, რომელსაც საფუძვლად არ უდევს ბოროტი განზრახვა, ვერ ჩაითვლება არაკეთილსინდისიერ მოქმედებად. სააქციო საზოგადოების შეთავაზება სხვა პირისათვის, რომ მისი აქციები იქნება მომგებიანი და შემდგომში მომგების მომტანი, არ შეიძლება ჩაითვალოს მოტყუებად. აქციონერი არის სამეწარმეო რისკის მატარებელი, ვინაიდან აქციების მიხედვით მიღებული დივიდენდის ოდენობა შეიძლება იყოს მცირე, ვიდრე კაპიტალის განთავსების ალტერნატიული ფორმებიდან მიღებული მოგება ან შეიძლება მოგება საერთოდ ვერ იქნეს მიღებული. შეუძლებელია გარიგების დადების მიზნით მოტყუებად ჩაითვალოს ის გარემოება, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს არც ერთი მხარისათვის არ იყო ცნობილი და მისი დადგომა ხდება შემდეგში. შეუძლებელია აქციის

<sup>409</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1350-1275-2012

გამყიდველს ჰქონდეს გარანტია იმისა, რომ მის მიერ გაყიდული აქცია იქნება მომგებიანი.<sup>410</sup>

მხარე ვალდებულია გაამჟღავნოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს აცნობოს მანქანით სარგებლობის, მანქანის გამოყენების პირობები. მაგრამ ამგვარი ვალდებულება არ ეკისრება იმას, ვინც მანქანას არემონტებს.

ინფორმირების ვალდებულება არსებობს ნარდობის ურთიერთობაშიც. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: მენარდე ვალდებული იყო, მიახლოებით ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა შემკვეთისათვის. მოსარჩელეს არც სარჩელში მიუთითებია და არც შემდეგში წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც ზემოაღნიშნულ გარემოებას დაადასტურებდა. შემკვეთს უნდა ცოდნოდა ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ. მენარდეს, უპირველესად, ის უნდა დაედასტურებინა, რომ სწორედ პროექტის კორექტირებამ გააძვირა აშენების ღირებულება და შემკვეთი თანახმა იყო სამუშაოების გაგრძელებაზე გაძვირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ასეთი მტკიცებულება მენარდეს არ წარმოუდგენია. მართალია, იგი უთითებს ფარული სამუშაოების აქტებზე, მაგრამ ამ აქტებით მხოლოდ ის დასტურდება, რომ შემკვეთი პერიოდულად იღებდა შესრულებულ სამუშაოებს საპროექტო დოკუმენტაციის (მათ შორის, კორექტირებული პროექტის) მიხედვით, ხოლო, კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები 1მ<sup>2</sup>-ის აშენების ღირებულების გაზრდაზე ახდენდა თუ არა გავლენას, ხსენებული აქტებით არ დასტურდება. აქედან გამომდინარე, არც ის დასტურდება, რომ შემკვეთმა იცოდა ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ. ამასთან, შემკვეთს რომც ევარაუდა ხარჯთაღრიცხვის გაზრდის თაობაზე, მნიშვნელოვანია ასევე ისიც, თანახმა იყო თუ არა იგი სამუშაოების გაგრძელებაზე გაძვირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. გადახარჯვის ანაზღაურება შედის მენარდის და არა შემკვეთის ინტერესებში, ამიტომ კანონი სწორედ მენარდეს ავალდებულებს, დაუყოვნებლივ აცნობოს შემკვეთს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ. ამ მოქმედებით მენარდე შემკვეთს ატყობინებს, რომ მას სურს, მიიღოს გადახარჯვის ანაზღაურება, თუ გადახარჯვის მიუხედავად, შემკვეთი მაინც მოისურვებს სამუშაოების დასრულებას. მენარდე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს გადახარჯვის ანაზღაურებას, თუ აღნიშნულის თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ შემკვეთი მოითხოვს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას გაზრდილი ხარჯთაღრიცხვით, ანუ იგი თანახმა იქნება გადახარჯვის ანაზღაურებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემკვეთს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა დროსაც იგი ვალდებული იქნება, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მხოლოდ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.<sup>411</sup>

<sup>410</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № 33-938-02

<sup>411</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ან-888-834-2012

დეტალური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას და შესაბამისად არასათანადო ინფორმაციის მიწოდების აკრძალვას და ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს აღგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები (657-ე - 667-ე მუხლები).

ინფორმაცია, რომელსაც არა აქვს მნიშვნელობა მეორე მხარისათვის ხელშეკრულების დადების გადაწყვეტილების მისაღებად, ან რომელმაც შეიძლება ზიანიც კი მიაყენოს მხარეს, არ უნდა იქნეს გამჟღავნებული. მაგალითად, როდესაც პაციენტი ავად არის, ექიმი არ არის დარწმუნებული, რომ იგი გამოჯანმრთელდება, ექიმს შეუძლია აირჩიოს, უნდა გაუმჟღავნოს თუ არა მან ამგვარი ინფორმაცია პაციენტს. მაგრამ ექიმს ეკისრება ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება, რათა გააფრთხილოს პაციენტი დაავადებიდან გამომდინარე მოსალოდნელი გართულებების (მაგალითად, პაციენტისათვის დანიშნული მედიკამენტების გვერდითი მოვლენების) შესახებ იმისათვის, რომ პაციენტმა შეძლოს გართულებების თავიდან აცილება. მხარეს არ ეკისრება ინფორმირების (გამჟღავნების) ვალდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარემ, რომელსაც ინფორმაცია სჭირდება, უკვე იცის მის შესახებ.

არა მარტო ნასყიდობაში მონაწილე გამყიდველს, არამედ ექიმსაც, არქიტექტორსაც, დისტრიბუტორსაც, ბანკირსაც და იურისტსაც ეკისრებათ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება მანამ, სანამ ხელშეკრულებას დადებენ მეორე მხარესთან. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში დედა თავდებად დაუდგა შვილს, რადგან შვილი სხვაგვარად ვერ აიღებდა ბანკის კრედიტს. ჰოლანდიის უმაღლესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ბანკი როგორც პროფესიონალი გამსესხებელი, ვალდებული იყო, არაპროფესიონალი კონტრაქტენტი გაეფრთხილებინა იმ რისკისა და პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოვალის თავდებად დადგომას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.<sup>412</sup> ინფორმირების ვალდებულება ეფუძნება ან კანონს (კანონით შეიძლება დადგენილი იყოს ინფორმირების ვალდებულება) ან კონკრეტული სადავო საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო პრაქტიკა განსაზღვრავს (სასამართლო განმარტავს), ეკისრებოდა თუ არა მხარეს ინფორმირების ვალდებულება.

### 3.3.2 უსაფრთხოების ვალდებულება

არსებობს კიდევ ერთი დამატებითი ვალდებულება, რომელიც შეიძლება დოქტრინამ და ხორციელდება სასამართლო პრაქტიკაში - ეს არის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება. შედარებისათვის შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ვალდებულება დამახასიათებელია საფრანგეთის სამართლის სისტემისათვის (*obligation de securite*). შედარების მიზნით ფრანგული სამართლის მოხმობა მნიშვნელოვანია, რამეთუ წარმოჩინდეს, თუ ძირითადად რაზე კეთდება აქცენტი ამ ვალდებულების ანალიზისას. კერძოდ, ამგვარი ვალდებულების

<sup>412</sup> მაგალითი მოყვანილია ნაშრომიდან: *ოსკელიანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ქ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 60

მხარისათვის დაკისრებას განაპირობებს ტექნიკური პროგრესი და ინდუსტრიალიზაცია. მე-19 საუკუნის ბოლოს ფრანგულ ლიტერატურაში აღინიშნებოდა, რომ პირველ ყოვლისა, არსებობს მუშაკებისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იმ შემთხვევაში, როცა ზიანი მიყენებული იქნა საწარმოში შრომითი ხელშეკრულების შესრულების დროს, მეორე, არსებობს გადაყვანის ხელშეკრულების შესრულების დროს უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული მგზავრებისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. თანდათან სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. კერძოდ, პირველ ყოვლისა, მოცემული ვალდებულება წარმოადგენს დამატებით ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების მიმართ. რომელიმე ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება არ არსებობს. გარდა ამისა, საკმარისი არ არის მხოლოდ ის ფაქტი, რომ ზიანი მიაღება ხელშეკრულების კონტრაქტს. აუცილებელია, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება დაკავშირებული იყოს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებასთან; მეორე, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულების შინაარსს შეადგენს ის, რომ არ შეიქმნას სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების საფრთხე. შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება უკავშირდება ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუყენებლობას, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ. მესამე, ასეთი ვალდებულება ეკისრება მოვალეს, რომელიც ეწევა (ახორციელებს) პროფესიულ საქმიანობას. ის ფაქტორი, რომ ამგვარი ვალდებულება სამოქალაქო ბრუნვის პროფესიონალ მონაწილეს ეკისრება, განაპირობებს უფრო მაკარი წესების დადგენას ამ კატეგორიის პირთა მიმართ. საუბარია ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერ მხარეზე და ასევე ისეთ მხარეზე რისკის გადატანის თაობაზე, რომელსაც მეტი შესაძლებლობები აქვს ზიანის თავიდან ასაცილებლად.<sup>413</sup> აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება კეთილსინდისიერების შესახებ ნორმის (1134-ე მუხლის მე-3 ნაწილი) საფუძველზე როდი განვითარდა, არამედ განვითარდა 1135-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს არა მხოლოდ ის, რაც პირდაპირ არის გამოხატული მხარეთა მიერ, არამედ სამართლიანობის (*equite*) მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულებებიც. ამასთან, როგორც ფრანგულ დოქტრინაშია აღნიშნული, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის შემქმნელებმა ამ ნორმაში სხვაგვარი შინაარსი (აზრი) ჩადეს, კერძოდ კი კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად ხელშეკრულებათა შესრულების აუცილებლობა.<sup>414</sup>

მაგრამ იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე პერიოდში ფრანგულ სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპს და მისგან გამომდინარე ვალდებულებებს ენიჭება დიდი მნიშვნელობა, ფრანგ მეცნიერებს შორის

<sup>413</sup> *Синявская М. С.* Обязанность обеспечить безопасность как специфическая категория французского обязательственного права, „Российский судья” №6, 2006, 42

<sup>414</sup> იქვე, 44

ერთიანი მიდგომა არ არის შემუშავებული თავად კეთილსინდისიერების პრინციპის და კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების შემთხვევების განმარტების საკითხისადმი. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, რომლებიც აშკარად მოითხოვდა *bonne foi*-ს პრინციპის გამოყენებას, ის არ ყოფილა გამოყენებული.<sup>415</sup>

უსაფრთხოების ვალდებულებას ქართული სამართალიც აქცევს ყურადღებას. კერძოდ, სსკ-ის 318-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცემის ვალდებულება სხვა ყველაფერთან ერთად გულისხმობს ასევე ექსპლოატაციისას ან მოხმარებისას უსაფრთხოების უზრუნველყოფი ინფორმაციის გადაცემასაც კრედიტორისათვის.<sup>416</sup>

უსაფრთხოების ვალდებულება ქართულ სამართალში არსებობს მიბარების ურთიერთობებშიც (სსკ-ის 769-ე მუხლი), დაზღვევის ურთიერთობებშიც (სსკ-ის 808-ე მუხლი, 813-ე მუხლი), გადაზიდვა-გადაყვანის ურთიერთობაში და სხვა. მიბარების ხელშეკრულებაში კეთილსინდისიერების მოთხოვნა იმპერატიულად არის გამოხატული სსკ-ის 765-ე მუხლში. მათ შორის სასაქონლო საწყობში მიბარების დროსაც მოითხოვება ამ პრინციპის დაცვა (იხ. სსკ-ის 781-ე და 785-ე მუხლები).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხოების ვალდებულება ქართულ სამართალშიც კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დამატებით ვალდებულებას წარმოადგენს.

<sup>415</sup> *Nicholas B*, *The French Law of Contract*. Oxford 1992, 156

<sup>416</sup> *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გამომც., „სამართალი“, თბ., 2001, 54



## თავი IV სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის შედეგები

### 4.1 ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი<sup>417</sup>

დროს შეუძლია დაარღვიოს ხელშეკრულების თავდაპირველი წონასწორობა.<sup>418</sup> შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება სწორედ დროის მსვლელობით დარღვეული სახელშეკრულებო წონასწორობის აღდგენის სსკ-ით განმტკიცებული საშუალებაა.<sup>419</sup> საერთო წესის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ვალდებულ პირს. თუ მოვალეს ვალდებულების შესრულება გაუთუღდა ან მან დაკარგა ხელშეკრულების შესრულების ინტერესი, ეს მას არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან. მან თავად იკისრა ვალდებულების შესრულება და თავადვე უნდა ატაროს მისი შეუსრულებლობის რისკი. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი).<sup>420</sup> როდესაც საუბარია შეცვლილ გარემოებებზე, ასეთ დროს საუბარია იმაზე, რომ ხელშეკრულების შესრულებამდე და სახელშეკრულებო ურთიერთობების შეწყვეტამდე შეიძლება შეიცვალოს გარემოებები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული და ეს გარემოებები, გავლენას ახდენენ მხარეთა ვალდებულებებზე. ეს ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მხარის ვალდებულებები მეორე მხარის მიმართ გაიზარდა, რაც იწვევს მხარეთა შორის დისბალანსს და ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს.

ცნობილია, რომ პრინციპის *pacta sunt servanda* (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) ანტიპოლია *clausula rebus sic stantibus*, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ „ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმ გარემოებათა უცვლელობაზე, რომელთა არსებობის დროსაც დაიდო ხელშეკრულება”.<sup>421</sup>

„გარიგების საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული გარიგების მხარეების ერთობლივი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც დებენ

<sup>417</sup> შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საკითხთან დაკავშირებით დამატებით იხილეთ სტატია: *იმნაძე დ.*, ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, *ქ. „სამართალი“*, №8-9, 2000, 53-56; ასევე *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), *სამართლის ჟურნალი*, №2, 2011.

<sup>418</sup> *ზარანდია თ.*, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ადგილი და ვადები, *გამომც. „ჯისიაი“*, თბ., 2005, 97

<sup>419</sup> *ჩახანიძე თ.*, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, *ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, №3(26)<sup>10</sup>, 28

<sup>420</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-888-834-2012

<sup>421</sup> *Цвайгерт К. Кёты Х.*, Введение в сравнительное правоведение в сфере частного права Т.2, *Международные отношения*, М. 2000, 261

მხარეები გარიგებას”.<sup>422</sup> როდესაც ადგილი აქვს გარიგების საფუძვლის ხარვეზს, აღარ უნდა გაკეთდეს აქცენტი ხელშეკრულებაში გამოხატულ მხარეთა ნებაზე. მართებულია ოერტმანის პოზიცია, რომლის თანახმადაც, ამოსავალი უნდა იყოს მხარეთა ინტერესები და მოლოდინი და ამ ინტერესებისა და მოლოდინის შესაბამისად უნდა განაწილდეს მხარეთა შორის სახელშეკრულებო რისკები.<sup>423</sup> კერძოდ, კეთილსინდისიერების პრინციპი ირღვევა, როდესაც ხელშეკრულების მხარე მაშინაც კი ითხოვს ხელშეკრულების უპირობო შესრულებას, როდესაც წარმოდგენები ან მოლოდინი, რომელთა გათვალისწინებითაც ორივე მხარემ დადო ხელშეკრულება, ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებისა და საპასუხო შესრულების (საპასუხო ვალდებულების) კუთხით აღარ შეესაბამებიან ერთმანეთს. იგივე უნდა ითქვას ისეთ შემთხვევებზე, როდესაც თავდაპირველად არსებული გარემოებები იცვლება და სახეზეა ახალი ანუ წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოებები, რის გამოც ხელშეკრულებამ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა და მიზანი დაკარგა. აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე (სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლები) მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეცვლა (ხელშეკრულებაში შესწორების შეტანა, ხელშეკრულების კორექტირება) ან ხელშეკრულებიდან გასვლა.

იმ რამდენიმე თეორიიდან, რომლებიც გერმანელმა იურისტებმა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საკითხზე შეიმუშავეს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორ თეორიას - „ეკონომიკური შეუძლებლობისა” და „გარიგების საფუძვლის მოსპობის” თეორიებს, რომელთა მეშვეობით შეიძლებოდა თავიდან აცილებულიყო გარემოებების მკვეთრად შეცვლის შედეგად სახელშეკრულებო ვალდებულებებით მხარეთა ბოჭვა. ეს თეორიები ყველაფერთან ერთად კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზეც შემუშავდა.<sup>424</sup> მაგალითად, გერმანელმა იურისტებმა, გსკ-ს 275-ე მუხლით გაითვალისწინებული დებულების საფუძველზე პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიმუშავეს „ეკონომიკური შეუძლებლობის” დოქტრინა.

დოქტრინის დებულებებიდან გამომდინარე, მოვალე შეიძლება გათავისუფლდეს ხელშეკრულების შესრულებისაგან ომის შედეგად წარმოშობილი ეკონომიკური კატაკლიზმების, ინფლაციისა და ა.შ. მიზეზით (საფუძვლით). შესრულების შეუძლებლობის ცნება გაცილებით ფართოდ განიმარტებოდა. ოპონენტები მიუთითებდნენ, რომ ამგვარი ფართო გაგება სახელშეკრულებო ვალდებულებების მოწესრიგებაში

<sup>422</sup> ჰანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომც. „სამართალი”, თბ. 2011, 369

<sup>423</sup> Oertmann Paul, Die Geschäftsgrundlage: ein neuer Rechtsbegriff. Leipzig, 1921, მითითებულია: Eckl Ch., Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 36

<sup>424</sup> ამ თეორიების შესახებ დაწვრილებით მოცემულია ნაშრომში: Цвайгерт К. Кёму Х., Введение в сравнительное правоведение в сфере частного права Т.2, Международные отношения, М. 1998, 261-268

გაურკვევლობას გამოიწვევს და საბოლოო ჯამში შექმნის არასტაბილურ სიტუაციას კონტრაქტებს შორის ურთიერთობაში.

გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებასა და განვრცობითად განმარტებას, პირველ ყოვლისა, განაპირობებდა საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები (ძირითადად ეკონომიკური ცვლილებები), რომლებიც უდავოდ გავლენას ახდენდა სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებზე, რადგან ამგვარი ცვლილებების შედეგად შეიძლება დაირღვეს სახელშეკრულებო წონასწორობა. ასეთ დროს დგება ხელშეკრულების შეწყვეტის ანდა შეცვლილი გარემოებებისადმი სახელშეკრულებო ურთიერთობების მისადაგების საკითხი.

შეცვლილ გარემოებებს ადგილი ჰქონდა პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა გერმანიაში დაწყებულმა და 1921 წლის შემდეგ კიდევ უფრო მეტად გაღრმავებულმა ინფლაციამ, გამოიწვია გერმანული ვალუტის სრული დევალვაცია, ეკონომიკური პრობლემები და სოციალური უწყესრიგობა.

„ეკონომიკური შეუძლებლობის“ დოქტრინის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ეს წესი გამომდინარეობს გსკ-ს 242-ე მუხლში ასახული კეთილსინდისიერების პრინციპიდან. აქედან გამომდინარე, თუ მოვალე იძულებული გახდება დიდი ძალისხმევით ან შეუსაბამოდ დიდი ხარჯების მეშვეობით (რომლებიც არ შეიძლება კეთილსინდისიერად გათვალისწინებული ყოფილიყო ხელშეკრულების დადების მომენტში) შეასრულოს ხელშეკრულება, მაშინ ასეთი ვალდებულების შესრულების შესახებ კრედიტორის მოთხოვნა მიხნეულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო მოთხოვნად. მაგალითად, თუ მხარემ მოითხოვა სახელშეკრულებო ფასის გაზრდა იმ საფუძველით, რომ ინფლაციის გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობები მეტისმეტად მძიმე გახდა, ასეთ შემთხვევაში, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე გამართლებულია ხელშეკრულების შეწყვეტა, შესაძლებელია აგრეთვე შეთანხმების (ხელშეკრულების) შეცვლა, თუ ორივე მხარეს სურს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება.

კრედიტორი ბოროტად იყენებს უფლებას, ე.ი. არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს იმ შემთხვევაშიც, როცა შესრულებას დაჟინებით სთხოვს მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოვალეს.<sup>425</sup>

გამოიკვეთა სასამართლო წესით ხელშეკრულების შეცვლის სამი შემთხვევა. კერძოდ: 1. როდესაც მხარეებს აქვთ ხელშეკრულების გაგრძელების სურვილი; 2. მხოლოდდამხოლოდ სერიოზული და განსაკუთრებული შეცვლა გარემოებებისა, მაგალითად, ომი ამართლებს სასამართლო ჩარევას; 3. სახელშეკრულებო ურთიერთობების

<sup>425</sup> Цвайгерт К. Кёту Х., Введение в сравнительное правоведение в сфере частного права Т.2, Международные отношения, М. 1998, 264

სასამართლო წესით მოდიფიკაციამ უნდა დააბალანსოს მხარეთა ინტერესები.<sup>426</sup>

განსაკუთრებით ხაზი ესმება იმას, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების ეკონომიკური შეუძლებლობის მიზეზს ადგილი აქვს ომების, რევოლუციების, სატრანსპორტო პრობლემების შედეგად. ამგვარი მიდგომა აიხსნება იმით, რომ მომავალში (შემდგომში) თუნდაც აღმოიფხვრას აღნიშნული მიზეზები და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდეს, ისინი თავისი შინაარსით მთლიანად შეცვლილად უნდა მივიჩნიოთ იმასთან შედარებით, როგორც ეს თავდაპირველად იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

საიმპერიო უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი მიწოდების ხელშეკრულებებს ეხებოდა და გათვალისწინებული იყო, რომ გამყიდველი თავისუფლდებოდა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისაგან „ეკონომიკური შეუძლებლობის“ მიზეზით (საფუძვლით), თუ არსებული გარემოებების პირობებში საქონლის დამზადება მისთვის „მეტად მიიმე ტვირთი“ იქნებოდა. „გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომამ იმდენად უნდა გაართულოს ხელშეკრულების მიხედვით მისაწოდებელი საქონლის წარმოება, რომ ამ გარემოებების გამო შექმნილი განსაკუთრებული, საგანგებო სირთულეები საქმიანი სამყაროს მიერ შეუძლებლობად მიიჩნეოდეს და არა ისეთ სირთულედ, რომელიც გარდაუვალად წარმოიშობა საქონელზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების დროს ან წარმოების მკვეთრად გაზრდილი ხარჯების შემთხვევაში“.<sup>427</sup>

აღსანიშნავია, რომ ფასების ზრდა და გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული საქონლის ბაზარზე არარსებობა, არ ათავისუფლებდა გამყიდველს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისაგან. კერძოდ, საიმპერიო უმაღლესი სასამართლო აღნიშნავდა, რომ „ფასების არავითარი განსაკუთრებული ზრდა არ ათავისუფლებს გამყიდველს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისაგან, იმ პირობით, რომ ეს საქონელი იყიდება და არის საკმარისი რაოდენობით ბაზარზე, რათა შესრულდეს სახელშეკრულებო ვალდებულებები“.<sup>428</sup> მაგრამ „ეკონომიკური შეუძლებლობის“ დოქტრინის მკაფიო გამოყენება ვერ მოხდა (ეს დოქტრინა მკაფიოდ ვერ ჩამოყალიბდა).

შედეგად, შემუშავდა მეორე დოქტრინა, რომელიც ფართოდ გავრცელდა და რომლის გამოყენებაც დაიწყო სასამართლოებმა. ეს იყო 242-ე მუხლზე დაფუძნებული „გარიგების საფუძვლის მოსპობის“ შესახებ ოერტმანის თეორია. მოცემული დოქტრინის შესაბამისად, ყველა ხელშეკრულებას გააჩნია განსაზღვრული საფუძველი, რომელიც განაპირობებს მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების თაობაზე ნების გამოვლენას. ხელშეკრულებით დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია განსაზღვრული გარემოებების არარსებობის დროს და იმ შემთხვევაში,

<sup>426</sup> Dawson, J. P. Effects of Inflation on Private Contracts: Germany, 1914-1924. Michigan Law Review, Vol. 33, №2, 1934, 185

<sup>427</sup> RGZ 57, 116, 118. მოთითებულია : Цвайгерт К. Кёту Х., Введение в сравнительное правоведение в сфере частного права Т.2, Международные отношения, М. 1998, 263-264

<sup>428</sup> RGZ 88, 172, 177, მოთითებულია : Цвайгерт К. Кёту Х., Введение в сравнительное правоведение в сфере частного права Т.2, Международные отношения, М. 1998, 263-264

როცა გარიგების საფუძველი იცვლება, უნდა მოხდეს გარიგების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. თანამედროვე პერიოდში მოცემული დოქტრინა საკანონმდებლო წესით აისახა გსკ-ს 313-ე მუხლში.

მოსამართლემ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პრობლემის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა მიიღოს კეთილსინდისიერების პრინციპი უშუალოდ ვალდებულებათა განმარტებისა და შესრულების დროს. გარიგების საფუძველის მოსპობის შედეგს, პირველ ყოვლისა, წარმოადგენს ხელშეკრულების შეცვლა. ვალდებულების შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობების გაგრძელება აზრს მოკლებული ხდება.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების წესი ნებისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის შემოწმების შესაძლებლობას იძლევა ყოველი კონკრეტული შემთხვევის გარემოებების გათვალისწინებით. მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია ფულადი ვალდებულებით გათვალისწინებული თანხის გადაანგარიშება ყოველი კონკრეტული შემთხვევის პირობების მიმართ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საკითხს აწესრიგებს სსკ-ის 398-ე მუხლი. „შეცვლილი გარემოება ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორც გამამართლებელი საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი (ეკვივალენტური) გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს“.<sup>429</sup> გარემოების შეცვლა შეიძლება განაპირობოს როგორც შესრულების ღირებულების გაზრდამ, ისე მისმა შემცირებამ. შესრულების ღირებულების გაზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს ვალდებულების ერთ-ერთი მხარისათვის შესრულების ხარჯების არსებითი გაზრდით. როგორც წესი, ეს ის მხარეა, რომელიც ასრულებს არაფულად ვალდებულებას. ღირებულების არსებით გაზრდას ექნება ადგილი, როდესაც კატასტროფულად იზრდება მისაწოდებელი საქონლისა და ნაკისრი მომსახურების ფასები. მაგალითად, ფასის ზრდას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ისეთ ხელშეკრულებაში, როგორც ნარდობის ხელშეკრულებაა. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თუ მენარდე ამ უფლებით არ ისარგებლებს და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის

<sup>429</sup> ზოდუ ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გამოცემა „სამართალი“, თბ., 2001, 400

ანაზღაურება.<sup>430</sup> ფასი იზრდება, როცა პროდუქციის უსაფრთხოება მოითხოვს ძვირადღირებული საწარმოო ტექნოლოგიის დანერგვას. შესრულების ღირებულების შემცირებას კი მაშინ აქვს ადგილი, როცა არსებითად მცირდება შესრულების ღირებულება, ანდა საერთოდ ისპობა იგი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს საბაზრო ცვლილებები, მაგალითად, ინფლაციის კატასტროფული ზრდა სახელშეკრულებო ფასებთან მიმართებაში, ანდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების მიზანი ვერ განხორციელდება. დავუშვათ, აიკრძალა სამშენებლო სამუშაოების წარმოება, ანდა ადგილი აქვს საექსპორტო ემბარგოს, რის გამოც ვერ ხერხდება საქონლის ექსპორტირება. შესრულების ღირებულების გაზრდის საზომი ობიექტური გარემოებანი უნდა იყოს. მარტოდენ შესრულების მიმდების მხრიდან მისი შეფასება მხედველობაში არ მიიღება.<sup>431</sup> მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე სადავოს წარმოადგენდა განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის მოცულობის საკითხი. მოსარჩელის აზრით, ხელშეკრულების დადების შემდეგ დაიწყო ბინების ფასების კატასტროფული ზრდა, რისი გათვალისწინებაც ხელშეკრულების დადების მომენტში მას არ შეეძლო, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ ხელშეკრულებას საერთოდ არ დადებდა, ან დადებდა გაცილებით დიდი საფასურით. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ამ საქმეზე განმარტა: ბინებზე ფასების ზრდა არ წარმოადგენს იმ შეცვლილ გარემოებას, რაც სსკ-ის 398-ე მუხლის თანახმად მხარეს უფლებას აძლევს, მოითხოვოს შეცვლილ გარემოებისადმი ხელშეკრულების მისადაგება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ასეთ გარემოებათა შეცვლას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სრულიად გამონაკლის შემთხვევებში, რისი გონივრული გათვალისწინებაც მხარეთა მიერ სრულიად შეუძლებელია, რაც ისეთი მოულოდნელი და განსაკუთრებულია, რომ მისი მხედველობაში მიუღებლობა წინააღმდეგობაში მოვიდოდა კეთილსინდისიერების პრინციპთან. საქართველოში ბინების ფასების ზრდის ტენდენციის პირობებში კასატორს სრული შესაძლებლობა ჰქონდა, ევარაუდა მომავალი წელიწადნახევრის მანძილზე ბინის ფასის კვლავ ზრდის მოსალოდნელობის შესახებ და ამის გათვალისწინებით განესაზღვრა ბინის საფასურის გადახდის გრაფიკი.<sup>432</sup> შეცვლილი გარემოებანი არ უნდა იქნეს გაიგივებული შესრულების შეუძლებლობასთან. შეცვლილი გარემოებებისას შესრულების შესაძლებლობა მაინც არსებობს, მაშინ, როცა შესრულების შეუძლებლობისას იგი გამორიცხულია.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ყურადღება მახვილდება შესრულების შეუძლებლობისა და შესრულების გართულების ცნებების ერთმანეთისაგან გამიჯვნის აუცილებლობაზე. „შესრულების შეუძლებლობისას შესრულება ობიექტური მიზეზებით გამოირიცხება, შესრულების გართულებისას კი, ვალდებულების შესრულება

<sup>430</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-888-834-2012

<sup>431</sup> ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გამომც., „სამართალი“, თბ., 2001, 400-401

<sup>432</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-466-707-08

პრაქტიკულად შესაძლებელია, თუმცა, იმდენად დიდ დანახარჯებს მოითხოვს მოვალის მხრიდან, რომ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შესრულების შეუძლებლობის შედეგების შესრულების გართულების შემთხვევებზე გავრცელება.<sup>433</sup> ამდენად, მართალია პრინციპი „*pacta sunt servanda*” ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დანაწესია, რომელსაც ემყარება სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულების დაკისრება მხარისათვის აზრს მოკლებულია ან ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში გამართლებულია შესრულების ვალდებულებისაგან მოვალის გათავისუფლება. ვალდებულება რომ უნდა შესრულდეს, ეს სულაც არ ნიშნავს მისი ყველა გზითა და ყველა საშუალებით შესრულებას.<sup>434</sup>

როდესაც საუბარია კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებაზე, ეს ნიშნავს, რომ „შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების თაობაზე მხარეთა მოლაპარაკება უნდა დაემყაროს კეთილსინდისიერების პრინციპს. დაზარალებულ მხარეს კეთილსინდისიერად უნდა სჯეროდეს ხელშეკრულების პირობათა გადასინჯვის საჭიროება და ამას არ უნდა აკეთებდეს ტაქტიკური მანევრის სახით. მეორე მხარეც ასევე კონსტრუქციულად უნდა იქცეოდეს მოლაპარაკების პროცესში”.<sup>435</sup> ხაზი უნდა გაესვას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე იმპერატივის ჩანაცვლება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპით დაუშვებელია. მაგალითად, უცხოურ სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც მოსარჩელემ მოითხოვა არასაცხოვრებელი ფართების იჯარის ხელშეკრულების გაუქმება. მხარეთა შორის დადებული იყო იჯარის ხელშეკრულება სადავო ფართების თაობაზე ათი წლის ვადით. იმის გამო, რომ აუცილებელი გახდა ამ ფართების გადაცემა საპასპორტო-სავიზო სამსახურის შესაბამისი განყოფილებისათვის, მოსარჩელემ წერილობით მიმართა მოპასუხეს და შესთავაზა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა გარემოებათა არსებითად შეცვლის საფუძველზე. გარემოებათა შეცვლა მოსარჩელის აზრით, გამოიხატებოდა კანონმდებლობისა და პოლიტიკური სიტუაციის შეცვლაში. სასამართლომ ჩათვალია, რომ კანონმდებლობისა და პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა არ წარმოადგენს გარემოებათა არსებითად შეცვლას, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტა ასეთ პირობებში, სასამართლოს აზრით, დაარღვევდა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს.<sup>436</sup> ამასთან დაკავშირებით, მართებულად არის აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მოქმედებს მხოლოდ ხელშეკრულების დადების სტადიაზე<sup>437</sup> და არა ხელშეკრულების პირობებში ცვლილებათა შეტანის

<sup>433</sup> იხ: *მაისურაძე ა.*, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში. *ქ. „მართლმსაჯულება და კანონი” №2(37)13*42

<sup>434</sup> *ხოძი ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ., 2005, 286

<sup>435</sup> *ხოძი ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 406-407

<sup>436</sup> Постановление Федерального арбитражного суда Северо-Западного округа от 23 июня 2004 г. #A217193/03-С1//СПС „КонсультантПлюс“

<sup>437</sup> *Кузнецова О.А.* Нормы-принципы российского гражданского права, Статут, М., 2006, 243

დროს. ამიტომ, ერთი შეხედვით, ხელშეკრულებაზე უარის თქმა გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში, არღვევს არა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, არამედ იმ პრინციპს, რომლის თანახმადაც სახელშეკრულებო ვალდებულებები უნდა სრულდებოდეს. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პრინციპი ამ თვალსაზრისით ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს, თუმცა გარემოებათა არსებითად შეცვლის შემთხვევაში კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ხელშეკრულებაზე უარის თქმა, კონტრაქტის სრულიად ლეგიტიმურ უფლებამოსილებად უნდა ჩაითვალოს. კეთილსინდისიერების ფარგლებში ხელშეკრულების ორივე მხარე თანაბარწილად ვალდებულია, ხელი შეუწყოს ხელშეკრულების შესრულებას, ამასთან, სამოქალაქო კოდექსი ამავე პრინციპზე დაყრდნობით მხარეს ზოგ შემთხვევაში უფრო მეტს აკისრებს, ვიდრე ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართლის აღიარებული ზოგადი დათქმაა, რომელიც განმტკიცებულია სამოქალაქო კანონმდებლობით. მართალია, ნორმათა უმრავლესობა მასზე პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ მაინც მას ემყარება, ვინაიდან სამოქალაქო მართლწესრიგი სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული. კეთილსინდისიერი ქცევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერებითა და პატივისცემით მოქმედებას გულისხმობს. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სიმყარეს.

ამავდროულად, სამოქალაქო კოდექსის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს რა ვალდებულების ჯეროვანი შესრულება (სსკ-ის 361-ე მუხლი), მოვალე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება გათავისუფლდეს ამ ვალდებულების შესრულებისაგან.

სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლების არსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ<sup>438</sup> ერთ-ერთ საქმეზე ჩათვალა, რომ ბანკი, რომელსაც კონტრაქტი გულმოდგინე შემოწმებით ჰყავს შერჩეული, კეთილსინდისიერების ფარგლებში ვალდებულია, გაითვალისწინოს შეცვლილი ვითარება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებით და ამით ხელი შეუწყოს ვალდებულების შესრულებას. ამასთან დაკავშირებით შეფასება უნდა მიეცეს მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად გაზრდილი პრობლემური სესხების გამო მიღებული სახელმწიფო დახმარების შედეგად კომერციულმა ბანკებმა განახორციელეს საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებში ცვლილებების შეტანა. საგულისხმოა, რომ მოწინააღმდეგე მხარის

<sup>438</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-7-6-2010



წარმომადგენელმა საკასაციო სასამართლოს სხდომაზე დაადასტურა ამგვარი მოქმედების – სახელშეკრულებო შეღავათების განხორციელება სხვა კონტრაქტებთან მიმართებაში.

ამ საქმეზე სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 398-ე და 401-ე მუხლებზე და განმარტა: აღნიშნული ნორმებით სამოქალაქო კოდექსი ადგენს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ და შემზღვევად გარემოებებს. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებითი განსხვავებაა, კერძოდ, შესრულების შეუძლებლობისას ვალდებულების შესრულება მთლიანად გამორიცხულია, ანუ ამ შემთხვევაში ისეთ სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებებთან გვაქვს საქმე, რომელიც გამორიცხავს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას, ხოლო შეცვლილი გარემოებების შემთხვევაში შესრულების შესაძლებლობა მაინც არსებობს, თუმცა შესრულება გართულებულია, რადგან ხელშეკრულების დადების პერიოდში არსებული გარემოებანი კარდინალურად შეცვლილია. შეცვლილი გარემოება იმდენად ართულებს შესრულებას, რომ მისი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მოთხოვნა ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელ სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. შეცვლილი გარემოებების საწყისი, წარმომშობი მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ფორსმაჟორი, ისე სხვა გარემოებები, რომელიც რეალურად ართულებს შესრულებას.

სასამართლოს აზრით, სსკ-ის 398-ე მუხლის გამოყენება დასაშვებია ამავე მუხლით გათვალისწინებული შემდეგი აუცილებელი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში: 1. შეცვლილმა გარემოებებმა უნდა გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმება; 2. გარემოება აშკარად უნდა შეიცვალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ; 3. გარემოებების შეცვლის გონივრულად გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს შესაძლებელი არ უნდა იყოს, ანუ შეცვლილი გარემოებები არ უნდა შედიოდეს დაზარალებული მხარის კონტროლის სფეროში; 4. ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოებების შეცვლის რისკის დაზარალებული მხარისათვის დაკისრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობა მოქმედებს და 398-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია; 5. ხელშეკრულების შესრულების გართულება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ აშკარად შეცვლილ გარემოებათა გამო, ანუ უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

მითითებული ნორმა განსაზღვრავს შესრულების გართულების შედეგების თავიდან აცილების მიზნით კონტრაქტთა ხელახალ შეთანხმებას ხელშეკრულების შექმნილი ვითარებისადმი მისადაგებული პირობებით. ამასთან, მხარეთა ამგვარი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დაზარალებული მხარის უფლების დაცვა უზრუნველყოფილია სასამართლო წესით.

ამდენად, დავის განმხილველმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გამორიცხოს, კრედიტორის მიერ ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით შესრულების მოთხოვნა, შექმნილი ვითარების ფონზე ხომ არ გამოიწვევს მოვალის მძიმე მდგომარეობით ბოროტად სარგებლობას. ამავედროულად, ახალი სახელშეკრულებო პირობების შემუშავებისას (რომლითაც შეცვლილი გარემოებებისადმი

მისადაგება ხდება), გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორივე მხარის ის ინტერესები, რომელიც მათ გააჩნდათ ამჟამად მოქმედი ხელშეკრულების დადებისას. აღნიშნული გულისხმობს იმ ინტერესის გათვალისწინებას, რაც კრედიტორს გააჩნია ხელშეკრულების დადებისას (მოგება, სარგებელი და სხვა), მაგრამ ინტერესი გაითვალისწინება შეცვლილი გარემოების შესაბამისად.

ნორმით აღწერილ ვითარებაში სამართლებრივი შედეგი ცალსახაა – მხარეებმა ხელშეკრულება უნდა მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს ან უარი თქვან ხელშეკრულებაზე. აღნიშნული ნორმის მე-3 ნაწილით მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა და ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში სსკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი დგება. შეცვლილი გარემოებისადმი მისადაგებაზე კრედიტორის უარი არ ათავისუფლებს მოვალეს მიღებული შესრულების (სესხის) დაბრუნებისაგან. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს 398-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმა, რომლითაც შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მიუსადაგებლობის შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.<sup>439</sup>

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტის გამოყენებისას მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხიც. სსკ-ის 398-ე მუხლის ფარგლებში დაზარალებულმა მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ მოვლენის დადგომამ ვალდებულების შესრულება გახადა უკიდურესად მძიმე (განუხორციელებელი); ხელშეკრულება დაიდო იმ ძირითადი ვარაუდით, რომ მოვლენა არ დადგებოდა და რომ ხელშეკრულებით ვალდებულ პირს არ ჰქონდა გათვალისწინებული მოვლენის დადგომის რისკი (ამასთან, განუხორციელებლობა არ უნდა იყოს გამოწვეული მოვალის ბრალით); მითითებული ნორმა არ ითვალისწინებს პერიოდს, თუ რა დროის განმავლობაში უნდა მოითხოვოს დაზარალებულმა მხარემ შეცვლილი გარემოების შესაბამისი პირობების ხელშეკრულებაში ასახვა, მაგრამ მითითებული ნორმის არსიდან იკვეთება, რომ ასეთი მოთხოვნა ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, შეცვლილი გარემოების დადგომისთანავე. შეცვლილი გარემოების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება, მოთხოვნა გარემოების წარმოშობის მომენტიდან მოგვიანებითაც წარმოიშვას. აღნიშნულს განაპირობებს ის რეალობა, რომ ზოგ შემთხვევაში გარემოებათა შეცვლა ხდება თანდათან, გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც. მაგალითად, ომის შემთხვევაში შეცვლილი გარემოების საფუძვლის – ომის უარყოფითი ეკონომიკური შედეგები, როგორც წესი,

<sup>439</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-7-6-2010

არ სრულდება საომარი მოქმედებების დასრულებასთან ერთად და მას ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ხანგრძლივი განვითარება აქვს. ამიტომ ომი გარკვეული ვადის შემდეგაც შეიძლება იყოს ვალდებულების შესრულების გაგრძელების შეუძლებლობის საფუძველი.

ამრიგად, კეთილსინდისიერების პრინციპი, საშუალებას აძლევს მოსამართლეს მოქმედი სამართალი საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებს მიუსადაგოს.

ქართულ სამართალში მხარის უფლება, სსკ-ის 398-ე მუხლიდან გამომდინარე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ეფუძნება სამართლიანობის, კეთილსინდისიერების პრინციპს.

## 4.2 მნიშვნელოვანი საფუძვლის გამო გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე უარის თქმის უფლება

კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის ერთ-ერთი შედეგია გრძელვადიან ურთიერთობებზე უარის თქმა. ეს წესი განხორციელებულია სსკ-ის 399-ე მუხლში. „ეს ნორმა ადგენს გამონაკლისს სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული წესიდან. კერძოდ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის შესაძლებლობას კანონმდებელი უშვებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახეზე არ არის სსკ-ის 405-ე მუხლით დადგენილი უმთავრესი წინაპირობა - ვალდებულების დარღვევა.<sup>440</sup> გრძელვადიან ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია სახეზე იყოს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა და პატივსადები მიზეზი, რომლის არსებობისას მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება და არც ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაცვა.<sup>441</sup> გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებს მიეკუთვნება ქირავნობის, იჯარის, ღიზინგის, დაზღვევის, ერთობლივი საქმიანობის და ზოგიერთი სხვა ხელშეკრულება. უმეტესწილად ხელშეკრულების მოშლისა თუ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველია ვალდებულების დარღვევა, რაც, ცხადია, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის სწორედ პატივსადები მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, რომლის არსებობისას მას, სსკ-ის 405-ე მუხლის თანახმად უფლება აქვს დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ უარი თქვას ხელშეკრულებაზე. „აღნიშნულის გათვალისწინებით, სსკ-ის 399-ე მუხლის მე-2 ნაწილი იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ თუ პატივსადები მიზეზი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაა, ასეთ შემთხვევაში

<sup>440</sup> ჩახავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2011, 75

<sup>441</sup> ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, 410

გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლა დასაშვები იქნება მხოლოდ სსკ-ის 405-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების დაცვით.”<sup>442</sup>

ამ მუხლში კანონმდებელი ყურადღებას განსაკუთრებით იმ გარემოებაზე ამახვილებს, შეუძლია თუ არა ხელშეკრულებიდან გამსვლელ მხარეს „ყველა გარემოების და მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით”, გააგრძელოს ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობა დათქმული ვადის ფარგლებში.

უცხოურ დოქტრინაშიც გრძელვადიან ურთიერთობებზე უარის თქმის შესახებ არსებულ წესს კეთილსინდისიერების პრინციპთან აკავშირებენ. მაგალითად, ლარენცი თავის მოსაზრებას გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობის ვადამდე შეწყვეტის შესახებ, როცა ვალდებულებითი ურთიერთობის შენარჩუნება, გაგრძელება განსაზღვრული მიზეზების გამო სათუთა, არა მხოლოდ სამართლის ანალოგიაზე, არამედ კეთილსინდისიერების პრინციპზეც ამყარებს.<sup>443</sup> გერმანულ წყაროებში სამართლის ანალოგიაზე მითითება არ არის შემთხვევითი. 2002 წლამდე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავდა საქართველოს სსკ-ის 399-ე მუხლის მაგვარ ვალდებულებას და ეს ინსტიტუტი ჩვეულებითი სამართლის სახით ვითარდებოდა. ამ მიზნით სასამართლო პრაქტიკა გსკ-ის 242-ე მუხლს ეყრდნობოდა და ხელშეკრულების ვადამდე მოშლას დასაშვებად მიიჩნევდა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე. რაც შეეხება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში სსკ-ის 399-ე მუხლის გამოყენებას, მართებულია შემდეგი მოსაზრება: „რადგან ხელშეკრულების მოშლა მეორე მხარისათვის მძიმე შედეგის მომტანი შეიძლება იყოს, სასამართლო სსკ-ის 399-ე მუხლს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა დაეყრდნოს და მის გამოყენებამდე, პირველ რიგში, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შესაძლებლობა უნდა გადაამოწმოს.”<sup>444</sup>

### 4.3 ხელშეკრულების (გარიგების) ბათილობა

საინტერესოა განვიხილოთ სანქციების საკითხიც, რომლებიც მოჰყვება უფლების განხორციელებისას კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნათა დარღვევას. იმდენად, რამდენადაც ზოგადი ნორმა სამოქალაქო კოდექსში არ არსებობს, რომელიც ამ პრინციპის დარღვევის შედეგს გაითვალისწინებდა, უნდა შევეხოთ ცალკეულ ნორმებს. ამასთან, აუცილებელია თითოეულ კონკრეტულ გარიგებაში არა მხოლოდ სუსტი მხარის დაცვა, არამედ კეთილსინდისიერების მოთხოვნის საწინააღმდეგო მთლიანი გარიგების (ან გარიგების რომელიმე პირობის) ბათილობის შესახებ ზოგადი წესის დადგენაც,

<sup>442</sup> ჩახავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2011, 77

<sup>443</sup> Larenz Karl, Lehrbuch des Schuldrechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14 Auflage, München, 1987, 136

<sup>444</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა. 2010, 227

მითუმეტეს იმ ფონზე, როცა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლებელია როგორც კანონით გათვალისწინებული, ისე კანონით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულებების დადება. გარიგების ბათილობის შესახებ სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმები არ შეიცავენ კეთილსინდისიერების მოთხოვნის დარღვევის გამო გარიგების ბათილობის წესს. სსკ-ის მე-8 მუხლი კი, მართალია სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ავალდებულებს უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელებას, მაგრამ კეთილსინდისიერების მოთხოვნის დარღვევის სამართლებრივ შედეგს არ ადგენს. ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის სამართლებრივ შედეგად უთითებს ხელშეკრულების ბათილობაზე, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ინსტიტუტია. ცხადია, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევისას სამართლებრივად არასწორი იქნებოდა გარიგების ბათილობა მოგვეთხოვა ზნეობისადმი მისი საწინააღმდეგოობის საფუძველით (სკ-ის 54-ე მუხლი).

პრობლემას ვერ ხსნის სსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან პირთა თავისუფლებებს იცავს, ვინაიდან როგორც ამ ნაშრომშია აღნიშნული, უფლების ბოროტად გამოყენება წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის მხოლოდ ერთ-ერთ შემთხვევას. აუცილებელია, პირველ ყოვლისა, გარიგების დადებისას მოეთხოვოს კონტრაქტებს კეთილსინდისიერი პირობების დადგენა და არა მხოლოდ გარიგების (ხელშეკრულების) შესრულებისას.

სამოქალაქო კოდექსში მხოლოდ ცალკეული კონკრეტული აკრძალვებია დადგენილი, როცა მხარეებს ეკრძალებათ არაკეთილსინდისიერი მოქმედება. კონკრეტული აკრძალვების დადგენით შეუძლებელია მხარის დაცვა არაკეთილსინდისიერი კონტრაქტებისაგან, რადგან სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს (და ვერც იქნება მასში ამგვარი რამ მოცემული) ყველა იმ ხელშეკრულების ჩამონათვალს, რომლებშიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს არაკეთილსინდისიერი პირობები. კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო გარიგების ბათილად ცნობის წესი თუ დადგინდება, ამით ამაღლდება მხარეთა პასუხისმგებლობაც ხელშეკრულების დადებისას. მხარეები ეცდებიან მეტი პასუხისმგებლობითა და ყურადღებით ჩამოაყალიბონ ხელშეკრულების პირობები, ხელშეკრულებაში არ შეიტანონ ისეთი პირობები, რომლებმაც შეიძლება ერთ-ერთი მხარე არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს და გააუარესოს მისი უფლებრივი მდგომარეობა იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც მას ჰქონდა ხელშეკრულების დადებამდე. მაგალითად, შეიძლება შეიქმნას ისეთი ვითარება, როდესაც ერთ-ერთმა მხარემ არ იცის რაიმე გარემოების არსებობის შესახებ (არ არის ინფორმირებული გარემოებათა თაობაზე), ხოლო მეორე მხარეს შესაძლებლობა ექმნება არაკეთილსინდისიერად ისარგებლოს სუბიექტის არაინფორმირებულობით.

ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერი პირობების ბათილად ცნობის გზით კი შესაძლებელი გახდება არაინფორმირებული მხარის

არაკეთილსინდისიერი კონტრაქტისაგან დაცვა. გარდა ამისა, იმის მტკიცება უფრო ადვილი იქნება, რომ ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებაში კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო პირობების (არაკეთილსინდისიერი პირობების) შეტანას, ვიდრე იმის მტკიცება, რომ ადგილი ჰქონდა კონტრაქტის მოტყუებას (შეცდომის განზრახ გამოწვევას), რამეთუ არაკეთილსინდისიერი მოქმედებების განხორციელების დროს შეიძლება სახეზე იყოს არა მხოლოდ სუბიექტის განზრახვა, არამედ ნებისმიერი ბრალეული ქცევა.

უცხოური კანონმდებლობა დიდ ფუნქციასა და მნიშვნელობას ანიჭებს კეთილსინდისიერების პრინციპს და ბათილად მიიჩნევს კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო შინაარსის მქონე გარიგებას. კერძოდ, გსკ-ს 138-ე მუხლი ეხება კეთილი ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებას და მევახშეობას და ადგენს, რომ ბათილია კეთილი ზნეობის საწინააღმდეგო გარიგება. დიდ ბრიტანეთში მოქმედებს ხელშეკრულებათა უსამართლო პირობების შესახებ 1977 წლის 26 ოქტომბრის კანონი.<sup>445</sup> ამ კანონის მე-13 და 21-22-ე მუხლების თანახმად, ბათილია პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ან პასუხისმგებლობის შემზღუდავი ხელშეკრულების პირობები. 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კი ბათილია ასევე ხელშეკრულების პირობები, რომლებიც იმ პირს, ვის მიმართაც ისინი შეიძლება იქნეს გამოყენებული, ართმევენ, ან შეუძლიათ წაართვან განსაზღვრული განსაკუთრებული უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს ამ პირს სოციალური პოლიტიკის ფარგლებში ანდა ისეთი უფლებები, რომლებითაც აღჭურვა გონივრულად შეეძლო ევარაუდა (რომლებითაც აღჭურვის იმედიც შეიძლება გონივრულად ჰქონდა) საქონლის (მომსახურების) მიმღებს ხელშეკრულების დადების დროს.

იაპონიის სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილია იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და კეთილსინდისიერებას.<sup>446</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ არსებობს ცალკე ნორმა კაბალური გარიგების ბათილად ცნობას რომ ეხებოდეს. სამაგიეროდ, სსკ-ის 55-ე მუხლი<sup>447</sup> ბათილად მიიჩნევს გავლენის ბოროტად გამოყენების გამო დადებულ გარიგებას. ასეთი გარიგება ნების გამოვლენის ნაკლის თავისებურ შემთხვევას წარმოადგენს. ამგვარ გარიგებას „სამეცნიერო ლიტერატურაში და პრაქტიკაშიც კაბალურ გარიგებას უწოდებენ. კაბალური გარიგებისათვის დამახასიათებელია, რომ: გარიგების ობიექტურად განსაზღვრულ შესრულებასა და

<sup>445</sup> <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/50>

<sup>446</sup> [http://en.wikisource.org/wiki/Civil\\_Code\\_of\\_Japan/Part\\_I](http://en.wikisource.org/wiki/Civil_Code_of_Japan/Part_I)

<sup>447</sup> მართებულია პოზიცია, რომ სსკ-ის 55-ე მუხლის დაწესებით კანონმდებელი „ეწინააღმდეგება არაეკვივალენტურ გარიგებებს. გარიგება ორივე მხარისათვის თანაბრად უნდა იყოს სარგებლის მომტანი. თუ ერთი მხარე მხოლოდ სარგებელს ნახავს, ხოლო მეორე მხარისათვის ტვირთი იქნება, მაშინ სახელშეკრულებო წონასწორობა არათუ დაირღვევა, არამედ არც წარმოიშობა და თავისთავად არც სახელშეკრულებო სამართლიანობა დამყარდება.“ იხ: *ჩაჩანიძე თ.*, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(26)<sup>10</sup>, 27

შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა; გარიგების ერთი მხარე ბოროტად იყენებს საბაზრო ძალაუფლებას. და ბოლოს, გარიგება დადებულია მისი ერთი მხარის მძიმე მდგომარეობის გამოყენებით. სწორედ ეს პირობები განსაზღვრავენ ნების გამოვლენის ნაკლს. კაბალური გარიგებით დაზარალებული მხარე მართალია, სწორად აღიქვამს მის კაბალურ ხასიათს, მაგრამ გარემოებათა დამთხვევის გამო, უკიდურესი საჭიროებისათვის გამოავლენს ამგვარი გარიგების დადების ნებას, რაც არ შეესაბამება მის შინაგან ნებას და ამიტომ ნების ნაკლის გამო ბათილად უნდა იყოს იგი ცნობილი”.<sup>448</sup> სსკ-ის 55-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგება უფლების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს. ნორმის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.

გავლენის ბოროტად გამოყენების საფუძვლით გარიგების ბათილად ცნობის შესახებ ნორმა, ისევე როგორც კეთილსინდისიერების პრინციპი, იცავს გარიგების სუსტი მხარის ინტერესებს, რამეთუ კეთილსინდისიერების პრინციპი მოითხოვს, მხარეთა შორის ურთიერთობებში უფლების განხორციელების დროს მხარემ გაითვალისწინოს მეორე მხარის ინტერესები.<sup>449</sup> მაგრამ გავლენის ბოროტად გამოყენების გამო გარიგების ბათილობის შესახებ ნორმა ადგენს გარკვეულ, მკაფიო კრიტერიუმს – სახეზე უნდა იყოს განსაკუთრებულ ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებში ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენება. აღნიშნულმა ნორმამ 2012 წლის 8 მაისის ცვლილებით შინაარსი შეიცვალა. ნორმის მანამდე არსებული რედაქცია, ზემოაღნიშნული კრიტერიუმის გარდა, სავალდებულოს ხდიდა სახეზე ყოფილიყო საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ან ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობა ან გამოუცდელობა (გულუბრყვილობა). აშკარაა, რომ ნორმის ადრინდელი რედაქციით დადგენილი ეს კრიტერიუმებიც კი, გამოიყენებოდა მხოლოდ გარიგებათა ვიწრო (შეზღუდული) წრის მიმართ და არ მოიცავდა გარიგების მხარის უფლებათა დარღვევის (შელახვის) სხვა შემთხვევებს. საინტერესოა სსკ-ის 55-ე მუხლში

<sup>448</sup> სუხიტაშვილი დ., საერთაშორისო სამართალი, თბ., 2012, 220

<sup>449</sup> სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე ზოგიერთი ავტორი მაგალითად დასაშვებად მიიჩნევს თავდებობის ხელშეკრულების გაბათილებას როგორც ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო დადებულ გარიგებას. მიეთითება შემდეგი მაგალითი: ბანკმა გასცა კრედიტი და კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით მთელ თანხაზე კრედიტის მიძღების შვილმა იკისრა თავდებობა, რომელიც ჯერ სწავლობს. თავდებობა ბათილია, როდესაც ემოციური კავშირის საფუძველზე ვალდებულების საკუთარ თავზე აღებით თავდები თავისი თავდებობით მკვეთრად აჭარბებს თავის შესაძლებლობებს და გონიერი კრედიტორის თვალთ ეს თავდებობა ეკონომიკურად აზრს მოკლებულია. მკვეთრ გადაჭარბებულა საუბარი, როცა თავდებს კრედიტის პროცენტის გადახდის უნარიც კი არ შესწევს. ეს გადაჭარბება მიგვანიშნებს თავდებსა და მოვალეს შორის გარკვეული ურთიერთობის არსებობისას (ამ შემთხვევაში – მამას თავდებად უღგება შვილი) თავდებობის ვალდებულების აღება მოხდა ემოციური კავშირის საფუძველზე. იხ: ბოელინგი პ., ლუტრინგჰაუსი პ., შატერაშვილი დ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, მითითებულია თოდუა მ., ქურდაძე შ., ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბ., 2005, 178-179.



განხორციელებული ცვლილების მიღების მიზეზის ახსნა. როგორც შესაბამისი კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, კანონპროექტის მიღების მიზეზია „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება, რამაც განაპირობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის აუცილებლობა. ხოლო ცვლილების მიზანია „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისობაში მოყვანა. ცვლილების ძირითადი არსი კი სსკ-ის 55-ე მუხლის გაუქმებაა, რომელიც ეხება საბაზრო ძალაუფლების გამოყენებით დადებულ გარიგებას. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი ითვალისწინებს ამგვარი გარიგებების რეგულირებას. ცვლილება კი მიზნად ისახავს დაბლირების თავიდან აცილებას. განმარტებით ბარათში<sup>450</sup> მითითებული არგუმენტაცია კრიტიკას ვერ უძლებს. ნებისმიერი ახალი ნორმის მიღების მიზანი უნდა იყოს არა თავისთავად დაბლირების თავიდან აცილება, არამედ სუსტი მხარის ინტერესების და უფლებების დაცვის გარანტიების გაფართოება. აშკარაა, რომ კანონის ახალი რედაქციით დავიწროვდა უფლების დაცვის არეალი. სსკ-ის 55-ე მუხლის და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის მიზნები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთ მიზნად დასახელებულია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა. სსკ-ის 55-ე მუხლი კი უნდა ვრცელდებოდეს არა მხოლოდ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებზე, ე.ი. უნდა იყოს არა მხოლოდ დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტების კონტროლის მექანიზმი, არამედ ნებისმიერი იმ სუბიექტის კონტროლის მექანიზმი, რომელსაც შესაძლოა არც ეკავოს დომინირებული მდგომარეობა, მაგრამ სახელშეკრულებო ურთიერთობათა დამყარებისას იყენებდეს მეორე მხარის მძიმე მდგომარეობას, გამოუცდევლობას ან გულუბრყვილობას. ამასთან, სსკ-ის 55-ე მუხლის ამჟამინდელი რედაქციაც ბუნდოვანი და გაუმართავია. ნორმის თანახმად, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება გავლენის ბოროტად გამოყენებით დადებული გარიგება ბათილად, როცა გარიგება ემყარება მხარეთა განსაკუთრებულ ნდობას. სრულიად საკმარისი უნდა იყოს გავლენის ბოროტად გამოყენება ან კონტრაქტის ნდობის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენება გარიგების გასაბათილებლად, იმისდა მიუხედავად, განსაკუთრებული ნდობა ექნება პირს მეორე პირის მიმართ თუ რაიმე სხვაგვარი ნდობა. მოცემული ნორმა კი კუმულატიური პირობის სახით არის ჩამოყალიბებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ისეთი კატეგორიები, როგორც არის ნდობის დარღვევა, გავლენის ბოროტად გამოყენება, მეორე მხარის გულუბრყვილობით ან გამოუცდევლობით, ან მძიმე მდგომარეობით სარგებლობა, კეთილსინდისიერების პრინციპით აკრძალული ქმედებებია. ამიტომ, მიზანშეწონილია სსკ-ის 55-ე მუხლის ფორმულირება შემდეგი რედაქციით: „ბათილია კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ დადებული გარიგება“. ამგვარი ფორმულირება სასამართლოებს მისცემს

<sup>450</sup> ამ განმარტებითი ბარათის ნახვა შესაძლებელია: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)



კონკრეტული შემთხვევების შეფასების ფართო შესაძლებლობას, გადაწყვეტს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ნორმასაც უფრო მეტ სტაბილურობას შესძენს, გააფართოებს სუსტი მხარის ინტერესების დაცვის და შესაბამისად, დომინირებული მდგომარეობის ან გავლენის ბოროტად გამოყენებელი მხარის კონტროლის არეალს.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა შეიცავს ცალკეულ ნორმას, რომლებშიც კანონმდებელი სპეციალურად მიუთითებს კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო ხელშეკრულების პირობების ბათილობაზე. ხაზგასასმელია, რომ როგორც წესი, ასეთ დროს საუბარია იმ ხელშეკრულებებზე (გარიგებებზე), რომლებშიც ერთ ერთი მხარის ინტერესების შელახვის დიდი ალბათობა არსებობს. მაგალითად, ასეთია სსკ-ის 346-ე მუხლი. სსკ-ის 395-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმპერატიულად არის აკრძალული მხარეთა შორის წინასწარი შეთანხმების დადება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების შესახებ. მართალია ამ ნორმაში სიტყვა „ბათილობა“ ნახსენები არ არის, მაგრამ ამგვარი შეთანხმების დაუშვებლობა სწორედ იმას გულისხმობს, რომ სხვაგვარი შეთანხმება მხარეთა შორის ბათილი იქნება (იხ. ასევე სსკ-ის 410-ე მუხლი). 938-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ბათილია შეთანხმება, რომელიც აუქმებს ან ზღუდავს ხელშეკრულებიდან მონაწილის გასვლის უფლებას.

არსებობენ ასევე ნორმები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ შეიცვალოს ან შეწყდეს (მოიშალოს) ის ხელშეკრულება, რომელიც აშკარად არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ხელშეკრულების მხარეს (მხარეებს). კერძოდ, შეიძლება დავასახელოთ სსკ-ის 398-ე და 399-ე მუხლები.

შეიძლება გამოიკვეთოს კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო ბათილი გარიგებები. კერძოდ, ასეთია ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით დადებული გარიგებები (კაბალური გარიგებები), მოტყუებით, იძულებით (ძალადობით ან მუქარით) დადებული გარიგებები); უფლებამოსილება შეზღუდული პირის მიერ უფლებამოსილების შეზღუდვის ფარგლების გადაცილებით დადებული გარიგებები, როცა მეორე მხარემ იცის ან უნდა სცოდნოდა უფლებამოსილების შეზღუდვის ფარგლების გადაცილების შესახებ. შეიძლება დასახელდეს სხვა გარიგებებიც. ამგვარ გარიგებებში ერთ-ერთმა მხარემ ან გარიგების ორივე მხარემ (მხარეებმა) იცის, რომ ასეთი გარიგების დადებით შეიძლება დაირღვეს გარიგების მეორე მხარის უფლებები და ინტერესები ან მესამე პირის ინტერესები და ამ ფაქტორით სარგებლობენ.

მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებაც ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო გარიგებებს. მართალია, როგორც წესი, მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებებით არ ირღვევა გარიგების მხარეთა უფლებები, მაგრამ ამგვარი გარიგებებით შეიძლება დაირღვეს მესამე პირთა უფლებები.

„ამ კატეგორიის გარიგებათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გარიგების მონაწილეები ურთიერთშეთანხმებით მიზნად ისახავენ მესამე პირთა შეყვანას შეცდომაში“.<sup>451</sup> მაგალითად, სსკ-ის 173-ე მუხლი თანამესაკუთრეს ანიჭებს თანასაკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლებას, თუ ამგვარი უფლება მხარეთა შეთანხმებით არის გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში, თვალთმაქცური იქნება მაგალითად, თანასაკუთრების წილის ჩუქების ხელშეკრულების დადება მხარეთა შორის, აღნიშნული წილის ნასყიდობის დასაფარად, გასხვისებული წილის უპირატესი შესყიდვის უფლების დარღვევის მიზნით. მაგრამ კეთილსინდისიერების პრინციპისადმი საწინააღმდეგობის საფუძვლით ბათილ გარიგებებს არ მიეკუთვნება საჯარო წესრიგისა და ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებები. საქმე იმაშია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპისადმი საწინააღმდეგო გარიგებების დამახასიათებელი ნიშანია არა მთელი საზოგადოების ინტერესების, არამედ, პირველ ყოვლისა, კონკრეტული პირების კერძო ინტერესების დარღვევა.

დოქტრინაში, სხვადასხვა დროს, გამოითქვა მოსაზრება კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო ბათილი ხელშეკრულებების თაობაზე. პოკროვსკი ასეთ ხელშეკრულებებს (გარიგებებს) „ექსპლუატატორულს“ ან „სავახშო“ გარიგებებს უწოდებდა და გააანალიზა ამგვარი ხელშეკრულებების იურიდიული სტრუქტურა. კერძოდ, მან გამოკვეთა კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო ბათილი გარიგებების ორი ნიშანი. პირველ ყოვლისა, კონტრაჰენტს უნდა ჰქონდეს განზრახვა ისარგებლოს მეორე მხარის სისუსტით, სუსტი მდგომარეობით (ეს არის სუბიექტური ნიშანი), მეორე მხრივ, აუცილებელია, რომ იმ ვალდებულებებს შორის შეუსაბამობა აშკარა იყოს, რომლებიც ერთმანეთის მიმართ იკისრეს კონტრაჰენტებმა (ეს არის ობიექტური ნიშანი). ამის გამო, პოკროვსკი ამგვარი ბათილი გარიგებების შესახებ ნორმის კანონში შემოღების წინააღმდეგი იყო, რადგან მიიჩნევდა, რომ ამით მოსამართლეს მძიმე ტვირთი დააწევბოდა, კერძოდ, მოსამართლეს მოუწევდა ეკონტროლებინა სამოქალაქო ბრუნვა, ნორმალური კონკურენციისა და „დაუშვებელი ექსპლუატაციის“ შემთხვევების გამიჯვნის გზით. რადგან ამგვარი გარიგებებით ხდება „ეკონომიკურად სუსტი“ მხარის დაცვა და ასეთი გარიგებები მიმართულია „მევახშეობის“ წინააღმდეგ, პოკროვსკი ყურადღებას ამახვილებდა დაკრედიტების ეკონომიკურ აუცილებლობაზე, ხოლო ასეთი გარიგებების შემოღება, მისი აზრით, საფრთხის ქვეშ დააყენებდა დაკრედიტებას.<sup>452</sup>

ეს პოზიცია არ უნდა იქნეს გაზიარებული. კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო გარიგების ბათილად ცნობის შესახებ ნორმის შემოღება არ მოახდენს უარყოფით გავლენას ეკონომიკაზე. საქმე იმაშია, რომ გარიგების მიჩნევა კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო გარიგებად, რთულია. სუბიექტური ნიშნის არსებობა (მეორე მხარის სუსტი მდგომარეობის გამოყენების განზრახვა)

<sup>451</sup> ჰანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011, 361.

<sup>452</sup> Покровский И. А. Основные проблемы гражданского права, Статус, Москва, 1998, 270

კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო ნებისმიერ გარიგებაში უნდა დამტკიცდეს. ეს იმიტომ, რომ ამგვარ შემთხვევებში ბრალეულობის პრეზუმფცია კი არ მოქმედებს, არამედ მოქმედებს კეთილსინდისიერების პრეზუმფცია. მხოლოდ მას შემდეგ უნდა იქნეს ცნობილი გარიგება კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ დადებულიად, რაც დადგინდება ზემოაღნიშნული სუბიექტური ნიშნის არსებობა. აქედან გამომდინარე კი, კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო გარიგება ბათილი გარიგებების იმ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ, რომელსაც საცილო გარიგებებს ვუწოდებთ.

ნოვიციკი კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო გარიგებების დაახლოებით ასეთივე ნიშნები განსაზღვრა. მან გარიგების ბათილად მისაჩნევად გამოკვეთა ორი პირობა: ხელშეკრულება მეტისმეტად არახელსაყრელი უნდა იყოს ერთ-ერთი კონტრაქტისათვის (ობიექტური ნიშანი) და სახეზე უნდა იყოს ერთ-ერთი მხარის განზრახვა ისარგებლოს მეორე მხარის გაჭირვებით ან უბედურებით (სუბიექტური ნიშანი).<sup>453</sup> ნოვიციკი პირიქით, მხარს უჭერდა კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო გარიგების ბათილობის შესახებ წესის შემოღებას, ამასთან, პრობლემას ვერ ხედავდა იმაში, რომ მოსამართლეს დაკისრებოდა თითოეული კონკრეტული შემთხვევის შეფასების მოვალეობა, რადგან საქმის შეფასება მოსამართლის ვალდებულებას წარმოადგენს. ნოვიციკი ასევე აღნიშნავდა, რომ სხვა ქვეყნებს შესაბამისი წესის გამოყენების დადებითი გამოცდილება აქვთო.<sup>454</sup>

პოკროვსკი მიიჩნევდა, რომ კეთილსინდისიერების კატეგორია, შეფასებითი კატეგორიაა გარიგების ბათილად მისაჩნევად და მისი გამოყენება არ არის სასურველი, რამეთუ ეს გამოიწვევს სასამართლოს თვითნებობას დავების განხილვის დროს.<sup>455</sup> მეორე მხრივ, კეთილსინდისიერების კატეგორიის შეზღუდულად გამოყენებამ, ე.ი. მისმა გამოყენებამ მხოლოდ გარიგების შინაარსის განსამარტად, შეიძლება გამოიწვიოს ორი ნეგატიური შედეგი. კერძოდ, პირველ ყოვლისა, დავის წარმოშობის შემთხვევაში კეთილსინდისიერების კონკრეტული შინაარსი მოცემული გარიგების მიმართ სასამართლომ უნდა განსაზღვროს და მეორე, ერთ-ერთი მხარის აშკარა არაკეთილსინდისიერება გარიგების დადებისას და „მოცემული ფაქტის გაუთვალისწინებლობა მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს თვითნებობის შიშით, შეიძლება უფრო დიდი ბოროტება აღნოჩნდეს, ვიდრე მოცემული ფაქტის არასწორი ან თვითნებური შეფასება მოსამართლის მიერ”.<sup>456</sup>

ამასთან, ბათილობის გარდა კანონი ცალკეულ შემთხვევაში ითვალისწინებს სხვა არახელსაყრელ შედეგებსაც, რომლებიც მოჰყვება სამართლებრივ ურთიერთობის მონაწილეთა არაკეთილსინდისიერ მოქმედებებს. კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო

<sup>453</sup> *Новицкий И. Б.* Принцип доброй совести в проекте обязательственного права, Вестник Гражданского права, 1916, №6, 82

<sup>454</sup> იქვე.85

<sup>455</sup> *Покровский И. А.* Основные проблемы гражданского права, „Статус“, Москва, 1998, 258

<sup>456</sup> *Краснова С. А.* Определение понятия добросовестность в российском гражданском праве, Журнал российского права, 2003, №3, 64

გარიგებებში სამართლებრივი შედეგი დგება არა მარტო გარიგების ბათილობის სახით, არამედ გარიგებაზე (ხელშეკრულებაზე) უარის ან ხელშეკრულების შეწყვეტის სახით. დაზღვევის ხელშეკრულების დადების დროს დამზღვევემა მზღვეველს უნდა შეატყობინოს მისთვის ცნობილი ყველა გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის (საფრთხეში უნდა ვიგულისმხოთ შესაძლო ზიანი) ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას. არსებითია ის გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადაწყვეტილებაზე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით (სსკ-ის 808-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). სსკ-ის 808-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ 808-ე მუხლის 1-ლი ნაწილის წესების საწინააღმდეგოდ მზღვეველს არ ეცნობა არსებითი გარემოებების შესახებ, მაშინ მას შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. იგივე მნიშვნელობა აქვს, თუ არსებით გარემოებათა შეტყობინებას დამზღვევემა განზრახ აარიდა თავი. სსკ-ის 809-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი მზღვეველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მაშინაც, თუ არსებითი გარემოებების შესახებ შეტყობინება არასწორ მონაცემებს შეიცავს. დაზღვევის ხელშეკრულების მომწვესრიგებელი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ინფორმირების ვალდებულება შეიძლება დაირღვეს როგორც შეუტყობინებლობით, ისე მზღვეველისათვის არასწორი (ან არასრული) ინფორმაციის მიწოდებით. დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის მიწოდებულ არასწორ მონაცემებს მნიშვნელობა აქვთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობის განსაზღვრისათვის და სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან გამომდინარე შესაძლო ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის. ასეთ შემთხვევაში, დამზღვევის არაკეთილსინდისიერმა ქცევამ, ე.ი. კეთილსინდისიერების პრინციპის შეუსაბამო ქცევამ, შეიძლება ზიანი მიაყენოს მზღვეველს. ზიანის დადგომის შესაძლებლობის შესახებ კი მზღვეველი არ იქნა გაფრთხილებული (ინფორმირებული) დაზღვევის ხელშეკრულების დადების დროს.

სსკ-ის 98-ე მუხლის შესაბამისად, თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელი არ არის, პირობა დამდგარად ჩაითვლება. თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, პირობა დამდგარად არ ჩაითვლება.

ამრიგად, კეთილსინდისიერების პრინციპის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ის, რომ იგი სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების (გარიგების) მონაწილეთა ქცევის შეფასების კრიტერიუმია, აგრეთვე სამართლის ერთ-ერთი წყაროა, რომელიც აუცილებელია სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის დასადგენად.

#### 4.4 ბათილი გარიგების კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე კონვალიდაციის<sup>457</sup> პრობლემა

კეთილსინდისიერების პრინციპის არსებობა სამოქალაქო კოდექსში, განაპირობებს ბათილი გარიგების კონვალიდაციის პრობლემით დაინტერესებას. ზოგადი წესის თანახმად, ბათილი გარიგება არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს. გამონაკლისია ის იურიდიული შედეგი, რომელიც უკავშირდება ბათილი გარიგების შედეგად უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნებას. ბათილი გარიგება ბათილად ითვლება დადების მომენტიდან. შესაბამისად, ბათილი გარიგება არ წარმოადგენს იურიდიულ ფაქტს. გარიგების ბათილობის შედეგის იურიდიული ბუნებისადმი ამგვარი მიდგომა წარმოშობს ორ პრობლემას: 1. გარიგების ბათილობის მიუხედავად იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ ნულად, განუხორციელებელ მოქმედებად<sup>458</sup>, რადგან ხშირად ბათილი გარიგების საფუძველზე აღგილი აქვს შესრულებას და 2. გარიგების ბათილობის შედეგი თავისი არსით ისეთია, რომ არ უშვებს გარიგების გაჯანსაღების (კონვალიდაციის) შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით, იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა ფართო მნიშვნელობა მიეცეს კეთილსინდისიერების პრინციპს და მის საფუძველზე განხორციელდეს ბათილი გარიგების კონვალიდაცია. საკითხი ეხება მარტოოდენ ფორმის დაუცველობის საფუძველით ბათილი გარიგების კონვალიდაციას, როდესაც ერთ-ერთმა მხარემ სრულად ან ნაწილობრივ შეასრულა ის გარიგება, რომელიც მოითხოვდა აუცილებელი ფორმის დაცვას, ხოლო მეორე მხარე უარს ამბობს გარიგების დადასტურებაზე. აქვს თუ არა უფლება სასამართლოს გარიგების შემსრულებელი მხარის მოთხოვნით ბათილი გარიგება მიიჩნიოს ნამდვილ გარიგებად. დღეს არსებული ქართული სამოქალაქო კოდექსისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის შესახებ დებულების გამოყენება არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კანონისადმი სასამართლოს დამორჩილების (კანონით სასამართლოს შებოჭვის) პრინციპს, რამეთუ კეთილსინდისიერების პრინციპის მეტისმეტად ფართო გამოყენებამ, შესაძლოა, არაპროგნოზირებადი გახადოს სასამართლო გადაწყვეტილება. ამიტომ სსკ-ის 361-ე მუხლის გამოყენების დროს ყოველთვის უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა სპეციალურ-სამართლებრივი ნორმა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ნორმის არსის და მიზნის შესაბამისად გადაგვეწყვიტა კონკრეტული შემთხვევა. თუ ასეთი ნორმა არსებობს, მაშინ 361-ე მუხლი არ უნდა იქნეს გამოყენებული.<sup>459</sup> აღნიშნულის მსგავსი პოზიცია აქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოსაც. ერთ-ერთ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ ხელშეკრულება დადებულად ჩათვალა მხარეთა შორის. მოცემულ საქმეზე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული იყო მორიგება, რომლის პირობების თანახმად მოპასუხე საკუთრებაში გადასცემდა მოსარჩელეს ქონებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც

<sup>457</sup> ბათილი გარიგებისათვის იურიდიული ძალა მინიჭება მისი დადების მომენტიდან.

<http://slovaroko.ru/sbt/konvalidatsiya/>

<sup>458</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 387

<sup>459</sup> Brox H. Allgemeines Schuldrecht, 21. Auflage, C.H. Beck, München, 1993, 53

მოსარჩელისაგან საკომპენსაციოდ მიიღებდა 1000 აშშ დოლარს. მიუხედავად შეთანხმებისა, მოპასუხე არც თანხას იღებდა და არც ფართის გადაცემის შესახებ დაკისრებულ ვალდებულებას ასრულებდა, რადგან მიაჩნდა, რომ მორიგება ფორმის დაუცველად იყო დადებული. ამ საქმეზე მოსარჩელის სასარგებლოდ იყო გამოტანილი გადაწყვეტილება პირველ ინსტანციაში, მაგრამ შემდეგ მან გამოიხმო სარჩელი იმ საფუძველით, რომ მხარეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების ამოსავალი წერტილია ბუნებითი სამართლიანობის აღდგენა, შესაბამისად, სამოქალაქო სამართალბრუნვაში ქცევის სტანდარტის განმსაზღვრელია სამართლიანობა, კეთილსინდისიერება და ზნეობრიობა. ყველა ადამიანი სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მატარებელია. სამოქალაქო უფლების მართლზომიერი განხორციელება კი საზოგადოებაში სტაბილური გარემოს შექმნის გარანტიაა. თითოეული პირი ვალდებულია, თავისი უფლება განახორციელოს იმგვარად, რომ დაუშვებლად არ ხელყოს სხვისი უფლება. მოსარჩელემ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების არსებობის პირობებში, გაიხმო სარჩელი იმ საფუძველით, რომ მხარეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, თუმცა, მას შემდეგ, რაც მისი სარჩელი დარჩა განუხილველი, მოპასუხემ უარი განაცხადა მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე, იმ საფუძველით, რომ მორიგების აქტი, ფორმად დაუცველია. პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ დარღვეულია სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამოქალაქო უფლებათა კეთილსინდისიერად განხორციელების სტანდარტი.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ზემოაღნიშნული მსჯელობა. საკასაციო სასამართლოს აზრით, ამა თუ იმ ნორმის განმარტება ზოგად ნორმებთან ერთობლიობაში უნდა განხორციელდეს. კანონის განმარტება კანონის ბუნდოვანი ადგილების დაზუსტებას და ტექსტის მნიშვნელობის დადგენას გულისხმობს, შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, განმარტოს კანონი მაშინ, როდესაც ამისი საჭიროება არსებობს და საკანონმდებლო დანაწესებით პრობლემის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა ვერ ხდება. კანონის ინტერპრეტაციის არსი, კანონის ტექსტის საფუძველზე კანონის აზრისა და მიზნის დადგენაა, რაც სამართლის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. კანონის ინტერპრეტაციის აუცილებლობას კანონში არსებული ხარვეზი განაპირობებს. ასეთი ვითარება მაშინაა, როდესაც კანონი პირდაპირ არ იძლევა პასუხს ამა თუ იმ საკითხზე და სასამართლო ხარვეზიანი ნორმის, კანონის ტექსტისა და სამართლის ძირითადი პრინციპების შეჯერებით ადგენს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დადგენაც კანონმდებელს სურდა - კანონმდებლის მიზანი იყო.

ამასთან, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნის მიღწევა. იმპერატიული ნორმები ასახავენ კანონმდებლის მიდგომას კონკრეტული ქცევის მიზანსა და მიზანშეწონილობაზე. მართლმსაჯულება კანონმდებლის განზრახვას ვერ გასცდება მაშინაც კი, როდესაც კანონმდებლის მიერ სამართლის ნორმის შინაარსის

დაკონკრეტებისა და ლეგიტიმური ცვლილებებისათვის კანონში ღია სივრცეა დატოვებული. იმპერატიული ნორმების დადგენის შემთხვევაში კანონმდებელი ქცევის მხოლოდ ამ სახით განხორციელების სავალდებულობას ადგენს და მათ არსებობას, როგორც წესი, სხვა ზოგადსამართლებრივ პრინციპებთან ერთად საფუძვლად უდევს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და კერძო სფეროში ნდობის დაცვის პრინციპი.

უძრავ ნივთზე დადებული ვალდებულებითი გარიგების ფორმასავალდებულობა ნათლად წარმოაჩენს კანონმდებლის მიზანს - უძრავი ნივთების სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევით ხელი შეუწყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სასარჩელო წესით კონტრაჰენტის დავალდებულების შესაძლებლობას, შეასრულოს ფორმალური ხელშეკრულებით ნაკისრი ის ვალდებულება, რომლის ნამდვილობაც მას სადავოდ არ გაუხდია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ნორმებით კანონმდებელი კონტრაჰირების იძულებას დასაშვებად მიიჩნევს (მაგ: 319-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილები, 604-ე მუხლი), თუმცა ხელშეკრულების დადების იძულება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და ნამდვილი გარიგების შემთხვევაშია შესაძლებელი. რაც შეეხება, ბათილ გარიგებებს, კანონი ამ შემთხვევაში სპეციალურ რეგულაციას უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით ადგენს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებებით კასატორმა მხარემ ხელშეკრულების დადებისათვის ნდობის ფაქტორი შექმნა, ხოლო ხელშეკრულების დაუდებლობით დაირღვა კეთილსინდისიერების პრინციპი. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში ხელშეკრულების კანონით გათვალისწინებული წესით (სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი) დადებამდე კონტრაჰენტის ვარაუდი ხელშეკრულების დადებულად მიჩნევაზე ნაკლებად გამართლებულია, ხოლო ხელშეკრულების ფორმის სავალდებულობის შემთხვევაში კი, ასეთი ვარაუდი ხელშეკრულების დადების დავალდებულებას ვერ წარმოშობს.

უზენაესმა სასამართლომ მიუთითა სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილზე და განმარტა: აღნიშნული ნორმა დეკლარაციული ხასიათის არ არის და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა ზოგადად, დამრღვევისათვის ვალდებულების დაკისრების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს. ამავედროულად, ნდობა და კეთილსინდისიერება კანონთან შესაბამისობაში უნდა იყოს განხილული და სსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი. ხელშეკრულების დადების ნდობის ფაქტორი კანონშესაბამისი უნდა იყოს და იგი დაცვაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ჰქონდა კანონიერი საფუძველი ხელშეკრულების დადების რწმენა შექმნოდა. მოცემულ შემთხვევაში, კანონით იმპერატიულად განსაზღვრული ფორმის დაუცველობა, ხელშეკრულების არსებობას და, შესაბამისად, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის კანონიერებას გამორიცხავს.

ამდენად, უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა კონტრაქტისათვის ნასყიდობის ფასის მიღებისა და ნასყიდობის საგანზე – უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის დავალდებულების თაობაზე, რადგან ხელშეკრულება, კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველობის გამო, დადებულად ვერ მიიჩნევა.<sup>460</sup>

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით ზოგჯერ ხდება ხელშეკრულების ბათილობის თავიდან აცილება კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობის მიუხედავად. შესაბამისად, მნიშვნელობა არ ენიჭება გსკ-ს 313-ე მუხლის ფორმალური მოთხოვნების დარღვევას. მოცემული პრობლემის გადაწყვეტისას გერმანიის სასამართლო პრაქტიკა უპირატესობას ანიჭებს კეთილსინდისიერების პრინციპს. სასამართლოები მხედველობაში იღებენ მხარეთა ქცევას და სხვამენ კითხვას: რამდენად არაკეთილსინდისიერი და არალოიალურია ქცევა, როცა ფორმის დაუცველობის მომიხეზებით ერთ-ერთი მხარე უარს ამბობს თავისი ვალდებულების შესრულებაზე?<sup>461</sup> რეინჰარდ ციმერმანი და სიმონ ვიტტეკერი მიუთითებენ იჯარის ხელშეკრულების დადებისას და უძრავი ქონების თაობაზე გარიგებების დადებისას სავალდებულო ფორმის დარღვევის გამოსწორების შესაძლებლობაზე გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე მესაკუთრემ იჯარით გასცა ფერმა, რომელიც მოიჯარეს უნდა გადასცემოდა საკუთრებაში რვა წლის შემდეგ. მოიჯარემ განავითარა ფერმა, გარდაქმნა იგი ძლიერ საწარმოდ და რვა წლის შემდეგ მხარეთა შორის ფორმის დაუცველად დადებული შეთანხმების საფუძველზე მოითხოვა უძრავი ნივთის გადაცემა საკუთრებაში. როგორც ავტორები მიუთითებენ, ეს იმ კატეგორიის საქმეა, სადაც გერმანიის სასამართლოები მზად არიან აამოქმედონ გსკ-ს 242-ე მუხლი, რათა უსამართლო შედეგისაგან დაიცვან კონტრაქტი. მოცემულ მაგალითში მოიჯარემ ააშენა ფერმა და რვა წელი აწარმოვა მასში საქმიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ მან ფულის გამომუშავების სხვა შესაძლებლობაზე უარი თქვა იმის მოლოდინში, რომ ფერმა გადაეცემოდა. ასევე საფრთხე არ ემუქრებოდა, ვინაიდან მესაკუთრე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით იყო შებოჭილი. გერმანული მიდგომის თანახმად, მოცემულ გარემოებათა გათვალისწინებით სრულიად უსამართლოა მოიჯარეს წაერთვას მოთხოვნის უფლება ქონების გადაცემის ნაწილში ფორმალური, არაარსებითი ნაკლის გამო. მიუხედავად იმისა, რომ გსკ-ს 125-ე მუხლის თანახმად, კანონით დადგენილი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია, კანონის ეს იმპერატიული მოთხოვნა გერმანიაში დაძლეულია კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე. შესაბამისად, მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულება.<sup>462</sup>

<sup>460</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-221-213-2012

<sup>461</sup> *იოსელიანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ქ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 42

<sup>462</sup> *Zimmermann R. Whittaker S. Good faith in European Contract law*, Cambridge university press, 2008, 281



კეთილსინდისიერების პრინციპი გერმანიის სასამართლოების მიერ გამოიყენებოდა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც კანონის ფორმალური მოთხოვნების შესრულება გამოიწვევდა არა მხოლოდ მძიმე, არამედ დაუშვებელ შედეგს კონტრაქტისათვის, რომელიც ხელშეკრულების ნამდვილობის შენარჩუნების მოსურნე იყო. ამდენად, ფორმის დაცვის მომთხოვნი იმპერატიული ნორმების იგნორირება ხდება *Pacta sunt servanda*-ს პრინციპის სასარგებლოდ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით. რაც შეეხება ქართულ იურიდიულ ლიტერატურას, ერთი მხრივ, გამოხატულია პოზიცია, რომლის მიხედვითაც კეთილსინდისიერების პრინციპი შეიძლება საფუძვლად დაედოს ხელშეკრულების ბათილად არ ცნობას. აღნიშნულია, რომ კანონის შესატყვისად მათ ზუსტ განხორციელებას პრაქტიკაში შესაძლოა მოჰყვეს სამართლიანობის გრძნობის სერიოზული შელახვა. საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 47-ე მუხლის მეორე აბზაცის ნორმაზე მითითებაც ხდება ისტორიულ ჭრილში, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევა ფორმის დაუცველად დადებული გარიგების ცნობას დადებულად.<sup>463</sup> მეორე მხრივ, სხვა ავტორთა მიერ აღინიშნება, რომ „არ შეიძლება მოსამართლეს მიეცეს კანონის იგნორირების უფლება და არც კეთილსინდისიერების პრინციპს არ აქვს აბსოლუტური უპირატესობის პრეტენზია კანონის ცალსახა ნების წინაშე, რადგან კეთილსინდისიერება ობიექტური კრიტერიუმია, რომელსაც ბრუნვის ჩვეულებებთან ერთად, კანონიც აკონკრეტებს და არა მარტო პირიქით. ისეთ შემთხვევაში კი, თუ კანონი აშკარად უსამართლო და არაკონსტიტუციურია, შეიძლება, ამ საფუძვლით საქმის განმხილველმა სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს წარდგინებით და კანონის კონსტიტუციურობის გადამოწმება მოითხოვოს, მაგრამ თავად მოსამართლე, თუნდაც „სამართლიანობის დროში“ ხელში, ვერ დადგება კანონზე მაღლა. ეს უკვე მისი მხრიდან თვითნებობა იქნება.“<sup>464</sup>

იმდენად, რამდენადაც სსკ-ის 361-ე მუხლი არ შეიცავს რაიმე მითითებას იმაზე, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ კეთილსინდისიერებასა და ნდობაში, ამ ნორმის, როგორც გენერალური დათქმის გამოყენება, მოითხოვს მხარეთა ინტერესების შეჯერებას კონსტიტუციით დადგენილი ნორმების, აგრეთვე „კეთილი ზნეობისა“ და ჩვეულებების გათვალისწინებით.<sup>465</sup>

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას: საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებას მიიჩნევს უცილოდ ბათილ (არარა) გარიგებად. ბათილობის სამართლებრივი შედეგი არ შეიძლება იყოს გარიგების მიჩნევა ნამდვილ გარიგებად. ბათილობის სამართლებრივი შედეგის ჩანაცვლება სხვა სამართლებრივი შედეგით (ამ შემთხვევაში გარიგების კონვალიდაციით) დაუშვებელია. ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებას ნამდვილ გარიგებად ვერ

<sup>463</sup> *ოსელოანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ქ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 42

<sup>464</sup> ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით- აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10 №1, 2007, 22

<sup>465</sup> *Жалинский А., Рёрхт А.*, Введение в немецкое право, „Спарк“. Москва, 2001, 345

აქცევს კეთილსინდისიერების პრინციპი. კეთილსინდისიერების პრინციპი არ შეიძლება გავრცელდეს არარსებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე და წარმოშობდეს უფლებებს ამგვარი ურთიერთობების საფუძველზე. ამ საკითხისადმი სხვაგვარმა მიდგომამ და კეთილსინდისიერების პრინციპის ფართო მნიშვნელობით გამოყენებამ, შესაძლოა, კეთილსინდისიერების პრინციპი ცუდ იარაღად აქციოს მოსამართლის ხელში სამართლებრივი ბრუნვის უსაფრთხოების ინტერესების საწინააღმდეგოდ და დაარღვიოს პირთა კონსტიტუციური უფლებები (საკუთრების უფლება და სხვა). ამასთან, კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, კანონით განსაზღვრულ ცალკეულ შემთხვევაში, დასაშვებია მხოლოდ ბათილი გარიგების კონვერსიის მოთხოვნა და ამ გზით „ხელშეკრულების გადარჩენა“ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის მიზნით. სსკ-ის მე-60 მუხლი ითვალისწინებს გარიგების კონვერსიის ინსტიტუტს, რომლის თანახმადაც თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუ გარიგების ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა.

ამასთან, სამომავლოდ, სასურველია კანონმდებელმა ყურადღება მიაქციოს გარიგების კონვალიდაციის პრობლემას და სამოქალაქო კოდექსში უნდა გაფართოვდეს იმ გარიგებათა წრე, რომელთა კონვალიდაციაც შესაძლებელია. კერძოდ, მიზანშეწონილია კონვალიდაციას დაექვემდებაროს ფორმის დაუცველად დადებული გარიგებანი, რომელთა საფუძველზეც ერთმა მხარემ შეასრულა გარიგება მთლიანად ან ნაწილობრივ, ხოლო მეორე მხარე უარს ამბობს გარიგების დადასტურებაზე. კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე იმ მხარეს, რომელმაც შეასრულა ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, უნდა მიენიჭოს გარიგების ნამდვილობის და მის საფუძველზე მეორე მხარისაგან შესრულების მოთხოვნის უფლება. ამისთვის სასურველია სპეციალური ნორმის მიღება სამოქალაქო კოდექსში. კონვალიდაციის შესაძლებლობა უნდა შემოიფარგლოს ფორმალაუცველი გარიგებებით.

## **4.5 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე**

### **4.5.1 ზოგადი დებულებანი**

კერძო სამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება დამოუკიდებლობას, პირად ინიციატივას და ინდივიდის თავისუფლებას. სამოქალაქო სამართალში თავისუფლება გამოიხატება პირველ ყოვლისა, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა თავისუფლებაში, დადონ ხელშეკრულება, განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი და ბედი. თუმცა, ხელშეკრულების თავისუფლება ავტომატურად როდი უზრუნველყოფს სახელშეკრულებო სამართლიანობის დაცვას თანასწორუფლებიან პარტნიორებს შორის. ძლიერი მხარისათვის ადვილია თავს მოახვიოს მეორე მხარეს თავისი პოზიცია. ამიტომ ხელშეკრულებები ყოველთვის ვერ იქნება ორი

პარიტეტულად თანმხვედრი ნების შედეგი.<sup>466</sup> ამა თუ იმ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ყოველთვის როდი არის იმის დასტური, რომ გარიგების მონაწილე იცნობს გარიგების შინაარსს. „პრაქტიკა ხშირად ამის საპირისპიროს აჩვენებს, განსაკუთრებით, როცა საქმე შეეხება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებას, რომლებზეც ხელშეკრულების მონაწილე, როგორც წესი, ბრმად აწერს ხელს.“<sup>467</sup> პარიტეტის დარღვევის შესაძლებლობას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსი და ადგენს პრინციპებსა და შეფასებით კატეგორიებს, რომლებითაც მოსამართლე უნდა ხელმძღვანელობდეს კონკრეტული დავის გადაწყვეტის დროს.

ამგვარი პრინციპების გამოყენება სულ უფრო აუცილებელი ხდება. საქმე იმაშია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, გლობალური ინტერნაციონალიზაციის, სტანდარტული საქონლისა და მომსახურების მასობრივი წარმოებისა და მასობრივი მოხმარების პირობებში არსებითად შეიცვალა სახელშეკრულებო ურთიერთობათა ხასიათი, რაც გავლენას ახდენს ხელშეკრულებათა შინაარსზე. კერძოდ, ხელშეკრულებათა პირობები რთული, დეტალური და სტანდარტული გახდა, რომელთა განსაზღვრაც ხშირად წინასწარ და ცალმხრივად ხორციელდება.

სტანდარტული პირობების ჩამოყალიბებისას პარიტეტის დაცვას უზრუნველყოფს სსკ-ის 346-ე მუხლი, რომელშიც საუბარია კონტრაქტის უფლებების არსებითად შემლახავი პირობების გამოყენებისაგან სუსტი მხარის დაცვის მექანიზმზე კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე. ეს ნორმა მოქმედებს როგორც კომერციულ ბრუნვაში, ისე მომხმარებლებთან ურთიერთობაშიც. სსკ-ის 346-ე მუხლის თანახმად ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. „სტანდარტულ პირობებში, რომლებიც საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის“, იგულისხმება ისეთი პირობები, რომლებიც არათანაზომიერად ღაზავენ ხელშეკრულების პირობების მიმღები მხარის უფლებებსა და ინტერესებს. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულება ევექტიანი, თავისუფალი სამეურნეო წყობილების „მოტორი“ და აგრეთვე „ფიზიკური პირის თავისუფალი თვითგამორკვევის ინსტრუმენტი“.<sup>468</sup> თანამედროვე პერიოდში იცვლება ხელშეკრულების გამოყენების არა მხოლოდ ფუნქციები და სფერო, არამედ ხელშეკრულების საფუძველზე ურთიერთობათა მოწესრიგების ხასიათიც. სტანდარტული საქონლისა და მომსახურების მასობრივი წარმოება და მასობრივი მოხმარება განაპირობებს იმ სახელშეკრულებო პირობების გართულებას,

<sup>466</sup> *Eckl Ch., Treu und Glauben im spanischen Vertragsrechts, Studien zum ausländischen und internationalen Privatrecht 183. Herausgegeben vom Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 285.*

<sup>467</sup> *ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2011, 337*

<sup>468</sup> *Langenfeld G., Vertragsgestaltung: Methode-Verfahren-Vertragstypen, 2. Aufl., Beck, München, 1997, Rn., 417.*

დეტალურად და სტანდარტულად განსაზღვრას, რა პირობებითაც ხდება ამ საქონლის ან მომსახურების შეთავაზება კომერციულ ბრუნვაში.<sup>469</sup> სტანდარტული პირობები წარმოიშვა მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად.<sup>470</sup> სტანდარტულ პირობებს დასავლეთის იურისტები მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან მიაკუთვნებდნენ სახელშეკრულებო სამართლის უმნიშვნელოვანესი თეორიული და პრაქტიკული პრობლემების რიცხვს.<sup>471</sup> დიდ ბრიტანეთში ინდუსტრიულმა რევოლუციამ და ამის შედეგად რკინიგზისა და სხვა მონოპოლისტი საწარმოების განვითარებამ, განაპირობა სახელშეკრულებო პირობების სტანდარტულად ჩამოყალიბება. ხშირად საწარმოები მზად იყვნენ სწორედ სტანდარტული პირობების საფუძველზე დაედოთ გარიგებები.<sup>472</sup> ამ პირობებს შორის იყო ისეთი პირობებიც, რომლებიც ზღუდავდნენ ან გამორიცხავდნენ კიდევ საწარმოს პასუხისმგებლობას. გერმანიაში მე-20 საუკუნის დასაწყისში კონტროლი შემოიფარგლებოდა მხოლოდ ისეთი შემთხვევებით, როცა ადგილი ჰქონდა მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.<sup>473</sup>

ქართულ სინამდვილეშიც თანდათან იზრდება სტანდარტული პირობების როლი და მნიშვნელობა და მათ შორის, შესაბამისი პრაქტიკაც ჩამოყალიბების პროცესშია. სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ სტანდარტული პირობები კონტროლდება კეთილსინდისიერების პრინციპის მეშვეობით.<sup>474</sup>

სტანდარტული პირობები გამოიყენება სამართლის იმ სუბიექტებთან ურთიერთობებში, რომლებიც დებენ ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებშიც ურთიერთობები დეტალურად არის მოწესრიგებული. ამგვარი მოწესრიგების საჭიროება აიხსნება იმით, რომ მრავალრიცხოვანია კლიენტურა და რთულია თავად ურთიერთობები. სტანდარტულ პირობებს გარკვეული ნიშნები ახასიათებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების პირობების სტანდარტულ პირობებად მიჩნევის სავალდებულო ნიშნებია: 1. სტანდარტული პირობები არის სახელშეკრულებო პირობები; 2. სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული პირობები; 3. სტანდარტული პირობები არის მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები; 4. სტანდარტულ პირობებს ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს; 5. სტანდარტული პირობებით

<sup>469</sup> *Heinrichs H.*, ნაშრომში *Palandt O.: Kommentar zum BGB*, 59. Auflage –, Verlag C.H. Beck, München, 2000, 2176.

<sup>470</sup> *Rombach, Jan.* Allgemeine Geschäftsbedingungen Bei Freien Dienstverträgen: Rechtsanwalts-, Steuerberater- Und Wirtschaftsprüferverträge, Arzt- Und Krankenhausbehandlungsverträge, Unterrichtsverträge, Verlag Heymann, Köln [u.a.]1997, 5.

<sup>471</sup> *Atiyah P. S.*, Introduction to the Law of Contract. 5.<sup>th</sup> Ed., Clarendon Press, Oxford, 1995, 16.

<sup>472</sup> *Taylor R.*, Law of Contract, 6<sup>th</sup> Ed., Blackstone Press Limited, 1998, 100.

<sup>473</sup> გერმანიის უზენაესი სასამართლოს 1906 წლის გადაწყვეტილება, *Kaiser-Wilhelm-Kanal-Entscheidung des Rg. im Jahre 1906*. RGZ.Bd.62, 264(265)

<sup>474</sup> უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-722-1045-05, ასევე უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-992-1245-05.

უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ამ მათი შემკვები წესების დადგენა.<sup>475</sup>

სტანდარტულ პირობებს შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა ფორმის დოკუმენტი. ეს შეიძლება იყოს ერთიანი დოკუმენტი, რომელიც სტანდარტულ პირობებთან ერთად შეიცავს გამოტოვებულ ადგილებს, რომლებიც მოგვიანებით ივსება მხარეთა მიერ (მიეთითება მხარეთა რეკვიზიტები და ხელშეკრულების პირობები, რომლებიც შეთანხმებული იყო კონკრეტულ შემთხვევაში). შესაძლოა დოკუმენტის ერთ მხარეზე ხელით იყოს დაწერილი ან დაიბეჭდოს მანქანაზე ის, რაზეც ინდივიდუალურად შეთანხმდნენ მხარეები, ხოლო დოკუმენტის მეორე მხარეზე დაიბეჭდოს სტამბური წესით სტანდარტული პირობები, რა პირობებითაც ჩვეულებრივ ერთ-ერთი მხარე დებს ხელშეკრულებებს, ჩამოყალიბდეს ისეთი სათაურით, როგორც არის „გარიგების ზოგადი (ანუ სტანდარტული) პირობები“, „ნასყიდობის ზოგადი პირობები“, „მიწოდებისა და გადახდის ზოგადი პირობები“ და ა.შ. ძალზედ გავრცელებულია კომპიუტერის მექსიერებაში შენახული ტექსტების გამოყენება. ეს საშუალებას იძლევა ზოგიერთ შემთხვევაში მოხდეს სტანდარტული პირობების შეტანა, ჩართვა უშუალოდ ხელშეკრულების ტექსტში. ზოგჯერ ხელშეკრულების ინდივიდუალურ ნაწილში, რომელშიც განისაზღვრება არსებითი პირობები, მიეთითება ერთ-ერთი კონტრაქტის მიერ შემოთავაზებულ სტანდარტულ პირობებზე, რომლებიც შეიძლება დაერთოს ხელშეკრულებას ცალკე ფურცელზე. სტანდარტულ პირობებს, ხშირად იყენებენ ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, სატრანსპორტო საწარმოები, ექსპედიტორები, კომუნალური საწარმოები, საავადმყოფოები, ავიაკომპანიები. სტანდარტული პირობები გამოიყენება საცალო ვაჭრობაშიც. საქართველოში ხშირია ბანკების თუ ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სხვა სუბიექტების მიერ სტანდარტული პირობების გამოყენების შემთხვევები.<sup>476</sup> გერმანიაში საბანკო და საკრედიტო, ტურისტული მომსახურების, ავტომობილებით ვაჭრობის, ნასყიდობის კომერციული ხელშეკრულებების სფეროებში სტანდარტული პირობებით ხელშეკრულებათა თითქმის 100% იდება. სამშენებლო, სამაკლერო მომსახურების და ავეჯით ვაჭრობის სფეროებში სტანდარტული ხელშეკრულებების ოდენობა 90%-ს შეადგენს, ხოლო ავტოსერვისით მომსახურების, ქიმიკატების და საყოფაცხოვრებო რემონტის მომსახურების სფეროებში – 50%-ს.<sup>477</sup> ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ფართოდ გავრცელების მიზეზია ხელშეკრულების დადებისა და შესრულების გაადვილების აუცილებლობა. ვაჭრობა, განსაკუთრებით, მასობრივი მოხმარების საქონლით ვაჭრობა სტანდარტული პირობების გარეშე გართულდებოდა, ყველა მომხმარებელსა და მეწარმეს ყოველთვის სპეციალური მოლაპარაკება რომ გაემართათ ხელშეკრულების თითოეული პუნქტის თაობაზე, შეეჯერებინათ

<sup>475</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-755-811-2011

<sup>476</sup> *თოდუა მ., ვილემის კ.,* ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2006, 43-44

<sup>477</sup> Müller H., Allgemeine Geschäftsbedingungen im internationalen Wirtschaftsverkehr, Verlag Luchterhand, Neuwied, Kriftel, Berlin, 1994, 1.

ერთმანეთის პირობები. ასეთ შემთხვევაში, შემხვედრი წინადადებების ჩამოყალიბებისას და მოლაპარაკებათა წარმოებისას უზარმაზარი ხარჯები წარმოიშობოდა (საუბარია ზედმეტ ხარჯებზე). მაგალითად, ასეთია იურიდიული მომსახურების ხარჯი, რადგან არასპეციალისტს გაუჭირდება გაერკვეს რთული და დიდი მოცულობის სტანდარტულ პირობებში სპეციალური იურიდიული განათლების გარეშე და სხვა. შემთავაზებლისათვის<sup>478</sup> სტანდარტული პირობების გამოყენება ამარტივებს ხელშეკრულებების გაფორმებას, აღრიცხვასა და შესრულებას. ხელშეკრულების ტექსტის უდიდესი ნაწილის წინასწარი მომზადება საშუალებას იძლევა დაიზოგოს ხელშეკრულების მომზადების დრო. ამით თანამშრომლების გამოთავისუფლებაც ხდება. აღარ არის აუცილებელი სახელშეკრულებო პირობების ჩამოყალიბებაში მათი მონაწილეობა<sup>479</sup>, რადგან ხშირ შემთხვევაში ხელშეკრულებათა ფაქტობრივი დადება ხორციელდება იმ პერსონალის მიერ, რომელიც იურიდიულად არ არის მომზადებული ხელშეკრულების პირობების თაობაზე მოლაპარაკებებისთვის. სტანდარტული პირობების გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ხარჯებს.<sup>480</sup>

ყოველივე ეს განაპირობებს სტანდარტულ პირობებთან დაკავშირებული პრობლემების და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე სტანდარტული პირობების კონტროლის საკითხის კვლევის აქტუალობას. სტანდარტულ პირობებში კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების მიზანია აღიკვეთოს შემთხვევები, როდესაც მხარე ცდილობს თავისი ძლიერი მდგომარეობის გამოყენებით უპირატესობის<sup>481</sup> მოპოვებას ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შეტანის გზით. მაგალითად, სსკ-ის 817-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება. ხოლო სსკ-ის 818-ე მუხლის თანახმად კი, თუ დამზღვევმა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანი, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოშალოს იგი.

<sup>478</sup> ეს არის პირი, რომელიც კონტრაქტთან ხელშეკრულების დადების დროს იყენებს სტანდარტულ პირობებს.

<sup>479</sup> Yates D. Standard Business Contracts: Exclusions and Related devices –London: Sweet & Maxwell, 1986,3

<sup>480</sup> იქვე, 3.

<sup>481</sup> სახელშეკრულებო უპირატესობის მქონე კონტრაქტის მოქმედება შეიძლება მის „ოპორტუნისტულ“ ქმედებაში გადაიზარდოს. ოპორტუნისტი არ არის სამართლებრივი კატეგორია, იგი ქცევის ხასიათს გამოხატავს. სახელშეკრულებო სამართალში ოპორტუნისტი მოიცავს ხელშეკრულების შინაარსისა ან მისი მიზნის საწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც სიცრუეს ეფუძნება. შესაძლოა უპირატესობის მქონე კონტრაქტი ყოველთვის „ოპორტუნისტულად“ არ მოქმედებდეს. თუმცა ყოველთვის არსებობს რისკი, რომ იგი ამგვარად იმოქმედებს. „ფაქტობრივად, ოპორტუნისტი წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო მოვლენას. იგი არის კონტრაქტთა არაკეთილსინდისიერი ქცევის სახე და გულისხმიერად მოქმედების მოვალეობის დარღვევის შედეგი.“ იხ: *ჩანბოდი თ.*, ფრენშიაინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, გამომცემელი : იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბ., 2010, 88

ამდენად, დასახელებულ ნორმებში გათვალისწინებულია დამზღვევის უფლება განსაზღვროს მორიგი სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდის (ვადის გადაცილებით შეტანის) შედეგები. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დაზღვევის სტანდარტულ წესებში, რომელსაც მზღვეველი შეიმუშავებს, მზღვეველს უფლება აქვს ასეთ შედეგად მიუთითოს დაზღვევის ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტა. შესაბამისად, სადაზღვევო შესატანების არადროულად გადახდის დროს, ხელშეკრულების პირობა მორიგი შესატანის გადახდის ვადის გადაცილების გამო დაზღვევის ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტის შესახებ, მზღვეველს არ ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისაგან. საქმე იმაშია, რომ მსგავს შემთხვევებში, დაზღვევის წესებში სამართალდარღვევის ზემოაღნიშნული სახის შედეგების დადგენა (ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტა) აშკარად არ იქნება სამართალდარღვევის (მაგალითად, სულ რაღაც ერთი დღე ფულის გადახდის ვადის გადაცილება) ხასიათისა და ხარისხის შესაბამისი.

#### **4.5.2 შემთავაზებლის მიერ სტანდარტული პირობების ცალმხრივად განსაზღვრის უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენება**

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განსაზღვრის დროს, შემთავაზებელი არა მხოლოდ იმას ცდილობს, რომ გაამარტივოს ხელშეკრულების დადება და შესრულება, არამედ პრაქტიკულად ყოველთვის ცდილობს კონტრაქტის ინტერესების საზიანოდ გაიუმჯობესოს თავისი მდგომარეობა და უფრო ხელსაყრელი გახადოს იგი იმასთან შედარებით, ვიდრე ეს განსაზღვრულია დიპოზიციური ნორმით. თუმცა სსკ-ის 325-ე მუხლი იმპერატიულად მოითხოვს, რომ თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე. მოცემულ ნორმაში საუბარია სამართლიანობის დაცვის აუცილებლობაზე. სამართლიანობის კატეგორია განსხვავდება კეთილსინდისიერების კატეგორიისაგან, მაგრამ ეს ნორმა ერთგვარად ავსებს სტანდარტული პირობების მომწესრიგებელ ნორმებს და ფაქტობრივად კრძალავს როგორც უსამართლო, ისე არაკეთილსინდისიერი პირობების კონტრაქტისათვის შეთავაზებას, რადგან სამართლიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის ზოგად წესს ადგენს. კანონით დადგენილი აკრძალვების მიუხედავად, ხშირია შემთხვევები, როდესაც შემთავაზებელს ხელშეკრულებაში შეაქვს თავისი პასუხისმგებლობის შემზღუდავი ან პასუხისმგებლობის სრულად გამომრიცხავი პირობები. ასეთი პირობების თანახმად, ყველა რისკი აწევს მეორე მხარეს. დაუშვებელია შემთავაზებელმა კლიენტთან მიმართებაში მაქსიმალურად ხელსაყრელი მდგომარეობა დაიკავოს, თავისი ყოველგვარი პასუხისმგებლობა გამორიცხოს, ხოლო კლიენტურა ფაქტობრივად, უუფლებო გახადოს.

ფორმალური თვალსაზრისით, სტანდარტული პირობები ხელშეკრულების ნაწილი ხდება, რომელიც ბოჭავს მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც დადეს სტანდარტული პირობები ურთიერთთანხმობით.

თუმცა, პრაქტიკაში, სტანდარტული პირობების განსაზღვრა და შეთავაზება ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დადების დროს ისე ხდება, რომ მეორე მხარეს არ აქვს ამ პირობების შინაარსში რაიმეს შეცვლის შესაძლებლობა. ეს ნიშნავს, რომ ორივე მხარისათვის თანაბრად მინიჭებულ თავისუფლებას, განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი, იყენებს მხოლოდ ერთ-ერთი მხარე, ხოლო მის კონტრაქტს არ შეუძლია ხელშეკრულების პირობების განსაზღვრაში მონაწილეობა. ეს ხდება იმიტომ, რომ კლიენტი, პირველ ყოვლისა, ორიენტირებულია, შეთავაზების ფასსა და ხარისხზე და არა სტანდარტული პირობების „ხარისხზე“.<sup>482</sup> ამრიგად, სტანდარტული პირობების გამოყენებით ხელშეკრულებები იდება პრინციპით „take-it-or-leave-it“ (მიიღე, გაიზიარე, ან უარყავი).

თუ კონტრაქტი მონდომებს პირობების შეცვლას, მაშინ შემთავაზებელმა შესაძლოა უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე. ამიტომ თუ კლიენტს სურს შეიძინოს საქონელი ან მომსახურება, მაშინ მან მხოლოდ ის პირობები უნდა მიიღოს, რა პირობებითაც შეიძლება მათი შეძენა. კლიენტი ან უნდა დათანხმდეს ამ პირობებს ან უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე.

კლიენტს არ შეუძლია ხელშეკრულების თავისუფლად დადება, თუ მას სჭირდება საქონელი ან მომსახურება, ხოლო შემთავაზებელს უკავია ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა. ფრანგმა იურისტებმა პირველებმა დაიწყეს ისეთი ცნების გამოყენება, როგორც არის „*contract d’adhesion*“<sup>483</sup> (მიერთების გზით დადებული ხელშეკრულება)<sup>484</sup> ისეთი ხელშეკრულებებისათვის, რომელთა პირობებიც წინასწარ განისაზღვრება ერთ-ერთი მხარის მიერ და არ შეიძლება გახდნენ ხელშეკრულებათა საგანი და რომლებიც მხოლოდ მთლიანად შეიძლება იქნენ მიღებულნი. თანასწორუფლებიან პარტნიორებს შორის სახელშეკრულებო შეთანხმების თავისუფლად და დამოუკიდებლად მიღწევის წინაპირობები მრავალ სფეროში, რომელშიც იდება ხელშეკრულებები, არ არსებობს. ხშირად ადგილი აქვს მხარეთა უთანასწორობას, როცა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე იმყოფება მისთვის არახელსაყრელ მდგომარეობაში და არ შეუძლია თავისი ინტერესების განხორციელება მოლაპარაკებათა წარმოების დროს. მხარეთა შორის თანასწორობის დარღვევის და აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების დადების დროს გადაწყვეტილების თავისუფლად და დამოუკიდებლად მიღების შეუძლებლობის მიზეზად მიიჩნევა ეკონომიკური, ინფორმაციული და ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის ფსიქოლოგიური უპირატესობაც.<sup>485</sup>

<sup>482</sup> *Heinrichs H.*, ნაშრომში *Palandt O.*: Kommentar zum BGB, 59. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2000, Rn. 3.

<sup>483</sup> პირველად გამოიყენა *რ. ხალეიღმა* ნაშრომში: *Saillies R.*, „De La Declaration De Volonte. Contribution A L’etude De L’acte Juridique Dans Le Code Civil Allemand, 1901, N 89, 229.

<sup>484</sup> *Mañ C. K.*, Очерки обшей части буржуазного обязательственного права, М., 1953, 40-44

<sup>485</sup> *Wolf M.*, Rechtsgeschäftliche Entscheidungsfreiheit und Vertraglicher Interessenausgleich, Tübingen, 1970, 18



ასეთ დროს ძლიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად უკარნახოს სახელშეკრულებო პირობები მეორე მხარეს. ამით ილახება სუსტი მხარის უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, რაც ეწინააღმდეგება ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებს. ბაზარზე არათანაბარი ძალის მქონე კონტრაქტებს შორის ურთიერთობაში ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებას კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნათა შესაბამისად. ამიტომ ხელშეკრულების თავისუფლება უნდა შეიზღუდოს აღნიშნული პრინციპით. კეთილსინდისიერების პრინციპი რომ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს ზღუდავს (მათ შორის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განსაზღვრისას) აღიარებულია ქართულ დოქტრინაშიც.<sup>486</sup>

თანამედროვე პერიოდში, სტანდარტული პირობები მიიჩნევა მომსახურების ნაწილად, ანუ განსაკუთრებულ პროდუქტად, რომლის შეთავაზებაც ხდება შემთავაზებლის მიერ „პაკეტში“ ძირითად მომსახურებასთან (საქონელთან) ერთად.

თავისი დანიშნულებით, ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივი ბრუნვის მონაწილეთა ინდივიდუალური ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად ურთიერთობათა მოწესრიგების საშუალებაა. მხარეთა უთანასწორობის პირობებში კი შეუძლებელია ვისაუბროთ ნების თავისუფალი გამოვლენის შესახებ. ხელშეკრულების პირობების ცალმხრივად თავს მოხვევა მეორე მხარისათვის, შეუთავსებელია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან. უსამართლობა იქნებოდა სახელშეკრულებო ბოჭვა არსებობდეს იმ მხარის მიმართ, რომელმაც ფორმალურად მართალია დადო შეთანხმება (ხელშეკრულება), მაგრამ ამ ხელშეკრულების დადებისას მას ფაქტობრივად არ შეეძლო განეხორციელებინა ხელშეკრულების პირობათა თავისუფლად განსაზღვრის უფლება.

ასეთ დროს კანონმდებელი აბალანსებს მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებს იმით, რომ ხელშეკრულების ძლიერ მხარეს აკისრებს განსაზღვრულ ვალდებულებებს და სუსტ მხარეს ანიჭებს სპეციალურ უფლებებსა და უპირატესობას. სუსტი მხარის სამართლიანი ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ მისთვის არ უნდა იყოს სავალდებულო კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო ხელშეკრულება ან ხელშეკრულების ცალკეული პირობა. შესაბამისად, მას უნდა მიენიჭოს ამგვარი ხელშეკრულებით ან რომელიმე სახელშეკრულებო პირობის საფუძველზე მისთვის დაკისრებული ვალდებულებისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

სწორედ ამიტომ არის აუცილებელი შემთავაზებელს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე შეზღუდოს სტანდარტული პირობების შინაარსის განსაზღვრის უფლება. ხელშეკრულების თუ გარიგების სტანდარტული პირობები შეიძლება მივიჩნიოთ თავისებურ სამართლებრივ პროდუქტად, რომელსაც ერთი

<sup>486</sup> შენგელაია ი., სახელშეკრულებო თავისუფლება, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2010, 106-126.

მხარე სთავაზობს მეორე მხარეს ძირითად საქონელთან თუ ძირითად მომსახურებასთან ერთად. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა პროდუქტი, სტანდარტული პირობებიც სათანადო ხარისხისა უნდა იყოს და არ უნდა გააჩნდეთ „ფარული“ ხარვეზი, ნაკლი. სტანდარტული პირობების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს კეთილსინდისიერების პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად უნდა იქნეს გათვალისწინებული კონტრაქტის ინტერესები. გერმანიაში ასეთ ვითარებას ყველაზე მეტად ადგილი აქვს მშენებლობის სფეროში არსებულ ურთიერთობებში.<sup>487</sup> კეთილსინდისიერების პრინციპი სტანდარტული პირობების შემთავაზებელს ავალდებულებს კონტრაქტის ინტერესების გათვალისწინებას, აკისრებს მზრუნველობის ვალდებულებას. კონტრაქტი მოელის, რომ სტანდარტული პირობები გონივრულად და კეთილსინდისიერად აწესრიგებენ მხარეთა შორის ურთიერთობებს. სწორედ ამიტომ, კონტრაქტი დაცული უნდა იყოს აშკარად არაკეთილსინდისიერი სტანდარტული პირობებისგან.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლების ბოროტად გამოყენებისაგან განსხვავდება ხელშეკრულების თავისუფლების ბოროტად გამოყენება.<sup>488</sup> ხელშეკრულების თავისუფლების ბოროტად გამოყენების დროს, ფორმალური თვალსაზრისით, სახეზეა ხელშეკრულების საფუძველზე მიღწეული შეთანხმება, რომელსაც *Pacta sunt servanda*<sup>489</sup> –ს პრინციპიდან გამომდინარე, სავალდებულო ხასიათი გააჩნია, მაგრამ ასეთ დროს არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მხარეთა შეთანხმება კერძო ავტონომიაზე დაფუძნებული თვითგამორკვევის შედეგია, რადგან ერთ-ერთი მხარე „ბოროტად იყენებს“ ბაზარზე თავის მონოპოლურ მდგომარეობას, თავის ძალაუფლებას ხელშეკრულების ფორმირებისას.<sup>490</sup> კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლის საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების ისეთი პუნქტები, რომლებიც არ ყოფილა ცალკე, ინდივიდუალურად მოლაპარაკების საგანი. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, მართალია, შეტანილი იქნა ხელშეკრულებაში, მაგრამ რეალურად ერთი მხარე (როგორც წესი ეს არის მომხმარებელი) ისე დათანხმდა მეორე მხარის (შემთავაზებლის) მიერ განსაზღვრულ პირობებს, რომ არ ჰქონია ხელშეკრულების

<sup>487</sup> Bunte H. J., Zehn Jahre Gesetz zur Regelung des rechts der Allgemeine Geschäftsbedingungen-Rückblick und Ausblick, NJW, 1987, 921ff.

<sup>488</sup> Eckl Ch., Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht, Studien zum ausländischen und internationalen Privatrecht 183. Herausgegeben vom Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 284

<sup>489</sup> ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მომდინარეობს აღნიშნული ანდაზა, მაგრამ მასში იგულისხმებოდა რომ ხელშეკრულება არ შეიცავდა უკანონო და უხამს საფუძველს. მეორე გავრცელებული ანდაზის თანახმად ხელშეკრულებები, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო და უხამს საფუძველს შეიცავდნენ, არ უნდა შესრულებულიყვნენ. „შეთანხმებანი რომელნიც უხამს საფუძველს შეიცავენ არ უნდა სრულდებოდნენ“-ამბობდა ლათინური იურიდიული ანდაზა. იხ: ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, გამომც. „ბონა კაუზა“, თბილისი, 2009, 116

<sup>490</sup> Lasarte C., Clausulas abusivas y nulidad parcial del contrato en el ordenamiento juridico español contemporaneo, Revista de Derecho Comparado, 2001, 139 ff., 159

სტანდარტული პირობების შინაარსზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა.<sup>491</sup>

ისეთი ხელშეკრულებების მთლიანად ბათილად მიჩნევა, რომელთა შემთხვევაშიც არსებითად ერთი მხარე მეორეს სახელშეკრულებო პირობებს კარნახობს, რეალობისა და თანამედროვე კომერციული ბრუნვის მოთხოვნების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. აქედან გამომდინარე, საკამათო არ არის, რომ ასეთნაირად დადებული ხელშეკრულებები სავალდებულოა. რაც შეეხება ხელშეკრულების სუსტი მხარის უფლებებისა და ინტერესების დაცვას, ეს ხდება შემთავაზებლის მხრიდან ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბოროტად გამოყენების პრევენციით. კერძოდ, ბათილად მიიჩნევა სახელშეკრულებო სამართლიანობის წინააღმდეგ მიმართული სტანდარტული პირობები ან ისეთი პირობები, რომლებიც არღვევენ შესრულებასა და საპასუხო შესრულებას შორის ბალანსს<sup>492</sup>, როცა სახელშეკრულებო პირობები ხელშეკრულების სუსტ მხარეს განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწევა. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები უსამართლოდ და მაშასადამე, ბათილად ჩაითვლება, თუ ისინი კეთილსინდისიერების პრინციპს არღვევენ იმით, რომ სახელშეკრულებო უფლებებისა და მოვალეობების<sup>493</sup> მნიშვნელოვან უთანაბრობას იწვევენ.

მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულების დებულებები უნდა შეესაბამებოდეს ქცევის იმ მოდელს, რომელსაც კეთილსინდისიერება გულისხმობს. თუ სახელშეკრულებო დებულებები კეთილსინდისიერების პრინციპს არ შეესაბამებიან, მაშინ ჩაითვლება, რომ ისინი ბოროტად იქნა გამოყენებული, უსამართლოა, რასაც სამართლებრივ შედეგად მათი ბათილობა მოჰყვება. ეს ნიშნავს, რომ კანონის ნორმა, რომლის ნორმატიული შინაარსი კეთილსინდისიერების პრინციპში გამოხატული ქცევის მოდელიდან გამომდინარეობს, იძულებით ანუ იმპერატიულ ნორმად გადაიქცევა (ანუ სამართლებრივ სტანდარტად გადაიქცევა), რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულებაში გამოხატული ნების საფუძველზე, თანაც მომხმარებლის საზიანოდ.<sup>494</sup>

### 4.5.3 სტანდარტული პირობების განმარტება, როგორც სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლის მექანიზმი

სსკ-ის 345-ე მუხლში მოცემულია ბუნდოვანი პირობების შესახებ წესი. სტანდარტული პირობების ამსახველ ხელშეკრულებებში გამოიყენება „ბუნდოვანი“ ან „უჩვეულო“ დათქმების იმ პირის საწინააღმდეგოდ განმარტების სპეციალური წესი, ვინც იღებს

<sup>491</sup> *Lasarte C*, Clausulas abusivas y nulidad parcial del contrato en el ordenamiento juridico español contemporaneo, Revista de Derecho Comparado, 2001, 144

<sup>492</sup> *Lasarte C*, Clausulas abusivas y nulidad parcial del contrato en el ordenamiento juridico español contemporaneo, Revista de Derecho Comparado, 2001, 145.

<sup>493</sup> *Eckl Ch.*, Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht, Studien zum ausländischen und internationalen Privatrecht 183. Herausgegeben vom Max-Plank-Institut für ausländisches und internationales Privatrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 287

<sup>494</sup> *García Amigo M.*, Consideraciones a la Buena fe contractual, Actualidad Civil 2000, 3 მოითხოვს ნაშრომიდან *Eckl Ch.*, Treu und Glauben im spanischen Vertragsrechts, Studien zum ausländischen und internationalen Privatrecht 183. Herausgegeben vom Max Plank Institut für ausländisches und internationales Provatrecht. Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 288.

უპირატესობას (*interpretatio contra proferentem*)<sup>495</sup>. იმის გამო, რომ შემთავაზებელი წინასწარ აყალიბებს სტანდარტულ პირობებს ცალმხრივად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბუნდოვანი ტექსტი განიმარტება კლიენტის სასარგებლოდ. ამასთან, სტანდარტული პირობები უნდა განიმარტოს ობიექტურად, მხარეთა ნებისა და მიზნების მიუხედავად. სადავო შემთხვევებში (მეწარმეთა შორისაც) საკითხი წყდება კლიენტის სასარგებლოდ.<sup>496</sup> ეს წესი აიხსნება იმით, რომ ხელშეკრულების შინაარსის ცალმხრივად განსაზღვრის შესაძლებლობას შეესაბამება განსაზღვრული ვალდებულება. შემთავაზებელმა უნდა იზრუნოს, რომ ხელშეკრულების პირობები გასაგები და მკაფიო, ნათელი იყოს.<sup>497</sup> სტანდარტული დოკუმენტის შემმუშავებელ მხარეს გააჩნია ყველა შესაძლებლობა სამართლებრივ ურთიერთობათა ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ მოსაწესრიგებლად. თუ ის ამ შესაძლებლობას არ იყენებს, მაშინ ელემენტარული სამართლიანობა მოითხოვს, რომ ფორმულირებათა ბუნდოვანების ნეგატიურმა შედეგებმა, პირველ ყოვლისა, შემთავაზებელზე მოახდინოს გავლენა. „ტექსტის სიცხადეზე პასუხისმგებელია შემთავაზებელი და არა მეორე მხარე. ვისგანაც მოდის ინიციატივა, ისაა უარყოფითი შედეგების მატარებელიც.“<sup>498</sup> პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო განხილვის დროს ბუნდოვანი დებულება (პირობა) ყოველთვის უნდა განიმარტოს შემთავაზებლის კონტრაჰენტის სასარგებლოდ. მაგრამ მარტოოდენ 345-ე მუხლი არ არის საკმარისი მხარეთა ნების დასადგენად და კონტრაჰენტის ინტერესების დასაცავად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გსკ-ს 157-ე მუხლის ანალოგიურ სპეციალურ ნორმას, რომელიც კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ხელშეკრულების განმარტების წესს დაადგენდა, არ შეიცავს. ამასთან, სადავო არ უნდა იყოს ქართულ სამართალში ამგვარი წესის არსებობის აუცილებლობა. შესაძლოა სამომავლოდ სამოქალაქო კოდექსში ამგვარი წესი არც აისახოს სპეციალური ნორმის სახით. ამიტომ მიზანშეწონილი და აუცილებელია სასამართლო პრაქტიკაში ფართოდ განიმარტოს სსკ-ის 52-ე მუხლი და სხვა ფაქტორებთან ერთად, ზოგადად, ნებისმიერი ხელშეკრულების განმარტებისას, კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე დადგინდეს მხარეთა რეალური ნება. გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლე არ უნდა იყოს ვალდებული მხარეთა ნება დაადგინოს ხელშეკრულების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან და აზრიდან გამომდინარე. ამგვარი წესი მოსამართლეს საშუალებას მისცემს იქ, სადაც მხარეებს აშკარად გამოსატყუი ფორმით არ მოუწესრიგებიათ განსაზღვრული პირობები (რადგან მათ უბრალოდ ამის შესახებ არ

<sup>495</sup> ამ წესის შესაბამისად, ხელშეკრულების იმ პირობის მნიშვნელობის თაობაზე ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, რომელიც სპეციალურად არ ყოფილა შეთანხმებული, პირობა უნდა განიმარტოს პირობის შემთავაზებელი მხარის ინტერესების საწინააღმდეგოდ. იხ. *Stiles S. C., Good Faith: A Principled Matter. Forte Angelo D. M., Good Faith in Contract and Property, Portland. 1999, 167.*

<sup>496</sup> *Жалинский А., Рёрихт А., Введение в немецкое право, Спарк, Москва, 2001, 393.*

<sup>497</sup> *Lindacher W.F., Gesetz zur Regelung des rechts der Allgemeinen Geschäftsbedingungen; Kommentar (Von Wolf M., Horn N., Lindacher W.F.), 3. Aufl., Beck, München, 1994, §5 Rn. 24*

<sup>498</sup> *ზოდუ ბ.,* ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 194

უფიქრიათ), ხელშეკრულების განმარტების მეშვეობით გამოიტანოს დასკვნა მხარეთა რეალური ნების არსებობის შესახებ, იქიდან გამომდინარე, რომ მხარეები შეთანხმდნენ სხვა ანალოგიური პირობების თაობაზე. ამით, სასამართლოს გადაწყვეტილება ერთგვარად, შეავსებს მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებას. შესაბამისად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განმარტების მიმართ, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნორმები (სსკ-ის მე-8 და 52-ე მუხლები).

თუ ჩვენ შევადარებთ სსკ-ის 361-ე და 52-ე მუხლების გამოყენების სფეროს, შეიძლება ითქვას შემდეგი: 52-ე მუხლი შეეხება ხელშეკრულების (გარიგების) საფუძველზე წარმოშობილ, ხოლო 361-ე მუხლი – ნებისმიერ ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობას; 52-ე მუხლი შეეხება სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს, როგორც ასეთს, 361-ე მუხლი კი იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს შესრულება; 52-ე მუხლი ვრცელდება მხოლოდ ნების ინტერპრეტაციის პროცესზე, 361-ე მუხლი კი ამკვიდრებს ობიექტურ პრინციპებსა და მასშტაბებს.

#### 4.5.4 კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო სტანდარტული პირობების ბათილობა

##### 4.5.4.1 საერთო დებულებები

„რამდენადაც სტანდარტული პირობები განისაზღვრება მხოლოდ ერთი მხარის მიერ, აუცილებელია მეორე მხარის ინტერესების დაცვა, რომელიც პირობების განსაზღვრაში მონაწილეობას არ იღებს“<sup>499</sup>. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილად ცნობა სუსტი მხარის ინტერესებიდან გამომდინარე ხდება. „იგი დაცვით ფუნქციას ასრულებს მაშინ, როცა მხარე არაა სათანადოდ ინფორმირებული ან სამეწარმეო გამოუცდელობის გამო, თავს კაბალურ ვითარებაში ჩაიგდებს.“<sup>500</sup> ამიტომაცაა, რომ კანონის იმპერატიული დანაწესის თანახმად, ბათილია კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო სტანდარტული პირობები. თუმცა გარიგების ბათილად ცნობის ინსტიტუტის გამოყენებისას, საჭიროა სიფრთხილე, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას საფრთხე რომ არ შეექმნას. შესაბამისად, ამ საფუძველით გარიგების ბათილობა უნდა შემოიფარგლოს ისეთი შემთხვევებით, როდესაც ეს გარდაუვალად აუცილებელია. გარიგების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შემთხვევაში აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ხელშეკრულების ძლიერი მხარის კანონიერი გამართლებული ინტერესები. სამოქალაქო სამართლებრივი ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს იმ გარემოებების შეფასების

<sup>499</sup> ახელედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, (მე-2 გამოცემა), თბ., 1999, 24-28

<sup>500</sup> ბერეკაშვილი ქ., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა – ნების ავტონომია თუ მართლწესრიგის საწინააღმდეგო მოქმედება?, ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(32) 12, 93

კრიტიკერიუმები, რომელთა არსებობის დროსაც ძალთა დისბალანსი აღწევს ისეთ ხარისხს, როცა უკვე აღარ შეიძლება ვისაუბროთ სუსტი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობებზე გაცნობიერებულ და ნებაყოფილობით დათანხმებაზე (თავისუფლად მიღებულ გადაწყვეტილებაზე), როცა ირღვევა სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრინციპები. ასეთ დროს კონტრაქენტი (სუსტი მხარე) შეიძლება დაცული იქნეს თავის მიერ გამოვლენილი ნების უარყოფითი შედეგებისაგან. ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ინტერესები შეიძლება დაბალანსდეს იმით, რომ მხარეს, რომელიც დათანხმდა სტანდარტულ პირობებს, მიენიჭოს გარკვეული უპირატესობა (მაგალითად ფასის შემცირების უფლება ან სხვა შეღავათი) არახელსაყრელი სახელშეკრულებო პირობების (მათ შორის სტანდარტული პირობების) საპირწონედ. ამასთან, კონკრეტული ხელშეკრულების პირობების დაბალანსებაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორც არის გარიგების დადებით მხარეთა დაინტერესების ხარისხი, ბაზარზე არსებული კონიუქტურა და ა.შ. თუმცა ეს ვერ წყვეტს ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერი პირობების პრობლემას, რადგან საბოლოო ჯამში, ასეთი სახელშეკრულებო პირობები შესაძლოა ნეგატიურად აისახოს მხარეთა ინტერესებზე.

ქართული სასამართლო პრაქტიკა სტანდარტული პირობების ბათილობის საკითხის განსაზღვრისას ყურადღებას აქცევს ისეთ ფაქტორებს, როგორც არის ხელშეკრულების სასყიდლიანობა ან უსასყიდლობა. მაგალითად, ნივთის სასყიდლიანი შენახვისას შემნახველს გაძლიერებული გულისხმიერება და პასუხისმგებლობა უნდა მოეთხოვებოდეს, ვიდრე უსასყიდლო შენახვისას, მიუხედავად იმისა, მხარეები შეთანხმებული არიან თუ არა ვალდებულების ფარგლებზე. პრაქტიკა ბათილად მიიჩნევს კონტრაქტის საზიანო სტანდარტულ პირობებს სსკ-ის 346-ე მუხლის საფუძველზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, მეწარმეა თუ არა სუბიექტი. მაგალითად, ბანკი წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს, რომელსაც საბანკო საქმიანობის განხორციელების უფლება სახელმწიფოსაგან გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე აქვს მოპოვებული. მასთან ურთიერთობაში ფიზიკურ პირს ეძლევა საშუალება ივარაუდოს, რომ ბანკის საქმიანობა საამისოდ არსებული წესების დაცვით წარიმართება. ე.ი. ბანკისადმი ნდობა თავიდანვე არის პრეზუმირებული კონტრაქტის საიმედოობითა და ფიზიკური პირის ქონების მომეტებულად დაცვის ვარაუდით.<sup>501</sup> ერთ-ერთ საქმეზე კი, აღნიშნულია რომ სამოქალაქო კოდექსი აგებულია რა თანასწორობის პრინციპზე, ზოგ შემთხვევაში გათვალისწინებულია გარკვეული კატეგორიის სუბიექტთა – მეწარმეთა მომეტებული სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც განსაკუთრებულად ვლინდება სტანდარტული პირობებით დადებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ამ მხრივ სამოქალაქო კოდექსი ადგენს ამკრძალავ ნორმებს, რომლებიც ზღუდავს მეწარმეთა მცდელობას, სამოქალაქო ბრუნვის რისკი გადაიტანონ იმ სუბიექტებზე, რომლებიც არ მისდევენ

<sup>501</sup> უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-722-1045-05, ასევე უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-992-1245-05.

სამეწარმეო საქმიანობას. მოცემულ შემთხვევაში სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეს წარმოადგენდა ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტი და იგი ვალდებული იყო, მომხმარებლისთვის შეეთავაზებინა სამართლიანი სახელშეკრულებო პირობები და ბოროტად არ გამოიყენებინა თავისი ძალაუფლება სამეწარმეო საქმიანობის სფეროში, რომელიც მეორე მხარისათვის წარმოადგენს საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთადერთ საშუალებას. მეწარმე სუბიექტი რიგ საკითხებში შეზღუდულია და მოქმედებს რა სახელმწიფო ორგანოს მიერ განსაზღვრული წესებით (მოცემულ შემთხვევაში სემეკის დადგენილებებით), იგი ვალდებულია, გაითვალისწინოს და თავისი საქმიანობა დააფუძნოს სახელმწიფოს დამოკიდებულებაზე მომხმარებელთან მიმართებით. ეს დამოკიდებულება ნათლად გამოიკვეთა დარღვევის აქტის შედგენისას მომხმარებლის სავალდებულო მონაწილეობაში. შესაბამისად, მეწარმე ვალდებული იყო, ემოქმედა სწორედ ამ აქტის ფარგლებში და ამგვარად განეხორციელებინა თავისი საქმიანობა.<sup>502</sup> სამოქალაქო კოდექსი მხარეებისაგან მოითხოვს რა ურთიერთპატივისცემასა და გულისხმიერებას კონტრაქტთან მიმართებაში, ორივე მხარეს, ამ მხრივ, შეთანხმებულზე უფრო მეტ ვალდებულებას აკისრებს. სწორედ ეს ვალდებულებაა დაწესებული სსკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომლის ძალითაც თავის შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. სწორედ ამიტომ, სხვა საქმეზე, გარდა იმისა, რომ სტანდარტული პირობების განმსაზღვრელი პირი მეწარმე იყო, ყურადღება გამახვილდა იმაზეც, რომ მას დომინირებული მდგომარეობა ეკავა ბაზარზე, რის გამოც სსკ-ის 319-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მას არ შეეძლო კონტრაქტისთვის უსაფუძვლოდ შეეთავაზებინა ხელშეკრულების არათანაბარი პირობები.<sup>503</sup>

მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს, მხარეთა რა არსებითი ინტერესები გაითვალისწინა გადაწყვეტილების მიღებისას.

სტანდარტული პირობების შემთავაზებელი მხარის ქცევის შეფასების კრიტერიუმში, სსკ-ის 346-ე მუხლის<sup>504</sup> მიხედვით არის

<sup>502</sup> უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-611-837-08.

<sup>503</sup> უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-992-1245-05.

<sup>504</sup> ნორმაში საუბარია ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო სტანდარტული პირობების ბათილად ცნობის შესახებ. შთაბეჭდილება რჩება, თითქოს საუბარია ორ სხვადასხვა - ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე. რეალურად კი კეთილსინდისიერების პრინციპი თავის თავში მოიცავს ნდობის მომენტსაც, რის გამოც უნდა დავასკვნათ, რომ საუბარია არა ორ სხვადასხვა პრინციპზე, არამედ კეთილსინდისიერების პრინციპზე, რომელიც აერთიანებს ნდობის მომენტსაც. კეთილსინდისიერების პრინციპზე მსჯელობისას ლიტერატურაში მართებულად არის აღნიშნული, რომ ამ პრინციპის გამოყენება ძირითადად ისეთი შემთხვევებითაა განპირობებული, რომლებშიც მოთხოვნა ან კონტრაქტის ქცევა ფორმალურად მოქმედ მატერიალურ სამართალს შეესაბამება, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლო ან მეორე მხარის საფუძვლიან ნდობას ეწინააღმდეგება. იხ: *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 84.

კეთილსინდისიერების პრინციპი. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, ძლიერ მხარეს (ამ შემთხვევაში სტანდარტული პირობების შემთავაზებელს) ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ხელშეკრულების მეორე მხარის უფლებები და ინტერესები ილახება (ირღვევა ან არ ხდება მათი გათვალისწინება ძლიერი მხარის მიერ) მხარეთა ძალებს და შესაძლებლობებს შორის დისბალანსის არსებობის შედეგად და უფლებათა ამგვარი შელახვა განპირობებულია ძლიერი მხარის ძალაუფლების სფეროს გავლენით. სხვაგვარად რომ ითქვას, ძლიერ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ის უთანასწორო მდგომარეობით სარგებლობს და ამით არაკეთილსინდისიერად ლახავს სუსტი მხარის ინტერესებს. კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე გადამწყვეტი და მთავარია ხელშეკრულების ჭეშმარიტი არსი, აზრი და მნიშვნელობა და არა ხელშეკრულების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა.

შეფასებისას სასამართლომ უნდა განსაზღვროს, ჰქონდა თუ არა ხელშეკრულების სუსტ მხარეს (ვისაც შესთავაზეს სტანდარტული პირობები) სტანდარტული პირობების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის შესაძლებლობა, ხოლო თუ არ ჰქონდა ამგვარი შესაძლებლობა, რის გამო მოხდა ეს, არის თუ არა სტანდარტული პირობები კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნათა შესაბამისად ჩამოყალიბებული, გათვალისწინებულია თუ არა მათში მეორე მხარის უფლებები და ინტერესები? არ უნდა იყოს სახეზე ნების ნაკლი და ამასთან, სტანდარტულ პირობებზე დათანხმება ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგი უნდა იყოს. როგორც წესი, მეორე მხარის მიერ შემთავაზებულ არაკეთილსინდისიერ და უსამართლო სტანდარტულ პირობებს თანხმდება ის, ვისაც ეკონომიკური მიზეზების გამო არ შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე, თუნდაც არახელსაყრელ პირობებს შეიცავდეს ეს ხელშეკრულება. თუ ერთი მხარის მიერ ხდება ხელშეკრულების პირობების წინასწარი შემუშავება, ჩამოყალიბება და შემდგომ მათ მრავალჯერადად იყენებს ყოველგვარი ცვლილების შეტანის გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების შინაარსის ჩამოყალიბება არ არის დამოკიდებული მხარეთა მოლაპარაკებებზე და ასეთ მხარეს სახელშეკრულებო ურთიერთობებში გარკვეული (ეკონომიკური ან ტაქტიკური) უპირატესობა გააჩნია კონტრაქტებთან შედარებით. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია ხელშეკრულების პირობების მოცულობას. ამიტომ, გარიგების სტანდარტული პირობების შესახებ სსკ-ის ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა წინასწარ ჩამოყალიბებულ იქნა მრავალჯერადი გამოყენებისათვის განკუთვნილი მხოლოდ ერთი სახელშეკრულებო პირობა. სსკ-ის 346-ე მუხლი, რომელიც კრძალავს კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო სახელშეკრულებო სტანდარტული პირობების გამოყენებას, არ უნდა იქნეს მიჩნეული ისეთ ნორმად, რომელიც ზღუდავს სტანდარტული პირობების შემთავაზებელი მხარის უფლებას, ჩამოყალიბოს ხელშეკრულების პირობები, არამედ ამ ნორმით ხდება ნების ავტონომიის პრინციპის დაცვა და სამართლებრივი ურთიერთობების სამართლიანად და ნათლად მოწესრიგების უზრუნველყოფა კონტრაქტის ინტერესების გათვალისწინებით .



გერმანიის სასამართლოები ბათილად მიიჩნევენ სტანდარტულ პირობებს, თუ ისინი გაუმართლებლად ლახავდნენ კონტრაქტის ინტერესებს.<sup>505</sup> ამისთვის სასამართლოები იყენებდნენ კეთილსინდისიერების პრინციპს, თუმცა სინამდვილეში ეს იყო „მოსამართლეების მიერ შექმნილი სამართალი“.<sup>506</sup>

„გარიგებათა ზოგადი პირობების სამართლის მოწესრიგების შესახებ“<sup>507</sup> გერმანიის 1976 წლის კანონის 24a მუხლის შესაბამისად, მომხმარებლის მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში კეთილსინდისიერების კონტროლის ერთადერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმია ხელშეკრულების პირობების (რომელთა შინაარსზეც მომხმარებელი გავლენას ვერ ახდენს) წინასწარი ფორმულირება - თუნდაც ხელშეკრულების პირობები გამოხუნული (განკუთვნილი) იყოს ერთჯერადი გამოყენებისთვის. რაც შეეხება კომერციულ ბრუნვას (მეწარმეებს შორის ურთიერთობებს) გერმანიის ზემოაღნიშნული კანონის გამოსაყენებლად კომერციულ ბრუნვაში აუცილებელია ორი წინაპირობის შესრულება, კერძოდ: სასამართლოებს შეუძლიათ შეამოწმონ „კეთილსინდისიერება“ ან „თანაზომიერება“ (ადეკვატურობა) გარიგებათა მხოლოდ იმ ზოგადი პირობებისა, რომლებიც წინასწარ იყო ფორმულირებული ერთ-ერთი მხარის მიერ მრავალჯერადი გამოყენებისთვის.

იმ ურთიერთობისაგან განსხვავებით, რომლებშიც მომხმარებლები მონაწილეობენ, წინასწარი ფორმულირების კრიტერიუმის გამოყენება ისეთი კრიტერიუმის გარეშე, როგორც არის მრავალჯერადი გამოყენება, არ შეიძლება იყოს მხარეთა ძალების უთანასწორობის საკმარისი დამამტკიცებელი ფაქტორი კომერციულ ბრუნვაში ხელშეკრულების დადების დროს.<sup>508</sup> საქმე იმაშია, რომ ყველა ოფერტში წინასწარ და სრულად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ხელშეკრულების პირობები, რადგან მხოლოდ აქცეპტი (ცვლილებების გარეშე) იწვევს ხელშეკრულების დადებას. ამიტომ აუცილებელია დამატებითი კრიტერიუმების გამოყენება იმის დასამტკიცებლად, რომ მხარეთა ძალები არათანაბარია და სწორედ ამგვარი უთანასწორობა გახდა ხელშეკრულებაში არაკეთილსინდისიერი პირობების შეტანის მიზეზი და ერთ-ერთ მხარეს მისცა ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. ასეთ კრიტერიუმს წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების მრავალჯერადი გამოყენება.

თუ პირისათვის ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერი პირობებისაგან დაცვის უფლების მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების სტანდარტიზება, შემთავაზებელს შეუძლია დაამტკიცოს, რომ პირობა შეთანხმებული იყო ინდივიდუალური წესით, შესაბამისად, პირობის ბათილად ცნობის შესახებ ნორმები არ შეიძლება გამოყენებულ იქნენ.

<sup>505</sup> *Medicus D.*, Bürgerliches Recht, 18 Aufl, Köln, Berlin, Bonn, München, 1999, 42-44.

<sup>506</sup> *Kötz H.*, Europäisches Vertragsrecht: b.d.1., Tübingen, 1996, 217

<sup>507</sup> <http://dejure.org/gesetze/AGBG/24a.html>

<sup>508</sup> *Larenz K., Wolf M.* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 8. Aufl. C.H. Beck'scheVerlagsbuchhandlung, §42, München, 1997, Rn. 31

სასამართლოს მიერ ხელშეკრულების პირობების ნამდვილობის შეფასებისას კი, მნიშვნელობა ენიჭება გარემოებებს, რომელ გარემოებებშიც დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც გამოყენებული იყო ესა თუ ის დათქმა. სასამართლომ უნდა დაადგინოს, შეუსაბამოდ ლახავს თუ არა ხელშეკრულების პირობა მეორე მხარის ინტერესებს; ან მეორე მხარის ინტერესების საწინააღმდეგოდ ისე ზღუდავს ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე არსებით უფლებებსა და მოვალეობებს, რომ საფრთხე ექმნება ხელშეკრულების მიზნის მიღწევას; ან საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით უხეშად არღვევს მეორე მხარის ინტერესებს.

გარიგებათა ზოგადი პირობების სამართლის მოწესრიგების შესახებ გერმანიის 1976 წლის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად (ეს ნორმა მოქმედებს როგორც კომერციულ ბრუნვაში, ისე მომხმარებლებთან ურთიერთობებში) ხელშეკრულების ზოგად (ანუ სტანდარტულ) პირობებში ასახული დათქმები ბათილია, თუ ისინი კეთილსინდისიერების პრინციპის (ნდობისა და ერთგულების პრინციპის) საწინააღმდეგოდ არათანაზომიერად (*unangemessen*) ლახავენ ხელშეკრულების მეორე მხარის უფლებებსა და ინტერესებს. ინტერესების არათანაზომიერი შელახვა „ივარაუდება საეჭვოობის შემთხვევაში“, თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობა შეუთავსებელია საკანონმდებლო მოწესრიგების ძირითად იდეებთან, რომლებიც უარყო შემთავაზებელმა, ან თუ ის იმდენად ზღუდავს ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე არსებით უფლებებსა და მოვალეობებს, რომ საფრთხე ექმნება ხელშეკრულების მიზნის მიღწევას.

როდესაც სასამართლო წყვეტს კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნის დარღვევის საფუძველით სტანდარტული პირობის ბათილად ცნობის საკითხს, მან უნდა შეამოწმოს, ხელშეკრულების დადებისას რამდენად იყო შეზღუდული კონტრაქტის ნების თავისუფლება. გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე კონტრაქტების სამართლებრივ მდგომარეობაში დისპროპორცია. ხელშეკრულების პირობა ბათილად უნდა ჩაითვალოს, თუ იგი კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ უხეშად არღვევს კონტრაქტის ინტერესებს. სტანდარტული პირობების შემთავაზებელმა უნდა დაიცვას კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის დროს.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაძლო რისკების თაობაზე ერთნაირად სრულყოფილად რომ არ არიან მხარეები ინფორმირებულნი, ეს მარტოდენ სტანდარტული პირობების ამსახველ ხელშეკრულებებში როდი ვლინდება. მაგალითად, დაზღვევის ხელშეკრულებებში მზღვეველს შეიძლება გააჩნდეს უპირატესობა ხელშეკრულების სტანდარტული ფორმის გამოუყენებლადაც. ეს უბრალოდ იმიტომ ხდება, რომ რისკების მართვა, რომელთაც ის თავის თავზე იღებს, დამზღვევისაგან განსხვავებით, მზღვეველისათვის წარმოადგენს თავისი პროფესიული საქმიანობის სფეროს და მას შეუძლია დამზღვევის შეუმჩნეველად ხელშეკრულებაში შეიტანოს თავისთვის უპირატესობის შემქმნელი პირობა. ამგვარი ფაქტების გამოსარიცხად აშშ-ში შემუშავდა საკმაოდ ეფექტიანი უნივერსალური ინსტრუმენტი – ნაკლებად ინფორმირებული

მხარის „გონივრული მოლოდინის“ (*reasonable expectations*) დაცვა. ხელშეკრულების ნაკლებად ინფორმირებულმა მხარემ უნდა მიიღოს ის, რისი მოლოდინიც მას შეიძლებოდა ჰქონოდა ხელშეკრულების საგნის შესახებ თავისი წარმოდგენიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს ხელშეკრულების პირობებს ეწინააღმდეგება<sup>509</sup>. ასეთივე მიდგომაა ინგლისის სამართალშიც.<sup>510</sup> ამრიგად, თუ ორგანიზაციას, რომლისთვისაც ესა თუ ის საქმიანობა წარმოადგენს პროფესიული საქმიანობის სფეროს, სურს ხელშეკრულებაში თავისთვის უპირატესობის შემქმნელი პირობის ჩართვა, შეტანა, პირველ ყოვლისა, ევალება იმაზე იზრუნოს, რომ ამგვარი სახელშეკრულებო პირობა და ხელშეკრულებაში მისი ჩართვის შედეგები სრულიად ნათელი იყოს ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. სხვა შემთხვევაში, ასეთ პირობას არ დაეყრდნობა სასამართლო დავის გადაწყვეტისას, რადგან ხელშეკრულების მეორე მხარე, რომელსაც არ ესმის პირობის არსი და მნიშვნელობა, არ შეიძლება გონივრულად მოელოდებოდეს იმ შედეგებს, რომლებსაც ხელშეკრულების ასეთი პირობა წარმოშობს.

„ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერი პირობების შესახებ“<sup>511</sup> დიდი ბრიტანეთის 1977 წლის კანონი (*Unfair Contract terms Act 1977*) იყენებს გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპს პასუხისმგებლობის შემზღუდავი ან გამომრიცხველი პირობების შინაარსზე კონტროლის კრიტერიუმად. სამართლიანობისა და გონივრულობის მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ შესაბამისი პირობა წარმოადგენს სამართლიან და გონივრულ პირობას ხელშეკრულებაში ჩასართავად იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ცნობილი უნდა ყოფილიყო ან გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მხარეების მიერ ხელშეკრულების დადების დროს (მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი). ამრიგად, ხელშეკრულების პირობის არაკეთილსინდისიერება იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი პირობა იმ პირს, რომლის წინააღმდეგაც იგი არის გამოყენებული, უსპობს ან შეიძლება მოუსპოს მინიჭებული განსაკუთრებული უფლება, რომლითაც ეს პირი აღჭურვილია სოციალური პოლიტიკის ფარგლებში, ან ისეთი უფლებები, რომელთა გონივრული მოლოდინი შეიძლება ჰქონდა საქონლის (მომსახურების) მიმღებს ხელშეკრულების დადების დროს.<sup>512</sup> მტკიცების ტვირთი, რომ ესა თუ ის პირობა არ შეესაბამება გონივრულობის კრიტერიუმს, ეკისრება მხარეს, რომელიც ამტკიცებს, რომ პირობა არ შეესაბამება გონივრულობის კრიტერიუმს.<sup>513</sup>

კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვისაც ცნობილია დამზღვევის გონივრული მოლოდინის სასამართლო წესით დაცვის მაგალითები. ერთ-ერთ საქმეზე სადაზღვევო პოლისში დაზღვევის ობიექტად მითითებული

<sup>509</sup> „გონივრული მოლოდინის“ დოქტრინა განსაკუთრებით დეტალურად დამუშავდა დაზღვევის სფეროში. ეს დოქტრინა აღწერილია ნაშრომში *Keeton R.E. Wides A.I. Insurance Law. A Guide to Fundamental Principles, Legal Doctrines and Commercial Practices. Practitioner's Edition.* – St. Paul, MN, 1988

<sup>510</sup> იხ. მაგალითად: *Cheshire H. Fifoot D. The Law of contract.* 11<sup>th</sup> edn. by Furmston – 1986, 28f

<sup>511</sup> <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/50>

<sup>512</sup> *Зименкова О. Н., Недобросовестные условия в договорах с потребителями: законодательство и практика зарубежных стран. Основные институты гражданского права зарубежных стран. Сравнительно-правовое исследование, Норма, М., 1999, 407-408.*

<sup>513</sup> *Комаров А.С., Ответственность в коммерческом обороте, юрид. лит., М., 1991, 154.*

იქნა სავაჭრო და სასაწყობო სათავსოებში არსებული საქონელი (კომპიუტერები, ორგტექნიკა, აქსესუარები). საქონლის ნაწილი, მათ შორის მობილური ტელეფონები, მოიპარეს. მზღვეველმა უარი თქვა აენაზღაურებინა მობილური ტელეფონების დაკარგვით მიყენებული ზიანი, რადგან ფორმალური თვალსაზრისით, მობილური ტელეფონები არ წარმოადგენენ არც კომპიუტერებს, არც ორგტექნიკას, არც აქსესუარებს. სასამართლომ დააკისრა მზღვეველს, სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის დამზღვევისათვის ანაზღაურების ვალდებულება. სასამართლომ მიუთითა: „იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ორგტექნიკასთან ერთად, ახდენდა ასევე მობილური ტელეფონების რეალიზაციას და მოსარჩელეს დაზღვევის ხელშეკრულების დადების დროს მხედველობაში ჰქონდა მთელი ორგტექნიკა, ხოლო მზღვეველმა დააზღვია საწყობში განთავსებული დამზღვევის ორგტექნიკა განურჩევლად მათი სახეობისა, მხარეთა ნების გამოვლენა მიმართული იყო ნებისმიერი სახის ორგანიზაციული ტექნიკის, მათ შორის, მობილური ტელეფონების დაზღვევისაკენ.<sup>514</sup>

მოცემულ საქმეში სასამართლომ ხელშეკრულების პირობები განმარტა დამზღვევის სასარგებლოდ. სასამართლოს მიერ იგნორირებული იქნა ხელშეკრულებაში გამოყენებული ისეთი ტერმინის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, როგორც არის „ორგტექნიკა“.

მსგავს შემთხვევებში სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა სერიოზული ინტერესების დაცვა და გათვალისწინება ხდება სასამართლოს მიერ.

რაც შეეხება ქართულ სამართალს, უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე მნიშვნელოვანი დებულება. კერძოდ, ხელშეკრულების სტანდარტული პირობა უნდა შეესაბამებოდეს კეთილსინდისიერების პრინციპს, ნიშნავს:

1) აკრძალულია უჩვეულო დათქმების გამოყენება. აღნიშნული წესი მხარეს იცავს მოულოდნელობისაგან. მხარეს უნდა შეეძლოს ნდობა იმისა, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მოცემული იქნება ისეთ ფორმაში, რომელსაც, ჩვეულებრივ, უნდა ელოდებოდეს მხარე ასეთი ხელშეკრულების დროს.<sup>515</sup> ამ ნორმებს ზოგჯერ „სიურპრიზ“ ნორმებს უწოდებენ. კანონმდებელი მაქსიმალურად იცავს კლიენტს ე.წ. სიურპრიზი პირობებისგან, ე.ი. მოულოდნელი, უჩვეულო პირობებისგან.<sup>516</sup> პრაქტიკაში, რეალურ ცხოვრებაში, კლიენტი იშვიათად თუ სწავლობს ხელშეკრულების ყველა პირობას ცალ-ცალკე. კლიენტი მოელის, რომ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში უჩვეულო დათქმა არ იქნება გათვალისწინებული. ისეთი პირობები, რომლებსაც გარემოებებისდა მიხედვით, და განსაკუთრებით, ხელშეკრულების ზოგადი ხასიათის

<sup>514</sup> Постановление Федерального арбитражного суда западно-Сибирского округа от 05.05.2003 по делу № Ф 04/2041-650/ А45-2003- Справочно-информационная система, „Консультант Плюс“.

<sup>515</sup> Brox H., Walker W., Allgemeines Schuldrecht, 32 Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2007, 44, მითითებულია ნაშრომიდან *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე), თბ., 2008, 106

<sup>516</sup> Жалинский А., Рёрихт А., Введение в немецкое право, „Спарк“. М., 2001, 392.

მიხედვით, არ მოელის კლიენტი, არ იქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.

იმას, თუ რამდენად არის ესა თუ ის პირობა უჩვეულო, მოსამართლე განსაზღვრავს ყოველი შემთხვევის გარემოებების მიხედვით;

2) აკრძალულია კონტრაქტის ინტერესების არათანაზომიერი შელახვა. არათანაზომიერად ითვლება პირობა, რომლის მეშვეობითაც შემთავაზებელი ცდილობს ცალმხრივად ასახოს ხელშეკრულებაში თავისი ინტერესები ისე, რომ მეორე მხარეს ამის სანაცვლოდ (საკომპენსაციოდ) არაფერი შესთავაზოს. ამასთან, არათანაზომიერება დამოკიდებულია სამართლის ძირითად იდეებთან და ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე კონტრაქტის ინტერესებთან ხელშეკრულების პირობის შესაბამისობაზე. ხელშეკრულების პირობების თანაზომიერების შესაფასებლად აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხარეთა ინტერესების შედარების მეთოდი. მაგალითად, სტანდარტული პირობა ბათილად უნდა ჩაითვალოს, თუ ასეთი პირობა გამორიცხავს შემთავაზებლის პასუხისმგებლობას, ზრდის მეორე მხარის პასუხისმგებლობას ან ართმევს, უსპობს მეორე მხარეს მატერიალურ უფლებებს. თუმცა დაუშვებელია ხელშეკრულების ფასის თანაზომიერების კონტროლი. იმდენად, რამდენადაც სტანდარტული პირობების შინაარსს განსაზღვრავს ერთ-ერთი მხარე, ამგვარი მხარისათვის დიდია ცდუნება, ხელშეკრულებაში შეიტანოს თავისთვის ხელსაყრელი, რაც შეიძლება მეტი პირობა, ამასთან, კონტრაქტის ინტერესების გათვალისწინება საერთოდ არ ხდება. სსკ-ის 346-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ითვალისწინებს ორი სახის შემთხვევას, როცა ჩვეულებრივ, ივარაუდება ერთ-ერთი მხარის ინტერესების არათანაზომიერი შელახვა. კერძოდ, პირველ ჯგუფში იგულისხმება შემთხვევები, როცა სახელშეკრულებო დათქმა შეუთავსებელია სამართლის არსებით პრინციპებთან. მაგალითად იმ პირობის მიმართ კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების შესახებ, რომელიც უცხოურ სავაჭრო წარმომადგენელს ართმევს კომპენსაციის გადახდის მოთხოვნის უფლებას ხელშეკრულების შეწყვეტისას,<sup>517</sup> მითითებულია ლიტერატურაში.

სამართლის პრინციპებში იგულისხმება დისპოზიციური წესები (ე.ი. ნორმატიული აქტების და პირველ ყოვლისა, სამოქალაქო კოდექსის ნორმები, ჩვეულებანი, დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბებული სამართლის პრინციპები), რომლებიც გამოიყენება მხოლოდ იქ, სადაც მხარეებმა სხვა რამე არ გაითვალისწინეს. ფაქტობრივად, 346-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოებმა უნდა შეამოწმონ სამართლის დისპოზიციურ ნორმებთან მხარეთა ინტერესების თანაფარდობის შესაბამისობა. მართალია მხარეებს უფლება აქვთ ხელშეკრულებაში გადაუხვიონ დისპოზიციურ ნორმას და მართალია ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ფორმალურ-სამართლებრივი

<sup>517</sup> Hepting R., Detzer K., Die Abdingbarkeit des Ausgleichsanspruchs ausländischer Handelsvertreter und Vertragshändler insbesondere durch Allgemeine Geschäftsbedingungen // RIW 1989, 337-347.

თვალსაზრისით, წარმოადგენენ სახელშეკრულებო პირობებს, დისპოზიციურ ნორმას აკისრია ერთგვარი „ნიმუშის ფუნქცია“.<sup>518</sup>

გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ (რომელიც ქართულ სინამდვილეშიც მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს) შეიმუშავა მიდგომა, რომლის შესაბამისადაც განასხვავებენ მიზანშეწონილობის მოსაზრებებზე დაფუძნებულ წესებს და სამართლიანობის შესახებ წარმოდგენებიდან გამომდინარე (სამართლიანობის წარმოდგენებზე დამყარებულ) პრინციპებს. პირველ შემთხვევაში, როგორც წესი, დისპოზიციური ნორმისაგან განსხვავებულად ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის დროს, სახეზე არ არის ინტერესების არათანაზომიერი შეღავათა. თუკი კანონის ნორმით გათვალისწინებული წესი ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს, მაშინ შეფასება ხდება სამართლიანობის შესახებ კანონმდებლის წარმოდგენებიდან გამომდინარე. ამასთან, თუკი შემთავაზებელი დაინტერესებულია, რომ კანონით დადგენილი წესისაგან განსხვავებულად მოაწესრიგოს მხარეთა ურთიერთობა, მაშინ სასამართლომ უნდა დაადგინოს, კონკრეტულ შემთხვევაში შემთავაზებლის ინტერესებს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი თუ აუცილებელია სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე მეორე მხარის ინტერესების დაცვა. იმისდა მიხედვით, თუ რა შედეგებს მოგვცემს ამგვარი შეფასება, სასამართლომ უნდა გამოიტანოს დასკვნა პირობის დასაშვებობის შესახებ. შემთხვევების მეორე ჯგუფი, გულისხმობს იმას, რომ აკრძალულია ხელშეკრულებას დაეკარგოს არსი და მნიშვნელობა. კერძოდ, ინტერესების არათანაზომიერ შეღავათს ადგილი აქვს, როცა ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე არსებითი უფლებები და მოვალეობები შეზღუდულია იმდენად, რომ საფრთხე ექმნება ხელშეკრულების მიზნის მიღწევას.<sup>519</sup> ასეთ დროს ადგილი აქვს ხელშეკრულების ძირითადი მიზნისაგან გადახვევას, ხელშეკრულების ძირითადი მიზნის უარყოფას. შემთავაზებელი არ აყალიბებს თავის ვალდებულებებს და კლიენტის უფლებებს, რომლებიც აუცილებელია და ბუნებრივია, თავისთავადია მოცემული ხელშეკრულებისთვის, რაც ეწინააღმდეგება ხელშეკრულების ბუნებას და ხელშეკრულების მნიშვნელობას საფრთხეს უქმნის.

ხელშეკრულების მიზნისა და შინაარსის საფუძველზე ჯერ უნდა განისაზღვროს, თუ რა წარმოადგენს „მოცემული ხელშეკრულების ბუნებას“. ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარეობს მხარეთა არსებითი და ტიპური უფლებები და მოვალეობები. თუ ეს უფლებები და მოვალეობები იზღუდება იმდენად, რომ საფრთხე ექმნება ხელშეკრულების მიზნის მიღწევას, მაშინ შესაბამისი პირობა წარმოადგენს დაუშვებელ პირობას. სხვაგვარად რომ ითქვას, დაუშვებელია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მეშვეობით ხელშეკრულებას არსი გამოეცალოს და ხელშეკრულებას დაეკარგოს მიზანი. ამ კრიტერიუმის გამოყენების დროს შეფასების მასშტაბს წარმოადგენს არა კანონით დადგენილი ნიმუში, არამედ სრულიად კონკრეტული ხელშეკრულება.

<sup>518</sup> *Heinrichs H.*, in :Kommentar zum BGB /*Palandt O.*, 59. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2000 (2176) §9 Rn. 18.

<sup>519</sup> *Klunziger E.*, Einführung in das bürgerliche Recht, 5. Aufl., Verlag Vahlen, München, 1993, 86, 11

დისპოზიციური ნორმის, როგორც ნიმუშის ფუნქციას, განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს 346-ე მუხლის განმარტების საკითხშიც. კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ შეიმუშავა „განსხილობის, ღიაობის პრინციპი“ (*Transparenzgebot*)<sup>520</sup>, რომელიც ავსებს კეთილსინდისიერების შესახებ დებულებას. აღნიშნული პრინციპის თანახმად, სტანდარტული პირობების შემთავაზებელი ვალდებულია მეორე მხარის უფლებები და მოვალეობები ჩამოაყალიბოს ცხადად, ნათლად, მკაფიო ფორმით და იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ამ უფლება-მოვალეობათა განხორციელება. სტანდარტული პირობები უნდა იყოს ნათელი, გასაგები და იოლად აღსაქმელი. დაუშვებელია პირობების შინაარსის გაბუნდოვნება, გაურკვეველი, გაუგებარი, ბუნდოვანი და რთულად ფორმულირებული დათქმებით.<sup>521</sup> გარდა ამისა, ხელშეკრულება ნათელი, მკაფიო უნდა იყოს, ე.ი. ხელშეკრულების დებულებები ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული. კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისაგან დაცული უნდა იქნენ როგორც მეწარმეები, ისე მომხმარებლებიც. დაუშვებელია შემთავაზებელი სტანდარტული პირობების ცალმხრივად განსაზღვრისას იყენებდეს სახელშეკრულებო პირობების „შეუმჩნევლად თავს მოხვევის“ მეთოდს. ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერების პრინციპი ზღუდავს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს და ამით იცავს ხელშეკრულების სუსტი მხარის ინტერესებს. საყურადღებოა სსკ-ის 346-ე მუხლის მე-2 წინადადებაც, რომლის შესაბამისადაც, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა. მაგალითად, ბათილი იქნება ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, რომელიც საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, უხეშად არღვევს კონტრაქტის ინტერესებს. ამასთან, რადგან სტანდარტული პირობებით დგინდება დისპოზიციური ნორმებისგან განსხვავებული წესები, ერთი მხრივ, უნდა შეფასდეს დისპოზიციური ნორმებით დადგენილი წესებისაგან განსხვავებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განსაზღვრის (დისპოზიციური ნორმებისაგან გადახვევის) მიზანშეწონილება, მაშინ როცა დისპოზიციური ნორმები თანაბრად ითვალისწინებენ ორივე მხარის ინტერესებს. მეორე მხრივ, უნდა შემოწმდეს, რამდენად შეიზღუდა კონტრაქტის ნების თავისუფლება. გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე კონტრაქტების სამართლებრივ მდგომარეობაში დისპროპორცია. გადამწყვეტია კონტრაქტის ინტერესების შელახვა ხელშეკრულების დადების მომენტში. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა უხეშად არღვევს კონტრაქტის ინტერესებს, ის უნდა შეფასდეს ერთობლიობაში და ხელშეკრულების სხვა პირობების გათვალისწინებით.

როგორც აღინიშნა, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები წინასწარ არის ჩამოყალიბებული მრავალი ხელშეკრულებისთვის და

<sup>520</sup> BGH Urt.v. 29.9.1983- VII ZR 225/82 (Koblenz) Neue Juristische Wochenschrift, 37. Jahrgang 1984, 1. Halbband, C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München und Frankfurt, 171-172; BGH, Urt.v. 10.7.1990 XI YR 275-89 (Düsseldorf), Neue Juristische Wochenschrift, 43. Jahrgang 1990, 2. Halbband, G.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München und Frankfurt, 2383.

<sup>521</sup> Thamm M., Taschenkommentar zum AGB-Gesetz-Heidelberg: Verl. Recht und Wirtschaft, 1998 §9, Rn. 13



მათ შემთავაზებელი სთავაზობს (უდგენს) კლიენტს ცალმხრივად. ეს ნიშნავს, რომ შემთავაზებელი სარგებლობს ხელშეკრულების შინაარსის ცალმხრივად განსაზღვრის უფლებით<sup>522</sup> და ცდილობს შებოჭოს კლიენტი ხელშეკრულების ამ პირობებით. თუ სახელშეკრულებო პირობები არ ყოფილა შეთავაზებული რომელიმე მხარის მიერ (მაგალითად, თუ ხელშეკრულების პირობები მხარეებს შესთავაზა ნოტარიუსმა), მაშინ ითვლება, რომ ისინი არ ყოფილა განსაზღვრული ცალმხრივად და ასეთი პირობები არ ექცევიან სტანდარტული პირობების მომწესრიგებელი ნორმების მოქმედების სფეროში. მაგრამ ამ შემთხვევაში შესაძლებელია კეთილსინდისიერების პრინციპთან ხელშეკრულების პირობების შინაარსის შესაბამისობის შემოწმება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ასახული სტანდარტული პირობების მომწესრიგებელი, ასევე ხელშეკრულების თავისუფლების განმსაზღვრელი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელშეკრულებო პირობა არ შეიძლება ჩაითვალოს სტანდარტულ პირობად, თუ იგი მხარეებმა ერთობლივად განსაზღვრეს. ხელშეკრულების პირობა მაშინ ითვლება მხარეთა შორის შეთანხმებულად, როცა შემთავაზებელმა კონტრაქტს მისცა ხელშეკრულების პირობების განსაზღვრაში მონაწილეობის რეალური შესაძლებლობა და თავის მხრივ, კონტრაქტმა განახორციელა თავისი უფლება. მეორე მხარეს უნდა ჰქონდეს ხელშეკრულების პირობის შინაარსის ან ხელშეკრულების მთელი სტანდარტული ნაწილის შემოწმების და მათში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა. შემთავაზებელმა კონტრაქტს სერიოზული განზრახვით უნდა შესთავაზოს განსახილველად ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ასახული დებულებები და მიაწოდოს კონტრაქტს თავისუფლება, ჩამოაყალიბოს ხელშეკრულების პირობები, რათა დაცული იქნეს კონტრაქტის ინტერესები. პირველ ყოვლისა, კონტრაქტს უნდა ჰქონდეს ხელშეკრულების იმ პირობების შინაარსზე გაგვიანის მოხდენის შესაძლებლობა, რომელთა მეშვეობით ხდება დისპოზიციურ ნორმით გათვალისწინებული წესის შეცვლა ან შევსება. თუ მოლაპარაკებათა საგანი იყო ხელშეკრულების მხოლოდ რომელიმე ცალკეული პირობა და არა ხელშეკრულების წინასწარ ჩამოყალიბებული ყველა პირობა, მაშინ დანარჩენი პირობები ითვლება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად. ხელშეკრულების წინასწარ ჩამოყალიბებული პირობების მარტოდენ განხილვა მხარეთა შორის ან მათი შინაარსის და მნიშვნელობის მარტოდენ განმარტება, არ შეიძლება ჩაითვალოს „პირობის შეთანხმებად“. მარტოდენ განმარტება არ ნიშნავს, რომ მხარეებმა მოილაპარაკეს (მხარეები შეთანხმდნენ), თუ ამასთან კონტრაქტს არ ჰქონდა რეალური შანსი, რაიმე შეეცვალა ხელშეკრულების პირობებში. მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სსკ-ის 344-ე მუხლი (უჩვეულო, მოულოდნელი დათქმების აკრძალვა), რადგან პირობა, რომლის მნიშვნელობაც ზუსტად განემარტა კონტრაქტს, არ შეიძლება იყოს უჩვეულო (მოულოდნელი).

შეთანხმებას არა აქვს ადგილი მაშინაც, როცა ხელშეკრულების სტანდარტულ ტექსტში კლიენტს ეძლევა შესაძლებლობა არჩევანი მოახდინოს სხვადასხვა ალტერნატივას შორის, კერძოდ შემოხაზოს

<sup>522</sup> Brox H., Allgemeines Schuldrecht/von Hans Brox. 24 Aufl., , Beck, München, 1997, 29 Rn., 46.



თავისთვის სასურველი პირობები ან გადახაზოს არასასურველი პირობები. არ არის საკმარისი, თუ მყიდველს ჰქონდა მხოლოდ ხელშეკრულების ტექსტის შემცირების შესაძლებლობა ან როცა სტანდარტულ ტექსტში დატოვებულია ადგილები, რომლებიც ივსება მოლაპარაკებათა შედეგების შესაბამისად (ე.ი. როცა შესაძლებელია, მხოლოდ დამატებების შეტანა).<sup>523</sup>

მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი. კერძოდ, მხარემ, რომელიც მიუთითებს (ეყრდნობა) სტანდარტულ პირობებზე, საეჭვოობის შემთხვევაში უნდა დაამტკიცოს, რომ სტანდარტული პირობები ხელშეკრულების ნაწილად იქცნენ. ამდენად, ამ ნაწილში მტკიცების ტვირთი ეკისრება შემთავაზებელს, რადგან წესით მან უნდა იზრუნოს პირობების ხელშეკრულებაში გარკვევით და კანონით გათვალისწინებული წესით ჩართვისათვის.<sup>524</sup> იმ მხარეს, რომელიც მიუთითებს დამცავი ნორმის (მოცემულ შემთხვევაში სსკ-ის 346-ე მუხლი) გამოყენების აუცილებლობაზე, ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ სადავო პირობები წარმოადგენენ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს. თუ შემთავაზებელი განაცხადებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში პირობები არა მარტო შეტანილი იქნა ხელშეკრულებაში, არამედ წარმოადგენენ ინდივიდუალური მოლაპარაკებების საგანს, მაშინ ამ გარემოების მტკიცების ტვირთი მას ეკისრება.

#### 4.5.4.2 პირობითად ბათილი სტანდარტული პირობები

სსკ-ის 346-ე მუხლის განხილვისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს 347-348-ე მუხლები. მიუხედავად იმისა, რომ 347-348 მუხლები სამეწარმეო ანუ კომერციულ ბრუნვაში უშუალოდ არ გამოიყენებიან (ამაზე პირდაპირ არის მითითებული აღნიშნულ მუხლებში), ისინი დიდ როლს თამაშობენ სსკ-ის 346-ე მუხლის განმარტების დროს. ამიტომ საინტერესოა ამ ნორმებში ასახული დებულებების ანალიზიც. თავისი არსით, 347-348-ე მუხლებში ასახული აკრძალვები წარმოადგენენ 346-ე მუხლში ასახული გენერალური ნორმის დაკონკრეტებას არასამეწარმეო, არაკომერციულ ბრუნვაში. 347-ე-348-ე მუხლებში საუბარია ისეთ სტანდარტულ პირობებზე, რომლებიც დაუშვებლად ლახავენ ერთ-ერთი მხარის ინტერესებს ან რომლებშიც ადგილი არ აქვს ინტერესების გაწონასწორებას, დაბალანსებას. შესაბამისად, იბადება კითხვა, თუ 347-ე მუხლშიც და 348-ე მუხლშიც საუბარია ხელშეკრულების ისეთი სტანდარტული პირობების ბათილობაზე, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს არამეწარმე ფიზიკური პირების მიმართ, მაშინ რამ განაპირობა სამოქალაქო კოდექსში ამ ნორმების ცალ-ცალკე მუხლების სახით არსებობა? უნდა ითქვას, რომ ეს არ მომხდარა შემთხვევითობის ან საკანონმდებლო ტექნიკის ხარვეზის გამო. საქმე იმაშია, რომ სსკ-ის 347-ე მუხლში განსაზღვრულია პირობითად აკრძალული დათქმები, ხოლო 348-ე მუხლში - აბსოლუტურად აკრძალული დათქმები.

<sup>523</sup> დამატებით ცერცვაძე ლ., ხელშეკრულების სტანდარტული პირობები იხ. ნაშრომში „სახელშეკრულებო სამართალი“ ავტორთა კოლექტივი, გამომც. „მერიდიანი“ თბ.2014, 203-214

<sup>524</sup> *გასვიანი თ.*, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად გადაქცევა, ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(16)08, 43-44

სსკ-ის 347-ე მუხლის მოცემული პირობების ჩამონათვალში მუდმივად გვხვდება ისეთი კატეგორიები, რომლებსაც სჭირდებათ სასამართლოს მიერ შეფასება. საუბარია ისეთ კატეგორიებზე, როგორებიც არის „შეუსაბამოდ ხანგრძლივი“ ან „აშკარად მცირე ვადები“, „არასაკმარისად განსაზღვრული ვადები“ და ა.შ. სსკ-ის 347-ე მუხლში განსაზღვრული პირობები, შეიძლება ბათილად ჩაითვალოს საქმის კონკრეტული გარემოებების შესწავლის დროს. ბათილობის ფაქტის დასადგენად საჭიროა სასამართლომ განმარტოს მოცემული დებულებები.

პირობითად აკრძალული დათქმები, რომლებიც ჩამოთვლილია სსკ-ის 347-ე მუხლში, ნამდვილია განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას. კერძოდ, მოსამართლემ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ანალიზისას, 347-ე მუხლის შინაარსის ანალიზიდან გამომდინარე, უნდა გამოიყენოს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) თანაზომიერება (იგულისხმება ვადის თანაზომიერება ხელშეკრულების შესრულებისას, აქცეპტირებისას, შესრულების ვადის გადადების, ვადის გაგრძელებისას; განხორციელებული შესრულებისათვის გასამრჯელოს თანაზომიერება; გაწეული ხარჯების ანაზღაურების თანაზომიერება);

ბ) განსაზღვრულობა (იგულისხმება შესრულების, აქცეპტირების, ვადის გადადების, ვადის გაგრძელების განსაზღვრულობა);

გ) ხელშეკრულების პირობები ობიექტურად გამართლებული უნდა იყოს და შეიცავდეს სპეციალურ მითითებას (ხელშეკრულებაზე უარის თქმა, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი დებულება, გამართლებული უნდა იყოს და არ უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებაში მითითებული საფუძვლის გარეშე; ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველიც სპეციალურად უნდა იყოს მითითებული ხელშეკრულებაში);

დ) ყურადსაღები ინტერესის არსებობა;

ე) ხელშეკრულების დებულება, რომელიც ითვალისწინებს შეპირებული შესრულების შეცვლის, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას, მისაღები უნდა იყოს კონტრაქტისათვის.

#### 4.5.4.3 აბსოლუტურად ბათილი სტანდარტული პირობები

სსკ-ის 347-ე მუხლისაგან განსხვავებით, 348-ე მუხლი არ შეიცავს განუსაზღვრელ დებულებებს (გამონაკლისს შეადგენს ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). სსკ-ის 348-ე მუხლის საწინააღმდეგო პირობები ბათილია და ბათილად მათი მიჩნევისათვის დამატებით, სასამართლოს განმარტება საჭირო არ არის. სსკ-ის 348-ე მუხლში ჩამოთვლილი დათქმები ბათილად ჩაითვლება ნებისმიერ შემთხვევაში და ისინი არ აძლევენ მოსამართლეს თავისუფალი შეფასების შესაძლებლობას. ამდენად 348-ე მუხლში ჩამოთვლილია აბსოლუტურად ბათილი პირობები. თუ არასამეწარმეო ბრუნვაში გამოყენებული რომელიმე განსაზღვრული დათქმა არ არის მითითებული 347-348-ე მუხლებში, უნდა შემოწმდეს, წარმოადგენს თუ არა ამგვარი დათქმა უჩვეულო (მოულოდნელ) დათქმას სსკ-ის 344-ე მუხლის მნიშვნელობით ან არათანაზომიერ დათქმას სსკ-

ის 346-ე მუხლის მნიშვნელობით. ამ თვალსაზრისით, კეთილსინდისიერების პრინციპის, როგორც გენერალური ნორმის საფუძველზე, მოსამართლეს ეძლევა ისეთი დათქმების კონტროლის შესაძლებლობაც, რომელთაც კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის მიღების დროისათვის ვერ გაითვალისწინებდა (ყველა ურთიერთობის წინასწარ გათვალისწინება, ცხადია, არ შეუძლია კანონმდებელს, მითუმეტეს სამოქალაქო ბრუნვაში) და ამიტომ არ შეეძლო პირდაპირ მიეთითებინა 347-348-ე მუხლებში.

პრაქტიკაში ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დასაშვებობის შემოწმება უნდა დაევიწყოთ სსკ-ის 348-ე მუხლით და მხოლოდ შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, გამოვიყენოთ 347-ე მუხლი. ასეთი მიდგომა აქვთ ანალოგიური საკითხებისადმი გერმანელ იურისტებს.<sup>525</sup> თუ დათქმა არ მიესადაგება შემთხვევათა არცერთ მითითებულ ჯგუფს, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 346-ე მუხლით დადგენილი გენერალური ნორმა. სსკ-ის 346-ე მუხლში დადგენილი აკრძალვა კონტრაქტის ინტერესების არათანაზომიერი შელახვისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე სსკ-ის 347-ე მუხლის განმარტებისას. თავის მხრივ, სსკ-ის 347-348-ე მუხლები არსებით გავლენას ახდენენ სსკ-ის 346-ე მუხლის განმარტებაზე იქ, სადაც სსკ-ის 347-348-ე მუხლები უშუალოდ არ გამოიყენებიან, კერძოდ კი, სამეწარმეო ბრუნვაში.

დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი: კეთილსინდისიერების პრინციპს რომ ხელშეკრულებათა კონტროლისა და კორექციის ფუნქცია გააჩნია,<sup>526</sup> ნათლად ვლინდება ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობების მომწესრიგებელ ნორმებში. სტანდარტული პირობების შინაარსზე მატერიალურ-სამართლებრივი კონტროლი განისაზღვრება სსკ-ის 343-348-ე მუხლებით. ამ ნორმათა არსი და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელია იმაზე უფრო მკაცრად შეიზღუდოს სტანდარტული პირობების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება, ვიდრე ეს არის დადგენილი ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის ზოგადი წესებით, რადგან სხვა შემთხვევაში ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის პრინციპს გამოიყენებდა მარტოდენ შემთავაზებელი, ხოლო კლიენტი იძულებული იქნებოდა თავისუფლად მარტოდენ ის განესაზღვრა, დაედო თუ არ დაედო ხელშეკრულება. ბუნებრივია, რომ კლიენტს არ უნდა შეეღებოს და არც შეიძლება შეეღებოს თავისი უფლებები. ეს არის სოციალური სახელმწიფოს მართლწესრიგის უპირობო მიზანი.<sup>527</sup> ამ მიზნის მისაღწევად სსკ-ის 347-348-ე მუხლებში მოცემულია იმ აკრძალული სტანდარტული პირობების საკმაოდ მოცულობითი ჩამონათვალი, რომლებიც საზიანოა კლიენტისათვის.

<sup>525</sup> *Medicus D.*, Bürgerliches recht: Eine nach Anspruchgrundlagen geordnete Darstellung zur Examensvorbereitung Von Dieter Medicus: 18 Aufl., Köln; Berlin; Bonn; München: Heymanns 1999 Gernhuber. Fortgef. von Dr. Barbara Grunewald, 4 Aufl., Beck, München, 1998, 28, Rn. 9 und 10.

<sup>526</sup> *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, 67.

<sup>527</sup> *Heinrichs H., Palandt O.*, 2388, მითითებულია ნაშრომიდან: *Жалинский А.*, Введение в немецкое право, Спарк, М., 2001, 394

მაგრამ ამგვარი კაზუისტიკისა და აკრძალული პირობების დეტალურად განსახილვერის მიუხედავად, არ არის გამორიცხული სახეზე იყოს სხვა დაუშვებელი პირობაც, რომელიც ამ ჩამონათვალში არ არის გათვალისწინებული, რაც წარმოშობს ხარვეზს სამართალში. ხარვეზის დაძლევის შესაძლებლობას კი იძლევა სსკ-ის 346-ე მუხლით გათვალისწინებული გენერალური პირობა სტანდარტულ სახელშეკრულებო დათქმებში კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვისა. აღნიშნული პრინციპი სტანდარტული პირობების შინაარსზე კონტროლის საზომს წარმოადგენს. საყურადღებოა 346-ე მუხლის შინაარსი. კერძოდ, ეს ნორმა ორი წინადადებისგან შედგება. პირველი წინადადებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერების პრინციპი სტანდარტული პირობების შინაარსზე კონტროლის საბოლოო და იმპერატიულ საზომს (ფარგლებს) წარმოადგენს. მეორე წინადადება კი სასამართლოს უფლებას აძლევს პირობის ბათილად ცნობის დროს მხედველობაში მიიღოს ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა. საუბარია გარემოებებზე, რომლებმაც განაპირობეს (გამოიწვიეს) ბათილი პირობის დადება, ხელშეკრულებაში შეტანა, ხელშეკრულების დადება. შესაბამისად, მეორე წინადადების შინაარსი ამცირებს კეთილსინდისიერების შესახებ გენერალური პირობის როლს და კონტროლს ხდის უფრო კონკრეტულს.

რაც შეეხება სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლის ფარგლებს, თავისი შინაარსით სტანდარტული პირობები ექვემდებარებიან კანონის საფუძველზე კონტროლს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი სამართლის ნორმებისგან განსხვავებულ წესებს ითვალისწინებენ ან ავსებენ სამართლის ნორმებს (სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

#### 4.5.4.4 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის შედეგები

თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი ან რამდენიმე სტანდარტული პირობა ბათილია იმის გამო, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან სსკ-ის 344-ე, 346-ე, 347-348-ე მუხლებს, მაშინ, ასეთ დროს მოქმედებს პრინციპი, რომლის შესაბამისადაც, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა ბათილია, დანარჩენ ნაწილში ხელშეკრულება ძალაში რჩება გარიგების ნაწილობრივ ბათილობის შესახებ ნორმების შესაბამისად. ბათილი დათქმების ნაცვლად, ასეთ დროს, მიზანშეწონილი იქნება იმ დისპოზიციური ნორმების ან სავაჭრო ჩვეულებების გამოყენება, რომელთა მოთხოვნებისგან განსხვავებულად კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ გაითვალისწინეს ესა თუ ის წესი მხარეებმა ხელშეკრულებაში. „სტანდარტული პირობის ერთ-ერთი ნიშანი ისიცაა, რომ მისი მეშვეობით ხდება კანონით დადგენილი ნორმებისგან განსხვავებული და მათი შემსუბუქების წესების დადგენა“.<sup>528</sup> რომელიმე პირობის ბათილობის გამო მთელი ხელშეკრულება შეიძლება მიჩნეული იქნეს ბათილად, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას ასეთი პირობის გარეშე, ან როდესაც ხელშეკრულების

<sup>528</sup> ახელედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, (მე-2 გამოცემა), თბ., 1999, 24-28.

შესრულება ერთ-ერთი მხარისათვის მეტად მძიმე ტვირთი (*unumutbare Härte*) იქნებოდა იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ხელშეკრულების ბათილი პირობების ნაცვლად გამოიყენება დისპოზიციური ნორმები. მაგრამ ეს წესი პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება.<sup>529</sup> ეს იმით აიხსნება, რომ არაკეთილსინდისიერი პირობების ბათილობის შესახებ წესები, პირველ ყოვლისა, იცავენ კონტრაქტს. კონტრაქტის დაცვის მიზანი განუხორციელებელი იქნებოდა, თუკი შემთავაზებელს, რომელმაც ხელშეკრულებაში შეიტანა არაკეთილსინდისიერი პირობა, უფლება ექნებოდა დაერდნობოდა მთელი ხელშეკრულების ბათილობას (მიეთითებინა მთელი ხელშეკრულების ბათილობაზე) და აეძულებინა თავისი კონტრაქტი მისთვის დაებრუნებინა შესრულებული (გადაცემული) და ამით თავისი ბრალით წარმოშობილი რისკი მეორე მხარისათვის გადაეკისრებინა.

ზოგჯერ გვხვდება ხელშეკრულების პირობები, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ ეწინააღმდეგება იმას, რაც შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო ხელშეკრულებაში. იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა ხელშეკრულების პირობა ამ შემთხვევაში ჩაითვალოს ნაწილობრივ ნამდვილ პირობად? ეს შესაძლებელია, თუკი ხელშეკრულების პირობა შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად, რომლებიც, აზრობრივი კავშირის მიუხედავად, განსხვავდებიან ტექსტუალურად და შინაარსობრივად.

თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების პირობის ძალაში მყოფი ნაწილის გამოყოფა, გამოცალკევება ბათილი ნაწილისაგან, მაშინ ხელშეკრულების პირობა ვერ ჩაითვლება ნაწილობრივად ნამდვილ პირობად. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობა მიიჩნევა მთლიანად ბათილად: მოსამართლეს არა აქვს უფლება ბათილი პირობის აზრი, მნიშვნელობა შეკვეცოს იმ ზღვრამდე, როცა ეს პირობა შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო (ჩათვლილიყო) ნამდვილ პირობად. წინააღმდეგ შემთხვევაში შემთავაზებელს მიეცემოდა აშკარად დაუშვებელი პირობის ხელშეკრულებაში შეტანის სტიმული. ამასთან, ეს ხელს შეუწყობდა კლიენტთა უმრავლესობის შეცდომაში შეყვანას, ხოლო ის, ვინც მიმართავდა სასამართლოს, მიადწევდა ხელშეკრულების პირობის მხოლოდ ნაწილობრივ ბათილად ცნობას. სსკ-ის 347-ე მუხლის კომენტარებისას პროფ. ლ. ჭანტურია აღნიშნავს: „347-ე მუხლში გათვალისწინებული დებულების შეტანა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, მართალია, იწვევს ამ დებულებათა ბათილობას ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მაგრამ არა ხელშეკრულების ბათილობას. ხელშეკრულება მთლიანად „ძალაშია, მაგრამ მისი ამ ბათილი ნაწილების გარეშე“.<sup>530</sup> ასეთ დროს, ხელშეკრულების ბათილი სტანდარტული პირობების ნაცვლად მოქმედებენ კანონის ნორმები.

ხელშეკრულების პირობის ბათილობისას, პირობის შინაარსი არ იკვეცება კანონით დასაშვებ (ნებადართულ) მნიშვნელობამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში შემთავაზებელს არაფერი ექნებოდა გასარისკი

<sup>529</sup> *Baumbach-Duden-Hopt-Handelsgesetzbuch*: mit GmbH & Co., Recht der Allgemeinen Geschäftsbedingungen und Handelsklauseln, Verl. von Klaus J. Hopt. Begr. von Adolf Baumbach Fortgef. bis zur 24. Aufl. von Konrad Duden, 28. Aufl. Beck, München, 1989, 1714

<sup>530</sup> ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, თბ., 2001, 201.

ხელშეკრულებაში ისეთი პირობის შეტანისას, რომლის ბათილობის შესახებაც მისთვის ცნობილია წინასწარ. ასეთ შემთხვევაში მას იმედი ექნებოდა იმისა, რომ ბათილი პირობაც კი ძალაში იქნება კანონით დასაშვებ ნაწილში. მაგალითად, ბათილი იქნება ამგვარი დათქმა: „შემთავაზებლის პასუხისმგებლობა ბრალის ნებისმიერი ფორმით ზიანის მიყენებისათვის გამოირიცხება“, რამეთუ ამგვარი დათქმა ეწინააღმდეგება სსკ-ის 348-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართლებრივ დებულებას. დასაშვებად ჩაითვლება ამგვარი დათქმა (პირობა): „შემთავაზებელი არ აგებს პასუხს თავისი წარმომადგენლის მარტივი გაუფრთხილებლობისათვის“. ეს მეორე დათქმა (პირობა), მართალია, პირველთან შედარებით ვიწროა, შეკვეცილია, მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველი დათქმა, პირობა არ შეიძლება დავიწროვდეს მეორის შინაარსამდე. ბათილი პირობის მოქმედება წყდება ისე, რომ მისი ჩანაცვლება რაიმე სხვა პირობით არ ხდება. შედეგად, შემთავაზებელი პასუხს აგებს თავისი წარმომადგენლის მარტივი გაუფრთხილებლობისათვისაც.

აქვე უნდა აღინიშნოს სსკ-ის 348-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმის არასრულყოფილად ფორმულირების თაობაზეც. ამ ნორმის თანახმად, ბათილად მიიჩნევა დებულება, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას იმ ზიანისთვის, რაც გამოწვეულია შემთავაზებლის ან მისი წარმომადგენლის უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო (პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის). ნორმაში აქცენტი კეთდება სწორედ უხეში გაუფრთხილებლობაზე, როგორც ბრალის ერთ-ერთ ფორმაზე. თუ პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო დაუშვებელია, მაშინ მითუმეტეს, ეს დაუშვებელი უნდა იყოს ვალდებულების განზრახ დარღვევის გამო. თუმცა ეს ნორმიდან არ იკვეთება. ნორმის გამომყენებელმა კი, სსკ-ის 395-ე მუხლის არსებობის მიუხედავად, შესაძლოა ივარაუდოს, რომ ვალდებულების განზრახ დარღვევის გამო შესაძლებელია პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა, რამეთუ 348-ე მუხლი სპეციალურად ეხება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობას. თანაც ფრჩხილებში კანონმდებელი უთითებს პასუხისმგებლობაზე გაუფრთხილებლობისათვის, ხოლო 395-ე მუხლი კი ზოგადი ნორმაა. ამდენად, 348-ე მუხლის დასახელებული დებულება შეიძლება პრაქტიკაში მცდარი დასკვნების გამოტანის განმაპირობებელი ფაქტორი გახდეს. ამიტომ მიზანშეწონილია მისი ფორმულირების შეცვლა და ნორმის ეს ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დებულება, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას იმ ზიანისთვის, რაც გამოწვეულია შემთავაზებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო“.

თუ სახელშეკრულებო პირობის ნაწილებად გაყოფა შესაძლებელია და ერთ-ერთი ნაწილი ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსს, მაშინ ბათილობა გავრცელდება მხოლოდ ამ ნაწილზე. სახელშეკრულებო პირობის დასაშვები ნაწილი ძალაში რჩება.

ამრიგად, თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობებიდან გამომდინარე ყველა უფლებისა და მოვალეობის ანალიზის, შეფასების შედეგი გვიჩვენებს, რომ სახეზეა დისბალანსი, უთანაბრობა, რაც ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს, მაშინ გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ბათილია ხელშეკრულების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც იწვევს ერთ-ერთი მხარის მდგომარეობის დამძიმებას, გაუარესებას. რაც შეეხება ხელშეკრულების დანარჩენ ნაწილს, იგი შენარჩუნებული უნდა იქნეს.

კეთილსინდისიერების პრინციპი მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ სახელშეკრულებო დისბალანსის განსაზღვრისას, არამედ იგი გამოვლენილი დისბალანსის საკითხის გადაწყვეტის საზომიც არის. ამის შემდეგ კეთილსინდისიერების პრინციპი იწვევს ფუნქციონირებას, როგორც ხელშეკრულებაში ჩართული დებულების შეფასების კრიტერიუმი. საჭიროა შედეგების ობიექტურად, მხარეებისაგან დამოუკიდებლად განსაზღვრა, ვინაიდან ხელშეკრულებაში გამოხატული ნება, როცა ხელშეკრულების პირობები ერთი მხარის მიერ არის ნაკარნახევი, როგორც წესი, არ წარმოადგენს კარგ ინსტრუმენტს ობიექტური სახელშეკრულებო სამართლიანობის აღსადგენად. იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის თავი, რომელიც სტანდარტულ პირობებს ეხება, უშუალოდ არ შეიცავს სტანდარტული პირობების ბათილობის შედეგების მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმას, გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 62-ე მუხლით<sup>531</sup> დადგენილი ზოგადი ნორმა, რომლიდანაც გამომდინარე ცალკეული სტანდარტული პირობის ან პირობის ნაწილის ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების (გარიგების) და ხელშეკრულების დანარჩენი (სხვა) სტანდარტული პირობების ბათილობას. ეს წესი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება გაყოფადია, ე.ი. ერთ-ერთი პირობის (ან პირობის ნაწილის) ბათილობა, ლოგიკურად, არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. მაგრამ ერთ-ერთი პირობის (ან პირობის ნაწილის) ბათილობა ავტომატურად იწვევს ხელშეკრულების მიზნისა და მნიშვნელობის, არსის მიხედვით ბათილ პირობასთან (პირობის ნაწილთან) დაკავშირებული პირობების ბათილობას, მაშინაც კი, როცა ამგვარი სახელშეკრულებო პირობები ერთმანეთთან სტრუქტურულად არ არიან დაკავშირებულნი.<sup>532</sup> ძალაში რჩება ის პირობები, რომლებიც ხელშეკრულების მიზნის მიხედვით არ არიან დაკავშირებულნი ბათილად ცნობილ პირობასთან, იმის მიუხედავად, ეს სახელშეკრულებო პირობები გაერთიანებული არიან თუ არა სისტემურად.<sup>533</sup>

<sup>531</sup> აშკარაა რომ ეს ნორმა არ არის სრულყოფილი და დეტალურად არ აწესრიგებს გარიგების ბათილობის სამართლებრივ შედეგებს. საჭიროა სტანდარტული პირობების ბათილობის სამართლებრივი შედეგების განმსაზღვრელი სპეციალური ნორმის შემოღება, ან 62-ე მუხლის დახვეწა, მაგალითად მიზანშეწონილი იქნება თუ გამონაკლის შემთხვევებში ბათილად ჩაითვლება მთლიანი ხელშეკრულება, თუ ხელშეკრულების შესრულება მეტისმეტად მძიმე ტვირთი იქნება, მეტისმეტად სამძიმო იქნება ერთ-ერთი მხარისათვის მას შემდეგაც კი, რაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ნაცვლად გამოყენებული იქნება კანონის ნორმები.

<sup>532</sup> Жалинский А., Рёрихт А., Введение в немецкое право, Спарк. М., 2001, 393

<sup>533</sup> იქვე, 393.

## დასკვნა

### I თავი

„კეთილსინდისიერების პრინციპი“, მოთხოვნა კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის შესახებ, არ არის რაღაც ცარიელი, უშინაარსო კატეგორია. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ეს არის ხელშეკრულების მხარეთა ინტერესების თანასწორობასა და დაბალანსებაზე ორიენტირებული პრინციპი, რომელმაც წამყვანი როლი უნდა შეასრულოს სამართლის განვითარების საქმეში.

იმის გამო, რომ კეთილსინდისიერების შესახებ ზოგადი დათქმა მოქნილობით ხასიათდება, იგი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოებს, კანონის დაურღვევლად მიიღონ გადაწყვეტილებები და შექმნან უფლების დაცვის ინსტრუმენტები სამოქალაქო ბრუნვის იმ მონაწილეთა წინააღმდეგ, რომელთათვისაც ხელშეკრულების თავისუფლება ბაზარზე დაუსაბუთებელი (უსაფუძვლო) უპირატესობის მიღების საშუალებად იქცა. ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინათ, კეთილსინდისიერების დათქმაზე მსჯელობისას, მართებულად ითქვა, რომ „ფინანსური კაპიტალის ეპოქის კანონმდებელი გვერდს ვერ აუვლის ასეთ „კაუჩუკის მაგვარ“ ნორმებს. ეკონომიკური მოთხოვნილებებისაგან სამოქალაქო სამართლის ძველი პრინციპების დაშორება, ჩამორჩენა განაპირობებს სამართლის მოქნილობის მწვავე საჭიროებას“.<sup>534</sup>

თავისი მნიშვნელობით სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლები არ წარმოადგენენ სამართლის ნორმას იმ გაგებით, რომ შესაძლებელი იყოს ნორმაში მოცემული შემადგენლობის, ნორმის აღწერილობითი ნაწილის გამოყენება, მისადაგება ფაქტობრივი გარემოებების მიმართ, მათი შეფასების გარეშე. არც რაიმე კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს განსაზღვრავენ ეს ნორმები. კეთილსინდისიერების პრინციპი სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით, თვითონ შექმნას სამართლის ახალი, არაკოდიფიცირებული ნორმები. იმდენად, რამდენადაც კეთილსინდისიერების პრინციპი განუსაზღვრელი შინაარსისაა, იგი მეტი დინამიურობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე მოქნილი რეაგირების შესაძლებლობას იძლევა. ეს ფაქტორი მის უდავო საჭიროებაზე მეტყველებს. კეთილსინდისიერების პრინციპი, ამ თვალსაზრისით, სამართლის განვითარების საფუძველიცაა. მისი გამოყენების აუცილებლობა დგება არა მარტო მაშინ, როცა სამართლის ნორმა ბუნდოვანია, ზოგადი ფორმითაა მოცემული, არამედ მაშინაც, როცა არ არსებობს სადავო ურთიერთობის საკმარისი საკანონმდებლო რეგულაცია, ან არსებული რეგულაციის პირობებში, ნორმის გამოყენებამ კეთილსინდისიერების პრინციპის გაუთვალისწინებლად, შესაძლოა გამოიწვიოს უსამართლო შედეგები.

<sup>534</sup> Раевич С.И. Швейцарский обязательственный закон 1911 г. в ряду других гражданских кодификаций буржуазно-капиталистического мира. В. кн: Швейцарский обязательственный закон от 30 марта 1911 г., М., 1930, 17



კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა ნიშნავს, ერთი მხრივ, ნდობის დაცვას სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მეორე მხრივ კი, კონტრაქტის კანონით დაცული ინტერესების გათვალისწინებას იქ, სადაც ამგვარი ინტერესის დაცვა კანონით პირდაპირ არ არის მოწესრიგებული, მაგრამ იგულისხმება. კეთილსინდისიერების პრინციპის ამოცანაა დაცული იქნეს კონტრაქტის ისეთი ინტერესები, რომლებსაც პირდაპირი წესით არცერთი სამართლებრივი ნორმა არ იცავს ან იცავს არასათანადოდ. განსაკუთრებით აუცილებელი ეს არის მაშინ, როდესაც სახეზეა ისეთი ინტერესების კოლიზია, რომლებიც სამართლებრივად სპეციალურად მოწესრიგებული არ არის. უნდა მოხდეს დაპირისპირებულ მხარეთა შორის (მხარეებს შორის, რომლებსაც საპირისპირო ინტერესები გააჩნიათ) არსებული ინტერესების ბალანსის ახლებურად დადგენა ან მათი ერთობლივად საქმიანობისას იმ ჩარჩოების დაწესება, რომელთა ფარგლებშიც თითოეულმა მხარემ საკუთარი ინტერესები საერთო ინტერესსა და მიზნებს უნდა დაუქვემდებაროს. ეს განსაკუთრებით პრობლემატურია მაშინ, როდესაც სახეზეა ლოიალურობის დაცვის (საიდუმლოს დაცვის, ერთგულების) ვალდებულება. კეთილსინდისიერების ერთ-ერთი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მხარეთა უფლებები და სამართლებრივი რისკები იმდაგვარად გაანაწილოს, რომ ნეგატიური შედეგებისაგან მაქსიმალურად იქნენ დაცული მხარეები ან თანაბრად გადანაწილდეს შესაძლო რისკები მხარეთა შორის.

კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო ურთიერთობებში დაუშვებელია მივიჩნიოთ მარტოდენ შეფასებით კატეგორიად, რომელიც თითოეულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამოიყენება კონკრეტული შემთხვევის მიხედვით ამა თუ იმ არაკეთილსინდისიერი სამართლებრივი მოქმედების აღსაკვეთად, არამედ იგი წარმოადგენს ზოგად ვალდებულებას.

კეთილსინდისიერების პრინციპი სასამართლოს ხელში მაშინ იძენს მნიშვნელობას, როცა წარმოიშობა სამართლის განვითარების მოთხოვნილება, კერძოდ მაშინ, როცა სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას, ვალდებულებითი ურთიერთობის განმსაზღვრელი ნორმები (დებულებები) ხარვეზიანი აღმოჩნდება ან კორექტირებას საჭიროებენ. კეთილსინდისიერების პრინციპზე ორიენტირება აუცილებელია და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როცა სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმა არ არსებობს. ასეთ შემთხვევებში, კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების გზით, სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციისას გადამწყვეტ როლს თამაშობს სამოსამართლო სამართალი.

შესაბამისად, გარკვეულ ფარგლებში სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით სამართლის განვითარება, არ ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერებას, როგორც პრინციპს, მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების

მთელი სისტემისათვის. შესაბამისად, კეთილსინდისიერებას, როგორც პრინციპს, კომპლექსური მნიშვნელობა აქვს, რომელიც აწესრიგებს სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა ქცევას, განსაზღვრავს კერძო სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების შინაარსს, ნორმებისა და ინსტიტუტების განმარტებისა და გამოყენების ხასიათს.

კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ მოვალეზე, არამედ კრედიტორზეც.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობენ ქცევის იმპერატიული წესები, რომლებიც დაცული უნდა იქნენ უპირობოდ.

კეთილსინდისიერების პრინციპის ერთიანი ცნების შემუშავება შეუძლებელია, შესაბამისად, უმჯობესია განისაზღვროს ის კრიტერიუმები და ვალდებულებები, რომლებიც დაგვეხმარება ავსსნათ კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი.

კეთილსინდისიერად მოქმედების (ქცევის) მოთხოვნა ავსებს ნორმის ხარვეზს, ვინაიდან მისი გამოყენება განსაკუთრებით აუცილებელია მაშინ, როცა პოზიტიური სამართლით არ არის მოწესრიგებული სუბიექტის ქცევა. ობიექტურად რომ ითქვას, კანონმდებელს არ ძალუძს გაითვალისწინოს და მოაწესრიგოს მხარეთა ქცევის ყველა შესაძლო შემთხვევა იმგვარად, რომ დაადგინოს აუცილებელი, სამართლიანი მოწესრიგება თითოეული ასეთი შემთხვევისათვის. კეთილსინდისიერად მოქმედების (ქცევის) პრინციპი (ზოგადი მოთხოვნა) სასამართლოს ხელში ერთგვარ იურიდიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. კერძოდ, ასეთი განუსაზღვრელი ნორმა, სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, რომ თუ დაადგენს კონკრეტულ სადავო შემთხვევაში მხარის მოქმედებაში კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას და ამასთან, კანონით არ იქნება გათვალისწინებული სადავო შემთხვევის გადასაწყვეტად კონკრეტული ნორმა, გამოიყენოს კეთილსინდისიერების პრინციპი და მის საფუძველზე გადაწყვიტოს დავა.

კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას, მოწესრიგების მასშტაბი ვეღარ იქნება მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების მშრალი სიტყვები. მხარეთა ყოფნა სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხელშეკრულების თითოეულ მხარეს ავალდებულებს, გარკვეულ ზღვრამდე პატივი სცეს მეორე მხარის ინტერესებს და არ შელახოს ეს ინტერესები. ბოლოს და ბოლოს, ეს მისთვისაც კარგია, რამეთუ ერთმანეთისადმი ასეთი დამოკიდებულება ემსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მხარეთა ერთობლივ მიზანს. მოსამართლე უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ზოგადსამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით. კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელშეკრულებას სავალდებულო ძალა გააჩნია მხარეთათვის იმ შემთხვევაში, თუ ის უზრუნველყოფს მხარეთა უფლებებისა და ინტერესების ბალანსს. ამიტომ, ჯერ უნდა დადგინდეს, შესაძლებელია

თუ არა არსებული სახით ხელშეკრულების შესრულება და მხოლოდ მეორე რიგში შეიძლება გამოყენებული იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპი მისგან გამომდინარე დამატებით ვალდებულებებთან ერთად, დამხმარე საშუალებად, რათა ხელშეკრულებით გათვალისწინებული არაერთგვაროვანი შეთანხმებები განიმარტოს და დაკონკრეტდეს აღნიშნული პრინციპის საფუძველზე. ამასთან, ასეთ დროს განმსაზღვრელი უნდა იყოს ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინება.

კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება არ ნიშნავს კანონის უგულებელყოფას და პირიქით, კანონის გამოყენება არ ნიშნავს კეთილსინდისიერების პრინციპის უგულებელყოფას. კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის მოწესრიგების მეორად წყაროს წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ სასამართლომ პირველ რიგში, კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი უნდა გამოიყენოს, ხოლო როცა ამგვარი კანონი არ არსებობს, ან მისი გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის დამყარებას, სწორედ მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული კეთილსინდისიერების პრინციპი როგორც მხარეთა ურთიერთობის დაბალანსების დამოუკიდებელი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამართლიანი შედეგების დადგომის უზრუნველყოფა კონკრეტულ საქმეზე.

კეთილსინდისიერების პრინციპს სახელშეკრულებო სამართალში თავისი ფუნქცია გააჩნია. ესენია: კანონისა და ხელშეკრულების ხარვეზის შევსების, შეზღუდვის, კორექტირების, ხელშეკრულების განმარტების ფუნქციები. კეთილსინდისიერების პრინციპი აუცილებელია ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების განხორციელების ფარგლების შესაზღვრად.

ამ პრინციპის საფუძველზე მხარეებს შეიძლება დაეკისროთ დამატებითი ვალდებულებანი. ამგვარი დამატებითი ვალდებულებებია: ინფორმირების, საიდუმლოების შენახვის, უსაფრთხოების (დაცვის), თანამშრომლობის, ერთგულების ვალდებულებანი. დამატებითი ვალდებულებების პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ თუ მხარე არღვევს მთავარი ვალდებულების შინაარსის შესატყვის დამატებით ვალდებულებებს, ეს ნიშნავს, რომ ამით ირღვევა მთავარი ვალდებულება, რაც ვალდებულების დამრღვევი მხარისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ე.ი. კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე შესაძლებელია მთავარი (უკვე არსებული) ვალდებულების პარალელურად მოხდეს დამატებითი ვალდებულების დაკისრებაც კონტრაქტისათვის. დამატებითი ვალდებულებები გამომდინარეობს მთავარი ვალდებულებიდან ანუ მთავარი ვალდებულების შინაარსზეა დამოკიდებული მხარისათვის მათი დაკისრება.

კეთილსინდისიერების კატეგორიას ორმაგი ხასიათი გააჩნია - ობიექტური და სუბიექტური. სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერება მოიცავს არა მხოლოდ სუბიექტურ, არამედ ობიექტურ მომენტსაც. კეთილსინდისიერების პრინციპი ობიექტური გაგებით მდგომარეობს სუბიექტების კერძო ინტერესების დაბალანსების უზრუნველყოფაში, რომელთაგან თითოეულ მათგანს შეუძლია მოელოდებოდეს მეორე მხარისაგან კანონისა და ხელშეკრულების შესაბამის ქცევას, ე.ი. ისეთ ქცევას, როგორც მოცემულ სუბიექტს შეეძლო და როგორსაც მოცემული სუბიექტი მოიწონებდა. კეთილსინდისიერება ავალდებულებს ნებისმიერ სუბიექტს უფლების გამოყენების დროს დაიცვას სამართლებრივი ურთიერთობის სხვა მონაწილეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

სხვაგვარად რომ ითქვას, კეთილსინდისიერება სახელშეკრულებო (ვალდებულებით) სამართლებრივ ურთიერთობებში (ობიექტური გაგება) ნიშნავს, რომ მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ (გააკეთონ ყველაფერი, რაც შესაძლებელია) ერთმანეთისათვის ვალდებულების შესრულების გაიოლების (შემსუბუქების) მიზნით და თავიდან აიცილონ ყველაფერი, რასაც შეუძლია ვალდებულების შესრულება შეუძლებელი გახადოს, კონტრაქტს მიაწოდონ (მისცენ) ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული მოქმედებების შესრულების შესახებ ინფორმაცია. ობიექტური გაგებით კეთილსინდისიერება პრინციპს წარმოადგენს. რაც შეეხება ამ პრინციპის სუბიექტურ მხარეს, იგი მდგომარეობს გარკვეული ფაქტების ცოდნა-არცოდნაში, ე.ი. სუბიექტური გაგებით კეთილსინდისიერება გულისხმობს იურიდიული ხარვეზების შესახებ სუბიექტის არაინფორმირებულობას. მოქმედ კანონმდებლობაში, კეთილსინდისიერების ტერმინი გამოიყენება როგორც ზოგადი დათქმა, ზოგადი ვალდებულება და მაშასადამე, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი. სახელშეკრულებო სამართლის ზოგიერთ მუხლში „კეთილსინდისიერების“ ტერმინი გამოიყენება იმისათვის, რომ დახასიათდეს პირის სუბიექტური დამოკიდებულება ქცევისადმი, როცა პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა რაიმე ფაქტი და ამის მიხედვით განისაზღვრება კეთილსინდისიერება-არაკეთილსინდისიერების საკითხი (სსკ-ის 769-ე მუხლი).

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მოქმედებს მხოლოდ ხელშეკრულების დადების სტადიაზე. კეთილსინდისიერების პრინციპი კი მოქმედებს როგორც ხელშეკრულების დადების, ისე წინასახელშეკრულებო სტადიაზე და ასევე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა განხორციელებისა და შესრულების დროს.

კეთილსინდისიერების პრინციპი მისგან გამომდინარე კონკრეტული წესებით, ერთ-ერთი კრიტერიუმია ისეთ სამ კრიტერიუმთან ერთად, როგორც არის ზნეობა, იმპერატიული ნორმა და საჯარო წესრიგი, რომელიც ზღუდავს კერძო ავტონომიას. ამასთან, თუ ზნეობის, იმპერატიული ნორმის, საჯარო წესრიგის დარღვევა ხელშეკრულების

ბათილობას განაპირობებს, კეთილსინდისიერების პრინციპი ემსახურება არა მხოლოდ ხელშეკრულების ნამდვილობის განსაზღვრას, არამედ მხარეთა სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობების განსაზღვრას და მათ სამართლიანად გადანაწილებას. სახელშეკრულებო უფლებებისა და მოვალეობების მოცულობა და შინაარსი ცალსახად შეთანხმებულის (ხელშეკრულების) გარდა, გამომდინარეობს კანონიდან, მხარეთა საერთო ინტერესებიდან და კეთილსინდისიერების პრინციპიდან.

სახელშეკრულებო ურთიერთობის მოწესრიგებისას კეთილსინდისიერების პრინციპი ზღუდავს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს. როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და კეთილსინდისიერების პრინციპი, პრიორიტეტი კეთილსინდისიერების პრინციპს უნდა მიენიჭოს, რადგან სწორედ მოცემულ პრინციპს შეუძლია უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის არსებობა ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობებს შორის. სასამართლოს პრეროგატივაა განსაზღვროს კონკრეტულ შემთხვევაში სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები. თუმცა, მოსამართლე თავის მხრივ შეზღუდულია კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების ფარგლებით.

ქართულ სამართალში უფლების ბოროტად გამოყენება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს. შესაბამისად, უფლების ბოროტად გამოყენების და კეთილსინდისიერების პრინციპის ერთმანეთთან გაიგივება დაუშვებელია. უფლების ბოროტად გამოყენება ყოველთვის უკავშირდება მის არამართლზომიერ განხორციელებას სხვისთვის ზიანის მიყენების მიზნით, ხოლო კეთილსინდისიერების პრინციპი შეიძლება დაირღვეს მაშინაც, როცა სახეზე არ არის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება.

უნდა განვასხვაოთ სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლების მასშტაბი მორალის მასშტაბისაგან. თუ მორალური ნორმები სამართლებრივ ურთიერთობაში ძირითადად აწესებენ სამართლებრივ-ეთიკურ მინიმუმს, კეთილსინდისიერება აწესებს უფრო მკაცრ მოთხოვნებს.

ზნეობის კატეგორიას ქართულ სამართალში უფრო ნაკლები ფუნქცია აქვს, ვიდრე კეთილსინდისიერების პრინციპს. მაგალითად, თუ ზნეობის კატეგორია ძირითადად გამოიყენება გარიგების ნამდვილობის შესაფასებლად (სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია ზნეობის საწინააღმდეგო გარიგება), კეთილსინდისიერების პრინციპს უფრო ფართო ფუნქცია ენიჭება და მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ გარიგების ნამდვილობის შეფასებისას (მაგ, სსკ-ის 346-ე მუხლი), არამედ ყველა სამართლებრივ ურთიერთობაში, წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან დაწყებული ხელშეკრულების დადებით, შესრულებითა და კორექტირებით დამთავრებული. შესაბამისად, მასშტაბურობის გამო, უფრო მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის კეთილსინდისიერი თუ არაკეთილსინდისიერი ქმედებიდან გამომდინარე შედეგის

განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია მხარეთა ინტერესების შეფასება. კერძოდ, მნიშვნელოვანია ურთიერთისათვის მიცემული დაპირებისა და ურთიერთმოლოდინის სათანადო შეფასება ანუ იმის დაცვა, რისი მოლოდინის უფლებაც არსებობს ხელშეკრულების კონტრაქტის ინტერესების გათვალისწინებით და აქედან გამომდინარე, იმ ვალდებულებათა მოცულობისა და შინაარსის განსაზღვრა, რაც შეიძლება მხარეს დაეკისროს შესასრულებელი ვალდებულების სახით. კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა მაშინ ივარაუდება, როცა ხელშეკრულების მხარეთა შორის უფლებები და მოვალეობები არათანაბრად არის გადანაწილებული, მაგალითად ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში სახეზეა ხელშეკრულების შეუსრულებლობა და არა ამორალური საქციელი. მარტოოდენ სამართლის ნორმათა შინაარსიდან ან მორალზე დაყრდნობით ვერ დადგინდება, თუ რომელი ინტერესებია მნიშვნელოვანი მხარეთათვის, ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობების კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად შეფასებისათვის. მხარეთა ინტერესების და ამ ინტერესებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების შეფასება არ უნდა მოხდეს ერთნაირად. გათვალისწინებული უნდა იქნეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის გარემოებები. ხელშეკრულების კონტრაქტის ინტერესების დაცვა ნიშნავს, გათვალისწინებულ იქნეს ხელშეკრულებაში ნათლად, ცალსახად გამოუხატავი, მაგრამ ლეგიტიმური ხასიათის მოლოდინი. მხარეთა ინტერესები უნდა იყოს ამოსავალი, როგორც ხელშეკრულების განმარტებისას, ისე მთლიანი ხელშეკრულების ან მისი რომელიმე ნაწილის ნამდვილობის საკითხის გადაწყვეტისას.

როდესაც საუბარია მხარეთა კონკრეტულ ინტერესებზე, კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც მორალური ქცევის ზოგადი მასშტაბი სახელშეკრულებო სამართალში, არ თამაშობს რაიმე როლს. მოსამართლემ მორალური გადაწყვეტილება კი არ უნდა მიიღოს უფლების მფლობელის ან ხელშეკრულების მხარის რაიმე ქმედების შესახებ, არამედ მკაცრად იურიდიული ხასიათის გადაწყვეტილება უფლების მოცულობისა და მნიშვნელობის შესახებ. კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე მოთხოვნები ვერ განისაზღვრება აბსტრაქტულად, არამედ უნდა განისაზღვროს ყოველი უფლების იურიდიული ბუნების, არსისა და მიზნის მიხედვით. სახელშეკრულებო სამართლისათვის ეს ნიშნავს, რომ საქმე ეხება ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების ფარგლებს და არა ხელშეკრულების რომელიმე მხარის მორალურად უმწიკვლო ქცევას. ხელშეკრულების მხარეთა საერთო მიზნის მისაღწევად კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე შემუშავებული თანამშრომლობის ვალდებულება, ღიაობა, ინფორმირების ვალდებულება და სხვა დამატებითი ვალდებულებანი, კონკრეტული ვალდებულებებია და არავითარი კავშირი არ აქვთ მორალთან.

რადგან ხელშეკრულება უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე ეს არის ძირითადი ვალდებულების შესრულება, კერძოდ, მხარეებს ანიჭებს დამატებით უფლებებს, ეს განაპირობებს იმას, რომ ხელშეკრულება გადაიქცევა სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების ობიექტურ საფუძველად, რომელიც შედგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების თითოეული მხარის ინტერესის შესატყვისად. კეთილსინდისიერებაში არ

იგულისხმება მორალით გამართლებული ან მორალით მოწესრიგებული ქცევა. უფრო მეტად იგი არის უფლებებისა და მოვალეობების მიზნობრივი გადანაწილება. აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერება არის უფრო ობიექტურ შედეგზე ორიენტირებული პრინციპი, ვიდრე მორალური ქცევის მომწესრიგებელი პრინციპი.

საქმიან ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებებისაგან განსხვავებით, კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება არ შეიძლება გამოირიცხოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შეთანხმებით. განსაკუთრებით ეს ეხება იმ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელთა მიმართაც კანონი სპეციალურად ავრცელებს კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედებას. ასეთი სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ, პირველ ყოვლისა, გამოყენებული უნდა იქნეს კანონი<sup>535</sup>, შემდეგ კეთილსინდისიერების პრინციპი, შემდგომ ხელშეკრულების პირობები და ბოლოს, საქმიან ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულებები, თუ მათი გამოყენება არ არის გამორიცხული მხარეთა შეთანხმებით. კეთილსინდისიერების პრინციპის გამორიცხვის დაუშვებლობა განაპირობებს იმას, რომ თუ ხელშეკრულების პირობები ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს, მაშინ ეს ფაქტორი გამოიწვევს ხელშეკრულების ამგვარი პირობების ბათილობას.

გონივრულობა და კეთილსინდისიერება ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, თუმცა მათი გაიგივება არ შეიძლება. კეთილსინდისიერად მოქმედება სახეზეა მხოლოდ მაშინ, როცა სუბიექტი ითვალისწინებს სხვა პირთა ინტერესებს, თავისი ქცევით არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს. მაშასადამე, როდესაც გონივრულობის საფუძველზე ხდება ქცევის შეფასება, შესაძლოა სახეზე იყოს პირის როგორც კეთილსინდისიერად ისე არაკეთილსინდისიერად მოქმედება, რადგან ერთი და მეორეც შეუძლია მხოლოდ გონიერ ადამიანს. ეს ნიშნავს, რომ გონივრულად მოქმედი სუბიექტი შესაძლოა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად ანდა არაკეთილსინდისიერად. ამრიგად, გონივრულობა, როგორც განსაზღვრული ფაქტების გაცნობიერება, გულისხმობს არა მხოლოდ კეთილსინდისიერ ქცევას, არამედ არაკეთილსინდისიერ ქცევასაც.

ბრალი და კეთილსინდისიერება სხვადასხვა შინაარსის მქონე კატეგორიებია. როგორც წესი, ბრალის არარსებობა ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, ხოლო კეთილსინდისიერების არარსებობა, პირიქით, პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ბრალი პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგადი საფუძველია, ხოლო კეთილსინდისიერება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ზოგადი საფუძველია.

<sup>535</sup> როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნული, „სამართლის საზომი ჩვეულება კი არაა, არამედ ჩვეულების საზომია სამართლის ორგანული ღირებულებანი. ამისი განმკითხავი კი მოსამართლეა“. იხ: *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005, 121.

არაკეთილსინდისიერების ცნება ბრალის ცნებაზე უფრო ფართოა; ბრალის კატეგორია გამოიყენება მხოლოდ პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში. თავის მხრივ, კეთილსინდისიერების და არაკეთილსინდისიერების კატეგორიები შეიძლება გამოყენებული იქნენ და გამოიყენებინან კანონმდებლის მიერ სამოქალაქო ბრუნვაში სამოქალაქო უფლებების წარმოშობის, განხორციელების და შეწყვეტის დროს და ხშირად, ეს კატეგორიები არ უკავშირდება სუბიექტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. ბრალეული ქმედების შემთხვევაში როცა ადგილი არა აქვს პირის განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია გამოირიცხოს პასუხისმგებლობა, მაგრამ კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევისას დაუშვებელია პასუხისმგებლობის გამორიცხვა მხარეთა შეთანხმებით.

„კეთილსინდისიერება“ პასუხისმგებლობისაგან იმ პირის გათავისუფლების დამატებითი საფუძველია, ვის მიმართაც დგას პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი. ამასთან, მართსაწინააღმდეგოდ და არაკეთილსინდისიერად მოქმედ პირს ერთმევა უფლების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალება. „კეთილსინდისიერების“ კატეგორიის არსებობა აუცილებელია ისეთ შემთხვევებში, როცა 1) კანონი არ შეიცავს სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ კონკრეტულ ნორმას; 2) მხარეთა შორის არ არის დადებული ხელშეკრულება; 3) არ არსებობს საქმიან ბრუნვაში დამკვიდრებული ჩვეულება. სწორედ ასეთ დროს უნდა გამოვიყენოთ კეთილსინდისიერების პრინციპი.

უფლების განხორციელების ფარგლები არის განსაზღვრული ქცევის აკრძალვა, მაშინ, როცა კეთილსინდისიერება არის განსაზღვრული ქცევის მოთხოვნა. უფლების განხორციელების ფარგლები გულისხმობს, თუ როგორ არ უნდა განხორციელდეს უფლება, ხოლო კეთილსინდისიერება – როგორ უნდა განხორციელდეს უფლება.

შეცდომა განსხვავდება არაკეთილსინდისიერი მოქმედებისაგან იმით, რომ შეცდომის დროს სახეზე არ არის განზრახვა, რომელიც საფუძველად დაედო შეცდომის გამომწვევ მოქმედებას. შეცდომისაგან განსხვავებით არაკეთილსინდისიერი მოქმედებების განხორციელება ხდება წინასწარი განზრახვით და როგორც წესი, ამგვარი მოქმედებების განხორციელება გულისხმობს ფაქტების მიზანმიმართულ დამალვას.

კეთილსინდისიერების პრინციპი უნდა განვასხვავოთ სამართლიანობის მოთხოვნისაგან. კეთილსინდისიერების პრინციპი ერთი მხრივ, ქცევის კონკრეტული მასშტაბის დადგენის საშუალებას იძლევა და მეორე მხრივ, გვაძლევს სამართლებრივი ნორმების კორექტირების შესაძლებლობას (იმ შემთხვევაში, როცა ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა), მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, მათი უფლებების დაურღვევლად და ამით სამართლის სუბიექტების ინტერესებს აბალანსებს. შესაბამისად, კეთილსინდისიერება საზოგადოებრივი



ურთიერთობების რეგულატორის ფუნქციას ასრულებს. ხოლო სამართლიანობა ადამიანის ქცევის შეფასების უნივერსალური საშუალებაა. სამართლიანობა უზრუნველყოფს იმას, რომ სხვადასხვა სუბიექტის უფლებები და მოვალეობები თანასწორობის საწყისზე იყოს აგებული. კეთილსინდისიერება არის ის კრიტერიუმი, რომლის მეშვეობითაც ხდება სხვადასხვა სუბიექტს შორის არსებული კონკრეტული ურთიერთობის შეფასება.

კეთილსინდისიერების პრინციპი გულისხმობს კონტრაქტისადმი თანაზომიერი (პროპორციული) მოთხოვნების წაყენებას. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რამდენად სერიოზულია ხელშეკრულების დარღვევის შედეგები. დაზარალებული მხარის უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებები უნდა იყოს ხელშეკრულების დარღვევის შედეგების პროპორციული. დაზარალებულ მხარეს არ უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამდიდრდეს ხელშეკრულების დამრღვევი მხარის ხარჯზე.

## II თავი

მართალია კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება აუცილებელია უმეტესად მაშინ, როცა მხარეთა შორის უკვე არსებობს ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა, მაგრამ კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება ასევე მაშინაც, როცა ადგილი აქვს წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებებს (ხელშეკრულებამდელ სამართლებრივ ურთიერთობებს), როდესაც მხარეებს ხელშეკრულება ჯერ არ დაუდიათ.

სსკ-ის 317-ე მუხლის შინაარსის ფორმულირება შეცვლას მოითხოვს. ეს ნორმა წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში პასუხისმგებლობის საფუძველად ბრალის არსებობას მიიჩნევს და მასში არაკეთილსინდისიერება ნახსენები არ არის. ასეთი ჩანაწერი კანონში გაუმართლებელია. როგორც ქართულ ლიტერატურაშია აღნიშნული, ბრალი უეჭველად გულისხმობს მართლწინააღმდეგობის არსებობას.<sup>536</sup> სამოქალაქო კოდექსის არცერთი ნორმით არ ევალება სუბიექტს ხელშეკრულების დადება. ამდენად, ხელშეკრულების დაუდებლობა ვერ დაკვალიფიცირდება სამართლის ნორმის დარღვევად, ე.ი. მართლწინააღმდეგობად. ამიტომ, ბრალის კატეგორიაზე დაყრდნობით საკითხის გადაწყვეტამ შესაძლოა ჩიხში შეიყვანოს სასამართლო და განაპირობოს კრედიტორის მიერ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის განუხორციელებლობა, რამეთუ ბრალის დამტკიცება უკავშირდება მართლწინააღმდეგობის დადგენას, სამართალდარღვევას, რასაც ასეთ დროს ადგილი არ აქვს, ხოლო კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის დადგენა უფრო იოლი იქნება. ამასთან, საყურადღებოა, რომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის სამართლებრივი შედეგები საკმარისად არ არის

<sup>536</sup> ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001, 371.

მოწესრიგებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. აქცენტი კეთდება მარტოდენ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობაზე ხელშეკრულების ჩაშლის შემთხვევისათვის, თუმცა როგორ უნდა გადაწყდეს სადავო საკითხი ხელშეკრულების დადების შემდეგ, თუ აღმოჩნდება, რომ ხელშეკრულების მომზადების სტადიაზე კონტრაქტმა დაარღვია კეთილსინდისიერების პრინციპი? როგორც ჩანს, ასეთ დროს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით და მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სამართლიანად დააბალანსებს მხარეთა ინტერესებს.

### III თავი

ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული პირობები სავალდებულოა კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ყველა მონაწილისათვის. ამასთან, ამა თუ იმ ხელშეკრულებაში, შესაძლოა არც კი იყოს ჩამოყალიბებული განსაზღვრულად ქცევის წესი, მაგრამ განსაზღვრული წესით ქცევის, განსაზღვრული მოქმედების შესრულების ვალდებულება კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მხარე ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში მოქმედებდეს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, მთელ რიგ დამატებით მოვალეობებს ამკვიდრებს. ასეთი მოვალეობები აკონკრეტებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მთავარ ვალდებულებას. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დამატებით ვალდებულებებს სამართლებრივი ურთიერთობების მხარეებს აკისრებს სასამართლო. დამატებითი ვალდებულებები მხარეებს ეკისრებათ იმის მიუხედავად, გამოავლინეს თუ არა მათ ნება ამ ვალდებულებების შესრულების თაობაზე, ხელშეკრულებით იკისრეს თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულება. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დამატებითი მოვალეობები სრულად სპეციფიკური ბუნებისანი არიან და მხარეთათვის მათი დაკისრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათსა და ფაქტობრივ გარემოებებზე. კერძოდ, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე შეიძლება სასამართლომ განმარტოს და დააკონკრეტოს, თუ რა ხარისხის და როგორი ნიშან-თვისებების მქონე საქონლის გადაცემის ვალდებულება ეკისრება მხარეს, გამოიკვლიოს მხარეთა ნება და ის, თუ რა მიზანი ჰქონდათ დასახული მხარეებს ხელშეკრულების დადების დროს; განსაზღვროს, ეკისრებოდა თუ არა მხარეს თანამშრომლობის, გულისხმიერების, მზრუნველობის, ყურადღების გამოჩენის ვალდებულება, რომელთა დაცვის შემთხვევაშიც თავიდან იქნებოდა აცილებული ვალდებულების შეუსრულებლობა.

თანამშრომლობის ვალდებულება გულისხმობს მხარეთა ვალდებულებას, გაითვალისწინონ არა მარტო თავისი კერძო ინტერესები, არამედ მეორე მხარის ინტერესებიც. მხარეები ვალდებული არიან ისევე იზრუნონ მეორე მეორე მხარის ინტერესებზე, როგორც ზრუნავენ საკუთარ ინტერესებზე.

სამოქალაქო სამართალში ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ითვლება სახელშეკრულებო ვალდებულებებში სუსტი მხარის დაცვა. სუსტი მხარის დაცვა მოითხოვს სამოქალაქო სამართლის ისეთი ძირითადი პრინციპიდან ფორმალურად გადახვევას, როგორც არის მხარეთა თანასწორობა (სსკ-ის 1-ლი მუხლი). ფაქტობრივად კი, სუსტი მხარისათვის დამატებითი უფლებების მინიჭებით და შესაბამისად, მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისათვის დამატებითი ვალდებულებების დაკისრებით, სამოქალაქო კანონმდებლობა უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილეთა თანასწორობას ერთმანეთის მიმართ.

კეთილსინდისიერების შესახებ დათქმის მეშვეობით კონტრაქტებს შორის მარტოოდენ თანამშრომლობის პრობლემის გადაწყვეტა როდი ხდება. კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება აგრეთვე იმისათვის, რომ გამოირიცხოს დისპროპორცია სახელშეკრულებო ურთიერთობებში ინფორმირების საკითხში. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მხარეებს ეკისრებათ ინფორმირებისა და უსაფრთხოების ვალდებულება.

თავისი სამართლებრივი ბუნებით ინფორმაციის გაცემის ვალდებულება შეიძლება დამატებითი ვალდებულებების კატეგორიას მივაკუთვნოთ. ინფორმაციის ხასიათი დამოკიდებულია ვალდებულების შინაარსზე, ვალდებულების საგანზე. ამიტომ წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა ინფორმაცია შეიძლება მოითხოვოს კონტრაქტმა, კანონით შეუძლებელია.

კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს კერძო სამართლის პრინციპს. მისი მიზანია ინტერესების წონასწორობის მიღწევა სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტებს შორის. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსს წარმოადგენს იმ სუბიექტის ვალდებულება, რომელიც იძენს და ახორციელებს უფლებებსა და მოვალეობებს, სათანადო ზრუნვა (მზრუნველობა) გამოიჩინოს სამოქალაქო ბრუნვის სხვა მონაწილეთა უფლებებისა და ინტერესების მიმართ. კეთილსინდისიერების პრინციპის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ის, რომ იგი სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების მონაწილეთა ქცევის შეფასების კრიტერიუმია, აგრეთვე სამართლის ერთ-ერთი წყაროა, რომელიც აუცილებელია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების შინაარსის დასადგენად.

კეთილსინდისიერების პრინციპი გულისხმობს თითოეული მხარის ვალდებულებას:

1) გააკეთონ ყველაფერი, რათა ერთმანეთს შეუმსუბუქონ (გაუადვილონ) ვალდებულების შესრულება, თავიდან აიცილონ

ყოველივე, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ვაღდებულება მძიმე ტვირთად დააწვეს მხარეს ან მისი შესრულება გახადოს შეუძლებელი;

2) თავიდან აიცილოს მეორე მხარის უფლებების დარღვევა. „თითოეულმა მხარემ უნდა გამოიჩინოს საჭირო მზუნველობა მეორე მხარის ჯანმრთელობისა და საკუთრების მიმართ;“<sup>537</sup>

3) ერთობლივად გააკეთონ ყოველივე, რაც საჭიროა და მოითხოვება ხელშეკრულების მიზნის მისაღწევად;

4) ერთმანეთს მიაწოდონ აუცილებელი ინფორმაცია პირველადი განსახორციელებელი მოქმედებების შესრულების შესახებ.

კეთილსინდისიერება სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოითხოვს და გულისხმობს გულმოდგინედ ქცევის (ზრუნვის) ვაღდებულებას. კეთილსინდისიერების პრინციპი მხარისაგან მოითხოვს ასევე იმას, რომ არ დაუმალოს კონტრაქტს სახელშეკრულებო ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის აუცილებელი ინფორმაცია, მხარე არ უნდა ცდილობდეს შეცდომაში შეიყვანოს კონტრაქტი, სახეზე არ უნდა იყოს მოტყუება კონტრაქტებთან ურთიერთობაში. კეთილსინდისიერების მოთხოვნა სახელშეკრულებო (ვაღდებულებით) ურთიერთობებში მონაწილე ნებისმიერ სუბიექტს ავაღდებულებს დაიცვას კონტრაქტის უფლებები და ინტერესები.

#### IV თავი

კეთილსინდისიერება არა თუ კარგავს თავის მნიშვნელობას, არამედ სამართლებრივი მოწესრიგების საფუძველია (სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველია). კეთილსინდისიერების ასეთი დიდი მნიშვნელობა გამომდინარეობს თავად სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობების კონსტრუქციიდან და სახელშეკრულებო ვაღდებულებათა შესრულებისას წამოჭრილი სადავო საკითხების გადაწყვეტის მექანიზმიდან. ამ მექანიზმს განაპირობებს სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის კონსტრუქცია. კეთილსინდისიერება სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობების ნამდვილობისა და ლეგიტიმურობის კრიტერიუმია. კანონის დებულებებთან შედარებით, პრაქტიკასა და დოქტრინაში კეთილსინდისიერების კატეგორიის გამოყენების სფერო გაფართოებულია. ეკონომიკის არამდგრადობის (ცვალებადობის) და კრიზისული მოვლენების წარმოშობის პირობებში სახელშეკრულებო ურთიერთობების დაცვა სასამართლო წესით, კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, მიზნად ისახავს ამ ურთიერთობათა სტაბილურობისა და მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფას. კეთილსინდისიერების კატეგორია სახელშეკრულებო ურთიერთობათა კონსტრუქციის ელემენტია. კეთილსინდისიერება სამართლებრივი

<sup>537</sup> Klunzinger E. Einführung in das bürgerliche Recht. Grundkurs für Studierende der Rechts und Wirtschaftswissenschaften, 5. Auflage, München: Verlag vahlen, 1993, S. 178. ნახეთ აგრეთვე: Westermann H.P., Bydlinski P. BGB-Schuldrecht Allgemeiner teil-Heidelberg: C. F. Müller, 1999, S. 31 ff

კატეგორიაა. კეთილსინდისიერების პრინციპი, საშუალებას აძლევს მოსამართლეს მოქმედი სამართალი საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებს მიუსადაგოს.

კეთილსინდისიერების პრინციპი იძლევა ვალდებულების ეკონომიკური, რაციონალური საფუძვლების მოსპობის გამო ვალდებულების შეწყვეტის (შესრულებაზე უარის თქმის) სამართლებრივ შესაძლებლობას, ე.ი. ვალდებულების შეწყვეტის შესაძლებლობას ისეთ შემთხვევებში, როცა ვალდებულების შესრულება კარგავს აზრს და მხარის კანონიერ (კანონით დაცულ) ინტერესებს ზიანიც კი შეიძლება მიაყენოს მისმა შესრულებამ.

ქართულ სამართალში მხარის უფლება, სსკ-ის 398-ე მუხლიდან გამომდინარე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ეფუძნება სწორედ სამართლიანობის, კეთილსინდისიერების პრინციპს.

სასამართლო პრაქტიკაში სსკ-ის 399-ე მუხლის გამოყენებისას, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: ხელშეკრულების მოშლა მეორე მხარისათვის მძიმე შედეგის მომტანი შეიძლება იყოს, ამიტომ სასამართლომ სსკ-ის 399-ე მუხლი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოიყენოს და მის გამოყენებამდე, პირველ რიგში, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შესაძლებლობის საკითხი უნდა განიხილოს.

კეთილსინდისიერების პრინციპი არ უნდა მოქმედებდეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში და სახელშეკრულებო ურთიერთობაში ფართოდ ჩარევის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს სამოსამართლო სამართლის მეშვეობით.

აუცილებელია კეთილსინდისიერების მოთხოვნის საწინააღმდეგო მთლიანი გარიგების (ან გარიგების რომელიმე პირობის) ბათილობის შესახებ ზოგადი წესის დადგენა. აუცილებელია, პირველ ყოვლისა, გარიგების დადებისას მოეთხოვოს კონტრაქტებს კეთილსინდისიერი პირობების დადგენა და არა მხოლოდ გარიგების (ხელშეკრულების) შესრულებისას.

სამოქალაქო კოდექსში მხოლოდ ცალკეული კონკრეტული აკრძალვებია დადგენილი, როცა მხარეებს ეკრძალებათ არაკეთილსინდისიერი მოქმედება. შესაბამისად, კონკრეტული აკრძალვების დადგენით შეუძლებელია მხარის დაცვა არაკეთილსინდისიერი კონტრაქტებისაგან, რადგან სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს (და ვერც იქნება მასში ამგვარი რამ მოცემული) ყველა იმ ხელშეკრულების ჩამონათვალს, რომლებშიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს არაკეთილსინდისიერი პირობები. კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო გარიგების ბათილად ცნობის წესი თუ დადგინდება, ამით ამაღლდება მხარეთა პასუხისმგებლობაც ხელშეკრულების დადებისას. მხარეები ეცდებიან მეტი პასუხისმგებლობითა და ყურადღებით ჩამოაყალიბონ

ხელშეკრულების პირობები, ხელშეკრულებაში არ შეიტანონ ისეთი პირობები, რომლებმაც შეიძლება ერთ-ერთი მხარე არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს და გააუარესოს მისი უფლებრივი მდგომარეობა იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც მას ჰქონდა ხელშეკრულების დადებამდე.

გავლენის ბოროტად გამოყენების საფუძვლით გარიგების ბათილად ცნობის შესახებ ნორმა (სსკ-ის 55-ე მუხლი), ისევე როგორც კეთილსინდისიერების პრინციპი, იცავს გარიგების სუსტი მხარის ინტერესებს, რამეთუ კეთილსინდისიერების პრინციპი მოითხოვს, მხარეთა შორის ურთიერთობებში უფლების განხორციელების დროს მხარემ გაითვალისწინოს მეორე მხარის ინტერესები. მაგრამ გავლენის ბოროტად გამოყენების გამო გარიგების ბათილობის შესახებ ნორმა ადგენს გარკვეულ, მკაფიო კრიტერიუმს – სახეზე უნდა იყოს განსაკუთრებულ ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებში ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენება. აღნიშნულმა ნორმამ 2012 წლის 8 მაისის ცვლილებით შინაარსი შეიცვალა. ნორმის მანამდე არსებული რედაქცია, ზემოაღნიშნული კრიტერიუმის გარდა, სავალდებულოს ხდიდა სახეზე ყოფილიყო საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ან ხელშეკრულების მეორე მხარის მიმე მდგომარეობა ან გამოუცდელობა (გულუბრყვილობა). აშკარაა, რომ ნორმის ადრინდელი რედაქციით დადგენილი ეს კრიტერიუმებიც კი, გამოიყენებოდა მხოლოდ გარიგებათა ვიწრო (შეზღუდული) წრის მიმართ და არ მოიცავდა გარიგების მხარის უფლებათა დარღვევის (შელახვის) სხვა შემთხვევებს. როგორც შესაბამისი კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, კანონპროექტის მიღების მიზეზია „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება, რამაც განაპირობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის აუცილებლობა. ხოლო ცვლილების მიზანია „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისობაში მოყვანა. ცვლილების ძირითადი არსი კი სსკ-ის 55-ე მუხლის გაუქმებაა, რომელიც ეხება საბაზრო ძალაუფლების გამოყენებით დადებულ გარიგებას. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი ითვალისწინებს ამგვარი გარიგებების რეგულირებას. ცვლილება კი მიზნად ისახავს დუბლირების თავიდან აცილებას. განმარტებით ბარათში მითითებული არგუმენტაცია კრიტიკას ვერ უძლებს. ნებისმიერი ახალი ნორმის მიღების მიზანი უნდა იყოს არა თავის თავად დუბლირების თავიდან აცილება, არამედ სუსტი მხარის ინტერესების და უფლებების დაცვის გარანტიების გაფართოება. აშკარაა, რომ კანონის ახალი რედაქციით დავიწროვდა უფლების დაცვის არეალი. სსკ-ის 55-ე მუხლის და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის მიზნები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთ მიზნად დასახელებულია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების

დაუშვებლობა. სსკ-ის 55-ე მუხლი კი უნდა ვრცელდებოდეს არა მხოლოდ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებზე, ე.ი. უნდა იყოს არა მხოლოდ დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტების კონტროლის მექანიზმი, არამედ ნებისმიერი იმ სუბიექტის კონტროლის მექანიზმი, რომელსაც შესაძლოა არც ეკავოს დომინირებული მდგომარეობა, მაგრამ სახელშეკრულებო ურთიერთობათა დამყარებისას იყენებდეს მეორე მხარის მიმე მდგომარეობას, გამოუცდევლობას ან გულუბრყვილობას. ამასთან, სსკ-ის 55-ე მუხლის ამუშაინდელი რედაქციაც ბუნდოვანი და გაუმართავია. ნორმის თანახმად, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება გავლენის ბოროტად გამოყენებით დადებული გარიგება ბათილად, როცა გარიგება ემყარება მხარეთა განსაკუთრებულ ნდობას. სრულიად საკმარისი უნდა იყოს გავლენის ბოროტად გამოყენება ან კონტრაჰენტის ნდობის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენება გარიგების გასაბათილებლად, იმისდა მიუხედავად, განსაკუთრებული ნდობა ექნება პირს მეორე პირის მიმართ თუ რაიმე სხვაგვარი ნდობა. მოცემული ნორმა კი კუმულატიური პირობის სახით არის ჩამოყალიბებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ისეთი კატეგორიები, როგორიც არის ნდობის დარღვევა, გავლენის ბოროტად გამოყენება, მეორე მხარის გულუბრყვილობით ან გამოუცდევლობით, ან მიმე მდგომარეობით სარგებლობა, კეთილსინდისიერების პრინციპით აკრძალული ქმედებებია. ამიტომ, მიზანშეწონილია სსკ-ის 55-ე მუხლის ფორმულირება შემდეგი რედაქციით: „ბათილია კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ დადებული გარიგება“. ამგვარი ფორმულირება სასამართლოებს მისცემს კონკრეტული შემთხვევების შეფასების ფართო შესაძლებლობას, გადაწყვეტს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ნორმასაც უფრო მეტ სტაბილურობას შესძენს, გააფართოებს სუსტი მხარის ინტერესების დაცვის და შესაბამისად, დომინირებული მდგომარეობის ან გავლენის ბოროტად გამოყენებელი მხარის კონტროლის არეალს.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებას მიიჩნევს უცილოდ ბათილ (არარა) გარიგებად. ბათილობის სამართლებრივი შედეგი არ შეიძლება იყოს გარიგების მიხნევა ნამდვილ გარიგებად. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ბათილობის სამართლებრივი შედეგის ჩანაცვლება სხვა სამართლებრივი შედეგით (ამ შემთხვევაში გარიგების კონვალიდაციით) დაუშვებელია. ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებას ნამდვილ გარიგებად ვერ აქცევს კეთილსინდისიერების პრინციპი. კეთილსინდისიერების პრინციპი არ შეიძლება გავრცელდეს არარსებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე და წარმოშობდეს უფლებებს ამგვარი ურთიერთობების საფუძველზე. ბათილი გარიგების გაჯანსაღების საკითხისადმი ფართო მიდგომამ და კეთილსინდისიერების პრინციპის ფართო მნიშვნელობით გამოყენებამ გარიგების ბათილობის ყველა შემთხვევისადმი, შესაძლოა, კეთილსინდისიერების პრინციპი მართლაც ცუდ იარაღად აქციოს მოსამართლის ხელში სამართლებრივი ბრუნვის უსაფრთხოების

ინტერესების საწინააღმდეგოდ და დაარღვიოს პირთა კონსტიტუციური უფლებები (საკუთრების უფლება და სხვა).

ამასთან, სამომავლოდ, სასურველია კანონმდებელმა ყურადღება მიაქციოს გარიგების კონვალიდაციის პრობლემას და სამოქალაქო კოდექსში უნდა გაფართოვდეს იმ გარიგებათა წრე, რომელთა კონვალიდაციაც შესაძლებელია. კერძოდ, მიზანშეწონილია კონვალიდაციას დაექვემდებაროს ასევე და შესაბამისად კონვალიდაციას დაქვემდებარებულ გარიგებებს დაემატოს მხოლოდ ფორმის დაუცველად დადებული გარიგებანი, რომელთა საფუძველზეც ერთმა მხარემ შეასრულა გარიგება მთლიანად ან ნაწილობრივ, ხოლო მეორე მხარე უარს ამბობს გარიგების დადასტურებაზე. კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე იმ მხარეს, რომელმაც შეასრულა ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, უნდა მიენიჭოს გარიგების ნამდვილობის და მის საფუძველზე მეორე მხარისაგან შესრულების მოთხოვნის უფლება. ამისთვის სასურველია სპეციალური ნორმის მიღება სამოქალაქო კოდექსში. კონვალიდაციის შესაძლებლობა უნდა შემოიფარგლოს ფორმალაუცველი გარიგებებით.

კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მოქმედება უნდა გამოიხატოს იმაში, რომ სუბიექტი მიუკერძოებლად უნდა მოქმედებდეს საკუთარი ინტერესების განხორციელების დროს, ამასთან, სამართლებრივი ურთიერთობის თითოეულმა სუბიექტმა უფლებები უნდა განახორციელოს ხელშეკრულების, კანონის და ა.შ. შესაბამისად იმდაგვარად (ისე), რომ ამგვარი ქცევა გამართლებული იყოს კონტრაქტთან ურთიერთობაში. მაშასადამე, კეთილსინდისიერების პრინციპი ადგენს ინტერესების წონასწორობას, მოითხოვს სხვისი ინტერესებისადმი ყურადღების გამოჩენას. მაგრამ იმისათვის, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენებოდეს, აუცილებელია, ისეთ შემთხვევებში, სადაც კეთილსინდისიერების პრინციპს ეფუძნება კანონი, ნორმები იმპერატიულად იქნეს ფორმულირებული და სუბიექტებს თავიანთი შეთანხმებით არ შეეძლოთ ამ პრინციპის მოქმედების გამორიცხვა. მაგალითად, სსკ-ის 817-818-ე მუხლები დახვეწას მოითხოვს იმ მხრივ, რომ ნორმათა ფორმულირება გახდეს მავალდებულებელი ხასიათის.

საჭიროა სტანდარტული პირობების კონტროლის მექანიზმის დახვეწა. სტანდარტული პირობები მასიურად გამოიყენება ქართულ სინამდვილეში ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციების, ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტების მიერ, რაც სტანდარტული პირობების მნიშვნელობის გაზრდაზე მეტყველებს, თუმცა არაკეთილსინდისიერი სტანდარტული პირობებისაგან სუსტი მხარე საკმარისად დაცული არ არის. სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლის საჭიროება იმით აიხსნება, რომ სტანდარტული პირობების გამოყენებისას მოსალოდნელია შემთავაზებლის მიერ სტანდარტული პირობების ცალმხრივად განსაზღვრის უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენება. ეს კი წარმოშობს დისბალანსს მხარეთა შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებში. კონტრაქტს (ხელშეკრულების სუსტ მხარეს) თავისი ინტერესების დაცვის ადეკვატური საშუალებები



უნდა გააჩნდეს. სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლის საკითხში კეთილსინდისიერების პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სრულყოფილად არ ითვალისწინებს სტანდარტული პირობების განმარტების თავისებურებებს, მაშინ, როცა ამგვარი პირობების განმარტება მათი კონტროლის ერთ-ერთი საშუალებაა. მარტოოდენ 345-ე მუხლის არსებობა კი პრობლემას ვერ წყვეტს. არც სსკ-ის 52-ე მუხლია საკმარისი სტანდარტული პირობების და ზოგადად, ნებისმიერი სახელშეკრულებო პირობის თუ დებულების კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად განმარტებისათვის. მიზანშეწონილია ამ ნორმაში, ან 345-ე მუხლში მიეთითოს, რომ გარიგებათა განმარტება ხორციელდება კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად.

მიზანშეწონილია დეტალურად მოწესრიგდეს გარიგების სტანდარტული პირობების ბათილობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ გარიგების სტანდარტული პირობების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილობის შემთხვევები და წესები. მაგალითად: მიზანშეწონილი იქნება, თუ ბათილად ჩაითვლება მთლიანი ხელშეკრულება, როცა ხელშეკრულების შესრულება მეტისმეტად მძიმე ტვირთი იქნება ერთ-ერთი მხარისათვის მას შემდეგაც კი, რაც ხელშეკრულების ბათილი სტანდარტული პირობების ნაცვლად გამოყენებული იქნება კანონის ნორმები.

მიზანშეწონილია კანონმდებელმა შექმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კეთილსინდისიერების პრინციპის სრულყოფილად გამოყენებას სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ამ მხრივ, მიზანშეწონილია სსკ-ის 346-ე მუხლიდან ამოღებული იქნეს მეორე წინადადება, რომელიც სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლს ხდის უფრო კონკრეტულს და თავისი არსით, ამცირებს კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობას და მოქმედებას, ვინაიდან ამ პრინციპის გამოყენებას საქმის კონკრეტულ გარემოებებზე დამოკიდებულად აქცევს.

მართებულია ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბებული მიდგომა, რომლის თანახმადაც, გაზრდილი მოთხოვნები წაყენებათ სტანდარტული პირობების განსაზღვრისას მეწარმეებს და ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტებს მომხმარებლებთან ურთიერთობაში. შესაბამისად, როდესაც დღის წესრიგში დგება სუბიექტთა ინტერესების დაცვა, მიზანშეწონილია დიფერენცირებული მიდგომის შემუშავება სტანდარტული პირობების შინაარსზე კონტროლის განხორციელებისას, იმისდა მიხედვით, კონტრაპენტი ფიზიკური პირია თუ მეწარმე სუბიექტი.

სსკ-ის 346-ე მუხლში საუბარია არა ორ სხვადასხვა – ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე ცალ-ცალკე, როგორც ეს ნორმის ფორმულირებიდან იკვეთება, არამედ კეთილსინდისიერების პრინციპზე, რომელიც თავის თავში მოიცავს ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობებსაც.

## გამოყენებული ლიტერატურა

### ნორმატიული მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია, ძალაშია 1995 წლის 24 აგვისტოდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ძალაშია 1964 წლის 26 დეკემბრიდან

### სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე:

*ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, (მე-2 გამოცემა), თბ., 1999

*ბურდული ი.*, ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(35)<sup>12</sup>

*ბერეკაშვილი ქ.*, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა –ნების ავტონომია თუ მართლწესრიგის საწინააღმდეგო მოქმედება?, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(32)<sup>12</sup>

*ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2004.

*გასვიანი თ.*, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად გადაქცევა, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(16)<sup>08</sup>

*გიგოლაშვილი გ.*, სადაზღვევო საქმე, გამომც., „კომერსანტი“, თბ., 2010

*გვარამია ლ.*, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება, იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2002

*დავიდი რ.*, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, გამომც. ბონა კაუზა, თბილისი, 2010

*ვაშაკიძე გ.*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით-აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10 №1, 2007

*ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010

*ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005

*ზარანდია თ., ჯუღელი თ.*, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4<sup>06</sup>

*ზარანდია თ.*, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ადგილი და ვადები, გამომც. „ჯისიაი“, თბ., 2005

თოდუა მ., ვიდეძი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2006

თოდუა მ., ქურდაძე შ., ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბ., 2005,

იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007

იოსელიანი ნ., ხელშეკრულების განმარტება, გამომც., „ბონა კაუზა“, თბ., 2008

კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, I ზოგადი ნაწილი, თბ. 2001

კერესელიძე დ., სამოქალაქო კოდექსის შესავალი დებულებები, ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტ. 7, №1, 2004

კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009

კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, გამომცემლობა ჯისიაი, თბ., 2010

ლილუაშვილი ვ., სავაჭრო ხელშეკრულებების განმარტების წესების მნიშვნელობა ქართულ და ამერიკულ სამართალში, სამართლის აქტუალური საკითხები, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, 1 დეკემბერი, 1999

ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 2009

მაისურაძე ა., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში. ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“ №2(37)1342

ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, გამომც. „ბონა კაუზა“, თბილისი, 2009

ნინუა ე., ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2012

პელევრინო მ., სუბიექტური თუ ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა? სახელშეკრულებო სამართალში ბრალის როლის შედარებით-სამართლებრივი განხილვა, საიუბილეო კრებული “სერგო ჯორბენაძე 70“, თბ., გამომც. „ნორმა“, 1996,

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1999

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გამომც., „სამართალი“, 2001

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. I, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეოთხე. ტომი II, გამომცემლობა სამართალი, თბ., 2001

სახელშეკრულებო სამართალი, ავტორთა კოლექტივი, გამომც., „მერიდიანი“ თბ.2014 წ.

*სუხიტა შვილი თ.*, პასუხისმგებლობა საკუთარი და მესამე პირის მოქმედებისათვის, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(33)<sup>12</sup>

*სუხიტა შვილი თ.*, თეორიები სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(35)<sup>12</sup>

*სუხიტა შვილი დ.*, სანოტარო სამართალი, თბ., 2012

*ქოქია შვილი მ.*, ფრენშაიზინგი და მისი სამართლებრივი რეგულირება, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2009

*ქონა შვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.9, თბ. 1985

*შენგელია რ., შენგელია ე.*, საბანკო სამართლის საფუძვლები, გამომც., სამართალი, თბ., 2014

*შენგელია ი.*, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და ვენის 1980 წლის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ. ჟ. „მართლმსაჯულება“, №1, 2010

*შენგელია ი.*, სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი. არსი და მნიშვნელობა., ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(23)<sup>09</sup>

*შენგელია ი.*, სახელშეკრულებო თავისუფლება, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2010

*ჩახავა ს.*, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2011

*ჩახანიძე თ.*, ფრენშაიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, გამომცემელი : იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, თბ., 2010

*ჩახანიძე თ.*, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(26)<sup>10</sup>

*ჩიტა შვილი ნ.*, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, სამართლის ჟურნალი, №1,2009

*ჩიტა შვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა (გერმანული და ქართული სამართლის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი, №2, 2011

ციმერმანი რ., საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებათა 2004 წლის „უნიდრუას“ ძირითადი ნორმები შედარებით პერსპექტივაში. ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005

ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გად. გამოცემა, ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006

ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2001

ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, გამომც., მერიდიანი, თბ., 2006

ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბ., 2010

ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2011წ.,

ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც. „სამართალი“, თბ., 1997

ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომც. „სამართალი“, თბ., 2006

ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2013

ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გამომც. „სამართალი“, თბ., 2002

ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე), თბ., 2008

ჯორბენაძე ს., საქართველოს მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, კრებული „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994

ჯორბენაძე ს., ფრენშიაზინგის ხელშეკრულება, გამომც., თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, 1999

ჯუღელი თ., მორალური ვალდებულებების ადგილი სამოქალაქო სამართალში, ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2005

### უცხოურ ენებზე :

Al-Shamari N, Die Verkehrssitte im §242 BGB: Konzeption und Anwendung seit 1900. Tübingen 2006

Auer M., Materialisierung, Flexibilisierung, Richterfreiheit: Generalklauseln im Spiegel der Antinomien des Privatrechtsdenkens. Tübingen 2005

*Adolf Berger Encyclopedic Dictionary of Roman Law, Volume 43 PART 2. 1953. REPRINTED 1980, 1991*

*Bahr G.W. Das Generalklausel und Aufsichtssystem des VAG im Strukturwandel: Eine öffentlich-rechtliche Studie zur Standortbestimmung der deutschen Versicherungsaufsicht im europäischen Binnenmarkt, Karlsruhe, 2000*

*Beck A, Zu den Grundprinzipien der Bona Fides im Römischen Vertragsrecht. In: Festgabe zum 70. Geburtstag von August Simonius, Basel. 1955,*

*Behrends O. Treu und Glauben, Christentum und Säkularisation, Baden-baden, 1981*

*Bechmann A., Der Kauf nach gemeinem Recht, Band 1: Geschichte des Kaufs im römischen Recht, Leipzig, 1876*

*Brox H. Allgemeines Schuldrecht, 21. Auflage, C.H. Beck, München, 1993*

*Brox H., Walker W., Allgemeines Schuldrecht, 32. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2007*

*Brox H., Allgemeines Schuldrecht/von Hans Brox. 24. Aufl., Beck, München, 1997*

*Bunte H. J., Zehn Jahre Gesetz zur Regelung des Rechts der Allgemeinen Geschäftsbedingungen- Rückblick und Ausblick, NJW, 1987*

*Baumbach-Duden-Hopt-Handelsgesetzbuch: mit GmbH & Co., Recht der Allgemeinen Geschäftsbedingungen und Handelsklauseln, Verl. von Klaus J. Hopt. Begr. von Adolf Baumbach Fortgef. bis zur 24. Aufl. von Konrad Duden, 28. Aufl. Beck, München, 1989*

*Esser J., Vorverständnis und Methodenwahl in der Rechtsfindung: Rationalitätsgarantien der richterlichen Entscheidungspraxis, Frankfurt am Main, 1970,*

*Esser J, Die Grundbegriffe des Rechtes und des Staates, Wien, 1949*

*Eckl Ch., Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht, Studien zum ausländischen und internationalen Privatrecht 183. Herausgegeben vom Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007*

*Engisch K. Die Idee der Konkretisierung im Recht und Rechtswissenschaft unserer Zeit. 2. Aufl, 1968*

*Franzen M, Privatrechtsangleichung durch die Europäische Gemeinschaft. Berlin, 1999*

*Falk U., Mohnhaupt H., Das bürgerliche Gesetzbuch und seine Richter: Zur Reaktion der Rechtsprechung auf die Kodifikation des Deutschen Privatrechts (1896-1914). Frankfurt am Main, 2000*

*Fikentscher W., Schuldrecht: 9. Durchgesehene und Ergänzende Auflage. Berlin, 1997*

*Handbuch des Kaufvertragsrechts in den EG-staaten einschl. Österreich, Schweiz und Un-Kaufrecht. Herg.von Dr. Friedrich Graf von Westphalen, Jan Willem Bitter, Charis A. Chaldoupi, Verlag O. Schmidt, Köln, 1992*

*Hepting R., Detzer K., Die Abdingbarkeit des Ausgleichsanspruchs ausländischer Handelsvertreter und Vertragshändler insbesondere durch Allgemeine Geschäftsbedingungen // RIW 1989*

- Hedemann J.W.* Die Flucht in die Generalklauseln. Eine Gefahr für Recht und Staat. Tübingen, 1933
- Heinrichs H.*, Münchener Kommentar Bürgerliches Gesetzbuch, Band 2, Schuldrecht, Allgemeiner Teil. 3. Aufl., Verlag C.H. Beck, 1994
- Josef I., Kirchhof P., (Hg.)* Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band III, Tübingen, 1988
- Koch H.-J.*, Juristische Methodenlehre und analytische Philosophie. Kronberg, 1976
- Kötz H.*, Europäisches Vertragsrecht: b.d.1., Tübingen, 1996
- Klunziger E.*, Einführung in das bürgerliche Recht, 5. Aufl., Verlag Vahlen, München, 1993
- Larenz K.*, Lehrbuch des Schuldrechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14. Auflage, München, 1987
- Larenz K.*, Methodenlehre der Rechtswissenschaft, 5. Auflage, Berlin u.a., 1983
- Larenz K., Wolf M.*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Auflage, München, 2004
- Larenz K., Wolf M.* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 8. Aufl. C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, §242, München, 1997
- Langenfeld G.*, Vertragsgestaltung: Methode-Verfahren-Vertragstypen, 2. Aufl., Beck, München, 1997
- Lindacher W.F.*, Gesetz zur Regelung des rechts der Allgemeinen Geschäftsbedingungen; Kommentar (Von *M. Wolf, N. Horn, W.F. Lindacher*), 3. Aufl., Beck, München, 1994
- Medicus D.*, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 15. Auflage, München, 2004
- Medicus D.*, Bürgerliches Recht, 18. Aufl., Köln, Berlin, Bonn, München, 1999
- Medicus D.*, Bürgerliches Recht: Eine nach Anspruchgrundlagen geordnete Darstellung zur Examensvorbereitung Von Dieter Medicus: 18. Aufl., Köln; Berlin; Bonn; München: Heymanns 1999 Gernhuber. Fortgef. von *Dr. Barbara Grunewald*, 4. Aufl., Beck, München, 1998
- Müller H.*, Allgemeine Geschäftsbedingungen im internationalen Wirtschaftsverkehr, Verlag Luchterhand, Neuwied, Kriftel, Berlin, 1994
- Mohnhaupt H.*, Das bürgerliche Gesetzbuch und seine Richter: Zur Reaktion der Rechtsprechung auf die Kodifikation des Deutschen Privatrechts (1896-1914). Frankfurt am Main, 2000
- Oberacher Hans-Erwin*, Wie löst das französische Recht die Fälle des §242 BGB? München, 1963
- Oertmann Paul*, Die Geschäftsgrundlage: ein neuer Rechtsbegriff. Leipzig, 1921
- Panagiotis Papanikolaou.* Rebus Sic Stantibus und Vertragskorrektur auf Grund Veränderter Umstände im Griechischen Recht, ERPL 6, 1998

- Palandt O.*: Kommentar zum BGB, 59. Auflage –, Verlag C.H. Beck, München, 2000
- Rüthers B.*, Die unbegrenzte Auslegung: Zum Wandel der Privatrechtsordnung im Nationalsozialismus, Tübingen, 2005
- Röthel A.* Normkonkretisierung im Privatrecht, Tübingen, 2004
- Rüthers B.*, Die Unbegrenzte Auslegung: zum Wandel der Privatrechtsordnung im Nationalsozialismus, Tübingen, 2005
- Rombach, Jan.*, Allgemeine Geschäftsbedingungen Bei Freien Dienstverträgen: Rechtsanwalts-, Steuerberater- Und Wirtschaftsprüferverträge, Arzt- Und Krankenhausbehandlungsverträge, Unterrichtsverträge, Verlag Heymann, Köln u.a., 1997
- Staudinger J.* Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, 2. Buch, Berlin, 1995
- Sonnenberger Hans Jürgen*, *Treu und Glauben - ein supranationaler Grundsatz?* Deutsch-französische Schwierigkeiten der Annäherung, in: Festschrift für Walter Odersky zum 65. Geburtstag, Berlin 1996
- Schwarz A.B.*, Das schweizerische zivilgesetzbuch in der ausländischen Rechtsentwicklung, 1950
- Staudinger J.*, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Berlin, 1995
- Strätz Hans-Wolfgang*, *Treu und Glauben*, Paderborn, 1974
- Schlechtriem P, Schmidt – Kessel M.*, Schuldrecht, Allgemeiner Teil. Tübingen 2005
- Soergel Hans Th.*, Bürgerliches Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Kommentar, 12 Aufl. Band 2/1, 1990
- Thamm M.*, Taschenkommentar zum AGB-Gesetz-Heidelberg: Verl. Recht und Wirtschaft, 1998
- Weber R.* Entwicklung und Ausdehnung des §242 BGB zum königlichen Paragraphen, Jus, 1992
- Wegerich C.*, Die Flucht in die Grenzenlosigkeit: Justus Wilhelm Hedemann (1878-1963), Tübingen. 2004
- Wieacker F.*, Zur rechtstheoretischen Präzisierung des paragraphs 242 BGB. Tübingen, 1956
- Wolf M.*, Rechtsgeschäftliche Entscheidungsfreiheit und Vertraglicher Interessenausgleich, Tübingen, 1970
- Westermann H.P., Bydlinski P.* BGB-Schuldrecht, Allgemeiner Teil, C. F. Müller, Heidelberg, 1999
- Zimmermann Reinhard*, Konturen eines Europäischen Vertragsrechts, 1995
- Zimmermann R., Rückert J. Schmoeckel M.*, Historisch-kritischer Kommentar zum BGB. Bd2: Schuldrecht allgemeiner Teil. Tübingen, 2007
- Auer M.*, Good Faith: A Semiotic Approach. European Review of Private Law. 2., 2002



*Adams J., Brownsword R.*, The ideologies of Contract Law.7 Legal Studies 205 (1987).

*Atiyah P.S.* The Rise and Fall of Freedom of Contract – Oxford, 1979

*Atiyah P. S.*, Introduction to the Law of Contract. 5.<sup>th</sup> Ed., Clarendon Press, Oxford, 1995

*Auer M.*, Good Faith: A Semiotic Approach, ERPL 2, 2002

*Achampong F.*, Uberrima Fides in English and American Insurance Law. A Comparative Analysis. The International and Comparative Law Quarterly. Vol. 36., №2, 1987

*Barton J.H, Merryman J.H, Li V. H.*, Law in Radically Different Cultures. St. Paul, Minn. 1983; *Beaston J. and Friedmann D.* (eds). Good Faith and Fault in Contract Law, Oxford 1995

*Bronsword R., Hird N., Howells G.* Good Faith in Contract: Concept and Context. Ashgate, Dartmouth, 1999

*Brownsword R.* Contract Law: Themes for the Twenty first Century. Butterworths, 2000

*Beale H.*, Cases, Materials and Text on contract law, Oxford, 2002

*Ben-Dror Y.*, The Perennial Ambiguity of Culpa in Contrahendo. The American Journal of Legal History. Vol. 27. №2. 1983

*Beale H., Tallon D.*, Contract Law: IUS Commune Casebooks for the Common Law of Europe. Oxford, 2002

*Beale H. G., Bishop W. D, Furmston M. P.*, Contract: Cases and Materials. Oxford, New York, 2007

*Beatson J. Friedmann D.*, Good Faith and Fault in Contract Law. Oxford, 1997

*Capuano A.* Not Keeping the Faith: A Critique of Good Faith in Contract Law in Australia and the United States. Bond Law Review, 2005

*Cane P., Stapleton J.*, The Law of Obligations: Essays in Celebration of John Fleming, Clarendon Press, Oxford, 1998

*Cheshire H. Fifoot D.* The Law of contract. 11<sup>th</sup> edn.by Furmston – 1986

*Dario Alessi.*The Distinction Between Obligations de Resultat and Obligations de Movens and the Enforceability of Promises, ERPL 5/2005

*Dawson, J. P.* Effects of Inflation on Private Contracts: Germany, 1914-1924. Michigan Law Review, Vol. 33, №2, 1934

*Eisenberg M.A.* The Limits of Cognition and the Limits of Contract. Stanford Law Review, 1995

*Farnsworth E.A.* Precontractual Liability and Preliminary Agreements: Fair Dealing and Failed Negotiations. Columbia Law Review, Vol. 87., 1987

*Farnsworth, E.A.*, Precontractual liability and Preliminary Agreements: Fair Dealing and Failed Negotiations, Columbia Law Review. Vol. 87., 1987

- Goode R.* Commercial law, Penguin Books, 2004.
- Grundmann S, Mazeaud D,* General clauses and standards in European contract law: comparative law, EC law and contract law codification. Kluwer Law International. 2005
- Hodgin R.W.,* Insurance Law: Text and Materials, London, 2002
- Harris D. and Tallon D. (eds),* Contract Law Today: Anglo-French Comparisons, 1989
- Howells G., Schulze R.,* Modernising and Harmonising Consumer Contract Law: With Reference to the Planned Horizontal Consumer Contract Directive. Sellier European Law Publishers, 2009
- Jee W. P.* Good Faith: Protecting Parties Reasonable Expectations. Oxford University Commonwealth Law Journal, Vol. 1, №2, 2001
- Keily T.* Good faith and the Vienna Convention on Contracts for the International Commercial law and Arbitration, Issue, 1, 1999
- Kessler F., Fine E,* Culpa in contrahendo, Bargaining in Good Faith and Freedom of contract: A Comparative Study. Harward Law Review. Vol. 77(3), 1964
- Keeton R.E., Wides A.I.* Insurance Law. A Guide to Fundamental Principles, Legal Doctrines and Commercial Practices. Practitioner's Edition. – St. Paul, MN, 1988
- Lando O.,* Salient features of European Contract Law. Study of the systems of private law in the EU with regard to discrimination and the creation of a European Civil Code. European Parliament Directorate General for Research, Working Paper, Legal affairs Series, Juri 103 EN (June 1999)
- Lando Ole., Hygh Beale (Hg),* Principles of European Contract Law, Parts I, 1995
- Lando Ole., Hygh Beale (Hg),* Principles of European Contract Law, Parts I, and II, 2000
- Lando Ole /Eric Clive/Andre Prüm/ Reinhard Zimmermann (Hg),* Principles of European Contract Law, Parts III, 2003
- Legrand P.,* Pre-Contractual Disclosure and Information. Englisch and French law compared. Oxford Journal of Legal Studies. Vol. 6, №3. 1986
- Mattei U,* Comparative Law and Economics. Ann Arbor (Mich), 1988,
- Markesinis B. Unberath H. Jonston A.* The German law of contract, A Comperative treatise, Second edition, Entirely revised and updated, HART Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006
- Mckendrick E.* Contract Law: text, cases and materials, Oxford, 2005
- Micklitz Hans-W.,* The Politics of Judicial Co-operation in the EU: Sunday Trading, Equal Treatment and Good Faith. Cambridge, 2005
- Markesinis B. Unberath H. Jonston A.* The German Law of Contract, A Comperative treatise, Second edition, Entirely revised and updated, HART Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006
- Mulcahy L., Tillotson J.,* Contract Law in Perspective. London, 2004
- Nicholas B.,* The French Law of Contract. Oxford, 1992

*Oughton D. W., Davis M.*, Sourcebook on Contract Law. Second Edition, London, 2000

*Peter De Cruz*, Comparative Law in a Changing World, London 1999

*Peter Van Schilfgaarde*. System, good faith and equity in the New Dutch Civil Code, ERPL 5, 1997

*Peden E.*, Contractual Good faith: Can Australia benefit from the American experience. Bond Law Review, 2003

*Peden E.* Implicit Good faith or Do We Still Need an Implied term of Good Faith. Legal studies Research Paper. January, 2009

*Peden E.* When Common Law Trumps Equity: The Rise of Good Faith and Reasonableness and the Demise of Unconscionability. Legal studies Research Paper. November, 2006

*Stapleton J.* Good faith in Private Law, 1999.

*Robert Joseph Pothier*, A Treatise on Obligations, Considered in a Moral and Legal View, Volumes 1-2, The law book Exchange LTD., Union New Jersey, 1999

*Reiter B. J., Swan J.*, Studies in Contract Law, Toronto, 1980

*Richards P.*, Law of Contract. Harlow., 2007

*Steyn J.*, Contract Law: Fulfilling the Reasonable Expectations of Honest Men. Law Quarterly Review. Vol. 113., 1997

*Steyn J.*, The Role of Good Faith and Fair Dealing in Contract Law: A Hair-Shirt Philosophy? Denning. Law Journal. Vol. 6., 1991

*Forte Angelo D. M.*, Good Faith in Contract and Property. Portland, 1999

*Sims V.*, Good Faith in English Contract Law. Ankara Law Review. Vol. 1 №2, 2004

*Stone R.*, The Modern Law of Contract. London, 2005

*Schlechtriem P.*, Good faith in German Law and in International Uniform Laws. Centro di studi e ricerche di diritto comparato e straniero. 24, Roma, 1997

*Teubner G.*, Legal Irritants: good faith in British Law or how unifying law ends up in new differences, The Modern Law Review, Vol. 61, 1998

*Tallon D.* Binding Force of Contract. Budapest, 1991

*Taylor R.*, Law of Contract, 6<sup>th</sup> Ed., Blackstone Press Limited, 1998

*Wieacker F.*, A History of Private Law in Europe: with particular reference to Germany. Oxford, 1996

*Wittaker S, Zimmermann R.* Good Faith in European Contract Law: The Common Core of European Private Law. Cambridge, New York., 2000

*Whittaker S.*, Assessing the Fairness of contract Terms: The Parties 'Essential Bargain', its Regulatory Context and the Significance of the Requirement of Good faith, Zeup 1/2004

- Whincup M. H.*, Contract Law and Practice: The English System with Scottish, Commonwealth and Continental Comparisons. Kluwer Law International, 2006
- Werner F. Ebke, Bettina Steinhauer.* The Doctrine of Good Faith in German Contract Law, Good Faith and Fault in Contract Law, Oxford, 2002
- Waddams S. M., Trebilcock M. J., Waldron M.A.*, Cases and Materials on Contracts. Toronto, 2005
- Yates D.* Standard Business Contracts: Exclusions and Related devices –London: Sweet & Maxwell, 1986
- Zweigert K., Kotz H.*, An introduction to Comparative Law. Oxford. Clarendon Press, 1998
- Zimmermann R. Whittaker S.* Good faith in European Contract law, Cambridge university press, 2008
- Zimmermann R. Whittaker S.(Hg)*, Good Faith in European Contract Law, Cambridge, 2000
- Alguer Jose*, El concepto de la Buena fe en la genesis y en la técnica del Derecho privado (Contribución al estudio de la norma jurídico-civil), RJC, 1927
- Cattaneo G*, Buona fede obbiettiva e abuso del diritto. Rivista trimestrale di diritto e procedura civile, 1971
- Cousy H.* Droit des contrats: France, Suisse, Belgique, Bruxelles, 2006
- Diez-Picazo L.*, Kommentar zu Art. 1258, in: Ministerio de Justicia (Hg.), Comentario del Código Civil, Band 2, Madrid, 1993
- Bénabent A*, Travaux de l'Association Henri Capitant, La Bonne foi, Bd XLIII, Paris, 1992
- Boulaire J*, La bonne foi en droit, français des contrats. Entre règle morale et sécurité juridique, Droit des contrats : France, suisse, Belgique, Bruxelles, 2006
- Velluzzi V*, Osservazioni sulla semantica delle clausole generali. Etica & Politica. VII: 1, 2006
- Garofoli R., Iezzi M.K.*, Codice civile e leggi complementari. Roma, 2008
- Candido Paz-ares Rodríguez/Luis Diez-Picazo Ponce de León/Rodrigo Bercovitz/Pablo Salvador Coderch (Hg.)*, Comentario del Código civil, Madrid, 1991
- Miguel Pasquau Liano/Klaus Jochen Albiez Dohrmann/ Ana López Frias (Hg.)*, Jurisprudencia Civil Comentada - Código Civil, Band II, Granada, 2000
- Lasarte C.*, Clausulas abusivas y nulidad parcial del contrato en el ordenamiento juridico español contemporaneo, Revista de Derecho Comparado, 2001
- Beudant C*, Cours de droit civil français. Tome VIII, Paris, 1936
- D'Angelo T.* Il contratto in generale, La buona fede. Torino, 2004
- Demogue R.*, Traité des obligations en general. T.1. Paris, 1923

- Demogue R.* Traité des obligations en general. T.6, Paris, 1923
- Remy J.* Oeuvres complètes de J. Domat Paris, 1835
- Tallon' D.* Le concept de bonne foi en droit Français du contract. SaGGI CONFERENZE E SEMINARI, Roma, 1994
- Picod Y.* Le devoir de loyaute dans l'exécution du contrat, LGDJ, Paris, 1989
- Terré F., Simler P., Lequette Y.*, Droit civil. Les obligations. Paris, Dalloz, 2005
- Malaurie P., Aynés L., Stoffel-Munck P.*, Les Obligations. Defrénois, 2007
- Mazeaud D.*, Un droit européen en guête d'identité. Les principes du droit européen des contrats. Dalloz, Chr. 2007
- Faure-Abbad M.* Le fait Générateur de la responsabilité Contractuelle : contribution à la théorie de L'inexécution du contrat. Paris, 2003
- Monti A.* Buona fede e assicurazione , Dott. A. Giuffre editore, Milano ,2002
- Wéry P.*, La fin du contrat. Liège, 2001
- Mazeaud H.*, Responsabilité délictuelle et responsabilité contractuelle. Revue trimestrielle de droit civil, 1929
- Sériaux A.*, Droit des obligations.Paris, 1998
- Ghestin J.* La notion d'erreur dans le droit positif actuel. Paris. 1962.
- Saieilles R.*, ,De La Declaration De Volonte. Contribution A L'étude De L'acte Juridique Dans Le Code Civil Allemand, N 89, 1901
- García Amigo M.*, Consideraciones a la Buena fe contractual, Actualidad Civil, 2000
- Богданова Е. Е.* Добросовестность и право на защиту в договорных отношениях, Юнити-Дана: Закон и право, М., 2010
- Бартошек М.*, Римское право, Понятие, термины, определения, М., 1989
- Бабаев В.Н.* Презумпции в советском праве, Горький, 1974
- Белов В. А.* Добросовестность, разумность, справедливость, как принципы гражданского права, „Законодательство”, №8, 1998
- Брагинский М.И., Витрянский В.В.*, Договорное право. Книга первая, общие положения, „Статут”, М., 2009
- Виниченко Ю. В.* Разумность в гражданском праве Российской Федераций ,Дисс., к. ю. н., Иркутск. 2003
- Грибанов В.П.* Принципы осуществления гражданских прав. Осуществление и защита гражданских прав, Статут, М., 2001
- Гражданское и торговое право Европейского Союза (основные институты): Учеб. пособие. Под. общ.ред. *В.В. Безбаха, В. Ф. Поньки, К.М. Беликовой*, Рудн. М., 2010
- Гнищевич К. В.* Доктрина culpa in contrahendo в немецкой цивилистике второй половины XIX века. Закон: Январь, 2007

- Дерюгина Т.В.* Принципы осуществления гражданских прав, Книгодел, М., 2010
- Емельянов В. И.* Разумность, добросовестность, незлоупотребление гражданскими правами, Лекс-Книга, М., 2002
- Единообразный торговый кодекс США, Пер. с англ., Международный центр финансово-экономического развития, М., 1996
- Жалинский А., Рёрихт А.*, Введение в немецкое право, „Спарк”, Москва, 2001
- Зименкова О. Н.*, Недобросовестные условия в договорах с потребителями: законодательство и практика зарубежных стран. Основные институты гражданского права зарубежных стран. Сравнительно-правовое исследование. Норма., М., 1999
- Иванов И. Л.* Гражданско-правовая ответственность лиц, участвующих в управлении акционерным обществом в праве России и Германии, Дис., к. ю. н., м., 1999
- Калмыков Ю. Х.* Принципы советского гражданского права, Ж. `Правоведение`, №3, 1980
- Кузнецова О. А.* Презумпции в российском гражданском праве, Автореферат диссертаций кандидата юридических наук, Екатеринбург, 2002
- Кузнецова О.А.* Нормы-принципы российского гражданского права, „Статут”, М., 2006
- Кобликов А. С.* Юридическая этика: учебник для вузов. Норма-Инфра, М., 1999
- Краснова С. А.* Определение понятия добросовестность в российском гражданском праве, Журнал российского права, №3, 2003
- Комаров А.С.*, Ответственность в коммерческом обороте, юрид. лит., М., 1991
- Лукьяненко М. Ф.* Оценочные понятия гражданского права: разумность, добросовестность, существенность. Изд-во „Статут”, М., 2010
- Митюков К. А.* Курс римского права, Издание 3-е, Тип-я Кушнерова И. К. , Киев, 1912
- Май С. К.*, Очерки общей части буржуазного обязательственного права, М., 1953
- Месхишвили Н.*, Сущность и значение добросовестности в частном праве, Южнокавказский Юридический Журнал, 03/2012
- Новицкий И. Б.* Принцип доброй совести в проекте обязательственного права. Вестник гражданского права. Научный журнал №1, Т. 6, 2006
- Новицкий И. Б.*, Принцип доброй совести в проекте обязательственного права, Вестник Гражданского права, №6, 1916
- Осакве К.* Свобода договора в англо-американском праве: понятие, сущность и ограничения, Журнал Российского права, №8, , 2006
- Осакве К.* Свобода договора в англо-американском праве: понятие, сущность и ограничения. Журнал российского права, №7, 2006

*Покровский И. А.*, Основные проблемы гражданского права, „Статус”. Москва, 1998

*Петражицкий Л. И.* Права добросовестного владельца на доходы с точек зрения догмы и политики гражданского права, „Статут”, М. 2002

*Парето В.* Чистая экономия. Пер. С. французского д.ю.н. *М. С. Бредихина*, Воронеж, 1912

Принципы международных коммерческих договоров 2004. Пер.с англ. *Комарова А.С.*, М., 2006

*Ровный В.В.* Гражданское законодательство, Глава 2, Гражданское право, Учебник. Под. ред. *Сергеева А.П.*, Коллектив авторов, Том 1, Велби, М., 2012

*Раевич С.И.* Швейцарский обязательственный закон 1911 г. в ряду других гражданских кодификаций буржуазно-капиталистического мира. В. кн: Швейцарский обязательственный закон от 30 марта 1911 г., М., 1930

*Суханов Е.* Основы гражданского законодательства. Вестник Верховного суда СССР, 1991, №10

*Скрипилев Е. А.* Основы римского права, Конспект лекций ,Издание 2- е, М., Ось-89, 2000

*Сливицкий В. И.* Право на честное к себе отношение (из уроков западноевропейской гражданско-правовой жизни), Сборник статей по гражданскому и торговому праву, Памяти проф. *Г. Ф. шершеневича*, М., 2005

*Синявская М. С.* Обязанность обеспечить безопасность как специфическая категория французского обязательственного права, „Российский судья” №6, 2006

*Скловский К. И.* Применение норм о доброй совести в гражданском праве России. Ж. „Хозяйство и право”, №9, 2002

*Щенникова Л. В.*, Справедливость и добросовестность в гражданском праве России (несколько вопросов теории и практики), Ж. „Государство и право”, №6, 1997

*Щенникова Л.В.* Принципы гражданского права: достижения цивилистики и законодательный эффект. Цивилистические записки: Межвузовский сборник научных трудов. Вып. 2 , Екатеринбург, Институт частного права, „Статут” М., 2002

*Чукреев А.А.* Добросовестность в системе принципов гражданского права. Журнал Российского права, №11, 2002

*Цвайгерт К. Кётц Х.*, Введение в сравнительное правоведение в сфере частного права Т.2, Международные отношения , М. 1998

*Цвайгерт К. Кётц Х.*, Введение в сравнительное правоведение в сфере частного права Т.2, Международные отношения , М. 2000

საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № 3ვ-938-02

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-722-1045-05

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 18 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-155-45804

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-992-1245-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-7-362-07

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 27 აპრილის განჩინება საქმეზე №2ბ/400-07

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-611-837-08.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-466-707-08

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის განჩინება საქმეზე № ას-691-1021-07

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-90-423-09

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება №ას-7-6-2010

რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2-652-10 საქმეზე №ას-7-6-2010

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6046-10

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას- 1388-1224-10

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1224-1076-2010

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1541-1547-2011

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-755-811-2011



საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე № ას-221-213-2012

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე № ას-85-81-2013

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1350-1275-2012

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-888-834-2012

ყვარლის მაგისტრატის სასამართლოს 2013 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №421210013357226-საქმე №2/57-13

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-85-81-2013

### სხვა ქვეყნების სასამართლოს გადაწყვეტილებები:

BGH Urt.v. 29.9.1983- VII ZR 225/82 (Koblenz) Neue Juristische Wochenschrift, 37. Jahrgang 1984, 1. Halbband, C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München und Frankfurt

BGH, Urt.v. 10.7.1990 XI YR 275-89 (Düsseldorf), Neue Juristische Wochenschrift, 43. Jahrgang 1990, 2. Halbband, G.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München und Frankfurt

Постановление федерального арбитражного суда Московского округа от 30.07.2003 по делу №КГ-А40/5041-03 - Справочно-информационная система „Консультант Плюс“

Постановление Президиума ВАС РФ №848/02 от 09.07.2002 Вестник ВАС РФ 2002, №11

Постановление Федерального арбитражного суда Северо-Западного округа от 23 июня 2004 г. #A217193/03-С1//СПС „КонсультантПлюс“

Постановление Федерального арбитражного суда западно-Сибирского округа от 05.05.2003 по делу # Ф 04/2041-650/ А45-2003- Справочно-информационная система, `Консультант Плюс`.

### ინტერნეტ რესურსები:

[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/zeller2.html>

<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/treaty.html>

<http://www.casefilemethod.com/Statutes/Short%20UCC.pdf>

<http://www.law.cornell.edu/ucc/2/2-103>

[http://vneshmarket.ru/content/document\\_r\\_E3922952-5DDF-4D19-8211-7BAFF3106A71.html](http://vneshmarket.ru/content/document_r_E3922952-5DDF-4D19-8211-7BAFF3106A71.html)

[http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do;jsessionid=F88F216F5704B702486C1A27DCC41989.tpdjo14v\\_3?idSectionTA=LEGISCTA000006150240&cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130918](http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do;jsessionid=F88F216F5704B702486C1A27DCC41989.tpdjo14v_3?idSectionTA=LEGISCTA000006150240&cidTexte=LEGITEXT000006070721&dateTexte=20130918)

[http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file\\_id=200239](http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=200239)

<http://www.mjusticia.gob.es/cs/Satellite/1292418034089?blobheader=application%2Fpdf&blobheadername1=Content->

[Disposition&blobheadervalue1=attachment%3B+filename%3DSpanish\\_Civil\\_Code\\_%28Código\\_Civil%29.PDF](Disposition&blobheadervalue1=attachment%3B+filename%3DSpanish_Civil_Code_%28Código_Civil%29.PDF)

<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=2508>

[http://en.wikisource.org/wiki/Civil\\_Code\\_of\\_Japan/Part\\_I](http://en.wikisource.org/wiki/Civil_Code_of_Japan/Part_I)

<http://www.tomeika.jur.kyushu-u.ac.jp/transaction/contract.html>

[http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file\\_id=270609](http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=270609)

<http://dare.uva.nl/document/226248>,

<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu5.html>

<http://ssrn.com/abstract=1098856>

<http://dejure.org/gesetze/AGBG>

<http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/verbrkrge/gesamt.pdf>

[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1084059](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1084059)

<http://www.jus.uio.no/lm/england.marine.insurance.act.1906/doc.html>

<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/50>

[http://en.wikisource.org/wiki/Civil\\_Code\\_of\\_Japan/Part\\_I](http://en.wikisource.org/wiki/Civil_Code_of_Japan/Part_I)

[http://www.legifrance.gouv.fr/content/download/1960/13727/version/3/file/Code\\_29.pdf](http://www.legifrance.gouv.fr/content/download/1960/13727/version/3/file/Code_29.pdf)

<sup>1</sup><http://dejure.org/gesetze/AGBG/24a.html>

[http://english.sipo.gov.cn/laws/relatedlaws/200804/t20080416\\_380360.html](http://english.sipo.gov.cn/laws/relatedlaws/200804/t20080416_380360.html)

<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1977/50>

<http://slovareko.ru/sbt/konvalidatsiya>

<http://definitions.uslegal.com/c/contra-legem/>

[https://en.wikipedia.org/wiki/Praeter\\_legem/](https://en.wikipedia.org/wiki/Praeter_legem/)

## **სხვადასხვა**

Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts. O.J.L 95, 21.04.1993

Communication from the Commission of 12 February 2003 to the European Parliament and the Council - A more coherent European contract law – An action plan. Com (2003) 68 final. Official Journal C63 of 15.3.2003

Principles, Definitions and Model Rules of European Private Law. Draft Common Frame of Reference (DSFR). Prepared by the Study Group on a European Civil Code and the Research Group on Ec Private Law

Собрание законодательства РФ, 2007, №6

Вестник конституционного суда РФ, 2003, №3

ვადასტურებ, ჩემს მიერ წარმოდგენილი თემა ასოცირებულ პროფესორ თამარ ზამბახიძის ხელმძღვანელობით შევასრულე დამოუკიდებლად და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

ჩემთვის ცნობილია იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება და ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს არასწორი მონაცემების წარდგენას.

ნინო ხუნაშვილი

-----